მოსე ჯანაშვილი

ჟამი ძიებისა
და
განსჯისა

თბილისი

გამომცემლობა „საარი“
2006

ქართული კულტურის დიდი მოღვაწე მოსე ჯანაშვილი იმ განსაკუთრებულად გამორჩეულ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც დაუფასებელი ამაგი დასდეს საკაცობრიო საგანძურში საქართველოს შეტანილი წვლილის წარმოჩენასა და განვრცობას, ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას, ერის სიძველეთა მოვლა-პატრონობას, სულიერების გადარჩენასა და მრავალსაუკუნოვან და სამომავლო იდეალებს.

დამსახურებულ პროფესორს ეკუთვნის შვიდ ათეულზე მეტი წიგნი, უამრავი პუბლიკაცია საერო და სასულიერო მწერლობის საკითხებზე, ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, კრიტიკა-ბიბლიოგრაფიის, ლექსიკოლოგიის, პუბლიცისტიკისა და სხვა დარგებში, სულ სამი ათასამდე თხზულება, რომელთა შორის ბევრი მათგანი უაღრესად მნიშვნელოვან სადღეისო და სამომავლო საკითხებს შეეხება.

ნაშრომები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს უძველესი და უახლოესი ისტორიის, ხალხთა შორის კულტურულ ურთიერთობათა საკითხებზე.

ძვირფასი საუნჯის შესასწავლად გაწეულია მრავალწლიანი შრომა და, იმედია, ქართველი საზოგადოებისათვის მისი გაცნობა შესაძლებელი გახდება ერის ღირსეული შვილების ხელშეწყობით.

მოსე ჯანაშვილის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ნაწერები კრებულის სახით პირველად ქვეყნდება.

განკუთვნილია ფართო წრისათვის..

© მოსე ჯანაშვილი: ჟამი ძიებისა და განსჯისა

რედაქტორი: კორნელი კინწურაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი
მხატვარი: ლაშა კინწურაშვილი

გამომცემლობა «საარი»
ISBN 99940-29-98–3

ქვეყნის ერთგული მსახური

ქვეყნის უდიდესი სიმდიდრე ადამიანებია, რომლებიც გვხიბლავენ როგორც თავიანთი ცხოვრებით, ისე გაწეული შრომის შედეგებით. ერთი მათგანია თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მოსე ჯანაშვილი, რომლის დაბადების 150 წლისთავი შარშან გაზაფხულზე შესრულდა.

იგი დაიბადა საინგილოში, ისტორიულ სოფელ კახში, რომელიც მერცხლის ბუდესავით მიჰკვრია ცის კამარამდის მიბჯენილს კავკასიონის ლაჟვარდოვან მთის ძირს, საიდანაც უზარმაზარ სივრცეზე იშლება ბუნების გასაოცარი სურათი. გაღმა მხარის ამ მშვენიერ კუთხეში, გიორგი ჯანაშვილის ხუთ ვაჟიშვილიან ღარიბულ, მაგრამ სულით მდიდარ ოჯახსა და დაუზარელი ადამიანების გარემოში გაატარა მან ბავშვობის წლები. მშობელი დედის-ბედირ გამხარაშვილის ასულ მარიამის გულმოდგინებითა და ახლობლების ხელშეწყობით ჩაენერგა მას მოყვასის სიყვარული, ერთგულება, შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, მშობლებისა და, საზოგადოდ, სხვათა ნაამაგარის პატივისცემა, ,,თქვენმა დედ-მამამ ორ-ორი დედულ-მამული გავაშენეთ კახსა და ბინაში (კახიდან 7 ვერსზე). იცოდეთ, კაცს არ შეშვენის მცონარობა და გაურჯელობა, ვაჟკაცის მხოლოდ აქ ღვაწლი შთება..”.- ყმაწ-ვილობიდანვე შვილებს გვესმოდა ეს სიტყვები და ჩვენც ვცდილობდით მათთვის მიგვებაძნა მუყაითობით” [1)]

გიორგის მამა, მთელ საინგილოში თავისი დროის ფრიად გავლენიან და პატივცემულ კაცად მიღებული სოლომონი, იცნობდა ერეკლე მეფეს და ახსოვდა მისი ვაჟკაცობა, ჰყავდა სამი ძმა და ხუთი შვილი. იგი 130 წლისა (სხვა ცნობით ასი წლისა) გარდაიცვალა. თვითონ გიორგი, რომელმაც თავის უშიშარ ექვს ამხანაგთან ერთად მეტად რთულ დროს გადაწყვიტა ქრისტიანობის მიღება და ხალხის მოქცევა მამა-პაპათა სარწმუნოებაზე, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით თბილისში, სიონის ტაძარში მოინათლა 1850 წლის 5 ოქტომბერს. საინგილოში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღსადგენად მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და 90 წლის ასაკში განისვენა. ,,უანგარო და ერის ერგული კაცის საფლავი მთელმა საზოგადოებამ დაიტირა" [2)].

ოჯახის უმცროსი ვაჟიშვილი ექვსიდან ცამეტ წლამდე მშობლებს შველოდა ბარაქის მომტან გამოულეველ სასოფლო საქმეებში:ხბორებს აძოვებდა, ზურგით შეშას ეზიდებოდა დიდგუბის მთიდან, სწავლობდა სამრევლო სკოლაში. ეს ის დროა, როდესაც ,,ჯერ ისევ ლეკთა ჩაჩქან-ხირიმის გრიალი გაისმოდა საინგილოში”, როცა ჰაჯი მურთუზამ თავისიანები ააჯანყა და ინგილოების გარდა მთელი ზაქათალას ოლქი მიიმხრო, წარმატებით გათამამებული ლეკები ძლიერ ემუქრებოდნენ და ავიწ-როებდნენ ქრისტიანებს, ამის შედეგად ბევრი კვლავ გამაჰმადიანდა, რის გამო მართლმადიდებელ ქრისტიანად 15 ათასიდან მხოლოდ 4 ათასამდე კაცი დარჩა, [3)]

ეს ის დროა როდესაც ახლად მოქცეულ ინგილოებს წინამძღვრობდა კეთილმოწესე პეტრე კონჭოშვილი (კონჩუევი). მას მხარში ედგა ყველგან სიკეთისა და სათნოების მთესველი მეუღლე მართა დიმიტრის ასული, რომლის ქცევასა და მოქმედებას ისეთი ზეგავლენა ჰქონდა ინგილოებზე, მისს ცხოვრებას ადგილობრივი მოსახლეობა მტრედის უმანკოებას ადარებდა. საყდრის ეზოში, ხოლო წვიმა-სიცივის დროს მისსავე ქოხში, შეკრებილ ბავშვებს მართა ,,დედა” ასწავლიდა დიმიტრი ფურცელაძის შედგენილი ქრესტომათიიდან. ამ დიდ საქმეში ასევე დაუზარებლად და უსასყიდლოდ მონაწილეობდა დიაკვანი მიხეილი (ყულოშვილი). ბავშვები

სწავლობდნენ ლოცვებს, წერა-კითხვას, ანგარიშს, სუფთა წერას. წიგნის გარდა მართა ხელსაქმესაც ასწავლიდა. გეოგრაფიის სწავლება სკოლაში თუმცა შემოღე-ბული არ იყო, მაგრამ მასწავლებლები აღსაზრდელებს ხანდახან გეოგრაფიულ ცნობებსაც გადასცემდნენ. ,,კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც დედა მართამ შეგვკრიბა ყველა მოწაფენი და ჩამოგვიგდო ბაასი შესახებ საქართველოს ქალაქებისა, მდინარეებისა, თემებისა, დიდი ეკლესიებისა, ისტორიისა და სხ. მართასაგან პირველად გავიგეთ ინგილოებმა, რომ მსოფლიო შესდგება დიდ-დიდი ხმელეთებისაგან, დიდ-დიდი ოკეანეებისა და ზღვებისაგან",-იგონებდა მისი ღირსეული მოწაფე. [4)]

იმ ხანებში დაღესტნის უმაღლესი ხელისუფალის გენერალ-მაიორ თავად სიმონ შალიკაშვილის განკარგულებით ზაქათალაში გაიხსნა სამაზრო სასწავლებელი და პანსიონი. ბევრი რამ კეთილმოეწყო, გაშენდა ახალი ზაქათალას სამაზრო ბოტანიკური ბაღი.[5)] სამაზრო სასწავლებელმა იმთავითვე სწავლის ბევრი მსურველი მიიზიდა. აღნიშნულ სკოლაში ასწავლიდნენ ნიკოლოზ ბლიუდოვი, დეკანოზი სო-ლომონ გრიგოლიევი, რომელმაც 1871 წლიდან სამსახურს თავი დაანება და ამ გამონთავისუფლებულ ადგილზე მოსეს ბიძაშვილი და სიყრმიდანვე მისი მასწავლებელი დიმიტრი ჯანაშვილი გაამწესეს.

1868 წლის 4 აპრილს მამების თანხლებით თოთხმეტი ინგილო ყმაწვილი სალოცლად (სასწავლებლად) ზაქათალაში გაემგზავრა. ისინი სკოლაში ჩარიცხეს და სასკოლო ფორმის ტანსაცმელი დაურიგეს, მოსე ჩინებულად სწავლობდა და ნიშნების უპირატესობით სასწავლებლის მოსწავლეთა ,,სტარშოით" ითვლებოდა. მოწაფეებმა მაისის ბოლოს გამოცდები ჩააბარეს და მათ წასაყვანად ჩასულ მამებთან ერთად ბიჭები ცხენებით მთელი დღის მგზავრობის შემდეგ სოფელში დაბრუნდნენ. ზაქათალაში ჩასვლის, იქ გატარებულ დღეებსა და შინ დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს საინტერესოდ გადმოსცემს თავის ჩანაწერში მეორეკლასელი მოსე. [6)]

ზაქათალის სამაზრო სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს მიერ 1872 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით, ელისუს უბნის სოფელ კახის მცხოვრებმა, ახლადმონათლული ინგილოს ვაჟიშვილმა, მართმადიდებელი სარწმუნოების, საუკეთესო ყოფაქცევის 17 წლის მოსე ჯანაშვილმა სამაზრო სასწავლებლის სრული კურსი დაასრულა და მიიღო შემდეგი ნიშნები:ღვთისმეტყველება- ფრიად კარგი, რუსული ენა-ფრიად კარგი, არითმეტიკა- ძალიან კარგი, გეომეტრია-კარგი, რუსეთის და მსოფლიო ისტორია-ძალიან კარგი, გეოგრაფია-ფრიად კარგი, სუფთა წერა-ძალიან კარგი, სადურგლო, სახარატო და საამკინძაო საქმე-კარგი. ოლქის უფროსი ექიმი ვშიჟევსკი აგვისტოს ბოლოს გაცემული მოწმობით ადასტურებდა, რომ სოფელ კახის მცხოვრები გიორგი ჯანაშვილის ვაჟიშვილი ჯანმრთელი აგებულებისაა და მას ჩაუტარდა ჭირის საწინააღმდეგო აცრა.

იმდროინდელი ქართული პრესის აქტიურმა თანამშრომელმა და მისმა მთავარმა მეგზურმა დ.ჯანაშვილმა კახიდან მომავალი ბიძაშვილი პირდაპირ ,,დროების" რედაქციაში მიიყვანა ღამის სათევად, სადაც გულთბილად მიიღეს რედაქტორმა სერგეი მესხმა და მისმა მეუღლე ეკატერინე მელიქიშვილმა. მომდევნო დღეებში დიმიტრი შეხვდა და ესაუბრა ,,დროების" თანამშრომლებს აკაკი წერეთელს, ნიკო ცხვედაძეს, იაკობ გოგებაშვილს, გიორგი იოსელიანს და სხვ, [7)], თბილისში სასწავლებლად ჩამოსულმა ახალგაზრდამ კი სასულიერო სემინარიის მმართველობას განცხადებით მიმართა განათლებისა და აღზრდის გაგრძელებისათვის დაეშვათ იგი მისაღებ გამოცდებზე. [8)]

სასულიერო სემინარიის პირველ კლასში 14-16 წლის ახალგაზრდებს ღებულობდნენ. შემსვლელს უსათუოდ გავლილი უნდა ჰქონოდა სასულიერო

სასწავლებლის კურსი. ასაკგადაცილებულ ზაქათალის სამაზრო სკოლელს სავალდებულო საეკლესიო საგნებიდან მარტო საღმრთო ისტორია ჰქონდა შესწავლილი, ამიტომ გამოცდებზე არ დაუშვეს, მაგრამ სემინარიის მასწავლებლებმა ნიკო ცხვედაძემ, გიორგი იოსელიანმა და თომა ტურიაშვილმა, აგრეთვე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა იაკობ გოგებაშვილმა, სემინარიის ინსპექტორმა სულხანიშვილმა და პეტრე კონჭოშვილმა მთავრობას პირობა დაუდეს-მაგისგან მღვდელი გამოვა, რაც საინგილოსთვის ფრიად საჭიროაო. ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ[9] 3-4 სექტემბერს მოსე მისაღებ გამოცდებზე დაუშვეს, რომლის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნა მიღებული, რომ მან სემინა-რიაში სწავლის გასაგრძელებლად გამოავლინა ნიჭიერება და კარგი ზოგადი განათლება, ჩაბარებულ უმეტეს საგანში დაიმსახურა შეფასება 4 (ძალიან კარგი) და პირველ კლასში მის ჩარიცხვაზე თავიანთი ხელმოწერებით თანხმობა გამოაცხადა სემინარიის გამგეობის ყველა წევრმა. [10]

საქართველოს ეგზარქოსისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღინიშნა, რომ ,,პირველ კლასში ჩაირიცხნენ სასულიერო სასწავლებლების მოწაფეები ჯარაევი, სოკოლოვი, კარიჭაშვილი, შიშნიაშვილი, სამადალაშვილი და ღამბაშიძე, დაბალი განყოფილებიდან- გაბიჩვაძე და იოსებაძე, ხოლო საერო სკოლებიდან ნარეკლიშვილი და ჯანაშვილი". ეგზარქოსს საგანგებოდ მოხსენდა ჯანაშვილის საგამოცდო შედეგები, ის, რომ მას არ ჩაუბარებია მისაღები გამოცდები საეკლესიო წესდებაში, სლავურ და ქართულ საეკლესიო გალობაში, მაგრამ გამოვლენილი ზოგადი მომზადებისა და მაღალი მაჩვენებლების გამო აღნიშნული საგნების ჩაბარების გარეშეც გამგეობამ შესაძლებლად ჩათვალა სემინარიის პირველ კლასში მისი ჩარიცხვა. [11]

ზაქათალის სამხედრო ოლქის უფროსი, პოლკოვნიკი შელკოვნიკოვი სემინარიის მმართველობას ატყობინებდა:მისაღები გამოცდების ჩააბარების შემთხვევაში, იგი სემინარიის საერთო საცხოვრებელში სრულ პანსიონერად მიეღოთ საოლქო მმართველობის ხარჯზე, რისთვისაც მან ნოემბერში 75 მანეთი გამოგზავნა. [12] ასე რომ ყველაფერი კარგად წარიმართა და სამაზრო სასწავლებლიდან მოსული ახალგაზრდა სასულიერო სემინარიაშიც კურსს ჩინებულად გადიოდა.

ამ დროს სემინარიაში 187 მოსწავლეა, [13] მათ შორის მეხუთე კლასელები ანტონ ნატროშვილი, ამბროსი ხელაია (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი), შიო შიუკაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, იოსებ ლიაძე, იოსებ ბაქრაძე, ივანე როსტომაშვილი; მეოთხე კლასელები თედო ჟორდანია, იონა მეუნარგია, ნიკო ლომოური, გიორგი საძაგლიშვილი (შემგომში კირიონ II), მეორე კლასელები იაკობ მანსვეტაშვილი, ესტატე მჭედლიძე, ვასილ ბარნოვი, პოლიევქტ კვიცარიძე, ნესტორ ყუბანეიშვილი, რომან ცამციშვილი (ცამციევი), დავით კეზელი და სხვა- შემდგომში ქართველი საზოგადოების ბევრი ღირსეული წარმომადგენელი.[14]

პედაგოგი თომა ტურიაშვილი, რომელიც ბიბლიოთეკარადაც მუშაობდა, თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, [15] რომ მოსე სემინარიის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი აქტიური მკითხველთაგანი იყო, ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა რუსეთის, ევროპის, აღმოსავლეთის ქვეყნების ცნობილი მწერლების, მეცნიერების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ნაშრომებს, მონაწილეობდა მოსწავლეთა სხვადასხვა შეხვედრებსა და დისკუსიებში, წერდა რეფერატებს, სასწავლო კურსს ჩინებულად გადიოდა და, სემინარიაში ,,სწავლას მოერგო", თუმცა, როგორც ერთგან თვითონ მოსე ამბობს, სამღვდელოდ მაინც არ იყო დაბადებული.

1872-73 სასწავლო წელს სემინარიის პირველკლასელები 27 საგანს გადიოდნენ. მათ შორის ღვთისმეტყველების საფუძვლებს ასწავლიდა რექტორი, არხიმანდრიტი ვალენტინი, რუსულ სიტყვიერებას, რუსული ლიტერატურის ისტორიასა და ლოგიკას-პედაგოგი გიორგი იოსელიანი, მსოფლიო და რუსეთის საეკლესიო ისტორიას და დოგმატიურ ღვთისმეტყველებას თევდორე ფავორსკი, დიდაქტიკას, პედაგოგიკას, ჰომილეტიკას, ლიტურგიკას და ეკლესიის მღვდელთა პრაქტიკულ სახელმძღვანელოს -დეკანოზი გიორგი ხელიძე, მსოფლიო და რუსეთის სამოქალაქო ისტორიას და ზნეობრივ ღვთისმეტყველებას - თომა ტურიაშვილი, ალგებრას და გეომეტრიას - ს. სტრელკოვი, პ.მელლერი, ალგებრას, ფიზიკასა და კოსმოგრაფიას - კოროლევსკი, ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიურ მოძღვრებათა მიმოხილვას - ცვეტკოვი, ფრანგული ენას ერთდროულად 1-4 კლასებში - გროპიუსი, გერმანულ ენას - პ.სევეროვი, რომელიც იმავდროულად ფრანგულსაც ასწავლიდა, ბერძნულ ენას - ა.კარაბაშევი, ლათინურ ენას, რომელიც მარტო პირველ კლასში ისწავლებოდა, აგრეთვე საეკლესიო სლავურ გალობას (მესამე კლასელებან ერთად), მუსიკას და ხატწერას - ხლამოვი. [16)]

ამ დროს არათუ პირველ კლასში, სემინარიაში ქართული ენას საერთოდ არ ისწავლებოდა. მარტო ხუცურ კითხვაში ავარჯიშებდნენ. ამას გარდა ასწავლიდნენ ბერძნულს, ლათინურს, გერმანულს და ფრანგულ ენებს. ფრანგული ენის მასწავლებელმა გროპიუსმა პირველსავე გაკვეთილზე ყურადღება მიაქცია მოსეს მიერ ცალკეული სიტყვების სწორ გამოთქმას. პირველკლასელი მალე იქცა გროპიუსის სამაგალითო მოწაფედ.[17)] სამაზრო სასწავლებლის ყოფილი კურსდამთავრებული ბერძნულის მცოდნე ბერძენ კარაბაშევის, აგრეთვე სხვა მასწავ-ლებლების წყალობით ბერძნულსა და დანარჩენ საგნებში ისე გაიწაფა, რომ მეორე კლასში საუკეთესო მოწაფედ გადავიდა.

სემინარიელების მდგომარეობა მას შემდეგ გაუარესდა. როცა ინსპექტორად კუვშინსკი, ხოლო ბერძნულის მასწავლებლად გორტინსკი დანიშნეს. შესცვალეს სხვა ქართველი მასწავლებლებიც. 1873-74 წლებში კერსკის რევიზიის შემდეგ სინოდმა მოინდომა მთლად გაერუსებინა არათუ ისედაც გარუსებული სემინარია, არამედ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებიც. მასწავლებლებად მოავლინეს კაციჭამია პედაგოგები ფავორსკი, სინაისკი, იერუსალიმსკი, პაშკევიჩი, პოსპელოვი და სხ., რომლებმაც ქართველებს დევნა დაუწყეს. ამ დევნას ყურადღება მიაქცია ,,ობზორის" რედაქტორმა ნიკო ნიკოლაძემ და ერთ-ერთ ნომერში მათ ასე უხუმრა ,,ქართველების წინააღმდეგ დაირაზმა მთელი ბიბლიური მსოფლიო:სინაისკი წმ. სინაიდან, იერუსალიმსკი წმ. იერუსალიმიდან, ფავორსკი წმ. ფავორიდან და ძმანი მათნი:მათ სინაის წყაროდან წყალს აწვდის კუვშინსკი თავის ,,კუვშინიდან", რომ არ მოსწყურდეთ ბრძოლა-ღვაწლის დროს".[18)]

ზემოხსენებულთაგან ზოგიერთი მყის გაეცალა საქართველოს, ფავორსკი მოკვდა, მაგრამ მათ მაგიერ დანიშნეს ისევ ქართველთ მოძულე რუსები და კუვშინსკიმაც უფრო გააძლიერა დევნა და ჩაგვრა ქართველ მოწაფეებისა, ქართული წიგნის და მწერლობის ან ისტორიის ჭაჭანებაც ხომ არსად იყო! კუვშინსკი სჯიდა, თუ ვისმე ნახავდა ქართულად მოლაპარაკეს, თვით საყდრიდანაც გამოდევნილი იყო ქართული ლოცვა-წირვა. ეროვნული ჩაგვრა აუტანელი გახდა. მთელმა ქართველობამ ეს იცოდა. მაგრამ ხმა ვერავის აემაღლებინა. საშიში შეიქმნა წარმოთქმა სიტყვებისა. ,,ქართველი", ,,საქართველო". ,,მე სულიერად ვიტანჯებოდი. გულიდან ამოვირეცხე აზრი ღვდლად გახდომისა და სემინარიის საღვთისმეტყველო კლასების დასრულებისა",- წერდა მოსე. ამასთან მან კიდევ უფრო უმატა მეცადინეობას

სხვადასხვა საგნებში, რაზეც კარგად მიუთითებს აკადემიური მონაცემები. 1875 წლის 3 ივლისს სემინარიის მმართველობის პედაგოგიურმა კრებამ 1874-1875 სასწავლო წლის შესასწავლ საგნებში გამოცდებისა და საშუალო წლიური ნიშნების შეჯერებით მესამე კლასელებს ყველა საგანში განუსაზღვრა საშუალო ქულების ტაბელი. მოსე ჯანაშვილმა საღმრთო წერილში მიიღო 5 ქულა, ლოგიკაში-5, ისტორიაში-5, ტრიგონომეტრიასა და პასექის გამოთვლაში-4, ბერძნულ ენაში-4, ლათინურ ენაში-4, ფრანგულ ენაში-5, საგამოცდო თხზულების შედგენაში-2. სულ დააგროვა 32 ქულა, [19] საშუალოდ $4^4/_7$, ყოფაქცევაში 5 ქულით. იგი პირველი თანრიგით გადაყვანილ იქნა მეოთხე კლასში. დანარჩენ მოწაფეთა შორის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შეფასება ,,5" ერთადერთმა მოსე ჯანაშვილმა დაიმსახურა. [20]

იგი იგონებდა, რომ სწორედ იმ წლებში გაეცნო ევროპის ერების აზროვნობის მსვლელობას, ძველი ერების ისტორიას და განვითარებას. მისი ცხოვრებისეული გზის გაკვლევაში უდიდესი წვლილი მიუძღვით სერგეი მესხს, აკაკი წერეთელს, ივანე მაჩაბელს, ნიკო ნიკოლაძეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი ჯანაშვილს, ,,დროება"-,,ივერიასთან»", აგრეთვე იმდროინდელი სხვა ქართულ და რუსულ გამოცემებთან დაახლოებულ მწერლებსა და მაშინდელ ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რითაც კარგი შესაძლებლობა ჰქონდა მიმდინარე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, გასცნობოდა ქართულ მწერლობასაც, ისტორიასა და გეოგრაფიასაც.

,,რუსული მწერლობის შესწავლის დროს ხელში ჩამივარდა ჩერნიშევსკის შრომებიც, განსაკუთრებით შემიყვარდა ,,რა ვაკეთოთ". ჩემთვის სათაყვანებელი გახდნენ დობროლიუბოვი, პისარევი, ბელინსკი, კრილოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, კოლცოვი... მათ თაყვანს ვცემდი, ვით ბარათაშვილს, გურამიშვილს და სხ. მაგრამ გული ამატკია და ყოველთვის მიკვირდა ქართველებისათვის არასაკადრისი და შეუფერებელი თვისებების შესახებ ,,მწირის" ავტორის სიტყვები, რომელიც მას ალბათ შეეპარა კუვშინსკების, გორტინსკების მაგვარ მწერალთა ნაწერებიდამ, ან იმისთანა ,,ისტო-რიების" დამწერთაგან, ვით სენკოვსკი, რომელიც სწერდა, ქართვე-ლობა კავკასიონიდან ჩამოვიდაო მხოლოდ მე-XII საუკუნეში და მანამდე-კი აქ ცხოვრობდნენო სხვანი და არა ზარმაცნი, უნიჭონი, მხდალნი, მსმელნი ქართველნიო! ყველა ამან დიდი და ყრუ წინააღმდეგობა გამოიწვია ქართველ საზოგადოებასა და თვით სემინარიელებში, სადაც სისასტიკე გაორკეცდა და იგი ჟანდარმთა ციხეს დაემსგავსაო", - წერდა მ.ჯანაშვილი. [21]

წინ იყო უკანასკნელი ორი საღვთისმეტყველო კლასი, რომ რუსეთიდან თბილისში ჩამოვიდა ეგნატე იოსელიანი და სკივრებით ჩამოიტანა აკრძალული ლიტერატურა, მათ შორის ,,ოტჩეპენცი"- ნ.ჩერნიშევსკის, ბაკუნინის, დობროლიუბოვის, თომას მორის და სხვათა წიგნები. [22] რომელმაც მოსე და მისი რამდენიმე სემინარიელი მეგობარი ძლიერ გაიტაცა, ზოგი მათგანი კახის სასოფლო სკოლის მასწავლებელს ივანე როსტომაშვილსაც მიაწოდეს. მთავრობამ ,,სუნით" იგრძნო, რაშიაც იყო საქმე და მოსეს სემინარია დაატოვებინეს ,,ოთხით" ყოფაქცევაში. (თუმცა 1875 წლის 4 დეკემბერს ინსპექტორი ი.კუვშინსკი პედაგოგიური კრების გამგეობისადმი წარდგენილ რაპორტში მიუთითებს, რომ ყოფაქცევაში ,,სამი" აქვს მეოთხეკლასელ ჯანაევს, რომელმაც სემინარიის რექტორისაგან საყვედური მიიღო იმ გადაცდომისათვის, რომელიც აღწერილია ჟურნალის მე-16 გვერდზე ივანე გორტინსკის მიერ. [23]. ეს გადაცდომა იმაში გამოიხატა, რომ მას აღმოუჩინეს აკრძალული ლიტერატურა. ჯანაშვილს, როგორც ერთგან თავად მიუთითებს [24],

კიდეც გაუხარდა, რომ ასცდა და გადაურჩა ღვთისმეტყველების კლასებს, მით უფრო, რომ სემინარიაში გავლილი კლასების კურსიც ნებას აძლევდა სწავლა განეგრძო აკადემიაში. [25)]

ჩვენ აქ დეტალურად არ შევეხებით ცალკეულ ამბებთან დაკავშირებულ პერიპეტიებს, დაკითხვებს, გამოძიების მასალებს, რომლებიც დაცულია სემინარიისა და პოლიციის მიერ მოკვლეულ ინფორმაციებში. მთავარი ისაა, რომ ამჯერად პასუხისმგებლობას გადარჩენილი ყოფილი სემინარიელი ერთხანს მშობლებთან საინგილოში გაემგზავრა, იქედან კი 1875 წლის შემოდგომაზე საცხოვრებლად თავის ბიძაშვილთან გადავიდა ქუთაისში, სადაც დიმიტრი 1873 წლიდან მოღვაწეობდა[1*].

მინა პეტრიაშვილმა თბილისიდან ჩამოსული ყოფილი სემინარიელი თავის პანსიონში გამგედ მიიწვია, [26)]. ცოტა ხანში პროგიმნაზიაში გადაიყვანეს, სადაც მეორე კლასში ლათინურ ენას ასწავლიდა, მერე აკადემიაში შესვლა გადაიფიქრა, ქუთაისის საგამოცდო კომიტეტში მასწავლებლის მოწმობა მიიღო და შეუდგა საპედაგოგო და სამწერლო საქმეს. [27)] ბეჯითი მასწავლებელი გაძლიერებულად მეცადინეობს ბერძნულ, ლათინურ და ფრანგულ ენებში, ლიტერატურით დაინტერესებული ახალგაზრდა საჯარო ბიბლიოთეკის გამგე ანტონ ლორთქიფანიძემ დაიახლოვა, რომელიც აწვდიდა მას სამოგზაურო, ფილოსოფიურ, ეთნოგრაფიულ და სხვა საინტერესო წიგნებს. მოსე ქუთაისშივე შეუდგა პიესა ,,რუსუდანიანის" წერას, რაზეც მეტყველებს პიესაზე მინაწერი სევდანარევი სიტყვები:,,ჩემს საყვარელ ქალაქ თბილისს გამოვეცალე". [28)] ქუთაისელი კოლეგებისა და მოსწავლეთა მშობ-ლების მეშვეობით თავისუფალ დროს ბევრს მოგზაურობს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის. მოიარა მთელი ქუთაისის მაზრა, ნაწილი ლეჩხუმისა და რაჭისა, ფოთი და მისი მიდამოები, გაეცნო ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებს, შეისწავლა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ადგილობრივი მეტყველების თავისებურებები, გრამატიკულ ნორმები, გადმოცემები, ლეგენდები და ისტორიული თქმულებები, რასაც შემდგომ აქტიურად იყენებდა თავის სამწერლო, საისტორიო და საგრამატიკო საქმიანობაში. [29)] ამ დაუვიწყარი მოგზაურობებისა და შეხვედრების ამბები ვრცლად შემოუნახავს კერძო ბარათებს, რომელსაც იგი მოგვიანებით თბილისში ღებულობდა სხვადასხვა დასახლებული პუნქტებიდან.

ქუთაისში მუშაობის მთელ პერიოდში ხშირი მიწერ-მოწერა აქვს საინგილოში მყოფ მშობლებთან, ძმებთან, კახში მცხოვრებ სიყრმის ამხანაგებთან, ზაქათალელ და თბილისელ ნაცნობ-მეგობრებთან, რაც მდიდარ მასალას იძლევა იმდროინდელი ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე, პირველი პუბლიკაციებიც სწორედ საინგილოს თემატიკას მიეძღვნა, სადაც ყურადღება გამახვილებულია ინგილოთა დუხჭირი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე.

1877 წლის იანვრის ბოლოს ,,სასოფლო გაზეთში" დაიბეჭდა პ.უმიკაშვილის სტატია-,,სასოფლო გაზეთის თანამშრომლები",[30)] სადაც ყურადღება გამახვილებულია დაბა-სოფლებიდან კორესპონდეციების გამოგზავნის

---

[1] *ამ დროს დიმიტრი უკვე განთქმულ მწერლად ითვლებოდა, თუმცა ხელმოკლედ ცხოვრობდა ზაქათალაში. მისი ასეთი მდგომარეობა გაეგოთ გაბრიელ ეპისკოპოსსა და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველ კალანდარაშვილს და იგი ქუთაისში მიეწვიათ ხსენებულ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად. დიმიტრი დიდ უნარსა და ნიჭს იჩენდა მშობლიური ენის სწავლებაში, რითაც ყურადღებას იმსახურებდა როგორც ნეტარხსენებულ გაბრიელის, ისე მთელი ქალაქის საზოგადოებისა, აქედან იგი მოსკოვს გაემგზავრა, სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა, სადაც თედო ჟორდანიასთან და ქრისტეფორე უღრელიძესთან ერთად სწავლობდა.

საჭიროებაზე. თანამშრომლობის სასყიდლით გადახდა მწირი შემოსავლების გამო რედაქციას არ გააჩნდა, სამაგიეროდ რედაქტორი გაზეთის აქტიურ ავტორებს სასოფ-ლო გაზეთს უფასოდ გაგზავნას პირდებოდა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქნებ აღნიშნულმა მოწოდებამაც განსაზღვრა ახალგაზრდა პედაგოგის გადაწყვეტილება - ეთანამშრომლა დასახელებულ გაზეთში, რადგან სწორედ ,,სასოფლო გაზეთში" დაიბეჭდა მოსე ჯანაშვილის პირველი წერილები.

,,კარგია ვიცოდეთ ჩვენი ხალხის, მეტადრე ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი მიყრუებული ადგილების ავი და კარგი თვისება,- წერდა იგი ქუთაისიდან გამოგზავნილ წერილში, ამგვარი შესანიშნავი ადგილი არის ალაზან გაღმა ზაქათალისკენ მდებარე ალაგი საინგილო». კორესპონდენციაში იგი ყურადღებას ამახვილებდა ხალხში გამჯდარ ჩვეულებაზე-განსაკუთრებული პატივისცემა გა-მოეხატათ თავიანთი შვილების მასწავლებლებისადმი, რომლებიც კეთილსინდისიანად ასრულებდნენ თავის მოვალეობას-ბავშვებს უნერგავდნენ მაღალ ზნეობას, წერა-კითხვის სიყვარულს, ქართულად წმინდა კილოზედ ლაპარაკს. მომდევნო პუბლიკაციებში იგი ეხება გლეხკაცობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯო-ბესების, გავრცელებული უგუნური ჩვეულებების, გახშირებული ქურდობისა და ავაზაკობის დაძლევის, ქანცგაწყვეტილი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სკოლების გახსნის, საგარეჯოსა და მეჯვრისხევის დარად დეპოებისა და გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობების დაარსების აუცილებლობისა და სხვა საკითხებს. დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ეძლევა წინამდებარე კრებულში გაეცნოს საკმაოდ ფართო წარმოდგენილ მასალებს, რომელიც საინგილოსადმი ჩვენი დიდი მოღვაწის განსაკუთრებულ ზრუნვას ასახავს, ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო ვრცლად გადმოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე ავტორის სპეციალურ ნაშრომებში.

1878 წლის 1 სექტემბრიდან მ.ჯანაშვილი ქუთაისს გამოეთხოვა, დაბინავდა თბილისში და პედაგოგიური საქმიანობა გააგრძელა სასულიერო სასწავლებელში. სიცოცხლეში მას ბევრი წინააღმდეგობა და უკუღმართობა შეხვდა, მაგრამ საკუთარი მოვალეობას პირწმინდად და ჩინებულად შემსრულებელი ახერხებდა მათ დაძლევას, სამსახურის შენარჩუნებას და ცხოვრების ჭაპანის გაწევას, ამ ხნის განმავლობაში მის ხელში მრავალმა მოწაფემ გაიარა. მშველელი და მფარველი იყო უფრო ისეთი მოწაფეებისა, რომელნიც მოდიოდნენ საქართველოს განაპირებიდან:საუდოდან, საინგილოდან, აფხაზეთიდან, ფშავ-ხევსურეთ-თუშეთიდან, ბორჩალოდან, ოსეთიდან, მთიულეთიდან... ყველას ახალისებდა სწავლისათვის, ჩუქნიდა წიგნებს, თავის სამ შვილთან (გიორგი (1883), დავითი (1891), ნანა (1901) ერთად მ.ჯანაშვილის მზრუნველ და მოსიყვარულე ოჯახში შრომისმოყვარე დიასახლისის სოფიო ანტონის ასულის ძალისხმევითა და თანადგომით არა ერთი ინგილო ახალგაზრდა აღიზარდა, რომლებმაც შემდგომ თავი ისახელეს მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში.

თბილისში დაბრუნებისთანავე მოსე იწყებს აქტიურ მწერლურ, საზოგადოებრივ, საკვლევაძიებო და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თანამშრომლობს ,,ივერიაში", ,,დროებაში", ,,ობზორში", ,,კავკაზში", ჟურნალ ,,იმედში" და სხვა უწყებრივ გამოცემებში. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან მ.ჯანაშვილი განსაკუთრებული ნაყოფიერებით მონაწილეობდა საქართველოში გამომავალ თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში, ორ ათეულ წელზე მეტხანს სისტემატურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის ,,ივერიაში", ბევრ საინტერესო წამოწყებებთან ერთად იყო ,,ივერიის" მეთაური წერილების

ავტორი, წლების განმავლობაში ,,დამაკვირდის" წამყვანი, სადაც წმინდანების, ძველი ქართველი მწერლების, მოღვაწეების გამონათქვამები იბეჭდებოდა. პუბლიცისტისა და ისტორიკოსის საფიქრალი ქართველი ხალხის თავგადასავალის შესწავლა-გაშუქებასთან ერთად მუდამ იყო საზოგადოებრივი ცხოვრების უამრავი პრობლემური თემის წამოწევა, ინგილო ახალგაზრდების სწავლა-განათლების, თბილისურ ინტელიგენციასთან მათი მჭიდრო თანამშრომლობის, მოსახლეობის კულტურული აღორძინებისა და სხვა საკითხები. ამ თვალსაზრისით იგი დიმიტრი ჯანაშვილთან ერთად იყო საინგილოს დიდი ჭირისუფალი, რომელსაც ჰქონდა მეცნიერის უტყუარი ალღო, საზოგადო მოღვაწის ფართო ინტერესები, რასაც აძლიერებდა თავისი ერის ღრმა სიყვარული.

,,იშვიათია ადამიანი, რომელსაც თავისი სიცოცხლის განმავლობაში ისეთი ენერგია, შრომის უნარი და ნაყოფიერება გამოეჩინოს, როგორც მოსე ჯანაშვილს. ყველაზე უფრო საყურადღებოა მის მიერ აღმოჩენილი ორი საისტორიო თხზულება- ,,ქართლის ცხოვრების" ახალი რედაქცია და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება და მოქალაქეობა. სხვა რომ არა გაეკეთებია რა, ამ ორი თხზულების აღმოჩენა, სათანადო დაფასება და ერთი მათგანის გამოცემაც საკმარისი იქნებოდა მ.ჯანაშვილის ღვაწლის სათანადოდ დაფასებისათვის ჩვენს ყურადღებას იქცევს მის მიერ გამოცემული პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორიცაა იოანე მოლნელის ქადაგებანი, თვალთა ეპ. ვიპრელისა, რუსულ თარგმანითურთ, თხრობათ კონსტანტინეპოლის გარემოცვის, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლ. ხელნაწერ-არაპებით, აბდულმესიანი და ბევრი სხვა.",-აღნიშნავდნენ აკაკი შანიძე და კორნელი კეკელიძე. 31)

მ.ჯანაშვილმა ცხოვრებაში მართლაც ბევრი რამ მოასწრო, ბევრ საქმეში პირველობა არავის დაუთმო, იგი არასდროს არ ყოფილა ვიწრო პატრიოტი და მხოლოდ თავის ქვეყნისა და ღვიძლი ერის მოყვარე და დამფასებელი. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჰუმანიტარული მეცნიერების წინაშე მრავალი საკითხის დასმით და ბევრი მათგანის გადაჭრით. მართალია, იგი მრავლისაგან მრავალ საკითხს ეხებოდა და ეს გარემოება თავის კვალს ამჩნევდა მისი მუშაობის ხასიათს, მაგრამ საერთოდ ბევრი რამ გააკეთა ქართველთმეტყველებისთვის 32). ,,ქართლის ცხოვ-რების", ,,საქართველოს სამოთხისა" და სხვა პირველხარისხოვან წყაროებზე დაყრდნობით საქართველოს საეკლესიო ისტორიის შედგენის დროს, ისე როგორც თავის ,,საქართველოს მოკლე ისტორიის" წერისას, ავტორი ყურადღებას აქცევდა საეკლესიო ისტორიის განსაკუთრებულ თვისებას, რაც ქრისტიანობისადმი ქართველობის ღრმა და უმაგალითო სიყვარულში გამოვლინდა და ამავე დროს სხვა ხალხების სარწმუნოებათა და რწმენათა პატივისცემაში გამოიხატა, რითაც იგი ყოველ ჟამსა და ვითარებაში გამოირჩეოდა. მ.ჯანაშვილის აზრით, უმთავრესად ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ცხოვრების ოკეანეში შეუწყვეტელ მრავალ გრიგალ-ქარიშხალს ქართველთა მკერდი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში კლდესავით აქარწყლებ-ანიავებდა. საეკლესიო ისტორიის გამომცემელი, ჟურნალ «მწყემსის» რედაქტორი დავით ღამბაშიძე სინანულით აღნიშნავდა, რომ მანამდე ქართულ ენაზე არ არსებობდა ისეთი გამოცემა, რომლითაც, ბევრად თუ ცოტად, შეიძლებოდა შესწავლა და გაგება საქართველოს საეკლესიო ისტორიისა. ამ მიზეზმა უკარნახა მას ნაშრომი თავის საფასით გამოეცა იმის ღრმა შეგნებით, რომ იგი სარგებლობას მოუტანდა სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეებს, მოსწავლეებსა და ყველა ქრისტიანს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის, რომ მ.ჯანაშვილის ნაშრომები საზოგადო იერით მუდამ გამოირჩეოდა მიუდგომელ-მიუკერძეველი კილოთი, მოპაექრე მხარის ღირსების დაცვითა და პიროვნული პატივისცემით, ისტორიული ფაქტებისა და მონაცემების ღრმა და ობიექტური გააზრებით. მოუსვენარი ბუნების ადამიანი მუდამ ზრუნავდა თავისი ნაწერების სრულყოფისათვის. მისი «საქართველოს მოკლე ისტორია» იყო პირველი სახელმძღვანელო იმ სკოლებისათვის, სადაც ქართული ენა შეისწავლებოდა. ,,ვისაც ახსოვს სემინარიაში მასწავლებლის ნაგლეჯ ქაღალდზე საქართველოს ისტორიის სწავლება და ვინც კარგად დააკვირდება ქართველი ხალხის სიღარიბეს ამისთანა წიგნების უქონლობით, ის სახელმძღვანელო წიგნის გამოცემას დიდის სიხარულით მიეგებება. ბ. მოსე ჯანაშვილი ამისთანა შრომისათვის სწორედ ყველა ქართველთაგან დიდი ქების და პატივისცემის ღირსია. ყოველი ქართველი:მღვდელი და ერი, ვისაც ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გაგება ესიამოვნება, დიდის სიხარულით მოიპოებს ამ წიგნს",-იუწყებოდა ჟურნალი ,,მწყემსი".[33)] ამის შემდეგ ეს წიგნი კიდევ ორჯერ გამოვიდა უფრო სრულყოფილი, საფუძვ-ლიანად გადამუშავებული და შევსებული სახით. ავტორი კარგად გრძნობდა, რომ სრულყოფის თვალსაზრისით, ახალი მასალების გამოვლენის კვალობაზე, კვლავ ბევრი რამ რჩებოდა გასაკეთებელ-დასაზუსტებელი, შესასწავლი და ამიტომ აუცილებლად მიაჩნდა სპეციალისტებისგან მათი მეცნიერული გაცხრილვა, რათა დარწმუნებულიყო და გაეგო მის შრომაში რა იყო მაგარი და სუსტი, დაუჯერებელი, ან მტკიცედ დასაჯერებელი, რაოდენ სწორად შეეხო ამა თუ იმ კითხვას, რამდენად სწორად ახსნა ესა თუ ის პრობლემა, 1910 წელს მოსე ჯანაშვილი წერდა:"ქართული მეტყველება ჯერეთ დასაწყის ხანაშია, და ოდეს მე გამოვედი სამოღვაწეოდ 32 წლის წინათ, მაშინ არ იყო მეასე ნაწილიც იმისა, რაც დღეს ეძლევა აწინდელ ქართველთმეტყველს, და მიუხედავად ამისა და კიდევ იმ მძიმე მატერიალურ და სხ. პირობებისა, რომელთა შებოჭვით გვიხდებოდა და გვიხდება მუშაობა, მაინც გვგონია, რომ კეთილსინდისიერად და სასარგებლოდ ქვეყნისა და მეცნიერებისა გავაკეთეთ, რაც შევძელით".

,,საქართველოს მოკლე ისტორია" რომ დაიბეჭდა, იაკობ გოგებაშვილის წრეში წარმოიშვა აზრი, მისი ავტორი ოქროს კალმით დაეჯილდოებინათ, მაგრამ ამ უკანასკნელის დაჟინებული მოთხოვნით ასეთი განზრახვა ჩაიშალა, მსგავსი კითხვა აღიძრა აგრეთვე, როდესაც ,,ნოვოე ობოზრენიეში" დაიბეჭდა მისი გამოკვლევები სათაურით ა) გრენი თამარის ეპოქის შესახებ ბ) ქართველი კლასიკოსების ჩამომავლობის შესახებ, როდესაც ალ.ცაგარელი მის ავტორს მადლობას უთვლიდა ქართველ კლასიკოსთა ჩამომავლობის კითხვისადმი სწორი მიდგომისათვის.

,,თუ მწერალი ისეთის ერთგულებით, გულმოდგინებით, სასოებით, მოწიწებით, სიმშვიდით, სიწმიდით, გამჭრიახობით, სიქველით, სიყვარულით და კრძალვით ჰკიდებს კალამს ხელს, როგორათაც ეს იცოდნენ ძველი დროის ქართველ მწერლებმა, მაშინ ნიკოლოზ მღვდელის ნათქვამი-,,ხელი მწერლისაი საფლავსა შინა ლპების, ხოლო ნაწერი თითთა მისთა ჰგიებს მარადის", მართალია და ჭეშმარიტი, ხოლო თუ მწერალს აკლია ზემორე ხსენებული თვისებანი, იგი თავისთან ერთად, თვის სიკვდილის დღესვე, ჰმარხავს ,,თითთა თვისთა ნაწერთაც". რაოდენადაც ძველად მწერლობა საღვთო და წმიდა სასიბრძნო ხელოვნება იყო, იმოდენად იგი დღეს უმრავლესობამ, ზერექვერედ და ზიზილპიპილად ჰქმნა",-ასე ფიქრობდა და წერდა ორმოცდაორი წლის მ.ჯანაშვილი, ვისაც პირად ცხოვრებაშიაც მოქმედების სახელმძღვანელოდ ამგვარივე პრინციპები გაეხადა.[34)].

იგი მიესალმებოდა ისეთი მწერლების გამოჩენას, რომელნიც ,,სცდილობენ ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია თვალწინ გაგვიტარონ, გვაცოდინონ ფილოსოფია საქართველოს ისტორიისა, რადგან დროა, გამოირკვეს ჩვენი ,,წყვდიადით მოცული" წარსულიც; დროა ვიცოდეთ, ,,ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა», ან რის მაქნისნი ვართ დღეს და რა შეგვიძლიან მერმისში. ამასთანავე აღნიშნავდა, რომ იგი არ არის ქართველთა ისტორიის გუნდრუკის მკმეველი, მაგრამ მაინც არ შეუძლია დადუმდეს, როდესაც ზოგიერთები ხელაღებით უარყოფენ ჩვენს წარსულს ზოგი უვიცობით, ზოგნი კი იმიტომ, რომ იგი წარსული მათ დიდებულ ძალად მიაჩნიათ, იმ ძალად, რომელიც ასულდგმულებს, ზურგს უმაგრებს იმთავითვე ქართველებისთანა ყოფაში ჩავარდნილ ხალხს. კაცი იმიტომ არის კაცი,- განაგრძობდა იგი, რომ შეიგნოს ჯერ შეუგნებელი, მისწვდეს მიუწვდომელს და იძიოს გამოუძიებელი. როგორც ქურაში მჭედელი ჰკვერავს რკინეულობას, ისე ერის გონება, მეცნიერება თავისებურად ახალისებს, ჰჭედავს და ალამაზებს ზნე-ჩვეულებას, საცმელსა, იარაღს და ყოველსავე იმას, რისგანაც შესდგება ეგრედ წოდებული კულტურა კაცობრიობისა საზოგადოდ და რომელისამე ერისა კერძოდ".[35)]

სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში ავტორობასთან ერთად მ.ჯანაშვილი ნაყოფიერ სარედაქტორო და საგამომცემლო საქმიანობასაც ეწეოდა. ვასილ სულხანიშვილის თხოვნით 1889 წელს მას ებარა და თითქმის მთელი წელი რედაქტორობდა გაზეთ ,,მეურნეს", აღნიშნულ გაზეთში მაშინ დაიბეჭდა მისი «ამერიკის ვაზი ჟაკე», «ჩალთუქი», «თესლით ხილნარის გაშენება», «ნესვი და საზამთრო», «ტუის მეურნეობის შესახებ», «ალუბალი», «კომში», «ატამი», «ნუში», «კინკრუჟა», «ზეთის ხილი», ხოლო გაზეთის სამ ნომერში გამოქვეყნებული ნარკვევი «ბამბისა და მისი მოვლის შესახებ» ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა.

900-იანი წლების დასაწყისში მ.ჯანაშვილი თბილისსა და პეტერბურგში შესაბამის უწყებებს ნებართვას სთხოვდა და უსაბუთებდა მისი რედაქტორობით ჟურნალ ,,მწიგნობარის" გამოცემის აუცილებლობას, რომელშიც გამოქვეყნდებოდა ქართული მწერლობის ძეგლები, გამოჩენილი ქართველი და რუსი მოღვაწეების ბიოგრაფიები, ძველი არქიტექტურული ძეგლების აღწერა, ხალხური ეპოსის ნიმუშები, ჟურნალის ფოსტა, რაც უშედეგოდ დამთავრდა. სამაგიეროდ 1907 და 1910 წლებში მისი რედაქტორობით კრებულების სახით გამოვიდა პერიოდული გამოცემა ,,ნაშრომის" სახელწოდებით. იგი ითვალისწინებდა ორიგინალური და თარგმნილი წერილების, მოთხრობების, ლექსების, ბიოგრაფიებისა და მონოგრაფიების, არქეოლოგიური ექსკურსიების, გამოკვლევებისა და შენიშვნების გამოქვეყნებას. მასში დაიბეჭდებოდა ძველი მწიგნობრული ტექსტები და, საზოგადოდ, ძველი მწერლების ნაწარმოებები, ძველი ლექსიკონები და სალექსიკონო მასალები, ბიბლიოგრაფია და კრიტიკა, სარედაქციო პასუხი, განცხადებანი და სხვ. თავისი თემატიკით ერთობ საინტერესოა აღნიშნულ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიები და ინფორმაციები, თუმცა მისი გაგრძელება ვერ მოხერხდა სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობების, უმთავრესად კი ფინანსური სიძნელეების გამო.

ერთხანს იგი წერა-კითხვის საზოგადოების მდივნადაც მუშაობდა, მართალია აღნიშნულ თანამდებობაზე ცოტა ხანს დაჰყო, მაგრამ მაინც ბევრი რამ მოასწრო, მხედველობაში გვაქვს ხელნაწერებით, მათ შორის ტყავზე შესრულებული წიგნებით სარგებლობის წესების შემუშავება და მათი დაცვა, რის შედეგადაც წლების განმავლობაში გატანილი წიგნები ბიბლიოთეკას დაუბრუნდა. საზოგადოების დავალებით იგი წინარეხისა და ხელთუბის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესს გაეცნო. გამგეობისადმი წარდგენილ ანგარიშში კარგად მოჩანს შესასწავლი

საგნის მცოდნე კაცის სიზუსტე, ერთმანეთში შეზავებული მომთხოვნელობა და მზრუნველი დამოკიდებულება მასწავლებლისა და მოსწავლეებისადმი. მან ასევე კონტაქტები დაამყარა საზოგადოებრივ და სამეცნიერო დაწესებულებებთან. აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ ყოველწლიური ლატარიის ორგანიზაციაში, რომლის შედეგად დაწესებულებამ მნიშვნელოვანი მოგება ნახა. ლატარიის ხელმძღვანელი ოლღა ჭავჭავაძე გამგეობის მდივანს ეტყოდა ხოლმე:ამდენი შემოსავალი მე წინა წლებში არ მიხილავსო, ბარაქალა შენს გამრჯელობასო. იგი შემდგომშიც აქტიურად მონაწილეობდა წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობაში, მოგვიანებით თბილისის უნივერსიტეტის შენობაში საზოგადოების მწიგნობრული სიმდიდრე სიძველეთსაცავს შეუერთდა, მოსემ შეადგინა წერა-კითხვის საზოგადოებისგან გადმოცემული წიგნადი ფონდის სრული კატალოგი.

ამ პერიოდსა და შემდგომ წლებში ქართული ენის მასწავლებლად იწვევენ რეალსა და წმ. ნინოს სასწავლებლებში, ქალთა მეხუთე და ვაჟთა მე-5 გიმნაზიაში, მიწისმზომელ სასწავლებელში და ბოლოს 1920 წ. ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა სტუდენტებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. პედაგოგიურ ასპარეზზე იგი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მოღვაწეობდა. 1895 წლიდან განათლების ოლქში მუშაობდა საგამოცდო კომიტეტის წევრ-ეგზამენატორად და ამ თანამდებობას ასრულებდა ოლქის მოშლამდე. აქ ვინ არ აბარებდა გამოცდას, რომ შემდგომ მასწავლებლობა მიეღოთ საშუალო სასწავლებლებში. მოწმობის მისაღებად მოდიოდნენ აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულნიც. მოსეს ეგზამენატორობით კავკასიის განათლების ოლქიდან სამასწავლებლო უფლება მიიღეს ლუარსაბ ბოცვაძემ, სერგო გორგაძემ, პეტრე მირიანაშვილმა, ქრისტინე შარაშიძემ, ეგნატე ხრამელაშვილმა, პარმენ თვალჭრელიძემ, ფილიპ, და ანა მგელაძეებმა, გერასიმე ერქომაიშვილმა, იასონ ნიკოლაიშვილმა, სულ 60-მდე კაცმა. სხვადასხვა სასწავლებლებიდან მისი სასიქადულო მოწაფეები იყვნენ უნივერ-სიტეტის რექტორი მალაქია ტოროშელიძე, პროფესორები გრიგოლ მუხაძე, ალექსანდრე დიდებულიძე, სოლომონ ქურდიანი, ივანე ბერიკაშვილი, ილია ჯანდიერი, მიხეილ წინამძღვრიშვილი, მწერლები შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე, მიწსახკომის თავმჯდომარე გიორგი ბერიძე, ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე, ინჟინერი გრიგოლ ქურდიანი, ექიმები:დიმიტრი ახვლედიანი, მიხეილ ვეფხვაძე, ივანე ელიაშვილი, ავლიპი ზურაბიშვილი, მიხეილ კობერიძე, მიხეილ მირიანაშვილი და სხვები, რომლებიც ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებდნენ ღვაწლმოსილ მამულიშვილს, რასაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე სიამაყით იგონებდა და სიყვარულითვე პასუხობდა. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი ვარლამ თოფურიას ამ სიტყვებში:«არ შეიძლება არ მოვიგონო ის საქმიანი და ტკბილი წუთები, რომელთაც ატარებდნენ მოსე ჯანაშვილთან ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, იასე ცინცაძე, ალექსანდრე ბარამიძე, შალვა ამირანაშვილი და სხვები. მუზეუმისა და ბინის კარები ჩვენთვის ყოველთვის ღია იყო. მოსე ჯანაშვილი მუდამ სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობდა, საგულისხმო აზრს გამოთქვამდა, საინტერესო შენიშვნებს იძლეოდა, გვამხნევებდა. ზოგჯერ საუბარი დიდხანს გაგრძელდებოდა და იგი მაშინაც ახალი და მოუწყინარი იყო” [36)]

მ.ჯანაშვილი იყო მრავალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო საზოგადოების წევრი ან წევრ-კორესპონდენტი, მათ შორის წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოების (1879), სამეურნეო საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი (1885), მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი (1899), წიგნების ბეჭდვის ქართველთა ამხანაგობის (1892), გეოგრა-ფიულ საზოგადოების (1900), აღმოსავლეთმცოდნეობის (1905) ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების (1907), სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის (1921 წლის ოქტომბერი), წევრი ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების (1930), ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საპატიო წევრი. ძნელია ყველა მათგანის ჩამოთვლა ან იმის გახსენება-რამდენ სტუდენტს მიაწოდა სადისერტაციო მასალა, მისგან რამდენმა შეისწავლა ეტრატზე ნაწერ წიგნების წაკითხვა, ან დროგამოშვებით გამოცემებში რა წერილები თუ გამოკვლევანი მოუთავსებია, რა ხასიათის მიწერ-მოწერა ჰქონდა სხვადასხვა მეცნიერებთან თუ მოღვაწეებთან; ყველა ასეთი კითხვების შესახები მასალა მან შეიტანა 1926 წელს შედგენილ ხელნაწერში, სათაურით ,,ჩემი ამბვედი”. [37)]

ყოველთვის მოქმედების სავალდებულო პრინციპად მიაჩნდა და აღნიშნავდა კიდეც, რომ ნამდვილი შრომა ნიშნავს შურვებას, სწრაფვას, მოქმედებას, დროის მარჯვედ გამოყენებას, ცხოვრებაში უკან არ ჩამორჩენას. ამიტომაც მიმართავდა თანამემამულეებს- დღეს ჩვენს ლამაზ ქვეყანაში საშურო შეიქმნა თავისუფალ, გააზნაურებული ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნა და ყოველმა, ვისაც კი ადამიანობა სცხია, მოძმე ქართველებთან ერთად დაუზარელად უნდა იღვაწოს სამშობლოს ასაყვავებლად. ქართველი ერი საზეპურო ერია და, გვწამს, მალე შეიშმუშნება ბუმბერაზულად, მიხვდება ბრძნულად, რომ გარეშე მის პირად შრომა-სწრაფვისა მისი მხსნელი და მაცხოვრებელი არავინაა, არარაა... ქართველი კაცის პიროვნება ჩვენ გვესახება განხორციელებად შრომისა და მეც, როგორც ერთი ქართველთაგანი, მოვალე ვარ შევიქმნე გამომსახველი ჩვეულებრივ ფხიზელ ქართვე-ლის ტიპისა, რასაც უწინ შეასრულებდა ყოველი მწირი, თუნდაც იგეთი მშრომელი, როგორიც იყო ბანძაძე, რომელიც 10-ზე მეტ დარგს ემსახურებოდა.

ჩვენ აქ აღარ შევეხებით დიალექტოლოგიის, ქართველური და კავკასიური ენების შესასწავლად შესრულებულ მის შრომებს, რუსთველოლოგიურ კვლევებს, 10-მდე სხვადასხვა სახის ლექსიკონს, რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს გურიის, ჭოროხის აუზისა და ჭანეთის ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვის, საქართველოსა დ რუსეთის ისტორიისა და სიძველეების, ოსეთის ისტორიისა და ბევრ სხვა საკითხებზე 40-მდე შედგენილ ნაშრომს, რომელთა შორის ზოგი მათგანი გამოუქვეყნებელი და მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია. აქტიური სამეცნიერო, პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით იგი ძმობის ხიდებს დებდა და გულწრფელ მეგობრებს სძენდა საქართველოს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო რუსულ ენაზე მას შესრულებული აქვს 200-მდე თხზულება, მათ შორის ზოგიერთი მათგანი გეოგრაფიული საზოგადოების მიერ ცალკე ნაშრომებად არის გამოცემული.. ,,აფხაზეთი და აფხაზები”, დაწერილი პეტრე ჭარაიას და სხვა ავტორების შრომათა მიხედვით, ნ. ზეიდლიცმა გადათარგმნა გერმანულად და დაბეჭდა ჟურნალში ,,Globus” (1894, N 2,3,4,5). მოსეს მიერ გამოცემული ,,ზარზმელის ცხოვრება”” პეეტერსმა გადათარგმნა ლათინურად და დაბეჭდა. ასევე რუსულად ნათარგმნი ,,ალღუზიანი””გ.ბაევმა გამოსცა ბერლინში ცალკე წიგნად. 1894 წელს სოფლის მეურნეობის გაზეთში გამოქვეყნებული მისი წერილი ,,კავკასიური ხოხობი” ინგლისის ელჩმა გადათარგმნა ლონდონში გამომავალი გაზეთისთვის. ვენაში 1895 წელს დაბეჭდილ ერკერტის ,,Die Sprache Kaukasiche Stawmes” უმთავრესად მ.ჯანაშვილის მიერ მიწოდებული მასალით არის შედგენილი, ბელგიურ Luovain-ში

დაიბეჭდა მის მიერ მომზადებული შრომა-,,ზარზმელის ცხოვრება". ჰუგო შუხართი 1895 წ. გამოცემულ წიგნში ,,Uber das Georgische" არა ერთხელ ახსენებს ქართველი სწავლულის სახელს; 1899 წელს ტფილისში მყოფმა ბერლინელმა პროფ. კარლ ლემანმა მოსესთან შეისწავლა ქართული ენა და ვანის წარწერებზე ბერლინში გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში მოიხსენია ქართველი მეცნიერის დიდი დამსახურება თავისი ერის, მშობლიური ენისა და ისტორიის წინაშე, მადლიერებით აღნიშნა მისადმი გაწეული თავაზიანი დახმარება.

მრავალმხრივი საქმიანობით დატვირთული მ.ჯანაშვილი მთელი ძალისხმევით იღვწოდა საეკლესიო მუზეუმში, სადაც მან თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა. ჩემი ძვირფასი ლექტორის, აწ განსვენებულ პროფესორ კოტე გრიგოლიას მართებული გამოთქმით, საეკლესიო მუზეუმი იყო ის სამოქმედო ასპარეზი, თუ შთამაგონებელი გარემო, რომლის კედლებში მიმდინარეობდა მოსეს მთელი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობა ასე დიდი ხნის განმავლობაში. [38)]

როგორც ცნობილია, სიძველეთა საცავში სამწერლო, სახელოვნო და სხვა ნაშთების შეგროვება-შესწავლის დაწყება დაკავშირებულია დიმიტრი ბაქრაძისა და თედო ჟორდანიას სახელებთან. ეს იყო უაღრესად ძნელი და ფრიად ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი. მ.ჯანაშვილმა მისთვის ჩვეული რუდუნებით განაგრძო წინამორბედების წამოწყებული საქმე ძველი ხელნაწერი წიგნების, სიგელ-გუჯრების, საისტორიო ხელნაწერების შეგროვების, ძველი საეკლესიო ნივთების თავმოყრისა და საიმედოდ დაცვის საქმეში, თ.ჟორდანიას შემდეგ, 1898 წლის 10 აპრილს სიძველეთა საცავის გამგის მოვალეობა მ.ჯანაშვილს დაეკისრა. მოკლე დროში მან განსაკუთრებით ბევრი რამ გააკეთა სიძველეთა საცავის ნივთების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და კატალოგის შედგენისათვის. იმავე წელს გამოსცა მოკლე ცნობარი - ,,ტფილისის სიძველეთასაცავი", ხოლო 1899 წელს- ,,კატალოგი N 2", რითაც ფართო საზოგადოებას და მეცნიერულ წრეებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ სიძველეთა საცავის საუნჯეებს. მოგვიანებით, 1902-03 წლებში აღნიშნულ კატალოგებს მიემატა თედო ჟორდანიას მიერ შედგენილი სიძველეთა საცავის ხელნაწერების უფრო ვრცელი I და II ნაკვეთები და მუზეუმის გამგის მიერ 1908 და 1914 წლებში გამოცემული კატალოგები. პირველ სამ ნაკვეთში აწერილია მხოლოდ 1040 წიგნი, მეოთხეში კი დანარჩენი ნივთებიც. 1926 წლისათვის მ.ჯანაშვილს უკვე დასრულებული ჰქონდა სიძველეთა საცავის ხელნაწერების აღწერის მეხუთე ნაკვეთი, სადაც შევიდა 1914-1926 წლებში სიძველეთსაცავში მიღებული 600 ხელნაწერი, რომელშიაც მოცემულია აგრეთვე ტყავზე ნაწერი და ნახატებიანი წიგნები და მრავალი სხვა ცნობა. ნაშრომს ბოლოში დართული აქვს ყველა ხელნაწერისა და საკუთარი სახელების საკმაოდ სრული მაჩვენებლები. დაარსებიდან ოცდათორმეტი წლის შემდეგ ,,ამ მილიარდებითაც ძნელად შესაფასებელი ეროვნული დაწესებულების"- თბილისის უნივერსიტეტზე გადაცემის შემდეგ (1921 წ.) სიძველეთსაცავის გამგედ დაინიშნა პროფ. კ.კეკელიძე. ხოლო მის ასისტენტად დანიშნული საეკლესიო მუზეუმის ყოფილი გამგე კვლავინდებურად ეწეოდა მრავალმხრივ ნაყოფიერ საქმიანობას. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ყოფილი სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელნაწერთა ფონდის შეერთებისას (1930 წლის სექტემბერი), მ.ჯანაშვილი და ალ.ბარამიძე მიღებულ იქნენ მუზეუმის უფროს მეცნიერ მუშაკებად - ხელნაწერთა განყოფილების კონსერვატორებად. [39)]

სამწუხაროდ, დღემდე სათანადოდ შეუსწავლელია საეკლესიო მუზეუმ-სიძველეთსაცავში მოსე ჯანაშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა, მისი ღვაწლი ხელნაწერთა აღწერილობათა კატალოგების შედგენის, ხელნაწერთა ტექსტების

გადმოწერის, შესწავლის, პუბლიკაცია-გამოცემის საქმეში. აღნიშნული თემა სპეციალურ განხილვას იმსახურებს, აქ მხოლოდ ჩამოვთვლით გაწეული შრომის ზოგიერთ მხარეს.

სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერულ წრეებში განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კატალოგების სამტომეულმა. მ.ჯანაშვილმა ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა ბროშურები საეკლესიო მუზეუმში გაწეულ საქმიანობაზე, აღწერა 5000-მდე უძველესი ქართული ხელ-თნაწერი, ამ ძვირფასი საუნჯის საფუძველზე ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერით ,,ევერიაში" ექვსი წლის განმავლობაში საკუთარი გვარით თუ ფსევდონიმებით საეკლესიო მუზეუმის გამგე სისტემატურად აქვეყნებდა საისტორიო და საბიბლიოგრაფიო ხასიათის წერილებს, ხელნაწერების აღწერილობებს და სხვა საინტერესო ცნობებს. მარტო 1896 წელს 12 ხელნაწერზე გაზეთის 20-ზე მეტ ნომერში გამოქვეყნდა მიმოხილვითი მასალა. სულ 1896-1904 წლებში ამ სახით გამოქვეყნდა 50-მდე ბიბლიოგრაფიული წერილი.

მ.ჯანაშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ბიბლიის რედაქციების შესწავლაში. ამ მიმართებით გაწეული საქმიანობით დაინტერესდა არქეოლოგიური საზოგადოება, რომლის საიუბილეო გამოცემაში დაიბეჭდა ქართველი სწავლულის ნაწერების მოკლე სია. საზოგადოების შეკვეთით მოსემ გადაწერა ურბნისის სახარების ტექსტი და 800 გვერდის შემცველ ნაშრომს წაუმძღვარა წინასიტყვაობა.[40] მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებითვე მან იმოგზაურა აფხაზეთში, დიხაზურგას ეკლესიის ქართული წარწერების შესასწავლად, ისარგებლა რა ამ სამეცნიერო მივლინებით, გაეცნო სამეგრელოს, კერძოდ ზუგდიდისა და სენაკის ისტორიულ ადგილებს, რომლის შედეგებზე სპეციალური მოხსენება გააკეთა და მასალები პრესაში გამოაქვეყნა. გარდა ამისა საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა საქართველოს პატრიარქის კირიონ II ცხოვრებას, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სხვა მოღვაწეებს. რუსულ ენაზე 1889 წელს გამოცემული ,,მათლმადიდებლური ეკლესიის ისტორია" უმაღლესმა სასულიერო ხელისუფლებამ მოიწონა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში საკითხავ წიგნად, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის ,,საქართველოს გეოგრაფია" I და II ნაკვეთი რეკომენდებულ იქნა საქართველოს ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლებისათვის.

სიძველეთა საცავის ხელნაწერებზე ერთხანს მუშაობდა ნიკო მარი, რომელმაც აქ დაცული მასალების შემწეობით შეასწორა და გამოსცა კორიდეთის სახარების (N 993) წარწერები. აქვე მოიპოვა მასალები ივანე ჯავახიშვილმა თავისი შესანიშნავი ნაშრომებისათვის ,,სახალხო აღწერები საქართველოში" და ,,ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისთვის". სხვადასხვა დროს სიძველეთა საცავში მუშაობდნენ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე პრასკოვია უვაროვა, პროფესორები ივანე სოკოლოვი, დოკტორი გოტფრიდ მერცბახერი, პროფ. რობერტ ბლეიკი. აქაურობის ხშირი სტუმრები იყვნენ აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე და მრავალი სხვ. მათ აინტერესებდათ ნახატებიანი წიგნები, ტყავზე ნაწერი ხელნაწერები, კორიდეთის ბერძნული სახარება, ბერძნული ტექსტები და ა.შ. თვითოეულ მათგანს მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებდა საეკლესიო მუზეუმის გამგე და შემდგომ სიძველეთსაცავის ასისტენტი მოსე ჯანაშვილი.

1900 წლიდან შესაძლებელი გახდა საეკლესიო მუზეუმი გახსნილიყო ფართო საზოგადოებისათვის, რომელსაც, მოსეს თქმით, ,,აღარ გამოელია დათვალიერების მსურველი ტფილისიდანა თუ სხვა ქალაქებიდან. ექსკურსიები მოდიოდნენ საქართველოს დაბა-ქალაქებს გარდა, მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, კავკავიდან, ოდესიდან, ერევნიდან, ბაქოდან, გერმანიიდან, ევროპის სხვა ცენტრებიდან. დამთვალიერებელთა რიცხვმა 1900 წლიდან 1925 წლამდე მიაღწია 50000-მდე. მათ ყურადღებას უმთავრესად იპყრობდნენ ტყავზე ნაწერი ნახატებიანი წიგნები, რომელთაგან ზოგიერთში ფერადები ისე ცხოვლად შენახულა, თითქო დახატულიყოს არა ათას წლების წინ, არამედ სამხატვროდან ამ დღეებში გამოსულიყოს".

აღნიშნული სამუშაოების გარდა მ.ჯანაშვილის მიერ ძველი ქართული ხელნაწერებიდან გადმოწერილ და დაბეჭდილ იქნა უმნიშვნელოვანესი ტექსტები. მათ ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით, რადგან იგი საგანგებო განხილვას იმსახურებს. ნიშანდობლივია ის, რომ სიძველეთსაცავში მოსეს მიერ გაწეულ შრომას ნ.მარმა ჯერ ისევ 1901 წელს უწოდა ,,ფრიადი ნაღვაწი", ალ. ხახანაშვილი ხშირად აქვეყნებდა ბიბლიოგრაფიულ წერილებს მ. ჯანაშვილის ნაშრომებზე, ეხმარებოდა სხვადასხვა წამოწყებების განხორციელებაში. აქტიურად თანამშრომლობდა საეკლესიო მუზეუმ-თან. ი.სოკოლოვმა აღნიშნა, ,,ნამუშევარი ადგილობრივ მეცნიერების თ.ჟორდანიას და მ.ჯანაშვილისა, მათ მიერ შედგენილი კატალოგები ხსენებულ საცავისა აცნობენ სამეცნიერო მსოფლიოს მის ხელნაწერ მასალას, რომელიც იძლევა უსაჭიროეს ცნობას შემსწავლელთათვის ბერძენ-აღმოსავლეთის და განსაკუთრებით ბიზანტიური ხანის ისტორიისა"[41]. მსოფლიო მოგზაურმა-მეცნიერმა ვ.პ. ვრადიმ სთქვა:,,სიძველეთსაცავის 1040 ხელნაწერის აღწერა წარმოადგენს უძვირფასეს შრომას, რომელიც ამ სიძველეთა საცავს ჰმატებს ევროპიული ცოდნის საერთო საგანძურს"[42], სიძველთსაცავსა და, საერთოდ, ქართულ მეცნიერებაში გამოჩენილი სწავლულის საქმიანობით დაინტერესებული იყვნენ და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები, გერმანელი პროფესორი ოტო ბოტკე, საეკლესიო მოღვაწე ავრელიო პალმიერი, პარიზელი ქართველოლოგი იოსებ (ჟოზეფ) რები, რომელიც ერთხანს თბილისშიც მოღვაწეობდა, ქართველების სიძე გახდა, მაგრამ სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

საყოველთაოდ ცნობილია მ.ჯანაშვილის მეცნიერული და მეგობრული ურთიერთობები პეტერბურგსა და მოსკოვში მოღვაწე ქართველ სწავლულებთან ალექსანდრე ცაგარელთან, ნიკო მართან, ივანე ჯავახიშვილთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან და სხვებთან, რომლებიც ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ მსოფლიოში ქართული კულტურის პოლულარიზაციისათვის. რედაქტორმა კარლ ლეისტმა თავის გაზეთის (,,Kaukasishe Past") 1906 წლის მეშვიდე ნომერში დადებითი შეფასება მისცა იმხანად გამოცემულ ,,საქართველოს ისტორიის" I ტომს. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. ვ.მორფილმა [43] საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ჟურნალ ,,Asiatic society"-ში (1906) საკმაოდ ვრცლად მოიხსენია ჯანაშვილის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე; 1918 წლის 13 აპრილს ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, რომელსაც პ.მელიქიშვილი, ი.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დ.უზნაძე, ა.შანიძე, გ.ახვლედიანი, ან.ბენაშვილი და ი.ყიფშიძე ესწრებოდნენ, საეკლესიო მუზეუმის გამგეს მოსე ჯანაშვილს მადლობა გამოუცხადა კომიტეტის სახელით მუზეუმის გამოცემების 33 წიგნის უნივერსიტეტისათვის შემოწირულების სახით გადაცემისათვის. [44]

მ.ჯანაშვილმა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს მოვლენებს უპასუხა გაძლიერებული ენერგიით. იმდროინდელ ერთ თავის ჩანაწერში [45] იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მას კიდევ სურს სამსახური ქართველ საზოგადოებისთვის. კიდევ სურს მასში გაღვიძება უკეთეს გრძნობებისა. კიდევ სურს მის ჭირ-ვარამს მტლედ დაედოს. უნდა უკანასკნელი წლებიც შეწიროს საყვარელ საქართველოს ისევე, როგორც განვლილი 45 წელიწადი, ნაყოფიერებით მუდამ ქებული მ.ჯანაშვილი ამ პერიოდში განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენს ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების მიმართ. დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე მისი პუბლიკაციების თემატიკა მიზანმიმართულად, ღრმა ცოდნითა და სიმძაფრით ეხმაურება აუცილებლად დასაფიქრებელ და პირველი რიგის მოსაგვარებელ პრობლემებს, მონაპოვართა დაცვისა და განვითარების, ახალგაზრდობის, მთელი ხალხის წინაშე მდგომ უმთავრეს საჭირბოროტო თემებს, ამავე დროს კითხულობს საჯარო ლექციებს ქართულ მწერლობაზე, საქართველოს ისტორიასა და მის წყაროებზე, ძველ ქართულ ხელნაწერებზე, აქტიურად მონაწილეობს იმხანად გავრცელებულ სახელმწიფო და სხვა მოღვაწეების ლიტერატურულ გასამართლებებში, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების სხდომებზე აკეთებს მოხსენებებს, კითხულობს რეფერატებსა და მიმოხილვებს საკვევაძიებო მუშაობის შედეგებსა და უცხოეთში გამოცემულ ნაშრომებზე, შეფასებას აძლევს კოლეგების ნამუშევრებს. ამავე დროს თავისი მწირი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობს საქველმოქმედო საქმიანობაში, მის მიერ გამოცემულ წიგნებს (,,მესხეთი" 1000 ცალად; ,,მზე და აკაკი" 500 ცალად, ,,აბდულ მესიანი" 150 ცალად სწირავს საქველმოქმედო საზოგადოებას.

ჩვენი მიდრეკილება უნდა შეეხამოს ბუნებრიობას,-წერდა ჯანაშვილი 1917 წლის მარტში, 46) ჩვენმა გარდაწყვეტილებებმა მიმართულება უნდა მიიღონ ცხოვრების ბუნებრივ პირობებით. ვიტყვი:გახსოვდეს, რომ გქვიან შვილი. რას მოასწავებს ეს? იმას, რომ ყოველივე, რაც შენ გეკუთვნის. ჩასთვალო კუთვნილებად მამისა, ყოველიფერში მას გაუგონო, არასდროს მასზე ცუდი არ ილაპარაკო, არასდროს ცუდი სიტყვა არ აკადრო, არ გააბოროტო, ყოველივეში დაუთმო, ყოველივე კეთილ გონიერებაზე მიაგდო და შეძლებისამებრ დაეხმარო მას; კვლავ გახსოვდეს, რომ ძმა ხარ. იყავი ძმებისა და დების დამთმობი, მათთან შეტკბობილი, კაი მქმელი; ეცადე არ გამოიჩინო თავი მათ წინაშე მასში, რაც შენი ნების გარეშე იმყოფება. იყავ პირველი მასში, რაზედაც უფლებს შენი ნება; თუ მამა ხარ, გახსოვდეს რა მოვალეობით გტვირთავს ეს სახელი. [46].

სამშობლო ქვეყნის შესწავლის სურვილი ჩვენში იმხანად საკმაოდ გაცხოველდა. ისტორიულ მემკვიდრეობისადმი ხალხში ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ქართლის მთელ რიგ რაიონებში თავად უწევდა ხელმძღვანელობას ისტორიული ძეგლებით დაინტერესებულ მრავალრიცხოვან ექსკურსანტებს. ამავე დროს მან განიზრახა მგზავრთათვის სახელმძღვანელოდ მიეწოდებინა სამგზავრო წიგნაკები საზოგადო სახელით-,,სამგზავროი". პირველ წიგნად დაიბეჭდა კიდეც ,,საქართველოს დედაქალაქები მცხეთა და არმაზი". ამას უნდა მოყოლოდა ,,უფლისციხე და გორი მიდამოებით", ,,ტფილისი", ,,ქუთაისი მიდამოებით", ,,საინგილო" და სხ. მაგრამ საზოგადოების მხრიდან დახმარება იგვიანებდა და ეს კარგი წამოწყება ვეღარ გაგრძელდა. სამაგიეროდ მეტად ნაყოფიერი გამოდგა ავქსენტი აბესაძესთან ერთად მისი მუშაობა თბილისის სამაზრო ერობის სამმართველოში თავმოყრილი ქართული ისტორიული საბუთების შესწავლაში [47]. იმ ხანებში სამხედრო შტაბის მუზეუმის გამგის სპირიდონ ესაძის მიერ თანამშრომლად

მიწვეული მოსე გატაცებით მუშაობდა აგრეთვე სატერმინოლოგიო კომისიაში. ესაძესთან ერთად მან შეადგინა დიდი გამოკვლევა ,,ასპინძის ბრძოლის 150 წლისთავი", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის" ათზე მეტ ნომერში. შტაბის არქივში მან აღმოაჩინა ფრიად მნიშვნელოვანი სიგელ-გუჯრები, ზოგი ტყავზე დაწერილი. ნაპოვნითა და გადმოწერილით შესდგა მოზრდილი რვეული (120 გვ.), რომელიც ესაძეს ნებართვით გადასცა საისტორიო-საგეოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს, [47] მაგრამ უკან დაუბრუნეს, შენს მუზეუმში შეინახეო. შემდეგ კი, მისი შემკრების ცნობით, ცენტრარქივის დირექტორმა სარგის კაკაბაძემ მასალები თან წაიღო და გაურკვეველია მისი შემდგომი ბედიო. მან შეისწავლა აგრეთვე ქაღალდები დაღესტნისა და სხვა მთიელ ხალხებზე, რომელთა გამოყენებით ჩრდილო კავკასიის ერების- ჩერქეზების, აბაზინებისა (განმეორებით დაიბეჭდა 1991 წელს. (იხ. გაზ. ,,ოქროს საწმისი" 1991, 6 (11), ივლისი, გვ.9). ჩაჩნების, ლეკების, ლეკების გმირების (ჰამზად-ბეგი და შამილი), ოსების შესახებ მოსემ საინტერესო წერილები გამოაქვეყნა გაზ. ,,საქართველოს" 1919 წლის 11-21 სექტემბრის ნომრებში.

მოსე ჯანაშვილის ნაწერებში თავმოყრილია უაღრესად მნიშვნელოვანი წერილები ძველი ლიტერატურის ისტორიისათვის. იგი გაფანტულია სხვადასხვა დროის ქართულსა და რუსულს პერიოდულ გამოცემებში, რაც გარკვეულ სიძნელეს ქმნის მისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის კლასიფიკაციისათვის, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავდა პროფ. კ.კეკელიძე, რამდენადაც ძნელია ეს საქმე, იმდენად აუცილებელი და საჭიროა არა მარტო განსვენებულის სახელისათვის, არამედ ქართული ფილოლოგიის ინტერესებისათვის. [48]

ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ,,ყველა ზემოაღნიშნულის გარდა, მ.ჯანაშვილს, ვითარცა მოღვაწეს, ერთი განსაკუთრებული თვისება ახასიათებს. ის თავისი ხანგრძლივი მუშაობის დროს არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ ყველაფერს, რაც კი საქართველოზე სადმე უცხოეთში იწერებოდა, გაფაციცებით ადევნებდა თითონ თვალყურს და კითხულობდა, მას არასდროს დაჰზარებია თავისი წანაკითხის შინაარსი ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვისაც გაეზიარებინა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სამეცნიერო მწერლობას არც ერთი ისეთი ერთგული ბიბლიოგრაფი არ ჰყოლია, როგორც მ.ჯანაშვილი იყო... ჩახედული ადამიანი, უეჭველია, სწავლულის მრავალრიცხოვან ბიბლიოგრაფიულ წერილებში მის მოსიყვარულე ეროვნულ გრძნობას შეამჩნევს". [49]

პირდაპირ გასაოცარია თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გაწეული ღვაწლი ქართული ლექსიკონის შესადგენად ძველი და თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა და ხალხურ მეტყველებაში დაცული ლექსიკური მასალის შეგროვება-დამუშავების საქმეში. უზარმაზარი შრომისა და ავტორის არა ერთი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნული საუნჯის დაბეჭდვა, შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებისა და მათი თანამშრომლების, რბილად რომ ვთქვათ, არასათანადო დაინტერესების გამო, სამწუხაროდ, არ მოხერხდა და გამოუ-ცემელი დარჩა. ალბათ მარტო საქართველოშია შესაძლებელი, რომ გქონდეს 104 ათასზე მეტი სიტყვის შემცველი ლექსიკონი და ოთხმოცდახუთი წელიწადი ხელმიუწვდომლად დააძველო.

მ.ჯანაშვილის საკვლევაძიებო სფეროში მნიშვნელობანი ადგილი უკავია ქალდური ლურსმული ტექსტების შესწავლის საქმეს, აღნიშნულ თემატიკას მან მიუძღვნა არაერთი მოხსენება, ცალკეული სტატია და საკმაოდ ვრცელი ნაშრომი, მათ შორის ,,ქალდური ლურსმული ტექსტები" (წიგნი I), რომელსაც ერთვის ავტორის წინასიტყვაობა, «ხეთა, მისი ენა, ისტორია და კანონები» (1920, გვ.203). «კრეტა-

მიკენის მსოფლიო და ქართველები», «სუმერული ლექსიკონი». 1918 წელს გადმოთარგმნა «ჰამურაბის სამართალი» და ა.შ. [50] დასანანია, რომ ავტორის კვლევის შედეგები ამ სფეროში დღემდე არ მოხვედრილა სამეცნიერო მიმოქცევაში. ამის მიზეზი, სხვა რომ არაფერი ითქვას, ალბათ სათანადო ინფორმაციის ნაკლებობით უნდა აიხნას.

აღნიშნულის გარდა, საზოგადოება დღემდე არ იცნობს სწავლულის ბევრ ისეთ ნაშრომს, როგორიცაა «გეოგრაფია», სადაც ანბანის რიგზე აღნუსხულია საქართველოს დაბა-სოფელ-ქალაქთა, მდინარე-მთათა და ადგილთა საკუთარი სახელები აღწერილობით; «ძველი დროის მოღვაწენი - მწერალნი და ჩინებულნი ვიდრე 1800 წლამდე»; «ქართველი მწერლები და მოღვაწენი 1800 წლითგან»; ისტორიული ნაწყვეტები - ,,უჯარმის ბრძოლა", ,,თვალდამწვრიშვილები", ,,ომანიშვილი ქაიხოსრო", ,,ცეცხლის ჯვარი", ,,ისტორიის გაკვეთილი", ,,საქართველოს კირთება", ,,ქართველები და ლეკები", ,,მესისხლე რაინდები", ,,ბუნება და ცხოვრება", ქართ-ველური სიტყვის ძირი მის მორთულობაში წარწერით ,,ქართველური ენა ქართველ მოდგმის გონებაა, ხოლო გონება -მისი ენაა და ისტორია"; «ქართველური ენა (ჭანურ-მეგრულ-სვანური-ხალხური ქართული (იმერულ-ქართულ-ფშავ-ხევსურულ-ინგილოური), (სალექსიკონო მასალა)»; ,,ქართული დამწერლობის განვითარების ნიმუშები საუკუნეთა მიმავლობაში", ,,დამწერლობის ისტორია საზოგადოდ და ქართული ანბანი; მცხეთა და მისნი მიდამონი"; ,,არაგვის ხეობა"; ,,დავით გურამიშვი-ლის რჩეული ნაწერები"; ,,წმ. შუშანიკი". ,,ჰოთამა ბუდდა და ექთვიმე მთაწმინდელი"; ,,მატიანე მოსახსენებელი სულთაი"; ,,ხანით-სანით-ჰაეთი და უმათოდ"; ,,მონგოლები საქართველოში"; ,,ჩინეთი და ჩინელები"; ,,უდები (უდინები)"; ,,მასალები ქართ. ძველ სახარებებიდამ, დაბადებიდამ და სხ"; ,,კაცია და ბუნება ანუ იცხოვრე-მაცხოვრე"; ლეგენდები-,,დიდი ხორეშანა"; ,,ახტალის სამკურნალო წყლები"; ვაჟი მოკვდეს- ქალი დარჩეს; ფერია (საქართველოს დედოფალი); ,,ამირანი"; ,,ფარავანი"; ,,ბოროტი ბებერი"; ,,შეუპოვარი"; ,,კახეთის ზღვა" და სხვ.

უყურადღებოდ დარჩა ბევრი მისი ნაშრომი, რადგან ზოგი მათგანი ხელმოუწერელად იბეჭდებოდა, ან იბეჭდებოდა ფსევდონიმით (ინგილოელი, მ.შამხალაშვილი, კაკელი ინგილო, ფისტონი, ფ., მ.-შვილი, წიწა, წინანდელი, მ.ჯ-შვილი, მ.ჯ. გიორგიელი, ესომ, მ.-ლი, ე-მ, ი.მ-ძე, მუხაძე, მ-ე, მუ-ძე ვინმე ხუცესი, მოსიკო, მ.გ-ო-გ-ძე, ქურმუხელი, ეს მო, გიორგიძე, მ.გ.ჯ; მ.გიორგიძე, ლასურიძე, მ.გ.ლასურიძე, კაკელი, ბერი, პ.პ., მორწმუნე და სხვ. ეს მარტო ქართულად), ან კიდევ, რა გინდ სამწუხარო არ უნდა იყოს, ხშირად ამა თუ იმ შემფასებლის გუნება-განწყობილებამ განსაზღვრა მათი შემდგომი ბედი...

ასევე შეუსწავლელია მ.ჯანაშვილის ურთიერთობები მწერლებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან, საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურით დაინტერესებულ ადამიანებთან, მოგზაურებთან, ჟურნა-ლისტებთან მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები საქართველოს საზოგადოების სხვადასხვა თაობისა და ერის წარმომადგენლებთან, საერო და სასულიერო მოღვაწეებთან, ქართველ და უცხოელ სწავლულებთან. ყურადღებას იქცევს ამ მხრივ დაცული მ.ჯანაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, თანამედროვეთა მოგონებები, საეკლესიო მუზეუმის სტუმართა ჩანაწერები, გამოხმაურებები პრესის ფურცლებზე და სხვა ფრიად მნიშვნელოვანი მასალები, სადაც კარგად ჩანს სახელოვანი მამულიშვილის ფართო საზოგადოებრივი ინტერესები და მისი მიმარ-თება აქტუალური პრობლემებისადმი. ყოველივე ეს იმსახურებს იმას, რომ როგორც

საქართველოში, ისე საზღვარგარეთ იმ დროის მოწინავე ადამიანებთან მ.ჯანაშვილის ურთიერთობების ამსახველი მასალები ცალკე წიგნად გამოიცეს.

აუცილებელია ითქვას, რომ ღირსეულმა მოწაფეებმა, საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად, ხელისუფლების გაცხადებული ნებითა და ხელშეწყობით შესძლეს სიცოცხლეშივე შესაფერი პატივი მიეგოთ ამაგდარი მამულიშვილისათვის. მძიმე სოციალური ყოფისა და სხვა სიძნელეების პირობებში ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების 36 ღირსეულ წარმომადგენელთან ერთად მეცნიერების წინაშე დამსახურებისათვის მას დაენიშნა პირველი კატეგორიის პენსია, თბილისის საბჭომ მისი სახელი მიაკუთვნა ვაკეში ერთ-ერთ ქუჩას, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა შორის მოსე ჯანაშვილს ერთ-ერთ პირველს მიენიჭა შრომის გმირის წოდება, მოგვიანებით სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის წარდგინებით სახალხო განათლების კომისარიატმა დაუმტკიცა დამსახურებული პროფესორის წოდება, მთავრობამ დააჯილდოვა შრომის ორდენით. საისტორიო და საეთნოგრაფიო და საენათმეცნიერო საზოგადოებებმა სამეცნიერო მოღვაწეობის 53 წლისთავის აღსანიშნავად გაუმართეს იუბილე და აირჩიეს აღნიშნული საზოგადოებების საპატიო წევრად, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში დაიბეჭდა სტატია მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, რომლის გამო მოსე ჯანაშვილს ჩანაწერი გაუკეთებია ,,ჩემ შესახებ წიგნში Большая Советская энциклопедия. т. 21, с. 739. ჩვენ გვრჩება ვთქვათ ამგვარ სწორ დაფასებისთვის რუსულადვე:,,Конец венчает дело”.

.. . და მართლაც, «დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი «ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწრვთნელად»...1934 წლის 22 აპრილს ქართველმა ხალხმა თავის საამაყო მამულიშვილს სამუდამო განსასვენებელი მიუჩინა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. მოსე ჯანაშვილი დაკრძალულია ქართველოლოგიის პეტერბურგის სკოლის უთვალსაჩინოესი წევრის, პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის გვერდით.

***

როგორც უკვე ითქვა, მოსე ჯანაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა მონოგრაფიულად შეუსწავლელია, გამოუცემელია მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომის შედეგები. მის ცხოვრებას და მოღვაწეობას დაბადების 100 წლისთავზე მიეძღვნა ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებული კრებული ,,მოსე ჯანაშვილი”. არსებობს აგრეთვე მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების ცნობარი, რომელიც სამსახურებრივი სარგებლობისათვის 1987 წელს შეადგინა ვ.გურგენიძემ. მ.ჯანაშვილის მოღვაწეობის ამსახველი სრული ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შედ-გენის აუცილებლობაზე ჯერ ისევ 1956 წელს მიუთითებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაბეჭდილი წიგნის რედაქტორი პროფ. სერგი ჟღენტი.

წინამდებარე კრებულში მოთავსებულია ქართულ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი საისტორიო წერილები, მოგზაურობის დღიურები, ჩანაწერები, საარქივო ფონდებში დაცული ცალკეული გამოუქვეყნებელი მასალები, ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე და აწმყოზე ორიენტირებული ავტორის რჩევა, განმარტება, გაფრთხილება, მოწოდება, მიმართვა მკითხველების, რედაქციების, ქართველი ერის მიმართ. სია ცალკეული გამოცემებისა, სადაც მ.ჯანაშვილი არის ავტორი,

რედაქტორი, შემდგენელი, წინასიტყვაობის, შენიშვნებისა და კომენტარების ავტორი, მთარგმნელი; კრებულს ერთვის აგრეთვე სახელოვანი მამულიშვილის მოღვაწეობაზე თანამედროვეთა ცალკეული გამონათქვამები. წიგნის შეზღუდული ფორმატის გამო, ავტორის ცალკეული სტატია შემოკლებული სახით არის წარმოდგენილი. ქვეთავების მიხედვით პუბლიკაციების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, აგრეთვე ავტორის თხრობის სტილი თითქმის ყველგან დაცულია.

ვფიქრობთ, სამომავლოდ მ.ჯანაშვილის ნაწერების სრულ ბიბლიოგრაფიასა და მის მოღვაწეობაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს დავუთმოთ ცალკე ნაშრომი, ისე როგორც საგანგებო მონოგრაფია მივუძღვნათ მეცნიერის ცხოვრებასა და გაწეულ ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე. მკითხველს ალბათ დააინტერესებს მისი საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები; წიგნებად დაბეჭდილი, კრებულებსა და პრესაში გამოქვეყნებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწერები; მასალები საეკლესიო მუზეუმის ისტორიიდან; მიმოწერა ქართველ და უცხოელ მოღვაწეებთან; პუბლიცისტური პოლემიკური წერილები საქართველოს წარსულის, ქართული კულტურის, განათლების, მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და ბევრ სხვა მნიშვნელოვან თემებზე; მეცნიერის მოგონებები; ლექსიკოლოგიური მუშაობის შედეგები; ათეული წლების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაგონილი და ჩაწერილი ქართული ლეგენდები, ზღაპრები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები; გამოუქვეყნებელი ნაწერები; რუსულ ენაზე შექმნილი ნაშრომები და სხვ. მეტად ღირებული ნაწარმოებები.

კ. კინწურაშვილი

უკეთ შევისწავლოთ ჩვენი უცნობი სამშობლო

„არ დავიწყება ისტორიისა ანთებული კერაა
მამულიშვილობისა, სამშობლოს სიყვარულისა“.

ისტორიკოსთა ბედი და ისტორიული კვლევის მდგომარეობა.

თქვენს ფელეტონში აღძრულია მრავალი საჭირბოროტო კითხვა, ყველას არ შევეხები. მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ თქვენი მეგობრის შემდეგის აზრის გამო:,,აიღეთ ისტორია, განა შესაძლებელია, ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ერს არ აინტერესებდეს და არ აინტერესებდეს ნამეტნავად თავისი წარსული? მაგრამ არამც თუ არავითარი წარმოდგენა არა აქვს ჩვენის ისტორიის შესახებ ქართველ საზოგადოებას, იმ ორიოდე ქართველ ისტორიკოსსაც არ შეუსწავლია საგანი საფუძვლიანად, არ არის მოთხოვნილება სერიოზულის ცოდნისა”.

ასეთი მწარე სიტყვები ჩვენის ისტორიკოსების შესახებ სხვისგანაც ბევრჯელ გვსმენია. მაგრამ ყველა ასეთი წილადობილა უსაფუძვლოა. მე თუ მკითხავთ, ჩვენი ისტორიკოსები სწორედ გმირები არიან იმ დროს, როდესაც ქართველ საზოგადოებას ზურგი შეუქცევია თავისის წარსულისათვის, როდესაც ამ წარსულის შემსწავლელთ

საზოგადოება დამპალ-დამპალის, დახავსებულის ძველმანის მქექებლად უწოდებს, თვით ეს ,,მქექელები" დიდის ბეჯითობით სწავლობენ ჩვენს წარსულს, ქართველი ერის მრავალ საუკუნოვან ისტორიას და მასთანავე იბრძვიან ლუკმა პურისთვის, რომ ცოლშვილი შიმშილით არ დაეხოცოთ. ჩვენში თვით მეკარნახესაც ერთი ბენეფისი მაინც ერგება ხოლმე და ჩვენის წარსულის მკვლევარსა და მის ,,მეკარნახეს" კი არა თუ ბენეფისი, ცალი სიტყვით დახმარება და წაქეზება არა ხვდება მთელს სიცოცხლეში, და არა თუ ესე, პირიქით მრავალს დაცინვასა და ქირდვას ითმენს. ამისთანა მდგომარეობაში არიან ჩვენი ისტორიკოსები და თქვენ და თქვენი ნაცნობი-კი უკიჟინებთ მათ, რიგიანად საგანი არ იციანო?

საქართველოს ისტორია მეტად გრძელია. იგი არ არის შესწავლილი მონოგრაფიულად, რომ ეს მონოგრაფიები მასალად გამოიყენოს ისტორიკოსმა. ისტორიკოსი თვითონ იკვლევს კერძო კითხვებსაც და მთელს ისტორიასაც. კერძო კითხვათა რიცხვი ხომ უთვალავია. დიდის შრომით ადგენს ისტორიას და აწვდის საზოგადოებას. საზოგადოება კი გულცივად ეკიდება ახალ გამოცემებს, არ კითხულობს მათ. მშრომელთ შრომა შრომად ეკარგება და ფული ფულად, რადგან თვითონვე თავისის ხარჯით ბეჭდვენ წიგნებს. ხშირად წიგნი კიდეც იყიდება, მაგრამ გამყიდველები უმეტეს ნაწილად თვითონ სარგებლობენ აღებულის ფულით. ამისთანა მაგალითი ჩვენ ვიცით არა ერთი და ამის შემდეგ ჩვენს მწერლებს გული მაინც არ უგრილდებათ და ისევ განაგრძობენ საყვარელს საქმეს, რადგან იციან, თუ დღეს არ ფასდება მათი შრომა, მომავალში დაფასდება; თუ დღეს არავითარს ყურადღებას არ აქცევენ მდიდარს ქართულს ისტორიას, მომავალში მიაქცევენ.

„თქვენისთანა მსაჯული ჩვენს ისტორიკოს მკვლევარების ნაწერებს ადარებს ვებერისას, შლოსერისას, ნიბურისას და სხ. და ხმამაღლა გაიძახის:ჩვენი ისტორიკოსები არ ვარგიანო, როდის გვეყოლებიან ჩვენ ვებერები და ნიბურებიო! ჯერ ერთი, რომ ვებერ-შლოსერისთანა ისტორიკოსები მთელს მსოფლიოშიაც თითო ოროლაა და მეორეც, ვებერ-შლოსერისთანა ისტორიების წერასაც ბევრი საფანელი უნდება, სახელდობრ:მოცალეობა, შემუშავებული მასალები, კარგი მოწყობილობა, კარგი წრე, განათლებული, შეგნებული, თანამგრძნობი და გულშემატკივარი საზოგადოება.. ჩვენში ყველა ამას არ დაგიდევენ, ოღონდ ითხოვენ ჩინებულად შედგენილს ისტორიას, რომელსაც, როგორც ვსთქვით, თითო ოროლას გარდა არავინ კითხულობს. იკითხეთ, რამდენი ცალი გაიყიდა ცაგარლისა, ხახანაშვილისა, მარისა, ბროსესი, ბაქრაძისა, ჯანაშვილის, თაყაიშვილის ნაწერები და დარწმუნდებით, რომ ძალიან ცოტა გაყიდულა, ძალიან ცოტა ისტორიული წიგნი გავრცელებულა საქართველოში.

ვიმეორებ, მრავალი მხარე ჩვენის ისტორიისა ჯერეც გამოუკვლეველია მონოგრაფიულად. არ არის შეკრებილი აურიცხველი წარწერა ტაძრებისა და სხვადასხვა შენობებზე ამოჭრილი. მარტო ეს წარწერები რომ შეკრებილიყო და ახსნილ-შესწავლილიყო, რამდენსამე ტომს შეადგენდა. ხოლო ეს წარწერები-კი იგივე ხელთუქმნელი და ,,ქართლის ცხოვრება"-ზე არანაკლები ისტორიაა საქართველოს ერისა. ბევრი ამ წარწერებიდან, მეტადრე ამ ბოლო დროს, დაიკარგა, ბევრი დაამტვრიეს და დაიპარეს. ვინ არის პატრონი? ჩვენი საზოგადოება ყველა ამის შეკ-რებასაც ავალებს ისევ იმ ისტორიკოსებს. გამოდის, რომ ჩვენმა ისტორიკოსმა ყოველივე თვითონ უნდა შეასრულოს და მზამზარეულად მიართვას საზოგადოებას. მაშინ მოთხოვეთ ისტორიკოსებს მეტი, როდესაც თქვენც მეტად დაეხმარებით დღევანდელს ,,უხეირო" ისტორიკოსებს სიტყვით, თანაგრძნობით, საქმით.."

დიაღ, საზოგადო მოღვაწეებს დღეს ფასი და პატივი არა აქვთ, პირიქით ვინც გაიძახის:დღეს ჩვენი ქვეყანა აყვავებულიაო, ასეთ ცრუ და მოღალატე მოღვაწეებს ჩვენი უსუსური საზოგადოება ზიზღითა და გმობით კი არ ხვდება, არამედ ხელგაშ-ლით, დიდებითა და ზეიმით. [51)]

მცირე შენიშვნა

,,დროება" 1884, N 75, 4 აპრ. გვ. 1-2

ჩვენი გმირული წარსული სიბნელით მოცულია. ჩვენი ქვეყანა შეუსწავლელია. მდიდარს ჩვენს ისტორიას, არქეოლოგიას, ისტორიულ გეოგრაფიას ჯერ კიდევ ჩინური კედლები აფარებია. აქამდე თითო-ოროლა პირს ძლივსძლივობით სამეცნიერო წერაქვის შემწეობით გამოუჩიჩქნია ჩინურ კედელში მცირეოდენი ხვრელი. და იქიდან მარტო თვალი გადუვლია იმ მოედნისთვის, რომელზედაც მოიდგა ფეხი ისტორიაში შესანიშნავმა, მაგრამ აქამდის მეცნიერებისთვის უცნობმა ხალხმა, რომელსაც შეად-გენენ ქართლოსიანნი. მოსეს დროიდან ქართველნი შენიშნა ისტორიამ, იმ დროდან დღემდე ხალხი ცხოვრობს ისტორიულად. ქვეყანა იყო მეტად მშვენიერი, ტურფა, იზიდავდა ყველა მეზობელს, თვით მცხოვრებნიც იყვნენ განთქმულნი სილამაზითა, ახოვნებითა, ნიჭითა და ყოველგვარი სათნოებითა. მთელი ისტორიული ხანა ჩვენი ცხოვრებისა, უკანასკნელი რომ ვთქვათ, შეიცავს 3000 წელს, ანუ 30 საუკუნეს.

ამ ბოლო დრომდის ახალი მეცნიერება ჩვენ უყურადღებოდ გვტოვებდა; თითქმის ყველანი ერთხმად ამბობდნენ, თქვენ გიცხოვრიათ, მაგრამ ნავალისთვის კვალი არ დაგიმჩნევიათო და ბევრი პირსაც მიგვაქცევდნენ ხოლმე. მაგრამ წამოგვესარჩლა ბროსე და მთელს განათლებულს ქვეყანას გააცნო ჩვენი ვინაობა, ჩვენი მატიანეები, ჩვენი ბუნება.

ურწმუნო მეცნიერებმა ჩაიხედეს ჩვენ სიბნელით მოცულ ღრმა ისტორიაში და იმის კამარაზე, ვითარცა მენავეთა ზღვისათა, აღმოაჩინეს ახალ-ახალი კუნძულები. გამოჩენილმა ლენორმანმა და სხვ. მრ. სხვათა ქართველების ისტორიული ცხოვრების საზღვარი თანახმად ჩვენი მატიანისა, არქეოლოგიური ნაშთების, გეოგრაფიული სახელწოდებებისა და იეროგლიფური წარწერებითა მიიტანა ვანის ტბის ყურამდის და კაპადოკიამდის. მრავალმა მეცნიერმა უკვე აღიარა ის ფაქტი, რომ ქართველთა ისტორიის მეცნიერულად შესწავლა ნათელს მოფენს არა მხოლოდ საკუთრად ქართველთა ისტორიას, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიის უუძველეს ხანასაც, რომელიც ეხლა ბნელით არის მოცული.

რაც შეეხება ჩვენს მატიანეებს, უნდა გადაწყვეტით ვთქვათ, რომ ისინი თანდათან იზიდავენ მეცნიერების დიდ ყურადღებას. ასე დღითიდღე ჩვენი ქვეყანა ხდება მეტად საინტერესო საგნად. დღითიდღე მას უჩნდებიან ახალ-ახალი მოსარჩლენი-მეცნიერები. ჩვენი წარსულის შესწავლამ უნდა გადაწყვიტოს მრავალი გადაუწყვეტელი კითხვა და პრობლემატური დასკვნები. სწორედ ამ დროს ჩვენშიაც იბადება დიდი სურვილი ჩვენი ქვეყნის და ისტორიის შესწავლისა. ამ კეთილშობილურმა სურვილმა თავი იჩინა ერთ წერილში (,,დროება"N 70), რომლითაც სთხოვენ ჩვენს ისტორიკოსს ბ. დიმიტრი ბაქრაძეს, რომ მან ლექციებით გვასწავლოს პალეოგრაფიის, ისტორიისა და არქეოლოგიის შემსწავლელი ხერხები.

სურვილი დიაღაც სასიქადულოა, მაგრამ აღსასრულებლად მეტად ძნელი. არ ვიცი, - განაგრძობს მცირე შენიშვნის ავტორი, შეძლებს თუ არა ბ.ბაქრაძე, რომ თვეში, ან ორ-სამ კვირაში ერთხელ მაინც შეამზადოს ლექცია ჩვენთვის სათქმელად, მაგრამ

კიდეც რომ შეძლოს, სამკვიდრო მაინც არაფერი იქნება. საჭიროა და აუცილებლადაც საჭიროა, რომ თბილისში ბ. ბაქრაძეს თავმჯდომარეობით შედგეს ისტორიის მოყვარულთა წრე, ანუ საზოგადოება, რომელმაც აღმოაჩინოს საშუალება (რამდენიმე პირი კიდეც გვეგულება, რომელნიც უსათუოდ მატერიალურად დაეხმარებიან მას) და დააარსოს თვიური ან ორთვიური ისტორიული ჟურნალი, რომელშიაც დაიბეჭდება ყოველი ლექცია და გამოკვლება, როგორც ბ.ბაქრაძისა, ისე სხვა ჩვენი და ევროპელი მეცნიერისა; აგრეთვე ძველი ჩვენი მატიანენი, გუჯრები, იეროგლიფური წარწერები, რასაკვირველია, ყველა კრიტიკული განხილვით და მეცნიერული გამოკვლევით. ამას გარდა, ჟურნალში აღიბეჭდოს შესანიშნავი შრომები ჩვენს ქვეყანაზე; ჟურნალის მეორე ნახევარში დაიბეჭდის ეთნოგრაფიული ცნობები ჩვენს ხალხზე, განიმეოროს ფილოლოგიურად ჩვენი ენა და სხვადასხვა. ამგვარად და მხოლოდ ამგვარად შეგვიძლია შევისწავლოთ ჩვენი წარსული.

ამ ჟურნალის შემწეობით და არა ერთი კაცის ძალღონით ავხსნით, ნელნელა ავხდით ფარდას და ჩინურ კედლებს შევუმტვრევთ ჩვენი წარსულის მოედანს და გავიგებთ იმის საბაბს, თუ ქართველობამ, როგორ ჩაუნერგა თითქმის ყველა ისტორიულ ხალხს და უმეტესად კავკასიელებს თავისადმი მიზიდულობა და, თითქმის, ყველას და ყველგან, კაპადოკიიდან მოკიდებული გურგანის ზღვამდის, დააჭდია თავისი ენის, ჩვეულება-ხასიათის და, საზოგადოდ, ცხოვრების ჭდე. ერთი სიტყვით,- აღნიშნავს დასასრულ ავტორი, უპირველეს ყოვლისა და აუცილებლად საჭიროა ისტორიული ჟურნალი, უამისოდ, რა გინდ ბევრი ლექციები გვიკითხონ (თუ გინდ ლექტორად იყოს ისეთი მცოდნე წარსულისა, როგორიც ბ. დიმიტრი ბაქრაძეა, მაინც ვერას შევისწავლით და მაშინაც, როგორც ახლა, ჩვენი ქვეყანა ჩვენთვის იქნება ,,ტერრა ინცჯგნიტა” [53].

ისტორიული მიმოხილვა

,,ივერია" 1889, N 24, 1 თებ. ოთხშ. გვ. 1-3; N 30, 9 თებ. გვ. 1-2;
N 34, 14 თებ. გვ. 1-2; N 35, 15 თებ. გვ. 1-2; N 38, 21 თებ. გვ. 1-2;
N 39, 22 თებ. გვ. 1-2; N 45, 1 მარტი, გვ. 1-2; N 48, 4 მარტი, გვ. 1-3.

ჩვენი ისტორიის შესწავლა დაიწყო ამ ორიოდე წლის წინათ. მართალია, წინადაც სწავლობდნენ ქართველთა ისტორიას, მაგრამ ამისთანა შემსწავლელნი იყვნენ ორიოდ-სამიოდენი. ეხლა კი საქართველოს ისტორიის საკმაოდ მცოდნეთა რიცხვი დაითვლება ათობით და ოცობით. მართალია, ეს რიცხვიც დიდი არ არის, მაგრამ მაინც, რაც არის, ისიც დიდი წარმატებაა ამ მხრივ. ამას გარდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ყველა კუთხეში დღეს მრავალნი არიან ახალგაზრდანი, რომელნიც, შეძლებისდაგვარად, სწავლობენ ჩვენს წარსულს. აქვე მოვიხსენიებთ აგრეთვე იმ ამბავს, რომ თვით უმაღლეს სასწავლებლებშიაც ქართველ სტუდენტებ შორისაც გაიღვიძა სამშობლოს ისტორიის შესწავლის სურვილმა, ათიოდე წლის წინათ კი ესრეთი სურვილი მოსწავლეთა შორის, თითქმის სრულიად დახშული იყო.

წინამორბედნი ამ საქებურ საქმეში არიან მაგალითად ბ-ნი ა.ხახანაშვილი და ნ.მარი. ჩვენის აზრის დამამტკიცებელ საბუთად აგრეთვე ისიც ჩაითვლება, რომ საქართველოში, წარსულის

5-6 წლის განმავლობაში, გავრცელდა სხვადასხვა ისტორიულნი სახელმძღვანელონი, პატარა წიგნაკები და სხვ. ერისაგან თავის საკუთარ ისტორიის შესწავლა ხომ პირველი ნაბიჯია მისის წარმატებისა და წინსვლისა. ხოლო ისტორიის შესწავლა უნდა იყოს არა ცალკერძი, ცალმხრივი, არა მიდგომილობით, არამედ კრიტიკული. ყოველ ისტორიულს ამბავსა და გარემოებას, ავია თუ კარგი, თვალს უნდა ვუსწორებდეთ დაურცხვენლად.

ღვთით, ამგვარი კაცნიც, თითქო, გვიჩნდებიან, ჩვენში არიან თითო-ოროლა მწერალნი, რომელნიც სცდილობენ ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია თვალწინ გაგვიტარონ, გვაცოდინონ ფილოსოფია საქართველოს ისტორიისა. სამწუხაროდ, ზოგიერთნი მათგანი ჯეროვანად ვერ გასცნობიან საქართველოს ისტორიას, ვერ შეუგნიათ მისი ორიათასს სამიათასწლოვანი მიმომდინარეობის, არათუ უმცირესნი გარემოებანი, არამედ, ხშირად, თვით უმთავრესნიც. იგინი, როგორც სჩანს, რაოდენადმე გასცნობიან ევროპის ცივილიზაციასა და კულტურას და იმ ალაბით, რომლითაც იზომება ევროპის კულტურის ავკარგიანობა, სზომავენ საქართველოს კულტურასაც. ეს ფრიად საამო ამბავია, დამეთანხმეთ. დროა, გამოირკვეს ჩვენი ,,წვდიადით მოცული" წარსულიც; დროა ვიცოდეთ, ,,ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა", ან რის მაქნისნი ვართ დღეს და რა შეგვიძლიან მერმისში.

ის მწერალნი, ვიმეორებთ, აღჭურვილნი თვისის ,,ცოდნითა და ,,ძალ-ღონით", თვალს გადაავლებენ რა ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას, განცვიფრებაში შედიან, რადგან ვერას სანუგეშოს, ვერას კულტურის მასწავლებელს ვერა ჰპოვებენ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. თუ რაიმე ამგვარი ჰპოვეს, იმასაც სთვლიან არა საკუთარ, თვითმყოფელობის ჭკუის ნაქმარად, არამედ გადმონერგილად, გადმოღებულად უცხო ქვეყნიდამ. თითქო თუნდა ასრე იყოს, ამ გადმოღებასა და გადმონერგვასაც კი ჭკუა, მოხერხება და ცოდნა საჭირო არ იყოს და თითქო თვით ამ კულტურულ თესლის გადმონერგვისა და აღორძინებისათვის საჭირო არ იყოს წინასწარი მომზადება, დაფიქრება და ნიადაგის შემუშავება, რომ ახალმა, უცხო ქვეყნიდგან მოტანილმა თესლმა ფესვები გაიდგას, აღორძინდეს და ნაყოფი მოიტანოს. ამგვარ ფილოსოფოს-კრიტიკოსებისათვის თვით «ქართლის ცხოვრება», რომელიც, მათის აზრით, არის მარტო მშრალი და ხშირად დაუჯერებელი ძეგლი ქართველთ ბრძოლა ომებისა, მეტად დაბალ ფასის წყაროა, თვით უტყუარი ძეგლი ქართველთ სულიერ და გონებით სიბრწყინვალისა-,,ვეფხისტყაოსანი", უბრალო პოემა და ზღაპარია სპარსეთის ისტორიული ცხოვრების ზედგავლენით შედგენილი.

ისინი ეჭვით უყურებენ და კიდეც უარყოფენ ძველი მწერლების (მაგ. სტრაბონის და სხ, მოწმობას ქართველთა ძველს ცივილიზაციაზედ, და არად აგდებენ იმ გარემოებას, რომ ქართველებსა და ისტორიაში გამოჩენილ ერთ დიდი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში. მათთვის არ არსებობს ვახტანგ გორგასლანის მეფობა; ქრისტიანობასა, ხელოვნებასა, ხუროთმოძღვრებასა და ბევრ სხვა გარემოებას ერის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ ყოველივე საქართველოში შემოვიდა ზოგი ასურეთიდამ, ზოგი საბერძნეთიდან და ზოგი არაბეთ-სპარსეთიდან, აქ რა შუაშია საქართველოს კულტურაო, გვეუბნებიან. კეთილი, მაგრამ რათ ივიწყებთ, ბატონებო, იმ გარემოებასაც, რომ აწინდელი ევროპის კულტურაც თავისით არ დაბადებულა, რომ ეს კულტურაც ღვიძლი შვილია იტალიის ძველის კულტურისა და ეს კიდევ - საბერძნეთისა და საბერძნეთისა კი - ეგვიპტისა, ინდოეთისა და ასურეთისა. თქვენის ლოღიკით დღეს ხომ უნდა უარვყოთ ყველა ხსენებულ ერთა კულტურა.

აქ, რასაკვირველია, ესე ვითარნი მწერალნი ივიწყებენ, რომ სხვადასხვა ერში არსებობს განსაცვიფრებელი ერთობა, რომელი აიხსნება კაცობრიობის ბუნების და

საზოგადო ცხოვრების მსგავსებისაგან და ეს მსგავსება და ერთობა თვით ცივილიზაციასა და კულტურასაც რაოდენადმე ერთს ფერსა სდებს. დიდებულთა მკვლევართა და მეძიებელთა კაცობრიობის წარსულისა დიდი ხანია განმარტავს ერთობა და კავშირი სხვადასხვა ერთა და სხვადასხვა დროთა კულტურისა. აწ აღიარებულია ის ჭეშმარიტება, რომ კულტურულ ერთა ცივილიზაციასა და აწინდელ ნადირმყოფთა კულტურას შორის არსებობს დიდი მონათესაობა. განმარტებულია, თუ რანაირად გამოვიდა კაცი ნადირმყოფთ მდგომარეობიდამ, რანაირად განვითარდა გონებითა და ზნეობით, რანაირად მოიგონა იარაღი, საცმელი, შენობა, დაიმორჩილა პირუტყვნი და სხ. შემდეგ რანაირად განაკარგა იარაღნი (მოიგონეთ ქვის საუკუნე, ბრინჯაოსი, რკინისა და სხ. საცმელი, საჭმელი გაამრავლა, მოიგონა ნაოსნობა და დაიწყო ვაჭრობა, აღებ-მიცემა, გამართა მთავრობა და სახელმწიფო და სხ. და სხ. აწინდელმა საუკუნოებმა ხომ დიდის სასწაულები აღმოაჩინა ცასა და დედამიწაზედ.

კაცობრიობას აქვს დიდი ურთიერთშორისი კავშირი. ერთგან სადმე თუ აღმოანათებს კაცის გენია, იგი თანდათან ანათებს დიდს მანძილზე, იმის ნათელის სხივი აშუქებს შორს, მაღრიბიდგან მაშრიყამდე. კაცი იმიტომ არის კაცი, რომ შეიგნოს ჯერ შეუგნებელი, მისწვდეს მიუწვდომელს და იძიოს გამოუძიებელი და კულტურაც იმ ნიადაგზე ხეირობს, სადაც ახალი მუდამ მიისწრაფის წინ, არა დგება ერთ დონეზედ, როგორც ქურაში მჭედელი ჰკვერავს რკინეულობას, ისე ერის გონება, მეცნიერება თავისებურად ახალისებს, ჰჭედავს და ალამაზებს ზნე-ჩვეულებას, საცმელსა, იარაღს და ყოველსავე იმას, რისგანაც შესდგება ეგრედ წოდებული კულტურა კაცობრიობისა საზოგადოდ და რომელისამე ერისა კერძოდ. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რომელიმე კერძო, რომელიმე წვლილი კულტურისა იბადება ერთის ერის გენიოსობის წყალობით და იგი კერძო, იგი წვლილი ვრცელდება სხვა ქვეყანაშიაც. იქ ხალისდება, მკვიდრდება და ფესვებს იდგამს. მაგ. დიდებული იარაღი-ანბანი-კაცობრიობის ფილოსოფიის დასაცველად და აღსაბეჭდავად პირველად მოიგონეს ფინიკიელებმა და იმათგან შემდეგში იგი იარაღი სხვადასხვა სახეობით მოედო თითქმის მთელს მსოფლიოს.

ასრევე მოჰხდა ხუროთმოძღვრულ ხელოვნების გავრცელებაში, იარაღების მოგონებაში, ტყვია-წამლისა, თოფ-ზარბაზანის შემოღებაში და სხ. აგრეთვე ძველი წარმართული რჯული გაფაქიზდა, გამშვენიერდა და რამდენიმე გარეგან სახეობით მოედო მთელს კაცობრიობას. ქრისტიანობის სამშობლო იყო პალესტინა, მაგრამ იქიდგან ამ სარწმუნოებამ მალე დაიმორჩილა სხვადასხვა ქვეყნები, სხვადასხვა ერნი. შემდეგ, თითქმის ყველა ერმა თავისებურად მოაწყო საკუთარ ეკლესია, საკუთარი ფერი დასდო იმის მმართველობასა და გამგეობას. ამ სვეს ვერ ასცილდა ვერც საკაცობრიო მითოლოგია, ვერც ენა, ვერც ზნე და ჩვეულებანი და სხ. ყველა და ყოველივე ესე თუ საერთო, საკაცობრიოა, სხვადასხვა ერში მრავალფერად და მრავალსახით არსებობს. ქვეყანაზედ 3000 მილიონამდე სული კაცი და ქალია, მაგრამ მათ შორის ორიც არ მოიპოვება ისეთი, რომ ერთიმეორეს სრულიად და სავსებით ჰგვანდეს, ასრეც ორი ერია. ყველა ზნე-ჩვეულობა და სხ. თუმცა საერთო წყაროდამ შეიქმნა და აღორძინდა, მაგრამ სხვადასხვა გარემოებაში ჩავარდნილმა საკუთარი ფერი მიიღო, საკუთარი იერი დაიჩნია.

ეხლა რომ ჩვენი კლასიკოსები უარჰყოფენ ჩვენს ისტორიას, წარსულს, რადგან, ვითომ, მათის აზრით, ყოველივე გადმოღებული გვქონია, განა მართალნი არიან? არა. ასრე შეიძლება, ვამბობთ, უარვყოთ ყოველივე ერის ისტორია და მაშინ დაშთება მხოლოდ მშრალი ისტორია მთელის ხალხოსნობისა. მართალია, ძველის იტალიელებისა

არ იყოს, ,,მთელი მსოფლიო არის ერთი მამულიო", მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ხალხოსნობის ისტორია კერძოდ შესდგება სხვადასხვა ხალხის ისტორიისაგან, სხვადასხვა თავისებურად დამკვიდრებულ კულტურისაგან და ჯამი ყველა ხალხების კულტურისა არის კულტურა კაცობრიობისა.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ თვალწინ, თუ რა არის კულტურა, რა ელემენტებისაგან შესდგება იგი, აქ მოვიყვან სიტყვებს დიდბუნებოვან ისტორიკოსის ჰიბბონისას:,,ძველთა და ახალთ ზღვათამავალთა აღმოჩენილებანი და შინაური ისტორია, ანუ გადმოცემანი განათლებულ ხალხებისა ველურ კაცს გვიხატავენ გონებითად და ზნეობითად შიშველს, რომელსაც არა აქვს არც კანონები, არც ხელოვნებანი, არც ისტორიანი და არც ენა. ამ პირველყოფილ მდგომარეობიდამ ხალხოსნობა თანდათან ამაღლდა და შეიძინა ბატონობა პირუტყვთა ზედა, ისწავლა მეურნეობა მიწისა, გადალახვა ზღვათა და ზომა ცისა და ქვესკნელისა" ტეილორი კიდევ ამბობს:,,კულტურა ანუ ცივილიზაცია, საზოგადოდ ეთნოგრაფიულის მხრით შესდგება ცოდნისა, რწმენისა, ხელოვნებისა, ზნეობისა, მართლიერებისა, ჩვეულებათა და ზოგიერთ სხვა ნიჭიერთაგან, რომელნიც კაცმა, ვითარცა საზოგადოების წევრმა, შეითვისაო".

მართლა, ნუთუ ქართველმა კაცმა 2000- 3000 წელიწადი იცხოვრა და ამ უშველებელ დროს განმავლობაში სულ უქმად იყო და ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა არათუ კაცობრიობას, არამედ თვით თავის თავს, თავის ქვეყანასაც კი...

გარწმუნებთ, ჩვენ არა ვართ ქართველთა ისტორიის პანეგირისტი და გუნდრუკის მკმეველი. მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან დავდუმდეთ, როდესაც ესე ხელაღებით უარყოფენ ჩვენს წარსულს ზოგი უვიცობით, ზოგნი კი იმიტომ, რომ იგი წარსული მათ დიდებულ ძალად მიაჩნიათ, იმ ძალად, რომელიც ასულდგმულებს, ზურგს უმაგრებს იმთავითვე ქართველებისთანა ყოფაში ჩავარდნილ ხალხს...

სხვას ყოველივეს ზურგი რომ შევაქციოთ, იმ ფაქტებს მაინც აღტაცებით როგორ არ უნდა მივეგებნეთ, რომ საქართველო გაქრისტიანდა ბერძნებთან ერთად, ქრისტიანული მოქალაქეობა დაიწყო, მოაწყო ნაციონალურის ეკლესიის გამგეობა და ამ ეკლესიას მეხუთე საუკუნეშივე მიანიჭა დამოუკიდებლობა და თვითმყოფელობა, აგრეთვე სამშობლო ენაზე შეჰქმნა საეკლესიო ლიტერატურა, რომლის უტყუარი ნაშთები დღესაც არსებობენ მე-VI, მე-VII-ე, მე-VIII და შემდეგ საუკუნოებიდამ. ძველს მატიანეს თუ დავუჯერებთ, ქართველთ სახარება გადმოუღიათ მეხუთე საუკუნეშივე. ყოველსავე ამას რომ მივიღებთ მხედველობაში, ნუთუ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქრისტიანო საქართველოში პირველ საუკუნოებიდანვე ტრიალებდა რაღაც დიადი მისწრაფება, აზროვნობა და ამ საიდუმლო მისწრაფებამ შთააგონა ქვეყნის მოსურნეთ, რომ ქრისტიანობის მოსაფენად ხალხში, ქრისტიანულად სალოცველად საჭიროა საერო ენაზედ გადმოღება ღვთისმეტყველებისა. დიაღ, ეს მოსაზრება არ არის წინააღმდეგი არც ფილოსოფიისა და არც მეცნიერებისა. ავტოკეფალია, თვით გამგე ეკლესიისთვის საჭირო იყო ღვთის დიდება ღვიძლს ენაზე. იწყეს ქართველებმა შესწავლა უცხო ენებისა. ამ სწავლამ ნაყოფი მოიტანა. ქრისტიანობის მიღებიდამ არ გაუვლია სულ ორ საუკუნეს, რომ ქართველთ ენაზედ გაეწყო ღვთისმეტყველება. თვით ამ ღვთისმეტყველების გაწყობას სამშობლო ენაზედ ჩვენს თვალში დიდი ფასი სდევს, დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ქართული ენა მაშინ უკვე საკმაოდ განვითარებული იყო, რომ შესაძლებელი შეიქმნა გადმოღება საღმრთო წიგნებისა.

საეკლესიო ლიტერატურის დაარსება საქართველოში ერთი ნაბიჯია ქრისტიან ქართველთა სულიერ და გონებით ცხოვრებაში. მას მოჰყვა მეორეც. იგი არის

გავრცელება საერო ლიტერატურისაც. გუჯრებისა და სიგელების წერა საქართველოში შემოვიდა მე-IX-X საუკუნიდან, შემდეგ საერო კანონები, რომელსაც მოჰყვა- ვისრამიანი, ვეფხისტყაოსანი, ბალავარისა, ამირან-დარეჯანიანისა, მატიანეთა, ფულთა (მე-V საუკუნედან) ზედწარწერით და სხ.

ეს ხომ ითქმის ქრისტიანობის მომდევნო საუკუნოებზედ და, არა გვგონია, რომ თვით ურწმუნო თომამაც უარჰყოს ეს ფაქტნი ქართველთა წარმატებისა და უტყუარი საბუთნი ქართველთ კულტურისა და ცივილიზაციისა. მაგრამ ჩვენ არ შევჩერდებით მარტო ამ ხანაზედ, არამედ მოვიყვანთ მრავალს ცნობებსა და საბუთებს შესახებ ქართველთ ყოფა-ცხოვრებისა ყველა ეპოქებიდგან. წარმართობითგან დაწყებული მოდღეინდელად დრომდე და ვეცდებით, რაოდენადაც ძალ-ღონე შეგვწევს, ავხსნათ იგი საბუთნი ეთნოგრაფიულისა და კულტურულის მხრით.

ხოლო აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რადგან უარმყოფელებს უვრცელესი ჩვენი მატიანე («ქართლის ცხოვრება»), მიუხედავად მისის დიდის ღირსებისა, არა სწამთ, ჩვენც ამ ხელად გვერდს ავუქცევთ მას და ვეცდებით სულ სხვა, უტყუარ და უცხო წყაროებიდამ ამოვკრიფოთ ცნობები შესახებ ქართველთ კულტურისა და ცივილიზაციისა. ამგვარ წყაროდ ჩვენ ვსთვლით უცხოელ მწერალთა და მეცნიერთა ცნობა-გამოკვლევათა, აგრეთვე ჩვენსავე გუჯრებს, სიგელებს, ხუროთმოძღვრულ ნაშთებს, მათს წარწერას, ნუმიზმატიურ ფაქტებს, ძველს სამწერლო ნაშთებს, საფლავებში პოვნილ ნაშთებს, ლეგენდებს, მითებს, ანდაზა-გამოცანებს და სხ. ყველა ამ მასალაში უტყუარად გამოიხატება ქართლოსიანთა ერის შეხედულობა ადამიანის მოწოდებასა და ქვეყანაზედ, ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, მთელი ფილოსოფია ქართლოსიანთა ერისა...

ჩვენის წარმართობისა და ქრისტიანობის დროინდელ ისტორიას შორის არასდროს არ შეწყვეტილა კავშირი, ასე რომ მთელი 2000-3000 წლოვანი ისტორია ქართველთა ერთი განუწყვეტელი გრეხილია.

თქმულის საბუთად მოგვყავს ის გარემოება, რომ უკანასკნელ დროსაც არის იგივ საპოლიტიკო და საეკლესიო იერარქია, როგორათაც უწინარეს დროში იყო, ხოლო იმ განსხვავებით-კი, რომ წინანდელი რამდენსამე სამთავროებად დაყოფილი ქვეყანა ბოლოს ერთდება, წინანდელი წვრილი სამთავროები (კოლხიდა, ლაზიკა, პონტო, სვანეთი და ალბანია) უქმდება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უერთდება ივერიას. დეცენტრალიზაცია მთავრობისა და ქვეყნის მეურნეობისა თანდათან ისპობა და გაერთიანებულს საქართველოში მყარდება უზენაესი სახელმწიფო უფლება. წინანდელს სამთავროებში, მაგიერ მეფე-მთავრებისა, ქვეყნის მმართველებად საქართველოს მეფისაგან ინიშნებიან მხოლოდ ერისთავები.

სარწმუნოებრივი მხრით საქართველოს გაერთიანება მოჰყვა ქრისტიანობის მიღების მომდევნო პირველ საუკუნოებს, ხოლო პოლიტიკური გაერთიანება-კი დაგვირგვინდა ბაგრატ მეფის დროსვე (1027-1072). ამ დროს ქართველი ხელმწიფე უკვე იწოდებოდა მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა (წარწერა ნიკორწმინდის ტაძრისა იმერეთში:,,ძეო ღვთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურატპალატი” კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა») კაცხის მონასტრისა:,,წმ. სა-მებაო, ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურატპალატი”). შემდეგში - კი (მე-XII საუკ.) საზღვარი საქართველოისა შეიქმნა კასპიის ზღვა, არეზის მდინარე და მის სათავიდგან გავლებული ხაზი შავ ზღვამდე (გონიოსა და ტრაპიზუნტის შუა).

უძველეს დროში იმ ადგილს, საცა ეხლა მოსახლეობენ ქართველნი, ბერძენ-რომაელთა მწერალნი იხსენიებენ რამდენსამე სამთავროსა და სამეფოს. (Извест. Древн. Греч. И римс. Писат. О Кавказе, განისა). იგი მწერალნი და აგრეთვე წინასწარმეტყველი მოსე მოიხსენებენ თუბალს, მოსხს, კოლხს, სუანს და სხვათა, რომელნიც, ახალის გამოკვლევით, არიან ქართველთა მოდგმისანი. ეს სამთავრო-სამეფოები. ჭირ-ბოროტის დროს ერთად ებრძვიან მტერს, ერთად იხსენიებიან ყოველთვის, როდესაც მძლავრი მტერი შემოესევა ქვეყანას.

ასურეთში ნაპოვნი ქვის წარწერა (მე-XI საუკ. ქრ. წინ.) გადმოგვცემს შემდეგს საყურადღებო ცნობას:

თეგლატფალასარმა პირველსავე წელს თვისის მეფობისა დაიმორჩილა მოსხნი ხუთითავე მეფეებითა, რომელნიც წინ უძღოდნენ თავის ერს საშველად კოსმოჟენთა, რომელნიც ასურეთის მორჩილებიდამ გამოვიდნენ (ისტ. ასურეთისა, გვ. 260, ლენორმანისა).

ოფიციალური წარწერა ერთს ძეგლზე გვიჩვენებს, რომ ფინიკიელთა მეფეს თეგლატფალასარ II-ს დაუმორჩილებია მრავალი ერი და 731 წელს ქრ. უწინარეს მათი მეფეები (სულ 23-ი) მიუწვევია ნინევიას და ხარკის მიტანაც დაუვალებია. ამ მეფეთა შორის ძეგლი მოიხსენიებს კოლხიდის მეფეს დადილს და ვასსამ ტიბარენელს (ისტ. ფინიკიისა, გვ. 504, ლენორმანისა). ბერძენთა ლეგენდა (მე-XII საუკ. ქრ. წ.) ასახელებს კოლხიდის მეფეს აიეტს, აღწერს იმის სასახლეს და სხვ. ამასვე მოგვითხრობს ჰომიროსი (9—წ. ქრ. წ.), მიმნერმი (630-600), პინდარი და სხ. 545 წ. კიროსმა დაიპყრა კოლხიდა და ქალიბნი. დარიოსმა (514-510) დაიმორჩილა მრავალი ქვეყნები და თავისი სამეფო გაანაწილა სატრაპიებად. მათ შორის ივერია და ალბანია შეადგენდა მე-18 სატრაპიას და მოსხნი, ტიბარენნი, მაკრონნი, მოსინეკნი მე-19 სატრ. რომელნიც საერთოდ იხდიდნენ 500 ტალანტს ხარკს ყოველწლივ (ისტ. სპარ. მიდიისა, გვ. 259, ლენორმანისა). ჰეროდოტი (480-426) ამბობს:,,კოლხთა მეფემ საბერძნეთს გაგზავნა მოციქულებიო”.

იმავე უცხოელ მწერლების ნაამბობს რომ მივუდგეთ, დავინახავთ, თუ როგორ თანდათან უძლურდებიან ცალ-ცალკე სამთავრონი და როგორ იზრდება და ძლიერდება ივერია, ესე იგი ის შუაგული საქართველოისა, რომელიც, მათსავე თქმით, შემოიზღუდება მდ.არეზით, ცივ-გომბორისა და კავკასიონის მწვერვალით და მოსხის მთებით. ეს სიძლიერე ივერიისა პირველსავე საუკ. ქრ. შემდეგ იმ ზომამდე აღმატებული იყო, რომ, როგორც გადმოგვცემს ქვაზე დაშთენილი ძეგლი 75 წლ., მსოფლიო მფლობელის რომის იმპერატორისთვისაც კი სასიქადულო შეიქმნა მეგობრობა ივერთ მეფის მითრიდატისა.

საკვირველიც არ არის. ივერია ძლიერი სახელმწიფო იყო. დიდძალი მხედრობა გამოჰყავდა საომრად. ძლიერი ციხეები და ქალაქები ჰქონდა. მის მეგობრობასა და მტრობაზედ იყო დამოკიდებული სიმშვიდე რომის აღმოსავლეთის საზღვრებისა, ანუ ღელვა და განდგომა მათი. ივერია იყო იგეთი სიმაგრე, იგეთი კარი, რომლის გაღება მოასწავებდა ჩრდილოეთის ველურების შესევას რომის მცირე აზიის სამფლობელოებში. ამას გარდა იმავე მეგობრობის წყალობით სწარმოებდა რომის აღმოსავლეთის მხრის ვაჭრობა, აღებ-მიცემა, რომელიც, როგორც ქვემოთ დავინა-ხავთ, ფრიად გაძლიერებულ იყო რიონ-მტკვრის სავაჭრო გზის შემწეობით. ამიტომ რომის იმპერატორები შემთხვევას არ ჰკარგავდნენ, რომ როგორმე და რითიმე ესიამოვნებინათ ივერთ მეფეთათვის.

ელი სპარტიანი ადრიანეს ცხოვრების აღწერაში ამბობს, რომ იმპერატორი ადრიანე (მესამე საუკ. ქრ. შემდეგ) იმისთანასა და იმდენს საჩუქრებს არავის

უძღვნიდა, როგორსაც და რამდენსაც ივერთ მეფეს, რომელსაც აუარებელ და ძვირფას საჩუქართა შორის გაუგზავნა აგრეთვე სპილო და მეფის მცველებად 500 კაციო. დიონ კასსი მოგვითხრობს, რომ 138 წ. ქრ. შ. ივერთა მეფე ფარსმანი მეუღლითურთ მობრძანდა რომს და დიდის დიდებით მიღებულ იქმნა ამ ქალაქშიო. იმპერატორმა მას სხვა მიწებიც (ქვეყნებიც) აჩუქა და ნებაც მისცა, რომ კაპიტო-ლიუმში მსხვერპლი შეეწირაო. ფარსმანს ბელლონის ტაძარში ანდალმა (სტატუა) დაუდგეს 138 წელსაო.

ბერძენ-რომაელთა (Извест. Древн. Греч. И римс. Писат. О Кавказе, განისა) მწერლების თქმით, არც ერთი სხვა სამთავრო-სამეფო, საცა მოსახლეობდნენ ქართველთ მოდგმისანი, ივერიასავით კეთილგანწყობილი არ ყოფილა. სტრაბონი, რომლის დედის ბიძა იჯდა ტეტრარხად (ერისთავად) ლაზიკაში, ამბობს, რომ ივერიაში მკვიდრნი ოთხ წოდებად იყვნენ განაწილებულნიო. პირველს წოდებას, უმაღლესს ეკუთვნიან იგინი, რომელთაგანაც ყველაზე უფროსს გვარში და თემში ირჩევენ მეფედ და იმის მომდევნოს წლოვანობით მსაჯულთუხუცესად და მხედართმთავრადაო. მეორე წოდებას შეადგენდნენ ქურუმნი, მათ ხელშია აგრეთვე სამართალი; მესამე წოდებას შეადგენდნენ მხედარნი და მიწის მუშაკნი და მეოთხეს ერი და სამეუფო ყმანი და ყველა ხელის მოსამსახურენიო. მეხუთე საუკ. ქრ. შ. სომეხთ ისტორიკოსი მოსე ქორენელი ასწერს საქართველოს საპოლიტიკო იერარქიას და ამბობს, რომ აქ მეფის მოხელეთ ერქვათ ,,სეფეწულნიო" და სხ. ამ სახით, მთავრობა და მეფობა საქართველოში უეჭველი ფაქტია. უცხოელთ გარდა ჩვენს მეფობას შეეხებიან საქართველოშივე დაშთენილნი უტყუარნი ძეგლნი. მაგ., ფული. ეს ფული დღეს უკვე გამოკვლეულია და დაწვრილებით აღწერილი, სხვათა შორის ქართული ფული ზედმიწევნით ბარათაევმა აღწერა თავის წიგნში ,,Нумизматические факты грузинского царства". პირველი ფული, ჩვენამდე დაშთენილი, ეკუთვნის მეფე ვახტანგ გორგასლანს (446-499), შემდეგი ადარნასეს (634-663), ჯუანშერს (718-786), ბაგრატებს, დავითს, გიორგის, თამარ დედოფალს და სხ. თამარის ფულზედ აწერია:

,,დედოფალი მაღალ-ხარისხოვანი,
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა;
თამარ, ასული გიორგისა,
შემდეგი მესსიისა,
ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი".

გაერთიანებულის საქართველოს მეფენი იყვნენ ფრიად ძლიერნი. ეს სიძლიერე შეიქმნა მიზეზად, რომ მეფენი ამგვარ თავმოწონების წარწერით ამკობდნენ თავის მიერ მოჭრილ ფულსა.

სომხის თანამედროვე მწერალი ასოღიკი დავით კურაპალატზე (980-1008) ამბობს, რომ ,,სიტკბოებით და მშვიდობისმოყვარეობით დავითი აღემატებოდა ყოველთა ხელმწიფეთა, რომელნიც კი ჩვენ დროს სცხოვრობდნენო; დავითი იყო მიზეზი ყოვლის აღმოსავლეთის მშვიდობისა და კეთილწესიერებისა და განსაკუთრებით კი სომხეთისა, ივერიისა... მან სძლია ყველა უცხო ტომებს, ასე რომ ყველა ხელმწიფენი თავის ნებაყოფლობით ემორჩილებოდნენო".

იგივე ასოღიკი დავით აღმაშენებელზე მოგვითხრობს, რომ განზაგის ემირი გაზი 30000 კაცით შემოესია საქართველოს, მაგრამ დავითმა ეს ჯარი სრულიად დასწყვიტაო. იგივე სომეხთ მწერალი ამავე მეფეზედ ამბობს:

,,შეკრბა ყოვლის მხრის თურქობა და შემოესია საქართველოს ტფილისის მხრიდამ. მტრის ჯარი იყო 560000 კაცი. დავითი დაუხვდა 60000 კაცით. იყო 15 აგვისტო და მტრები შეიბნენ. მოხდა ომი საზარელი და სასტიკი, ასე რომ მთანი ინგრეოდნენ. მტერი იძლია. ნაომარზე დარჩა 400000 დახოცილი მტერთაგან და 30000

დატყვევებული იქმნა. დაღამდა. ჯარი გაიქცა და ქართველებმა ,,განთქმულთა თვისის სივაჟკაცით", სდიეს მათ ვიდრე ქალაქ ანის საზღვრამდე.

ამავე ბრძოლას აღწერს გოთიე და მტრის ჯარს აღრიცხავს 600000 კაცად, ქართველთა, სომეხთა და ბერძენთ მწერალნი ერთნაირად მოგვითხრობენ, ქართველთა მხედრობამ თუ როგორ იხსნა კონსტანტინეპოლი სკლიაროსისაგან და სხვა.

ესეთი გახლდათ საქართველოს მდგომარეობა მე-X-XII საუკუნეებში. შემდეგ კი ულმობელმა ისტორიულმა გარემოებამ შეასუსტა ქართველი ერი. ეს შესუსტება დაიწყო მსოფლიო ღელვათა შემდეგ, მე-XIII საუკუნის ნახევრიდამ, როდესაც მონგოლთა უთვალავი მხედრობა, სამად გაყოფილი და ქვეყნის სამის მხრისკენ გალაშქრებული, რისხვითა და წარღვნით ერთსა და იმავე დროს ზარს სცემდა ჩრდილოეთს, დასავლეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთი ხომ წინათვე ჰქონდა შელახული. დასავლეთისკენ მიმართულ მოზღვავებულ ლაშქრის სიმწარე-რისხვა პირველად გამოსცადეს ქართველებმა, თუმცა რიცხვით მცირემ, მაგრამ ომ-ბრძოლაში ,,ვითა ლომმა". დამარცხებულს ქართველებს გამარჯვებულმა მტერმა დიდი ფასი დასდო მამულისათვის ვაჟკაცურად თავდადებისა და უშიშარ მეომრობისათვის. ამიტომაც ქართველს მხედრობასა და მეფეებს უმეტესი და უაღრესი პატივი ჰქონდათ მონგოლთა ხაყანების წინაშე, ვიდრე სხვა ერის მეფეებს. მონგოლების შემდეგაც ქართველობა იყო განუწყვეტელს ბრძოლაში ერთის მხრით სპარსთა და მეორეს მხრით ოსმალთა წინააღმდეგ. საქართველო უმეტესად შესუსტდა მაშინ, როდესაც სპარს-ოსმალთ შორის ატყდა მუდმივი ბრძოლა და ცილობა დასაკუთრებისათვის ჩვენის ქვეყნისა. მტერნი ებრძოდნენ ერთმანეთს შიგ საქართველოშივე, ხშირად ქარ-თველთაც იშველიებდნენ მტრის დასამარცხებლად და შემდეგ გამარჯვებისა, თავისუფლების მინიჭების მაგიერ, ომს აუტეხდნენ თითონ ქართველსავე და სცდილობდნენ აღმოეფხვრათ თესლი ქართველთა, იმათი ენა და სარწმუნოება. ამ საქმეში მტრებს ხელს უწყობდნენ დანარჩენი კავკასიელნიც, რომელთაც ქართველნი ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან უძლიერეს მტერთან ომების გამო ამათთვის ვეღარ იცლიდნენ. ამასობაში კავკასიელნი ნელ-ნელა გაძლიერდნენ, შეიგნეს სიტკბოება თავისუფლებისა, შეჯგუფდნენ, შემოიფარგლნენ და სპარს-ოსმალთ წაქეზებით დაუწყეს ბრძოლა ქართველთა, ამ ერთადერთს აზიის საქრისტიანო სახელმწიფოს. ქართველმა იხმარა ყოველი თავისი ნიჭი, ყოველი თვისი ძალ-ღონე, რათა გაეძლო და გადარჩენილიყო განსაცდელისაგან. შველას აღარსაიდან მოელოდა. სომხეთი განადგურებული იყო. მცირე აზიის სახელმწიფოები უკვე მიწასთან გაესწო-რებინათ, რომის სიძლიერე შეელახნათ ჩრდილოეთის ველურებს და ბიზანტია დაემხოთ ოსმალთ. ამ მდგომარეობაში იყო მაშინდელი საქრისტიანო სახელმწიფოები და ქვეყნები. მაგიერად ჩვენს გარშემო გაძლიერდა მაჰმადიანობა. იგი, გამოდევნილი ევროპიიდგან, თითქო ჯავრს ჰყრილობდა აზიის ქრისტიანებსა და უმეტესად კი ქართველებზე. სამაჰმადიანო დროშა, აღმართული ბიზანტიის იმპერიისა, მცირე და დიდს აზიასა, სომხეთსა, პონტ-ანაგორიასა (ყირიმის კუნძული, საცა დაწესდა სულთნობა) და კავკასიის მთიულებში, გამწარებულად ებრძოდა ერთ მუჭა ქართველს ერს და ყოველ დღე შიშ ქვეშა ჰყვანდა. საშინელი ყოფაა ეს ყოფა. შეიძლება გვიკიჟინონ, რომ, ვსთქვათ, მაშინდელმა დრომ ჩვენში დაბადა არა ერთნი და ორნი გმირნიო, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ თავის დადება მამულისთვის, ბრძოლა მტრებთან არ შეწყვეტილა მე-XIII-XVIII საუკუნის დასასრულამდე. აქ ვხედავთ იმის მაგალითებსაც, თუ როგორ ჩვენი დედანიც სწირავდნენ თავს ქვეყნისათვის, თუ როგორ იბრძოდნენ ქმარ-შვილთან ერთად

მტრის წინააღმდეგ. 3/4-დი ქართველ მოწამეთა რჯულისა და სამშობლოსი ეკუთვნის არა წარსულს ათს საუკუნეს (IV-XIII), არამედ მის მომდევნო ხუთს საუკუნეს (XIV-XVIII).

ამ საშინელს ყოფას გაუძლო ქართველობამ და მოაღწია მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე. ამ მოვლენის მიზეზი იყო შინაური კულტურული ძალა, შინაური განწყობილება. და შინაური მიმართულობა და განწყობილება ხომ აშკარა ნიშანია ერის კულტურისა. ამ კულტურულ ნიშნების შესახებ მოვიყვანთ ქვემოთ.

ახლა თვალი გადავავლოთ ჩვენს **ვაჭრობასა და აღებმიცემობას**.

საზოგადოდ ვაჭრობა, აღებმიცემობა არსებობს ძველადგანვე, იმ ხნიდგან, რა ხანსაც აღმოაშუქა ცივილიზაციის პირველმა ცისკარმა. პირველნი ვაჭარნი იყვნენ ფინიკიელნი. მათ სამი სავაჭრო გზა ჰქონდათ:კავკასიისკენ, ეგვიპტისკენ და ხმელთაშუა ზღვით ევროპიისკენ. ამ გზებზე მოუდიოდათ აუარებელი საქონელი, რომლის გადმოსაზიდავად გამართული ჰქონდათ ძლიერი ნაოსნობა. თვის ვაჭრობის გასაძლიერებლად დამართული ჰქონდათ ახალშენები:კიპრს-კრიტსა, კავკასიაში და სხ. საბერძნეთის ვაჭრობა მთლად ფინიკიელების ხელში იყო. ბერძენნი მაშინ ფრიად სუსტნი იყვნენ და საკუთარი წარმოება არ ჰქონდათ (ლენორმანი). ფინიკიელთ მოიგონეს მინა, საღებავი წამლები, დაიწყეს ჭედვა ბრინჯაოსი, რკინისა, შემუშავება ოქრო-ვერცხლისა და სხ. ყოველივე ეს შეჰქონდათ უცხო ქვეყნებში და სცვლიდნენ ადგილობრივს ნაწარმოებზე. სხვათა შორის საქართველოდგან მათ მე-XVII-XIV საუკუნოებში ქრ. წ. გაჰქონდათ:ოქრო, რომელსაც ამუშავებდნენ კოლხიდელნი, კალა (ბრინჯაოს გასაკეთებლად), რომელიც გამოჰქონდათ ივერთა და ალბანელთ თავიანთ მთებიდამ, ტყვია-ვერცხლი, რომელიც იმავე ქვეყანაში მოიპოვებოდა, და ბოლოს შემუშავებული რკინეულობა და მეტალები, რომელსაც ქალიბნი (ხალიბები) ჰპოებდნენ მთებში და რომელთა სახელი მას შემდეგ განითქვა. ეს მეტალები იყო:ბრინჯაო უაღრესის ღირსებისა, რკინა ზოდებად და ნაჭრებად დაჭედილი და მეტადრე-კი ფოლადი, რომლის შემუშავება მაშინ არც ერთ სხვა ხალხმა არ იცოდა და აქ-კი, საცა მეტალურგია რკინისა პირველად მოიგონეს, აქ-კი, ვამბობთ, ფოლადის შემუშავება იცოდნენ უხსოვარ დროიდგანვე (ისტორია ფინიკიისა, გვ. 467, ლენორმანისა).

ბერძენ-რომაელთა მწერლების თქმით, ჩვენი ქვეყანა ძველადგანვე განთქმული ყოფილა თავის სიმდიდრით. აქაური ერი მიწის მუშაკი იყო. აქაურ ნიადაგის სიმდიდრეს აღტაცებაში მოჰყავს იგივე მწერლები. აქ უთესნიათ პური, ბრინჯი. ღვინო საუკეთესო სცოდნიათ. თაფლი კამბიზენისა (ქიზიყი) მშვენიერი აო, ხოლო კოლხიდისა მწარე. ამას გარდა უთესნიათ სელი, ლერწამი, კანაფი და უკეთებიათ ტილოები. ჰყოლიათ ცხვარი, ცხენი, ძროხა, სცოდნიათ მატყლის შემუშავება. კაპადოკიის ცხენები ფრიად განთქმულნი იყვნენო. 6000 მხედარი აქედგან სპარსეთის ჯარში იყო ქსენოფონტის დროსაო (იხ. Истор. Одежды, вооруж., постр. И утвари народ. Древ. Мира, გერმ. ვეისისა). თუ დაეჯერება ჰეროდოტს, კავკასიის ერთ სცოდნიათ თვით ნაწარმოებთა და ნაქსოვთა შეღებვა. საღებავ წამალს აკეთებდნენ ერთნაირ მცენარისაგან და ამ საღებავებით შეღებილი ნაქსოვი არასდროს არ ხუნდებოდაო. მიწის შემუშავება სცოდნიათ გუთნითა და სახნისით. სტრაბონი ამბობს, რომ ალბანელთ მიწა ისეთი ნაყოფიერი იყო, რომ ხის სახნისით მოხნული მიწაც მრავლად ასაჩუქრებდა ხალხსაო. აპ. როდოსელმა (250-200 წელ. ქრ. წ.) აღწერა რა ძველი კოლხიდა, ამბობს, აიეტს ჰყვანდა ხელოვანი კაცი გეფესტი, რომელმაც მეფეს გაუკეთა ხარები სპილენძის ფეხებიანი და რქიანი და გუთანი ფოლადის მთლიან ნაჭრისაგანაო. თვით ბერძენთ ლეგენდა ოქროს მატყლოსან ვერძის შესახებ

იმას გვიჩვენებსო, ამბობს სტრაბონი, რომ ამ ქვეყანაში ოქრო მოიპოვებოდაო. ამბობენო, განაგრძობს პლინიუსი, რომ კოლხთა მეფე სავთაკმა სვანთა ქვეყანაში ბევრი ოქრო ვერცხლი ჰპოვაო. სვანთა ხელობა არის ოქროს მადნების შემუშავებაო.

ქართველებს საწამლავებისა, სურნელოვანებათა, საცმელებისა და იარაღების კერვა-კეთებაც სცოდნიათ.

მოსხთა აცვიათ:ზუჩ-ჩაფხუტი, ჩაჩქანი, აქვთ ფარი და მოკლე ტარიანი, მაგრამ გრძელ რკინიანი ლახვრები (ჰეროდოტი).

კოლხელთ:იგივ ჩაფხუტი, ჩაჩქანი, ხარის ტყავის ფარები, მოკლე ლახვრები და საომრო დანები; ისპირელთ ისევ ისა, რაც კოლხელთ.

კაპადოკიელთ ამას გარდა კაბა, შარვალი მატყლეულისა, ჩაჩანაკი და წაღები (იხ. Истор. Одежды, вооруж., постр. И утвари народ. Древ. Мира, გერმ. ვეისისა).

ქალიბთ:სელის ჯავშან-ჯუბანი, ქამარზედ ხმალი, ლახვრები ბერძნულის 15 ალაბის სიგრძისა (ქსენოფონტი).

კოლხთა მეფე აიეტმა მკერდზე გაიკეთა მაგარი ჯავშანი, თავზედ ოქროს ჩაფხუტი დაიხურა, აიღო ფარი მრავალკეც ტყავთაგან შეკრული და მერე საშინელი ლახვარი, რომელსაც ვერც ერთი გმირი მოერეოდა, გარდა ჰერკულესისა. შემდეგ მოართვეს ეტლი ძრიელ ცხენებით შებმული, რომელსაც აქეთ-იქით ფარნები ჰქონდა გაკეთებული (აპ.როდოსელი და სხ.).

ივერ-ალბანელთ:ჯავშან-ჯუბანი, ლახვრები, ისრები, ფარები, ჩაფხუტი (სტრაბონი და სხ.), კასპელთ ეცვათ:მოკლე ჯუბანი, მათებურად ,,სისინი" (ჰეროდოტი).

ზოგიერთგან გრძელს საცმელებს იცვამდნენო, უფრო წითლებს. აქ აღვწერ ქალის შემოსვა-მორთვასაც. რაწამს ცისკარმა ამოაშუქა, მედეამ შეიკრა თავისი აშლილი თმები და დაიბანა თვისი ხმელ-ხმელი ლოყები, მერე კოხტა ტანისამოსით მოირთო და შეიკრა ხელოვნურად გაკეთებული დუგმებით. გასურნელოვანებულ თავ-პირზედ კი რიდე დაიხურა (აპ.როდოსელი).

საზოგადოდ ქართველთ სცოდნიათ თავის ნაწარმოების გატანა. ნაოსნობა უცხო საქმე არა ყოფილა მათთვის. შავ ზღვაზედ მრავალი ნავი ჰქონიათ. დემოსთენი (450-413) ამბობს, რომ აქამდე ყველა ნავთსაყუდელთა შორის უმეტესი ხორბალი ჩვენთვის მოდის პონტის ნავთსაყუდლიდამაო. ამიტომაო, რომ ადგილობრივ მეფეს ბაჟისაგან გაუნთავისუფლებია ყველანი, რომელნიც კი ათინისთვის ვაჭრობენო. პირველად ათინაში მომავალი გემები იტვირთება ხორბლითა და შემდეგ სხვანიო.

გამოჩენილს რიტტერს (Ист. Землевед) ქართველთ წარმოებაზედ მოჰყავს შემდეგი ფრიად საყურადღებო ცნობანი:პომპეიმ რომ დაამარცხა მითრიდატ დიდი, ჰპოვა აქ დიდძალი მარგალიტი, ძვირფასნი თვალნი, ალმასი და სხ. ეს თვალნი მანამდე რომაელებს გაცნობილი არა ჰქონდათ. პომპეიმ რომში მოიტანა 33 გვირგვინი, მოჭედილი ძვირფასის ქვებით. მანამდე რომაელებს არა ჰქონდათ გაცნობილი აბრეშუმეული და ესეც რომში შემოვიდა რიონ-მტკვრის სავაჭრო გზით ცეზარის დროსაო. ამ დროდგან რომში შემოვიდა მდიდრულის ცხოვრების მიდრეკილება და მარტო ამ ძვირფას ნივთებისათვის აღმოსავლეთისაკენ ყოველ წლივ იგზავნებოდა ხუთი მილიონიო... მხოლოდ შორაპანში, პლინის თქმით, სავაჭრო საქონლის სასყიდლად რომის ხაზინიდამ ყოველ წლივ იგზავნებოდა 100000 სესტერცი.

თუ რა ნივთიერი ძალა ჰქონდა ქართველებს წინად, გვიჩვენებს ის გარემოებაც, რომ როდესაც დაედოთ უღელი სპარსთა მონებისა, დარიოსის დროს ყოველწლივ იხდიდნენ 500 ტალანტს (ჰეროდოტი). მეფის შეძლებასაც გვიხატავს ის შემთხვევა, რომ პომპეუსის მოსაშორებლად ივერთა მეფემ საჩუქრად ამ მხედარს გაუგზავნა

წმინდა ოქროსაგან გაკეთებული ლოგინი (ტახტი), გვირგვინი და ტაბლა (პლუტარხი).

სავაჭრო გზები:ევმელ ერასთოსთენი (276 წ.) იხსენიებს სავაჭრო გზას ფაზ-მტკვრის ხეობაზე მიმავალს კასპიის ზღვამდე და იქიდგან ინდუსტანამდე. ჰეროდოტის თქმით, უწინდელის დროითგანვე შავსა და კასპიის ზღვაზედ არსებობდა ნაოსნობა სავაჭროდ. სტრაბონი ამბობს:7-8 ვერსის მანძილზე ფაზის შესართავითგან სავაჭრო ნავები თავისუფლად დადიოდენ, შემდეგ (მეტადრე შორაპნიდამ) საქონელი ხმელეთით გადაჰქონდათ სურამდე (სურამი) და იქიდგან მტკვრით კასპიის ზღვამდე. ამ მდინარეების გაყოლება მრავალი ქალაქებია და სადგურები, აგრეთვე 120 ხიდი (სხვების თქმით კი 100). სადგურებზედ გაკეთებულია ხის დაფები ზედწარწერით გზის მიმართულების საჩვენებლად.

ამ გზის გარდა საქართველოში იყო კიდევ შემდეგი გზები:არაგვის ხეობაზედ დარიალის ხეობიდგან ჩრდილოეთის ველურებისკენ. ეს კარი დახშული იყოვო. ალბანიის გზა მიდიოდა ალაზანზე. სამხრეთიდგან გზა მოდიოდა მტკვრის ხეობაზე. ამ გზებზე მანძილით მანძილ დამართული იყო მაგარი ციხე-ქალაქები. კასპიის ნაპირზე სხვა გზა მიიმართებოდა ჩრდილოეთისკენ. იგი დახშული იყო რკინის ჯავშნიან ძელებით (პლინიუსი და სხვ.). აღებ-მიცემა ვაჭრობისათვის საჭიროა ქალაქები. იგივე ბერძენ-რომაელთ მწერლები ასახელებენ მრავალ ქალაქს, რომელთა ადგილმდებარეობის სიგრძე-სიგანესაც კი უჩვენებს კლავდი პტოლემეოსი. ყველა ქალაქს ჩვენ არ დავასახელებთ, მხოლოდ მოვიხსენიებთ ორიოდს. კოლხიდის დედაქალაქად წოდებულია აია, შემდეგ ქუთაისი (როდოსელი). იქვეა დიოსკურია, მაციუმი, სიგნი, ბათა ანუ ბათო და სხ. ივერიაში:დედაქალაქი არმაზიკა, ამის პირდაპირ სევსამორა (წიწამური), სურამი, თილბის, თიანა (თიანეთი და სხ. ალბანიაში:დედაქალაქი ხაბალა, თელაიბა (თელავი?), მოსეგა, სამუნის, მამეხია და სხ.

ამ მწერლების გადმონაცემი შესახებ ჩვენის წარსულის კულტურისა ეთანხმება და რაოდენათმე შუქსა ჰფენს საფლავებში აღმოჩენილი ნაშთები. ამ ბოლო დროს, როგორც ვიცით, ამოთხარეს ძველნი საფლავნი მცხეთას, იმერეთის შუაგულში, გურიაში, სამურზაყანოს, ყაზბეგს, თრიალეთზე და მრ. სხვაგან. მათში ჰპოვეს ქვის იარაღები, ბრინჯაოსი, მინისა, ობსიდიანისა და სხ. მაგალითად, ცულები, რკინის სამფეხა საჭრაქე, ბრინჯაოს მაყაშები, სადგისები, ზარები, ჟღარუნები, ნემსები, ქინძისთავები, საყურეები, სალტეები, ისრები, საცრემლოები, ლიტრები თიხისა და სხ. ზოგიერთ ამ ნივთებზე ფიგურებიც არის. თვით საფლავები აშენებულია ქვის ფიცრებისაგან, ზოგი აგურისაგან. ეს ნივთები გვიხატავენ მაშინდელს კულტურას და ხალხის წარმატებასაო, ამბობს გრ.უვაროვი და სხვ.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ძველს დროს საქართველოში საკმაოდ გაძლიერებული ყოფილა წარმოება და აღებ-მიცემა. რამ მოუღო ბოლო? სხვათა შორის იმ გარემოებამ, ჩვენის აზრით, რომ ალექსანდრე მაკედონელისაგან აღმოჩენილმა გზამ, უფრო მოკლემ და მოხერხებულმა, სავაჭრო გზა რიონ-მტკვრიდან ინდოეთისკენ მოსპო და ამიტომაც სააღებმიცემო ცენტრი საქარ-თველოდგან ნელ-ნელა გადავიდა ალექსანდრიას.

ვინ არ იცის, რომ ვაჭრობისა და აღებ-მიცემისათვის საჭიროა დამშვიდებული ყოფა-ცხოვრება ვაჭართა და მწარმოებელთა; მაშინ, როდესაც ამ დამშვიდებულ ყოფა-მდგომარეობას ბოლო მოეღო, ვაჭრობაც შესუსტდა და დაეცა.

აბა სადღა ეცლებოდა საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობისათვის, როდესაც გაძლიერდნენ არაბნი, ოსმალნი, მოესივნენ მონგოლნი და სხ. უძლიერესნი მტერნი

ქრისტიანობისა და ყოველდღე ჩვენ წინაპართ ემუქრებოდნენ წალეკვას, წარტყვევნას და შთანთქმას. საქართველოში წინად, როდესაც ხეთქება-შეჯახება ხალხთა იშვიათი იყო, მაშინ ვაჭრობაც, როგორც დავინახეთ, გაძლიერებული იყო. ამ ვაჭრობას ხელს უწყობდა როგორც მოხერხებული ადგილმდებარეობა და სიმდიდრე ქვეყნისა, ისე სააღებმიცემო ნიჭი ქართველთა. სადღა იყო მოცალეობა, ვიმეორებთ, რომ ვაჭრობა ეწარმოებინათ ქართველებს, როდესაც დროების მიხედვით ქართველის ცხოვრებაში ანად და ჰოედ შეიქმნა ბრძოლა თვითარსებობისათვის, ენისა და სჯულის დაცვისათვის.

აქ ჩვენ, რასაკვირველია, იმას არ ვამბობთ, რომ ქართველებს მე-XIII საუკუნიდგან სრულიად მიეტოვებინოთ ყოველგვარი წარმოება, ჭკვისა და ზნის გამაფაქიზებელი სწავლა-ხელოვნება და მარტო საომარ საქმეს შესდგომოდნენ. არა, მას ვერ ვიტყვით. თავითფეხამდე შეიარაღებული ქართველი კიდევ იმდენ დროს ჰპოებდა, რომ მეურნეობა გაეწია თავის შინაურ ცხოვრებისათვისაც, რომ გუთანსა და სახნისს და სხ, ზედ დასდგომოდა, წიგნი თან ლაშქრიანობაში ეტარებინა. სხვა ყოველივე რომ იქით იყოს, მეომრისათვის საჭიროა უკლებად ჰქონდეს საჭმელი, საცმელი, იარაღი, ციხე-სიმაგრენი და სხ. და რომ ყოველივე ამას ქართველნი აკეთებდნენ, ჰშოობდნენ ადგილობრივვე, ცილობა არ ესაჭიროება. რუსთაველის დროს, როგორც სჩანს მისივე წიგნიდამ, ხმარებაში იყო იარაღები: მშვილდი, ისარი, ხმალი, კაპარჭი, დანა, მახვილი, ბარბითი, შუბი, ძელი, კეტი, ფილაკავანი, ნავი, ჯავშანი, ხომალდი, კატარღა; საცმელი:ჯუბა, მუზარადი, სამკლავე, საბარკულე, ქუდი, პერანგი, ჩაბალახი, ღილებიანი კაბა, რიდე, ნაბადი, ძოწეული, ყარყუმი; სცოდნია ხალხს ქსოვა-ბეჭვა ქსელისა, თესვა სელისა, რკინისა და ოქრო-ვერცხლის მჭედლობა, ვაჭრობა და სხ. ამას ჰმოწმობენ საცმელნი ხატებისა და სურათების ეკლესია მონასტრების, რომელთა კედლებზე დაშთენილა სახენი მათ მაშენებელთა, მაგ. სურათნი ჯვრის მონასტრისა (მე-VII საუკ. (ატენისა (მე-IX სააუკ.), გელათისა (X-XI საუკ.) და სხ. მეფეთა სახელების ნიმუშები მოიპოვება თვით სამკელებზე ძველი დროიდგანვე:ჯუბანი, ფარ-ჩაჩქანი, შუბ-ისარი ხომ დღესაც ხმარებაშია ფშავ-ხევსურეთ-თუშეთსა და სვანეთ-რაჭაში. ყველა ამ საცმელებსა და იარაღებს თვით ხალხი აკეთებს ადგილობრივად. საქართველოს სხვადასხვა ადგილას ძალიან გავრცელებულია სანავო მრეწველობა. ხვნა-თესვა რომ გაძლიერებულიყო, სჩანს იქიდგან, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა გადაქსელილი იყო არხების ფსკერითა და ნავა-ლებით, ზოგი ახლა დახშულია, დაბრმავებული, მაგ. შირაქისაკენ მიმავალი არხი, ჭოპორტიდგან საგურამოსა და ტფილისისკენ გამოყვანილი და სხ..

განვიხილოთ ახლა ჩვენი სარწმუნოება, წარმართული და ქრისტიანობრივი.

დაშთენილა ჩვენში ძველი სახელები დღეებისა, რომელთაგან ზოგიერთნი იხმარებიან თვით ძველ წიგნებშიაც. აი ეს სახელები:ორშაბათი - მთოვარისა, სამშაბათი - არეასი, ოთხშაბათი - ერმისა, ხუთშაბათი - აფროდიტისა, პარასკევი - დიოასი, შაბათი - კრონოსი, კვირა - მზისა და საუფლო (ლექს. საბა ორბელიანისა და ჩუბინაშვილისა). როგორც ვხედავთ, ეს სახელები კერპების სახელებია, წარმართების ღმერთებისა[2]*

---

[2] * დრეპერი ამბობს, რომ ესეთი სახელები კვირის დღეებისა, მომასწავებელნი კერპების სახელებია, დაშთენილა ზოგიერთ ძველ ხალხებშიაც. ამიტომ ტყუილია ის აზრი, რომ ვითომ კვირის დაყოფა შვიდ დღედ გავრცელებული იყოს საღმთო წერილიდან. პირიქით, ძველად გავრცელებულ იყო აზრი, რომ ციურ პლანეტებს დიდი გავლენა აქვსთ ქვეყნის ცხოვრებაზედ. მაშინ ცნობილი იყო შვიდი პლანეტი:მზე, მთვარე, მარსი, მერკური, იუპიტერი, ვენერა, სატურნი და ამდენივე ლითონი. ოქრო ითვლებოდა საღმთოდ მზისა, ვერცხლი მთვარისა და სხ. ამგვარადვე განაწილებული იყო დრო, მაგ.,

ბერძენ-რომაელთა მწერალნი ჩვენს კულტსაც შეეხებიან. იგინი დაწვრილებით აღწერენ როგორც ზემორე დასახელებულ ღმერთებს, ისე სხვებსაც.

ფაზს რომ გაჰყვე, ამბობს აპოლონ როდოსელი, მიხვალ ქუთაისს მეფის ციხესთან და დაინახავ ღმერთის არეას ტაძარს წალაკითურთ. ამავე ტაძარს აღწერენ თითქმის ყველა ბერძენთა მწერალნი, რომელნიც მოგვითხრობენ არგონავტელების მოგზაურობას. მათი თქმით, არეა იყო ქვისაგან ნაშენი, გარს ევლო გალავანი, მცველებად ჰყვანდა გველები და დარაჯები. არეას საყვარელი საქმეა ომი.

დიას ტაძარი (ცისკრისა) იყო დიოსკურია, აფხაზეთში. აფროდიტის ტაძარი ააშენა მეფე რევმა, არა სჩანს-კი სად.

ღმერთი ,,დაირა" ,,ამარანთის" მთებში იყო დადგმული. ვინც ტაძრის დაირას გულს მოიგებს, მას ვერც მტრის ხმალი ავნებს, ვერც მტერი მოერევაო.

ჰეკატეს ტაძარს იცავდა გველი. მის არემარეს ლამპრები ანათებდნენ.

ზევსის ტაძარი იყო გენეთეს (ქსენოფონტი).

ალბანელთა ღმერთი იყო მზე, ზევსი და მთვარე, უფრო კი მთვარე, რომლის ტაძარი მდებარეობდა ივერიის მომიჯნავედ.

ახლად ნაპოვნ მეცხრე საუკუნის ,,ქართლის ცხოვრებაში" მოხსენებულია კიდევ სხვა ღმერთებიც:გაც, გაიმ, აინინა, დაინინა, ზადენი, ითრუშან, ზად, ფსარ და არმაზი.

ივერიაში მოგვობა, სტრაბობის თქმით, იყო მეორე წოდება, მათ ხელში იყო სამართალი.

ალბანიაში, იმისისავე თქმით, შემდეგ მეფისა პირველ კაცად ითვლებოდა ქურუმი. მას ექვემდებარებოდა მთელი წმინდა ქვეყანა, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებული.

კერპებს ქართველები საღმთოებს სწირავდნენ. სხვათა შორის ადამიანსაც. საღმთოს შეწირვა და ლოცვა დღისითაც იცოდნენ და ღამეც, ღამის თევით. ვინც ღამის თევით მოიგებს ღმერთ-დედოფლის დაირას გულსა, იმას ვერაფერი ვერ ავნებსო.

კოლხიდაში მკვდრის დამარხვა არ სცოდნიათ. აპ. როდოსელი არგონავტელების ისტორიაში სწერს:კოლხიდაში ბევრი ვაზი და ტირიფებია. ჩვენ რომ მივედით, იმ ტირიფებზედ ჯაჭვებით მკვდართა გვამები იყო ჩამოკიდებული. კოლხთ ეხლაც დიდ ცოდვად მიაჩნიათ კაცის დაწვა ან დამარხვაო. მათ შეახვევენ ხარის ტყავებში და ქალაქის მოშორებით ხეებზედ დაჰკიდებენ ხოლმეო. დედაკაცებს კი ჰმარხავენო. ეს წესი ზენდავესტაშია განმარტებული. არიელები იმიტომ არ სწვავდნენ და არ ჰმარხავდნენ მკვდრებსაო, რომ მიწა და ცეცხლი არ წაეპილწათო. წესად იყო მკვდართა ყორუღებში გადაყრა ფრინველთა და ნადირთა საწიწკნელად (ისტ. აღმოსავლ., ტ. II, გვ. 162, ლენორმანისა).

ესეთი იყო ძველი სჯული ქართველთა. წინანდელ კერპების ნაშთად დღეს მხოლოდ დაგვშთენია ზოგიერთი სიტყვები, ვითარცა: არე (მხარე ქვეყნისა, ოთხი დრო), ქურა (ქურუმი) და ზოგიერთი ჩვეულებანი, მაგ., ჭალაკთა და ნიშთა თაყვანისცემა, ცეცხლის (კერის) უსამღვთოესობა, კუდიანების ღამე ვნების ოთხშაბათს, იანვრის პირველს ცეცხლის განუქრობელობა და სხ.

შვიდი დღე კვირისა განაწილებული იყო შვიდის პლანეტის მიხედვით. წოდებანი დღეთა და მათი რიგი განისაზღვრებოდა ამ პლანეტათა გამოჩენის ხნის მიხედვით. პლანეტთა გამოჩენის რიგი უკვე ცნობაში მოყვანილი იყო. რომელი პლანეტიც გამოჩნდებაო დღის პირველ საათს, იმ დღეს იმავე პლანეტი სახელი ეწოდებოდა (История умств. развит. Европы, გვ. 333, ტ. II, დრეპერისა).

მეოთხე საუკუნის დასაწყისს, ხუთი წლის თავზე ბერძენთ გაქრისტიანებისა, ჩვენშიაც შემოვიდა ქრისტიანობა. კერპობა დაიმხო. წინანდელი ტაძარნი ქრისტიანებრივ ტაძრებად გადაიქცნენ. ქართველთ გაქრისტიანებას აღწერენ, როგორც ჩვენი მატიანენი, ისე ბერძენთა და რომაელთ ნინოს თანამედროვე მწერალ-ნი, მაგ., რუფინი, მოსე ქორენელი და სხ.

ქრისტიანობა ითვლება ყველაზე უპირველეს საწმუნოებად სხვა სარწმუნოებათა შორის. იგი ყველა სარწმუნოებაზედ ჰუმანურია, უპირატესია თვისის მაღალმნიშვნელოვან მოძღვრებითა. იგი ჰმოძღვრებს კაცთმოყვარეობასა, სიყვარულს და სხ. საქართველოს ქრიტიანობის მიღებისთანავე კიდით კიდე მოეფინა ნათელი ქრისტიანობისა, ყველა კუთხეში ჩვენის ქვეყნისა აშენდა დიდებულნი ტაძარნი და მონასტერნი. უკვე გამოკვლეულია, რომ ჩვენში არსებობენ ყველა საუკუნის საქრისტიანო ნაშთნი; მაგალითად, ბოდბისა, ნაქალაქევისა და ნეკრესისა (IV საუკ.); ბოლნისის სიონი, ჭერემისა, ჟალეთისა, მეტეხისა, ნიქოზისა და სხ. (V საუკ.); დავით-გარეჯისა, ზედაზნისა, იყალთოსი, ხირსისა, ულუმბოსი და სხ. (VI საუკ.); ანჩისხატისა, აწყურისა და სხ. (VII საუკ.); არტანუჯისა (VIII საუკ.); ალავერდისა, ხახულისა (IX საუკ.); ბედია, ქუმურდისა, მარტვილისა, მოქვისა (X საუკ.); ალევისა, გელათისა, ზარზმისა, კუხისა, ლომისისა, მამებისა, მანგლისისა, მთაწმინდისა, სამთავისისა და მრ. სხ. (XI საუკ.); ახტალისა, ბეთანიისა, ვარძიისა, იკორთისა, კაბენისა და სხ. (XII საუკ.); არკაზანისა, გუდარეხისა (XIII საუკ.); ჭელენჯიხისა, მოწამეთისა, ფიტარეთისა, სამშვილდისა, საფარისა (XIV საუკ.); მცხეთისა, რუისისა, სამთავროსა (XV საუკ.); ლურჯ-მონასტერი, შემოქმედისა, შუამთისა, ლიხაურისა (XVI საუკ.); მჭადის ჯვარი და სხ. (XVII საუკ.); ანანურისა, ქაშოეთისა, უდაბნო გურიაში (XVIII საუკ).

გარდა ამისა დღეს აგრეთვე აღიარებულია და საბუთებით დამტკიცებული, რომ ქართველთ როლი ამ მხრივ მარტო საქართველოში არ დასრულებულა. ეს კაცთმოყვარე სჯული ქართველთ მოუფენიათ კავკასიის ყველა მთიელებში, ლეკებსა, აფხაზებსა, ოსებსა და ჩერქეზ ღლიღვებში. თითქმის ყველგან აქ დასახელებულ ტომთა ქვეყნებში დაშთენილა კვალი ქართველთ მოღვაწეობისა. ესეთნი ნაშთნი არიან ნიშნი, ეკლესიანი ქართულის ზედწარწერით, ქართული სახარებანი და საღმთო წიგნები.

და არათუ მარტო მეზობელ ტომთა შორის ჩვენ წინაპართ უვრცელებიათ ქრისტიანობა, არამედ მათს მფარველობის ქვეშ ყოფილა ქრისტიანობა პალესტინისა და საზოგადოდ წმიდა ქვეყნებისაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ამას ჰმოწმობენ, როგორც თვით იერუსალიმის პატრიარქნი და აგრეთვე ქართველ მოღვაწეთა ნამოქმედარი ხსენებულ ქვეყნებში. ქრისტიანეთა სახსნელად ქართველთ მეფენი არ იშურებენ მამულებს, ფულსა და სხ. მაგალითად თამარ დედოფალი სწირავს 200000 დრაჰკანს, რომ ბარბაროსთა ქრისტიანებს დაუბრუნონ წართმეული მიწები და სხ. ქართველები აშენებენ მრავალს ეკლესია-მონასტრებს წმინდა ქვეყნებში:პალესტინას, სინას, ათონს, ანტიოქიას. ამას ჰმოწმობენ ზედწარწერანი ტაძრებისა და უცხოელთ მწერალნიც. სხვათა შორის ამ საგანზე იხილე ძეგლად მისაჩნევი თხზულება პროფეს. ცაგარლისა ,,Памятники Грузинской старины в св. земле и на Синае", აგრეთვე იმისივე ,,Сведении о памятниках грузинской письменности", წიგნაკი ,,Афонский иверский монастырь".

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ საკმაო არ არის ხალხისათვის მარტო ქრისტიანობის მიღება. საჭიროა აგრეთვე ქრისტიანობის დაცვა და წესიერად წარმართვა. ამ მხრივ მგონი მარტო უმეცრებას შეუძლიან დააყვედროს რამ

ქართველებს. ბატონი მარკოვი ამბობს:,,მართლმადიდებელი ჯვარი შეიქმნა მამულად ქართველისა, სიმბოლოდ მისი ეროვნობისა, ქრისტიანობის მფარველობა - დასაბამად მთელის მისის ისტორიისა. ქართველი ხალხი ნამდვილი ჯვაროსანი ხალხია ვითარცა რაინდი ჯვაროსანი, ამ ხალხის ცხოვრება იყო ლოცვა და თან სისხლის მჩქეფი ბრძოლა ისლამის შესამუსვრელად. ათას წელიწადზე მეტია, იგი მახვილს არა სტოვებს ხელიდგან და თუ საქრისტიანო ჯვარი არ იყო ჩაქსოვილი მის ქლამინდზე, მაგიერად აღბეჭდილ-გამოქანდაკებული იყო ამ ხალხის გულზედ".

თვალსაჩინოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში ქრისტიანობა არსებობს აგერ 15 საუკუნეა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ეკლესიამ არ იცის არც ერთი მწვალებლობაც კი. მართალია, ცრუ მობიდანი მიეკედლა ნესტორის მწვალებლობას და ანტონ კათალიკოსი ფრანგობას, მაგრამ ფხიზელი სამღვდელოება დროიანად წინ აღუდგა მათ და დასაწყისშივე მოსპო განხეთქილება წმიდა ეკლესიაში. საქართველოს ეკლესიას გარშემო ერტყა ურწმუნოება, უსჯულოება, სომხეთის სამღვდელოება მე-5-6 საუკ. ებრძოდა საქართველოს მართლმადიდებლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველთა წინდახედულობამ ყოველსავე მედგრად გაუძლო... ქრისტიანობისთვის მოწამებრივი გვირგვინი დაიდგეს ნაზბუნებოვან ქალთაც, მეფე-დიდებულ-გლეხთაც, მაგრამ ქრისტიანობას კი არ უღალატეს და არათუ არ უღალატეს, არამედ, შეძლებისამებრ, დაიცვეს იგი ჩვენშიაც და უცხოეთშიაც ურჯულოთა წაწყმედისაგან. იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში" მოყვანილია მრავალი საბუთები ჩვენის აზრის დასამტკიცებლად. სხვათა შორის პატრიარქთა ეპისტოლეებში ქართველთა მიმართ ნათქვამია, რომ ,,შთამომავლობა ბაგრატიონთა და მათ მიერ წარმოშობილნი მეფენი (ეს სიტყვა ხმარებულია თვით ტექსტი), ე.ი. უკეთილმსახურესნი მეფენი ივერთანი, ადრიდგანვე შეიქმნენ მფარველნი და კტიტორონი წმიდისა და ცხოველთ-მყოფელისა საფლავისა უფლისა და სხვათა წმიდათა სათაყვანებელთაო... ეს მტკიცდება, სხვათა შორის, ერთის ქართულის, ვახტანგ გორგასალის მიერ შედგენილ წერილით და დღესაც დაცულია წმ. გოლგოთაზე. იერუსალიმში იწყევება (ანათემა) ყოველი, ვინც - კი ივერიელს გაარჩევს ბერძენისაგან...

ეს მართალიც არის. ქართველთ ქრისტიანენი ფრიად ცნობიერად, მხნედ მოეკიდნენ საქრისტიანო საქმეს. როგორც ვსთქვით, ადრევე შეისწავლეს სხვადასხვა ენები, შეჰქმნეს საკუთარი სასულიერო ლიტერატურა. მრავალგან დააარსეს დიდნი მონასტერნი, განსაკუთრებით იმ ადგილებზედ, საცა წინად საწარმართო ღმერთნი, ოქრო-ვერცხლით და თვალმარგალიტით შემკულნი, მრისხანებით დასცქეროდნენ გარემო სოფლებს. შემდეგ ხანგრძლივის ბრძოლისა ანტიოქიის საპატრიარქოსთან სრულიად გაანთავისუფლეს სამშობლო ეკლესია გარე გავლენისაგან და დადგინეს საკუთარი იერარქი კათოლიკოსის მოთავეობით. მაგრამ ამ განთავისულების შემდეგ ჩინურ კედლით არ შემოიზღუდეს თავი. პირიქით, ამის შემდეგაც ქართველები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიო საქრისტიანო საქმეებში. იგინი ესწრობოდნენ მსოფლიო კრებებს და თავისს ეკლესიას ჰმართავდნენ თანახმად ამ კრებათა გარდაწყვეტილებისა. იგინი, როგორც მოგვითხრობს იერუსალიმის პატრი-არქი, ჰშველოდნენ ყველა ქრისტიანეთ, განურჩევლად მათის გვარტომობისა, იგინი გულისტკივილით შეჰყურებდნენ ქრისტიანობის დამცირებასა და სიხარულით მის წარმატებას და, როგორც ვსთქვით, ქრისტიანობის დასაცავად შინ თუ გარეთ არ იშურებდნენ არც თავის ძალ-ღონეს, არც შეძლებასა და ქონებას. მოიგონეთ, მაგ., ქართველთ მონაწილეობა ჯვაროსანთა ომში, ქართველთ მხედრობისაგან ხსნა კონსტანტინეპოლისა სკლიაროსისაგან, დავით მეფისა და სხვათაგან დაცვა და მფარველობა პალესტინისა, სომხეთისა და სხვათა. მცირე ესე ერი შეძლებისამებრ

გონებითადაც ეხმარებოდა ქრისტიანობას. როგორც ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, მაღალზნეობრივი ქრისტიანული რომანი ,,ბალავარი" მთელს ქრისტიანობაში გავრცელდა ქართულიდან. იგი ბერძნულად ქართულიდამ სთარგმნა ექვთიმემ.

ჩვენი ხუროთმოძღვრული ნაშთები გვხვდება ადრიდგანვე; ამასთანავე ქართველთათვის უცხო საქმე არ იყო ხატვაცა და ჩუქურთმა-ქანდაკებაც.

ბ-ნი ბერჟე თავის ერთ საყურადღებო წერილში (იხ. ,,ივერია"1889, N 35) ამბობს, რომ მტერთან ბრძოლამ საქართველოს ერს შეასწავლა შენობათა აგების ყაიდაცაო. გარდა მრავალგვარ გამოქანდაკებულ და ტროგლოდიტურ შენობათა (უფლისციხე, გარეჯისა და ივრისქვაბნი და სხ.) მთელს საქართველოში, მეტადრე ამერეთს, მრავალია ძველთაძველი კოშკი, ციხე, რომელნიც საოცრად ჰგვანან სარდინიის ნურხაგებსა. ეს ნურხაგები შიშიანობის დროს საიდუმლო თავშესაფარი იყო მთელის ოჯახისთვისაო. თვით ეკლესიანიც საქართველოში თავსაფარად მოწყობილნი იყვნენ. ძველ დროს საფლავებსაც ისე ოსტატურად აგებდნენ, რომ მტერი ვერ შეამჩნევდაო. ამგვარია მაგ. მცხეთის აკლდამებიო და სხ. იმ ძველ დროს, როგორადაც ეხლა, იმერნი ხის სახლებში სცხოვრობდნენო, ამერნი კი მიწურებში, რომელსაც მცხეთაში კრამიტით ჰხურავდნენო.

ბ-ნი ბაქრაძე ამბობს (Кавк. в древ. памят. християнства), რომ საქრისტიანო ნაშთები საქართველოში არსებობს მე-IV საუკუნიდგანაო. ამ ნაშთთა უძველეს წარმომადგენლებმა თავისი განსაკუთრებული სახე მიიღეს კერპების დროინდელ ტაძრებისაგანაო. იმ ნაშთების ყაიდა უფრო მარტივია, რომლებიც უფრო ძველს დროს ეკუთვნისო. მათ ჯერ გუმბათი არა აქვთ როგორღაც აწოწოლავებულნი არიანო. არც კედლები აქვთ დახატული. მე-IX-XIII ს-ნის ნაშთებს კი განსაკუთრებული სახე და იერი მიეცათ. ეს სახე, ანუ ქართული სახუროთმოძღვრო ყაიდა წარმოსდგა ბიზანტიურ, არაბულ და ახალ გოტიურ ყაიდების შერევნისაგანაო. ყოველის ნაწილის მოყვანილობა და მოხაზულობა მოგრძო ოთხკუთხე სახისა გახდა, საქარის თავის მსგავსი გუმბათი ტაძრებს ზედ შუაზედ დაედგა, კედლები და სვეტები მოირთო მრავალგვარ და შესანიშნავ ჩუქურთმა-ქანდაკებითა და სახეებით. ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქართველნი, დიდიდამ წვრილამდე, ეკლესიებისათვის, მათ შესამკობლად, გასამშვენიერებლად და გასაძლიერებლად არ იშურებდნენ თავის ქონებას, სწირავდნენ ძვირფასს ჭურჭელს, თვალმარგალიტს, მამულებს, სამოსელს, გარს ავლებდნენ მკვიდრს გალავნებს, მათს ეზო-დარბაზებში გამოჰყავდათ წყაროები, რუები და სხ და სხ.

ბაქრაძის ნათქვამს ემოწმებიან თვით ბერძენ-რომაელთა მწერალნიც. მაგ. სტრაბონი ამბობს, რომ ივერიის დიდ მანძილზე გაშენებულია ქალაქები და სოფლები, სადაც მოიპოვება კრამიტით დახურული სახლებიო. ეს სახლები აგებულია ხუროთმოძ-ღვრულ ნამდვილს გემოვნებაზე, აქვს მეიდნები და საერო სახლებიო.

გრ. უვაროვი და სხ. წარჩინებულნი მეცნიერნი ქებით იხსენიებენ ქუთაისის ბაგრატის ტაძრის შენობა-მოყვანილებასა, მის ხელოვნების ლაზათსა; ამგვარისავე შეხედულობისანი არიან საზოგადოდ საქართველოს ხუროთმოძღვრების შესახებ მრავალნი სხვანი წარჩინებულნი მეცნიერნიც.

ქართული მხატვრობაც თუმცა წარმოიშვა ბიზანტიის მხატვრობის მიხედვით, მაგრამ დროთა განმავლობაში განსაკუთრებული თვისება მიიღო.

დიდებული გეოგრაფი რიტტერი ამბობს:აპოლონ როდოსელის მოთხრობიდამ სჩანსო, რომ რუკათა შედგენის ხელოვნება კოლხიდელთ უფრო ადრე იცოდნენ, მინამ ბერძენთაო. კოლხიდელებმა თვის წინაპართაგან ფრიად ძველ დროს ისწავლეს ქვის დაფებზედ რუკების ხაზვაო; შემდეგში ქვის დაფების მაგიერ ესენი ხმარობდნენ ხის

დაფებს; ამ დაფებს მათს ენაზედ ერქვა კირბის, სწორედ ის სახელი, რომლითაც იწოდებოდნენ 700 წ. ქრისტეს უწინარეს დროების ათინელთა კანონებიო. ეს დაფები შეიქმნენ დასაწყისად ლანდქარტთაო (Истор. Землевед.).

ჩუქურთმა-ქანდაკება და საზოგადოდ ხატვა ქართველებმა იცოდნენ ფულებზე, ტაძრების კედლებზე, ქვებზე და ტყავსა და ეტრატისაგან შეკრულ წიგნებზე.

ფულებისა და ზოგიერთ ქანდაკებათა შემწეობითო, ამბობს ბარტოლომეი, ვტყობილობთ იმასაცაო, თუ რა ეცვათ ქართველებს. ამ ფულებსა და ნაშთებზე გამოხატულია მეფის გვირგვინი. ქართველები წვერ-ულვაშით ჰსახიანო, აცვიათ ჯუბა ქამარშემორტყმული. ამას ზემოდგან ყოშიანი კაბა, ფეხზედ მაღალყელიანი და მაღალ ქუსლებიანი წაღები, ზემოთ აწეულის ჭყვინტებითა. ქალამანი ხომ ძველადგანვე იცოდნენ, რადგან იგი კუთვნილებაა უმეტეს ნაწილ უძველესის ერისაო.

ბ-ნი ცაგარელი ქართულს მხატვრობასა, წიგნების სამკაულსა და წერაზედ ამბობს:ქართველნი მხატვარნი ჰხატავენ ადგილობრივ ბუნებასა და ჰბაძავენ ადგილობრივ მხატვრობასაო:სირიულსა და არაბულს (სინას ნათშნი), ბიზანტიურსა (ათონის ნაშთნი) და სპარსულს (ნაშთნი მე-XVI-XVIII საუკუნისანი). გარდა ამისა თვით წერის ხელოვნებაც ფრიად განვითარებულია ძველს ნაწერებში (ბაქრაძე, ცაგარელი და სხ.). ყოველ ძველს სავანეს, მონასტრებს, საცა გაძლიერებული იყო მწიგნობრობა, წერის საკუთარი ,,ხელიც" ჰქონდა, ასე რომ ვისაც შეუსწავლნია ეს ,,ხელი", ადვილად გაარჩევს, თუ რომელი ძველი ნაშთი რომელს სავანეს ეკუთვნის. თუმცა საქართველოს მხატვრობა გარეშე ზეგავლენას ვერ ასცდა, მაინც, მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში თვისი განსაკუთრებული ხასიათი და იერი მიიღო. დღეს უკვე აღიარებულია, რომ ქართული სამხატვრო კილო არის ,,ტოტებისა", ყვავილებისა და ფოთლებისაგან გადახლართულ-გადაწნული სამკაული".

ხლართული მოხაზულობა-ხელოვნება საქართველოში უაღრესად განვითარდაო, ამბობს ნიკოდიმე კონდაკოვი (Древн. архит. Грузии), მინამ სადმე სხვაგან:ბიზანტიაში, იტალია-ვენეციას, სერბია-რუსეთსაო, გარდა ირლანდიისაო. იქაური მოხაზულობა-ქანდაკება ისე წააგავს საქართველოსას, რომ გამოჩენილი ფერგისონი ფიქრობსო, რომ ეს ხელოვნება ირლანდიაში გადმოტანილ იქმნა აღმოსავლეთიდან მე-VI საუკუნეშიო. მაგრამ ქართულ ხლართულს მოხაზულობას ირლანდიის ამგვარსავე ხელოვნებასთანაც უპირატესობა აქვსო. აქ მოხაზულობის თვისება უფრო ჭეშმარიტია, სახე მარტივია და დანიშნულება და აზრი უაღრესად უდრის მიზანს და არა საკუთარის ფანტაზიის თვითნებობასაო. აგრეთვე საქართველოს ძველს ხელოვნებაში შესანიშნავია თვით ქანდაკება-ჩუქურთმაცა.

როგორც სჩანს კონდაკოვის წიგნიდამ, მეცნიერთა შორის გავრცელებული იყო აზრი შესახებ იმისა, რომ სომხეთსა და საქართველოში ხუროთმოძღვრება დამოუკიდებლად ბიზანტიისა აღორძინდაო და ფრიად ძველ დროსაო. მაგრამ კონდაკოვი ამ აზრს არღვევს და ჰპოებს მონათესაობას საქართველოს ხუროთმოძ-ღვრებისა ბიზანტიისასთან, აგრეთვე იტალიისა და ზოგიერთ სხვა ქვეყნისასთან. ხუროთმოძღვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გარედან კედლების შემკობასა მრგვალისა და წვრილის სვეტებითა, რომელნიც ერთი სართულიდგან მეორე სართულზე გადაბმულნიაო. ამგვარი სამკაული შენობათა კედლებისა ევროპაში გავრცელდა მე-XII საუკუნეშიო (მაგ. იტალიაში პავის ეკლესია), ხოლო საქართველოში-კი გვხვდება ქუთაისის ბაგრატის ტაძარზე, რომლის აგებაც დასრულდა ბაგრატ IV მეფობაშიო (1027-1072 წ.). თუ მართლაც ხსენებული ტაძარი

აღიგო ხსენებულ დროს, განა არ უნდა ვაღიაროთ ის გარმოებაც, რომ ამგვარ სამკაულის მოგონების პირველი სამშობლო არის საქართველოვო?

არავისთვის დაფარული არ არის, რომ 1881 წ. ტფილისში შეკრებილი არქეოლოგები დიდად ასიამოვნა საქართველოში დაშთენილ ნიმუშებმა ძველის ხელოვნებისამ. მეცნიერთ დიდი ყურადღება მიაპყრეს, სხვათა შორის გელათის სახარების მინიატურულ მოხატულობასა. ამ სახარების ნახატნი ზედმიწევნით აღწერა პროფესორმა პოკროვსკიმ (Записки отд. рус. и слав. Арх. им. рус. арх Общ., ტ. IV).

სახარება დაწერილია მე-XI-XII საუკუნეში. ამას გარდა სახარება შემკულია აგრეთვე ხლართულ სახეებითა, სხვადასხვა ფერითა, ბუნების სურათებითა.

ავტორი გრძლად და დაწვრილებით აღწერს თვისებას, ხასიათსა და მოყვანილობას სურათის ყოველის ნაწილისას ცალკედ და ერთად. ტექსტის აქეთ-იქიდან დახატულია ორი სვეტი, რომელნი ზემოდგან თაღივით არის გადაბმული. ეს სვეტები და საზოგადოდ მთელი სამკაული შესდგება გადაბმულ-გადმობმულ, გადახლართ-გადმოხლართულ ყვავილებითა და თაიგულებით. აქა-იქ სამკაულში გამოხატულია ადამიანის თავები, სხვადასხვა ნადირნი, შინაური პირუტყვნი, დედაკაცნი გრძელის სახურავებით, ყრმანი, ანგელოზნი... სამკუთხედნი, ჯვრები, თაიგულები, ვეშაპის თავები და მრავალგვარი ფიგურები ცისფრად, მწვანედ, წითლად და ლურჯად... ეს სურათები აღსრულებულია მუყაითად, საქმის ცოდნითა და დიდის სიყვარულით. ყველგან და ყოველსავე ეტყობა, რომ მხატვარი არსად არ გაუტაცნია ფანტაზიას. იგი საქმეს მოჰკიდებია დინჯად, წყნარად და ყველგან დაუცავს გასაოცარი სიჭეშმარიტე და სინამდვილე. ქართველ მხატვარს ღირსებად ჩაეთვლება ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ მხატვარსავით თავის შრომისთვის ერთფეროვანება სურათებისა, ერთსახეობა არ დაუჩნევია. ყველგან უხმარია სხვადასხვაგვარი სახე და ფერი, ამგვარად თავის მხატვრობისათვის დაუჭდევია განსაკუთრებული, ტიპიური თვისება.

შემდეგ პროფესორი განაგრძობს:გელათის სახარება დიდის მნიშვნელობისაა, როგორც ბიზანტიისა, ისე რუსეთის საეკლესიო მხატვრობის ისტორიისათვის:იგი შეძლებას გვაძლევს აღვადგინოთ რუსეთის ძველი და დასურათხატებულნი სახარებანი. ბიზანტიისა და საქართველოს მხატვრობას დიდი მონათესაობა აქვს. საქართველოს მხატვრობა საზოგადოდ და განსაკუთრებით კი საეკლესიო ამ ქვეყანაში გადმოინერგა საბერძნეთიდამ და თუმცა ჟამთა განმავლობაში საკუთარი სახე, თვითმყოფელობა მიიღო, მაგრამ მაინც ეტყობა ნათესაობა ბიზანტიის მხატვრობასთანაო. ამიტომაცაო, ამბობს პროფესორი, მეცნიერებამ უკვე საჯაროდ დაინახა სრულის სახის აღსადგენად ერთის ქვეყნის მხატვრობაში შეისწავლოს მეორე ქვეყნის მხატვრობაცაო.

მართლიერება (კანონები) საჭირო ჰხდება მაშინ, როდესაც ერი გონებითად გაღვიძებულია, აღებ-მიცემა, მრეწველობა, ურთიერთშორისი დამოკიდებულება რთული ხდება. დაწერილი კანონები რამდენადაც ვრცელდება ხალხში, რამდენადაც საყოველთაო ხდება, იმდენად წესიერებაც, კაცის პიროვნებაც დაცულია, დაფარული უსამართლებისაგან. საქართველოში ხალხი ადრევე იყო მოწიფული წერილ კანონების შესათვისებლად. ამიტომაც იყო, რომ დიდმა დავითმა (1089-1125 წ.) მოიწვია სამღვდელოთა კრება ,,საეკლესიოთა და სამღვდელოთა და საქრისტიანოთა ძიებათათვის". ამ კრებამ 15 მუხლი კანონისა დაადგინა და აღსრულება მათი სავალდებულო ჰქმნა ყოველთათვის. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ამაზე ადრეც საქართველოში ყოფილა ,,ჟამად ჟამადნი კრებანი" ქრისტიანეთა ცხოვრების მოსამართ-მოსაწყობად. ამგვარ კრებად და პირველ დაწერილ ძეგლად მართლიერებისა უნდა

ჩავთვალოთ გუჯარი არჩილ მეფისა (არა უგვიანეს 718 წლისა), რომელიც შესდგება ორიოდე მუხლისა და ვრცელ წინასიტყვაობისაგან. წინასიტყვაობაში განიხილება ქართველთ დასახლება და დამკვიდრება საქართველოში, აგრეთვე ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა. პირველ მუხლში მოყვანილია წესი ზეთის ხარშვა-კურთხევისა და მეორეში- წესი სასახლისა მეფის დაგვირგვინების ჟამს. ამ კანონებს შემდეგ საქართველოში გავრცელდა იოანესაგან თარგმნილი და იმის შვილის ექვთიმესაგან შემუშავებული და დამატებული კანონები (ამ სიტყვას ჰხმარობს თვით ავტორი). იგი ძეგლი შეიცავს 100 მუხლს და გარდა ამისა ორმოციოდე ცალკე თავს. ყველაშია განმარტებული წესი და რიგი საეკლესიო მსახურებისა და ქრისტიანულ ცხოვრებისა. ეს ძეგლი დაიწერა ბაგრატ მესამის მეფობაში (980-1008 წ.).

ფრიად საინტერესოა მე-53 მუხლი ამ კანონებისა. იგი გვიხატავს მაშინდელს ჩვენს ზნე-ჩვეულებას, და ცრუ მორწმუნეობას. ,,სჯულის კანონს ეწინააღმდეგებიან ისინი, რომელნიც მისდევენ მისანთა და გრძნეულთა, ლეგეონთა და ასისთავთა... კალანდობენ, შეულოცვენ”.

სიგელნი და გუჯარნი, უეჭველია, არიან მართლიერებისა და უფლების ძეგლნი ანუ ბარათნი. ჩვენის გუჯრების მაგვარი ძეგლი ევროპის ისტორიაში პირველად ჩნდება მეცხრე საუკუნეში (იხ. Средние Века, ლიტრესი). ჩვენში-კი, თუ «ქართლის ცხოვრებას» დავუჯერებთ, გურამ მეფისა (570-600) და მირ-არჩილის მეფობაში (663-668 წ.), საცა სწერია:,,სიგელი მკვიდრობისა”, ,,გუჯარნი იგი ტყავისანი” ანუ ესე მოგვითხრობს ჩვენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი, ტომებით და სოფლებით მათით”. მაგრამ რადგან უარისმყოფელებს «ქართლის ცხოვრება» არა სწამთ, ამიტომ აქ მოვიყვანთ ცნობებს ორის ძველის გუჯრიდამ, რომელთაგან ერთში მეფე ბაგრატი (1027-1072) არჩევს ოპიზართა და მიჯნაძორელთ დავას მამულების შესახებ და მეორეში დავით აღმაშენებელი (1089-1125) შიო-მღვიმის მონასტერს უდგენს ძმათა საცხოვრებელ წესებს. საინტერესოა თვით საქმის გარჩევის წესი. ბაგრატს მიჯნაძორელებისა და ოპიზართათვის მოუთხოვნია სიმართლის დასამტკიცებელი ოქმნი და საბუთნი. მიჯნაძორელთ წარმოუდგენიათ გუჯარნი მეფეთ მეფის გურგენისა (980-1008), დავ. კურატპალატისა (876- 881) და მეფე გიორგისა (1014-1027), რომელთაც სადაო მამულები მიჯნაძო-რელებისათვის დაუმტკიცებიათ. ოპიზართ თავის მხრით წარმოუდგენიათ გურამ მამფალის (883წ.) გუჯარი იმავე მამულების შესახებ. შემდეგ ამისა მეფეს თავის დარბაზში საქმის გასარჩევად მიუწვევია მღვდელმთავარნი, ერისთავთ ერისთავნი, ერისთავნი, ყველა აზნაურნი ქვემო და ზემო ხეობათანი და ყველანი საქმის მეცნიერნი. განუხილავთ გუჯარნი, გაუბჭიათ საქმე და გადაუწყვეტიათ სადაო სასარგებლოდ მიჯნაძორელთა. ოპიზართათვის-კი, მათ დასამშვიდებლად, მეფეს მიუბოძებია საკუთარი სოფელი ბარავენი, რომლის ,,შემოსავალს ჰკრეფდა ჩვენი მამასახლისიო”, ე.ი. მეფისა. ეს გადაწყვეტილება (სიგელი) სავალდებულოა შემდეგ-შიაც ყველა მეფისათვის, ხალხისათვის... ყველა მოხელეთა და მოწესესათვისო.

ამ წერილობით ძეგლიდამ აშკარად სჩანს, რომ ქართველთ სცოდნიათ ფასი უფლებისა, მოწმეებისა და წერილების ჩვენებით წესიერებისა და სიმართლის აღდგენა და დაცვა. აგრეთვე სჩანს ისიც, რომ მამულების დასაკუთრება და შემოღორუღება არა მტაციობითა და ძლიერებით ჰხდებოდა, არამედ სამეფო ოქმით, მეფის ხელწერილით.

მეფე დავითის გუჯარი კი გვიხატავს მონასტრის უფლებას, ქონება-შეძლებასა და ძმათა შინაურს ცხოვრებას.

ესეთი გახლდათ ცოდნა მართლიერებისა და უფლებისა საქართველოში კლასიკურ დროს, შემდეგში კი ხომ ,,ძეგლისდება" დავით აღმაშენებელისა, ,,აღბუღას სამართალი", ,,ძეგლისწერა" გიორგი ბრწყინვალისა და ვახტანგ მეფის კანონები განსაზღვრავენ ყოველს მხარეს ქართველების საპოლიტიკო და სამოქალაქო ცხოვრებისას.

ჩვენ ჩვენს წერილში დაწვრილებით აღარ შევუდგებით ხსენებულ დაწერილ კანონების განხილვასა და გარკვევას, რადგან ჯერ ერთი, რომ იმათს გარჩევას შესდგომია ამ საქმეში დახელოვნებული იურისტი ბ-ნი ურბნელი და, მეორეც, დღეს ჩვენი საგნისათვის სრულიად საჭირო არ არის, რომ ჩვენის ცხოვრების რომელსამე კერძოზედ დიდხანს შევჩერდეთ. ჩვენი აზრია მხოლოდ შეძლებისადაგვარად მკითხველს გაკვრით თვალწინ გავუტაროთ მთელის ჩვენის კულტურის ვითარება და რომელობა. მიუხედავად ამ გარემოებისა მაინც აქ საჭიროდ ვსთვლი ორიოდე სიტყვა ვსთქვა დავით აღმაშენებლის ,,ძეგლისწერის" შესახებ.

პირველი მუხლი ამ წესდებისა ამბობს, რომ ეპისკოპოსნი არაღირსებით შემოსილნი პატივსა მღვდელმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველის მწყემსმთავრისანი განვკვეთენითო; შემდეგ მეორე მუხლი:,,ამიერიდგან:ეპისკოპოსი 35 წლისა, მღვდელი - 30 წ. დიაკვანი 25 წ. ხელდასხმულ იქნებოდიანო; მესამე მუხლი:ხელთდამსხმელნი ხელთდასხმადთაგან ნუმცა მიიღებენ ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღვენსა, ნუცა ევლოგიასა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთაგან და მღვდელთა და ქორეპისკოპოსთაგან, ნუცა ეპისკოპოსი დიაკონთაგან, ნუცა..."

ამ კანონებიდამ სჩანს, რომ ჩვენის ეკლესიის გამგეობა სანატრელ მდგომარეობაში არა ყოფილა დავითის წინა დროს. არამედ ყოფილან ეპისკოპოსნი არაღირსებით შემოსილნი პატივსა მღვდელმთავრობისასა, ხშირად მცირეწლოვანიც, მოქრთამენიც გამხდარან მსახურად ღვთის ტაძრისა. და ეს უწესოება დავითს, თანამედროვე სამღვდელოთა დასის უკეთეს წარმომადგენელთა დახმარებით, მოუსპია, უღირსნი განუკვეთია მღვდელობიდამ და მღვდელმთავრობიდამ. ეს ძეგლისწერა დადგინდა 1103 წელს.

აქ ზოგიერთნი იკითხავენ:თუ ქებულს გაერთიანებულს საქართველოში, იმ დროს, რომელიც ითვლება ქართველთ ოქროს საუკუნედ, სამღვდელოება ისე დაქვეითებული ყოფილა, რომ მოქრთამენი, არა ღირსეულნი, მცირეწლოვანნი და სხვ. ადგილებსა და წმინდა ხარისხს ჰყიდულობდნენო, მაშ რაოდენად დაცემული უნდა ყოფილიყო გამგეობა ეკლესიისა წინა საუკუნეებში, როდესაც საქართველო ისევ სუსტი სახელმწიფო იყოვო.

ეს საკითხავი სამართლიანი იქნებოდა, თუ ამ შემთხვევაში გავშინჯავდით მარტო საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლად გარეშე ეკლესიათა და უცხო ქვეყნების ქრისტიანობის ყოფა-ვითარებისა; ჩვენ ზოგიერთი საბუთი გვაქვს იმისა, რომ საქართველო საზოგადოდ კულტურულისა და განსაკუთრებით-კი სარწმუნოებრივის მხრით ფეხდაფეხ მისდევდა ბიზანტიასა და რომს. რა მდგომარეობაში იყო ქრისტიანობა ამ სახელგანთქმულ სახელმწიფოებში?

დრეპერს მოჰყავს შემაძრწუნებელი სურათი ეკლესიის გამგეობისა და საერო ყოფა-ცხოვრებისა ბიზანტიასა და რომში, მეტადრე 757 წ. ვიდრე მე-XI საუკ. ნახევრამდე. მტრობა, სიძულვილი, მტაციობა, მოქრთამეობა, გარყვნილება გავრცელებულა არა მარტო დიდებულთა შორის, არამედ მეფეთა და ეკლესიის მოსამსახურეთა შორისაც. მონობა და ყმობა გაძლიერდა, იტალიაში და ზოგიერთაგან

სხვაგან მთელი ქვეყნები რამდენმამე კაცმა დაისაკუთრა. აქა-იქ თითო კაცი შეიქმნა ბატონი და მფლობელი 20000 ყმისა.

ზნეობა იმდენად დაეცა, რომ პაპის ტახტს განაგებდნენ გარყვნილი დედაკაცები, რომელნიც ამ წმინდა ტახტს თავიანთ საყვარლებსა და უკანონო შვილებს აკუთვნებდნენ და 1014 წლიდგან -კი ჰყიდნენ მას ფულზედ. თვით ქებულის იმპერატორის კარლოს დიდის (გარდაიცვალა 814 წ.) ცხოვრება ,,გარყვნილებით და ბოროტმოქმედებითს სავსე იყო". მას ჰყვანდა ცხრა მეუღლე და მრავალნი მხევალნი, ასე რომ იმისი სასახლე მოგაგონებდათ ხალიფათა ჰარამხანას. მას ჰსურდა შეერთო ბიზანტიის იმპერიის დედოფალი ირინე, რომელმაც საკუთარს შვილს გამოსთხარა თვალები კონსტანტინეპოლში. ზნეობა ისე დაეცა, რომ ბიზანტიისა და რომის სახელმწიფოებში საყოველთაო შეიქმნა რწმენა ქვეყნის აღსასრულისა და მეორედ მოსვლისა 1000 წელს ქრ. შემდეგ. 757 წლიდამ დრეპერს მოჰყავს ისეთი მაგალითები პაპთა ცხოვრებიდამ, რომ მკითხველს თმა ყალხზე დაუდგება. კვლა-ხოცვა პაპთა, დამწყვდევა მათი, ცემა-ტყეპა, მოწამლვით წუთისოფლის გამოსალმება წმინდა მამებისა ჩვეულებრივ საქმედ შეიქმნა. ამას ხელს უწყობდა, როგორც ვსთქვით, წმ. მამების გარყვნილება, მოქრთამეობა და სხ. ეს გარყვნილება იმ ზომამდე აღვიდა, რომ 1033 წელს უწმინდესი ტახტი დაიჭირა ბენედიქტ მე-IX-მ, 14 წლის ყმაწვილმა. ბენედიქტეს ერთმა მოადგილემ პაპთაგანმა-ვიქტორმა ,,გამოაცხადა, რომ ჩემი ცხოვ-რება ისეთი გაჭუჭყიანებულია, რომ მე თითონაც ვერ ავწერო". მისი გამგეობა უფრო ჰგვანდა მეკობრეთა გამგეობას, მინამ მღვდელმთავრის წინამძოლობას. ბოლოს მისი უზნეობა ვეღარ აიტანა ხალხმა და აეშალა. ვიქტორმა პაპის ტახტი საჯარო საფასეში ჩააგდო (аукционъ). იგი ტახტი იყიდა მღვდელმა გრიგორიმ, რომელიც პაპის ტახტზე დამკვიდრდა 1045 წელს. ამ კაციდგან იწყება ახალი ხანა პაპთა და ქრისტიანეთა ცხოვრებისა (იხ. Истор. умств. развит. Еропы, გვ. 267-315, ტ. I, დრეპერისა). ამავე საგანზე უფრო შემაძრწუნებელი ცნობები მოჰყავს კოლბს თავის ,,კაცობრიობის კულტურაში".

ამგვარს ყოფას ქრისტიანებისას რომსა და ბიზანტიაში არ შეეძლო საქართველოს ქრისტიანებზედაც თავისი გავლენა არ ექონია, მით უმეტეს, რომ საქართველო ბიზანტიის შემწეობით ფრიად დაახლოვებულ იყო დასავლეთის ქრისტიანობასთან. ქართველთ მეფენი მძახლობდნენ ბიზანტიის იმპერატორებს, ქართველთ მხედრობა ხშირად ჰშველიდა ამ ქვეყანას, ქართველთ დიდებულნი, როგორც მოგვითხრობენ ბიზანტიისავე მწერალნი, ჰმსახურებდნენ ბიზანტიის ჯარში და ხშირად განაგებდნენ მათსავე საპრეფექტოებს. მაგ. ბაკურიძე, ჯოჯიკი და სხ. თვით ჩვენი ეკლესიის გამგეობაც ისე მოეწყო, როგორათაც რომსა და ბიზანტიას. ჩვენშიაც, როგორადაც ბიზანტიაში, ეპისკოპოსნი იწოდებოდნენ ქალაქების ეპისკოპოსებად, ვითარცა: ურბნელი, მანგლელი, ქუთათელი და სხ. და არა მაზრების ეპისკოპოსებად, როგორც გერმანიაში (იხ. Сравнительная политика, ფრიმანისა) და სხ.

ამას შემდეგ საკვირველიც არ არის, რომ ჩვენის ეკლესიის წარმომადგენლებშიაც ერივნენ თითო-ოროლა არაღირსებით სამღვდელო ხარისხის შემძენელნი და სხ. აქ ღირსახსოვარი ის არის, რომ რა წამს გრიგორი დიდმა რომში ბოლო მოუღო ყოველგვარ ბოროტმოქმედებას მე-XI საუკუნის დასასრულს, ჩვენშიაც დაუყოვნებლივ მეფე და სამღვდელოება შეკრბა და აღმოფხვრა ყოველი უწესოება ქრისტიანეთა ცხოვრებაში იმავე დროს 1103 წელს.

შესამჩნევია აგრეთვე ჩვენის მართლიერების ის მხარე, რომელიც შეეხება უცხო გვართ, უცხო ტომის ხალხთ. ჩვენი ისტორიული ცხოვრება, ჩვენი შინაური მართლიერება განურჩევლად გვარტომობისა და სჯულისა მფარველობს ყველას, ვინც

უნდა იყოს იგი:სომეხი, თუ მაჰმადიანი, ურია, თუ ფრანგი. ამიტომაც მრავალი სომხობა, სომხეთის განადგურების შემდეგ (მე-IX საუკუნიდგან მეტადრე), შემოვიდა საქართველოში და აქ ჰპოვა მყურო ბინა. მათ ქართველობამ დაუთმო თვისი ტაძარნიც -კი, მაგ. ბეთანიისა და სხ. ამგვარადვე ქართველნი მოექცნენ ბერძნებს, რომელნიც კონსტანტინეპოლის დარღვევის შემდეგ (1451 წლიდან) გადმოსახლდნენ საქართველოში და დასახლდნენ სხვადასხვა კუთხეში, მეტადრე კი ალგეთისა და ხრამ-დებედას ხეობაში. აქ მათ მიეცათ მზამზარეულად ჩვენთა მამა-პაპათაგან აგებულნი ტაძარ-მონასტერნი. აქვე დაწესდა მათთვის საკუთარი საეპისკოპოსო სოფ. ახტალას. ამავე მიზეზით ჩვენში მოიკიდა ფეხი ფრანგობამ. ჩვენმა მართლიერებამ და სარწმუნოებამ არ იცოდა გარჩევა სჯულისა. ყველას თვისის სინიდისამებრ შეეძლო ეღიარებინა ის სჯული, რომელიც უკეთესად მიაჩნდა; ხოლო იმ პირობით-კი, რომ საქართველოს მართლმადიდებლობისთვის არა ევნო-რა. პირიქით, ამგვარ პირებს კიდეც მფარველობდნენ ქართველნი. ერეკლე II 1781 წ. 29 მაისს სწერს წერილს სომეხთ პატრიარქს იერუსალიმში და, სხვათა შორის, ჰპირდება, რომ ,,გამოგვიცხადეთ, რომელიც ჩვენ მიერი სარგებელ ყოფა სახმარ გექმნასთ" და ჩვენ მზათა ვართ შეგისრულოთო. ამნაირისავე თავისუფლებით საქართველოში სტკბებოდნენ ურიანი. ასეთი შეწყნარება სხვათა სჯულისა და გვარტომისა, ასეთი კაცთმოყვარება ძველს საქართველოში, ჩვენის აზრით, დიდის ყურადღების ღირსია და, ვინც ჩაუკვირდება, თუნდა მარტო ამ ერთს გარემოებას, უეჭველს საბუთს ჰპოვებს ერის წარმატებულობისა და კულტურისას...

ეთნოგრაფიულისა და კულტურის მხრით ღირსია ყურადღებისა აგრეთვე **დროჟამის გამოანგარიშება, თვლა და, საზოგადოდ, ხალხში გაღვიძება საარითმეტიკო ნიჭისა**. ვერც ამ მხრივ ვუკიჟინებთ ქართველებს.

დღეს რომ მცირეწლოვანი ჩვენი ბალღებიც-კი სთვლიან და ანგარიშობენ რთულ რიცხვებს:ათიდამ ასამდე, ასიდამ ათასამდე და სხ., წინად-კი ეგრე ადვილი როდი გახლდათ. უძველესი ხალხი ერთიდგან სამამდე ძლივს სთვლიდა. ამგვარი ხალხი დღესაც ბევრია.

თვლის ამ პირველ სახიდამ განვითარდა აწინდელი არითმეტიკა, დროთა რიცხვა და სხ., მაგრამ ზოგიერთ ხალხს დღესაც არა აქვს საკუთარი ტერმინები ასისა, ათასისა, ათი ათასისა და სხ. გამოსათქმელად.

უნდა ვსთქვათ, რომ ჟამთა და წელთა აღრიცხვა ქართველებს ადრიდგანვე სცოდნიათ. თუმცა «ქართლის ცხოვრებაში» ქრონოლოგია ხშირად არეულია, ან სრულიად აღუნიშვნელი, მაგრამ ეს მემატიანეს დაუდევრობას მიეწერება და არა ქართველთა მიერ დროთა გამოანგარიშების არცოდნას. ამას, სხვათა შორის, გვიმტკიცებს მზის საათის ცოდნა და ხმარება საქართველოში. დღემდე სოფ. დოლისყანაში დაშთენილა მეფე სუმბათის (923-958) ეკლესია, რომლის წინა კედელზე გამოქანდაკებულია მზის საათი; მასზე დროს გამოსაანგარიშებლად ციფირების მაგიერ დასმულია ხუცური ასომთავრულები. წარწერა ეკლესიისა: ,,ქრისტე, ადიდე მეფე სუმბატ მზეგრძელობით. სურათი დოლისყანის ეკლესიისა საათითა და წარწერითურთ გადმოუღია ფოტოგრაფს ერმასკოვს (იხ. ,,საქართვ. ისტორია" ვახუშტისა, შენიშვნა დ.ზ.ბაქრაძისა).

ამავე სუმბათის დროს ეკუთვნის ერთი ხელნაწერი ,,კრებული", რომელშიაც ჩამოთვლილია წერილები ა) ცნობისათვის და უწყებისა ჭეშმარიტად, რომელი მოგვეთხრა ჩვენ მოძღვართა მიერ განსაძღვრებლად გამოძიებისათვის ჟამთა და წელთა, თვეთა და დღეთა, მცხრალისათვის დღისა საძიებელისა, შვიდეულისათვის და ნაკთა და მთვარისა ზედნადებისა და ხუთეულისათვის და ექვსეულისა, ბ)

სახარება სამოციქულოთა და საწინასწარმეტყველოთა საკითხავისათვის რიგი ჟამ-წირვის დროისა ეკლესიაში და გ) კალანდაი, თქმული ეზრა წინასწარმეტყველისა. მთელი ეს კრებული სხვა დედნიდამ გადმოღებულია ქართველთა წმ. საბას ლავრაში (იერუსალიმის ახლოს) ,,ცოდვილის ბერის" იოანესაგან 941 წელს. ამ კრებულში დაწვრილებით გამოძიებულია ქართული წელთაღრიცხვა. იგი დაწერილია ხუცურ ასომთავრულით. იგივე ასოები ავტორს ციფირების მაგიერ უხმარია.

ამას გარდა ქართული ქორონიკონი დაწვრილებით განმარტებულია იოანე შავთელისაგან 1233 წელს და შემდეგ-კი უფრო დაწვრილებით ვახუშტის მიერ; და აგრეთვე არჩილ მეფისა და ვახტანგისაგან. ამათ მიერ გამოკვლეული საპასექო ქორონიკონი ჩართულია ბაქარ მეფის გამოცემულ დაბადებაში 1743 წელს.

საზოგადოდ ქორონიკონის ხმარება შემოვიდა ძველ დროს, პირველად ეგვიპტეში. ქორონიკონი ანუ კვინკლოსი (ციკლი) შეიცავს 532 წელს. ეს რიცხვი შესდგება გამრავლებისაგან 28 წლისა 19-ზედ. 28 არის მზის მოქცევის ხანა და 19 მთვარისა. 532 წელი რომ დასრულდება, შვიდეულის დღენი, მთვარის განახლება, დიდმარხვის აღების დღე, პასექის დღე და შემდგომნი ცვალებადნი დღესასწაულნი (კვირაცხოვლობა, ამაღლება და სხ.). იმავე შვიდეულის დღეს, თთვისა რიცხვს და თთვეს მოვლენ, როგორც რომ 532 წლის წინად იყო.

ეგვიპტის მოგვებს ეს კვინკლოსი წარმოდგენილი ჰქონდათ სახითა ფრინველის ფენიქსისა, რომელიც ყოველ 532 წ. დასასრულს არაბეთიდამ გადმოფრინდებოდა ხოლმე ეგვიპტის ქალაქ ილიოპოლის მზის ტაძარზედაო. ამ ტაძრის წმ. სახურავზედ იკეთებს ბუდეს ზეთისხილისა და მუშკის ხეთა და შტოთაგან, შემდეგ მიუბრუნდება რა მზეს, ფრთებს შემოიკრავს, აღაგზნებს ცეცხლს და დაიწვის. შემდეგ თავისის ფერფლისაგან ჰშობავს ჭიას, რომელიც 532 წლის განმავლობაში იზრდება და შემდეგ ისევ იწვის, ასე რომ ფენიქსი მუდამ გადახალისება-განახლებაშიაო.

ეს ეგვიპტის კალენდარი უფრო განაკარგა და განავითარა ალექსანდრიის ასტრონომმა სოზიგენმა. ამიტომაც იგი 46 წლის ქრ. წინად მიიწვიეს რომს ამავე კალენდრის შესასწორებლად. სოზიგენმა წლის სიგრძედ მიიღო 365 დღე და 6 ჟამი. ამას გარდა სამი წელი ჩააგდო მარტივად, ხოლო იმათ მომდევნო ერთი წელი ნაკიანად, ე.ი. 366 დღით. ეს მეტი დღე ნაკიანის წლისა მიემატა თებერვალს. ასეთი გამოანგარიშება წლისა დაიდვა 44 წ., ქრ. წინად. ამიტომაც ნაკიან წელიწადად მოდის ის წელი, რომელიც უნაშთოდ იყოფება ოთხზე. ამგვარს წელთა აღრიცხვას დაერქვა ,,იულიანეს კალენდარი", რადგან იგი შემოღებულ იქმნა იულიუს ცეზარისაგან 44 წ. ქრ. წინად (იხ. Космография, ა.ბეხტერისა).

წლის 365 დღედ დაყოფაც პირველად ეგვიპტეში შემოვიდა. ეგვიპტეში უუძველეს დროიდგანვე შენიშნეს, რომ მდ. ნილოსის რღვნა და არემარეს რწყვა მოჰყვება ხოლმე ფსას ვარსვლავედის გამოჩენას და ფსა-კი ჩნდება ყოველ 365 დღის თავზე და რადგანაც ამ წყალრღვნაზე იყო დამოკიდებული ეგვიპტეს მოსავალი და ხალხის ბედი, ამიტომაც ფსას მიაწერეს ღვთიური ძალა, იგი გააღმერთეს და შემდეგ ამგვარადვე გააღმერთეს სხვა პლანეტნიც; მაგ. მზე, მთვარე, აფროდიტი და სხ. შემდეგში თითქმის ყველა ხალხებში გაღმერთებულ იქმნენ შვიდნი პლანეტნი და ამდენვე გააღმერთეს ქართველებმაც. მაგ. მთვარე (არაბულად ყამარ), ერმი (არაბ. ოტარიდ, ბერძ. ვენერა), აფროდიტი (არაბ. ასპიროზ, ბერძ. მერკური), მზე (არაბ შამს, ბერძ. ჰელიოს), არეა (არაბ. მარიხ, ბერძ. მარს), დია (არაბ. მუშთარ, ბერძ. იუპიტერ), კრონოს (არაბ. ზუალ, ბერძ. სატურნ (იხ. ლექსიკონი საბა ორბელიანისა).

ეს პლანეტნი, როგორც ზემოთსაც ვსთქვით, უდიდესნი ღმერთნი იყვნენ ქართველთა. ჩვენში იყო კიდევ ღმერთი ფსარ, რომელიც, შეიძლება, უდრიდეს ეგვიპტურს ფსა-ს.

ამგვარად ამ პლანეტთა ზეგავლენის გამო ქვეყანაზედ შემოვიდა თვით წელთა და დროთა აღრიცხვაც დღეებისა, კვინკლოსითა და სხ.

საბერძნეთის წმ. მამებმა კვინკლოსით წელთა აღრიცხვა დაიწყეს 31 წლიდამ, სახსოვრად ქრისტიანობის გამარჯვებისა წარმართობაზედ კონსტანტინე დიდის დროს. კვინკლოსი განაკარგა იმპერატორ ლეონმა (457-474) და აგრეთვე დიონისიმ (540).

ჩვენი წელთა აღრიცხვა ბერძნულისაგან განსხვავდება 96 წლით. ჩვენში გარდა ამისა დრო ითვლებოდა დასაბამიდგან სოფლისა, რომელიც ბერძნულის გამოანგარიშებით არის 5508 და ჩვენით-კი 5604 წ. ქრ. მოსვლამდე. ამ რიცხვს რომ მივუმატოთ 1888 წ., გამოვა 7492 წ. და ეს-კი რომ გავყოთ 53-ზედ, გამოვა 14 და დაშთება 44. მაშასადამე, დღეს ჩვენ დასაბამითგან სოფლისა ვდგევართ მეთხუთმეტე კვინკლოსში და ამ კვინკლოსისა გასულა 44 წელი. 1888 წლიდამ გამოვიდეთ 44 წ., დარჩება 1844, როდესაც შესრულდა მეთოთხმეტე კვინკლოსი; 1844 წ. რომ გავყოთ 532, გამოვა სამი და დარჩება 248 წ., რომელსაც სრულ ქორონიკონამდე აკლია 284 წ. პროფ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით, ქართველებს წელთ აღრიცხვის დასაბამად დაუდვიათ 284 წ. ქრ. წინად, ესე იგი პონტოს ერა, მაშასადამე, დღეს პონტოს ერას აქეთ ხუთასეულ ქორონიკონისა მიმავლობს მე-45-ე წელი.

ღირსია ყურადღებისა აგრეთვე ის გარემოება, რომ ციფირები საქართველოში 160 წლის წინად გვხვდება სხვადასხვა ძეგლებზე, მინამ ევროპაში და თვით მაჰმადიანთ ქვეყნებში. ციფირები პირველად მოიგონეს ინდოეთში. საქართველოში იგინი ძეგლებზე უკვე ჩნდებიან მე-X საუკუნიდამ, მაგ, ქუთაისის ბაგრატის (980-1008 წ.) ტაძარზე მეცნიერთ ამოიკითხეს აგრედ წოდებული არაბული ციფირები ,,223", რომელიც უდრის 1003 წელს. ამ ფაქტს აღნიშნავს აგრეთვე ბარათაევი თავის ,,Нумиз. факт. груз. царства"-ში. ბროსეს ციფირებით დანიშნული ქორონიკონი ამოუკითხვას 1001 წ. და 1002 წელს აგებულ ორს ეკლესიაზედ - ვერისაზედ (გორის მაზრაში) და წვიმოეთისაზედ საციციანოში.

თუმცა ქართველთ ციფირების მნიშვნელობა ადრევე გაიცნეს, მაგრამ თვლა-გამოანგარიშება დრო-ჟამისა, ფულისა და სხ. იცოდნენ ასოებით. ამ წესს მისდევნენ თვით ბერძენნი, ასურელნი და ურიანი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართველთ დღეებისა, თთვებისა და ჟამთა სახელებიც ჰქონიათ წარმართობის დროიდგანვე; შემდეგში -კი რომაულებიც შეუთვისებიათ. დღეების სახელები ხომ წინა წერილში მოვიხსენიეთ, ახლა დავასახელოთ სახელები თთვეთა და ჟამთა.

თვენი:აპანი (იანვარი), შემდეგ:სარწყუნისი, მირკანი, იგრიკა, ვარდობისა, თიბვისა (იოანობისა), მკისა (კვირიკობისა), ქველობისა, ახალწლისა, სთვლისა ანუ ღვინობისა, ტირსიკონი და ტირისდენი.

ჟამი არის 60 წამი, წამი 60 წუთი, წუთი 60 კესი, კესი 60 მასი, მასი 60 არდი და სხ. (ლექსიკ. ს.ორბელიანისა).

ხსენებულ თთვეების სახელები მოყვანილია ბერის ეფრემის, ,,სირად, ფსალმუნთა მსტვინავად" წოდებულის, პასქალიონში, აგრეთვე ძველს ნაწერებში, სხვათა შორის ეს სახელები გვხვდება ქრისტიანობის მომდევნო პირველ საუკუნოებში. მაგალითად ,,მამათ-ცხოვრებაში". წმ. შუშანიკის (მეხუთე საუკუნე) ცხოვრებაში ნათქვამია:"დიდ არს დასაბამი ტანჯუათა მათ წმიდისა შუშანიკისათა, თთუესა აპანისასა, მერვესა

თთვისასა და დღესა ოთხშაბათსა... და კუალად ტანჯუაცა ვარდობისა თთუესა...აღსრულებაი მისი თთუესა ოკტონბერსა ათშვიდმეტსა...”

აქედგან სჩანს, რომ იმ დროს, რა დროსაც დაიწერა ცხოვრება შუშანიკისა, იხმარებოდა როგორც წარმართობის დროინდელი თთვეების სახელები, ისე რომაულებიც. ენკენისთვეს რომ ,,ახალწლისა” ჰქვიან, ეს აიხსნება მით, რომ ძველ დროს ახალი წელიწადი პირველ იანვრიდგან კი არ იწყებოდა, არამედ პირველ ენკენისთვიდამ.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქართველოში დროს გამოანგარიშება იმ ხელოვნებამდე იყო მიღწეული, რომ დღესაც, ხშირად, უსწავლელი ბერიკაცები თავის დაბადება-ხნიერობას სწრაფად შეიტყობენ ხოლმე ,,ხელთა”-ზედ.

ამას გარდა დაშთენილა აგრეთვე ძველი სახელები ქვეყნის მხარეებისა, მაგალ. აღმოსავლეთი-**ზარა,** სამხრეთი-**ონოტო** ანუ **ბღვარი**, დასავლეთი-**დასავალი**, ჩრდილოეთი-**ნოტიაი**. ეს სახელები გვხვდება შავთელის ნაწერებში და აგრეთვე სხვა ძველ წიგნებშიაც. იგივე სიტყვები მოუყვანია ს.ორბელიანს თავის ლექსიკონში. ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ის ამბავიც, რომ, -თუ დაეჯერება ახლად ნაპოვნ მეცხრე საუკუნის ქართლის ცხოვრებას, საქართველოში მე-IX საუკუნის წინადაც ყოფილა თქმულობა ქვეყნის სიმრგვალეზე. აი თვით სიტყვები ამ ნაშთი სა:,,თქვან ხელოვანთა მათ ვარსკვლავთ-მრიცხველთა, ვითარმედ ქვეყანა ესე არს მსგავსი ბურთსა ზედა კერძო, კუერსა მას გზისასა ინახით მსგავსად სანობარისა; და რამეთუ მზე უდიდეს და უვრცელეს არს ქვეყანისა მრავლითა ნაწილითა და შეუცავს ქვეყანა ბრწყინვალებითა თვისითა”.

ახლა გავსინჯოთ სხვა მხარეებიცა ქართველთ ცხოვრების. ერთი ლექსი ასე ჰხატავს ქართველთ ზნე-ჩვეულებას:

,,პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა,
პურადობა და ვაჭრობა ქართლელთ არა ეძრახვისა.
ზრდილნი არიან იმერნი. მტერთა მიმცემნი რისხვისა,
ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა”...

როგორც ჰხედავთ, ლექსი ქართველებს მიაწერს ფრიად სანატრელს საუნჯეს:სიდარბაისლეს, ზრდილობას, პურადობას, ვაჭრობას, ლხინსა და მტრის რისხვასა, ომსა. თუ ლექსს დავუჯერებთ, გამოდის, რომ ქართველთ სჭირებიათ იგეთნი ზნენი, რომელთაც აღტაცებით იხსენიებენ, რომელთაც შეჰნატრიან ყველა ფილოსოფოსნი ძველისა და ახალის დროისანი. უეჭველია, რომ ყველა ეს ზნე მოიპოვება დაწინაურებულ, ზნე-ჩვეულებით და, მაშასადამე, კულტურითაც, განვითარებულ ხალხში. ზრდილობა, სიდარბაისლე იგეთი ზნეა, რომლის შესათვისებლად საჭიროა ხანგრძლივი ვარჯიშობა, ხანგრძლივი სწავლა და ჭკუის დიდი გამჭრიახობა. ზოგი ხალხია, რომელიც ველურობიდამ დიდი ხანია გამოსულია, მაგრამ იგი დღესაც მოუხეშავია. ზრდილობიანი ლაპარაკი, ზრდილობიანი ქცევა ჩვენში, მართლაც ძველადგანვეა შემჩნეული. ვისაც ჰქონია შემთხვევა და ოდესმე ყოფილა დალოცვილს იმერეთში, ახალციხის მხარეში, იგი ცხადად დაინახავდა, თუ რა ხარისხამდეა იქ მისული სადარბაზო ეტიკეტი, ანუ ჩვენებურად სიდარბაისლე-ზრდილობა. უტყუარად შეიძლება ვსთქვათ, რომ ჩვენში წარსულ ისტორიულ საუკუნოებშივე შექმნილა საზრდილობო ენა. იგი იხმარება ისტორიულს ძველს სამწერლო ნაშთებშიაც და დღეს მდაბიო ხალხშიაც. შესამჩნევია, რომ მხოლოდ ტოლი ტოლთან ისაუბრებს ჩვეულებრივის ენით, ხოლო უმცროსი უფროსთან, ახალგაზრდა მოხუცთან ანუ ყმა ბატონთან გინდ მოჰკლა მდაბიოთი არ იმეტყველებს. დღეს ყმაწვილმაც კი იცის ფასი ჩვენის კლასიკურის

ლექსებისა:მობრძანდი, ბატონო, დაბრძანდი. როგორ მშვიდობით გიკითხოთ, თქვენი კვნესამე. ხომ კარგად მშვიდობით გახლავან თქვენები. ანუ კიდევ:გარდაიცვალა, უბრძანა, მოახსენა, მიართვა, უთავაზა, მაგიერ სიტყვებისა:მოკვდა, უთხრა, მისცა და სხ.

პურადობაც, ლხინიც და სტუმრისმოყვარეობაც ფრიად სანუკვარი ზნეა. სტუმრისმოყვარეობა ქართველთა ხომ კლასიკურის დროიდგანვეა შემჩნეული. უსლარი თავის ღირსახსოვარ შრომაში განიხილავს რა ქრისტეს მოსვლის უწინარეს დროთა მწერლების ცნობებს შესახებ ქართველებისა, ამბობს:,,როგორც ჰხედავთ, საქართველოში ძველის დროიდგანვე ყოფილა ცივილიზაცია. ძველი მწერლები ერთხმივ აქებენ ქართველებს სტუმართმოყვარეობისათვის და დაზიანებულ მენავეთა დახმარებისათვის. ამათ ქართველნი ფულსაც აძლევდნენ, რომ გზაზედ არ დაშთენილიყვნენ და მშვიდობით მიეღწიათ სამშობლომდე. ,,ამ გვარადვე საყურადღებოა ბერძენთა ლეგენდა არგონავტებზე (მე-XII საუკუნე ქრ. წინად), რომელნიც მეფე ოტიამ ზარითა და ზეიმით მიიწვია თავის დარბაზში, დიდი პურობა გაუმართა. მაგრამ სამტროდ მოსულმა მტერმა ქართველთ პურადობას უღალატა, სტუმართმოყვარეობის წესი დაარღვია და გულუბრყვილო ოტიას მოსტაცა ოქროს-მატყლოსანი ვერძი.

საქართველოს ისტორიაში მრავალია მაგალითი სტუმართმოყვარეობისა, კარზე მომდგარ, გაჭირებულ მტრისაც კი შეწყნარება-დაპურებისა, მაგრამ რადგან «ქართლის ცხოვრება» არა სწამთ, ისევ სხვა წყაროებს მივმართოთ.

უცხოელთ მწერალნი გადმოგვცემენ, რომ ქართველთ სავაჭრო გზებზედ შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე მანძილით-მანძილ მგზავრთათვის ჰქონდათ გამართული სადგურები და თავსაფარნი. ქსენონნი ავადმყოფთა და უძლურთათვის საქართველოში დაიმართა ადრევე. მაჰმადიანთ მწერალი ალ-აინი დავით აღმაშენებელზე ამბობს, რომ იგი პატივით ექცეოდა ყველა ტომის ხალხს. უცხოელ-თათვის მან ააშენა ქარვასლები; სადგურები კი მოქადაგეთა, სუფიებთა, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფასაც უნიშნავდაო. თუ ვინმე მათგანი ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულსავსებით ხელს უმართავდა და ფულს უძღვნიდაო (იხ. ,,საქართ. ისტორ.” ვახუშტისა შენიშვნა დ.ბაქრაძისა).

იგულისხმეთ, თუ ეს ჩვენება ალ-აინისა რანაირად ჰგავს ძველს ქართულს ჩვეულებას, ზემოთ უსლარისგან აღნიშნულს!

სტუმართმოყვარეობის გარდა ქართველი განითქვა აგრეთვე ქვრივ-ობოლთ, ღარიბ-ღატაკთა განკითხვით, კეთილ საქმისთვის უხვად ფასის გაღებით. ძველნი გუჯარნი, ეკლესიის წარწერანი, ძველნი წიგნნი, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან ქართველთ მონასტრების წიგნთსაცავებში პალესტინას, ათონზე და თვით საქართველოში, აგრეთვე საეკლესიო მწერალთა (უცხოელთ, იერუსალიმის პატრიარქთა (პაისისა და დოსითეოზის) წერილნი- ყოველივე ესე გადმოგვცემს, თუ რა სიტყვით, რა ერთგულებით ქართველნი მეფენი, დიდებულნი და ხშირად წვრილნიც განიკით-ხავდნენ ქრისტიანეთა, ტაძარ-მონასტერთა და მაჰმადიანთაც კი. საქართველოს საპოლიტიკო იერარქიაში განსაკუთრებული თანამდებობაც კი არსებობდა-ჭყონდიდობა და მისი უფლება უმეტესად ის იყო, რომ სამეუფო ხაზინიდან განეკითხა ჩაგრულნი, ღარიბ-ღატაკნი და ქვრივ-ობოლნი. განკითხვა ღატაკთა საქებურ ზნედ გადაქცეულა და ამიტომაც სპასალარი ქართველთ მხედრობისა ასე არიგებს თავის მეგობარს:

,,მიეც გლახაკთა საჭურჭლე...

,,შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი არას მქონები...

,,იღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები”.
ან:
,,რასაცა გასცემ შენია, რაც არა-დაკარგულია”
შავთელი შეამკობს თამარ დედოფალს:
,,თვალი ხარ ბრმათა,
თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური,
უსახლთ სართული
მამა ობოლთა
მსაჯული ქვრივთა
შიშველთ სამოსლად მონიჭებული;
მოხუცებულთა
შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი”.
ქსენონებისა, საერო სადგურთა და სხ. აგება ფრიად კეთილი,
სამადლო საქმეა, ვითარცა გალობს რუსთაველი:
საჭურჭლიდამ:მიეც ზოგი ხანაგთა, ზოგი ხიდთა გასადებლად.

სამადლო საქმე ქართველ კაცს ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა. იგი ისტორიული ტრადიციაა ქართველთა ერისა. ფშავ-ხევსურეთ-თუშეთში, სვანეთში და სხ. დღესაც მეზობლის მოსისხლე მტერიც რომ მოგადგეს კარზე და თავსაფარი გთხოვოს, უნდა მიიღო, უმასპინძლო და მას, ვიდრე შენსას არის, ვერავინ ხელს ვერ ახლებს. ხიდებისა და ეკლესიების აგება და სხვა საქველმოქმედო საქმის გაკეთება დღესაც საქართველოში, საზოგადოდ დიდს, პატივშია. ინგილოები ამბობენ, ვინც ეკლესიას ააგებს, იმას ყველა ცოდვები ეპატიებაო; ვინც ხიდს დასდგამს, დიდი მადლიაო; ვინც დიდს გზაზედ წყალს გაიყვანს, ან ჭას ამოსთხრის, იმისი სული საიქიოს უწყლოდ არ დაიწვის და ცხონდებაო; ვინც უდაბნოში საჩრდილობელად ხეს დარგავს და ახეირებს, მადლიაო და სხ. და მართლადაც, ინგილონი სიტყვით ხომ ჰღაღადებენ ამ მაღალს აზრებს, საქმითაც ასრულებენ. საინგილოში არა ერთგან და ორგან ჰნახავთ შორიდან გამოყვანილ წყალს, ამოთხრილ ჭას, მონასტრისკენ გათხრილ და გაყვანილ გზას, აგებულს ეკლესიას და სხ. ქველისმოქმედნი დღესაც ცოცხალნი არიან. ინგილონივე ამბობენ, კაცი, მათხოვარა თუ კარს მოგადგა, გინდ მდიდარი იყოს, უნდა განიკითხო, შენ ღარიბის კვალობაზე განიკითხე და, თუ მდიდარია, მასვე მოეკითხვის და ცოდვად ჩაეთვლებისო. ამგვარივე წესები საქართველოს ყველა კუთხეში იხილება. გუჯრები მე-XI-XIX-მდე გადმოგვცემენ აგრეთვე მაგალითებს იმისას, რომ საქართველოში არა ერთი ეკლესია აგებულა კერძო კაცის მომჭირნეობით, არა ერთი არხი გამოყვანილა და სხ.

ქართველთ ნადიმობა, გულუხვობა და ,,ძველებური, ჩვენებური” ლხინი ხომ ძველადგანვე სახელგანთქმულია თავის კლასიკურ მრავალჟამიერითურთ. საკვირველი არ არის. ქართველთ ,,სუფრას” საკუთარი ხასიათი აქვს. ჩვენი სუფრა არის მომასწავებელი პატარა სამთავროსი, საცა ჰმეფობს ტოლუმბაში თავის მოხელე-ებით და ერთგულ ქვეშევდრომებით. ნებივრად სმა-ჭამა, სადღეგრძელოები, მრავალჟამიერი ხამუშ-ხამუშ და შიგა და შიგ საამო ლექსები, გაშაირება, ზმა და სხ.- ყოველივე ეს ქართველთ სუფრას ამშვენებს, ამკობს და ლაზათს აძლევს. სხვა ხალხებში ამის მაგვარს ვერას ვხედავთ. ჩვენი სუფრა ჭირისუფალსაც კი მოალხენს ხოლმე და და ერთს წუთს დაავიწყებს ყოველსავე სიმწარეს ამა სოფლისას...

რახან ჩვენს სუფრაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, აქვე საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ჩვენს მუსიკაზედაც, რომელიც აუცილებელი ელემენტია სუფრისა.

როდის, საიდგან, ან როგორ შემოვიდა ჩვენში მუსიკა და სამუსიკო საკრავები, ძველის ისტორიიდგან არა სჩანს, ხოლო წმიდა ნინოს ცხოვრებაში გვხვდება საკრავი ,,საყვირი", შემდეგ საუკუნოებში კი, მეტადრე მე-X-XI საუკ. დაბდაბი, ბუკი და სხვ. რუსთაველის პოემაში კი ნადიმობა-მეჯლიშობასა და ქორწილის აუცილებელი მუსიკა არის წინწილი, ჩანგი-ჩარანა, ქოსდაბდაბი, დაფი, ქნარი, ჩონგური, ომებისა და ჯართა დახედვა-გათამაშების კი ბუკი, ტაბლაკი, ნობი და სხვ. რუსთაველის დრო-იდგან ჩვენამდე ამ საკრავთა უმეტესი ნაწილი გავიდა ხმარებიდან. ეს მოჰხდა ერთის მხრით სპარსთა ზედგავლენისაგან როსტომ მეფის დროს მე-XVII საუკუნეში და მეორეს მხრით ქართველთავე სულიერ მოთხოვნილების გამო ახალ-ახალ საკრავების შემოსაღებად. დღეს საქართველოში საზოგადოდ იხმარება:დაირა, დიპლიპიტო, თარი, ჭიანური, ზურნა, დოლი, სანთური, ფანჩატური, სალამური, სტვირი, მესტვირული გუდა, ნაღარა, დაფი და ჩონგური. თვით სახელები საკრავებისა გვიჩვენებენ, რომ რომელი ამათგან ნაციონალურია და რომელი შემოღებული გარედგან. მე-XII საუკ. საკრავებიდგან როგორც სჩანს დაშთენილია მხოლოდ ჩონგური და დაფი. სამშობლო საკრავებით გაიზომება ნიჭი და პოეტური შემოქმედობა ხალხისა. რაც ეს ნიჭი ძლიერია, იმდენად მისი საკრავებიც განვითარებულნი არიან, იმდენად ისინიც ზედგამოჭრილნი არიან სულის მოთხოვნილების დაგვარად. ბუნებითად პოეტად, მოლექსე-მოშაირედ დაბადებულ ქართველს ფრიად უხდება ფანდურისა, ჩონგურ-ჭიანურის საამოდ ამოსკვნილი ღვთიური ხმები. მუსიკა და სიმღერა, რითაც მდიდარნი არიან ქართველნი, აგრეთვე ერთი დარგია წარმატებისა; დაფი და დაირა, ამბობს ტეილორი, დასაწყისია მუსიკისა. იგინი ცივილიზაციას დასაწყისიდგანვე გამოჰყვებიან. ხოლო სალამური და სიმებით განწყობილი საკრავი კუთვნილებაა წარმატებულის სამუსიკო ხელოვნებისაო. 52

ქართველები და ქართული ისტორია

,,ივერია" 1895, N 55, 12 მარტი, გვ. 1-3.

,,მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია".

დ.გურამიშვილი

აწინდელ დროში განათლებულნი ხალხნი იმისთანა ერს იყვარებენ და პატივს სცემენ, რომელსაც აქვს თავისი ისტორია და ძველთაგანვე შეძენილი სახელი და კულტურა..

სამწუხაროდ ჩვენდა, სახელი ქართველებისა ციაგშია, დაჩრდილულია. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერ ჩვენი ,,საკვიდრო" შესწავლილი არ არის. ამ მიმავალ საუკუნის დამლევს საქართ-ველოს ძველი მთავრობა რომ შეიცვალა რუსის მთავრობად, ახალ გარემოებათა მიმომდინარეობამ ქართველი ჩააგდო რაღაც გამოურკვეველს მდგომარეობაში. ამ მდგომარეობის მაყურებელმა ქართველმა დროებით დაივიწყა თავისი წარსული. იგი კარგა ხანს იმის გამოცნობაში იყო, თუ ვითარს მიმართულებას მიიღებდა და ვითარ გამოინასკვებოდა ქართველთა ცხოვრება ახალ მეპატრონეთა ხელმწიფობის ჟამს. ეს მაყურებლობის ხანა უკვე დასრულდა. დღეს უკვე ქართველობამ ნათლად გამოარკვია და შეიგნო ის გზა,

რომელზედაც მან უნდა იაროს მტკიცედ ფეხმარჯვედ და მიაღწიოს უკეთესს მომავალს...

ალექსანდრე პირველმა კვალად მისცა ერთობა საქართველოს, რომელიც სამეფოებად და სამთავროებად გაანაწილა შორს განუჭვრეტელმა საქართველოს მეფე ალექსანდრემ 1442 წელს..

გაერთიანებული საქართველოს შვილებმა უკვე შეიგნეს, რომ ,,აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა"

..დღეს ყველას კარგად ეყურება, რომ უნდა ვიცოდეთ ,,ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა". თუ ჩვენ ჩვენი თავი არ გვეცოდინება და არ გვეყვარება, ვერც შევასრულებთ ქრისტეს დიდებულს მცნებას:,,შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი". ვითარ შევიყვარებთ მოყვასსა ჩვენსა თუ არ გვეყვარება ჩვენი თავი, გამოხატული და გამონასკვული ჩვენს ისტორიაში!

ხოლო ჩვენი ისტორია ანუ, მდაბიურად რომ ვსთქვათ, ჩვენი ცხოვრება არის ერთი დიდებული ეპოპეა და მასში ამირანისებურად მიმსჭვალულია ის გონებრივი და კულტურული ,,სამკვიდრო", რომელიც დაგვიტოვეს წინაპრებმა და რომელიც დღესაც, ჩვენ-მიერ შეუმჩნევლად, გვასაზრდოებს და გვკვებავს ქართლოსიანთ.

მართალია, ახალმა დრომ ბევრი რამ შეგვძინა და შეგვმატა, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი ახალი სასიკეთო ნაკადულები შემოაჩუხჩუხა, მაგრამ მაინც ეს ახალი ,,ბევრიც" ძველის დროიდანვე შემუშავებულ ჩვენს კულტურასთან შედარებით მხოლოდ ცვარია დიდს ზღვაში.

თუ არის, სად არის ეს ზღვა კულტურისაო, რატომ ვერ ვხედავთ და ვერ ვამჩნევთო? იკითხავთ.

იმიტომ ვერ ვამჩნევთ, რომ ზღვა ჩვენი კულტურისა ჩვენს მატიანეს («ქართლის ცხოვრება») არ აღუნიშნავს. ქართველთა დიდებულთა ძეგლი ,,ქართლის ცხოვრება" აღწერილი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორისაგან არა ისტორიაა ერისა, არამედ მხოლოდ ერთი დარგი მისი, სახელდობრ და განსაკუთრებით იგი არის სამხედრო ისტორია ქართლოსიანთა. ხოლო საქართველოს სრული ისტორია, როგორც იგი გვესმის დღეს ჩვენ, სავსებით გამოხატულია:

ქართლის ცხოვრებაში (სამხედრო ისტორია)

სიგელ-გუჯრებში (შინაური ცხოვრება).

დიდებულს ძეგლებზედ (ხუროთმოძღვრება, ქანდაკება, მხატვრობა, მეურნეობა).

ფულებზედ (მადნეულობის შემუშავება, მეფეთა სურათები და მათი ჩაცმულობა).

ხელნაწერებში (მწერლობა საზოგადოდ:ისტორია, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, გეოგრაფია, სჯულდება, ხელთა-ქორონიკონი, აპოკრითნი და სხვ.). ზეპირსიტყვიერება (ლეგენდები, თქმულობანი, შელოცვანი, ზღაპარნი, გამოცანანი).

ქართულ ენაში (ძველი სახელები დღეებისა, თვეებისა, სოფლებისა, ქალაქებისა, ქვეყნებისა და სხ.).

უცხოელთა ისტორიკოსებისა და მოგზაურების ნაწერებში და აგრეთვე საქართველოს მეზობელ ხალხების გადმოცემასა და თქმულობაში.

სახალხო სიტყვიერება არის სარკე ქართველი ერის ფილოსოფიისა და რწმენისა. თუ რა ღირსებისაა ეს სახალხო ფილოსოფია ჩვენის ერისა, სჩანს იქიდგან, რომ ამ ფილოსოფიის ხელმძღვანელობით შეიქმნენ პოეტნი ლ.რაზიკაშვილი და ძმანი მისნი, ცახელი, ალ.ყაზიბეგი, დავ.გურამიშვილი. თვით პოეტთა მეფეს შოთა რუსთაველს და მისს წინამორბედს მოსე ხონელს - იგივე სახალხო ფილოსოფია დაუდვიათ საფუძვლად თვისის უკვდავის ქმნილებებისა.

დიაღ, ხალხში დიდი საუნჯეა დარჩენილი. გალობა, სიმღერა, ლექსაობა (მესტვირეობა), პლატონისებური სიყვარული (წაწლობა მთაში) და სხვადასხვა ჩვეულებანი, - ყველა ეს ძველი დროის ნაშთია და სამკვიდრო.

ნუ ვინ გაიფიქრებს იმას, რომ ან ნიჭი არ გვქონდეს, ან შრომისმოყვარეობა არ ვიცოდეთ, ან ზარმაცნი ვიყვნეთ. ქართველის სიზარმაცე ჭორია მეჭორეთაგან მოგონილი. თუ არა ნიჭმა და სიმხნევემ, მაშ რამ შეჰქმნა ზემორე ხსენებულნი აუარებელნი ხელნაწერნი, მაშ ვინ შეჰქმნა ,,ამირან-დარეჯანიანი", «ავთანდილ-ტარიელი», «ქართლის ცხოვრება» და საკვირველნი ძეგლნი, დიდებულად აღზიდულნი საქართველოს ყოველ კუთხესა და ღელე-ყურეში, თუ არა ნიჭით, მაშ რით და როგორ განითქვეს სახელი პირველხარისხოვანმა მუშაკებმა:ვ. პეტრიაშვილ-მა, ი.თარხნიშვილმა, ა.ცაგარელმა, მელიქიშვილმა, რაზმაძემ, სუმბათაშვილმა (იუჟინი) და სხვ. **იყოს თაფლი (იგულისხმე:საფასე, ურომლისოდაც კაცს შრომა არ შეუძლიან) თორემ ფუტკარი (მუშაკი) გამოჩნდება. ჩვენის ნიჭით თუ სარგებლობენ, რატომ ჩვენ -კი არ უნდა ვისარგებლოთ. შეძლება და საღსარი მივსცეთ და ყველა იმუშავებს სასარგებლოდ თავის გვარტომისა.**

რაოდენ ვაი-ვაგლახს, რაოდენ გრიგალსა და ქარტეხილს გადაუვლია ჩვენ წინაპრების თავზედ, მაგრამ მათ თვისის ბუნებრივის სიმხნითა და ნიჭით დაუცავთ თვისი ენა, სარწმუნოება და თავისუფლება.

მაშ ჩვენც ძველებს მივბაძოთ, დავლეწოთ უმეცრების ბორკილი, აღვადგინოთ ჩვენი სამკვიდრო. განა დრო არ არის! ერთი მივიხედოთ ,,რა სიკვდილის ლხინია ჩვენს გარშემო!" განა არ შეგვიძლიან მუშაობა, შემწეობა, დახმარება, ერთობა! დიაღაც შეგვიძლიან..

ჩვენ დღეს გვინდა სიდარბაისლე, ზრდილობა და პურადობა, რომ ერთმანეთს გულშემატკივრად და თავაზიანად მოვეპყრათ და შევეწივნეთ, ვაჭრობა გვინდა, რომ შეგვმატოს საფასე და უნჯი ქვეყნისათვის მოსახმარად. მაშ შენც ქართველო,

აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია:
გრძლად ძილს ჩვეული როდი ხარ,
მიგვიხმე უნჯნი ყმანია;
განიფრთხე ძილი, ზე აღდეგ,
ჩაიცვ წვრილ თვალთა რკინისა,
გაშალე დროშა მძლეველი
წვერ-მახვი, მტერთა ზარია.
მოყმეთა ნახონ ფრიალნი,
მუნ მოსქდეს მთა და ბარია.

ვიცოდეთ, რომ მარტო მღვიძარესა და მხნეს ეკუთვნის მომავალი..

ქართველები და ქართული ,,თავადობა"

,,ივერია" 1895, N 60, 18 მარტი, გვ. 2.

,,და წარემართა საქართველო და იწყო მცხეთამან თავადობა ყოველსა კავკასიასა შინა... დიაღ, იწყო ,,თავადობა" მცხეთამ, ქართველის უწმინდეს აკვანმა,- აღნიშნავს ავტორი და განაგრძობს, წმ. მცხეთის ,,თავადობა" დაადგინა მეფე აზომ (323 წელს ქრ. უწინარეს) და ეს ,,თავადობა" შემდეგში (453 წელს ქრის. აქეთ) იტვირთა ტფილისმა. თავადი წარმოსდგა სიტყვიდან თავი თავკაცობისა, მეთაურობისა ანუ თავოსნობის გამო. თავადი არის იგივე ლათინური პრინცეპსი, მოთავე, მოწინავე, მესვეური.

დღევანდელ წერილში ,,თავადობით"" ვგულისხმობთ ქართველ გვარტომის პრინცეპსიობას კავკასიაში. ვითარცა აღბარგებულ ზღვის დიდ-დიდი ტალღები და ზვირთნი გამოექანებიან ხოლმე მცირე ხომალდის ჩასაყლაპავად, სწორედ ისრე მოდიოდნენ ბაყბაყდევნი საქართველოს გასაქრობად. მაგრამ ამ დევებმა საქართველოს კერიაზე ანთებული ცეცხლი ვერ ჩააქრეს. და ვერ ჩააქრეს როდის? იმ დრო-ჟამს, როდესაც **ბაბილონმა** ჩაყლაპა ნინევია, **სპარსეთმა** ბაბილონი, **მაკედონიამ** სპარსეთი, **პართიამა** და ანტიოქიამ მაკედონია, **არაბეთმა** პართია და ანტიოქია, **ოსმა-ლეთმა** არაბეთი, ბიზანტია და სომხეთი, **მონგოლებმა** ნახევარი მსოფლიო! ყველა ამ დევ-ვეშაპებმა ვერ შემუსრეს მხოლოდ საქართველოს ,,თავადობა". ასრე იყო 1800 წლამდის. ამ წელიწადს... ჩვენი ,,თავადობა" ჩვენი თავისუფლება ჩავაბარეთ დიდს ხელმწიფეს, რომელმაც კეთილინება და 12 სექდემბერს 1801 წელს აღგვითქვა:ხმამან საქართველოისა ერისამან მოგვზიდნეს ჩვენ არ დავუტეოთ და არა მივცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა, მომცემელთა ხვედრისა თვისისა დიდსულისა რუსეთის საფარველისადმი". თვით ,,მოსკოვის უწყებანიც" (იხ. N 2 1894 წლ.) ღაღადებენ:"ქართველებს დაუცავთ ყოველნი მიმზიდველნი თვისებანი თვისის ისტორიულის პიროვნებისა:ღრმა სარწმუნოებრივი სიყვარული, შეურყეველი სიტრფიალე ეკკლესიისა, ქველობით აღსავსე ერთგულება თავისი ნებით არჩეულ ხელმწიფისა, ძმური ნდობა ერთმორწმუნე რუსეთისა, რომელსაც ჩააბარეს თავის სვე-ბედი, დაიმედებულია, რომ მათი ხალხოსნობა დაცულ იქნება და ჭეშმარიტადაც დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ამ ხალხოსნობას არა დაუშავდება რა. ეს, რასაკვირველია, კარგია, რომ მოსკოვის გაზეთიც კი ასე სჯის ქართველთა ეროვნულ უფლებათა შესახებ. მხოლოდ ჩვენ კვლავ უნდა ვიშრომოთ, ,,ვითავადოდ", რათა უაღრესად გავამდიდროთ ჩვენი, ისედაც მდიდარი, ენა, და ჩვენი ხალხოსნობა შევმოსოდ სიქველე-სათნოებითა და დავადგათ მას გვირგვინი ახალის დროის განათლებისა და შარავანდედისა. რაოდენადაც ცალკეობა და კერძოობა დამღუპველია ქვეყნისა, იმოდენად ერთობა, სიყვარული და მშვიდობისმყოფელობა სიმტკიცისა და კეთილგონიერების მომასწავებელია, ვინაიდან მხოლოდ ,,სიმართლემან და მშვიდობამან ამბორს უყვეს ურთიერთას".

ქართველები და ქართული საქმე

,,ივერია" 1896, N 2, 4 იანვ. გვ. 2-3.

ძველი დროიდანვე საქართველო განთქმული იყო მისი ბუნების სიუხვე-სიმდიდრით. ბერძენ-რომაელთა მწერლების თქმით, უცხოელთა ვაჭრებს ამ ქვეყნიდგან გაჰქონდათ პური, მაჭარი, სელი, მრავალგვარი მადნეული და სხ. თვით ლეგენდა ოქროს მატყლისან ვერძის შესახებ მხოლოდ იმის აღმნიშვნელია, რომ მაშინ (მე- 12ს. ქრ. წინად) კოლხიდა ფრიად მდიდარი ქვეყანა იყო. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე აღუნიშნავს ყოველს მწერალს, რომელსაც კი უმოგზაურია ამ ქვეყანაში. ხოლო ყველაზე დაწვრილებით საქართველოს სიმდიდრე-სიუხვის აღწერას წარმოგვიდგენენ ვახუშტი და არჩილ მეფე.

რითაა მდიდარი ჩვენი ქვეყანა?

ხორბლეულით (პური, ქერი, სიმინდი, ფეტვი, შვრია, დიკა), **საბაღოსნო** და **სამდელო** მოსავლით (ყურძენი, ღვინო-არაყი, ლობიო, კომბოსტო, ხილეულობა, თამბაქო), **სატყეო საშენობო** მასალით (ტივი, ფიცარი, შეშა), **ლერწოვან** მცენარეულობით (კანაფი, ბამბა, სელი), **საღებავებით** (თრიმლი, ენდრო), **სურნე-ლოვან ფოთოლ-ყვავილებით** (დაფნა, ვარდი და სხ.), **მადნეულითა** და სხვა

სასარგებლო **მიწითა** და **ქვით** (სპილენძი, ვერცხლი, სამკურნალო წყლები, გაჯი, წითელი ქვა და სხ.), **საქონლითა** და მის **მოცემულით** (მატყლი, ერბო-კარაქი, ქონი, ტყავი, ყველი), სასარგებლო **მწერებით** (ფუტკარი, აბრეშუმის ჭია და სხვ. და სხვ.

ყველა ამით მდიდარია ჩვენი ქვეყანა, ყოველივე ეს, ჯერ მეურნეობის დაბალ ხარისხზე დგომის ჟამს, საკმაოდ გვეძლევა ყოველწლივ და. მიუხედავად ამისა, ყველანი ვიძახით ,,ღარიბნი ვართო".

რად უნდა ვიყვნეთ ღარიბნი, როდესაც ,,ყველიცა გვაქვს, პურიცა და, წარმოიდგინეთ, არათუ კეთილი გულიც, არამედ სასმელი ღვინოც?

სწორედ იმიტომ ვართ ღარიბნი, რომ კეთილგულისანი ვართ და მეტისმეტად წინდაუხედავნი. ჩვენი გულკეთილობით ვღუპავთ არათუ ჩვენს ცოლ-შვილს, არამედ ჩვენს მიწა-წყალსაც. ესაო და ბერძენ-რომაელთა მწერლებმა შეაქეს ჩვენი სტუმართმოყვარეობა, ესაო პურმარილიანობა ქველობაა-ვასმევთ და ვაჭმევთ ჩვენს ქონებას, და სიმდიდრეს სხვებს- გვარიანსა და უგვაროს; ის კი გვავიწყდება, რომ ჯერ ერთი, ბერძენ-რომაელთა მწერლების ჟამს ჩვენი მიწა-წყალი ერთად მეტის მომცემი იყო, ვიდრე დღეს იძლევა და მეორეთაც, ის სტუმრები, რომელთაც მაშინ ვუმას-პინძლდებოდით, საქართველოს მწე-მფარველნი იყვნენ ხშირად. დღესღა? დღევანდელი სტუმრები მიწის მგლებად გადაგვქცევიან:ვაჭმევთ და ვაჭმევთ, იგინი სუქდებიან და ჩვენ ბეღლები გვიცარიელდება; ვასმევთ და ვასმევთ, იგინი მდიდრდებიან და ჩვენ ქვევრები გვიცარიელდება.

რად უნდა ვიყვნეთ ასეთი ბედოვლათნი? როდემდის უნდა ვიყვნეთ სხვის ,,მეწველ ფურად"? როდემდის უნდა ვიტვირთოთ სამართლიანი კიჟინი რუსეთის მეგაზეთეებისა, რომელნიც ,,Сонливый грузинъ"-ს გვეძახიან?

როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს

სწორედ ისრე, როგორათაც თავის თავს ჰშველოდნენ ჩვენი წინაპარნი. მტერი რომ მოადგებოდა საქართველოს, უკეთესნი მამულიშვილნი შეიყრებოდნენ, შეკავშირდებოდნენ, დაჯარდებოდნენ, მიესეოდნენ მტერს, თავზე კაკალს დაამტვრევდნენ და უკუაქცევდნენ. ხსნას იგინი ყოველთვის საერთო ძალაში პოუ-ლობდნენ. ასრეთი საერთო ძალა საჭიროა დღესაც. წინათ თუ მტერს ხმლით უსწორდებოდნენ, დღეს ხმალი სრულიადაც საჭირო აღარ არის, რომ მოვიშოროთ სტუმარ-ვაჭრები. **ახლა ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ ჭკუა-გონების სიფხიზლე, რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენვე დაგვრჩეს.**

საქმე ის არის, რომ ძველ დროს ქართველ კაცს სააღებ-მიცემოდ არ ეცალა, თითონ ომსა და ყოველდღიურ ვაი-ვაგლახს უნდებოდა და ამიტომ ვაჭრობა სხვებს ჩააბარა. ეხლა ომიანობა აღარ არის და, მაშასადამე, რაღა დაუშლის ქართველს რომ კვალში ჩაუდგეს იმ მადლიან საქმეს, რომელსაც ვაჭრობას ეძახიან და რომელიც იმორჩილებს ქვეყნებსა და სახელმწიფოებს? სრულიადაც არაფერი, რადგან ქართველ კაცს ძველადგანვე დაჰყოლია ნიჭი ვაჭრობა-მრეწველობისა:,,პურადობა და ვაჭრობა ქართველს არ ეზრახვისა", ამბობს ძველი თქმულობა.

ვიმეორებთ, დღევანდელს ყოფაში ჩვენთვის ფრიად ხელსაყრელია ერთურთის დახმარება, ერთსულობა, ერთგულობა, ნდობა, ერთად ჭაპანწყვეტა. თუ კახეთის ცხრა მებატონემ მოახერხა ამხანაგობის შედგენა და საერთო სარდაფის გახსნა, რომ თავისივე ნაწარმოების შემოსავალი თვითონვე დარჩეს, რატომ არ შეიძლება, ამავე მიზეზით დაიმართოს:

ა) კიდევ სხვა დიდ-დიდი საამხანაგო სარდაფები.

ბ) მატყლისა, ყველისა, ერბო-კარაქისა და სხ. საწყობი და სავაჭრო სადგური.

გ) ხე-ტყის ჩამოსაზიდი და სავაჭრო სადგური.

დ) ხილეულობისა და ბოსტნეულის ამხანაგობა და სხ. და სხ.

იტყვით, მაგის გასაძღოლად და პირველ ხანში მოსაწყობად სად ვიშოვოთ ფულიო. გული გულობდეს, თორემ ფული ყოველთვის იშოვება. განა პური, ღვინო, მატყლი, ერბო, ყველი, ხე-ტყე, ხილი და სხ. იგივე ფული არ არის? თქვენ მიბრძანეთ თაოსანი და თაოსნები, თორემ საქართველოში ფულიანიცა და პურიანიც ცოტა არ არის.

ბ-ნი ალხაზიშვილი ეხლახან ,,ივერიაში" სწერდა:ერთ თუშს, რომელსაც 6000-მდე სული ცხვარი ჰყავდა, ცხვარი დაეფრთხო, კლდეზე გადაუცვივდა და სულ დაეღუპა ამოდენა ფარაო. მისმა ამხანაგმა თუშებმა ფიცხლავ **ოჩხარი** გაუმართეს, მოუგროვეს 1200 სული ცხვარი და ჩააბარეს ხსენებულს თუშსაო და დაღუპული კაცი ისევ ფეხზე დააყენესო,- არა მგონია, რომ ამისთანა კაცებმა ვერ შეიგნონ სარგებლობა საერთო სავაჭრო სახლის გაჩენისა თავისისავე ნაოფლარის გასანაღდებლად.

ვიმეორებთ, ვინც დღევანდელს ჩვენს გაჭირვებას გაუძღვება და შეაკავშირებს ქართველ მრეწველთა ძალას, იგია ჩვენი სარდალი და მას მხოლოდ ჰშვენის ,,თავადობის" წოდება; **ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის**,- ეს უნდა იყოს დღეს ჩვენი თქმა და საქმე.

შვილთა მოვალეობა მამა-პაპათადმი I, II.

(ეძღვნება თ-დს დ.ზ.მელიქიშვილს).

,,ივერია" 1904, N 131, 6 ივნ. გვ. 3; N 136, 12 ივნ. გვ. 2-3.

,,ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა:
მათნი სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა"!

ეს მშვენიერი სიტყვები წავუმძღვარეთ ჩვენს წერილს ,,მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, და ამ უმანკო სიტყვებისთვის კინაღამ შოვინისტთა რაზმში არ ჩაგვრიცხეს...

დიდი, მეტად დიდი ფასი ჰქონდა ჩვენში მამულიშვილობას, სამშობლოს სამსახურს, მკლავის სიმტკიცეს, გულის სიგმირეს, თავისუფლებისთვის თავგანწირვას, ახოვნად ბრძოლას, ვაჟკაცურის უშიშრობით მამულისთვის თავდადებას.

,,სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი",-ეს იყო საერთო მისწრაფება ქართველ ერისა.

ცოტაა ქვეყნები, საცა მამულის სამსახური ისე დაჯილდოვებულიყოს, როგორც საქართველოში. სხვაგან გმირს დაფნის გვირგვინს მიართმევდნენ ხოლმე, ყვავილებს უფენდნენ, როდესაც ძლევამოსილ სამშობლოში ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდგან. ჩვენში ამისთანა გმირს უდიდესი ჯილდო მიეძღვნებოდა ხოლმე:აზნაურობა ან თავადობა.

გმირობა ჩვენში იყო აზნაურობა, მამულისთვის თავდადება- თავადობა; სილაჩრესა და სიმხდალეს ერგებოდა მხოლოდ სიძულვილი ერისა.

გმირი გლეხი უმალვე მაღლდებოდა, ქალაჩუნა და ორგული კეთილშობილი მსწრაფლ მდაბლდებოდა, მდაბიოვდებოდა.

ამიტომაა, რომ ჩვენში ბევრია

თავადი:	**აზნაური:**	**გლეხი**:
ჭავჭავაძე	ჭავჭავაძე	ჭავჭავაძე
შარვაშიძე	შარვაშიძე	შარვაშიძე
წერეთელი	წერეთელი	წერეთელი
ლიონიძე	ლიონიძე	ლიონიძე
ამილახვარი	ამილახვარი	ამილახვარი
(ზევდგინიძე)	ზედგინიძე	ზედგინიძე
თუმანიშვილი	თუმანიშვილი	თუმანიშვილი

გმირმა შეირჩინა ხარისხი, ჯაბანმა დაჰკარგა. ამაღლებული დამდაბლდა, მდაბალი ამაღლდა.

თავად-აზნაურთა ღვაწლი დიდია.

შესანიშნავია თვით მათი სახელწოდება. **აზნაურს** მეგრულად ჰქვიან **ჟინოსქუა**, რომელიც ნიშნავს ზენასშვილს (ჟინი ზენა, სქუა-შვილი). აზნაური თავდაპირველად ყოფილა ზენაური. ლექსი **თავადი** წარმომდგარა სიტყვიდამ ,,თავი" ისრევე, ვით სიტყვები პურადი, ხელადი, კაცადი, თვალადი, გულადი ლექსებიდამ პური, ხელი, კაცი, თვალი, გული.

ამ წარჩინებულთ დიდი ამაგი დასდეს სამშობლოს, კეთილშობილთა წრემ საქართველოს მოსცა მრავალი ჩინებული სარდალი, მრავალი თვალსაჩინო მწერალი, მგოსანი, ისტორიკოსი, ხუროთმოძღვარი, მოწამე, გმირი.

ბაგრატიონთ გვარეულობაში ხომ მეტად გრძელი სიაა დიდბუნებოვან მეფე-სარდალთა, მწერალთა, სახელოვან პატრიარქთა, აღმაშენებელთა, სჯულისმდებელთა, სჯულისა და სამშობლოსთვის მოწამეობის უღლის მტვირთველთა.

მართალია, თავად-აზნაურობაშიაც ჩნდებოდნენ უკუღმართნი და გარეწარნი, მაგრამ რომელი ერის ცხოვრებაში არ ყოფილან ამისთანა დასაგმობნი და შესაჩვენებელნი.

დროა საქმეს შევუდგეთ. დროა, შესდგეს პირუთვნელი ისტორია საქართველოს კეთილშობილთა წოდებისა, თავადაზნაურობის გვარეულობათა. ეს ისტორია დაგვანახვებს ავსა და კარგს, კეთილს დაგვიდევს გზად და ხიდად, ავს მოგვაძულებს, კეთილს შეგვაყვარებს. კაცურ კაცს ფასი დაედება ისევ ჩვენთა მამა-პაპათა თვალსაზრისით:

,,ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა:
თუ კაცი თვითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა".

ჯერ ისევ 26 იანვარს 1861 წელს გონსეტი (გონცეტ) სწერდა თავად დ.თ.ორბელიანს:"ისტორია, მაუწყებელი წინაპრების ღვაწლთა, საქმეთა და შენობათა, უნდა დაშთეს ყოველ ერში სამაგალითოდ და სახსოვრად შთამომავლობისა. ამ მიზეზით შვეიცარიაში იბეჭდება ისტორიული ლექსიკონი **მორიერისა**, რომელიც უკვე შვიდჯერ გამოიცა. ამავე აზრით აგროვებდნენ ამგვარსავე ცნობებს ვოლტერნი, რუსონი, ჰიბონნი, სტალი, ბაირონნი და სისმონდი." გონსეტი ითხოვდა საქართველოდგან, ამ განთქმული გმირების სამშობლოდან, გაეგზავნათ ცნობები დასაბეჭდად შვეიცარიის გამოცემაში. მაგრამ...არავინ ხმა არ ამოიღო აქედგან.

თავადაზნაურობის ისტორია ერთი უაღრესი დარგია მთელი საქართველოს ისტორიისა. ჩვენ განვიზრახეთ შევადგინოთ წარჩინებულების გვარეულობათა ისტორია, მათი გენეალოგია, სია მწერალთა, სარდალთა, მოწამეთა, მაკურთხეველთა,

და გამოვცეთ. დიდად დაგვავალებს ყველა, ვინც ამ საქმეში დაგვეხმარება, ვინც მოგვაწვდის საჭირო ცნობებს, გაგვაშინჯებს და გადმოგვაწერინებს საგვარეულო სიგელ-გუჯრების შინაარსს.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ დავბეჭდავთ საქართველოს მეფეთა გენეალოგიას" და ამ ცნობებს შესახებ ბაგრატიონთ გვარეულობის შტოებისა. ესენი 1300 წლის განმავლობაში უწინამძღვრებდნენ საქართველოს ერს, უგერებდნენ აუარებელ ბარბაროსთ და ამკვიდრებდნენ კულტურას სამშობლოსა და კავკასიაში.

წინა წერილში (,,ივერია N 131) ჩვენ გამოვთქვით სურვილი, რომ დროა საქმეს შევუდგეთ, შევადგინოთ მოკლე ისტორია საქართველოს თავად-აზნაურთა წოდებისა, მათი გენეალოგია.

უპირველესი წყარო თავად-აზნაურთა ისტორიის შესადგენად და უმთავრეს მასალად ამ ისტორიისა ითვლება კეთილშობილთა წოდების საგვარეულო სიგელ-გუჯრები და აგრეთვე წარწერები მათ საგვარეულო საყდრებისა, აკლდამებისა, ხელნაწერ წიგნებისა, ციხე-კოშკებისა და სხ..

,,ქართველთა მატიანეში""ჩვენ უკვე განვმარტეთ, რომ ბატონიშვილი ვახუშტი, ხშირად, ამ სიგელ-გუჯრებს იხსენიებს თავის წყაროდ, მაგალ. მათზე აფუძნებს იგი ისტორიულ ცნობებს შესახებ ბარათაშვილებისა, ამილახვართა, თუმანიშვილთა და სხ.

სიგელ-გუჯრებს უაღრესი მნიშვნელობა აქვთ არათუ მარტო შესასწავლად კეთილშობილთა წოდების ისტორიისა, არამედ მთელის საქართველოისაც. იგი გვაუწყებენ ურთიერთობის განწყობილებას წოდებათა შორის, მდაბიოთა დამოკიდებულებას მებატონეებთან და მებატონის მოვალეობას მეფისა და სახელმწიფოს წინაშე. სიგელ-გუჯრები გადმოგვცემენ, ვინ რა სამსახური გაუწია მამულს, რა ამაგი დასდო სამშობლოსა და ქვეყანას, ვინ საიდან მოვიდა, სად დასახლდა, სად და როგორ ააგო ციხე კოშკი, რა სამსახური გაუწია ერს ამ ციხე-სიმაგრემ.

ჩვენ გაგვიშინჯავს არა ერთი საგვარეულო სიგელ-გუჯარი. მათშია მასალა ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ლექსიკოგრაფიული (მრავალი ძველი სიტყვები, ნაციონალური სახელები, საწყაოთა და საზომთა ტერმინები) და სხ. და სხ.

წარწერებს საგვარეულო ციხე-კოშკებისა, აკლდამებისა და ხელნაწერებისა, ხშირად, ფრიად ვრცელი და დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

თავად-აზნაურთა სიგელ-გუჯრების ნამდვილი პირი (კოპიოები) დაცულია ორს უწყებაში:ტფილისის საგუბერნიო მმართველობის არხივში 87 ფოლიანტად ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა სიგელ-გუჯარნი და ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილებისა 379 ფოლიანტად ქუთაისის გუბერნიის არხივში.

ეს კოპიოები მთავრობამ გადაიღო 1817, 1820 და 1822 წელს და მერე ასლები ისევ მათს პატრონებს დაუბრუნა. ყველა ამ დოკუმენტის რიცხვი ხსენებულ უწყებებში 40 ათასზე მეტია.

ეს სიგელ-გუჯარნი უნდა მოგროვდეს და დაიბეჭდოს. წინასწარვე ვიტყით, ეს იქნება უდიდესი და უაღრესი ძეგლი შვილებისა მათ მამა-პაპათადმი, და ეს ძეგლი იქნება უფრო მტკიცე, უფრო უხრწნელი, ვიდრე ის მარმარილოს ძეგლები, რომლებითაც ჩვენში ამკობენ მამა-პაპათა საფლავებს. ამ ძეგლს უფრო განაცხოველებს, უფრო დიდი ფასი დაედება, თუ აგრეთვე მოგროვდა და სიგელ-გუჯრებთან ერთად დაიბეჭდა საგვარეულო ციხე-კოშკებისა და აკლდამების წარწერები, საგვარეულო ხელნაწერებში ჩაწერილი მნიშვნელოვანი ამბები,

საგვარეულო გადმოცემანი, გვარეულობაში უფრო გამოჩენილ და დამსახურებულ პირთა ბიოგრაფიული ცნობა, საგვარეულო გენეალოგია, სურათები გვარეულობის გარდაცვალებულ თუ ცოცხალ წევრებისა, ციხე-ტაძრებისა და სხვ.

ჟამთა ვითარებისაგან ინგრევა და ილეწება თვით მკვიდრი შენობანი, ძვირფასი მატურები, იკარგება და ისპობა ხელნაწერები, სიგელ-გუჯარნი, რომელთა გაქრობა და განადგურება ამასთანავე შეუძლია ისეთს მტერს, ვითარიც არის ცეცხლი.

მარტო ბეჭდვას შეუძლია მთელი ეს ძვირფასი საუნჯე, ქართლის ცხოვრებისაებრი მასალა, გადაარჩინოს ყოველსავე ხიფათსა და ფათერაკს, მარტო ბეჭდვით შეიძლება დიდისა და საუკუნო ძეგლის აგება და მით უკვდავყოფა იმათი, რომელთა ,,სახენი სჩანან ნათელნი წარსულთა ძველთა საუკუნეთა”.

ჩვენის აზრით, ამ საქმეს ეხლავე უნდა შევუდგეთ.

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ასის წლის შესრულების მოსაგონებლადა და სახსოვრად თავად-აზნაურობას გადაეწყვიტა ცალკე კრებულის გამოცემა. ვფიქრობთ, იმაზედ კარგი ძეგლი რაღა იქნება, რომ კეთილშობილთა აწინდელმა თაობამ-ამერეთ-იმერეთისამ - დაბეჭდოს სრული ცნობები შესახებ თავის მამა-პაპათა. ასეთი წიგნი აანაზღაურებს მასზე დახარჯულს ფულსაც:კეთილშობილთა ყოველს ოჯახს მიეცემა შეძლება შეიძინოს ეს წიგნი და გაიცნოს ჭეშმარიტი ცნობები შესახებ თავის წინაპრებისა, და იგივე შეიქმნება ერთ უმთავრეს წყაროდ საქართველოს ისტორიისათვის.

ტბეთის სვეტი შავშეთში

(ვუძღვნი ჰაიდარ-ბეი აბაშიძეს).

,,სახ. გაზ.” 1913, N 955, 28 ივლ. გვ. 2-3.

ტბეთის სვეტმა 1028 წელს იხსნა საქართველო დაღუპვისაგან. ავტორი აღწერს დიდებულ ტბეთს და ახასიათებს იქ მოღვაწე ჩინებული მამულიშვილების საუკუნო ღვაწლს.

891 წელს გარდაიცვალა გურგენ მამფალი. არტანუჯის კურატპალატი და კალმახის მფლობელი მისი შვილი იყო სახელგანთქმული აშოტ კუხი, ერისთავთ ერისთავი. აი ამ ,,აშოტ ერისთავთ-ერისთავმან, ძემან გურგენ კურატპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი, შავშეთს, და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელიც სტეფანე უწყებისა სულისა წმიდისათა, და გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქორონიკონსა რკ (918 წ.).

სახელოვანმა გიორგი ყაზბეგმა ნახა ტბეთი 1876 წელს. მთელი ეს ყოფილი აკვანი ქართველთა განათლებისა, მთელი ეს სამშობლო ნინოებისა, ოპიზართა, პარხლის, შატბერდის, არტანუჯის მამებისა, მამფლებისა, სარდლებისა და მოღვაწეთა საზო-გადოდ, როდესაც ყოველივე ეს ჯერ ისევ გმინავდა ოსმალეთის სულთნის მფლობელობის ქვეშე; (მოყვანილია ციტატა გ.ყაზბეგის აღწერილობიდან).

1892 წელს მთელმა ექსპედიციამ პავლინოვის ხელმძღვანელობით დაიარა მთელი ეს მხარე და ყოველი ნახული ასწერა, დახატა და დაბეჭდა მოსკოვის არქეოგრაფიული საზოგადოების გამოცემაში (1893. გამოც. III).

უყურებ ამ გამოცემაში ჩართულ სურათებს, გეგმებს აქაურ მამა-წმიდისას, სვეტისას, ოპიზისას, ბერთისას, დოლისყანისას, ტბეთისას და სხვა მათს დიდებულებას, მათ საკვირველებრივ შვენებას და უნებლიედ გული გევსება ნაღვლით და ნება-უნებლიედ გაიფიქრებ:დადუმებულან სახლნი, საცა გაისმოდა

უკვდავი ჰანგები, დადუმებულა კერა, საცა ქართველობა ჰკვერავდა, საუკუნო ძეგლებთან ერთად, თავის ეროვნული ღვაწლით მდიდარს ისტორიას.

ტბეთის პირველი ეპისკოპოსი ნეტარი სტეფანე ღრმად სწავლული კაცი იყო, ზედმიწევნით მცოდნე საღმთო წერილისა. იგი მაღალ ნიჭიერად აღმწერია გობრონის ცხოვრებისა.

სტეფანეს მომდევნო ეპისკოპოსად ტბეთში იყო იოანე მტბევარი, რომელიც წმინდანად გამოხატულია წერა-კითხვის საზოგადოების დიდს კრებულში მე-X საუკუნისა (იხ. ეს სურათი ჩვენს ,,საუნჯე მეათე საუკუნეში", აგრეთვე ,,შოთა რუსთა-ველს"-ში და ,,საქართველოს ისტორიაში").

ეს წმ. იოანე მტბევარი 995 წელს უკვე ნაჩვენებია აწყურის მამათმთავრად.

მეათე საუკუნის მეორე ნახევარში ბრწყინავდა ღმერთშემოსილი დავით ტბელისძე. აი მისი ქართული:

,,ტკბილი არს მზე შემდგომად ღრუბლისა და ტკბილ არს არე ზაფხულისაი მომასწავებელი-რომელი შემდგომად ზამთრისა სიმძიმისა გამოჩნდების, ტკბილ არს სახილველად თუალთათვის მყუდროებაი და სიკეთე და შეზავებულებაი ჰაერისაი, და ზღუაი განფენილი და ღიმილით ქვათა მათ ზღვის პირისათა მცემარე შემდგომად ნიავქართა და ღელვათა დაცხრომისა".

თ.ჟორდანია ფიქრობს, ,,ჩვენ დავით მტბევარი არსად შეგვხვედრია და ჯერ ნაადრევად მიგვაჩნია იმის თქმა, რომ დავით ტბელისძე ოდესმე ყოფილიყოს ეპისკოპოსად ტბეთისა. სხვა არა იყოს რა, თითქმის არც ერთი დიდი მთარგმნელთაგანი მე-X-XI საუკუნის ეპისკოპოსად არ ყოფილა".

მე-XI საუკუნეში იყო აგრეთვე ქავთარ ტბელი (რომელიც შეებრძოლა ბაგრატ III მოღრისს და დამარცხდა), ხოლო 1233 წელს მწერალი აბუსერიძე ტბელი. 1028 წელს მტბევრად იყო დიდებული საბა, ხოლო 1080-1091 წ. ანტონ.

ტბეთის სვეტის ამბავი დაკავშირებულია ამ საბას სახელთან.

საქართველოს გაერთიანებას დიდ მოწინააღმდეგობას უწევდნენ ქართველი მემატიანეები, უამრავნი ერისთავნი.

1021 წელს საქართველოს შემოება ბერძენთ იმპერატორი ვასილი. მისი პოლიტიკა განაგრძო მისმა ძმამ, იმპერატორმა კონსტანტინემ, რომელსაც წინაღუდგა ბაგრატ IV, რომელიც ამ დროს 9 წლისა იყო. კონსტანტინემ 200 ათასი ქვეშევდრომი დაუხოცა და 40 ციხე წაართვა ქართველ მეფეს.

ზოგი ქართველისთვის ესეთი შემოსევა სანუკვარი გახდა. ეგონათ, ძალას, უფლებას მოვიმატებთო, მღვრიე წყალში ბლომა თევზს დავიჭერთო. უღალატეს ბაგრატს და მიემხრნენ იმპერატორს ვაჩე ვარჭისძე, იოანე ბანელი, ტაოს ციხოვანი თუ უციხო აზნაურები; შავშეთის ერისთავმა იმპერატორს დაუთმო ციხე წეფთისა, ფალელმა ციხე გარყრილობისა, არჯევან გლოლისძემან უღალატა ბაგრატს. მოღალატეთა მისადევარში დაშთა ერთად ერთი ნათელი პირი თავის მცირერიცხოვანი მომხრეებით. ეს იყო უკვდავი მამულიშვილი, გმირი საბა მტბევარი.

ტბეთის შესავალში არის ბუნებითვე სვეტის მსგავსად აღზიდული ბორცვი. საბა ეპისკოპოსმა, ნახა რა, რომ სამშობლოს ფრიად უჭირს, რომ მტერს სურს მონობის უღელი დაადვას საქართველოს, ფიცხლავ ააგო მაგარი ციხე ხსენებულს ბორცვზე, უწოდა მას სვეტი, გამაგრდა შიგ, მიიმხრა ეზრა ანჩელიც, შემოიმაგრა შავშეთი და სასტიკი ბრძოლა აუტეხა მოსულ ბერძნებს. შავშელი აზნაურებიც მასთან ერთად იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის.

..იდგა სვეტი თავისუფლებისა შეურყევლად, მტკიცე ანდამატივით. რომ ვერ მოისყიდეს ,,ლიქნითა" და ,,საფასეთა ქადებით", მტერი მოშორდა თავისუფლების

სვეტს და მალე მთლად გავიდა საქართველოდან, რომლის უსამართლო მჩაგრავი იმპერატორიც ამავე ხანს ჩაჰბარდა მამა-პაპათა საუკუნო სასუფეველს..

და ასრე, ნათლით მოსილ საბამ ,,დაიმჭირა ქვეყანაი შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ მეფისათვის.. და ღმერთმაც პატივსცა და ვერ წარუღეს ქვეყანაი მტერთა".

დაშთა სვეტიცა თავისუფალი. საბას დროშამაც იწყო ფრიალი.

დღეს-ღა?

სვეტი მოფუშულია, ტაძარი გაუქმებული, ერი გარდაქმნილი; აქაურ ჭალაკთა შინა უკვე ,,დაემკვიდრნენ ურჩხულნი", მამა-პაპათა ქალაქსა შინა აღმოსცენდნენ ეკალთა ხენი, ძნელოვანნი მათნი იქმნენ საყოფელად ურჩხულთა და სამკვიდრებელად სირთა და შეითხვივნენ ეშმაკნი და ვირდევნი.. მუნ განისვენებენ ვირდევნი, მუნ მართვენი ისხნენ გძღარბთა, მუნ შეკრბენ ნადირნი (ესაია, 33, 13.15; იერ. 50, 39).

ნუთუ ამისთანა უდაბნოდ უნდა ქცეულიყო აღმოსავლეთი საქართველოც, თუ ოსმალთ დაემყარებინათ თვისი მფლობელობა? ასე რომ ყოფილიყო, ნუთუ აქაც აღარ უნდა აღორძინებულიყო იგეთი დამამშვენებელნი გვარტომისა, ვით გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, თარხნიშვილი, პეტრიაშვილი, გაბრიელი და მრ. სხვანი?

ნუთუ მამა-პაპათა ღვაწლმა, დიდებამ შთამომავლობას არ უნდა განუცხოველოს მამა-პაპური სული? ნუთუ კლარჯეთ-ჭანეთობამ აღარ უნდა მოიხედოს თვის აღმოსავლეთ ღვიძლ მოძმეთადმი, რომ დაინახოს, რაოდენად შორს გაუსწრეს ამათ დასავლეთელ ქართველობას ყოველგვარ საკულტურო საწაღმართო საქმეში, რახან შეინარჩუნეს უკეთესნი ანდერძნი გმირულად გავლილ საუკუნეთა?

საქართველოს დროშა. საისტორიო პატარა ცნობა

,,საქართველო" 1917, N 124, 10 (22) თიბათვე, გვ. 3-4

ფარნავაზმა საქართველო ცხრა მისადევრად გაანაწილა და ყველას დაუდგინა ერისთავი. ეს მისადევრები ანუ საერისთავოები იყვნენ

1-ლი:რიონის დასავლეთი შავ ზღვამდე და ეგრისის წყლამდე სვანეთითურთ.

2-ე:რიონსა და ღადო-მთის შორისი მცირე ლიხიდამ ზღვამდე. შორაპანი შეიქმნა მისადევრის საატახტოდ.

3-ე:კახეთ-კუხეთ-ჰერეთი.

4-ე:ხუნანი, ბერდუჯსა (დებედას) და მტკვარს შუა ტფილისამდე.

5-ე:სამშვილდე ვერის-წყლიდან ფარავნამდე აბოცითურთ.

6-ე: წუნდა, მტკვრის აღმოსავლეთი ფარავნამდე და თავამდე მტკვრისა.

7-ე: ოძრახოს, ტაშისკარს ზეითი ზღვამდე და ჭოროხამდე გურიითურთ.

8-ე: კლარჯეთი ზღვამდე.

9-ე:შიდა-ქართლი.

შიდა-ქართლის ერისთავი დაადგინა საქართველოს ლაშქრის სპასპეტად და მას დაუმორჩილა ყველა დანაშთენი ერისთავები, რომელნიც თავიანთ მისადევრების ხვედრ სახელმწიფო ხარკს მასვე წარმოუდგენდნენ.

თამარ მეფის დროს იყვნენ ერისთავები სვანთა, რაჭისა, აფხაზთა, ცხომისა, ოდიშისა, ლიხთ იმერ-ამერთა (გამგეობა სურამს), კახეთისა, ჰერეთისა, სამცხისა, რომლის ერისთავი ითვლებოდა სპასალარად მის მისადევრის ერისთავებისა.

საერთო ლაშქრობის დროს ირაზმებოდნენ 4 სადროშოდ:-მოწინავედ (სამცხელნი), მემარჯვენედ (იმერნი), მემარცხენედ (კახ-ჰერნი) და მეშუაგულედ (ქართლელნი მეფის მოთავეობით)..

,,ყოველი ივერია ოთხ სადროშოდ იყო განყოფილი. წინამბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხის ჯვარელნი და ახალციხენი და მიმყოლნი მათნი მესხნი და კლარჯნი, მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლიხთ იქითი აფხაზ-ჯიქითურთ, მემარცხენეთ მიმსვლელ-მცემელნი ჰერ-კახნი, ხოლო მეფის ალმის (დროშა) მპყრობელნი იყვნენ ქართლელნი და მის როქის სპანი".

ხანდისხან ირაზმებოდნენ სხვანაირადაც, თუ ამას ბრძოლის საჭიროება მოითხოვდა.

დროშა ჰქონდათ ფერად-ფერადი. საბას ლექსიკონი:,,დროშა, მწყობრთ ნიშანი ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი".

დროშას ერქვა აგრეთვე ალამი და ბაირახი. საბას ლექსიკონი:,,ალამი, სპარსულად (დ.გურამიშვილი (გვ. 42-43) ალამი და დროშა ერთი და იგივეა:"თავდახრით ალამი"... ,,დროშისა თავდახრილობა"... ,,...თავს უხრის ალამსა), ქართულად სამხრე ზორტი გინა ნიშანი რაიმე შუბთა და მისთანათა".

ჯამბაკურ ორბელიანი ამბობს:,,ერეკლე მეორის ბაირაღის ერთ მხარეს იყო ღვთისმშობელი ძით და მეორეს წმ. გიორგი.

წ.კ. საზოგადოებაში ერთი დიდი სურათია, რომელზედაც გამოხატულია თამარ მეფე. იქვე მაღალს ბუნზე (ტარი) აფრიალებულია ფერადი დროშა ღვთისმშობლის სახით, აგრეთვე კატარღა მეომრებით, რომლებთაც უფრიალებთ თეთრი დროშა, ქვემოთ კიდევ უცხოელნი, რომელთაც გუდებით მოაქვთ ხარკი.

ტარიელის დროშა რუსთველის ჩვენებით ავმართე დროშა ალმითა (ვისრამიანშიაც ცალ-ცალკე იხსენიებიან დროშა და ალამი. ,,შენი ალამი და დროშა ცად გაიწია"წითელსავითა".

ადრითგანვე სახელი გაითქვა ვახტანგ გორგასლის დროშამ და მერმე დავით აღმაშენებლისამ, ამ დროშებს გამარჯვებით ატარებდნენ თამარ მეფის მეომრები.

,,მოიხედეს-რა, იხილეს მეფე (დავ. სოსლანი) და რაზმი მისი მახლობელად და დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ (ქ. ცხ. 307).

,,მოიღო (თამარმა) დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი, და შეავედრა მასვე ვარძიის ღვთისმშობელსა დროშა და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს" (ქ. ცხ. 329).

შავთელი დ.სოსლანის შესახებ ამბობს",,იყვის რა ზრითა ურიცხვ რაზმითა გულის მდებელად თვისთა სპათათვის, გორგასლიანი-დავითიანი დროშა იახლის მსვრელად მტერთათვის".

შემდეგ საუკუნოებში მრავალ სადროშოებად დაიყვნენ ამერ-იმერნი, მაგრამ, მიუხედავად ძალთა დაქსაქსვისა, ქართულს თავისუფლების დროშას გმირულად ემსახურებოდნენ.

საქართველოს ერთობა

,,საქართველო" 1917, N 2139, თიბათვის 28 (10), გვ. 4. (?)

საქართველოს შეადგენენ ამერეთი და იმერეთი.

ამერეთშია ქართლი, კახეთი, მესხეთი, იმერეთში საკუთრივ იმერეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი, გურია (ეს უწინ ეკუთვნოდა მესხეთს).

კახეთია საინგილო, ქიზიყი, შიგნით კახეთი (ალაზანსა და ცივგომბორის მთების შორისი სივრცე), გაღმამხარი (ალაზანსა და კავკასიის ქედს შორის სივრცე), დიდოეთ-თუშეთი, ფშავ-ხევსურეთ-ხარეკი (=ხერკი), ავჭალა-მარტყოფი-ლილო, ლოჭინი-საგარეჯო.

ქვემო ქართლშია სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი ჭანეთითურთ.

ვარაზ-ბაკურის ჟამს (379-393 წ) ბერძენთ დაიპყრეს ძრიელი ციხე თუხარისი კლარჯეთითურთ შავ ზღვიდან არსიანამდე. ცილობა ამ ადგილების გამო დასრულდა გორგასლის დროს. ქართლის ცხოვრებით, გორგასალმა დაიპყრა კლარჯეთი და აფხაზეთი და ცოლად მოითხოვა ლეონ იმპერატორის (457-474 წ.) ქალი ელენე. იმპერატორმა ამ ქალს მზითვად მისცაო ეგრის წყალსა და კლისურას შორისი ქვეყანა, ხოლო ამას იქითი აფხაზეთი მეფემ დაუბრუნაო იმპერატორს (ქ. ცხ. 132). ვახტანგმა იმპერატორი პირად ნახაო ზღვის კიდეზედ, მის შემდეგ, როდესაც ქართველ სპარსთა ლაშქარმა მოაოხრა ქალაქები ანძიაძორი, ეკლეცი, კარახ-პოლი (=კარნი-ქალაქი, ერზერუმი), შეუტია პონტოს დიდს ქალაქს (ტრაპიზონს?) და მიუწია ლაშქარმან ვიდრე ქალაქის მის კოსტანტისა (კონსტანტინეპოლს) (ქ.ცხ. 121, 132). ,,მაშინ შეჯდა იმპერატორი ნავსა 3000 დრომონითა სუბუქად, ზღვის კიდესა მიუწოდა ვახტანგს, და ყვეს ურთიერთას აღთქმა და ფიცი, განაგეს საქმე წინდობისაი, და უკუნსცა კეისარმან საზღვარნი ქართლისანი:ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი ზღვითგან ვიდრე არსიანამდე და ხევნი, რომელნი მოსდგანან ღადოთა. და გამოიკითხა კეისარმან საზღვარნი საბერძნეთისა ქვეყანაი ზღვის პირსა, რომელ არს აფხაზეთი; და ჰრქვა:"ესე ეგრისა წულითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა,- ესე საზღვარი არს უკუმოგვეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა ასულსა ჩემსას, მაშინ მოგცე მისგან ქვეყანა".. და დაუწერა ეგრის-წყალსა და კლისურას შუა ქვეყანაი ზითვად, და სხვაი აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა".

ეტრატოვანი ხელნაწერი მე-X საუკუნისა (N 397) იუწყება:აფხაზთა მეფე ღუბაზიანი ეწვიაო იმავე იმპერატორ ლეონს (457-474 წ.). ამ მეფეებს ჰქონდათ ,,საურავი, რაიმე ქვეყანათა დაწყნარებისათვის და ზღვართა განყოფისაი-სადამდის არს საბერძნეთისაი ანუ მეგრელთაი აფხაზეთისა სამეფოისა... ,,დაადვეს საზღვრად ციხე ხუფათი, და აღუთქვეს ურთიერთის მშვიდობაი და სიყვარული... ,,და შთამოვიდა მეფე ქალაქად (კონსტანტინეპოლედ) და განუტევა ღობაზიონ მამულსა თვისსა".

შენიშვნა. საბერძნეთიდან დაბრუნებულ ბაგრატს (1027-1070 წ.) ,,მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირს, ხუფათს" (ქ. ცხ. 227), მანვე ლომსიანნი მოაყენა ხოფათისს. დავით აღმაშენებელმა აცნობა (1116 წ.) ქართველ-მესხთ, რათა კლარჯეთს დახვდნენ პაემანს, ხოლო თვითონ შიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო... ბასიანამდე (ქ. ცხ. 245), და 1120 წელს გარდავიდა გეგუთს და მიერ ხუფთას (გვ. 248).. ზარზმის აშენების დროს (VI-VII ს.) მოუწოდეს ,,ხელოვნებით განთქმულსა კაცსა ქვეყნისაგან ბერძენთასა ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა" (ქართ. მწერლ., 42). სახელდობრ, სად იყო ხუფათი, ზედმიწევნით ვერ გაგვირკვევია, თუმცა მას მიეხმარება ჭანეთის ხოფა და ორთა-ხოფა. ამ სახელის სოფლები (ხოფა) ბევრგან გვხვდება, თვით ქართლშიაც, სამეგრელოშიაც, იგი წარმოსდგება ზმნიდან ხოფვა ანუ ხოპვა.

ფრიად საგულისხმოა, რომ ერთსა და იმავე კეისართან სამეფოს საზღვრების საურავის გამო მოლაპარაკებას მართავენ აფხაზთა მეფე ღუბაზიანი და ივერიის მეფე გორგასალი. ლეონის ნახვის შემდეგ ვახტანგი ,,წარმოვიდა გზასა კლარჯეთისასა", შუა კლარჯეთში ნახა კლდე-სოფელი არტანუჯი, თავის ძუძუმტეს არტვაზს უბრძანა აქ ააგოს ციხე, ხოლო საყდრები მერეს, შინდობს, ახიზს.

მცხეთას რომ დაბრუნდა ვახტანგი, დაადგინა ერისთავები (ქ. ცხ. 112, 119, 132, 137, 149);

ა. ჯუანშერი. ეს იყო ძე ვახტანგის მამამძუძის და საქართველოს სპასპეტის საურმაგისა (ქ. ცხ. 112). მას მიებოძა სპასპეტობა და ერისთაობა შიდა ქართლისა და მფლობელობა ყოველთა ერისთავთა ზედა.

ბ. დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა.

გ.გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა.

დ. ნერსარან, ერისთავი ხუნანისა (აგარან-დებედასი).

ე. ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა.

ვ. სამანღირ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სვანეთის.

ზ. ბაკური, ერისთავი მარგუის და თაკვერისა.

თ. არტვაზ, თვისი ძუძუმტე, ერისთავი კლარჯეთისა.

ი. ნასარი, ერისთავი წუნდისა.

კ. ბივრიტიანი, სეფეწული (ქ. ცხ. 119, ერისთავი ოძრახისა).. ამავე დროს მეფის დიდი ექიმად იყო საურმაგი (ქ. ცხ. 137), ძმისწული ვახტანგის მამამძუძის საურმაგისა, ვახტანგის თანაზრდილი, ერთგული, მინდობილი, ქველი (გვ. 141).

ვახტანგს სპარსთა მეფის ასულის ბალენდუხტისაგან ჰყვანდა შვილი დაჩი, ხოლო კეისრის ქალის ეგრისწყალსა და კლისურას შორისი, და ამასთანავე იგინი მათი დედითურთ ჩააბარა კლარჯეთისა, წუნდისა და ოძრახეს ერისთავებს. იგინი დასახლდნენ წუნდას. ზამთარს ატარებდნენ ოძრახეში. ლეონი შორისი ქვეყანა და მაგიერად მას მისცა ჯავახეთი ფარტავაზ-ტაშისკარითგან სპერის ზღვამდე. აქ იწყოო მირდატმა ერისთაობა და იყოო მორჩილებსა ქვეშე თავის ძმის დაჩი მეფისა. ააშენაო წყაროსთავის საეპისკოპოსო საყდარი. ეს დღეს მიტოვებული დიდი საყდარი კარწახის ტბის კიდეზეა. წინ გამოსდის ცივი წყარო, რომლის გამო დარქმევია შესაფერისი სახელიც:წყაროსთავი. აქ გადაწერილი მხატვრობიანი ხელნაწერები ღირსაყურადღებონია.

საქართველოს ამგვარმა მართვის წესმა შემდეგში წამოასკუპა მეფეები არტანუჯს, ტაოსკარს, აფხაზეთს, იმერეთს, ქართლს, კახეთს, ჯავახეთს და უამრავი ერისთავთ-ერისთავები სხვადასხვა კუთხეს; მართალია, მეფეები ამოსწყვიტა ერთადერთ იმპერატორ ბაგრატ III გამაერთიანებელმა, მაგრამ ოქროს საუკუნეს გავლის შემდეგ ძველანდელ სამფლობელოებმა მაინც ზურგი მოიმაგრეს და 1469 წლიდგან ძლიერი გაერთიანებული სახელმწიფო ისევ თავის დამღუპველ დაყოფა-დაქუცმაცების გზას დაადგა. ,,მამათა ჭამეს კაწახი და შვილთ დააჭრა კბილებიო", ამბობს საღმთო წერილი..

ძალა ამ თქმულებისა სრულდება ჩვენზე:მამა-პაპათა უმანდელ შეცდომის გამო ვერ შევერთებულვართ დღესაც, რომ ერთობით განმტკიცებულებმა ერთსულოვნად შევქმნათ ძლიერი ხმა ქართველ ერისა. ყოვლის სასიკეთო ნიჭით შემკულია ქართველობა და მის უზენაეს გასამარჯვებლად სათანადოა განმტკიცდეს იგი შინაგან ერთობითაც.

აღმოსავლეთი და დასავლეთი

,,საქართველო" 1917, N 266, 2 (15) ქრისტეშობისთვე, გვ. 3-4

ბატონი ნოე ჟორდანია თავის ცნობილ სიტყვაში ბრძანებს:,,საქართველოს რუსეთთან შეერთება არ ყოფილა ჟინიანობის ნაყოფი. ეს ისტორიული აუცილებელი მოვლენა იყო".

ჟინიანობისა კი არა, პოლიტიკურ შორსგანუჭვრეტელობის ნაყოფი იყო და ამასთან არც ,,აუცილებელი მოვლენა"იყო". აღმოსავლეთი უთვლიდა ირაკლის, ნუ ეძახი რუსებს, მოდი, ჩვენს ყაენს გვირგვინი დაადგი, ისევ აღმოსავლეთურად ვიცხოვროთო. პოლიტიკის უქონელი ირაკლი კი მის ქრისტიანულ ორიენტაციით რუსეთისკენ გადიხარა გადაჭრით. ამას მოჰყვა თბილისის დარბევა 1795 წელს და ზარბაზნებით გარშემორტყმულ სიონში ქართველების დაფიცება რუსთა იმპერატორის ქვეშევდრომად (1801 წ.).

ეს გამოიწვია ირაკლის შეცდომამ. მისმა ქართველურ რაინდულ სულმა ვერ აუღო ალღო დასავლეთურ ეგოისტურ პოლიტიკას, თუმცა მახლობელნი ეუბნებოდნენ:"იცი, მეუფეო, რომე ივერნი იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი? სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს; ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს რუსეთის ძალი ქართლს აწინ-დელი? ვით შეითვისოს რუსმა ქართველი, ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა, რაც მოისურვოს ქართველობამა?.. ქართველებს არად მიაჩნიათ უბედურება. თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება". (წერილის ავტორს ჩაუსწორებია - მეუფეოს ნაცვლად მეფევ, მეფეოს ნაცვლად მეფევ-კ.კ.),

ირაკლიმ დაივიწყა თვით მის პაპის ვახტანგ მეექვსის მრჩევლების გონივრული აზრიც:თუ უჭკუო ვართ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების... ტიროდენ, ამას იტყოდენ:ახლა არს ჩვენი დავსება... მესამე (რუსეთი) კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება. სამი ვეშაპი (რუსეთი, სპარსეთი, ოსმალეთი) ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსები!"

ვერც მოეთავსა. თავისუფლება დაჰკარგა...

თვით ,,ლომსაც" მოუნდომეს კბილებისა და ბასრი, ბრჭყალების მოდუნება, ჩაილულის წყალს გააყოლეს მის თავისუფლებასთან ერთად თვით არსებობა მისის სკოლისა, ენისა, საყდრისა, საკმაოდ გაუფლანგეს მიწა-წყალი, გაუნიავეს მრავალი ძვირფასი კულტურული შეძენილობა.

ეს მოხდა, ვიმეორებ, არა ,,აუცილებელ" ძალის შედეგად", არამედ აღმოსავლეთურ პოლიტიკის მიუხვედრობით. თუ არ მიუხვედრობით გამოწვეული შეცდომით, საქართველოს თავისუფლება 12 წლის შემდეგ, როგორც აღნიშნავენ თვით რუსთ მწერლებიც, უსათუოდ უნდა შესულიყო ნაპოლეონის ომებით გამოწ-ვეულ საპოლიტიკო ფარგალში, და მაშინ მისი უმანდელი თვით არსებობა საუკუნოდ უზრუნველი იქნებოდა. აი ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება სულაც არ იყო ,,ისტორიული აუცილებელი მოვლენა", არამედ ნაყოფი იმის ანუ იმათ პოლიტიკურ უმწიფრობისა, რომელთაც იმ სვეუბედურ დროს ხელში ეჭირათ ჩვენი ქვეყნის ხელმწიფობა.

ხოლო ეს ხელმწიფობა კი, სამწუხაროდ იყო განუსაზღვრელი და ამიტომ საჭეთმპყრობელის შეცდომამ და არა ,,აუცილებელ ისტორიულ მოვლენამ, - 116 წლის მონობა არგუნა საქართველოს. მოვუსმინოთ დიდ მგოსანსაც:

,,მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას! ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას და მის ერთს სიტყვას მონებენ ერნი:განურჩეველად სულელნი, ბრძენნი, და იგი მათს

ბედს ისე განაგებს, ვითა ამღერდეს იგი კამათლებს! მაგრამ შენ, მეუფევ, ვინ მოგცა ნება, სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უთრგუნვიდე თავისუფლებას?! შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება, რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება, და რად ივიწყებ, რომე მარადის ერსა ეკუთვნის გულისთქმა მეფის?!"

საუბედუროდ, ეს ,,გულისთქმა" მაშინ მთლად ეკუთვნოდა მეფეს, გამოწვეული იყო მის გულის შემცდარ აღტკინებით, არ იყო ნაყოფი ერის გონიერების დამჯდარ მსჯელობა-გარდაწყვეტილებისა, და ამიტომ მის უკუღმართ შედეგის საქმემ რომ მალე თავი იჩინა, ამან გამოიწვია დრტვინვა და ამბოხება კახეთისა, მთიულეთისა, ქართლისა, იმერეთისა, და ხალხს ანდაზასავით მოედო ვინმე მდაბიო ფეიქრის შეტირვაც ამიერიდგან თავის გაუბედურებულ მასრა-მაქოსადმი.

დასავლეთისკენ მიხედვის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ არ ვივიწყებთ, რომ ვართ აღმოსავლეთის შვილები და აქ გვყვანან მეზობლები, აქ ითმენდნენ ფილოსოფიას მაშინ, როდესაც დასავლეთში მას ასამარებდა კლერიკალების მოგონილი ინკვიზიცია, აქ აღმომზევდა გენიოსი რუსთაველი, რომლის ნაწარმოები კინაღამ არ დასწვეს იმავე დასავლეთელ ინკვიზიციონერთა, ამ მეცნიერების უვარსმყოფელთა სასულიერო მოძმეებმა, აქ, ამ აღმოსავლეთში აღორძინდა მკურნალობა, ხუროთმოძღვრება, ბაღდადის უნივერსიტეტში ყოველდღე აქლემებით მოჰქონდათ პლატონის, არისტოტელის და ანტიურ მსოფლიოს სხვა მეცნიერებისა და ბრძნების თხზულებანი, როდესაც მათი კითხვაც კი დასავლეთში გამოიწვევდა ხოლმე დევნას, საპყრობილეს, დაწვას, გართხმას.

დღეს, რეფორმაციის მერმე, დასავლეთი წინ არის, მაგრამ ვაი იმ წინაობას, რომელიც ანგრევს სახელმწიფოებს, ჰბუგავს ქვეყნებს, ანიავებს სუსტთა თავისუფლებას მათ დაბა-სოფლებთან ერთად! სწორე მოგახსენოთ, ეგოისტურ დასავლეთის ,,მე"-ს მირჩევნია ჩამორჩენილ აღმოსავლეთის ,,ჩვენ". აქ რაღაც მშობლიურია, ტკბილი, სადა. აქ აღორძინდა პირვანდელი ცივილიზაციები, დასაბამნი დასავლეთის ცივილიზაციისა, და ეს აღმოსავლეთი კვლავ შეიმოსება გონებრივ შარავანდედით, როდესაც მისი ყველა შვილები ქართველებივით შეიგნებენ ძმობის, ურთიერთობის, შეწყნარებისა და სიყვარულის ძლიერებას. აღმოსავლეთი რომ აღმართობას მოასწავებს და არა დაღმართობას, დასავლეთობას, აღმოსავლეთი ხომ ჭეშმარიტი- ორიენტაციაა.

ქართლოსის სახლი.

,,საქართველო" 1919, N 82, 13 აპრ. გვ. 2-3.

უხსოვარ დროითგან ქართლოსის სახლი დამკვიდრდა ხეობებში:მტკვრის, ალაზნის შესართავამდე, რიონისა, ინგურისა და ჭოროხისა. მთელს ამ მისადევარს ჩრდილოეთით ზღუდავს კავკასიონი, დასავლეთით შავი ზღვა და პონტოს მთები ტრაპიზონამდე, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ ბერძენ-რომაელთა მწერლები, ,,აშენდა მეგრელთა ქვეყანაში", შემდეგ პარხალის და მტკვრის, არეზის, ტიგროს, ევფრატის სათავეების გაშლილი მთები, მერე ყარსის, აბოცის მთები და მდინარე დებედა მტკვრამდე და ალაზნის შესართავამდე.

აი ამ მიჯნებ შორის სუფევდა ქართლოსის სახლი. ლეონ და რომანოზ იმპერატორების (919-945 წლ.) და ქართველ მეფეების შორის დადებულ ხელშეკრულების ძალით ივერია-საბერძნეთ შორის მიჯნად დაიდო არეზის სათავე:მარცხენა მხარე მიეკუთვნა ივერიას, ხოლო მარჯვენა თეოდოსიოპოლისკენ

(არზრუმისკენ) საბერძნეთს. (მ.ბროსე, Addit. 1851, გვ. 138-152). ამავე საზღვარს აღნიშნავს ,,ქართლის ცხოვრება" ჯერ ისევ მირიანის მეფობაში. კლასიკური მწერლების ჩვენებით, მტკვრის სათავე ივერიაშია.

ჭოროხის სათავე რომ საქართველოსაა, ამას მოწმობს თვით ბაიბურთის მხრის გასავალ-შემოსავალი გზა, რომელსაც წინათ ეწოდებოდა ქართველთა ყელი და მერე თურქების დროს თარგმანით გურჯი-ბოღაზი (ქართველთა ყელი). ტრაპიზონი, როგორც აღვნიშნეთ, თვით ბერძენთა მწერლების სიტყვითვე, აშენებულ იქმნა ქართველთა მიწა-წყალზე (იხ. კიპერტის ძველი რუკები Atlas antiquus).

რაიც შეეხება საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნას, ამის შესახებ გვაქვს სარწმუნო მოწმობა ისტორიკოსის კაღანთკატვაწისა (გვ. 86), ეღიშესი (გვ. 124) და ,,ქართლის ცხოვრებისა" (გვ. 292), რომ საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნად იყოო ხალხალი ანუ ყაბალი აწინდელ ნუხის მაზრისა. არაბულ-სპარსულ მწერლების ცნობით (journ. Asiatique, 1897 წ.), ჯერ ისევ 1221-1222 წლებში ყაბალას იჯდა ქართველი მმართველი და ებრძოდა შემოსულ ყიფჩაღებს. ეს დღეს საუდოშია და აქედან საინგილომდე (ზაქათალის მიჯნამდე) მთელის 80 ვერსის მანძილზე დღეს ქართველი მოსახლეობა აღარ არის. სოფელ კახში კი შენახულა გადმოცემა, რომ კახის და მის მახლობელ ზოგიერთ სოფლების მოსახლეობის ზოგი გვარეულობა გადმოსახლდაო ძველის ბინიდგან, ყაბალა ხალხალის მისადევრიდამ.

ნუხის მაზრის სოფელ განუხში (გოიზუგი კახიდან 10-12 ვერსზე ნუხისკენ) მცხეთის სვეტიცხოველს მე XI საუკუნეში ჰყვანდა 50 სული გლეხი (Hist de la Georg 2 livr CXIX), 1118 წელს აქ იყო აღმაშენებელი. 1613 წელს აქ მეფე თეიმურაზმა დაურიგა ქართველებს 100 ტყავი, 60 აქლემის საპალნე აბრეშუმი და სხ. (არჩილიანი. 44-60). 1633 წელს აქ მამასახლისად თეიმურაზისა იჯდა თავადი ჯანდიერი (აზნაურთ სიგელ-გუჯრები, გვ. 5).

ამ მოკლე განხილვითაც ცხადად სჩანს, თუ რა ბუნებრივ, სტრატეგიულ, სარწმუნოებრივ და ისტორიულ-კულტურულ პირობებითა და უფლებებით შემტკიცებულია ქართველთა ერთეული, სახლი" და რა უსამართლოდ სურთ ამ სახლიდან გამოგლეჯა ისეთ დიდი საბალავრო ნაწილებისა, ვით საინგილო, ბორჩალო, ჯავახეთი, კლარჯეთი, ჭანეთი, აფხაზეთი. სხვა არა იყოს რა, იმ აუარებელ, დიდსაკვირველ წმიდა ქართულ ძეგლებისა მაინც უნდა გვრცხვენოდეს, რომელნიც მრავლად შენახულა დასახლებულ კუთხეებში!..

დროა დავიხსომოთ, რომ მარტო რელიგიური ერთობა პოლიტიკურ ერთეულს ვერ ჰქმნის:ევროპაში ყველანი ქრისტიანებია, მაგრამ სახელმწიფო ერთი კი არ არის, არამედ მრავალია. სამაჰმადიანოშიაც არაბები დაამხეს თურქებმა, ბუიდები სელჩუკიანებმა, ესენი-ოსმალის თურქებმა, დიდი მოგოლი შაჰ ნადირმა.

ჟამია შეიგნონ თუ სად იწყება სახლი ქართვლისა, სადამდის უწევს აზერბეიჟანისა, სად თავდება სომხისა, ან და რაზე ემყარება ეს თუ ის სახლები, რომ მათგან რაიმე ნაწილის გამოძრობით მთელი შენობაც არ დავუნგრიოთ მეზობელს.

საქართველოს ორი კედრი ჭანეთი და საინგილო

გაზ. ,,ერთობა" 1920, N 167, 27 ივლ. გვ. 3.

ძლიერების დროს საქართველოს ეჭირა დარუბანდსა და მტკვრის შესართავს აქეთ არეზის გაყოლება არზრუმამდე და ტრაპიზონამდე მთელი მიწა წყალი კავკასიონის მწვერვალამდე, მაგრამ ეთნოგრაფიულად ქართველ გვარტომობის მოსახლეობის მიჯნები დასწყდებოდა აღმოსავლეთით ხილხალს, რომელიც ქ. ნუხს შორავს 30

ვერსით აღმოსავლეთის მხრივ. მერე ხილხალიდან ჩამოდიოდა ხაზი მტკვრამდე და ამ მდინარის პირპირ მოიწევდა მასში მდ. დებედას შესართავამდე. აქედან მიჯნა მიდიოდა ამ დებედა-ბერდუჯის გაყოლება აშოც-ყარსის მთებით სათავეებიდან ჭოროხის და ღალისის გაყოლება შავ ზღვამდე. **კახეთი** (საინგილო, ქიზიყი, საკუთრივ კახეთი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, საგურამო, გლდან-მარტყოფ-ორხევ-იორი), **ქართლი** (გორის, დუშეთის, თფილისის და ბორჩალოს მაზრები აბოცი-თურთ); **მესხეთი** (ახალციხის, ახალქალაქის, არტაანის მაზრები ოლთისითურთ); **იმერეთი** (მთელი სივრცე ლიხს იქით შავ ზღვამდე); **კლარჯეთი** (ჭოროხის ხეობა) და **ჭანეთი**.

მაგრამ მტერთმორევისა და ბინადარ მკვიდრთა გადაგვარების გამო კახეთს აღმოსავლეთის მხრივ მოეჭრა დღევანდელ საინგილოს იქით მთელი სივრცე ნუხის მაზრისა ანუ გიშელის (ნუხის) მთელი სამწყსო მისადევარი, ე.ი. 60-70 ვერსის მანძილი კახის ყანყობიდან ვიდრე ხილხალამდე, და ამ მანძილის განაპირს ვართაშენში დაშთნენ დღეს მხოლოდ ქართველობის ნატამალი უდები, ისიც ნახევრად გადაგვარებულნი.

ასრევე დაზიანდა ქართველი მოსახლეობა ბორჩალოს მაზრის განაპირად, აგრეთვე აბოცს და მტკვრისა და ჭოროხის სათავეებში, უმეტესად კი შევიწროვდა საქართველოს დიდების კერია ჭანეთი.

დღეს ჭანეთს ანუ ლაზისტანს შეადგენენ რიზეს და ათინას ოლქები, საცა ზოგიერთნი უჩვენებენ 100000-მდე მკვიდრ მოსახლეს, ზოგნი კი ამ მოსახლეობას 200000-მდე სთვლიან. უწინ კი ქრისტეს დაბადებამდის წინა საუკუნეებში ჭანელებს (ლაზებს) ეკავათ ჭოროხს იქით შავი ზღვის პირპირ და მდ. ღალისს აქეთ მთელი მიდამო. ალექსანდრე მაკედონელის ჟამს (მე-4 საუკ. ქრ. წ.) აქ ცხოვრობდნენ მაკრონები დედა ქალაქით ტრაპიზონით, მერე მოსინეკები და შემდეგ ხალიბები-ხალდნი და კაპადოკიელნი (იხ.. კიპერტის Aტლას აუტიქუნს, ტაბ. II).ხოლო შემდეგ საუკუნეებში (იქვე, ტაბ. IV) ჩანან:

ბიზერები, ჭოროხს იქით, დაბებით:ასპარუს, არქაბის, მორთულა, ათინა-ათენა, ადიენუს.

ჭანები, დაბებით:რიზე აწყურის წყალზე, ოფის ოფიას წყალზე, სუსურმენა პისსუს წყალზე.

კოლხები, (ჩოლეჰი) ქალაქებით ტრაპიზონი და ჰერმონასსა.

დრილები, კოლხებ ზემო.

მაკრონები, დრილებ ზემო მთებისკენ, დაბით ზიგანა.

მოსინეკები, დაბებით ცერაზუს, ტრიპოლის.

ტიბარენები, დაბით ფარნაკია.

ხალიბნი, (ხალდნი) დაბით კოტიორა (ორდუ, თემისკარა-თემისცირა).

კაპპადოკიელნი. (კათბადუკიელნი), დასახელებულ თემთა შიგნით ღალისის რკალივით მინადენობას აქეთ, ქალაქებით მაზაკა, თავია, ზამა, შორობა, მაღალასსა, გარშაურა და სხ..

ღალისს აქეთ სივრცეს, როგორც იუწყება მოგზაური გერასიმე ნადარეიშვილი, საბერძნეთი დღესაც ისევ უწოდებს მისს ძველს სახელს, ლაზისტანს (ლაზიკას).

ეს ის ქვეყანაა, საცა ჭანის ქალისაგან ქრისტეს წინა საუკუნის 20 წელს დაიბადა მსოფლიო გეოგრაფოსი სტრაბონი, დაწვრილებით აღმწერი ივერიისა მის მშვენიერ კრამიტით გადახურულ სახლებიან ქალაქებისა, აქ მოღვაწეობდა ქართველ ერის მადიდებელი მიტრიდატ დიდი, რომელმაც შეაერთა რა ქართველი ტომები და ბოსფორი (ყირიმი) და გაიჩინა ძლიერი ფლოტი, რომელიც შესდგებოდა სამხედრო

გემით, დაიპყრა მაკედონია და ათინა და სასიკვდინო ომი გამოუცხადა ძლიერ რომს, მაგრამ დამარცხდა შვილის მახარას ღალატით 63 წელს.

აქ აღორძინდა და აქედგან მოვიდა მცხეთას საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინო.

აქაურნი იყვნენ დიდი ბასილი, დიდი ათანასე, სვიმონ მესვეტე (VI ს.), რომელმაც ქართლს გამოგზავნა 13-ნი მამანი (შიო მღვიმელი, იოანე ზედაზნელი, ანტონი მარტყოფელი და სხ.)

ერთ დროს ლაზისტანი ანუ ლაზიკა ჰფარავდა მთელს იმერეთს (კოლხიდას) და ამ დროს მისი მეფეები იყვნენ გუბაძე ღობაზიონი (457-461 წ.), მისი ძე ზამნაქსი (522 წლამდე), ჭათიას (522 წლიდგან), ოფსიტის, გუბაძე (539-554), ჭათიას (55წ.). მე-4 მსოფლიო კრების განაჩენზე ხელს აწერენ:,,თეოდორე ეპისკოპოსი ლაზთა ქვეყნის ფაზისა", ,,იოანე ეპისკოპოსი ლაზთა ქვეყნის პეტრასი".

შემდეგ ძლიერება ლაზთა დაკნინდა:ქვეყანა ჯერ დაიპყრეს რომაელ-ბიზანტიელებმა, შემდეგ თურქებმა, მაგრამ 1204 წელს ლაზისტანს მოევლინა ლაშქარი თამარ მეფისა, რომელმაც დაიპყრო მთელი მხარე და იმის მაგიერ, რომ შემოეერთებინა იგი საქართველოსთვის, დააწესა აქ პონტოს იმპერია, რომელსაც იმპერატორად დაუდგინა თავის ნათესავი კომნენი. ამ იმპერიამ იარსა 1461 წლამდე და ამ წელს-კი იგი დაიპყრეს ოსმალებმა. ეს შეიქმნა საბედისწერო წლად მთელის მესხეთისათვის, ვინაიდგან ლაზისტანი მომაგრებულ ოსმალებმა ნელ-ნელა დაიმორჩილეს მთელი ეს მხარე და 1626 წელს კი უკვე შეიქმნენ მის სრულ ბატონ-პატრონად და მამა-პაპათა შენაძენი ბრწყინვალე კულტურა ამიერიდგან მუსრვას მიეცა, განაპირა კუთხეების მოსახლეობა-კი გადაგვარების ცეცხლში ჩავარდა.

დიდ და ვრცელ ლაზისტანიდან დღეს, როგორც ვთქვით, დაშთა მხოლოდ ორი ოლქი, რიზესი და ათინის. აქ ლაპარაკობდნენ თავიანთ ჭანურ კილოზე, ხოლო ამ ოლქებ გარეშეებს უკვე დაუვიწყნიათ ღვიძლი ენა და გადაგვარებულან ზოგი ბერძნად და ზოგი ოსმალოდ. აქეთურ ჭანებს აქვთ თავიანთი ლამაზი ქალაქები:რიზე, ათინა, არქაბე და სხ. და დაბები სოფა, აფიშხო, ბულეფი (ბულები-ბალები), სულეთი, დუდრევანი.

ამათ ათინას შეეხება პერიეგუტის თქმულება:პოლიდეიკ და ვასტორმა, კოლხიდიდამ გამოქცეულებმა ააშენესო დაკედემონიაში აგრედ-წოდებულ აზიის სიწმიდის ათინას ტაძარი, რომელიც იმალვებაო კოლხეთში. ეს ათინა ანუ ათენა იყო სანთლის ქალღმერთი და მას ასეთი სახელი დაერქმეოდა ქართულ ზმნიდან თენება-თინათინება.

არც საქართველოს იმ წვერს (ლაზისტანს) და არც საქართველოს ამ წვერს (საინგილოს), მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, არ დაუკარგავთ ქართველ ერის უკეთესი თვისებები:უზომო სიყვარული მამულისა, თავდადებით დაცვა მის თავისუფლებისა, არც მისი სანუკვარი სულისკვეთება:

,,სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი". იმათი და ამათი კილოებიც ერთურთს ეთვისება:ლაზები რომ სტუმარს ეკითხებიან:მციქა გიმერი ხორცი მოგიღაი?, ინგილოები იმასვე იმეორებენ:ციცქნა გბარი-(მოხარშული, მგბარი, ხორცი მოგიღოა?" და, ბოლოს ისინიც და ესენიც მოუთმენლად მოელიან დროს, რომ შემოუერთდნენ დედა-სამშობლოს; და ეს დროც ხომ უკვე მომწიფდა ბათომ-აჭარის შემოერთების შემდეგ და ჩვენი სახელოვანი დემოკრატია არ მოისვენებს, ვიდრე ამ და იმ წვერების შემოერთებით არ დააგვირგვინებს მთელის საქართველოს გაერთიანებას.

ევროპა და საქართველო

(ევროპის სახელმწიფოებთან ქართველების
ურთიერთობის ისტორიიდან).
,,საქართველო" 1920, N 110, 1 ოქტ. გვ. 2; N 111, 2 ოქტ. გვ. 3.

ავტორის თქმით, ვანდერლენდე 53) და მისი ამხანაგები ეწვივნენ და საქვეყნოდ აღიარეს აწინდელ საქართველოს აწინდელ ევროპასთან იდეური ნათესაობა. სული სულს იცნობს და ფერი ფერსო, ამბობს ჩვენი ხალხი. ასეთი სული და ასეთი ფერი საქართველოსა და ევროპას შორის მომდინარეობს უწინარეს ჟამებითგან. მე-14 საუკუნეში ქრ. წინად არგონავტელები მოვიდნენ საქართველოში აქაურ მეურნეობის დასაცნობად, ნახეს აქ მშვენიერი სასახლე, რომლის ეზოში შადრევნებად გადმოდიოდა მილებით რძე, ღვინო და წყალი, მოეწონათ აქაურობა, წასვლისას გაიტაცეს არათუ ოქროს საწმისი, რომელიც, ეფინა საღმრთო მუხის ხეზე, არამედ მომაჯადოებელი სახის ქართველი ქალიც, მედეა. მაგრამ ამაზე წინათ, როგორც იუწყება ჰეროდოტე, ქართველ ვაჟკაცებმა საბერძნეთიდან გამოიტაცეს იქაური მშვენიერი ასული, იო. იმავე ჟამებში ქართველი ქალი ცირცეა (ცირა!) მეფობდა სკვითიაში, მაგრამ მერე გადასახლდა იტალიას და იქ დაბინავდა. მასთან მივიდა გმირი ოდისეა, უქმრო და ამ ცოლქმრობიდან დაიბადნენო წინაპარნი აწინდელ რომაელთა. იმ ცირცეას სახელი დღესაც გამოხმაურობსო ეგრეთ წოდებულ ,,პაპის ოლქის" ჩირჩეოს სახელში. იგივე მედეა ერთხანს ცოლად ჰყვანდა ათინის მეფეს ეგეოსს, რომლისაგან ეყოლა ვაჟი მიდი, შემდეგში დამაარსებელი მთელი სამთავროისა, მიდიაისი. ქართველი ქალისაგანვე ხომ დაიბადა მსოფლიო გეოგრაფოსი სტრაბონი. კაცობრიობაში იმთავითვე საქართველო ითვლებოდა მადნეულობის დამუშავების ქვეყნად, რასაც ადასტურებს დაბადების ცნობა (თ. 4-22), რომ თობელი (ივერი იყოო ,,კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა". აქ, ჩვენში ეცნობოდნენ მადნეულობის საქმეს, აქედან გაჰქონდათ არათუ ყოველგვარი ლითონი, არამედ მათი ადგილობრივი სახელებიც, ვითარცა ორქო (ოქრო)-ლათ. ორ, ბერეჟ (სვან. რკინა, შეად. ბერეჟიანი)-ლათინ. ფერრუმ. ბერძნ. ,,ხალკოს" (სპილენძი, რკინა) არის თურმე სახელი ხალიბებისა, რომელიც ამ ლითონებს იმუშავებდნენ. ნათელია ისიც, რომ იმ ძველ დროს საქართველოისა და ევროპის სარწმუნოება ერთი და იგივე იყო. აქაც და იქაც სწამდათ შვიდი უდიდესი მნათობი. იუპიტერის და სხვა ღმერთების სიჭაბუკის მოწმენი ბერძნებზე წინათ იყვნენო კოლხელები, ხოლო კოლხელი ქორიბანტები იყვნენო რეას ტანისმცველები. მათთვის სათითაოდ შეწირული იყო კვირის რომელიმე დღე და ეს სახელები დაუხსოვნია ჩვენს ძველს მწერლობას, მხოლოდ მეგრულ სვანურს დღესაც არ დაუვიწყნიათ. მზისა (კვირა დღე), მთვარისა (ორშაბათი), არეასი (სამშაბათი), აფროდიტისა, დიოსი და სხ., ეს ყველა უწინდელი ღმერთების სახელია და გერმანულსა და თუ სხვა ენებში აგრევე ჩაითვლება იგივე კვირის დღეები:ზონტაგ, მონტაგ, და სხ. ათინა-ღმრთის კერპი ხომ წაიღეს აქედგანვე, კოლხიდის ათინიდგან! ალექსანდრე მაკედონელმა და მის მემკვიდრეებმა დაარბიეს, დაიმონეს მახლობელი აღმოსავლეთი. ამ სამარცხვინო უღლის მოსახსნელად ჩვენმა მითრიდატ დიდმა შეადგინა კავშირი პონტო-კოლხიდა-ყირიმ - ივერიისა, მაგრამ, მის ვაჟკაც-გმირობის მიუხედავად დამარცხდა არათანასწორ ძალთა მქონებლობის გამო. ერთხანს-კი საქმე იქამდის მიიყვანა, რომ საბერძნეთი-მაკედონია უკვე დაიჭირა და ერთი გამარჯვებაც-თვით რომის ბედიც გადასწყდებოდა. რომმა დაამარცხა საქართველო, მაგრამ არ დაივიწყა მის შვილთა გმირული სიქველე და, როგორც სჩანს 75 წლ. ქვაზე-წერილიდან, იგი თავისთვის სასახელოდ სთვლიდა მეგობრობას

ქართველ ერთანა და მის მეფესთან, და ისე, რომ ამ მეფეს (ფარსმანს) ანდალმაც დაუდგა რომში, შელლონის ტაძარში. ევროპა ბიზანტიის სახით გვიწევდა დახმარებას წინააღმდეგ სპარსთა, არაბთა და სხვა ბარბაროსთა, საქართველოც თავის მხრივ უხდიდა სამაგიეროს. ქართველი ბაკურიუსი (IV საუკ.) ბიზანტიას განუგებდა საქმეებს პალესტინაში და მერე ვაჟკაცურად ეხმარებოდა გერმანიის ფრონტზედაც, საცა თავიც შეაკლა მის ინტერესებისთვის. მეათე საუკუნეში კონსტანტინეპოლის თავისუფლება ბეწვზედღა ეკიდა ბარდას განდგომილების გამო, მაგრამ იგი იხსნა ქართველ სარდალმა თორნიკემ თავის გმირულ რაზმით. 1044-48 წლ. ბიზანტიის ლაშქარს, გარშემორტყმულს სელჩუკიანთაგან, ეხმარებოდა მესხეთის ლაშქრით გამოჩენილი სარდალი ლიპარიტ ორბელიანი. 1204 წელს თამარის ლაშქარმა დაიპყრო პონტო და მის შემდეგ აქ დაწესდა ტრაპეზუნტის იმპერია, რომელმაც გასძლო 1462 წლამდე. კულტურული განწყობილება საქართველო-ევროპას შორის უმეტესად გაძლიერდა ქრისტიანობის მიღებიდან 324 წელს, უფრო მეტად კი ათონზე ქართველთა ლავრის დაარსებიდან 980 წელს. ამიერიდან ბერძენ რომაელთა ღვთისმეტყველება და ფილოსოფია გადმოინერგა საქართველოს ნიადაგზე, ზოგი რამ ქართული ევროპაშიც წავიდა, მაგალითად, ეფთვიმეს მიერ ქართულიდან ბერძნულად თარგმნილი ,,ბალავარი", რომელიც ლიტრეს სიტყვით, ხელიხელ საგოგმანებელ წიგნად დარჩა მთელი საშუალო საუკუნეების ევროპის ხალხთათვის. ასევე მოედო ევროპას გიორგი მთაწმინდელის პატრიოტული საგალობელი ,,მწუხრის ზარი". პლატონის, არისტოტელის და სხ. ბერძენთა შესწავლამ ქართველობაში დაბადა დიდი აღფრთოვანება, ერს გადუშალა წინ იქამდე ფართო ტატნობი, რომ მომწიფდა საპარლამენტო წესწყობილების ნიადაგი და ასეთ წყობილების შემოღების მოთხოვნამ თვით ინგლისის ,,მაგნა ხარტა ლიბერტატუმ"-ს მთელი 30 წლით უსწრო. მართალია, ესეთი სურვილი მაშინ ვერ განხორციელდა, მაგრამ ერში დარჩა გულწრფელი შეგნება, თუ რა სანუკვარია ადამიანისათვის ,,მშობლიური ტკბილი მოწყალე ცა, წყალობისა მთოველი", თუ რა სიმუყაითე, რა გარჯილობაა საჭირო, რომ კაცი დასტკბეს თავის და თავის მამულის თავისუფლებით:,,სჯობს სიცოცხლესა გაძლება, მისთვის თავისა დადება"-ო, ბრძანებს რუსთაველი და სწორედ ამ ცნების შეგნებამ აგვაცდინა ამოწყვეტა და გადაშენება მაშინ, როდესაც გაიმართა უწყალო ბრძოლა აღმოსავლეთიდან მოწოლილ ბარბაროსებთან. მონგოლებმა ქართველობა ერთი-ორად და მეტადაც შეამცირეს, მაგრამ დანაშთენებში ვერ მოსპეს სურვილი სიცოცხლის გაძლებისა, ცხოვრებისათვის რაინდულ ბრძოლისა. ტყუილად კი არ ამბობს მგოსანი ,,ქართველებს არად მიაჩნდათ უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერქვეშ თავისუფლება", და თავს აკლავდნენ ამ თავისუფლებას. მაგრამ თანდათან მტერი მრავლდებოდა. სპარსეთი, ოსმალეთი და ლეკეთი მოაწვნენ ქართველობას, მაჰმა-დიანთ ტალღა აბობოქრდა, წალეკვას უპირობდა საქართველოსაც ისე, როგორც უკვე წალეკა, მუდმივი მისი შემწე და მფარველი ბიზანტია. გაჭირვების დღეს ქართველებმა ისევ მოიგონეს უმანდელი თვისი დამხმარებელი ევროპა. სულხან-საბა ორბელიანი შემწეობის სათხოვნელად წავიდა პარიზს, ნახა ლუდოვიკო, მერე რომს პაპი. მის შემდეგ იმავე მიზნით წავიდა გერმანია-ავსტრიაში-ერეკლეს წერილებით ითხოვდნენ შველას, რომ არ დაღუპულიყო მრავალსაუკუნოვან ერის თავისუფალი ცხოვრება. შველა არსაიდან იყო. მაშინ მხოლოდ მიიხედეს რუსეთისკენ, ითხოვეს დახმარება, მაგრამ სამეფოს თავისუფლების ხელუხლებლად შენახვით. გარნა ჩრდილოეთი მოვიდა არა როგორც შემწე, არამედ როგორც დამმონავებელი და ამომაგდები ყოველგვარ თავისუფლების, მობრძანდა ვით გამანადგურებელი საყდრისა, გამაჩანაგებული ქართულ ნაშთ-ძეგლებისა, გამრუსკებელი ერის ენისა და

კეთილ ზნე-ჩვეულებათა. ბოლოს ხომ, როდესაც საქართველოს ერს მოევლინა მრისხანე ველური მტერი, იმ ჩრდილოეთის შემწემ სრულიად მიატოვა ჩვენი მხარე და მერე ერთი მისი ნაწილიც, აჭარა-კლარჯეთი ბრესტ-ლიტოვის ხელშეკრულობით გადასცა იმავე მტერს, რომელიც ჩვენ ამოსაგდებად და ამოსაწყვეტად მის წინად მოსულიყო. აქ გამართლდა შოთა რუსთაველის ბრძნული ნაკვესი:,,თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები" და მთიულის მართალი ალღო:"ერთურთის მიყუდნებით თავისუფლების დაცვა". ჩვენც ამ ნაცად გზას გავყევით და 26 მაისს 1918 წელს საქვეყნოდ გამოვაცხადეთ, რომ ,,ჩვენც ჩვენი საკუთარი თავი თან გვახლავს და ამიერიდან აღარ გვსურს გვებას სხვისი ,,თავი", რომელიც მუდამ ,,ღარიბად" გვამყოფებს და სულს გვიხუთავს. და ასრე ჩვენ ისევ ჩავდექით ჩვენ უმანდელ ისტორიულ გეზში, რომელიც ერთა შორის ურთიერთობას გამოხატავს მხოლოდ ორ ლამაზ სიტყვით:იცხოვრე, მაცხოვრე. ამაზე კეთილშობილი სწრაფვა სხვა აღარ ეგულება საზეპურო ქართველ ერს.

საქართველოს მხარეების, ქალაქების ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

მოგზაურობა საინგილოში

,,დროება" 1878, N 234, 16 ნოემბ. გვ. 1-3; N 235, 17 ნოემბ.
გვ. 1-3; N 236, 18 ნოემბ. გვ. 1-3; N 237, 19 ნოემბ. გვ. 2-3.

ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას სამი ახალგაზრდა ცხენოსანი სოფ. კახიდან მიაჭენებდნენ თავის რაშებს დასავლეთისკენ; თითქო რაღაცას გამოჰკიდებიანო, ეგონებოდა კაცს.

მხოლოდ ხანდისხან ჭენობას შესწყვეტდნენ ხოლმე და ცხარე ლაპარაკით და ერთმანეთში ბაასობით ცხენებს მათრახებით აშინებდნენ სიარულის გაჩქარებას.

ყველა შეატყობდა, რომ ამათ ჰყავს თავის ატამანი-უფროსი, რადგან გზაზე სიარულში ორივე მხრით მას ფეხდაფეხ მისდევდნენ ორი სხვა მგზავრი და მაღლა ხმით საუბარი ამ უფროსს არ შეუწყვეტია.

- ეს ნანგრევები რა დროინდელია და ვისი განადგურებულია, რომ აგრე სამწუხარო მდგომარეობაში ვხედავთ ეხლა ჩვენ? უთხრა ატამანს ერთმა მის მგზავრთაგანმა და ანიშნა სოფლის ყუმის ბოლოში მყოფი შენობების ნანგრევები, სახელდობრ საპონჩი.

- რა დროინდელია, ვისი განადგურებულია!? რა მოგახსენოთ, ჩემო ძმებო! ჩვენი საქართველოს ჩარხი მეტად უიღბლოთ ტრიალებს. თითქოს ღმერთს განუწირავს ამ ერთი მუჭა ხალხის ბედი...

,,აი, მაგ ნაშთს, მიუთითა ძველებურ საყდრის ნანგრევს, ნუთუ არ შეუძლიან გააღვიძოს ქართველი კაცის გულში თბილი სიყვარული დიდებულ წინაპრებისადმი და შხამი იმავე დროს იმ მრავალ მტერთადმი, რომელთაც ბოლო მოუღეს გმირულ მამათა და მათ ბრწყინვალე ცხოვრების სახსოვრად დაგვიტოვეს მშვენიერი ბიზანტიური შენობების და იარაღის ნაშთები მიწაში დაფლულნი და მიწის პირზე მყოფი.

,,აქ, გააგრძელა იმავემ, ერთ დროს ყოფილა დიდი ქალაქი, სახელად ყუმი. ამაში გვარწმუნებს ჩვენ, გარდა ზეპირათ ხალხის ენით გადმონაცემისა, ჩვენი ,,ქართლის ცხოვრებაც". ამავე წიგნში ვკითხულობთ, რომ აიმ ადგილას, საყდრის თავში, დიდის ამბით და ტირილით ერთ დროს საქართველოს ხალხს განუსვენებია თავისი მეფე

(ვგონებ, გიორგი, ავტ.). ამ მშვენიერი მთების კალთებზე თურმე მაშინ ყვავოდა ცხოვრება... აი შეხედეთ იმ ქოჩორა მთის წვერას, რომელიც დევივით ჩამოჰყურებს გარშემოს:იქ თქვენ ხედავთ მაღალს კოშკს. ის კოშკი ყოფილა ეკლესია, რომელშიაც თურმე წირვა-ლოცვა არ აკლდებოდა, როცა გაზვიადებული მტერი შამოესეოდა ამ ქვეყანას და ხალხი გაიხიზნებოდა ტყე-ღრეში. აქავე თქვენ ნახავთ მიწაში დაფლულ ქვევრებს, დიდრონ და მოხუცებულ ნიგვზის ხეებს, მსხლებს, ვაშლებს, თხილის ბუჩქებს, ძველ ვაზებს და სხვა; - ყველა ესენი ჩვენი წინაპრისაგან დარგულია და გაკეთებული. მაგრამ ახლა სად არიან იგინი, ვინ იხსენიებს მათ და ვინ ლოცავს? სამწუხაროა ყველა ამეების ნახვა და მოგონება.

,,ყველა ეს ჩვენ ნათლად გვარწმუნებს, განაგრძო იმანვე, რომ ერთ დროსა დიდი ხნის განმავლობაში ყველა ეს მთის ფერდობი ქართველებით ყოფილა ნასახლარი და გამშვენიერებული. თუ ეხლა აქ, სადაც მტერმა ქვა ქვაზედ არ დასტოვა, დარჩენილა ამისთანა სიმშვენიერე და პოეტური სილამაზე, აბა რა გვარი დიდებული სახე ექნებოდა ამ გაობლებულ ქვეყანას, მაშინ როდესაც ყვაოდა და კაშკაშებდა!.. ქალაქი ყუმი ერთ დროს სატახტო ქალაქი ყოფილა; ეხლა უბრალო და ღარიბი სოფელი გამხდარა. მაგრამ ეს იგრე გულმოსაკლავი არ იქნებოდა ჩვენთვის, თუ სოფლის მცხოვრები ქრისტიანები ყოფილიყვნენ და არა ლეკები ან მონგოლები. რადგან როგორც პირველნი, იგრეც მეორენი არიან ნარჩომნი იმ ურიცხვ და გაზვიადებულ მტრისა- მონგოლისა, რომელმაც მე-XII საუკუნის ბოლოს მოჰფინა თავისი მამაკვდარი დროშა მთელს ქართლ-კახეთს და გარე-კახეთს, უმეტესად საქართველოს შვილთა ლეკვწართმეულ ძუ ლომივით ებრძოლეს ამ კაცთა სიმრავლეს, აზიის შუაგულიდგან გარდმოხვეწილებს, მაგრამ რას უზამდნენ, როდესაც მტერი ათი მოკლულის მაგივრათ მაშვრალ ქართველს წინ უყენებდა ასს ფხიზელ და დაუღალავს მონგოლს! მწარე და საგლოვო იყო მე-XIII, მე-XIV, მე-XV და შემდეგი საუკუნეები ჩვენი გარე-კახეთისათვის! განშორებული საქართველოს მეფეებისაგან, თვით უღონო და გარშემო ათასნაირი მტერი-სულთანი, ლეკი, სპარსი, თურქი და სხვ. არბევდნენ და ჟლეტავდნენ აქაურ ხალხს და ლამობდნენ აღმოეფხვრათ რჯული ქრისტესი, ყოველი ჩვეულება და მაგივრათ მაჰმადის რჯული და სწავლა შემოეღოთ. წადილი დროთა ბრუნვისა გამო აღასრულეს. მაგრამ ამის სისრულეში მოსაყვანად ბევრი დრო გავიდა და ბევრი ქრისტიანი ქართველიც დაიღუპა, რადგან აქაც, როგორც ყველგან საქართველოში, ქრისტიანობას გაეშვა მკვიდრი ფესვები და აქაურ ქრისტიანობასაც ღრმად ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი სიყვარული და რწმენა ამ რჯულისადმი. ,,რა დრო იყო ის დრო!.. ღმერთო, აგვაცილე, კიდე ოდესმე ამგვარ დღეს:სპარსეთის შაჰის სპასალარები რომ შამოესეოდნენ საქართველოს, პირველათ ჩვენ გარე-კახეთს აოხრებდნენ და მერე ქართლ-კახეთს მიესეოდნენ ხოლმე...

,,მტრების წასვლისავე უმალ ქართველები მამაცურად აგებდნენ კიდე შენობებს და ქალაქებს, მაგრამ მალე მტერი ხელახლად მოვიდოდა ხოლმე და ანგრევდა.

,,ასე ამ ბრძოლაში და ვაი-ვაგლახში აქაური ხალხი ნელ-ნელა ამოწყდა და ნელ-ნელა დაკარგა თავისი სჯული, ენა და უწინდელი ჩვეულებანიც. ,,ეხლა ხომ ინგილოები ქართველები არიან. ჰგვანან ეგენი უწინდელს მძლავრს და გმირულ ქართველებსა, ჰგვანან იმათა, რომელთაც თავისუფლებისათვის იბრძოლეს რამდენიმე საუკუნეს და ბოლოს თავი გარდააკლეს თავის მამულს? სრულიადაც არა. ენა რაღაც ყმაწვილის ღიღინს უგავთ, აგრეთვე ხასიათიც. გარდა ამისა უწინდელების სივაჟკაცის მაგივრად ეგენი გამხდარან ქურდები და კაცის ღამ-ღამე მკვლელები. უწინდელი თავდადებული მუშის მაგივრათ ეგენი გამხდარან ზარმაცნი და

დაუდევარნი. ეგენი სცდილობენ დღეს გაიძღონ კუჭი, ხვალინდელ დღისთვის ხვალ იფიქრებენ და სხ. უწინდელი ქართველი კი სხვა ყოფილა.

,,მაგრამ იმას ვამბობდი, რომ სამწუხაროა, რომ ყველა ეს ჩვენი მამა-პაპის მამული უჭირავს მონგოლების ჩამომავლობას, რომელნიც დასახლდნენ ქ. ყუმში მაშინ, როცა ამოსწყვიტეს ქართველები.

,,მაგრამ ინგილოები კიდე ისრე არ არიან განშორებულნი ქართველებს, როგორც სხვა სოფლები. ზოგან არიან იმისთანა უწინდელი ქართველების ჩამომავლობა, რომ ვერაფრით ვერ შეატყობ, რომ ის ქართელი კაციაო და ან ქართველის სისხლ-ხორცით შეზავებულიაო. აი მაგალითებრ ავიღოთ სოფ. ბელოქანის მცხოვრებლები. თუმცა ძველებური ნაშთი გვიჩვენებს, რომ აქ ერთ დროს ქრისტიანი ხალხი ყოფილაო და მას აუშენებია მრავალი ეკლესიები თვით ამ სოფელში და ტყე-ღრეშიაც, მაგრამ თვით აქ მცხოვრებლებში კი არც ერთი ნამცეცი არ დარჩომილა ქართველური, ჩვენებური. ყველა ამ ქართველებს გვარებიც შესცვლიათ ან, სჯობია ვსთქვათ, ფანატიკოსებს შეუცვლიათ, რომ არც ერთი ნიშანი არ დარჩომილიყვეს ამათ ქართველთაგან ჩამომავლობისა! ეხლა კი ეს სოფელი უფრო და უფრო მოლბა და ნელ-ნელა სცნობს თავის დაკარგულს თავს:ერთი გამოჩენილი გვარის შვილი უფ. მართუზალი გალაჯევი მშვენივრად განათლებული ამ წინა წლებში დაეძებდა თავის ჩამომავლობას; ბევრის მეცადინეობის შემდეგ იმან შეიტყო, რომ მისი ჩამომავლობა მომდინარეობს ვაჩნაძეებიდან. ყველა ეს დაამტკიცა, მოინათლა და თავადობა მისცეს, რადგან ვაჩნაძეები ყველანი თავადები არიან. ამის მაგალითით ცოლ-შვილით მოინათლა აგრეთვე მისი ბიძაშვილი, რომელსაც დაარქვეს გიორგი ვაჩნაძე. ამათ მაგალითით მთელი გვარი უნდა მოინათლოს. მაშინ აქ დასჭირდებათ ეკლესია, რომელიც უკვე არის ძველთაგან მშვენიერათ შენახული. ბევრ ბელოქნელს ახლა სურს მოინათლოს, რადგან იგინი გრძნობენ, რომ მათი დედ-მამა ქრისტიანი ქართველები ყოფილან, იგინი კი მუსულმანი.

,,-აბა ჩვენ იმ დუნიაში, როგორ ვეჩვენებით ჩვენ დედ-მამებსაო!" მითხრეს ერთხელ რამდენიმე ბელოქნელმა, რომლების ურმით მე მოვემგზავრებოდი ზაქათალისკენ.

ერთი გვახარებს ჩვენ, განაგრძო კიდევ ამ მოგზაურმა, რომ ყველა ამ გალეკებულ ხალხს აქვს დიდი სიყვარული ჩვენი წინაპრებისადმი. ეს სიყვარული ჩარჩენიათ მათ იმ მრავალგვარ მშვენიერ ნაშთების შემწეობით, რომელნიც აგერ თვალწინ გვიღიმე-ბენ ეხლა ჩვენ. ამგვარ ნაშთებით სავსენი არიან ყველა აქაური სოფლები და ტყეები. მაგალითებრ ბელოქნელებს თვალწინა აქვთ მრავალგვარი ეკლესიები, ქართველთა ნასახლარის კვალი და სხ. ვერ წარმოიდგენთ თუ რა აღტაცებით და სიყვარულით იხსენიებენ იგინი ჩვენს თამარ მეფეს, რომლისთანა ქალი ჯერ დედამიწაზე, მათის აზრით, არ დაბადებულა და არც დაიბადება.

,,- ვისი აღშენებულია ეს მკვიდრი გალავანი, (სოფ. ბელოქანში) - რომ ჰკითხო ბელოქნელს, მაშინვე მოგიგებს:

,,- უწინ აქ ყოფილა გამოჩენილი დედოფალი ფერია (თამარს უწოდებენ); იმას მტრის მოსაგერიებლათ ეს გალავანი აუშენებია!

,,მაშასადამე ამ გალავანის შემწეობით დარჩომილა ხალხი. სახსოვარში მეფე თამარის სახელიც..."

ამ საუბრის დაბოლოებამდე ამ ახალგაზრდებმა გაიარეს კარგი მანძილი. მცირედღა უკლდათ სავალი გზა იმ ადგილამდე, საითკენაც იგინი მიეშურებოდნენ.

- აი აქ, მცირედი იდუმალის შემდეგ განაგრძო უფროსმა, ამ ვიწრო ორღობეში ანუ ბოღაზში უწინ დანთხეულა მრავალი ქართველის სისხლი. აქ გამოვიდოდნენ თურმე საყარაულოთ ქართველები და აქ მოხდებოდა ხოლმე პირველი ბრძოლა.

- მართლაც, რა საშიში ადგილია ეს ადგილი! კაცს მტერი შეხვდეს აქ, ვერსად ვერ გაექცევა და უნებლიედ უნდა პირდაპირობა გაუწიოს, სთქვა მეორემ.

- ბევრჯელ მორწყულა ეს ადგილები ქართველობის სისხლით! სთქვა პირველმა.

- დიაღ, დიაღ, სთქვა უფროსმა.

ამასობაში ქეც გავიდნენ ამ ორღობიდგან, გადავიდნენ ერთ პატარა რიყეზე, დაადგნენ ვიწრო ბილიკსა და სიჩუმით ერთმანეთს გაჰყვნენ.

ეს ბილიკი პატარა გორაზე ადიოდა. გორაზე მგზავრებმა ნახეს სოფელი ლექეთი, რომელიც ვენახებით და ათასნაირ ხილეულობით სამსე იყო... გრძელი შუბლი, დიდი მწყვეტიანი ცხვირი, ვიწრო და მოგრძო თვალები, მოშავ-მოყვითალო ფერი და ერთგვარი გრძელი ტანისამოსი აქაური მოსახლეებისა, რომელნიც გამოვიდნენ იმ მგზავრების დასათვალიერებლად, ცხადად უჩვენებდნენ, რომ იგინი არიან მონგოლთა ტომისანი.

ახალგაზრდებმა მალე ეს სოფელიც გაიარეს და გორის წვეროზე ავიდნენ. წინ მათ წარმოუდგათ ვრცელი მინდორი, მშვენიერი და მდიდარი ტყით მოშენებული.

- ეგ რა გვარი ქვაა, თქვენი ჭირიმეთ?!. წამოიძახა ერთმა მგზავრთაგანმა.

- ეს ქვაა? ამ ქვაზე ბევრი ამბავი გამიგონია, ეს ქვა შესანიშნავი ქვაა. ამბობენ, ვითომ ამ ქვის ქვეშ არის დიდი სარდაფი ქართველებისაგან გაკეთებული; ამ სარდაფში ვითომ არის აქაური ქართველების დოვლათი და ეს ქვა იმ სარდაფის პირზე დაუდვიათ, რომ ვერავის ვერ შეეძლოს მისი ახდა და სარდაფის მიგნება. შეხედეთ, ქვა ოთხკუთხეა; სიგრძე აქვს ორი საჟენი, სისქე და სიგანე თვითო საჟენი. სად უპოვიათ ნეტავი ეს ლოდი და როგორ ამოუტანიათ აქ ქართველებს? მაგრამ გვეყოფა ამ ქვაზე ლაპარაკი. გავშინჯოთ სხვა რამეებიც,

გზის მარჯვნივ აგერ არის ქვევრი. ქვევრი კედელივით არის აგურით მოშენებული.

- ჩვენი სანახველები ჯერ იქით არიან; მოდით, წავიდეთ! ეტყვის უფროსი თავის ამხანაგებს.

ხუთიოდე მინუთის სავალის შემდეგ, დაინახავენ მაღალს და საუცხოვო შენობებს. მიაბმენ ცხენებს ახლო შვინდის ხეებს და თვითონ წავლენ იმ უზარმაზარ შენობისკენ, რომელიც სხვა შენობების შუა ადგილას დგას.

- ფრთხილად იყავი, დ., თორემ ვინ იცის იქმნება რამე ხიფათი გვეწვიოს! შეიძლება, რომ ამ შენობებში ბუდობს დათვი, მგელი, ლომი, ან კიდევ შხამიანი გველი, რომელთაც ჩვენ ვერ დავეხწევით უმსხვერპლოდ, სთქვა ერთმა.

- მართლაც სიფრთხილეს თავი არა სტკივა, სთქვა მეორემ.

- მომყევით, თქვე ქალაჩუნებო! ამისთანა მშვენიერ დღეს როგორ შეგვაშინებს ჩვენ დათვი ან გველი? წამოიძახა მესამემ და ერთი თვალის დახამხამების უმალ შევიდა დასავლეთის მხრით ხსენებულ შენობაში. ორი მგზავრიც თან შეჰყვა.

მათ თვალებს წარმოუდგა საყდარი, რომლის კედლებზე იყო მარიამ დედა და მის ყუჯახში მჯდომარე ქრისტე; ეს სურათი ისრე ბრწყინავდა, როგორც სხვა ეკლესიებში, რომლებშიაც არ არის წირვა-ლოცვა შეწყვეტილი. ყველგან კედლებზე ეტყობოდა, რომ ყოფილა ნახატი სურათებში, მაგრამ კაცის თვალს აღარ შეეძლო მათი ვინაობის გაგება, რადგან მტერს ძრიელ დაემახინჯა იგინი.

ეკლესია თაღით მოშენებული ყოფილა. ერთი ნახევარი თაღისა ეხლაც არის, მეორე კი ჩამოუნგრევიათ. კარები აქვს სამი, ფანჯრები ვიწრო და ბევრი, კარის

გარშემო და თავზე არის დიდი თლილი ლოდები. წარწერილი არსად არ დარჩომილა. თვით ეკლესიაც თლილი თეთრი ქვით არის აშენებული. მაღალი და განიერია.

- ეს ეკლესია, სთქვა ერთმა, სწორედ მომაგონებს მე ქუთაისის გორაზე მყოფ უწინდელ ეკლესიასა, რომელიც აღაშენა ბაგრატ მეფემ მეთერთმეტე საუკუნეში სწორეთ იმტელა და იმ სახით არის ესეც აშენებული. შეიძლება, ესეც იმ დროს და ამავე მეფისგანაა აშენებული. მაგრამ ვინ იცის. იქნება სხვა სხვამ ააშენა. ეს კია, რომ ამისთანა ქმნილება ჩვენ საქართველოს ზურგზე იშვიათია. ეს ეკლესია უეჭველად დიდი სობორო უნდა ყოფილიყო, რადგან სოფლისათვის ჩვენში პატარა ეკლესიებს აშენებდნენ ხოლმე და არა ამისთანაებს. და თუ ეს სობორო ყოფილა, მაშ აქ უნდა ყოფილიყო დიდი ხალხი, ანუ ქალაქი. ამაში ეჭვიც არ არის:ხომ დაინახეთ, ჩვენ როცა მოვდიოდით, გარშემო სოფ. ლექეთში და გორის წვერზე იყო მრავალი შენობების ნაშთი და ტყეში მრავალი ძველი ხილის ხეები:ნიგოზი, თხილი, მსხალი, ვაშლი და სხ. მაგრამ გავიდეთ აქედგან, დავათვალიეროთ ჩვენი გარშემო და მაშინ ცხადად დავინახავთ ყველაფერს.

გავიდნენ თუ არა, მაშინვე ყურადღება მიაქციეს მეორე ეკლესიას, უფრო მომცროს. ესეც თლილი ქვით იყო აშენებული. აქედგან კიდე დიდი ეკლესიის კედლებს დაუწყეს ცქერა; ეძებდნენ ქვებზე წარწერებს, მაგრამ ამაო იყო მათი შრომა. დასავლეთისავე მხარეს იყო მესამე ეკლესია, რომლის თაღი და კედლები მშვენივრად იყვნენ შენახულნი; საყდრის გარედან, თაღზე, იპოვეს დამწიფებული შავი ყურძენი, რომელიც უწყლობისა გამო კრიკინას ჰგვანდა.

ძველმა ნიგვზის ხემ, სამარეებმა და ეკლესიებმა ბევრი რამ მოაგონა მგზავრებს ჩვენი ქართველების წარსულს დროინდელი...

- ვინ იცის ამ ადგილას, ამ ხის ქვეშ რა გვარ გმირებს გაუტარებიათ დრო, რა გვარ კაცებს უმოქმედნიათ ამ ეკლესიების ასაგებლათ და თავის თავის დასაცველად!

- სწორეთ არავინ იცის, სთქვა ერთმა მგზავრთაგანმა. ჩვენი ,,ქართლის ცხოვრება""ამ ეკლესიებზე სიჩუმით ივლის, და ქართველებში ჩვენ გარდა არავინ იცის ამ ეკლესიების და ადგილის ისტორია. მოხუცებულებისაგან გამიგონია, რომ 250 წელიწადი უნდა იყვეს მას აქეთ, რაც აქ ქართველობა ყოფილა. გადმონაცემს ვინ დაიჯერებს, იქნება მეტ-ნაკლებიც იყოს...

გაშინჯეს მეოთხე ეკლესია, რომელიც დასავლეთის მხარეს კაკლის ქვეშ იდგა. ეს ეკლესიაც იგრევე იყო აშენებული, როგორც სხვები. ამასაც ჰქონდა სარდაფი. მტერსა ამისთვისაც მიეგნო.

შემდეგ მგზავრებმა ცხენები მომართეს და გაემგზავრნენ შინისკენ...

მშვენიერი დღეა, ივლისის დღე. სოფ. კახის მარცხენა მხარეს სუფევს ღრმა სიჩუმე. ხანდისხან ღრმა მყუდროებას არღვევს სოფლის ძაღლის ყეფა და არწივის სტვენა.

სამი მგზავრი ერთმანეთში დუდუნით და ჩურჩულით ნელ-ნელა ადიან გორაზე, თითქო სცდილობენ არ დაარღვიონ მყუდროება.

გორის ძირში მათ გაშინჯეს აგრე წოდებული ,,ბებრების სამარეები" მაყვლნარ დაცემული; გაუდგნენ ერთ პატარა ბილიკს და რამდენიმე წამის შემდეგ გაჩდნენ კასრის საყდრის ეზოში. გორა ამ ადგილას სწორდება, რის გამო საყდრის გარშემო წარმოგვიდგენს სწორე მინდორს, სამის მხრით გარემოცულს ღრმა უფსკრულებით, ხოლო ერთის მხრით აწეულ მთით. ეს სწორე მინდორში არის ერთი დიდი ქვევრი, ლექეთის ქვევრივით თაღით მოშენებული და ერთიც ოთხ-კუთხიანი თეთრი და თლილი ქვით აშენებული ეკლესია. ეს ეკლესია კასრის საყდრის ეკლესიად იწოდების საინგილოში.

- და ჩვენს ისტორიებში არაფერი არ არის ამ ეკლესიაზე შენახული? იკითხა ერთმა მგზავრმა.

- სრულიად არაფერი

- მაშ უწინდელი ნაშთი იგრე უნდა დაიკარგოს, რომ მისი არა ვიცოდეთ - რა?

- სწორეთ, მისი შემაძრწუნებელი, დამახინჯებული სურათი ჩვენ თითქმის გვაუწყებს ამ ეკლესიის ხვედრს და გარდასავალს. ეკლესიის დაღრეჯილი მდგომარეობა ჩვენ ცხადად გვეუბნება, რომ მას როდისღაც სწვევია ხელში წერაქვიანი და გრდემ-ლიანი სტუმარი, რომელსაც ამ იარაღებით მისი გვერდები და ზევითური თაღი შეუმტვრევია და ალხან-ჩალხანათ უქცევიათ.

- ეს რცხილა ჩვენ გვატყობინებს, რომ დიდი ხანია ამ ეკლესიის გაოხრება.

- რასაკვირველია, რცხილა ქეც დაბერებულა.

- ამისთანა მაღალ გორაზე რათ აშენებდნენ ნეტავი უწინ ეკლესიებს? როგორ დადიოდნენ მლოცველნი ამ სიშორეზე?

- მიტომ, რომ ამ სიმაღლიდგან იგინი მალე დაინახავდნენ ხოლმე მტრის შემოსევას და აქ ამოსვლამდე ქეც შეეძლოთ მიმალულიყვნენ, თუ საჭიროება მოითხოვდა. თვით მოსახლეებიც მაშინ ამ ეკლესიების შორიახლო სცხოვრობდნენ.

- მაშ ის რაღას ნიშნავს, რომ სწორეზე ჰპოულობენ უწინდელს მიწაში დაფლილ ქვევრებს, უწინდელ ჭურჭელს, ფულებს, იარაღს და სხვას?

- მე იმას კი არ ვამბობდი, რომ სწორე მინდორში ხალხს არ უცხოვრია თქო. არა. მე იმას ვამბობ, რომ მტერი რომ შამოესეოდა აქაურობას, მაშინ მინდვრის ხალხი გორებზე და მაღალ ადგილებზე ადიოდა, სადაც მტერს თვითონაც ეშინოდა ასულიყო და ტყვილადაც ავიდოდა. მტერი არბევდა მინდორში მცხოვრებ ქართველის სახლ-კარს, სწვავდა ყველაფერს და მიდიოდა. ქართველი კიდე ჩამოდიოდა და აშენებდა ხელმეორედ თავის მამულს, მაგრამ მტერი კიდე მალე ეწვეოდა ხოლმე.

- გადაიხედეთ ერთი აქედგან; შეხედეთ მარჯვნივ, მარცხნივ და აღმოსავლეთისკენ! რა გვარი ჩინებული და დიდებული პანორამა უდგება კაცის თვალს აქედგან! სთქვა ერთმა, რომელიც აქამდე ღრმად იყო ჩაფიქრებული და გაჩუმებული.

მარცხნივ ხედავენ სოფელ კახისთავს და კახის თავის მინდვრებს, რომლებშიაც გამწკრივებულან ძროხები და სძოვენ. იქავე ხედავენ ერთს პატარა ციხეს, რომელიც რუსებმა ააშენეს ლეკების მოპირდაპირეთ. ამ მინდორში მიკლაკნავდა ერთი გზა, რომელიც ილისოსკენ და დაღისტნისკენ მიდიოდა. აღმოსავლეთის მხარეს სოფ. კახის გვერდით მდ. ქურმუხის იქით დაინახეს მდაბალი მთა, რომლის კეფაზე თეთრად მოჩანდა სოფელი მალაღი.

ამ მთის ბოლოში, დასავლეთის მხარეს იყო წმ. გიორგის ქურმუხის საყდარი. მარცხენა მხარეს ხედავდნენ მთელს ალაზნის ველს, რომელიც ტყეებით მწვანეთ იყო შეღებილი. ამ ტყეებში შიგადაშიგ მოჩანდა სოფლები. ტყის შუაში მიიკლაკნებოდა მოდუდუნე და ხან ჩუმი ალაზანი. ალაზანს იქით შირაქის მინდვრები მოჩანდა, როგორც ხელის გული.

თვით მომაკვდავიც, სწორეთ გითხრათ აღტაცებაში მოვიდოდა იმ სურათის დანახვით და მის შთაბეჭდილების ქვეშ.

წავიდეთ ახლა ზევითკენ, ჯერ ბევრი სავალი გზა გვიდგა! ბოლოს წამოიძახა უფროსმა.

დაადგნენ იმავე ბილიკს, რომელიც მაღლა გორაზე ადიოდა და წავიდნენ.

ის მთა არ იყო იგეთი ტიტველა და გულამაცრუებელი, რა გვარაც მთაწმინდის და შირაქის მთებია, არამედ იგი იყო ხე-ტყით მოსილი. ტყეში იყო ყოველგვარი ხე, მხოლოდ მომეტებული ნაწილი მუხა და რცხილა.

ბილიკმა მალე მოიყვანა იგინი ერთ განადგურებულ და აოხრებულ ეკლესიასთან. ჩვენში ამ ეკლესიას უწოდებენ ჭანდარა საყდარს. მტერს ფესვიანად ამოეგლიჯა იმ ეკლესიის კედლები, რომ ყოველი ნიშანი მისი დაკარგულიყო. მაგრამ მგზავრებმა მაინც იპოვეს იმისთანა ნიმუშები, რომლებიც ცხადად უჩვენებდნენ მათ, რომ ეს ყოფილა ეკლესია.

- ამ ჭანდარა საყდრის გზა საიდგან ყოფილა?

- ეხლა ჩვენ პატარა ბილიკზე რომ მივედით, კასრის საყდრიდან, იქიდან ეს ბილიკი უწინ, როგორც კასრის საყრის ბილიკი, ყოფილა დიდი შარაგზა ამ გორაზე გაყვანილი. ხოლო ეხლა და ეხლა დაპატარავებულა და ეს ბილიკი კი დარჩომილა იმ გზის მაგიერათ.

ამ ეკლესიის გარშემო იყო დიდი დაბურული ტყე, შორს სოფლიდგან. კმაროდა ერთი მშიერი მგლის წვევა, რომ ეს სამი უიარაღო მგზავრი მსხვერპლად გამხდარიყო.

აქედან მათ ჩქარის სიარულით ჩაიარეს და რამდენიმე მინუტის შემდეგ ჩავიდნენ ერთს დიდ ღელეში, რომელშიაც მოკამკამებდა ანკარა წყარო.

სამივე მგზავრი ფრთხილად ჩავიდნენ ღელეში, დასხდნენ მშრალ ადგილას წყლის პირზე, ზევიდგან მათ ჩრდილავდა დახლართული ტოტები სხვადასხვა ხეებისა ასე, რომ მზის ერთი სხივიც ვერ იხედებოდა ქვევით. მგზავრებმა გაიგრილეს შუბლები, კუჭები.

აქ რო დაისვენეს, მერე წამოდგნენ და გაჰყვნენ ამ წყალს ქვეითკენ. წყალმა მიიყვანა იგინი იქამდე, სადაც იყო უწინდელი კალოები, ეზოები, ხეხილები (ლეღვის, თუთის ხეები). აქვე მიაგნეს მათ ერთ პირღია ორმოს, რომელშიაც საშინლად ბნელოდა.

- ეს ორმო პურის ორმო ხომ არ ყოფილა ნეტავი? სთქვა ერთმა მეგობარმა.

- ვინ იცის, ჩემის აზრით, ეს ორმო პურისა არ უნდა ყოფილიყო, არამედ ქრისტიანი ქართველების სამალავი, ე.ი. როცა მტერი ეცემოდა აქაურობას, აქაური ხალხი ამისთანა უდაბურ ადგილებში იხიზნებოდნენ, ორმოებს სთხრიდნენ და შიგ ცოლშვილით იმალებოდნენ. ამ ორმოს შესახებ ეს ნათქვამი ჭკუაზე ახლოა, რადგან ორმო მეტად დიდია; პურს ამისთანა ორმოში არ ინახავენ. გარდა ამისა ორმოს ძირში იყო ნახშირი. შიგ ჰქონიათ ცეცხლი. აგერ წყალიც ახლოს ჩაუდის ორმოს. ძნელი არ იქნებოდა მათთვის აქ ცხოვრება

ამგვარ ლაპარაკის შემდეგ სამმა მეგობარმა ორმოს პირი ისრევე გააკეთა, როგორც იყო საუკუნოობით უწინდელი ქართველისაგან გაკეთებული და ცმაცუნით გასწიეს ქვეითკენ.

მივიდნენ ერთ საუცხოვო ცივ წყლამდე („ცივ წყარო” ინგილოურად ჰქვია), რომელიც დიდის კლდიდგან გამოჟუჟუნებდა. აქ დაისვენეს იმათ, წყალი დალიეს და გასწიეს. ეს წყალი ზაფხულში ისრე ცივია, როგორც ზამთრის წყალი, ზამთარში კი თბილი.

იარეს და მივიდნენ ერთ უწინდელ დანგრეულ ეკლესიასთან, სახელად „თეთრი საყდარი”. ეს საყდარი დანგრეული და გაოხრებული დახვდათ, ეკლესიის კედლებში იყო პატარა ჭურები ჩადგმული.

- ეს ჭურები რისთვის ყოფილან ნეტავი საჭირონი, რომ კედლებში ჩაუდგამთ უწინდელ ქართველებს?

- ამ ჭურებში მტრის დაცემის დროს ეკლესიის მოძღვარნი ჰმალავდნენ ეკლესიის სიმდიდრეს, ე.ი. ფულს და ძვირფასს ნივთებს. სხვა ეკლესიებს აქვთ ხოლმე სამალავი ოთახები, როგორც მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიას. აი ამ სამალავი ოთახის მაგიერათ აქ ყოფილან ეს ჭურები. მტერს ეს საიდუმლოც გაუგია და ამოულაგებია ამ ეკლესიიდგან ყოველი სიმდიდრე. რასაკვირველია, რომ ყოველ ეკლესიის გარშემო არის სასაფლაო. ეხლანდელი ეკლესიები კი განშორებულია სასაფლაოებს.

- იმ შიშიანობის დროს ხუცები აბა სად გაასვენებდნენ მკვდარს, თუ არა თავის საყდრის ადგილებში.

კარგა ხანს დაკვირვებით რომ გაშინჯეს ეს თეთრი საყდარი (თეთრი თლილი ქვით აშენებული), რომელიც გორის ძირში, კახის მიწა ,,კეჭენში" იმყოფება, გამოვიდნენ აქედგან, დაადგნენ ურმის გზას და მცირე რომ წავიდნენ, დაინახეს ერთი ახლად გამოჩენილი უწინდელი სამარე.

აქ გაჩერდნენ. ერთი-ორ მინუტის განმავლობის შემდეგ მათ წინ ეწყოთ ძვლები უწინდელი ქართველისა, და დიდის ბეჯითობით შინჯავდნენ მათ.

- ეს მკლავის ძვალი უნდა იყოს; მაგრამ რა სქელი და გრძელი ძვალია; ეტყობა, გრძელი მკლავები ჰქონია ამ დალოცვილისშვილს.

- ეს თავის ძვალიც მაგ ძვლის პატრონისაა, ეტყობა დიდი ხნის ძვლებია, რადგან ამ რიგად დამპალან. (ხელში რომ გაგესრესა ნაცრად იქცეოდა).

ეს სამარე რომ გაშინჯეს, კარგა დაღალულები და მშიერები იყვნენ. დილით გამოსულებს პირში ლუკმა არ ჩაედოთ, თუმცა სადილობის დრო გადასულიყო. დაღალულმა მგზავრებმა ბოლოს მიაქციეს თვისი დაღალული ყურადღება მეორე ეკლესიასაც, რომელიც იქავე ახლოს იყო. ესეც თეთრი საყდარია (ჩვენებურად). ამ ეკლესიის ხვედრიც იგეთია, როგორც სხვებისა. ამასაც აქვს თვისი ჭურები კედლებში

ორიოდე ვერსი სავალი გზა ჰქონდათ შინამდინ. ძლივს-ძლივს დაღალულებმა მიაღწიეს სახლში და ნოყიერი საჭმლით და ტკბილი ალერსით დედ-მამისა ღონე მოიბრუნეს. ყველა ნანახი კი ღრმად გულში ჩაურჩათ...

.....

ამ სტატიის წერაში ვცდილობდი გადმომეცა მკითხველთათვის ნამდვილი და ჭეშმარიტი ფაქტები. წერის დროს იმ აზრით ვხელმძღვანელობდი, რომ მიმექცია ყურადღება ქართველი მკითხველისა ამ გამოჩენილ და მეტად საინტერესო ადგილთადმი. ეს ყურადღება ძვირად ღირს ინგილოებისთვის.

ინგილოებს ჯერ ეხლაც ქართველები და თვით მათი მეზობლებიც-კახელ-ქიზიყელები ვერ იცნობენ. ქიზიყელები და კახელები მათ ქვეყანას ეხლაც უწოდებენ სალეკოს და ურჯულოების ქვეყანას.

მიკვირს-თუ როგორ დაუდევრად ჩვენი განათლებული პუბლიკა უყურებს საინგილოს, სადაც დიდი ისტორიული მასალები და ნაშთები იპოებიან. მგონია, რომ ოსმალოს ქართველები უფრო განათლებულნი და უფრო მეტად ქართველები არიან ხასიათით, ვინემ ჩვენი ინგილო ქართველი.

1865 წლიდან მოკიდებული ჩვენს გაზეთებში გამოდის საინგილოზე წერილები. იმ დრომდე ჩვენმა ქართველებმა თითქმის არ იცოდნენ, რომ გარეთ-კახეთში არის ქართველი ხალხი-ინგილოები. მას აქეთ აგერ 13 წელიწადია და ჯერ ერთს ქართველს კი არ გადუდგამს ფეხი იქითკენ, ყველა მიეშურება ოსმალოსკენ. უფ. დ.ბაქრაძემ გამოსცა თავისი შესანიშნავი შრომა აჭარაზე,- რა იქნებოდა, რომ საინგილოსკენაც ფეხი გადაედგა და იქაურობაც გაეშინჯა.

კვლავ საინგილოში.

,,დროება" 1880, N 175, 20 აგვ. გვ. 1-3; N 176, 21 აგვ. გვ. 1-3.

I

ლაგოედი, ბელოქანი, ჭარი, მუხახი, კაკი (კახი), ილისო კაკის საერისთო, ფიფინეთი და კახეთის საერისთოები. 1617წ. კაკის საერისთო ეთმობა შახ-აბაზს, მძლარდება ჭარის რესპუბლიკა. კაკის საერისთო ეცემა. ერისთავი ვახახიშვილი ილისოს სულთნად ჰხდება. კაკის და ყუმის ქალაქები ვერანდებიან.

18... წელს მაისის ერთ მშვენიერს დილას მე ვიყავი დიდ დაბაში ლაგოდეხში, რომელიც იმყოფება მაღალი კავკასიონის ქედის ძირს, გაღმა მხარში, სიღნაღიდამ 46 ვერსის სიშორეზე. ეს არის მშვენიერი ადგილი ტევრებით გარს შემორტყმული; აქეთ-იქიდან ჩამოუდის წმინდა წყლები, ხეები, რომლებიც ნიაღვრის დროს დიდდებიან ხოლმე. დაბის გარშემო მოჰყავთ თამბაქო და პური. თამბაქოს აქ ამ ორიოდე წლის წინათ ბევრს სთესდნენ, მაგრამ ეხლა კი უკლეს. აქაური თამბაქო კარგი თვისებისაა. შიგ დაბაში დგას ეხლა რუსის პოლკი, მოსახლეობა მალაკნებისაა.

ეს ლაგოდეხი უწინ იყო დიდი ქალაქი-ლაგოედი, მე-44 მეფის არჩილისაგან აშენებული. ქალაქში უწინ იყო მაგარი და დიდი ციხე. შორიახლოს ლაგოედისა არიან მრავალი უწინდელი ეკლესიების ნაშთები, რომელიც უმნიშვნელო არ არიან ჩვენი ისტორიისათვის. ლაგოედი ბრწყინვალე მდგომარეობაში იყო მაშინ, როცა ამ გვარათვე აღყვავებული იყო ბელაქანი, ეხლა დიდი სოფელი, უწინ კი მაგარი ციხე მაკაბელად წოდებული. ეს ციხეც ააშენა მე-44 მეფემ არჩილმა, იმავე მთის პირში 17 ვერსის სიშორეზე ლაგოედისა, იმ ადგილას, საცა მარჯვნით კავკასს გამოსდის ტალახიანი ბელაქნის წყალი. ამ სოფლის თავში არის ნანგრევები ერთი დიდი მონასტრისა, რომელშიაც, როგორც ეტყობა, ყოფილა მრავალი სენაკები ბერებისა. დიდს სასოებით იხსენიებენ მას ბელაქანის მცხოვრებლები, რომელნიც ქართველების ჩამომავლები არიან (იხ. მოგზაურობა საინგილოში N 234-237 ,,დროების" 1878 წ.). შესანიშნავია კიდევ ერთი ღელის სახელი ამ ბელაქნის ზემოთ. ამ ღელეს ჰქვიან წერეთლის ტახტი.

მდიდარი ბუნება კაცს აქ უხვად აჯილდოებს. პური ბლომად მოდის მეტადრე წლეულს, როდესაც ხშირი წვიმები მოდიოდა. საბალახოები მრავალი აქვთ, რის გამო მთელ გაღმა მხარში განთქმულია ბელაქნური კამეჩი და ძროხა.

ბელაქნიდან მე 22 ვერსზე არის განთქმული და ყველასაგან ცნობილი ჭარი, რომელიც ორ მთის შუა კავკასიონის ქედის ძირში დაფენილია დიდ მანძილზედ თავის თავისუფლების მოყვარე და ამაყ მოსახლეობით.

ვისაც უნახავს ჩხერიმელას ღელე შორაპნის მაზრაში, იმას შეუძლია სთქვას, რომ მე კარგათ ვიცი ჭარის ბუნება და მდებარეობაო:აქ ისეთივე მაღალი, ტყეებიანი ადგილია, ისეთივე ოღროჩოღრო, მრავალჯეროვან მცენარეულობით და მოძრავ ხალხით, როგორც იქ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ ისეთი მთის ფერდობი არ არის, რომ ან ძველი ეკლესიის, ან ციხის, ან კოშკის ნანგრევები არ იყოს. ყველგან მგზავრის თვალს ძველი ნაშთი აშტერებს, მგზავრის ყურადღებას იქცევს და უღვიძებს მას (მგზავრს) მრავალს ყველგან მწარე ფიქრებს.

მგზავრი რომ გაიხედავს იქეთკენ, საცა ჭარს თათრულად წილუბანი, ესე იგი წინუბანი ჰქვიან, დაინახავს მრავალგან ეკლესიების ნანგრევებს, რომლებიც მტრის

ხელს დომხალივით აურევ დაურევია და საზიზღრად დაუმახინჯებია. სამასი წელიწადია თითქმის მას აქეთ, რაც აქ დაიხშო ეკლესიის კარი და მის მიდამოში (იხ. Путев. Зап. По Дагест. П. Иосел. 1861. გვ. 14). ჭარის მარცხენა მხარეს არის მაგარი ზაქათალის ციხე რუსებისაგან მოშენებული. ამ ციხემ ჭარელების სიამაყეს სძლია და მტაცებელი ხალხი დასჩაგრა. იმამს შამილს 1862-3 წლებში ბევრჯელ უნდოდა ამ ციხის აღება, მაგრამ ვერა გახდარა უიარაღობის გამო.

სწორეთ ამ დროს ჭარელებმა მოჰკლეს თავ. შალიკაშვილი, რომელიც რუსის ჯარით ბელაქნიდან ზაქათალისკენ მიდიოდა. მეშვიდე ვერსზე ბელაქნიდან არის ერთი დაბალი გაშვერილი ტოტი კავკასიონის ქედისა. ამ ტოტის წელზე გადადის გზა, რომლის პირას ამ გორაზე ეხლაც მგზავრი დაინახავს ხის ჯვარს შალიკაშვილის სახსოვრად დადგმულს. აქ თურმე ჩასაფრებულან ლეკნი და რამწამ ამოსულა ჯარი, მიურტყამთ თოფი წინამძღოლისათვის და წაუქცევიათ. თავისუფალთ ჭარელებს გა-მოუთქვამთ პატრიოტული სიმღერა ამ კაცის სიკვდილზე. ამ სიმღერას ჭარელების ქალები ეხლაც მღერიან.

გამოივლი თუ არა ზაქათალიდან 10 ვერსს, დაგხვდება სოფ. მუხახი. ეს სოფელი მოშენებულია ერთ დიდ მუხახ-ჩაის ღელის დასაწყისში. ამ ღელიდან გადადის გზა დაღესტანში. გზა ისეთ ფრიალ და ვიწრო კლდეებზე გადადის და ისეთის სიმაღლით გადმოჰყურებს აქეთ-იქით მყოფ უფსკრულებს, რომ გულად კაცსაც თავზე თმები აეშლება..

ეს ღელე ბოლოში, იქ სადაც სოფ. მუხახია, განიერდება. ასე რომ ეს ადგილი წარმოგვიდგენს ერთს გაშლილს მინდორს ფერდოვნისას, რომელსაც ჩრდილოეთის მხრით აჰყუდებია მაღალი კავკასიონის ქედი, რომლის გაყოლება მიდის თამარ მეფისაგან აგებული მაგარი გალავანის ნაშთი (იხ. N 234-237 ,,დროებისა" 1878 წ.). მუხახში ლეკის მოსახლეობა აკეთებს მშვენიერ შალებს წმინდა მატყლისას, რომელიც კაი ფასად ისყიდება.

კაკამდი 26 ვერსია მუხახიდან. ეს ადგილი მრავალჯერ ყოფილა აღწერილი და ამის ისტორიული ნაშთები მკითხველმა უკვე იცის.

რაიცა შეეხება ილისოს, რომელიც 8 ვერსის სიშორეზეა კაკიდან, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მასზე არა ყოფილა-რა ქართულს მწერლობაში. ამიტომ ჩვენ ამ მოკლე წერილში გვსურს გავაცნოთ მკითხველს ეს შესანიშნავი ადგილი, ადგილი, სადაც დახოცილან მრავალი ქართველი, საცა ქრისტიანების სისხლს აქაური ნიადაგი მრავალჯერ მოურწყავს...

1010 წელში, როცა ირაკლი III აღუდგა გიორგი მეფეს და მიიღო კახეთის მეფობა, იმან მთელი კახეთი სამად გაჰყო: აღმოსავლეთის, შუა და დასავლეთის მხრებად.

აღმოსავლეთის ნაწილს ეჭირა ეხლანდელი ზაქათალის მაზრის აღმოსავლეთი მხარე, რომლის დედაქალაქი იყო კაკი (კახი), შუა ნაწილი დანარჩენი ადგილები ზაქათალის მაზრისა, და დედაქალაქად ჰქონდა ჭარი, რომელსაც ამ დროს ერქვა ფიფინეთი; დასავლეთი მხარე ნარჩომი კახეთისა და დედაქალაქად ჰქონდა თელავი.

კარგს მდგომარეობაში იყო ყველა ეს ადგილები მე XIII საუკუნის დამდეგამდე; მას შემდეგ, როცა დაუძლურდა საქართველოს სამეფო, მეტადრე მაშინ, როცა 1601 წ. კახეთის მეფემ ალექსანდრე მე-II შახ-აბაზის თხოვნით მას დაუთმო ქალაქი კაკი, მის შემდეგ ამ საერისთოს ბედი უკუღმა დატრიალდა. 1617 წ. შახ-აბაზმა დაარბია კახეთი და დიდძალი (200000) ხალხი აჰყარა კაკის და ფიფინეთის საერისთოებიდან; აყრილი ხალხის მაგივრად გადმოსახლდნენ ჭარელები და სხვა ლეკის ხალხი, რომელნიც მალე ძრიელ გაძლიერდნენ. ეს ხალხი არათუ მარტო საერისთოს ებრძოდა, არამედ მთელ კახეთსაც.

ფიფინეთს მალე დაერქვა ჭარი და მის წყობილობა რესპუბლიკური შეიქმნა. კახეთის მეფე ბევრჯელ მარცხდებოდა ჭარელ რესპუბლიკელებთან. ჭარის რესპუბლიკამ როცა ძალიან შეავიწროვა კაკის საერისთო, მაშინ ამ საერისთოს მმართველი თავადი ვახახიშვილი გამაჰმადიანდა, ეკლესიები დაანგრია და მეჩეთები ააგო თავის საერისთოში. ამგვარ პოლიტიკის გამო იგი გახადეს მხოლოდ კაკის საერისთოს 30 სოფლის მმართველად და ამა საერისთოს უწოდეს სულთნობა და თვით ვახახიშვილს სულთანი (იხ. Очерк. Елис. Участка, გვ. 35, 36), ასე რომ პირველი სულთანი იყო ვახახიშვილი, რომლების ჩამომავლები ეხლაც იწოდებიან სულთნებად, თუმცა სულთნობა ეხლა გაუქმებულია, რადგან ეს სასულთნო შეადგენს ეხლა ნაწილს ზაქათალის მაზრისას ანუ კაკის უჩასტკა.

ვახახიშვილმა ქართველების შიშისა გამო სამმართველო ტახტი კაკიდან გადიტანა სოფ. ილისოში და სასულთნოს დედაქალაქად იგი გახადა; კაკი მის შემდეგ მალე მოოხრდა. მოოხრდა აგრეთვე ქალაქი ყუმი, რომელიც კაკიდამ ერთ ვერსზე იყო.

მგზავრი ცხადად ხედავს მის დიდებულ ნაშთებს, მის გავერანებულ ბაღებს, ხეივნებს, კოშკებს, სასაფლაოს, ერთ არხს, რომელიც მილით ყოფილა გაყვანილი და ეხლა ქართველს მგზავრს გულს უკლავს და ათასნაირ ფიქრებს უღვიძებს ქართველების დიდებულ წარსულზე. ნელ-ნელა იზრდება მის შემდეგ (აი მალე სამი საუკუნე იქნება) დაბა ელისუ.

შესანიშნავია ამ დაბის მდებარეობა. ვახახიშვილს კარგად სცოდნია სტრატეგიული მნიშვნელობა ამ ადგილისა, რომ ტახტი აქ გადმოუტანია კაკიდან.

II

ილისოს სიმაღლე,. ვერცხლიანი მთა ალთურქანი, ეზლი, ქოთიქლი. სოფელი ორად იყოფება. ჰავა. მცხოვრებლების სიღატაკე. მღვიმეები, წყაროები, ჭები და ნაკადულები. აბანოს ღელე, ქომადერა (ღელე) და ქურმუხის ღელე. ,,რამ-რამაო". მოხ. ბულაღი და აბანო (ჰაბამ). ყიზბულაღ (საქალო წყარო) და ოღან ბულაღ (სავაჟო წყარო), ,,ყაინათობა". ხალხი ცივდება, ფული დაურიგეს. მთაზე გადაყვანილი არხი თამარ მეფისა. ლეკები ჩვენი ძმებია.

ილისო 4,000 ფუტ. ზევითაა ზღვაზე. ამ სიმაღლე ადგილს დასავლეთის მხრით არტყია მთა ალთურქანი, აღმოსავლეთით ეზლი (სასპილენძო); ეს ორივე მთები სოფლის სამხრეთის ერთმანეთს უახლოვდებიან 150 ნაბიჯზე და ვიწრო ყელს აკეთებენ; ჩრდილოეთი მხრით მაღალი მთაა - ქოთიქლის სიგანე ეზლიდან ალთურქანამდე ერთი ვერსიდან 1 *1/2*-მდეა; ყელიდან ქოთიქლამდე ხუთი ვერსი, ხოლო სოფლის სიგრძე არის 4 ვერსი.

მთა ალთურქანი შესანიშნავია მით, რომ აქ იპოვება ვერცხლის მადანი, მაგრამ ხალხი თავის უმეცრების წყალობით ვერ ადნობს და ვერ სწმენდავს სხვადასხვა ნივთებისაგან ვერცხლს, ამიტომ ვერცხლის საქმე აქ თითქმის არ არსებობს.

სოფელს უჭირავს შვენიერი ადგილი, თუმცა ვიწრო, ქვიანი, მაგრამ ძრიელ საამოა საცხოვრებლად. საღი მთიური ჰავა, მდ. ქურმუხის ხეილი, რომელიც ილისოს მარჯვენა მხრით ღრმა ლუმბრით ჩარბის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. მაღალი მდებარეობა სოფლისა პოეტურ ადგილად ჰხდიან ილისოს. ილისოს ჰავა ისეთი მრთელია, ისეთი საღი, რომ ილისოელმა არ იცის რა არის ციებ-ცხელება, სხვადასხვა ავადმყოფობა აქ სრულიად არ იცის. ზამთარი აქ მაგარი და გაუძლისია, ზაფხული მეტად გრილი, რადგან მზეს თითქმის მთელ დღეს ეფარება აღმოსავლეთის მხრით მყოფი მთა ეზლი; ამიტომ ამ სოფელში დღე-ღამ სითბო-სიცივე ერთნაირია.

აქაური ხალხი ბროწეულივით წითელი, საღი და მეტად ლამაზია; ამის მიზეზი არის აქაური ჰავა. საკვირველია, რომ მთელ ლეკის ხალხში მხოლოდ ამ სოფელში ხალხი ისეთი ლამაზია, როგორც გურულები (ქართველები) და ერთიც ჭარ-ბელაქანში. ეს აიხსნება მით, რომ ეს ხალხი გარდაქართველებულნი არიან.

სოფელი ორად იყოფება:ზემო და ქვემო ნაწილად, ზემოში არის სულთნების სახლები, მეჩეთები; ქვემოში ეხლახანს სულთანმა ხალილბეგმა ააშენა ევროპული სახლი, რომელიც ვიწრო ყელიდგან გამომავალ გზას მაღლიდგან არწივსავით გადმოჰყურებს. ბევრი არის აქ კიდევ კარგი სახლები. საზოგადოდ ყველას სახლები ქვითკირისაა და ლაზათიანად შიგ მოწყობილი; ილისოელი ლუკმა პურს მოიკლებს, ოღონდ კი ლოგინი, ქვეშსაგები წმინდათ შეინახოს და მდიდრულად მოაწყოს.

ეზლის ფერდობზე სოფლის მარცხენა მხრით არის ერთი კოშკი, რომელიც აშენებულია ამ სასულთნოს თავისუფლების დროს. კოშკი ქვისაა, ოთხკუთხიანი, ექვს სართულიანი, გარშამო ქვის გალავანით, კოშკის სიმაღლე 14 საჟენი.

შორიახლოს ალთურქანისა არის მღვიმეები, რომლებშიაც, როგორც გვეუბნება გადმოცემა, ცხოვრობდნენ ქართველი ქრისტიანები, რომელნიც ამგვარ ადგილებში იხიზნებოდნენ განძვინებულ მტრების, მაგ. მონგოლების და სხ. შემოსევის დროს. აქაური მაღალი, მდიდარი საბალახოები შეძლებას აძლევენ ხალხს შეინახონ ბლომად ცხვარი და სხვა პირუტყვი.

აქ მრავალი წყაროები, ჭები და ნაკადულებია. მეტადრე დასავლეთის მხრით. მშვენიერი ნაკადულიც ნახევარი ვერსის სიშორეზეა ილისოდან. ეს ჩანჩქერი 40 ფუტის სიმაღლიდან, მინემ ძირს ჩამოვარდება, ეცემა კლდეს და ათას ნაწილად იყოფება და ათასზე უფრო მეტ ნაპერწკალს ისვრის აქეთ-იქით.

იქ, სადაც აღმართულია ჩრდილოეთის მხრის მიჯნა ილისოს ღელისა, იყრება სამი ღელე:აბანოს დერა (ღელე), ქომა (ქვემო), ქერა და ქურმუხის ღელე. პირველს ღელიდან გამოდის მდ. ამამოჩაი, რომლის სათაური არის დიდი კავკასიონის ქედზე-ყარაყაიდან-(შავი კლდე), ეს წყალი ზემო ილისოსთან შემდინარებს ქურმუხში. თვით ქურმუხი გამომდინარებს ქურიდალიდან ქომადერით). ეს წყალი სათაურშივე შავი ფერისაა და თითქმის მთლად შლამისაგან შასდგება. 7000-8000 ფ. სიმაღლიდან ეს წყალი ისეთის სისწრაფით ჩამორბის და ისეთნაირად აღელდება წვიმის დროს, რომ რაც წინ შეხვდება:ხარი, კამეჩი, წისქვილი, ხე, ხილები. სულ ერთიანად მიაქვს, მრავალჯერ სოფლებიც გაუფუჭებია და ხალხიც დაუღუპავს. მთელი კაკის ნახევარი წალეკა და რიყედ აქცია. ხალხმა არ იცის ეხლა საითკენ წავიდეს და სად იშოვოს საცხოვრებელი ადგილი. კაკის ქვემოთ ეს წყალი ეგრიჩაის ერევა და ორივე ერთად ალაზანში შემდინარებენ.

ქომადერიდან, რომელიც 4-4 ვერსის სიგრძეა და სიგანით კი 80-100 ნაბიჯი, გამოდის აღბულაღჩაი, რომელიც ღრმა არ არის, მაგრამ მეტად წმინდა და ანკარაა; ამ ღელის გარშამო იფანტება მისი ნაპერწკლები. შესანიშნავია ეს ადგილები კიდევ მით, რომ აქ მრავალგან იპოვება გოგირდიანი წყლები. ამათში შესანიშნავნი არიან:,,მოხურბულაღი" და ამამი (აბანო).

მოხურბულაღი ილისოდან თითქმის ერთი ვერსის სიშორეზეა მაღალს ადგილას. ამ წყლის ტემპერატურა 17 ღ. (საათი დილისა მზის დღეს). ამ წყაროს გარშამო მძიმე გოგირდის სუნი დგას. ხალხმა იცის ამ წყლის კარგი მარგებელი თვისება. სვამენ მას ავათ გახდომის დროს, დოქებით შინ მიაქვთ და ავადმყოფებსაც ასმევენ. ამ მოხის პირდაპირ, ქურმუხის მეორე ნაპირზე არიან კიდევ მრავალი მჟავე წყლები.

აბანოს (ამამის) ნახვა ან შიგ ბანაობა ვისაც ჰსურს, უნდა ცხენი დაიქირაოს თვით ილისოში, ამამდერით გამგზავრდეს ზევითკენ, როცა 14-ჯერ გადავ-გადმოვა, ამამ-ჩაიზე მივა იმ ადგილას, საცა აბანოა.

აბანო არის ერთი დიდი ოთახი, რომელშიაც 10 საჟენის სიმაღლიდან ვარდება სისქით 1 ნახევარი ვერშოკი გოგირდიანი წყალი. აბანო აშენებულია იქ, საცა მარცხენა მთა, სწორე კუთხეს აკეთებს და ზევითკენ მიიმართება, იქითკენ, საცა მოპირდაპირე მთები ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ საჟენ ნახევარი ადგილი აღარ რჩება მათ შუა, აბანოს წყლის სითბო 30 გრად. ღ.

სასიამოვნოა მგზავრის აქ ყოფნა, როდისმე შემდეგ ოთხ თვეში:მაისში, ივნისში, ივლისსა და აგვისტოში. აბანოს გარშამო, ზედ აბანოს ბანზე, ქვემოთ ღელეში, კლდის ნიშებზე სხედან მეაბანოები, ზოგი მათგანი ახლად გამოსულა აბანოდან და ქვეშსა-გებში ეხვევა, ზოგი ხორაგს იხარშავს, ზოგი სჭამს, ზოგი თამაშობს, ზოგი მღერის, ან ცეკვობს. ერთი სიტყვით, მგზავრის ყურადღებას მიიზიდავს.

რამდენიმე საჟენის სიშორეზე აქედან არის კიდევ ორი წყარო:ოღლან-ბულაღი (სავაჟო) და ყიზ-ბულაღი (საქალო)...

თუმცა არსად არ შეგვხვედრია ქართულ ნაწერებში და წიგნებში ცნობა ამ აბანოზე, მაგრამ ხალხის გადმოცემა გვეუბნება, ილისოს აბანო აშენებულია მაშინ, როდესაც ყველა ეს ადგილები ეკუთვნოდა საქართველოს, ესე იგი მე-XIII საუკუნის დასაწყისამდე.

რადგან გოგირდიან წყლებზე დავიწყეთ ლაპარაკი, უნდა მოვიხსენოთ აგრეთვე ალიბეგლოს გოგირდიანი ცივი წყალი, რომელსაც ყაინათმა ჰქვიან. ამ წყლის კარგი თვისება არაფრით არ დაუვარდება აბანოისას. ზაფხულის თვეებში აქაც მრავალი ხალხი მოდის საბანებლად. ჩვენ ხალხში ამ წყლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ: რაღაც საღმთო ადგილებათ მიაჩნიათ და ღვთიურ ძალას მიაწერენ.

ჩვენდა საუბედუროთ ბევრი ხალხი აქვე ცივდება-ავად ჰხდება. ეს იმიტომ, რომ არც აქ, და არც ზემოთ აბანოში არ არის გაკეთებული კარგი სადგომები, ოთახები. ხალხი შორეულ გზით, ურმებით მოდის და გარშამო უვარგისს კარვებს აკეთებს და შიგ ბინავდება. ეს კარავები ვერც მზისაგან იცავენ ხალხს, ვერც წვიმისაგან. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. კარვებში ზიდვენ წყალს, აცხელებენ გაცხელებულ ქვით და ნავებში ასხმენ და შიგ ბანაობენ. ეჭვი არ არის, რომ კარგი ოთახები იყოს, მაშინ ეს წყლები უფრო ბევრს სარგებლობას მოუტანს ხალხს.

მაგრამ სად არის ხერხი, ცოდნა და ვინ არის მოთავე? წრეულს რომ მუქთამჭამლებისათვის არ ეჩუქებინათ დიდძალი ფული (წრეულს მუქთამჭამლებს: მამასახლისებს და სხვა სოფლის მოხელეებს აჩუქეს ხალხისაგან წართმეული შტრაფის ფული:ზოგს 50 მ., ზოგს- 25 და ამგვარად სხვებს. ასე რომ სოფლის ხაზინები ეხლა აღარ არსებობენ. ავტ.) და ეს აბანოები იმ ფულით გაეკეთებინათ, ეჭვი არ არის, რომ დიდ სარგებლობას მოუტანდნენ ხალხს! მაგრამ უბედური უფროსები ხალხის სიკეთეზე როდი იღვწიან:მათი საქმე ხალხის ყვლეფაა, უღირსთ კაცების შველა და სხვ.

სოფ. სარუბაში (ილისოდან 35 ვერსი), სადაც ბევრი შესანიშნავი ადგილები არის, ერთ ადგილს იქ ჰქვიან ,,გურჯი ყოშინი" (ქართველების ჯარი), სასაფლაოებზე ქართული ნაწერები არისო, ეკლესია არისო და სხვ. იქაური ლეკები ამბობენ, რომ ისინი ქართველების ძმებია (თვითონვე ლეკები ყოველთვის ამბობენ, რომ ჩვენი და ქართველების წინაპრები ძმები ყოფილანო, რომ ჩვენ ერთი მამის შვილები ვართო; ერთის ძმის ჩამომავლობა ჩვენა ვართ და ერთის თქვენო. მოდი და ნუ დაიჯერებ ვახუშტისაგან მოყვანილ ლეგენდარულ ჩამომავლობას ქართველებისას. ავტ.).

შესანიშნავ უწინდელ ნაშთებს ეკუთვნის აგრეთვე ნუხის არხი.

სოფ. გიშის ქვემო მხრიდან მთის ფერდობზე აყვანილია წყალი და ამ ფერდობით კლაკვნით, გრეხით წყალი (ერთი ხევი) ზედ გორის სერზე (300-400 საჟ. სიმაღლეზე მიწის პირიდან) აყვანილია და იქიდან მეორე ფერდობით ჩაყვანილი მინდვრების მოსარწყავათ. ამ არხის სიგრძე იქნება არანაკლებ 10-15 ვერსისა.

ვინ გაიყვანა ეს არხი, როდის და როგორ? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დაჯერებით არ შეგვიძლიან, რადგან არსად ეს არხი არ იხსენიება, მხოლოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ხალხის, მეტადრე ინგილოების აზრი, რომ ეს არხი თამარ დედოფლისა-განაა გაყვანილიო. შარშან, როცა ნუხში მივდიოდი, ვკითხე მოხუცებულ კაცებს (მოსლემინებს) იმ არხის ავ-კარგიანობაზე. იმათ მითხრეს, რომ:არხი გაყვანილია ფადისაი ფერისაგანო (თამარ მეფე თათრულად). ასრეთი აზრი ხალხისა დასაჯერე-ბელია, მეტადრე მაშინ, როცა მოვიგონებთ მას, რაც არხები და რუებია გაყვანილი საქართველოში, ეკუთვნის თამარ მეფის დროს.

ამისთანა დიდს და ძნელს საქმეს, ამისთანა საკვირველების გაჩენა შეუძლიან მხოლოდ დიდს, მძლავრს და ხერხიანს ადამიანს, ამგვარი იყო თამარ მეფე მე-XII საუკუნეში ქრისტეს აქეთ.

უკვდავი არის, თამარ მეფევ, სახელი შენი ჩვენს ხალხში დიდებულის შენის ჭკვა-გონების დატოვებული ნაშთების წყალობით!..

მოგზაურობა კახეთში

,,დროება" 1881, N 113, 4 ივნ. გვ. 1-3; N 114, 5 ივნ. გვ. 2-3;
N 115, 6 ივნ. გვ. 1-3; N 116, 7 ივნ. გვ. 2-3; N 117, 9 ივნ.
გვ. 2-3; N 118, 10 ივნ. გვ. 3.

4 აპრილს მე და ჩემი ერთი მეგობარი გავემგზავრეთ თელავისაკენ. იყო დილის რვა საათი. დღე ავდრიანი და წვიმიანი. ავლაბრიდან გავედით და დავადექით ერთ ძველებურ გზას, უკეთ ვსთქვათ, ბილიკს, რადგან ამ გზაზედ დაიარება მხოლოდ ქვეითი ან ცხენიანი მოგზაური, ურემს გავლა არ შეუძლია.

ამნაირი გზები გავიარეთ (შვიდი თუ ექვსი ღელე შეგვხვდა) და მივადექით ერთ გვერდას. მაღლა რომ ავედით, ჩვენ წინ გაიშალა ვრცელი დიდის ლილოს მინდვრები. პატარა ხანს აქ გავჩერდით. უკან, თფილისისაკენ, მოჩანდა დიდებული პანო-რამა:მთელი თფილისის, რომელსაც მაღლიდან ლამაზად გადმოჰყურებდა მთაწმინდის ეკლესია, ქვევით ანკარა, მოდუდუნე მტკვარი, რომელიც ყარაის მინდორში თეთრად ანათებდა. მოისმოდა ნელი ხმაურობა ქალაქისა.

მივუბრუნდეთ ახლა ლილოებს:შორს მოჩანდა პატარა უტყეო, ბალახიანი გორის სერი. ამ გორების ძირში მარცხენა მხრით მოჩანს პატარა ლილო და მარჯვენათი დიდი ლილო, სახლები კრამიტით დახურულები და საკმაო მოზრდილი თეთრად გალესილი ეკლესია მაღლა აღმართულიყო.

იქ, სადაც ჩვენ მივადექით და ვშინჯავდით არემარეს, ეყარა მრავალი კირიანი ქვები და დიდი კონცხები ქვიშისა, კირისა და ქვიშისაგან შემდგარი. ალბათ აქ უწინ იყო ციხე. ეს ადგილი სწორეთ საციხე ადგილია; ეს ციხე იფარავს მტრის შემოსევისა-გან, როგორც აქეთურ მხარეს თფილისამდე, აგრეთვე იქითურს ვიდრე ლილოებამდე.

აქედან გავემგზავრეთ ახალსოფლისაკენ (კლდის წყარო). მთის ძირში მოჩანს მარტყოფი (მარტ-მყოფი), წმ. ანტონის ადგილსამყოფელი, მშვენიერს და მაღალს ადგილას; აქა-იქ მოჩანს გორებზე ბუჩქები, მინდვრები აბიბინებული მწვანეთ,

ბალახი და ყანები კარგა გაზრდილა. ის იყო ვენახს ჰსარავდნენ და ჰყელავდნენ. ახალსოფელი მაღალს და გაშლილს ადგილას არის მოშენებული. შიგ შუა სოფელში დგას დიდი ეკლესია, სადაც მოძღვრად იმყოფება ჭკვიანი და დროს შესაფერად განათლებული მამა კანდელაკი. მთელი სოფელი ბაღებშია ჩაფლული და ატმის ყვავილს წითელი ტანისამოსი შეუმოსავს.

ახალსოფლის დუქნის პატრონი იმავე დროს ყოფილა აგრეთვე დიაკვანი. სასულიერო წოდების კაცი და მიკიტანი!

ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ გზას გაუდექით. ორიოდე აღმართ-ჩაღმართები ავიარ-ჩავიარეთ, ავედით ერთ მოზრდილ გორაზე და გადავიხედეთ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ:ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა ერთი გარდაშლილი ქვაბივით ადგილი, სადაც გადაჭიმულიყო ახალსოფელი, უწინ დიდი ქალაქი უჯარმა (უჯარიმო).

უჯარმა (უჯარიმო) აშენებულა 300 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე მეფის საურმაგისაგან. მდ. იორის მარჯვენა ნაპირზე. წმინდა ნინომ რომ მოაქცია მეფე მირიანი, გამოემგზავრა კახეთისაკენ, მოვიდა ამ ქალაქში; აქ მაშინ იყო მმართველი უჯარმასი სალომე, რომელიც ნინომ აგრეთვე მოაქცია ქრისტიანულ რჯულზე. მეფე ვახტანგ გორგასლანმა მე-V საუკუნეში გაამაგრა ქალაქი და განაახლა სალომესაგან აგებული ეკლესია. ვახტანგს ძალიან უყვარდა ეს ადგილი სილამაზისა გამო.

სპარსეთის მეფე ყობადი რომ შამოესია საქართველოს, ვახტანგმა გაამაგრა მცხეთა ჯარებით, რომლის უფროსებად დასვა ერისთავები:დიმიტრი, ნერსე და ბივრიტიანი და თვითონ კი გამაგრდა უჯარმაში. ყობადი შამოვიდა საქართველოში, მოაოხრა ქიზიყი, აიღო ჭერმის და ველის ციხეები, მერე მოადგა ვახტანგს. სამ დღეს ბრძოლა არ შესწყდა. ორივე მხრივ მრავალი ჯარისკაცი დაიხოცა. მეოთხე დღეს ვახტანგი შეესია მტერს. თვით მეფე მტრის ჯარის შიგ შუაგულში გაექანა, მოჰკლა შვილი ყობადისა, მაგრამ თვითონაც მძიმედ დაიჭრა.. შუადღემდის ბრძოლა გაგრძელდა:ბოლოს მტრები გაიქცნენ და ქართველებს დაუტოვეს დიდძალი ალაფი. მაგრამ რაწამს გაიგეს ვახტანგის ჭრილობა, გამხნევდნენ და ხელმეორეთ შეესივნენ ქართველებს და დაამარცხეს. აქედგან სპარსელები გადავიდნენ მტკვარზე, დაანგრიეს თბილისი და არმაზის ციხე, მაგრამ მცხეთა-კი ვერ აიღეს. ჭრილობამ ბოლო მოუღო მეფეს და გარდაიცვალა თავის საყვარელ მამულში 499 წელს.

მე-XV საუკუნემდე უჯარმა იყო ვრცელი, მაგარი, სავაჭრო და დიდძალ ხალხით დასახლებული ქალაქი. მართლაც მდებარეობა ამ სოფლისა ისეთია, რომ სწორეთ მაგარი ქალაქი იქნებოდა აქ:უჯარმა აშენებულია ერთ დიდ-ვაკე გორაზე, რომელსაც გარშემო არტყია აგრეთვე გორები-ბუნებითი სიმაგრეები. გარდა ამისა შიგ შუაგულში ამ ვაკე-გორისა აღმართულია თავმოჭრილ შაქრის თავივით სხვა გორა და ამის გარშემო დაფენილი ყოფილა უწინ ქალაქი. ეხლანდელი სოფელი კი მხოლოდ ერთი მხრით სძევს.

ეხლანდელი სოფელი აკვირვებს კაცს თავის გარეგნობით:სახლები დაბალია, ზოგი მიწურები, ზოგი ფიცრისა, ეზოები შეერთებული. ერთ ადგილას ეზოსოდენა ადგილზე 20-მდე კომლი დგას და მთელი სოფელი ერთი მოზრდილი იმერული ეზოსოდენა ადგილზეა მოშენებული. სახლების წინ და გზების პირებზე ჰყრია ნაგავი; მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ეს უწმინდურება უფრო მეტად არის დუქნების (აქ სამი დუქანია) წინ.

ხალხს ეტყობა სიღარიბე, აცვიათ დაგლეჯილი, დაძონძილი ტანთსაცმელი. ამავე დროს აქაური ვაჭრები ჩასუქებულან და მდიდრულათ ცხოვრობენ.

აქაურ მცხოვრებლების ზნეობაზე და ხასიათზე დიდი გავლენა აქვს სოფ. მუხრავანში მცხოვრებ რუსებს. სოფელში ვნახეთ სამი ყმაწვილი, რომელნიც სალდათურათ დაიარებოდნენ და ,,ოი მათუშკაო" მღეროდნენ. სოფ. მუხრავანი სძევს უჯარმის ახლოს ივრის პირზე. დიდი ხანი არ არის, რომ რუსები აქ დასახლდნენ. სახეში ჰქონდათ, რომ ესენი აჩვენებდნენ დაუდევარ ქართველებს გონიერად ცხოვრების მაგალითს. მაგრამ მგონი ისინი უფრო კარგ მაგალითებს იღებენ ქართველებისაგან, მინემ თვითონ აძლევენ მათ. უჯარმაში რო ვიყავით, 30-40 სალდათი მოსულიყო, შეჰსეოდნენ დუქნებს და ლოთობდნენ. ერთი ორიც ქუჩაში დაბარბაცებდა აქეთკენვე სიმღერით და კიჟინით მოიარეს ,,მათუშკებმა".

მუხრავანის ახლოს მდებარეობა წითლად და თეთრად გადაბიბინებული იყო. პურის ჯეჯილები მშვენივრად ღელავდა. მოისმოდა ჩუმი ხუილი აღელვებულის ივრისა. როგორც ჭერემი, ისე მუხრავანი, მშვენივრად დგანან უჯარმის სამხრეთ მხრიდან.

უჯარმის პირისპირ ივრის მარცხენა მხარეს არის ეკლესიების ნანგრევები; აქვე მიმდინარეობს ივრის პატარა წყალი, რომელსაც ჰქვია ,,დამპალი წყალი". ამ წყლის ხევში გორებზე არის მონასტერი ,,სამება", რომლის ახლოს არის ეკლესიის ნანგრევები. მონასტერი არის აგრეთვე ივრის მარჯვენა ნაპირზე, უჯარმის ჩრდილოეთის მხრით.

უჯარმიდან ორი გზა გადადის თელავში. ერთი (მოკლე ხევ-ხევზე), მეორე გომბორიდან. უჯარმიდან მოკიდებული გომბორამდე და იქიდან თელავამდე, გაყვანილია მშვენიერი გზატკეცილი; ხოლო პირველი გზა ჯერ არ არის გაკეთებული და არც ეღირსება გაკეთება, რადგან ცხენიან კაცს თუ შეუძლია მასზე სიარული, თო-რემ ურმით არ შეიძლება:მაღლა გორაზე ადის.

ჩვენ დავადექით გზატკეცილს, რომელიც მთების ფერდობებზეა გამოყვანილი, ხან ჩადის ძირს ღელეში, ხან ადის კიდევ მთის კალთაზედ. იორი ვიწროთ გამწყვდეულია მთებით. ერთ სივიწროვეში ხიდია მასზე გადებული. ხიდზე გავედით და მეორე გორა რომ გავიარეთ, ჩვენ წინ გადაიშალა კიდევ მთებით მომწყვდეული მინდორი, სადაც ბღაოდა მრავალი ცხვარი. აქ ფშავლები გაიძახოდნენ თავიანთ სიმღერას და ეალერსებოდნენ თავის ცხვრებს. გავიარეთ ეს მინდორი და კიდეც მოახლოვდა საღამო. ყველა ამ ადგილის ღელეები და მთები ხშირად ტყით არის მოცული; ტყეში ვნახეთ:მუხა, რცხილა, ნაკერჩხალი, წიფელი, თხილი და სხ. უჯარმიდან 20 ვერსის მანძილი რომ გავიარეთ, მივედით გომბორში.

ეს სოფელი ანუ ბანაკი სძევს აგრეთვე ქვაბის მსგავს ადგილში. გარშემო აჰყუდებია მაღალი მთები. შიგ სოფელში ჩამოდის ანკარა წყალი, უწინდელი ,,კლიმატის წყალი", ეხლანდელი ,,რუსის წყალი".

გომბორში ითვლება სულ 80 კომლი მცხოვრები რუსები, რომელიც (თითქმის ყველას) ეძლევათ ,,პენცია" (ას მანეთამდე თითოს). ხალხი შესჩვევია ქართველებს. სტუმრის მოყვარეობა იციან, როგორც ჩვენ. ყველას აქვს აშენებული ლამაზი ფიცრული რამდენიმე ოთახიანი სახლი. ისეთი სახლი არ არის, რომ სუფთა მებელით მორთული სასტუმრო არა ჰქონდეს, სადაც მგზავრს მოასვენებენ, აჭმევენ, ასმევენ, და ყველა ამისთვის სულ მცირე ფასს გამოართმევენ. დიდი რამ არის დაღალული მგზავრისათვის ამგვარი თავშესაფარი ადგილი, მეტადრე ზამთარში და ავდარში.

დაღალული და დაქანცულები ჩვენ მოვედით ამ სოფელში, სადაც დიდის სიხარულით მიგვიღო ერთმა ჩემმა ნაცნობმა.

ყველაფრით ეტყობა, რომ სოფელი მდიდარია. ძროხა, ცხენი, ხარი მრავალი: სახსარი მათ ცხოვრებისა არის თივა. ამათ აქვთ მთავრობისაგან ნაჩუქარი დიდი

სათიბავი ადგილები. ჩემმა ნაცნობმა რუსმა მითხრა: წლეულს თივა ვერ გავყიდეთო და 3000 ფუთი ისევ გვილპებაო. შიგ სოფელში სიფაქიზე, სიწმინდეა. გზები მშვენიერი, შრალი.

ირიჟრაჟა. გავემგზავრეთ ზევითკენ, ,,სამთერიოს" მთისკენ. მთელს ამ მთაზე გზატკეცილია გაყვანილი; აქვე ახლოს არის შესანიშნავი ნანგრევები ვრანის ციხისა და ეკლესიისა.

გომბორიდან რომ გამოვედით, თბილოდა, როგორც ზაფხულში, შუა წელზე მთისა რომ ავედით, წვიმა მოვიდა:სულ წვერზედ რომ ავედით, თოვლი მოვიდა. გომბორის ახლო ტყეები გაშლილიყო, შუა წელზე მთისა კოკორი გამოსვლოდა და წვერზე ჯერ არც კი გაკოკრინებულ იყო. ამნაირად, ერთსა და იმავე დღეს ვნახე სამი დრო:ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

ორი საათის სიარულის შემდეგ ავედით ,,სამთერიოს" წვერზე (6044 ფუტი), სადაც შარშან იყო საფრანგეთის ელჩი შანზი, რომელმაც აქედან გადაჰხედა შიგნით კახეთს დურბინდით, დიდხანს უყურებდა ტურფა ქვეყანას და ბოლოს წარმოსთქვა:

- აი მშვენიერი ქვეყანა! აი დიდებული პანორამა!

ეხლანდელ კახეთს უწინდელ დროში ერთი სახელი არ ერქვა. ვახუშტის გეოგრაფიიდან სჩანს, რომ ჟინვანიდან მოკიდებული არაგვის აღმოსავლეთის მხრის გაყოლება, ვიდრე მტკვარამდე, იყო კუხეთი; ერწო-თიანეთ-საგარეჯოს მტკვრამდე ერქვა გარე-კახეთი ანუ ხერკი და საგურამო. თუშეთს, ფშავეთს და ალაზნის ზემო წელს, ვიდრე შეერთვიან ამ მდინარეს მარცხენა მხრით სტორის ხევი, მარჯვენა მხრით თურდოსი, ერქვა კახეთი, თურდოსა და სტორს აღმოსავლეთ-დასავლეთით ალაზნის ხეობის გაყოლება მტკვრამდე იყო-ჰერეთი (ზაქათალის, სიღნაღის და თელავის მაზრის ერთი ნაწილი), მაგრამ ჰერეთს ერქვა კიდევ სხვა სახელი. ს.ბარათაშვილი თავის ისტორიაში ამბობს, რომ მთელს ალაზნის ხეობას, ვიდრე კასპიის ზღვამდე უწინდელ დროში ერქვა ალბანია ანუ ალვანიაო (ისტორია ბარათაშვილისა, გვ. 30-40) და ამ ალბანიას ჰყვანდა თავისი საკუთარი მმართველი და ხანდისხან მეფეებიცაო (იქვე, გვ. 54. ორეზი ალბანიის მეფე). მაგრამ ყოველთვის თუ არა, ხშირად მაინც, ისინი იყვნენ ქართველთ მეფეების მორჩილების ქვეშა. ბოლოს და ბოლოს კახეთი დაერქვა ყველა იმ ქვეყნებს, რომლებიც მდებარეობენ არაგვის აღმოსავლეთით, მტკვრის ჩრდილოეთით კავკასიის სამხრეთით და ნუხის მაზრის დასავლეთით.

მთელს კახეთს ორ დიდ ნაწილათ ჰყოფს ცივ-გომბორის მთაგრეხილი, რომლებიც ალაზნის და იორის შუადგან შორდება მთავარ კავკასიის მთას, ჯერ მიდის დასავლეთისკენ და მერე ბრუნდება აღმოსავლეთ-დასავლეთისკენ და სწყდება იქ, საცა ალაზანი ერთვის მტკვარს. ცივ-გომბორის იქით მხარეს კავკასიის მთებამდე ალაზნის გაყოლება არის შიგნით კახეთი; იმავე ცივ-გომბორის აქეთ მტკვრამდე და არაგვამდე - გარეთ-კახეთი.

შიგნით-კახეთი თავის შეხედულობით მდინარეს კალაპოტს ჰგავს. ძირი არის ალაზნის ველი, ნაპირები ერთის მხრით კავკასიის მთები, მეორეს-ცივ-გომბორისა. ველის სიგანე ერთი მთიდან მეორემდე ვიწრო ადგილებში 16-17 ვერსია, ფართო ადგილებში 40-50. ხოლო ცივ-გომბორის უმაღლესი წვერი- ცივი ალაზნის ველზე 8513 ფუტით მაღლა სდგას; კახეთის კავკასიის მთების უმაღლესი წვერი- ბორბალო, რომელსაც გამოსდის თვით ალაზანი, 10807 ფუტია.

ველებიც და მთებიც ამ ქვეყნისა ხშირის ტყით და მრავალგვარ მცენარით არიან მოცული, გარდა კავკასიის წვერებისა, სადაც ყინვა არ ახარებს მცენარეს; ცივის წვერზედაც შეთხელებულია მცენარე სიცივის გამო.

გარეთ-კახეთი სულ არა ჰგავს შიგნით-კახეთს. ეს ქვეყანა უფრო ახდილია და თავისუფალი. მაღალი გორები აჰყუდებიან ამას მხოლოდ ჩრდილოეთისა მხრით (კავკასიის მთები) და აღმოსავლეთისა- (ცივ-გომბორის მთები). დასავლეთ-სამხრეთის მხრით კი მდინარეები ჩაუდიან. გარდა ამისა ამ კახეთში მრავალია სხვა მთების ტოტები, რომლებიც კავკასიონიდან დაეშვებიან და სხვადასხვა სახელწოდებით უწევენ მტკვრის პირამდე და ჰყოფენ ამ ადგილს მრავალ ხეობათ ანუ ღელეებად. საზოგადოთ ეს მთები ერთს სერს, მთაგრეხილს არ შეადგენენ, ერთი მიმართულება არა აქვთ, როგორც ცივ-გომბორის მთასა, არამედ ესენი არეულ-დარეულან, ხან შეჯგუფულან ერთად, ხან გაცალკევებულან.

აი ამიტომ აქ არის სრულიად მთებით დაკეტილი და გამაგრებული ადგილები, ადგილები შეუვალი, საშიშარი თვით ბუნებით ბურჯნი კოშკები, ის კოშკები, რომლებშიაც ჩრდილოეთის ველურთა შემოსევის სადარაჯებლად აწინდელ დროიდან დაუსახლდნენ ხევსურები, ფშავლები, თუშები. გაშლილი, მინდვრიანი ადგილი აქ, დასავლეთ ნაწილში, იშვიათია; აქაურ მინდვრებს შეადგენენ ღელეები და მთის კალთები. ხოლო კარგა ვრცელი მინდვრები არიან აღმოსავლეთ ნაწილში. მთები და მთის ტოტები ხშირად აქ უნაყოფონია, მძლავრი ტყე სრულიად არ მოიპოვება, უფრო ხშირად დაბალი და ჯაგებიანი. ფშავ-ხევსურეთის ჩრდილო ნაწილში დაბალი **არყნალის** მეტი სხვა მცენარე თითქმის ვერ იზრდება. აქ ვაზის სახსენებელიც კი არ არის. მინდვრები (აღმოსავლეთ ნაწილში) მხოლოდ წვიმიან წელს იმოსებიან ბალა-ხით, სხვა დროს კი სულ გარუჯულები არიან; პაპანაქება სიცხისაგან აქ კაცს სული ეხუთება. აქაური გახურებული კლდიანი გორები, რომელთაც მჭიდროდ მოუმწყვდევიათ მდ. იორი, სიცხეს უფრო უმატებენ.

ცივ-გომბორის აქეთური მხარე უფრო ნაკლებ არის შემოსილი ტყით, მინემ იქითური. თავათ იორს და ალაზანს შორის დიდი განსხვავებაა.

ალაზანი დაქანებულად და ჩქარად მორბის სოფ. ბაქტრიანამდე, რომელიც სძევს კავკასიონის ძირში. აქედგან მოკიდებული ის დინჯდება და ნელ-ნელა დუდუნით, კლაკვნით, ფართოდ მიდის მტკვართან შესართავამდის. მართალია, ამას ღრმა კალაპოტი აქვს, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე ადიდდება ხოლმე, ნაპირებზე გადმოდის და რწყავს დიდ ადგილებს, რის გამოც მისი ნაპირები ჭალიანდება და ტყიანებია. ალაზნის უტეხარი ტყეები ჭიაურიდან მოკიდებული საინგილოს ბოლომდე (ეგრი ჩაიამდე) უწევენ. და ეს ჩუმათ მომდინარე წყალი ჰავასაც ზაფხულის დროს ბევრად აგრილებს.

სულ სხვაა იორი, როგორც ქურციკი ერთი კლდიდან მეორეზე, მეორიდან მესამეზე გადახტება ხოლმე, მიეშურება და თავ-შესაფარებელ ადგილს ელტვის, ისე იორი ძლივს ერთი სივიწროვიდან გამოძვრება, უხვდება მეორე, მერე, მესამე, მეოთხე; მორბის, მიშრუის, რაც კი წინ უხვდება, მიათრევს დაუნდობლად. ვიწრო კლდიან ნაპირებ შუა, სულშეგუბებულ კაცივით, მიჰქრის, რომ შეერიოს ალაზანს და მერე მტკვარს და თავისუფლად ამოისუნთქოს. ეს არის მიზეზი, რომ ხშირად იორი სავსეა და იმავე დროს მისი ნაპირები გატრუსულები და დამსქდარია სიცხისაგან, ეს არის მიზეზი, რომ აქ უტყეობის გამო უცებ გაცივდება ხოლმე ჰაერი, სიცხიან დღეს და ჟუჟუნა წვიმის მაგიერ, დაუშენს ჭინახულს მსხვილს სეტყვას და სრულიად გაანადგურებს.

აი ამნაირი არის შეხედულობა და ბუნება ეხლანდელ კახეთისა.

მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ჰერეთის აღმოსავლეთ-დასავლეთი ნაწილი (კაკი, ელისენი-საინგილო) ბუნებით უფრო მდიდარია, მინემ სხვა ნაწილები კახეთისა, თუმცა თელავის მაზრის სილამაზესთან იქაური ბუნების სილამაზე ვერ მოვა, ხშირ,

უტეხარ ტყეებს დაუფარავს იქ (საინგილოში) ყოველი ნაბიჯი მთისა და ველისა და ამ ტყეებში მოიპოვება მრავალი ნაშთი ძველის დროისა, იმ დროისა, როცა ჩვენი სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. იმ დრომდის, მინემ აქ ხალხი ცხოვრებულა, ეს ადგილებიც თელავის მაზრის ველებივით ბაღებიანი იქნებოდა. ამ ადგილების და საზოგადოდ ჰერეთის გავერანება ეკუთვნის შაჰ-აბაზის შემოსევის დროს 1616 წ., როცა ქართლ-კახეთში მეფობდა თეიმურაზი. მოუსმინოთ დ.ზ.ბაქრაძეს და ის გვეტყვის თუ რა დამართა ამ მხეცმა ჰერეთს:

,,მოიწვია (შახ-აბაზმა) საშველად ლეკები და თვითონ წინ წაუძღვა უთვალავ ჯარს და შევიდა კახეთში, აიღო ის ძალით, მორწყა სისხლით, გაანადგურა ქვეყანა, დაანგრია ეკლესიები და მონასტრები. მუსულმანების მეისტორიეს ისკანდერ მუნშის სიტყვით, საქართველოს არასდროს არ სწვეოდა იმნაირი უბედურებანი, როგორც ეწვია შახ-აბაზის დროს.

დახოცილების რიცხვს ის სთვლის სამოც ათასიდგან სამოცდაათ ათასამდე, გადასახლებულებს (სპარსეთში) ასი ათასამდე; სხვების ჩვენებით, უკანასკნელების რიცხვი ოთხმოც ათასამდე იყო. იმათი (დახოცილების და გადასახლებულების) ადგილი დაიკავეს 80 ათას ანატოლიის თათრებმა". (ნახ. Тифлис в историч. Отнош. Д.З.Бакрадзе, стр. 55 и 56).

ეს არის მიზეზები, რომ ეხლა ერთ დროს აღყვავებულ ქვეყანას ვხედავთ სამწუხარო მდგომარეობაში, რომ ჰერეთს ეწვია მე-XVII საუკუნეში ამგვარი უბედურება, რასაკვირველია, ამის მიზეზი იყო დასუსტება და დაუძლურება ქართლ-კახეთის სამეფოსი და მთელი საქართველოსი. და ამ დაუძლურების მიზეზიც სხვათა შორის იყო:1) ის, რომ სამი საუკუნით ამის წინ მთელი საქართველო გაიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ; 2) რომ მე-XVI საუკუნის გასულს და მე-XVII საუკუნის დამდეგს ერთის მხრით სწიწკნის ოსმალოს სულთანი და სრულიად იმონავებს საათაბაგოს (1587 წელს), მეორე მხრით სპარსნი; 3) თვით განაწილებული სამეფოები და სამთავროები ერთგულად არ არიან და არათუ ერთმანეთს შველიან, არამედ:

,,ის (დადიანი) ყოველ წელიწადს 10 ათასიდან 15-მდე ყმაწვილს ჰყიდის, ამის მოწმათ არის მთელი ქვეყანა და ართმევს ქრისტიანებს შვილებს და უგზავნის მათ თურქებს, სულთანს და ვეზირებს ყოველ წელიწადს 120-ს თითოს. დადიანმა გურია მისცა არქიეპისკოპოზს, რომელიც ყოველ წელიწადს ჰყიდის 10 ათასიდან 12-მდე, და უგზავნის ოსმალებს ყოველ წელიწადს 80-მდე ყმაწვილს, აძლევს ოსმალებს ხარჯს; ზოგს ჰკლავს, ზოგს აღრჩობს და წირვასაც სწირავს, ისიც არა ქრისტიანულ სჯულზე" (მეფე თეიმურაზის წერილებიდან).

კახეთის მმართველი გიორგი (1475 წ.) უმეგობრდება სპარსეთის შაჰს უსუნ-ასანს და უგზავნის მონებს და მხევლებს ყოველ წელიწადს.

ყველა ამ მიზეზების გარდა ჩვენ გვგონია, რომ საქართველოს დაცემა-დაუძლურებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენს მდიდარს, ლამაზს, მაგრამ მთებით დაყოფილს და განაწილებულს ქვეყნის ბუნებას. სვანი, რომელიც გამაგრდა თავის არწივის ბუდის მსგავს სამშობლოში, სადაც რვა-ცხრა თვეს მტერი ფეხს ვერ შემოადგამდა, ყურებს არ იბერტყავდა, როდესაც მის მეზობელ იმერლებს ოსმალები ტყავს აძრობდნენ; თუშ-ფშავ-ხევსურები აგრეთვე; ქართლში ხალხის ასაწიოკებლად რომ მტერი შემოვიდოდა, იმერლები ამბობდნენ:ჩვენ ქვეყანას ბურჯად აქვს ლიხის მთები, მტერი იქიდან ვერ გადმოვა. დეე, როგორც უნდათ, პასუხი გასცენ თვითონვე თავის მტრებს. ამგვარადვე ჰფიქრობდნენ ქართლელები, როცა იმერლებს ეწვეოდათ უბედურება.

თუ ამისთანა მთები არ ყოფილიყვნენ, ძნელად დაემალებოდნენ საზოგადო ჭირს და ხელი-ხელს მისცემდნენ, ერთგულათ მტერს გაუმაგრდებოდნენ. მაშასადამე, ჩემის აზრით, ერთი მიზეზთაგანი ჩვენი გაუნათლებელი ხალხის დამხობისა, არის ჩვენი მთები- ჩვენი მტრები (ორიგინალური აზრია ეს აზრი და მხოლოდ იმიტომ ვაძლევთ ადგილს გაზეთში. რედ. შენიშვნა).

მაგრამ, სასიხარულოდ ჩვენდა, ამ მთებს ეღებათ ბოლო- ფოთი-თფილისის რკინიგზამ შეამტვრია ეს ჩინეთის კედლები და ორი ხალხი, საუკუნოებით გაყოფილი და განაწილებული, ერთმანეთს დაუახლოვა, გააცნო, ხშირის მისვლა-მოსვლით ერთმანეთში.

ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ჩვენი ხალხი დარწმუნდა, რომ ცალ-ცალკე ჭაპანწყვეტა, მოქმედება არც ერთს ხეირს არ დააყრის. და ეს რწმენა თანდათან უფრო ღვივდება, მტკიცდება. ჩვენი ხალხი ელტვის სწავლას, როგორც ძუნწი თითო გროშს და იმედია, რომ, თუმც ათასი დამაბრკოლებელი მიზეზი წინ უდევს, მაინც თავისას გაიტანს, განათლდება და თავის საუკუნო დევიზად გამოხატავს:,,ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის”.

სამთერიოს წვერზე ტყეები შეთხელებულია. მხოლოდ აქა-იქ იზრდება კარგა მსხვილი და დიდროიანი ხეები. პატარა ქვეითკენ რომ ჩავედით, ხე-ტყე გახშირდა. სხვათა შორის აქ იზრდება წიფელი, რცხილა და ძალიან იშვიათად მუხა და აგრეთვე სხვა ხეებიც, მაგრამ უფრო მეტად რცხილა. ხეები ძალიან მაღლა ასულან; ხანდისხან შეგვხვდებოდა ხოლმე მოსხლეტილი ხეები, რომელთაც ტოტები მხოლოდ ძალიან მაღლა წვეროებზე აბიათ. ყველა ხეები ტოლები არიან და, თითქო, პირობა ჰქონიათ შეკრული, რომ ახალგაზრდა ხეები ძირიანად ამოეგდოთ და დაეჩაგრათ.

ხანდისხან, ტყეებ შუა გვხვდებოდა ცარიელი მინდორიანი ადგილები, რომლებიც აბორცებულ იყვნენ. აქ ჭიანჭველები სცხოვრობენო, მითხრეს. მართლაც, ამოვჩუჩეთ ჯოხებით და ვნახეთ, რომ იმ ბორცვებ ქვეშ ცხოვრობდნენ ჭიანჭველების ლეგიონები. ჭიანჭველების მჭამელი არი ჯოჯო, ამისთვის ამათი რიცხვი მრავალია. ამისთანა მშვენიერ მინდვრებს, სადაც შეიძლებოდა უნაკლოდ ცხოვრება ადამიანისათვის, დაჰპატრობენიან ჭიანჭველები და ჯოჯოები!

დაღმართზე გხვდება მრავალი წყაროები (თეთრი წყლები), რომლებიც მოხუიან, სისწრაფით ჩარბიან ძირს და მთა-ბარს ბანს ათქმევინებენ, ყველა ეს წყლები ერევიან ტალახიან მდ. თურდოს, რომელიც ჩამორბის ცივის მთიდან. ეს წყალი ჩამოუდის ფსიტის ციხეს მარცხენა მხრით; ციხე აშენებულია ერთს მაღალს, ამწვეტებულს მთის ფერდობზე და აქედგან არწივივით გადმოჰყურებს მთელს ამ ხეობას და სრულიად ჰკეტავს ამ ღელეს შიგნით კახეთში შესასვლელ კარებს. რა დროინდელია ეს ციხე? ვისი აშენებულია? რა დროს გაუქმდა? - არავინ იცის.

რვა ვერსის სიშორეზე ამ ციხიდან მდებარებს მონასტერი შუამთა. აქ არის ორი მონასტერი:ძველი და ახალი. ახალი ააშენა ლეონ მეფის მეუღლემ თინათინმა (XVI საუკუნეში).

ვინ ააშენა ძველი მონასტერი - არ ვიცით. ეხლა აი რა მდგომარეობაშია აქაურობა:ეკლესია ძალიან დაძველებულა და დახეთქილა; დიდხანს ვეღარ გასძლებს; შიგ ზოგან ეხლაც მოჩანს ნახატები კედლებზე. დასავლეთის კედელზე მოშენებულია ერთი კოშკის მსგავსი შენობა. გარედან შესასვლელი კარები და ან ფანჯარა არა აქვს. მხოლოდ ეკლესიიდან პატარა ხვრელით კაცს შეუძლიან ავიდეს მის ჩარდახზე; აქედან კიბით უნდა ჩავიდეს ძირს იატაკზე, რომელიც თლილის ქვით არის წმინდათ დაგებული. ეტყობა, რომ ამაში შემოსასვლელი დიდი ხანი ყოფილა დაკეტილი და მივიწყებული, რომ მისთვის მიუგნიათ ბოლო დროს. ეზოში ყოფილა

მარანი, ქვევრები ნახევრამდის წყლით არის სავსე. ამ მონასტრის გავერანების შემდეგ იმდენი ხანი გასულა, რომ შიგ ეზოში და ნანგრევებში გაზრდილან მრავალი ხეები.

ძველ შუამთის მონასტერს და ახალს შუა ვერს-ნახევარი იქნება. კაცს აკვირვებს მდებარეობა და სილამაზე ამ ახალის მონასტრისა. წარმოიდგინეთ კარგა ამაღლებული ბორცვი, რომელსაც ორის მხრით ჩაუდის ნაკადულები; ბორცვი წვეროზე სწორდება და ამ წვერზე არის მოშენებული ეს მონასტერი თავის მაგარი და მაღალი გალავანით და თორმეტ საჟენის სიმაღლე ეკლესიით, სამრეკლოთი და სხვა სახლებით. გალავანი ოთხკუთხეა. ეზო წმინდა და მშვენიერი. აქვე არის სასაფლაო ყარალაშვილებისა, რომელთაც მონასტრისთვის დიდი მიწები უჩუქებიათ.

თვით ეკლესია აშენებულია მშვენიერს გეგმაზე (პლანზე) ჯვარის მსგავსად. ჩრდილოეთის მხრით მოდგმული აქვს ეკვედერი სამწირვლოდ. შიგ ეკლესიის კედლები დახატულია და თვალსაჩინოდ მათზე გამოიხატება ახალი და ძველი აღთქმის ისტორია სურათებით, თუმცა ზოგი ამ სურათებთაგანი მტრებს ტყვიით და სხვა იარაღით დაუმახინჯებიათ (ზოგი წმინდანის თვალია გამოთხრილი, ზოგის ცხვირია ვნებული და სხ.) და ზოგიც ბოლო დროს გაულესიათ თეთრად. ეკლესიაში პირისპირ ერთმანეთისა არიან დახატულები დავით და სოლომონი. შესასვლელ კარების მარჯვენით არის დახატულები აგრეთვე ისინი, ვინც ააგეს ეს ტაძარი - თინათინ და ლეონი. განძეულთა შორის შესანიშნავია ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რომელზედაც სხვათა შორის სწერია ,,...მამკობსა ჩემსა მეფესა ლეონს და თანამეცხედრესა პატრონსა დედოფალს თინათინს ნუ დასჯი, რაჟამს განიკითხვიდე კაცთა:შევამკევით ხატი ესე ხახულის ღვთისმშობლისა მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად, სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ. ამინ, ამინ, ამინ»;

თინათინი დამარხულია ამავე ეკლესიაში, სამკვეთლის კარის წინ.

შუამთის მონასტრის ჩრდილოეთით ტყეში მოიპოვებიან ნანგრევები ციხეებისა, ეკლესიებისა და სხვ. ამ ნანგრევებ შორის და გარშამო ტყეში იზრდება მრავალი ხეხილები ყველაფერი. სჩანს, რომ ამ ადგილებში ერთ დროს ყოფილა ან დიდი სოფელი ან ქალაქი. შიგვე ციხეებში არიან პატარა ეკლესიები, რომელნიც სიგრძით ძლივს იქნებიან ორ-ორი ალაბი, სიგანით ერთნახევარი, სიმაღლით სამი ალაბი. იყო აქ ქალაქი, ან სოფელი? რა ერქვა? რა დროს დაიღუპა და როდის მიეცა მივიწყებას? - ისტორიამ, რომელმაც ჯერ აქნობამდის არც ერთი სიტყვა არ იცის ამ ნანგრევების შესახებ, უნდა მოგვცეს ამის პასუხები. ნანგრევების ჩრდილოეთის მხრით, მდ. თურდოს მაღალს მარცხენა კიდეზე, მოჩანს ეკლესია (ახალი მონასტრიდან მეოთხედ ვერსტის სიშორეზე) წმ. შიოსი. ეკლესია პატარაა, მსგავსი ზემოხსენებულ ეკლესიებისა.

წმ. შიოს ეკლესია დაბალი ხე-ტყით არის მოცული და შიგ შესვლა ზაფხულის დროს საშიშოა, რადგან იქ ქვემძრომები ბუდობენ. ეს ღელე თითქოს კაცს ჩამოუჭრიაო. ძირში ჩარბის თურდო და ამის პირიდან რამდენიმე ალაბის სიმაღლეზე არის კარები. ეს კარები იმ ოთახებისაა, რომელნიც გამოქვაბულ არიან შიგ ამ ღელის კიდეში. შორიდან და ახლოდანაც მრავალი კარები დაინახება; მათში შესვლა ძნელია, რადგან გზა არსაიდან არა აქვთ. უწინ, თურმე, შედიოდ-გამოდიოდნენ მცხოვრებნი თოკების კიბეებით. ამბობენ ბეჯითად, რომ ეს გამოქვაბული არის ბერების სენაკები, რომ აქ უწინდელ დროში ცხოვრობდა 600-700 ბერი, რომ კიდეზე მყოფი ეკლესია მონასტრის ეკლესია იყოვო, რომ ბერები ყაჩაღიანობის და შიშიანობის დროს იმალებოდნენ ამ უგზო-უკვლო სენაკებში და ღამე კი გამოდიოდნენ სალოცავად ეკლესიაშიო. ზოგი ამბობს, რომ ეს არის

უწინდელი ქალაქი, რომლის ნიმუშად აქამდე დარჩომილა უფლისციხე, ვარძია და სხვ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერც ერთი მოსაზრების დასამტკიცებელი საბუთები ჩვენ ვერ ვპოვეთ ჩვენს ისტორიაშია და ყველა მოსაზრებანი მოსაზრებადვე დარჩებიან იმდრომდის, მინამ ჩვენი მეცნიერნი არ შეუდგებიან ჩვენი ისტორიის საბუთიანად შესწავლას და არ დაგვანახვებენ ჩვენ შესანიშნავ წინაპრების ცხოვრებას, მინემ არქეოლოგიური საზოგადოება არ მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ამ ადგილთადმი.

13 აპრილს ჩვენ გავემგზავრეთ იყალთოსა და ალავერდისკენ.

წმ. შიოს მთის წვერზე თურდოს ღელიდან რომ ამოვედით, ჩვენ წინ გაიშალა ეგრედ წოდებული ,,ალაზნის ველი". როგორც მშვენიერი სურათი კაცს აღტაცებაში მოიყვანს და გააშტერებს, ისე ვიყავი დიდხანს გაშტერებული და ისეთი დიდი შთაბეჭდილება ჰქონდა ჩემზე ამ სურათს, რომ მე რამდენიმე წუთს ხმა ვერ ამოვიღე. მთელი ჩემი არსება მხედველობად და ერთ გრძნობად გარდაიქცა...

ათი ვერსის სიშორეზე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით კავკასიონი, თავის შაქრის თავებივით ამწვეტებულ წვერებით ჯერ ისევ ჭაღარაა (თოვლი იდო):კავკასიონის ღელეები და იქიდან ღრიალით, ხუილ-ხუილით მომდინარე წყლები ლოპოტას ხევი, სტორის ხევი და თვით ალაზანი, რომელიც სისწრაფით ჩამორბის პანკისის ღელიდან ალაზნის ველზე, და მერე ილტო (უთო). პირდაპირ კავკასიონისა, ერთი ტოტი გომბორის მთისა, რომელიც ალაზნის მარჯვენა მხრით, ხუთი ექვსი ვერსის სიშორეზე მისგან მოდის ვიდრე წმ. შიოს მონასტრამდე და აქიდგანაც ჩამორბიან პატარა წყლები.

შიგ შუა ველზე ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთ სამხრეთისკენ გაწოლილა ალაზანი. აქეთ იქით ნაპირებზე ამ მდინარისა განბნეულან დიდ-დიდი სოფლები, რომლებიც შორიდან უფრო ქალაქებს ჰგვანან, რადგან თითქმის ყველა სახლები კრამიტით არის დახურული. ჩვენ წინ ჯეჯილი ღელავს; პატარა იქით ჭალები გაფოთლიანებულან. აგერ ძროხის ნახირი მოსდებია მინდორს და ალაზნისკენ პირმიცემული მიდის. აგერ მწყემსიც სალამურს უკრავს, თითქო აჯავრებს იმ მრავალგვარ მგალობელ ჩიტებს, რომლებიც მოსდებიან ტყე-ღრეს და გალობენ თავის მშვენიერ სიმღერებს. აი ,,გუ-გუ!" ,,კუ-კუ!" გუგულისა. იქ გლეხები ერთად ბარვენ და მუშურს მღერიან, აქ მებაღეები სხლავენ და დამღერიან. სოფლის პირას ბავშვებიც ცელქობენ, დარბიან და სხ. და სხ.

ამნაირი იყო 13 აპრილს ახლად გაღვიძებული ბუნება კახეთისა!

ჩვენ გავიარეთ რამდენიმე ვერსი და მივედით სოფ. იყალთოში, რომელიც მდებარეობს გომბორის კალთის პირში.

იყალთო იყო შესანიშნავი ადგილი. აქ ყოფილა მონასტერი, სწავლობდნენ ჩვენი ახალგაზრდა ყმაწვილები, სხვათა შორის შ.რუსთაველიც. ამ მონასტერშია დაფლული წმ. ზენონი, ერთი მე-13 სირიელთ მამათაგანი. მე-X საუკ. მეცნიერი არსენი აქაური იყო.

აქედან გავიარეთ მრავალი სოფლები:აწყური, რუისპირი, ზემო ხოდაშენი და სხვ.

ყველგან ჩვენი ხალხი, ამისთანა მდიდარ ბუნების მფლობელნი, ღარიბია. სოფლები უწმინდური, სახლები არ ვარგები; ეზოებს ღობეები არა აქვთ, და შიგ ყოველგვარი უწმინდურობა მოიპოვება; პირუტყვები დასეირნობენ, აქ ბაღში სძოვს ცხენი, იქ კამეჩმა გადაგლიჯა ღობე და შევიდა ბაღში; აქ მუშაობს გლეხი:ზედ აცვია რაღაც ძონძები; ქალები ფეხშიშველა, სხედან და რაღაცას ჩურჩულებენ. აი სახლი, რომლიდამაც მოისმის ერთი ხმაურობა, ღივილ-სივილი:ალბათ მოვალე ვაჭარი აღრჩობს მათ; იქ მიაჭენა ცხენი ერთმა კარაპეტამ და მარანის კარები გააღო... დიაღ,

ყველა ამაებიდან სჩანს, რომ აქაური გლეხი ღარიბია და ამაში დამარწმუნა ჩემმა თანამოგზაურებმაც.

აი ალავერდის მონასტერიც! ალაზნის აქეთ ნაპირზე, სტორის შესართავს 5-6 ვერსის ზევით, თელავიდან 15 ვერსის მანძილზე. მონასტრის სიმაღლე მიწის პირიდან სამრეკლოს წვერამდე, არის 32 საჟენი; სიგრძე 27 საჟენი და სიგანე 13. ამ დიდებული მონასტრის აღწერას უფრო მეტი დრო, მეტი ადგილი, მეტი ცოდნა დასჭირდება ვინემ მე მაქვს და ამიტომ მე ვსტოვებ მის აღწერას და ეხლა ვბრუნდები ქ.თელავს.

უწინ ქალაქ თელავს ერქვა ,,ვარდისუბანი" და მართლაც თელავის აღმწერს შეუძლიან მხოლოდ სთქვას, რომ ეს ქალაქი არის ,,ვარდისუბანი", მაშინ მკითხველი გაიგებს - თუ რა არის თელავი. ვერც ლამაზი ქუთაისი, ვერც სხვა ჩვენებური ქალაქი, მგონია, ვერ შეედრება თელავს ბუნებითის სილამაზით.

თელავი გაშენებულია ცივის მთის ერთს გამოშვერილს კალთაზე. აქედან მოჩანს მთელი ალაზნის ველი (თელავის მაზრის ნაწილები) თავის სოფლებით. ჩამოუდის რამდენიმე პატარა რუები, შიგ ქალაქში ამოდის მრავალი წყაროები, სასმელად საამო და მარგებელი. მაღლიდან დაჰყურებს ცივის წვერი, რომელიც მუდამ უგზავნის გრილს ნიავს, რის გამო ზაფხულში აქ არა ცხელა, როგორც ველებზე- მცენარეულობა მრავალია.

თელავი 793 წელში ააშენა კვირიკემ. კვირიკეს ციხე ეხლაც მთელია და აშენებულია ქვით და აგურით. გალავანში ქვა რიგზე არ არის ჩაწყობილი, არამედ არეულ-დარეულად. მაშასადამე, იმ დროს ჯერ არ იცოდნენ კედელში ქვის რიგზე ჩაწყობა, მაგრამ იცოდნენ აგურის კეთება. ამ წლებში რუსეთის ხალხმა არათუ არ იცოდა აგურის კეთება, არამედ არც კი არსებობდა, როგორც სახელმწიფო, და ხალხი იყო ველური.

საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაყოფის შემდეგ თელავი დიდხანს (საუკუნეზე მეტი) არ იყო ჯერ დედაქალაქი კახეთის სამეფოისა, არამედ დედაქალაქად ითვლებოდა ეხლანდელი სოფ. გრემი (ალაზნის გაღმა მთის ძირში), სადაც სცხოვრებდა მეფე ლეონი, რომელიც გამხედრდა იერუსალიმის დასაპყრობად. ბოლო დროს არჩილ მეფემ მე-XVII საუკ. გადმოიტანა თავის ტახტი თელავში. არჩილმა განაახლა ის ციხე, რომელსაც ჰქვიან ,,ბატონის ციხე" თავის კოშკებით. აქვე არის ეხლა დარჩომილი ის სასახლე (ქალების სკოლა), რომელშიაც გაატარა უკანასკნელი დღენი თვისნი ირაკლი მეორემ თბილისის გაოხრების შემდეგ 1795 წელში შაჰ-ნადირისაგან.

ირაკლის სასახლის წინ არის ბაღი, რომელშიაც იზრდებიან მთელი საუკუნის ხეები, ის ხეები, რომლებ ქვეშაც მტრებთან ბრძოლით დაღალულ ირაკლის მოუწმენდია თავის შუბლიდან სისხლის ოფლი და მოუსვენებია მძლავრი მკლავები. ამავე ციხეში არის ანტონის (კათალიკოზის) საზაფხულო ადგილსამყოფელი. აქ ეხლა სასულიერო სასწავლებელია.

დიდს შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე ეს ბატონის ციხე, ის ეკლესია, რომელშიაც ირაკლი ლოცულობდა, ის ხეები, რომლებ ქვეშაც აღიზარდა ირაკლი, ის სასახლე, რომელშიც დალია სული ამ გმირმა შემდეგ 54 წლის შესანიშნავ მეფობისა!

თელავი ლამაზია და დაუფასებელია. მაგრამ იგეთი გონიერი კაცი, როგორიც არის ჩ-შვილი, არ ვიცი რად უშვებს ისე ბინძურად იმისთანა ადგილებს როგორც მაგ. არის ბატონიშვილის ციხის ალაყაფის კარები, ან ბაზრის ქუჩები, ან რიყე. ერთ ნაწილს თელავისას ეხლა ჰქვიან ნადიკვარი. აღდგომის მესამე დღეს გამოვიდნენ აქ თელავის მცხოვრებნი. აქედან ჩვენ წავედით ,,ყრუს-ხევისკენ". ეს არის

პატარა ნაკადული, შესდგება იმ წვეთებიდან, რომელნიც წვეთ-წვეთად გამოსდიან ცივის ერთს კალთას. წყალი ცივია; მის არხში ჩვენ ვპოვეთ ბევრი გაქვავებული ნივთები, ფოთლები, ჩხირები, ჭიები და სხვანი. რათ ჰქვიან ამ წყალს ,,ყრუს-ხევი"- ღმერთმა უწყის.

მეორე დღეს ჩვენ ავედით ,,უძირო ტბის" სანახავად. ეს არის ერთს მაღალს ფერდობზე ცივი მთისა. იქ ასვლა ადვილი არ არის. გზაზე შეგვხვდა მრავალი პატარა გუბეები, რომელნიც წყლით იყვნენ სავსე. შესანიშნავი ის არის, რომ ამ სიმაღლე მთაზე მოიპოვებიან ამისთანა გუბეები და ტბებიც კი. ყველა ეს ადგილები ჭაობიანია და ტყით მოცული. უძირო ტბას უჭირავს ჩაღრმავებული ადგილი; წყალი შიგ უწმინდურია და გამწვანებული; პირზედ მოუგდია ხავსი და ამ ხავსზედ ამოსულა ჩალა. ეს ჩალა დამპალა და მიწად ქცეულა, ასე რომ წყლის პირზე მიწა გამაგრებულა და ზედ ხეები (მურყნები) ამოსულა; ამ მურყნებზე რომ ავედი, მთელი ტბის ძირი დაინძრა და ქანაობა დაიწყო. ტბაში ცხოვრობენ შესანიშნავი წურბლები; ჩვენ აქ ყოფობის დროს წურბლების მჭერლები იყვნენ, ცოდვილობდნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს, რადგან ციოდა.

მრავალი ნაკადულები და წყაროები ამ მთებიდან ჩანჩქარით ჩამორბიან ძირს. საყურადღებია აგრეთვე, რომ ამავე მთის ფერდობებზე ამოდის ნავთი; მაგ. სოფ. ახტალაში და ზემო ხოდაშენის წყლის სათაურებზე, სადაც ნავთის ჭების გარდა, არის კიდევ მარილიანი წყალი.

თელავის ინტელიგენციას სხვათა შორის შეადგენენ იქაური სკოლების მასწავლებელნი, რომელთაც პირობა დაუდვიათ, რომ იშრომონ და შეისწავლიან კახეთს ზედმიწევნით და თავიანთ შრომას ამ ქვეყნის შესახებ დაბეჭდავენ ერთ წიგნში, რომელსაც ერქმევა ,,კრებული"; ეს ,,კრებული" არ იქნება მოკლებული სუ-რათებსაც. ისინი მოიწვევენ ყველას, ვისაც კი შეუძლიან რამე შემწეობა მისცეს იმ საზოგადოებას წერით ან მასალების წარმოგზავნით. ეს ყმაწვილკაცები ასე სჯიან:,,ჩვენზედ ახლო არის კახეთი; მთელი ქვეყნის შესწავლა (მერე ისეთის, როგორც ჩვენი ქვეყანაა) ძნელია, თუ კაცი არ მოივლის მას. ჩვენ გარემოება ძლივს მოგვცემს ნებას კახეთი მოვიმგზავროთ და გავიცნოთ. ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ შევისწავლოთ კახეთი და სხვებმა ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეები შეისწავლონ და აღწერონ".

ჩვენ ვისურვებთ, რომ ამგვარი კაცები აღმოჩნდნენ გორის მაზრაშიაც, ქუთაისშიაც, ახალციხეშიაც, ზუგდიდშიაც, რომ ცოტაოდნად მაინც იქმნეს შესწავლილი ჩვენი ქვეყანა. კარგი იქნება, რომ თელავის წრემ თავის პროგრამა გამოაცხადოს საყურადღებოდ და სამაგალითოდ სხვებისათვის.

სხვათა შორის ქების ღირსნია აქაურ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნ.მთვარელოვი, რომელიც გარდა ამ წრის ხელმძღვანელობისა და იქაურ სკოლის სამაგალითო ნიადაგზე დაყენებისა, წერს სხვადასხვა სტატიებს. აგრეთვე დაუღალავნი მშრომელნი რომან ცამციევი და ივანე როსტომაშვილი; როგორც პირველს, ისე მეორეს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს მათ ნაწერებით ,,დროება-ივერიაში". ამათა აქვთ შემზადებული მრავალი წერილები. ი-რ-ლს 29 მარტს წაუკითხავს ლექცია და შემოსული ფული იმ ლექციიდან შეუწირავს კახეთის ,,კრებულის" გამოსაცემად.

წასაბაძნი არიან სწორედ ეს პატივცემული პირები. და არა ჰგვანან ესენი იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ზედამხედველობას, ან მასწავლებლობას, ან სხვა თანამდებობას გაიკრავენ და მერე მიეცემიან ქეიფს, ლოთობას, რომელთაც დაავიწყდებათ საზოგადო საქმე და ემსახურებიან თავის ჯიბეს და თავის

პიროვნებას, და, თუ საჭიროება მოითხოვს, ღონიერებს გაუგორდებიან ფეხქვეშ და ფეხის გულებს ულოკავენ.

მოგზაურობა ქართლში

,,დროება" 1882, N 39, 23 თებ. გვ. 2-3; N 54, 14 მარტი, გვ. 1-3; N 57, 18 მარტი, გვ. 1-3; N 58, 19 მარტი, გვ. 1-3; N 59, 20 მარტი. გვ. 1

ქართლში მოგზაურობა, რკინისგზის წყალობით, ისეთი ძნელი არ არის, როგორც კახეთში, მაგრამ ეს სიადვილე ბევრნაირად ხელ უშლის ისეთს მოგზაურს, რომლის მიზანია გარემო მდებარე ბუნების და მისი ცხოვრების გაცნობა. მისთანა ქვეყნებში, როგორც კახეთია, ან უნდა იმგზავრო ფეხით, ან ცხენით, ან ეკიპაჟით:აქ ყოველ შემთხვევაში მგზავრთ თვალწინ გადაშლილია ბუნების კალთა და გარემოს შესწავლა სრულიად დამოკიდებულია მგზავრზედ.

სულ სხვაა, როცა მოგზაურს მოუხდება მგზავრობა რკინიგზით:ჯერ ერთი, რომ მატარებელი გაქანებული სწრაფად მიაშურებს კაცს; მეორე მგზავრს შეუძლია გაშინჯოს და დაათვალიეროს მხოლოდ ერთ-ერთი მხარე გზაზე მდებარე ადგილებისა, ისიც ვაგონის პატარა ფანჯრიდამ! ამიტომ რკინიგზით მგზავრს არ შეუძლიან გააჩეროს თვალი შესანიშნავ ადგილებზედ იმდენ ხანს, მინამ სული და გული გაძღება, კმაყოფილებას მიიღებს. მატარებელი მირბის იქ, საცა შენ გინდა დიდხანს დარჩე და ჩერდება ხშირად იქ, საცა შენ გაჩერება სრულიად არ გინდა.

ეს წინასიტყვაობა მოვიყვანე იმიტომ, რომ მე ამხანად ვმგზავრობდი რკინიგზით, რის გამო ჩემი მგზავრობის შენიშვნები იქნებიან მოკლე და გაკვრითი.

პირველ ღვინობისთვეს 1881 წ. თფილისში დიდი მოძრაობა, ფაცაფუცი, ფაეტონების ჭენება იყო. დიდი და პატარა, ზოგი ფაეტონით, ზოგი ხელცარიელი, ზოგი მთელი დღის საჭმელ-სასმელით მიეჩქარებოდა რკინიგზისაკენ... ყოველ წუთს გაისმოდა დამაყრუებელი წივილი ლოკომოტივისა. ათასობით შეისხა ამ დღეს ორთქლით მატარებელმა თფილისის მცხოვრებნი და მიიყვანა მცხეთაში.

მეც, როგორც ერთი მოყვარეთაგანი ჩვენის წარსულისა, დილის ცხრა საათზე მივედი რკინიგზაზედ. ხალხი ირეოდა, დუდუნებდა. ამ დუდუნში მოისმოდა ათასნაირი კილო:ქართული, რუსული, სომხური, ფრანგული, თათრული და სხვ. და სხვ. აქ იყო ყოველი თემის და ყოველი წოდების ხალხი. საზოგადოდ ყველას სიხარულის ბეჭედი ესვა სახეზედ. მატარებელს მცხეთიდამ ელოდნენ. აი ისიც მოქშინავს, მორბის, წივის. შიგ მყოფნი გამოვიდნენ და მცხეთაში წამსვლელნი საჩქაროდ ჩასხდნენ, დაბინავდნენ...

მესამედ დაჰკრა ზარმა. ავედი მეც ვაგონში:სხვათა შორის, შევხვდი ჩვენს პატივცემულ სტუმარს-**დ.ი.ჩუბინაშვილს**. ეს კაცი აღტაცებული იყო, ისე უხაროდა, იცინოდა,- არ მეგონაო, თუ ჩვენი დიდებული ტაძრის დღესასწაულს ამგვარად მიეგებოდა თფილისის ხალხიო!

მატარებელმა მოგვიტაცა და გაგვაქანა დიდუბის მინდვრებზე, დიღომისაკენ.

ეს მინდვრები, რომელიც მე მრავალჯერ დამითვალიერებია, და მომივლია, თითქმის სრულიად მოტიტვლებულია; აქ ხე არ მოიპოვება, მხოლოდ ზოგან იზრდება ჯაგები, ეკლის ბუჩქები. ბალახეულობაც ძალიან ამოდის, როდესაც ხშირი წვიმიანი ზაფხული დადგება ხოლმე, თორემ უწვიმო წლებში მხოლოდ მწვანედ რჩება მტკვრის ახლო ნაპირები და ჭალები.

ერთ დროს ეს ადგილები ხშირი ტყით იყო მოცული; ეხლა ამ მდგომარეობაშია! ამის მიზეზი არის ის, რომ მტრებმა გადასწვეს, გადასჭრეს ტყე, რადგან იმაში იმალებოდნენ ქართველები და მოსვენებას არ აძლევდნენ იმ ულმობელ სტუმრებს, რომელნიც ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე თფილისსა და ჩვენს ტურფა ქვეყანას. ამჟამად ყველა ეს მინდვრები ამწვანებულნი იყვნენ და ზედ სძოვდა კაი ძალი რქიანი საქონელი, რომლის უმეტესი ნაწილი ეკუთვნით თფილისის ზემოთ, მტკვრის პირზე მცხოვრებ ალექსანდერდორფის (ნემცების სოფელია) მცხოვრებლებს. ამათ უჭირავთ უკეთესი მიწა თფილისის არემარესი. გამოუყვანიათ მტკვრიდამ რუ თავის მინდვრების და ბაღების მოსარწყავად და სცხოვრობენ თავისთვის უნაკლულოდ. ამ პატარა სოფლებს აქვთ მშვენიერი სახლები, წმინდა და სწორი ქუჩები, სკოლა და დიდი ეკლესია. რამდენსაც ნემეცის დედაკაცი ერთ წელში იგებს რძის გაყიდვით თფილისში, იმდენს, იქნება, ვერ იგებდეს მთელი ჩვენი ქართველი ოჯახობა.

ალექსანდერდორფის ახლო მდებარე ქართველთ სოფელი- დიდუბე კი ძალიან ღარიბია. აქ დამართულია დუქნები და სამიკიტნოები, ხალხს დაუნებებია თავი ხვნა-თესვისთვის და დუქანი გაუხსნია. ამათი ბაღები და სახლები ბევრად ჩამოუვარ-დებიან ნემეცებისას:ეკლესია, ის შესანიშნავი დიდუბის ეკლესია, რომელშიაც ბრწყინვალე მეფე თამარმა ჯვარი დაიწერა რუსის ბატონიშვილზე-გიორგიზე, ეხლა სამწუხარო მდგომარეობაშია:რამდენი წელიწადია ამის განახლება დაიწყეს, მაგრამ ეხლაც სანახევროდ გაუთავებელი უგდიათ.

მომავალში, როგორც დიდუბეს, ისე ალექსანდერდორფს მოელის კარგი ბედი:ესენი აღარ იქნებიან ცალკე სოფლებად, არამედ შეადგენენ ქალაქის ნაწილს; თითქმის ეხლაც დიდუბე ქალაქის მიჯნაშია შესული:მთელი დიდუბის მინდვრები დაყოფილია მრავალ ნაწილებათ და სახლებისათვის მოზომილი, ზოგან ეხლავე შესდგომიან შენებას. ეს მკვდარი ადგილები რკინიგზამ გააცოცხლა...

ჩვენ გავშორდით დიდუბეს, ალექსანდერდორფს და მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფ. დიღომს დაუპირდაპირდით. სოფელი ხევშია აშენებული, თრიალეთის პირში; გარშემო მდებარე მთები უტყეო, ჯაგებიან-ბუჩქებიანი, თითქმის მთელი მტკვრის პირი მინდორი დახნული იყო, მაგრამ ჯერ პურები არ დაუთესიათ.

მატარებელმა მალე მოგვიყვანა სოფ. ავჭალას, რომელიც თფილისიდან ათი ვერსის მანძილზეა. სოფლის მდებარეობა მშვენიერია:ვრცელი მინდვრები აქაურ ხალხს აძლევენ ნებას, რომ შეინახონ დიდძალი საქონელი, ახლო მდებარე მტკვარი - რომ ითევზაონ. ავჭალა ბაღებშია ჩაფლული. თვით ხალხი კი, ეტყობა, რომ არ არის მდიდარი. ავჭალის ბატონი გამხდარა ვ.მირზოევი, რომელსაც შესყიდული აქვს კარგი მიწები, აუშენებია მშვენიერი სახლი, გაუშენებია ბაღები.

ზემო ავჭალაში მიგვიყვანა მატარებელმა და იქიდგან მალე თავი ამოგვაყოფინა მცხეთის სტანციაში, საცა უკრავდა სამხედრო მუსიკა. აქ ჩამოვხტი. დიდი მოძრაობაა ხალხისა:ზოგი მცხეთისკენ მიდის, ზოგი თფილისში ბრუნდება...

მცხეთის სტანცია გაშენებულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ორ მთას შუა. მარჯვენა მთა არის ცოტა თრიალეთის მთაგრეხილისა, რომელსაც აქვს კავშირი მცირე აზიის მთებთან ყარსის მთების შემწეობით. თრიალეთის მთაგრეხილი მტკვრის სათაურიდგან მოკიდებული ამ მდინარეს მარჯვენა მხრით მოსდევს თფილისამდე და აქიდგან 15-20 ვერსის მანძილზე ჰქრება, სწორდება მინდვრებთან.

ამ მთაგრეხილს სხვადასხვა ადგილს სხვადასხვა სახელი ჰქვიან:ჯავახეთში იწოდება ჯავახეთის მთად, სომხითში ალგეთის და სხვ. მაგრამ საზოგადოდ კი იწოდება ,,თრიალეთად", რომელიც ყოვლის მხრისკენ უშვებს მცირე ტოტებს და ამგვარად ჰყოფს მთელს საქართველოს ერთს ნახევარს (მტკვრის მარჯვენა მხარეს)

რამდენიმე პატარ-პატარა ხეობებად, ნაწილებად, რომელთაც ხშირად განსაკუთრებული ბუნებითი თვისებანი აქვთ:ზოგი მდიდარია მცენარით, ცხოველებით, ზოგი არა; ზოგი ამ ტოტებთაგანი დაბურულნია ტყით, ზოგი კი არა. სიმაღლითაც ერთნაირნი არ არიან. ერთი ამგვარი ტოტთაგანი არის გორისჯვრის (ახალი ჯვრის) მთა, რომელიც მოდის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ და ქალაქ გორის პირდაპირ სწყდება. ეს ტოტი ჰყოფს ქვემო ქართლის მტკვრის მარჯვენა მხრით მდებარე ადგილს ორ დიდ ნაწილად, რომელთაგან ერთს (დასავლეთისას) წინეთ ერქვა საციციანო, მეორეს (აღმოსავლეთისას) საბარათიანო.

მცხეთის მარჯვენა მხარეს 1535 ფუტით ზღვის წყალზე მაღლა ამართული მთა არის ტოტი თრიალეთისა. ამ ტოტს ჰქვია საწკეპელო (სათოვლო მთა), რომელსაც სტანციის ახლომახლო ჰქვიან არმაზის გორა, აგრეთვე (ქართლოსის გორა).

ამ გორას დარჩა სახელი ,,არმაზი»" თვით ამგვარ წოდების ქალაქის არმაზისაგან, რომელიც VII ს. ნახევარში სპარსეთის შაჰის აბულ კასიმ მურვანისაგან აღიგავა დედამიწის პირიდგან; დიდებულის ქალაქიდან დარჩა მხოლოდ ნანგრევები, რომელიც მოგვითხრობენ განათლების ხარისხს, ცოდნას და სამოქალაქო ცხოვრებას პირველ ქართველთა.

არმაზის აღმოსავლეთის მხრით, მის ახლოს, არის აგრეთვე ნანგრევები ძველის ქალაქის ნაქულბაქევისა, რომელიც, პლატონ იოსელიანის აზრით, შეადგენდა თურმე არმაზის ერთ ნაწილს, მისივე აზრით, აქ იყო გამართული მრავალი დუქნები და ქულბაქიც, რაც ნიშნავს დუქნებს, დუქნების რიგს, წყობას, ბაზარს. აქ 1867 წ. იპოვეს ქვა ბერძნულის წარწერით, რომლის შინაარსი დაახლოებით შემდეგია:

,,თვითმპყრობელი კესარიოს სევასტოსი, დიდი მღვდელმთავარი 7-ჯერ ტრიბუნად გამხდარი, თვითმპყრობელი 14-ჯერ, კონსული 6-ჯერ მამა მამულისა, ცენსორი და თვითმპყრობელი ტიტოს ცეზარი, შვილი სევასტოსი ტრიბუნად ყოფილი 5-ჯერ, კონსულად 3-ჯერ, მეოთხედ დანიშნული, მეფეს ივერიისას მითრიდატეს მეფის ფარსმანის და თამაზდის შვილს, მეგობარს კეისრისას, რომაელთ ხალხისას, აღუშენეთ ციხე".

ეს ქვა ეკუთვნის 75 წ. ქრისტეს აქეთ. ,,იამაზდი", ლეონ ბედნიერის სიტყვით, ნიშნავს არმაზის მცხოვრებს. ეს ქვა ეხლა დევს თფილისის მუზეუმში.

ეს ქალაქი, ჩვენი ძველი მემატიანეს გადმოცემით, ააშენა ქართველთა მამა - ქართლოსმა (პატრიარქის ნოეს შვილისშვილის შვილმა) და ამიტომ მას ეწოდა ქართლი (ქართლოსი). ქართლოსის სამარეს უჩვენებენ ამ მთაზედვე, ძველით-ძველიდგან სამარის ადგილი იყო სამღვთო და წმიდა ადგილი ქართველთათვის.

,,ქართლი" ერქვა ამ ქალაქს იმ დრომდის, მინემ პირველი მეფე ქართველთა ფარნაოზი არ დასდგამდა კერპს - არმაზს (ორომაზდი ანუ ორმუზდი). ამის შემდეგ ქართლს დაერქვა არმაზი და ამ სახელით იწოდებოდა გაოხრებამდე.

ბერძნების, ლათინების გეოგრაფები არმაზს მოიხსენიებენ, როგორც სატახტო ქალაქს საქართველოისას (ივერიისას). სხვათა შორის, სტრაბონი მას უწოდებს Armosica, plini-Normosica, პტოლომეოსი –Armoctica. ქართლს-არმაზს აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენს საერო, სამოქალაქო ცხოვრებაში თავის სიძველით, პირველობით, და ჩვენს სასულიერო ცხოვრებაშიაც. ქართველობა აქ დაიბადა, აქ აღიზარდა, გაძლიერდა და აქედან გადაესახლა მთელს საქართველოში. აქ აშენდა პირველად ქალაქი და მერმე ამის მიხედვით სხვაგანაც (მცხეთა, უფლისციხე და სხვ.). სულიერადაც აქ გაიხსნა-განვითარდა ქართველი:იმან პირველად თაყვანისცემა აქ დაუწყო ქართლოსის საფლავს; მერე აქ დაიდგა კერპები. კერპი არმაზი ოქროსაგან იყო ჩამოსხმული კაცის მსგავსად და ჩაცმული ჰქონდა; ხელებში ეჭირა ბრწყინვალე ქუდი

თავდაღმა. ეს იყო უფროსი ღმერთი ქართველთა. არმაზის მარჯვნივ იყო სხვა კერპი-კაცი (გაცი), აგრეთვე კაცის მსგავსი, ოქროსი; მარცხნივ კიდევ კერპი-გაიამი-ვერცხლისა. აქვე პირველად გაისმა ხმა ქრისტეს სწავლისა მოციქულთ სწორის, ჩვენის განმანათლებელის ნინოსაგან.

აქ-არმაზში ერთ დიდ ხის ქვეშ პირველად დაიწყო წმ.ნინომ ქადაგება. აქვე აიგო თითქმის პირველი მონასტერი (წმ. ნინოსი), რომელიც არსებობდა საქართველოში მონგოლების შემოსევამდე (XIII საუკ.).

დიაღ, გრძელი მოთხრობაა დამარხული ჩვენი წარსული შესანიშნავი ცხოვრებისა ამ ადგილებში! ჭეშმარიტად გამოუთქვამს ჩვენს ხალხს ამ ერთ დიდებულ, ეხლა დანგრეულ-დაქცეულ არმაზზე:

,,არმაზის ციხე-ქალაქო, ძველადგან გაოხრებულო
ხალხითა სავსევ, ძლიერო, ყოვლთაგან დიდად ქებულო,
შენ ვიღამ გნახოს ნაშენი, მტერთა მახვილით მოსილო!”

(უკანასკნელ ხანებში არმაზის მიდამონი იყო ლეკის ყაჩაღების სამალავი, რომელნიც ხოცავდნენ მგზავრებს. არმაზის და ნაქულბაქევის ახლოს (აღმოსავლეთის მხრით) არის აგრეთვე ნანგრევები გავერანებულის სოფლისა კარსნისა, რომელშიაც ეხლა არც ერთი კომლი მცხოვრები არ დარჩომილა. მ.ჯ-ს შენიშვნა).

მარცხენა მთა-სარკინეთის მთა (3,593 ფუტი) არის ნაწყვეტი დიდი კავკასიონისა. სარკინეთის მთას (ახლა სხალტბის ქედი) აქვს კავშირი ლორწომის მთებთანაც.

ერთ დროს ის ყოფილა აგრეთვე წლევის ქვერნაქის (საცა უფლისციხეა) მთებთან შეერთებული; მაგრამ ეს მთები მდ. ქსანს რამდენიმე საჟენით დაუშორებია ერთმანეთისაგან. არმაზისა და ამ მთებზე და მათ კალთებზე პირველად მოიდგა ქართველმა ფეხი; პირველად აქ გაუმაგრდა მტერს.

სარკინეთის აღმოსავლეთ კალთაზე ქართლოსის შვილმა მცხეთოსმა ააშენა მაგარი ციხე-ქალაქი მცხეთა და დასავლეთ კალთაზე, ანუ უკეთ, კლდიან კალთაში ააშენა საკვირველი და დიდად შესანიშნავი მიწისქვეშეთი ქალაქი (დიდ შენობა კლდეში გაკეთებული; აქ ქართლოსის შვილმა მცხეთომა ააგო მაგარი ციხე-ქალაქი მცხეთა, დასავლეთის კალთაზე, ანუ უკეთ, კლდიან კალთაში ააშენა საკვირველი და დიდად შესანიშნავი მიწისქვეშეთი ქალაქი (დიდი შენობა კლდეში გაკეთებული; აქ არის ბაზარი, სახლები, სასახლე, ეკლესია და მოედანი. ეხლაც შეადგენს საკვირველებას).

ტყუილად კი არ ჰქვიან ამ მთებს ,,სარკინეთი”. ისე იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და თავის ეროვნობის დასამკვიდრებლად- დასაცველად ისე მაგრად იდგნენ, როგორც რკინა, რომლის მადანი იყო ამ მთებში, საცა იპოებოდა რკინის გარდა ლაჟვარდი (ძვირფასი ქვა).

ერთმა მეათცამეტე მამათაგანმა-წმ. შიომ კარგად იცოდა ამ მთების მნიშვნელობა, რომ თავის უდაბნო-მონასტრისათვის ამოირჩია. არმაზი თითქმის პირდაპირ უყურებს შიო მღვიმეს.

ეს მთებია აგრეთვე მოწმად, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსები ამტკიცებენ, ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლისა საქართველოში. აქვე იყო საყვარელი საბანაკო ადგილი რომის ჯარებისა. აქ იმალებოდნენ აგრეთვე ოსების და ლეკების ყაჩაღები. ამ უკანასკნელებმა ირტოზის გორიდგან მოგვტაცეს ნიჭიერი პოეტი დ.გურამიშვილი, რომელიც თავის მოტაცებას ასე აგვიწერს:

,,...მუნ (ლამისყანასა) მოყვრის მუშას თავს
ვადექ, მკას ვუპირებდით ყანასა
ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს ლეკთა

ირტოზის გორითა...
შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს
მომიდვეს გენია..”

მცხეთის სტანციაში დიდხანს არ დავრჩენილვარ. სხვებთან ერთად მეც გავემგზავრე მცხეთისკენ. ჩავედით იმ ხიდზე, რომელიც იმპერატორის ნიკოლოზ I დროს აშენდა ძველის პომპეის ხიდის ადგილას. ეს ხიდი ააშენა რომის ჯარების სარდალმა-პომპეიმა 65 წლით წინ ქრისტეს დაბადებამდე. ახალი ხიდი თუმცა მკვიდრია, მაგრამ ვიწრო და მრუდე.

ერთ დროს მცხეთა იყო დიდი, მშვენიერი, ძლიერი. ის ადგილი, რომელიც მცხეთოსმა ამოირჩია თავის ქალაქის ასაშენებლად, სწორედ რომ სადიდქალაქო ალაგი იყო. ეს წარმოგვიდგენს ერთს სწორს სამკუთხედს მომწყვდეულ მდინარე მტკვრით, ამაში შემომდინარე არაგვით და სარკინეთის ქედით. ეხლანდელი მცხეთა მიმწყვდეულია მხოლოდ ერთ კუთხეში, მაშინ, როდესაც ძველი ქალაქი იყო დაფენილი ამ სამკუთხედის მთელს სივრცეზედ; ხოლო იქ, საცა ეხლა სახლებია, უფრო ბაღები, ვენახები იყო; ქალაქის უმთავრესი ნაწილი კი მდებარეობდა სარკინეთის მთის ძირში. ამ ნაწილს ქალაქისას ერქვა **კოდმანი**; მის ადგილას ახლა ჰყრია ნანგრევების ნაშთნი. კოდმანის დასავლეთის მხრით მდებარე მთანი უწინ იყო ხშირი ტყით მოცული; ხოლო მტერმა გადასწვა, გააოხრა კოდმანიც და მის ტყენიც. კოდმანის გავერანებას ხელი შეუწყო აგრეთვე ქართველთაგან ქრისტიანობის მიღებამ და ქრისტეს კვართის პოვნამ.

ჩვენი საეკლესიო ისტორია ამ კვართის შესახებ ასე მოგვითხრობს:იესო ქრისტეს ჯვარცმის დასასწრებად ქართველთაგან წავიდა იერუსალიმში ელიოზი (დედა ამისი წინასწარმეტყველის ილიას შთამომავლობისა. მ.ჯ.). კვართი იესოსი წილის ყრით ერგოთ მცხეთის ურიებს. ელიოზმა მოიტანა იგი მცხეთაში და თავის დას სიდონიას გადასცა, რომელმაც ხელში აღებისთანავე განუტევა სული. კვართი მას ვერასგზით ვერ გამოაცალეს ხელიდან და ისე კვართიანად ელიოზმა ფარულად დამარხა.

წმ. ნინომდე სიდონიას საფლავის ადგილი არავინ იცოდა. ხოლო ნინოს, როდესაც ეს მეფის მირიანის მებაღესთან დაესახლა, როგორც ისტორია მოგვითხრობს, განგებამ აუწყა, რომ კვართი ამართა იმ ნაძვის ხის ქვეშ, რომელიც მეფის ბაღის შუაში იდგა და რომელსაც მირონი გამოსდიოდა.

მირიანისაგან (318 წ.) ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევის შემდეგ, მთელი ქრისტიანი ხალხის ყურადღება მიქცეული იყო ამ ერთ მტკაველ ადგილისადმი, ამ ნაძვისადმი. ყველანი კრძალვით და შიშით უყურებდნენ ამ ადგილს, რომელსაც სთვლიდნენ მალამოდ ცოდვიან სულის განსაკურნებლად და ყოვლად შემძლებელ ძალად. აი რის გამო მეფე მირიანმა ამოირჩია ეს ადგილი პირველი ეკლესიის ასაშენებლად თავის ვრცელ სამეფოში. იმან მოჰკვეთა დიდი ნაძვის ხე და ექვსი ტოტი ბოძებად იხმარა ახალი ეკლესიისათვის.

მირიან მეფე ეკუთვნის ხოსროიდების გვარტომობას. საქართველოში ხოსროიდების გამეფებამდე იყვნენ ქართლოსიანები, ნებროთიანები, არშაკები; ამ უკანასკნელთაგან იმეფეს საქართველოში 28 მეფემ-566 წელს; ხოსროიდებთაგან 20 მეფემ-454 წ. ამათ შემდეგ 545 წ. ქრ. აქეთ ვიდრე 1800 წლამდე ბაგრატიდებმა, ესე იგი 1255 წელი. ბაგრატიონთ მეფეების გენეალოგია იწყობა ურიების მეფის დავითის მამის იესესგან. ამათი ტიტული იყო:ჩვენ, მეფედ მეფე, ღვთისაგან კურთხეული, თვითმპყრობელი და დამოუკიდებელი ხელმწიფე, შვილი იესესი, დავითისი, სოლომონისა, ბაგრატისა, ბატონი შვიდის სამეფოისა და სხვ.” გაკსგაუზენის აზრით, მრავალი ძველი გვაროვნობა საქართველოში არიან იტალიური ჩამომავლობისანი,

რომელნიც გადმოსახლდნენ საქართველოში გენუელების მფლობელობის დროს. მაგ. ციცი (ეხლა ციციშვილები) არიან ლომბარდიელები, აგრეთვე მარღანიები, ფალავანდი, ლინიძი ლეონიძეები), კორინთელი. სიდამონი და სხვ. ანდრონიკაშვილები-ჩამომავალია ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკისა.

მლოცველებთან ერთად მეც მივიჩქაროდი ამ ახალ მცხეთისკენ. მოგვესმა ზურნის, ნაღარის ხმა. რამდენიც უახლოვდებოდით დიდ ტაძარს, იმდენი ხმაურობა ემატებოდა. ბოლოს მივაწიეთ ტაძრის ციხის კარებთან.

ხალხი იყო მრავალი და ფერად-ფერადი. აქ თქვენ ნახავდით ყოველი მილეთის ხალხის ტიპებს; ქართველს, სომეხს, ოსს, ქისტს, ლეკს, ყიზილბაშს, რუსს, ფრანცუზს და სხ. და სხ. არც ერთს სხვისთვის არ სცალოდა:ყველა თავის თავის სამსახურში იყო, გარდა ტფილისის კინტოებისა, რომელნიც აქაურ სახლების ბანზე შეგროვილიყვნენ; ყვავილებით მოერთოთ ბანი და დროს ატარებდნენ ცეკვა-თამაშში, ლაზღანდარობა-გალობაში. აგერ მესტვირე თავის სტვირს ჰბერავს, ჰმართავს, რომ იშოვოს რამდენიმე გროში; მეარღანეც დასტრიალებს კინტოებს. ტაძრის ეზოში შავედი; აქაც ცეკვა თამაში, ჭიდაობა, სეირნობა ქალ-ვაჟთა.

ამდენ სანახავებს თავი დავანებე, მივედი მეფე ალექსანდრესაგან მე-XV საუკ. განახლებულ (მირიანისაგან 328 წ. აშენებული ხის ეკლესიის მაგიერ 378 წ. მეფე მირდატმა ქვისა ააგო, რომელიც ვახტანგ გორგასლანის შეკეთების და გიორგი მეფისაგან 1320 წ. განახლების შემდეგ, ლანგ-თემურმა თავის საქართველოში შემოსევის დროს (1387 წელს) სრულიად გაანადგურა) დიდ ტაძრის კარებთან და შიგ შევედი. წირვა გათავებულიყო, მაგრამ ბლომად მლოცველნი კი შემოდიოდ-გადიოდნენ. ზოგი წყნარად, სასოებით იდგა ხატის წინ და ჩუმათ ლოცულობდა; ზოგი უნთებდა სანთლებს და ეკედრებოდა სვეტიცხოველს (მცხეთის სობოროს ეხლაც ჰქვიან ,,სვეტი ცხოველი” იმ ნაძვის ხის სვეტებისაგან, რომელიც აქამდე დარჩომილია შიგ ამ სობოროში და რომელსაც მირონი სდიოდაო. მ.ჯ.);

ზოგი, უმეტესი ნაწილი, ტრიალებდა ეკლესიაში, აკვირდებოდა ძველს ქართულს მხატვრობას, რომელიც თავის სილამაზით და ხელოვნურის ქმნილებით არა ერთს აკვირვებდა; ზოგნი შინჯავდნენ იმ ჩვენ წინაპართა საფლავის ქვებს, რომლებზედაც სწერია მათი ვინაობა და ხარისხი. ვნახეთ, საკურთხეველის კარების წინ ასაფლავია უდიდესი გმირთაგანი, საქართველოს ხმლის წარმომადგენელი მეფე ერეკლე-,,პატარა კახი”, რომლის სახელი თავზარს სცემდა ლეკებსა და ოსმალებს, რომლის დიდება, სიმხნე და მამულისათვის თავდადება სამაგალითო და წასაბაძავი გახდა დიდის ფრიდრიხისათვის... მის გაყინულ გულზე მდებარე ლოდზედ ეწერა რუსულად:,,ერეკლე მეფე ქართლისა და კახეთისა, აღვიდა ტახტზედ 1744, გარდაიცვალა 1798”.

მეფე ერეკლეს საფლავის პირდაპირ იმავე კარების მარცხენით იმგვარსავე ლოდზე წავიკითხე:,,გიორგი XII, უკანასკნელი მეფე საქართველოისა”.

ამავე ეკლესიაში ჰმარხიან:გმირი გორგასლან, დავით ლაშას-ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ, სვიმონ, გიორგი, აგრეთვე ჩვენი შესანიშნავი გრამატიკოსი, ფილოსოფოსი, პოეტი, ისტორიკოსი, რიტორი მეფის ძე-კათალიკოსი ანტონი მეორე და სხვანი შესანიშნავნი გვამნი. ეკლესიაში არის ლოცვა-წირვის მოსასმენი ტახტნი:მარჯვნივ კათალიკოსისა, მარცხნივ მეფისა-მარმარილოსი.

დიდხანს ვიტრიალე ეკლესიაში და ვათვალიერე ყოველი კუთხე. საკურთხეველი სამად არის გაყოფილი. ტაძარში ოთხი დიდი სვეტია, რომლებზედაც მოშენებულია ეკლესიის თაღი. მარჯვენა სვეტებ შუა არის სვეტიცხოველი. ამის მარჯვენათი მიშენებულია ეკვდერი.

ეკლესიას აქვს სამი კარები; დასავლეთის კარები ყველაზე დიდია. იატაკი თლილის ქვით დაფენილი. კედლები სულ დახატულებია (სხვათა შორის გამოხატულია გზა კვალის დაბნევა მირიანის თსოთის ტყეში და ანტიოქიის პატრიარქი ესტატე, რომელიც მიაწვდის მირიანს სახარებას და აკურთხებს მცხეთის სობოროს. ეს ის ესტატეა, რომელიც სხვა მღვდლებთან ერთად გამოგზავნა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მირიანის და ქართველთ გასანათლავათ) მხოლოდ ზოგიერთთაგან დროს და ულმობელ ხელს მოუშლია. თაღში არის ეკლესიის ბიბლიოთეკა და სამალავი, რომლისთვისაც არა ერთხელ შფოთიან წლებში მტერს მუსრი აუდენია.

სული და გული რომ გამიძღა ხილვით ჩვენი წარსულის სასიქადულო ქმნილებისა, გამოვედი გარეთ და მეც, სხვათა შორის, ტაძარს გარშემო ტრიალი დაუწყე.

მცხეთის ეკლესია აშენებულია სოფიის კენჭით. კედლებზე გამოჭრილი ჯვრები, ხატები და სხვადასხვა სურათები დახურულია თლილის ქვით. ტაძრის სიგრძე არის 61 ადლი, სიგანე 27 და სიმაღლე 37.

ტაძარი შემორტყმულია მაღალ კედლებიან ციხით. დასავლეთის მხრით არის ძალიან დაძველებული სამრეკლო. უწინდელ მეფის სასახლის, კათალიკოზების სახლის ადგილას ორ სართულიანი სახლი, რომელშიაც სცხოვრობენ გედევანიშვილები.

ეს გედევანის შვილები თავის თავს სთვლიან ჩამომავლებად ელიოზისა, რომელმაც კვართი ქრისტესი მოიტანა იერუსალიმიდან, და ვითომ, ამ ჩამომავლობის ძალით იმათ ეკუთვნით უფლება, რომ იცხოვრონ იმ ადგილის ახლოს, საცა იყო დაფლული კვართი (კვართი ქრისტესი ბოლოს იყო ამოთხრილი, მეფის ოჯახში ინახებოდა. შაჰ-აბასმა დაატყვევა ერთ საქართველოში შემოსევის დროს და მეგობრობის გამოსაცხადებლად წარუგზავნა რუსეთის იმპერატორს.

კარგა მოღალული ვიყავი, რომ გავედი ციხის გარეთ და გავწიე სამთავროსკენ. გავიარე შუაგული მცხეთისა და გამიკვირდა, რომ ეს ადგილები ნაგვით და უწმინდურობით სავსე ვნახე. თუ ამისთანა შესანიშნავ დღეს ამისთანა ბინძურობაა აქ, რას უნდა მოველოდეთ სხვა დროს!

ამისთანა შესანიშნავ ადგილას, ზედ ქართველთ სამხედრო გზაზედ, მტკვრის და არაგვის ნაპირებზედ, თბილისის ახლოს, აქაურ ხალხს არ ეტყობა მდიდრობის, შეძლებულობის ნიშანი. სახლები აფუშულ-დაფუშული, ქუჩები უშნო, დუქნები არ ვარგები, ბევრნი გომურებიდან არ გამოსულან. მხოლოდ ერთი გვარიანი სახლია აქ დეკანოზის მრევლიშვილისა, ზედ არაგვის პირზედ, საიდანაც კაცს თვალწინ ეშლება დიაღ კაი სურათი.

ჩრდილოეთისკენ ღელე არაგვისა; მის აღმოსავლეთ პირამდე ჩამოწოლილა ზედაზნის ტყიანი მთები, რომელნიც არაგვის პირისპირ ჩამოდიან ვიდრე მტკვრის მარცხენა კიდემდე და აქედან ბრუნდებიან აღმოსავლეთისკენ და მიდიან უწინდელ ქალაქ უჯარმამდე. ამ მთებს ერქვათ აგრეთვე **იალონის** მთები.

არწივსავით მაღლიდან დაჰყურებს მცხეთას ჯვარის მონასტერი, რომელიც მოშენებულია ზედაზნის მთის მაღალს კლდეზედ.

ეს მონასტერი აშენდა იმ ადგილას, საცა პირველად წმ. ნინომ დაასვენა ჯვარი სვეტიცხოვლისა, რომელიც გურამ კურატპალატამდე აქ იდგა. ამ მეფემ დაიწყო აქ ეკლესიის შენება და მისმა შვილმა დიმიტრიმ შეასრულა. ვახუშტი ამბობს, რომ:,,ამის (ეკლესიის) დასავლით, მუნვე კლდესა შინა, დის წყარო წმიდის ნინოსაგან სასმისად

კეთილი და ჰკურნებს სენთა და არს გარემონი მისნი მლაშე და მწარენი და იგი ფრიად ტკბილი”.

ამავე ზედაძნის მეფე ფარნაჯომმა აღმართა კერპი ზადენი, რის გამო ამ მთას ეწოდა ეს სახელი. შემდგომ მეექვსე საუკუნეში მოსულმა ერთმა მეათცამეტე მამათაგანმა-იოანემ აღაშენა აქ ეკლესია და მონასტრად ჰყო. თვით მუნვე არის დაფლული. იგივე ვახუშტი თავის გეოგრაფიის მე-300 გვერდზე მოგვითხრობს:,,ამ ეკლესიის კამაროდამ სწვეთს წყალი და უდგს ქვემორე ავაზანი ქვისა და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების (წყალი) და არცა აღმოევსებით მოაკლდების; უკეთუ აღმოიღო რითმე და ჰკურნებს სენთაცა”.

სარკინეთის მთის ძირში არის არჩილ მეფისაგან აგებული სტეფანწმინდის ეკლესია, რომელშიაც ეხლაც სცხოვრობენ მოლოზნები. აქ დაარსებული წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელი ამ რამდენიმე წლის წინ გააუქმეს, თუმცა, უნდა ვსთქვათ, რომ მცხეთას ძალიან შეშვენოდა ამგვარი სასწავლებელი.

კარგი იქნება, რომ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ აქ გახსნას სოფლის სკოლა. მცხეთა ისეთი ადგილია, რომ კარგი მასწავლებლის ხელში იგი თვითვე აღძრავს ღრმა სიყვარულს მამულისადმი, თვით ეროვნობის, კაცთმოყვარეობისადმი.

ეკლესია ლამაზია, მაგრამ დაძველებული სახურავი გაფუჭებულია საზოგადოთ და შიგ და გარეთ ეკლესია კაი გემოზე, დიდის ხელოვნებით არის აშენებული. აქვს ვრცელი ეზო, საცა ბერებისათვის სენაკებია დამართული.

ამ მონასტრის ჩრდილოეთისკენ 20 საჟენზე, გზის აქეთ-იქით ნაპირებზე არის გამოჩენილი აკლდამები.

ამ სასაფლაოს პატარა იქით სარკინეთის ქედიდან მოდის მისი ტოტი (საგუდის მთა), ვიდრე არაგვის პირამდე. სწორეთ საგუდის აღმოსავლეთ წვერზე არის აშენებული დიდი, მაგარი ციხე, რომელსაც ჰქვიან ახალი ციხე. ვინ, როდის, რისთვის ააშენა ეს ციხე, მე ამაზედ ისტორიის ცნობები არა მაქვს, მხოლოდ კი ვფიქრობ და გაგონილიც მაქვს, რომ იგი ჰკეტავდა არაგვის ყელს ჩრდილოეთის მხრიდამ მტერის შემოსევისაგან, განსაკუთრებით ოსების შემოსევისაგან.

ციხეს აქვს დიდი ბურჯები, კარგი, მაღალი კედლები, რომელთაგან ზოგი დანგრეულია.

ამ ციხიდან დიდებული პანორამა მოჩანს. მცხეთის მხრით პირდაპირ საწკეპელის ტოტი ჩამოსული მტკვრის პირამდე ისე, რომ ერთი რკინისგზის რელსების დასაწყობი და ფოჩტის გზის საადგილო ძლივს დარჩომილა მის და მტკვრის შუა. ფოჩტის გზაზედ მოჩანან თითქმის მუდამ ურმები, ადამიანები:მოჩანს აგრეთვე ის ადგილი, საცა ,,არაგვი ერევა შფოთიან მტკვარსა” და წმინდა, ორაგულებით სამსე არაგვი. ციხის ძირში (მცხეთის მხარეს) ვენახები, ბაღები და საყანე ადგილებია.

კარგა ხანს რომ დავტკბი და კიდეც შევისვენე, მე დავბრუნდი მცხეთაში და აქედამ გავწიე რკინიგზის სტანციისაკენ.

ჩვენი მატიანეებიდან სჩანს, რომ პირველ დროითგანვე საქართველო განთქმული იყო ყველა უწინდელ ისტორიულ ხალხებში თავის ბუნების სიმშვენიერით, სიმდიდრით. აგრეთვე მის მცხოვრებთა სიმძლავრით და ახოვანებით. ამიტომ ყველა ხალხებს, რომელიც კი განითქვნენ ისტორიაში თავის ხალხების დამონავებით, ჰქონდათ მიპყრობილი თვისი გონება ამ ქვეყნისადმი; ყველასთვის საქართველო შეადგენდა ტკბილს ლუკმას. ამიტომ ყველა უწინდელ ისტორიულ ხალხებმა სცადეს თავის ძალ-ღონე საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებაში.

1500 წ. ქრისტეს წინეთ ქართველთ შემოესივნენ მისირელები და დროებით დაიმორჩილეს. ისტორიის ბნელს ხანებში საქართველოს ეწვია ბერძნების გმირი იაზონი ოქროს მატყლოსანის ყოჩის მოსატაცებლად. მრავალჯერ ჰწვევიან საქართველოს არაბები, რომაელები, ბერძნები, სპარსელები, მონგოლები, სკვითები, ლეკები და სხვა მრავალი მთიული და ველური ხალხები. ამათ დაუმატოთ ისიც, რომ დიდი გადასახლება აზიის ხალხთა ევროპაში მომხდარა კავკასიის ყელიდან, ჩვენი მამულიდან. ამდენი ხალხი, მტერნიც და ჩვენი მოყვარენიც მრავალ გზობას ზურგზედ ატარა ჩვენმა მამულმა და, რასაკვირველია, თუ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ტანჯულ დედამიწისა გვხვდება დიდებული ნანგრევები შენობათა, თხრილთა, გამოქვაბულთა და სხვა საკვირველებათა.

ამდენი მილიონი ხალხების შემოსევა და მერე აქედან გასვლა დიდად აზიანებდა ჩვენ წინაპართა ხელოვნურს ნაწარმოებს. შემოსეული მტერი თავის წადილს რომ ვერ მიაღწევდა, ხშირად რაც მოხვდებოდა გზაში, ამხობდა და ასე გადიოდა საქართველოდან. მაგრამ ჰხდებოდა ასეც, რომ რომელიმე მტერი როდესაც გაიმარჯვებდა ქართველებზე და დიდი ხნობით დაიჭერდა ჩვენს ქვეყანას, მაშინ თავისაგანვე განადგურებულს სიმაგრეებს ხელახლა ამაგრებდა და აგრეთვე აშენებდა ახალ სიმაგრეებს და მათში ჩააყენებდა ხოლმე ჯარს თავის უფლების და ბატონობის დასაცველად. ამისთანა სიმაგრეთაგან ჩვენ ვიცით რამდენიმე:თფილისში-სოლოლაკის გორაზე მყოფი ციხე-შურის ციხე სპარსელებისგან აშენებულია; სიღნაღის მაზრაში-ყარაღაჯის ციხე; გორის ციხე, აშენებული იმპერატორის ირაკლისაგან; პომპეის ხიდი და მრავალი სხვა შენობა სიმაგრენი გორების წვეროებზე.

ყველა ხალხებს, რომელთაც კი უნდოდათ საქართველოს დამონავება, სცდილობდნენ პირველათ დაემხოთ იმის სარწმუნოება, რომ ეს სარწმუნოება შეეცვალათ თავის სარწმუნოებით. ამიტომ ყველა ომები, რომელნიც ჰხდებოდნენ საქართველოს ნიადაგზე, პირველათ იყო ომი სარწმუნოების გამოისათ.

მისირელებმა ქართველებს ასწავლეს თაყვანისცემა მზისა, მთვარის და ვარსკვლავებისა, ბერძნებმა დაუდგეს კერპნი:დიანა, აფროდიტა, აპოლონი და სხ., სპარსელებმა გაავრცელეს ცეცხლთაყვანისმცემლობა და დაასახლეს საქართველოში მოგვნი. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ბერძნების იმპერატორები სცდილობდნენ მოექციათ ამ რჯულზე ქართველნიც, რომ რჯულის შემწეობით ადვილად დაემორჩილათ ქართველები. ეს იყო მიზეზი, რომ იმპერატორს კონსტანტინე დიდს ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო მირიანის განათვლის ამბავი. ბოლოს მაჰმადის სიკვდილის შემდეგ ოსმალები, არაბები და ყიზილბაშები საქართველოს დამონავება-დამშვიდებას ჰხედავდნენ ქრისტეს სარწმუნოების მაჰმადისაზე გაცვლაში.

როგორც ყოველი მონადირე სცდილობს თავის მსხვერპლს მოარტყას შიგ გულში და დასცეს იგი, ისე ყველა საქართველოს მტრები სცდილობდნენ დაეჭრათ იგი გულში. და ვინ არ იცის, რომ საქართველოს სისხლი ჰსჩქეფდა მცხეთაში და მის მიდამოს! ძველადგანვე მცხეთა იყო შუაგული საქართველოისა და იგი სულიერად ჰკვებავდა მთელს სხეულს წმინდა სისხლით.

ჩვენ ვიცით, რომ წარმართობის დროსაც და ქრისტიანობის დროსაც მცხეთა (და მისი მიდამონი) იყო საყდარი ჩვენის რწმენისა, უდიდესი ჩვენი თაყვანისსაცემი ადგილი; ეს იყო აგრეთვე ის აკვანი, რომელშიაც პირველი ქართველთ დედა არწევდა ჩვენს მამათმთავარს; ერთის სიტყვით, მცხეთა იყო სამღვთო ადგილი ქართველთათვის.

აი ამიტომ ყველა ჩვენი მტრები მოესწრაფოდნენ ამ საყდრისაკენ და მის დაჭერა, დამორჩილება ჰნიშნავდა მთელის საქართველოს დამორჩილებას.

ეს არის მიზეზი, რომ ეს მრავალტოტიანი ხე, რომლის კალთის ქვეშ შეხიზნულ იყო ყოველი მხრის ქართველი ხალხი, ეხლა ამგვარ სამწუხარო მდგომარეობაშია. ეს არის მიზეზი, რომ ეხლა მცხეთის ოთხივ კუთხივ მდებარე, ერთ დროს აღყვავებული, ადგილები (ჯვრის, ზედაძნის, შიომღვიმის, ახალი ციხის და სხვ.) აოხრებულია! ეს არის აგრეთვე მიზეზი, რომ ერთ დროს დიდებული მცხეთა ქართველთა რომი, გინა ათინა, ეხლა ღარიბი სოფელია!

ისტორიის მოწმობით, დანგრეულს მცხეთას ქართველნი იმიტომ აღარ აშენებდნენ, რომ მტრებისაგან შეუნიშნავად დარჩომილიყო იგი, როგორც ერთი უმნიშვნელო ადგილი. ამიტომ ვახტანგის შვილმა დაჩიმ ტახტი გადიტანა თფილისში, რომ მტრის ყურადღება მიექცია ამ ადგილისათვის და აეცდინა მცხეთისაგან ის სვე, რომელიც ხვდა ნინევიას და ბაბილონს, რომელნიც აღგვილ იქმნენ დედამიწის პირიდან (იხ. ,,აღწერა ქართლისა”- ბატონიშვილის ვახუშტისა, გვ. 210).

მცხეთიდან წამოსული მალე მივედი მტკვრის ხიდამდე, რომლის ქვეშ ის იყო ორი ტივი გამძვრალიყო. მეტივენი იქვე აბამდნენ თავიანთ ტივებს მარცხენა ნაპირზე და სიცილ-ხუმრობით მუსაიფობდნენ. მუდამ სვეტიცხოვლობას მე მინახავს მტკვარზე მრავალი ტივები. ამ ტივებზე ამ სოფლებიდამ ჩამოდიან სალოცავად მცხეთაში მლოცველნი და მერე რკინიგზით ან ფეხით ბრუნდებიან შინ.

აქ დიდხანს არ მომიცდია. სტანციაზე გაჰკიოდა და ქშინავდა მატარებელი. მივედი სტანციაში და შევედი ვაგონში თუ არა, იფრინა 80 თვლიანმა და 20 ოთახიანმა მატარებელმა, რომელშიაც ჭკვიანს ადამიანს ხარების მაგიერ შეუბამს ორთქლი.

დათვალიერება მეტეხის ტაძრისა

,,მწყემსი” 1884, N 18, 15 სექტ. გვ. 6-9.

ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა, ყოველი მწვერვალი კავკასიის მთათა მაღლიდან მოგვითხრობენ დიდებას სიონისას! ძველი მონასტერ-ტაძრები, რომელთაგან მრავალი მტერს შეუმუსრავს, ეხლაც მთათ-სავანეთაგან გადმოჰყურებენ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას და უგზავნიან მას ლოცვა-კურთხევას და მოგვითხრობენ ჩვენი წინაპრების მხნეობას, ურთიერთსიყვარულს და ძმობას. ჩვენი ხალხი, მხილველი ამ საყდართა, არ ივიწყებს მათ და დღეობასა მათთასა მრავლობით იკრიბება ამ ტაძრების გალავნებში შესავედრებლად ღვთისა და ამასთანავე არ იშურებს მცირეოდენსა მსხვერპლსაცა, რომელსაც დაუკლავს ტაძარსა წმიდათასა სამსხვერპლოსა ზედა აბრამისათა. ერთი ამგვარი, სხვათა შორის, ძველი ტაძარი საქართველოში არის მეტეხის ტაძარი ქ. თბილისში.

გამოჩენილი და ჩინებული მამულისშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში (გვ. 188-191) სწერს მეტეხზე ასრე:”ისნის არს, კლდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა ზედა ციხესა შინა, მეტეხის ეკლესია ღვთისმშობლისაა, გუმბათიანი, დიდ-შვენიერ-ნაშენი, საარქიმანდრიტო; შემუსვრილი აღაშენა 66 მეფემან დიმიტრიმ; 92 მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა და არს უქმად”.

ამ ტაძრის შენება დაწყებულა მეფობასა შინა დიდებულისა და ფალავანთ სწორისა მეფისა ჩვენისა ვახტანგ გორგასლანისა ხოსროიანისა ძისა მირდატ

მეხუთისა. დიდიხნის მეფობა მისი (446-499 წ.) წარმოგვიდგენს ერთს საჩინო ხანს გრძელის ჩვენის ისტორიისას. საჩინოს თავის ძლიერებით, ხალხის სიმხნე-სიფხიზ-ლით, ქვეყნის შენება-წარმატებით. ამ დროს, როგორც საქართველოს ნიადაგმა, ისე იერუსალიმ-პალესტინის სანახებთა იხილნეს უხვნი შეწირულებანი ქართველთაგან:აღსამართავად ციხე-ბურჯთა, მონასტერ-ტაძართა, გადმოსაღებლად სამშობლოსა ენასა ზედა ივერიელთასა სიტყვისა უფლისა ქვეყნისა იესო ქრისტესა, მისანიჭებელად საქართველოის ეკლესიისათვის თვითმყოფელობისა ანუ ავტოკეფალობისა და დასაარსებლად მონასტერთა უბე-ზღუდეთა შინა სკოლათა ქრისტიანებრივად აღსაზრდელად ერისა ჩვენისა. აი, რანაირად გვიხატავს დაუღალავი და საკვირველი სიმხნითა თვისითა კათალიკოზი ანტონი I ვახტანგის მეფობის დროს:

,,ვახტანგ მგელ-ლომი. სიკისკას სიჩაუქით,
დამცემი ოსთა გოლიათთა ჯვარითა,
მზე განმანათლი სამეფოსა თვისისა,
მღვდელ-მთავრობითთა, საყდართ მკაზმე-მაკეთი;
ვახტანგ სინდთა და სხვადასხვა ბარბაროზთა
ზედგანმხედრი, დამცემი კონსტანტინებრ,
მონარხიოსა შემაერთი ბრძენ სიმხნით.
მფლობი კოლხიდით, ვიდრე ირკანიამდე,
მფლობი აზიურ სარმატიისა ყოვლისა,
ბრძენი, მხნე მეფე, განჰმსჯი მართლიად-მარად”.

ეს მეფე მისი ვაჟკაცობისათვის წოდებულ იქმნა სპარსთაგან გორგასლანად, ესე იგი მგელ-ლომად; მრავალთა შენებათა შორის მან ააგო ანუ, უკეთ ვსთქვათ, დაიწყო აგება დიდებულის ამა ჩვენი თბილისის ქალაქისა, რომელიც არს წოდებულ თბილისად ნაკადულთა მათ თბილის წყლებისათა, რომელნიც აღმოჩენილ იქმნენ ამ ადგილას მეფის ვახტანგისაგან, როცა ის ნადირობდა ტყეთა და ტევრთა შინა სანახებთა და მიდამოთა:მტკვრის მდინარისათა. ქალაქი ესე ვახტანგ აღმაშენებელმან გაჰყო სამ ნაწილად ანუ უბნად:**ყალისად, თბილისად და ისნად** (ავლაბარი). ამ ახალ ქალაქში ჩაჰყარა საძირკველნი ხუთთა წმიდათა ეკლესიათა:**სიონის** ღვთისმშობლის მიძინებისა. **მეტეხის** ღვთისმშობლის ,,ოდიგიტრიისა”, **გოლგოთის** წმიდა ჯვრისა, **ბეთლემისა**, შემდეგ სომეხთაგან დასაკუთრებისა, წოდებული ფეთხაინად და წმიდა **მთავარანგელოზისა** მიქელისა, რომლის საძირკველსა ზედა, შემდგომად მტერთა შემუსვრისა, მე-XVII საუკუნესა შინა, აღიმართა კარიბჭის წმიდა გიორგის ეკლესია.

ქართული ლექსი მეტეხი წარმოსდგება ბერძნული ლექსისაგან ,,Metox”, რომელიცა ითარგმნების ქართულად მეტოქი ანუ ,,კარი”, ,,კარიბჭე”. ღვთისმშობლის მეტეხის ტაძარი დაარსებიდგანვე შეიქმნა მეტოქად მეფეთა და კათალიკოზთა და მღვდელმთავართა ჩვენთა. ამას გვიმოწმებენ ძველნი გუჯარნი და სიგელნი ეკლესიისანი. მეტეხად იწოდება აგრეთვე ერთი სოფელი ქართლისა, ესეც თვისის ,,ოდიგიტრიის” ღვთისმშობლის ეკლესიით ეკუთვნოდა კათოლიკოზ-პატრიარქთა და იყო მათი მეტოქი (გუჯარი მეტეხის ტაძრისა N 405 და 212 მოგვითხრობს, რომელ ,,მცხეთის ტაძარსა ეკუთვნის თბილისში მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია, ავლაბა-რი თავის ტყით, ლეღვისხევი თაბორის ეკლესიამდის და ახალუბანი თბილისში ქალაქის გლეხებითურთ” (პ.იოსელიანი). ოდიგიტრიის ღვთისმშობლის დღესასწაული დაწესდა, როცა საბერძნეთში მეფობდა თეოდოსი მცირე (408-450 წ.);

დღესასწაული (დღეობა) კი ჩვენის მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრისა დადგენილია დიდი მარხვის მეხუთე კვირიაკის შაბათს, დაუჯდომელობისასა.

ამ ეკლესიის შეხედულება დიდებულია. მშვენიერი გუმბათი, რომელიც სიძველისა გამო მოვარდნილია, მაგრამ პირვანდელის მსგავსად ხელახლა გაუკეთებია თხემსა ზედა ტაძრისასა მეფე დიმიტრი თავდადებულს, რომელი ეწამა ქრისტესთვის მონგოლთა წინამძღოლის არღუნისაგან 1289 წ. ამ მეფემან, რომელიც იყო ღვთისნიერი, მოკრძალებით მოშიში, გლახაკთა და დავრდომილთა შემბრალებელ და შემწყალებელ, სხვაფრივაც განამშვენა ეკლესია მეტეხისა და შესწირა მას შესამოსელნი კრებულისათვის და წმიდანი ჭურჭელნი.

შემდეგ დროში (დაარსებიდან თბილისისა ვიდრე მეფობამდე როსტომისა (1634-1658 წ.) სასახლე მეფეთა იყო მეტეხის ციხეში და მეტეხის ტაძარიც ითვლებოდა სამეფო კარის ტაძრად. ხოლო მეფემან როსტომ ქალაქში აიშენა მშვენიერი სასახლე და მის შემდეგ ძველნი სამეფო პალატნი მეტეხისანი გაუქმდნენ და კარის ეკლესიადაც შეიქმნა წმიდა გიორგის ტაძარი) ეკლესია მეტეხისა მოკლებულ იქმნა სიტყვასა ღვთისასა. გამაჰმადიანებულმა მეფემან ვახტანგ მეხუთემ, შაჰ ნაოზად წოდებულმან 1661 წელსა ამა ეკლესიის მსახურნი გამორეკნა და მასში შეზიდა წამალი და გაავსო სრულიად. მაგრამ განრისხებულმა ცამ წარმოსტყორცნა ეკლესიასა მეხი და დიდად დააზიანა. მაჰმადიანმა ხელახლა შეაკეთა იგი და კიდევ წამალხანად იხმარა. ამავე ყოფაში იმყოფებოდა ტაძარი მეფობასა შინა გამაჰმადიანებული ერეკლე I ნაზარალიხანისა, რომელმაც ეკლესია ციხითურთ გადასცა სპარსელებს. მხოლოდ ღერკულესმან, მამაცთა შორის საკვირველმან, პატარა კახმან ერეკლე II შემუსრა სპარსნი, გაჰყარა იგინი საქართველოდან და იხსნა მეტეხის ეკლესიაცა და მთელი ქვეყანაცა მტარვალთაგან. ამ ჩვენი მეფის სახელოვან მოქმედებას, სხვათა შორის, გვაუწყებს წარწერა ქვასა ზედა, რომელიცა ჩატანებულია მეტეხის ეკლესიის აღმოსავლეთის კედელში, გარედან. აქ მნახველი წაიკითხავს შემდეგ წარწერას

,,მეფე ერეკლემ ეს ციხე მტერთა წაართო ძალადო,
აიღო ჯვარი ქრისტეს წინ მიიმძღვარა ფარადო,
დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქვს სახლის კარადო,
ღვთის მოყვარესა ხელმწიფეს ასე ჰსჭირს ამის გვარადო;
ღვთის სადიდებლად, მეოხად მეფის ერეკლესია”.

თუმც მეტეხის ეკლესია და მთელი ქვეყანაცა ცოტა არ იყოს განამშვენა მეფე ერეკლემ, მაგრამ არა დიდი ხნობით. ერეკლესაგან აღორძინებულს საქართველოს მალე ბოლო მოუღო საშინელმა მტერმა საქართველოისამ და მთელი კაცობრიობისამ აღა-მაჰმადხანმა. მან აიღო თბილისი, რომელშიაც პირქვე დასცა თითქმის ყველა შენობა, გაძარცვა ტაძრები და გასწყვიტა ყველა ქრისტიანენი. და დაშთენილნი ქალაქსა შინა, რომელთაც ვერ მოასწრეს ქალაქიდამ გასვლა. გაძარცულ იქმნა აგრეთვე ტაძარი მეტეხისა. ამ დროს დაიკარგა ამ ტაძრის ძვირფასი ღვთისმშობლის ხატი. ამის მაგიერ მეფის ძემ იულონმა და მისმა თანამეცხედრემ სალომემ, რევაზ ამილახვრის ასულმა, გამოუგზავნეს ტაძარს სანკტ-პეტერბურღიდან ახალი ძვირფასი ღვთისმშობლის ხატი.

ვისაც კი ეს ტაძარი დაუთვალიერებია, არ შეიძლება არ შეენიშნა ეკვედერსა შინა ეკლესიისა საფლავი წმიდისა დიდისა და შვენიერისა შუშანიკასი, რომელიც წამებულ იქმნა თვისის ქმრის ვასკენისაგან (ვარსქენი), არანის მმართველისაგან (ბდეშხისაგან). ამ ვარსქენმა შიშისაგამო სპარსთა მეფისა, მიიღო მოგვობა და სურდა, რომ თავის მეუღლისთვისაც მიეღებინა წარმართობა, მაგრამ შუშანიკი მტკიცედ იდგა სარწმუნოებასა ზედა ჭეშმარიტსა, და ვერაფერი საშუალებით ვარსქენმა ის ვერ

შეარყია სარწმუნოებაზე. მაშინ საშინელის წამებით აწამა თვისი მეუღლე 458 წელს. განრისხებულმა ვახტანგ გორგასლანმა თავისი ძლიერი მხედრობით დაიპყრო არანი, დაატყვევა ვარსქენი და შიშვთილყო იგი; წმიდა სხეული შუშანიკასი წარმოასვენა და დიდის ამბით დაასაფლავა წორგათში (საქართველოს ეკლესია შუშანიკს აღიარებს ასულად ქართველთ მეფისა, ხოლო სომხეთის ისტორია ამტკიცებს, რომ იგი იყო თავადის ვარდან მამიკონის ასული (ისტ. ცამც. ტ. I, გვ.518). როდესაც 586 წ. სომხის ეკლესია განუდგა მართლმადიდებელ ქრისტიანობრივს სარწმუნოებას, რომელიც აღვიარებულ იქმნა მსოფლიო კრებათაგან და წორთაგში (რომელსაც ჰგონებენ წურთავსა) დაინიშნა სომხის ეპისკოპოსი, მაშინ საქართველოს კათალიკოსმა კირიონმა (სიმონ) განდევნა წორთაგიდან მათი ეპისკოპოსი და სხეული შუშანიკასი აღმოიღო საფლავიდამ, მოასვენა თბილისსა და დაასაფლავა ეკვდერსა შინა მეტეხის ეკლესიისა. მის დღესასწაულს ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 28 აგვისტოს.

ამ ეკლესიის ცოტა შორიახლოს, ციხის ძირში, ძველებურ დროს იყო ,,საგოდებელი" მეიდანი, საცა იმარხებოდნენ მკვდარნი თბილისისანი. ეს ადგილი შესანიშნავია მით, რომ აქ 790 წელს არაბთაგან ეწამა გაქრისტიანებული სპარსელი აბო, რომელიც ქართველთა ეკლესიისაგან აღიარებულ იქმნა წმიდანად (დღეობა 8 იანვარს). მეტეხის გორის ძირში, კლდესა შინა, ახლაც არის მცირე ეკვედერი წმიდის აბოსი. ეს ეკვედერი განადიდა და განამშვენა თავადმა ვარშავისამან, გრაფმა პასკევიჩ-ერევნისამ და გაუკეთა კარები. სენატორმა საფონოვმა შიგ დადგა დიდი ხატი წმიდანისა და გაუკეთა მინის კარები და ბჭეს რკინის მოაჯირი.

ციხე, წოდებული ,,ნარიყალად", რომლის შუაგულს მდებარეობს მეტეხის ეკლესია, იყო აშენებული ძველი დროიდანვე. თუმცა მოგზაური შარდენი ამბობს, რომ ეს ციხე 1576 წ. ააგო ოსმალეთის სპასპეტმა მუსტაფ ფაშამაო, მაგრამ მას არ აუგია ის ციხე, არამედ ძველი და დანგრეული განუახლებია (ჩვენი მატიანეს მოთხრობით, ეს ციხე გარემო თბილისისა არსებობდა მეფობასა შინა ვარაზ-ბაკურისა (372-393), რომლისაგან წყენინებულნი სპარსელნი შემოვიდნენ საქართველოში და ააოხრეს ქართლი, კახეთი, შაქი, შირვანი, მაგარი, მაგრამ დიდებული ქალაქი მცხეთა კი ვერ აიღეს. ამიტომ სპარსთა სპასპეტმა უბარამ თბილისის მწვერვალთა ზედა ააგო ციხე, რომელსა ეწოდა ,,შურის ციხე" და მასში ჩააყენა სპანი თვისნი შურის საგებლად მცხეთისა). ეს ციხე შეაკეთა და ზარბაზნებით გაამაგრა რა მეფე ერეკლე II. აქედან მტკვარსა ზედა მაღლიდგან, დამყარებული ქვითკირის სვეტებზედ, იყო გადაკიდული ,,მეტეხის ძველი ხიდი", რომელიც არსებობდა 595-514 წლიდან, ვიდრე უახლოეს დრომდე. ხიდი იყო ხისა და, თუ საჭიროება მოითხოვდა, უცებ შეეძლოთ აეღოთ და მოესპოთ მტერთათვის საშუალება ციხეში შესვლისა.

ეხლა მეტეხის ციხეში გამართულია საპყრობილე და მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიაც არის სამლოცველო ტაძარი პყრობილთა და უძლურთა სულითა.

სოფ. ბიწმენდი 1884 წელსა.

ჩვენნი ისტორიულნი ნაშთნი და მათი სვე. (ხუთი წერილი)[3]*

,,ივერია" 1895, N 159, 28 ივლ. გვ. 2-3; N 162, 1 აგვ. გვ. 2-3; N 163, 2 აგვ.

---

[3] სტატია ავტორმა გამოაქვეყნა ფსევდონიმით ,,ვინმე ხუცესი".

გვ. 2-3; N 169, 9 აგვ. გვ. 2-3; N 172, 12 აგვ. გვ. 2-3.

,,ნეტავი ძმათა მრავალთა.
ცხარი მზე არ დაადგების.
ბევრი ხელის ჭირიმეო
და ერთი ხმისაო""

სწორედ ეს ანდაზები წარმომიდგნენ თვალწინ, როდესაც მიმოვიხილე არა მცირედნი ნაშთნი საქართველოს ოდესმე დიად დიდებულებისა ნაწარმოები, რომელთა თავზედ ათას ორასმა წელმა მეტად და არა ნაკლებ ექვსასისა წელმა გადავლო საშინელის გრიგალით და ვერ შეახო ხელი დარღვევისა და განადგურებისა. მოაღწიეს იმ დრომდის, ოდეს ყველასათვის თვალსაჩინოდაა მეტყველებანი - წარწერანი. წარსულთა საუკუნეთა ცხოველ არიან საგანთანა და მომავალ თაობას თვალწინ უხატვენ წარსულთა დროთა ვითარებასა! ამ ბედნიერს შეგნებას მოჰყვა და მოსდევს უბედურესი და უსაშინელესი განსაცდელი, რომ ისინი, ვინც ღვიძლ ძმად მიგვაჩნია და მოველით იმათთან შესისხლხორცებასა, მეორედ ვინც საქართველოს კალთას ქვეშე იპოვნეს რქა ცხოვნებისა ხსნისა, დღეს ისინი გამხდარან მოსისხლე მტერად ამ დიდებულთა წარწერებით აღსავსე ქვათა და უმსგავსებითა აღსავსე ხელითა სცდილობენ შემუსრონ და ამოამტვრიონ წერაქვითა ის წარწერანი... არაბები მფლობელობდნენ ორას წელიწადს და ისინი არ სჩადიოდნენ ამ ამბებს, რასაც დღეს ვხედავთ და გვესმის. მისდგომიან და ანგრევენ ტაძრებს რკინის კეტით, წერაქვით, ანადგურებენ ნახატებს, თვალებს სჩიჩქნიან წმიდანებს და სხვათა. დღეს თუ რამდენსამე ადგილას მოიპოვება დიდებული ნაშთი დაცული და დაკრძალული, უნდა ვუმადლიდეთ იმისთანა მოღვაწეთ და დაუღალავ მშრომელთ, რომელნიც დასტრიალებენ ამგვარ ნაშთთა, როგორც ღვიძლ შვილს და უფრთხილდებიან, როგორც თვალის გუგას. ამ პირთ რიცხვი სამწუხაროდ ცოტა არის ჩვენში საქმით (თორემ სიტყვით ყველანი) და თუ სხვანიც არიან, არ იციან უუპირ-ველესო-ბა არ მიენიჭოს მამა ბლ. დ-რი ხატ-შვილს (დ. ხახუტაშვილი), რომელიც დაუღალავის შრომით წელიწადში ორჯელ შემოუვლის მაინც, სათითაოდ ინახულებს და უმეორებს ხალხს, რომ ერთი ქვაც არავინ წაიღოს და სუფთათ შეინახონ. ამ მხრივ არა მგონია ბადალი ვინმე მოეძიოს მამა დიმიტრის, მაგრამ რა ქნას - ერთმა კაცმა? ამას ყოველიფერს მოვლა უნდა, რომ შეუბღალავად გარდაეცეს მომავალ თაობასა. რაღა უნდა ჩავაბაროთ, თუ ეს ნაშთებიც განჰქრებიან ჩვენის საკუთარის დაუდევრობისა გამო? ჩვენ ვიქნებით ღირსნი შთამომავალთაგან ძულვისა და წყევისა. დრო არის მოხსენებული ანდაზანი დაიწეროს თითოეულმან და ხელიხელგადახვეულნი შეუდგნენ საყურადღებო ნაშთთა შესწავლას ყოველის მხრით, დაწერონ, საცა მოცდუნება რაიმეა, გასწორდეს და ეს უტყუარნი ნაშთნი იყვნენ კუალად და კუალად დარაჯად წარსულთა დროთა დიდებისა და აწმყო დროისა დაუდევრობისა! ბევრი წარწერა ან სწორედ არ არის წაკითხული ან დავიწყებულია. რად უნდა იყოს ეს აქნობამდე? მოგახსენებთ ჯერ რაც შემიმოწმებია და მსჯავრი მკითხველისა და მთელი საზოგადოებისათვის მიმინდვია.

ხელთუქმნელი ხატი (ანჩისხატის ეკლესიაში) იშვიათი ძეგლი და ნაშთია საეკლესიო სიძველეთა შორის. ახლა ვნახოთ გამოტოვებულია თუ არა წარწერა? აი ეს წარწერა სრულებით არ არის მოხსენებული:»...და სიტყუაო ღუთისა მამისაო შეივედრე უნდოი. ესე მკობაი წ-ის და საშინელისა:განკაცებისა. შენისა. ხატისა. კარნი. პატრონისა. მანდატურთ. უხუცესისა ბექისი: და:მიანიჭე. მკუიდრობი. წმიდათა. შენ-თა:თანა:..მე:და:ძენი:ჩემნი: გვიხსენ ჩვენ:აქათა..

ეს წარწერა ხუცურის ასოთი (ჩართულია) ისევე გადმოვსწერე. აბა რას ბრძანებთ ამაზედ?

,,ქ. მეუღლესა მათსა:..” აღარ არის წარწერა, აგლეჯილია სრულებით. (იხ. 27, 28, 33 გვ. Описан. Тифл.).

ჯვარის მამის ეკლესიის შესახებ პლატონ იოსელიანი არარას მოისხენებს, იქ-კი მოიპოვებიან:”ქ. გიძღვნით ჯვარსა ყოვლად პატიოსანსა ხორცით ქრისტესითა... და მორწმუნეთაგან თაყვანის ცემულსა ეშმაკთა დამცემელსა... და მართლმადიდებელთა შენთა აღმამაღლებელსა. შენ გადვიცევ სულით და ხორცით მონანი შენნი დავით და მიხაილ სახლეულითურთ ქ-სა JJ-Cyb წელს. წელსა 1794 წარმოვლენილმან წმიდის საფლავით საქართველოსა შინა 30 წელიწადი ვმართე სისხლამდე შრომილითა და ღუაწლითა ყმანი და ადგილნი მისნი და უკანასკნელ დროსა როსსიის ერთმთავრისა ალექსანდრე პირველის წელსა ჩყკე 1825 წ. აღვაშენე ახლითა საფუძვლითა კარიბჭე ესე სამრეკლოითურთ, რომელიცა შევაერთე ძუელად ნაშენსა ეკლესიასა ტაძარსა ამას ცხოველს მყოფელისა ჯვარისასა. და ეგრეთვე აღუშენე სასახლენი გარემოს ამისსა მდგომარენი და შევსძინენ ყმანი და მოუპოვენ სამსავე სამეფოსა შინა ესე იგი ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა შინა და დარგულნი მამულნი მე ჯუარის მამისამან ბერძენმან ვენედიკტე ვიტინელმან. პირველი წარწერა არის ზედ ჯვარზედ აღსავლით მარჯვენა მხარეზედ, მეორე-კი ზედ კარებჭეზედ სამხრეთით რომ შეხვალთ ეკლესიაში. ეს წარწერანი იქნება საჭიროდ არა სცნო პლატონმა, მაგრამ რაკი 1866 წელს ტფილისის აღწერის დაბეჭდა, უნდა შეეტანა. ანჩხატშივეა ერთი მარმარილოს ქვა მშვენიერი ხელჩართული (ხუცურად) წარწერით:»შესაქმე ვითარ საშინელ არს ადგილი ესე არა არს სხვა ესე გარნა სახლი ღ-თისა. და ეს ბჭე ზეცისა. მეფობასა თეიმურაზისასა და ძისა მისისა მეფის ირაკლის მამათ მთავრობასა ანტონისასა 17 9/28 55 წელს”28. 9. 1755 წელს”.

ახლა ვიკითხოთ, გვაქვს თუ არა უფლება, რომ გულხელდაკრეფილნი, ან დაქსაქსულთ ცალკ ცალკე შევსცქიროთ ცასა და სხვათა, აცა რა მოწყალებას მოგვცემენო?! დრო არის, დრო, რომ თვალები გააჭყიტოს თითოეულმა და დაადგეს გზასა ზედა ჭეშმარიტსა! დროა რომ მოეღოს ბოლო:ბუტიაობასა, მედიდურებასა, და ნაცვლად ხელიხელ გადავხვიოთ, რომ ,,ნეტავი ძმათა მრავალთა ცხარი მზე არ დაადგების” პირუთვნელად ვიმუშაოთ, რომ არ მოვსპოთ დიდებისა ნაშთი და ყოველივე ანგარიში მოისპოს, რაც კი აბრკოლებს საზოგადო საქმის მიმდინარეობასა!

აბა ერთი მიბრძანეთ, რად უნდა დაგვეკარგოს სახენი:ათაბაგების:საბასი, ბექასი, მანდატურთუხუცესის, სარგის-სამცხის სპასალარისა, შალვასი; ლასურის ძეთა სუბატისა, ნიკოლაოზისა, ლასურისა მსახურთუხუცესისა, მეფე ბაგრატისა, მეფეთ მეფე გიორგისა, თამარისი და სხვათა მრავალთ ყვარყვარესი, მანუჩარისა და სხვათ?!

ჩვენის დაუდევრობით, თუ მტრები თვალებს სჩიჩქნიდნენ წმიდათ, ჩვენ წერაქვებით ვანადგურებთ. აბა მიიხედ-მოიხედოს თითოეულმა, თუ რა ბრძოლა არის? რას ელტვიან, რას ძიობენ და როგორ იცვალეს ფერი? აქამდისინ თუ ფულს შესტრია-ლებდნენ, ეხლა მამულს ჩაავლეს ხელი, მიჰყვეს მზაკვარებითი ხელი ეკლესია-მონასტრებს და ანგრევენ_ვინც ჩვენი სისხლ-ხორცივეა, რომელთა შეღვიძლებას თითქოს მოველოდით. არა, დრო არის უკეთესი, სამუდამო ვამჯობინოთ წარმავალს. იმის მაგიერად, რომ ღამეში ხუთი თუმანი დავხარჯოთ საქეიფოდ, უკეთესი იქნება იმისი მეოთხედი მივაწოდოთ იმ მოწყვეტილ ძმათა სულიერის საზრდოსათვის, რომელნიც მოკლებულნი არიან ჩვენთან ზნეობრივს კავშირს სამცხე-საათაბაგოში. მკითხველთ რიცხვი დღე-დღეზედ მატულობს და საკითხავი მასალა კი არა აქვთ. გახშირდეს მისვლა-მოსვლა, რომ დამკვიდრდეს ის

აზრი, რომ ეს მხარე, აღსავსე ძველის ქრისტიანულ ნაშთებით, ერთი დედაბოძი ყოფილა და უნდა იყოს საქართველოს დიდებისა.

მე შევთხოვ ყველას სიძველეთა ნაშთ გულისათვის, რომ შეგნებულთ, მოწინავეთა დაუტეონ ყოველისფერი გზის ამრევი და საქმის დამაბრკოლებელი ფარდები; შეუდგნენ სამშობლო მხარის შესწავლას არა თვითოეულობით, არამედ ერთად. უნდა რამოდენიმე კაცი იყოს, ვთქვათ ათი ან ხუთი, რომელთა შორის უნდა იყოს ისტორიკოს-არხეოლოგიც, წარწერათა კარგი ამომკითხველნი, მხატვარნი, მექანდაკენი და ფოტოგრაფის მცოდნენიც, რომ თვითოეული ნაშთი აიწეროს, ყოველის მხრით დასურათდეს და მშრომელთ ხელისმოწერით დააჭეშმარიტონ და ისე აღბეჭდონ. ვახუშტის გეოგრაფიას შემუშავება-შესწორება ეჭირვება. მოგზაურობას რაც შეეხება სულ ადვილია იმ მხარეში. მოიპოვებიან fიზულა ბეგი ათაბეგოვი, ერისთავები, ამილახვრები, ფალავანდიშვილები და სხვანი მრავალნი, რომელნიც აღმოუჩენენ კიდევ სტუმართმოყვარეობასა. თითოეულმა რომ სამ თვეს ოთხი თუმანი გადასდოს, სამ თვეში მზამზარეულად მოივლის იმ მხარეს და სიცოცხლით აღსავსე დაბრუნდება შინ. მე თვით მაქვს აზრად ეს და ვისაც ჰსურს, ვსთხოვ თავისი აზრი ,,ივერიის" რედაქციაში დასტოვოს. ამგვარად სხვა კუთხეებშიაც უნდა მოხერხდეს, რომ სამ წელიწადს ან ოთხ წელიწადს ყოველისფერი ადვილად მოხერხდება. აი მამულისშვილობაც ამასა ჰქვიან და მამულის შესწავლაც ასე შეიძლება. ცალიერი სიტყვა რა იქნება?

დასასრულ მივმართავ ბ-ნ როინაშვილს. გთხოვთ უმორჩილესად, რომ მამულის მოყვარეობისათვის მიიღოთ შრომა და აბრძანდეთ საფარაში და ზარზმაში და ზემოდასახელებულნი პირნი გადმოიღოთ, რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს. სულ ორი თუმანი გეყოფათ. იქიდგან ბევრს ამოიღებთ. ის ეკლესიებიც გადაიღოთ და წარწერებიც და ნახატებიც. ახალციხეში დეკანოზ ხახუტაშვილთან რომ მიბრძანდეთ, ყველაფერ დახმარებას აღმოგიჩენთ და გიწინამძღვრებთ. იმედია, რომ ეხლავე მიეშველებით, რომ აქცევენ და ანადგურებენ ყველაფერს.

P.S. გამჩენის მადლმან, ცოდვაა, რომ მშვენიერი სურათი განადგურდეს:წმ. საბა იმას ქვემოთ ცოტათი სდგას; საბა ათაბაგი უმზერს მოწიწებით მძიმედ ჩაცმული წმ. საბას და ხელები კი მიუშვერია ეკლესიის გეგმისათვის, რომელიც ხელში უპყრია ბექას, მოწიწებით მზერალს საბასკენ, მის გვერდით სარგისი სპასალარი სამცხისა და შალვა, რომლის სახე აღარ მოჩანს. ყველანი სხვადასხვა სამოსლით არიან. მრავალგვარნი მხატვრობანი წაუშლიათ და ამათაც ის სვე მოელის, თუ არ მივეშველენით.

ჩვენის ძველის ეკლესია-მონასტრებისა შესახებ თუ ვიცით რამე, ისიც იმ წყაროებიდან, რომელიც აქამომდე ისევე შეუსწორებლივ მომდინარეობენ, და, თუ თავის თვალით არ შეუდარებია სინამდვილესთან, ეჭვს გარეშე ჭეშმარიტებად მიაჩნია. მე კი ამას ვიტყვი გულახდით, რომ ვინც ამ წყაროებს დაენდობა, ბევრით შესცდება და ბევრი მარცხიც მოუვა. ახლავე ვიტყვი, რომ ამით არ მინდა იმ წყაროების დამცირება-ღმერთმან დამიფაროს! მე მინდა შეიგნოს საზოგადოებამ, თუ რამდენად საჭირო არის, რომ დაარსდეს მგზავრთა ძმობა-საზოგადოება შესამოწმებ-ლად ამა წყაროთა, რომ უკეთესად შევისწავლოთ ჩვენი უცნობი სამშობლო.

ავიღოთ გეოგრაფია ვახუშტისა. მე მხოლოდ შევეხები იმას, რაც მინახავს, დამითვალიერებია და ვახუშტის რუქას შევუდარე. ავიღოთ პირველი რუქა ,,სამცხესი".

დავიწყოთ ბორჯომში შესვლიდანავე. ახალდაბის ახლო უჩვენებს ციხისჯვარსა, ვახუშტს კი წნისის წყლის სათავეში აქვს მოქცეული ახალციხის ახლო; ავიდეთ ახალციხეში და ავიაროთ ფოცხოვის მარჯვენა ნაპირას. თორმეტ ვერსზედ (რაც შე-სანიშნავია იმას მოვიხსენიებთ) ახალციხით დასავლეთ სამხრეთისაკენ უხვევს პირდაპირ სამხრეთისაკენ და ვალედან იწყობა ფოცხოვის ხეობა საკუთრივ; გავივლით ფოცხოვში და შევუდგებით ქვაბლიანის ხეობას. მშვენიერი ხეობაა! მისდევს დასავლეთისაკენ ეს ხეობა და სავსეა მშვენიერის სოფლებით:ნაოხარი, უდე, ბობნევი, არალისი, მარცხნივ და როდესაც რუქაში ნაჩვენებია, მარჯვნივ; ნაქურდალას ბოლოს ხიდია, გადახვალთ ხიდზედ და 40 საჟენის შემდეგ აუხვევთ ზარზმის გზასა. მშვენიერი დიდებული მდებარეობა ზარზმის მონასტრისა და მის მიდამოსი სრულებით დაგატკბობთ სულიერადაც და ხორციელადაც. ვახუშტს კი სულ სხვა ადგილად აქვს აღნიშნული ფოცხოვის ხეობაში; ჯაყისმანის ციხე და ეკლესია არ აქვს აღნიშნული ვახუშტის. ზარზმიდან დავბრუნდებით იმავე გზით, ხიდს ქვემოთ გამოვივლით ოთხს ვერსსა და შევუდგებით ადიგუნს, სადაც მოსახლეობენ ერისთა-ვები; ავყვებით ჩრდილოეთისაკენ და შევალთ ჭულევის ხეო-ბას, სადაც არის ჭულევის ეკლესია წმ. გიორგისა, რომლის სამრეკლო კოპწია და მოხდენილი რამ არის ჯერაც. ამაზედ არაფერია იმავე რუქაში-გადმოივლით ზანაკს, იქაც არის მონასტერი უგუმბათო, გამოივლით ხეობას და მოხვალთ სმადაში, სადაც არის შეუშლელი ეკლესია ამ წარწერით ასომთავრულით ,,ამა:ეკლესიისა:აღმაშენე-ბელსა :ერისთავს:შაბურის:ძესა:მაწყურელ მთ კზს (მთავარ კათალიკოზს) შიოს:და:-მშობელთა:მისთა:შეუნდნენ ღმერთმან, ქ ს რმგ”.

არც ეს აქვს ნაჩვენები ვახუშტს და არც არავის სხვას, ღრელი სრულებით არ არის თავისს ადგილზედ ნაჩვენები, ანის ეკლესია ფოცხოვის ხეობაში არ არის ნაჩვენები და სხვანი მრავალნი.

ახლა მივუბრუნდეთ ,,Памятники Христанства на Кавказе”. იქაც არა ერთი და ორი შეცდომა მოიპოვება, რომელთაც შესწორება უნდათ და დალაგებით აღწერა. ავიღოთ მაგალითებრ საფარის მონასტერი.

ბროსე სწერს, რომ თორმეტი ეკლესიაა და იქ - კი 15 ყოფილა, სამის ეკლესიის კედელ-თაღები დღესაც მოჩანან; არ ასწერს დაწვრილებით წმ. მარინეს ეკლესიასა, იოანე ნათლისმცემელისას. წმ. გიორგისას, ღვთისმშობლის მიძინებისასა და სხ. რათ უნდა დაიკარგოს ესენი? ერთი სიტყვით, ბევრი ნაკლია, რომელიც ჩვენ და მომავალმა თაობამ უნდა გამოასწოროს და შეიმუშავოს. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია აუშენებია იოსებ ჯაყელსა. ბევრი წარწერებია სამუდამოდ საფარაში. დასავლეთის მხრიდან თაღების კალთებზე ყოფილა წარწერები, მაგრამ შეკომლილია და გაშავებული ისე, რომ იმათი წაკითხვა შეუძლებელია. ღოგორც სჩანს, წარწერებს ისე არ მიუქცევიათ ყურადღება, როგორც თვით ნაშთებს არქიტექტურისას. რადგან წარწერები ნაკლებად არიან- სწორედ ვერ არიან წაკითხულნი. იმავე ,,Памятники Христ.”-ში არ არის:საყუნეთი, სადაც აქამომდე ყოველ კვირაძალზედ ნათელით ივსება ეს ეკლესია, არ არის ბიეთის მონასტერი აწყურის მხარეს, არ არის სმადა, არ არის ჯაყისმანის ეკლესია და სხვანი მრავალნი, ალის მონასტერი და სხვანი. ამ ნაკლის შევსება პირდაპირი მოვალეობაა ჩვენი წინაშე მომავალთა და წინაპართა. რაიცა შეეხება წარწერებს, ისე ნაკლებათ არიან გადმოწერილნი და წაკითხულნი, რომ რა მოგახსენოთ.

საფარის საკრებულო ტაძარში ჯერ ხატია საბა განწმენდილი, იმას ცოტა დაბლა საბა ათაბაგი, რომელზედაც ხსენებაც არ არის ბროსეს წარწერებში.

ბროსეს წაუკითხავს ფარელას ძისათა, იქ კი ნამდვილად არის ფარეზას ძისათა. ზედ კარებჭეზედ დასავლეთის მხრით სწერია:»სახელითა ღისათა მე ოქროპირმან გბცას ძემან"; ბროსეს კი გადმოუწერია ,,...მე ოქროიმან გბცს ძემან".

ეს შესანიშნავი წარწერა ისეა არეული, რომ არ იცის კაცმა, თუ რას მიაწეროს, რომ აქნობამდის ერთი ხეირიანი უტყუარი პირი არ მოიპოვება. ,,Памятники Христанства на Кавказе"-ში აღწერილია სამას ოცდაერთი ტაძარი. აქედან თითებზე ჩამოითვლება რამდენიც არის ქართველების - სულ 198 ეკლესია არის, დანარჩენი სომხებისა არის. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რა თავგამოდებით ეპატრონებიან ეს ვაჟბატონები მზამზა შრომას, ამტვრევენ ქართულ წარწერებს და თავიანთას აწერენ, ან წარწერის ქვას (ახლად) ჰფლამენ ეკლესიის მიდამოში და იმგვარი ხრიკებით ჩემულობენ, გამოჩნდება, რომ ქართველებს საქართველოში ასორმოცდაათი ეკლესია არც ეკუთვნის. როგორ სამარცხვინოც არ უნდა იყოს თვითოეული ქართველისათვის, რომ ეს ნაშთები ან გამოტოვებულია იმ წყაროებიდან, რაც ხელში გვაქვს და რაც წყაროებიდამ ვიცით ისენიც (გარდა მოუხსენებელთა, რომელნიც დატოვებულნი არიან) გადადიან სხვის ხელში ჩვენის ზარმაცობით! ჯერ რაც ვიცით, ისინიც არ არის:საყუნეთი, სმადა, მოღლილი ლეხურის ხეობაში. არმაზისა, წირისა, ლეგმაშეთისა, (სადაც აბიბოს ნეკრესელის საფლავს უჩვენებს ხალხი), ჯვარპატიოსნისა და მრავალნი სხვანი. მე ამით ვიმეორებ, რომ უმადურობას არვის ვწამებ, არამედ ის აზრი მტკიცდება, რომ ცალ-ცალკე მოღვაწეობა შეუძლებელია და საჭიროა ძმური მუშაობა.

იმათ დაგვიტოვეს მასალა, რატომ ჩვენ არ უნდა შევიმუშაოთ, შევუსწოროთ სინამდვილეს? რამდენი ეკლესიები არის დატოვებული კახეთისა, არა სწერია, ყოვლად წმიდის ვეჯინის ღვთაებისა, კარდანახის ზემოთ მთაში საბას მონასტერი; შექის (ნუხის) მაზრაში (ქიშისა, ზიგზიგის მონასტერი, ვართაშნის მიდამოში) და სხვაგან.

ერთი სიტყვით, საჭიროა რომ მოგზაურთა ძმობა დაწესდესმასალები შეიმუშაოს ამ სამ თვეში ხოლმე. ეს შრომა მოსვენებაც იქნება და საქმის გაკეთებაც. სხვა ქვეყნებში მოზარდ თაობას ავალებენ ამგვარ სიარულს და ჩვენში კი სრულებით მიტოვებულია. სამარცხვინოა, რომ მამა-პაპათა სისხლით შერეული კირით აღშენებულნი ტაძარნი დაისაკუთრონ გუშინდელ მოსულთა და მკვიდრნი კი განდევნილნი იყვნენ თვისსავე მამულში. მით უფრო სათაკილოა ამგვარი მოვლენა, რომ იქნება ხარაჯაც დაადონ ჩვენს მლოცველებს იმავე მამა-პაპათა სალოცავებში სალოცველოდ. დიაღ! იერუსალიმში ერთადერთს ერს ქართველობას ჰქონდა უფლება გამართულ ბაირაღით გაეარა შუკაში (ქუჩა) და უხარაჯოთ ელოცა სიწმიდე ქრიტიანობისა, მაგრამ ეხლა? ეხლა... ისევე დაუდევრობა და უერთფერობა! აი სად არის მიზეზი. ცოდვაა შეცდომის გამეორება, ცოდვა. ამგვარ საისტორიო მასალას ვინც ჰბეჭდავს, საჭირო არის რომ შეამოწმოს და ისე მიჰყოს ხელი, თორემ ცდომათა განმეორება საქმეს რას უშველის?

არ შემიძლიან არ მივმართო ჩვენს ბლაღოჩინებს, რომ მიაქციონ ყურადღება ამ ძველს ნაშთებს და ისევე მოიქცნენ, როგორც მ. დეკანოზი ხახუტაშვილი, რომ თითოეულს მღვდელს დაავალონ დაწვრილებითი ცნობანი თვითოეულის ნაშთის შესახებ წარწერებით ასწერონ და ეკლესიის უწყებათა წიგნში შეიტანონ ხოლმე. ამგვარად ვათავებ მეორე წერილს შესახებ ,,Пам. Хр. на Кавк". და მესამე წერილში შევეხები ბროსეს არხეოლოგიურს მოგზაურობას და შევუდარებ იმ წარწერებს, რომლებიც გადმოვიღე და რამდენჯერმე შევათანასწორე. ქება და დიდება, რომ

ბროსემ ეს მასალა მაინც დაგვიტოვა, როგორც დიმ. ბაქრაძემ, რომელმაც სიკვდილამდის ამას შესწირა თავი.

მესამე წყარო ჩვენის ისტორიისა ზემოხსენებულთ ნაშთთა არის არანაკლები შრომა განსვენებულის ბროსესი ,,არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში".

ახლავე გავიმეორებ, რომ ქებისა და დიდების მეტი იმასაც, როგორც ღირსახსოვარს დიმიტრის, არ შეშვენის რა!

ახალციხის თვით ციხეში, კედლებში ბლომად ატანია ქვები ქართულის წარწერით, თათრულ-არაბულის წარწერით და სომხურითა.

ამ წარწერებში მე გადმოვიღე მხოლოდ ორი, რომელიც ბროსეს არა აქვს მოყვანილი.

,,ქრისტე შეიწყალე მეფე და ბგტ (დავით, ბაგრატ?) ეს არის ჩრდილოეთ აღმოსავლეთის მხრიდგან, შეჰყვებით ზემოთ და მესამე გალავნის კარს უკან უკუღმა არის ქვა ამ წარწერით და ძნელად ირჩევა სულ ხუცურად. ...მსზელს ცდ შვიბნთავდა აღშდს ყელი მის აღცხს მშობელ დსც და ნად თლი" ეს რომ ისე დაიბეჭდოს როგორც გადმოღებულია, კარგია, მაგრამ ძნელია იმათი ამოჭრა! კათოლიკების ეკლესიაში (სად მღ. გვარამაძე ხუცესობს) ორი ქვაა. ერთი კი გადმოუღია ბროსეს, მეორე- კი არა. ეს ქვები გადმოუტანიათ მოღლილის ეკლესიიდგან, რომელსაც ეხლა სომხები იჩემებენ ძალადობით და ცბიერობით. იქ ორი ეკლესია არის და თამარის დროს ადრე მიაწერენ.

,,სახელითა ღისათა მეოხებითა წმიდაისა ღ,ის მშობელისითა მე მიქელ ღირს ვიქმენ მადლსა ცისა ბჭისა აღშენებად ამინ". წითელი ქვა არის საჯვრე და კარზედ გდია. მეორე კი ეკლესიაშია ტრაპეზად და იქაც აქვს წარწერა. გადმოხატულია და იმისი გაცალკევება ძნელია.

დასავლეთის მხრით აწერია საფარის ეგვტერს ჯვრის გარეშემო:,,სრულ იქმნა საყდარი:ესე:საძირკვლით:ველთა (ვერცხლითა?) ხელითა ფარეზას (ბროს. ფარელას ემის გვერ.) ძისათა, შეუნდევნ (ბროს. შეუნდავნ. ღმერთ.) ღმერთმან. ფრთა (ქკსაფრ თვესა პირველსა რომელიც უდრის 1303 წელსა?) საკვირველებაა, რომ სამ-ოთხს წაუკითხავთ ,,ფარელა"-თ, იქ-კი არის ,,ფარეზა" ნამდვილად, ისე კარგად ირჩევა.

ახლა კარიბჭეზედ დასავლეთის მხრიდგან საკრებულო ტაძარზედ.

123 გვ. ბროს.

4) სახელითა ღვთისათა მე. ოქრაიმან. გბცს. ძემან. შემესწირა. რკ. ბოტინაკი. ზედა. საფ. ქლვდ გემ... კვიდროს. სკნი (საუკუნე?) აღაპი. სფლი (?) პირველს. დღესასწაულსა. აღვსებისა. დღეს. ვინ. ესე. გაგებული შესცვალოს. კრულმცა არს ღთისპირით. იქ-კი ესე სწერია:სხთ. ღსთ:მე:ოქროპმნ:გბცას ძემან შემსწრა: რკ: ბოტნატი (ბოტინატი-ვერცხლის რამე-განმ. მ.ჯ-სია-კ.კ.) გმკს სკნი:აპის ფლიპს დღსსწლსა აღბსა დაღს ვინ ესე გგბლი:შეცვლს კრლმც არს ღთს პრ-თ. მე ასე ვკითხულობ, გარნა არა სრულებით და უნაკლულოდ:სახელით ღმრთისით:მე ოქროპირმან გაბცას ძემან შემოსწირა (?) ასოცი ბოტინატი საფქვლად (?) გიმკოს საუკუნოი აღაპისთვის ფილიპეს დღესასწა-ულსა აღების დღესა. ვინ ესე გარიგებული შეცვალოს, კრულმცა არს ღ-ის პირით. ფილიპეს დღესასწაულიც 14 ნოემბერს არის და იწყება კიდეც ქრისტეშობის მარხვაც. ცამეტ სტრიქონიანი წარწერაც ხომ ესევე არის გადმოღებული და კოჭლობით წაკით-ხული მაგ. კიდე:კოვნი მწნი არად მკლენი. ბროსე კითხულობს ,,კიდე. კეთილნი. მიწანი. არ დამიკლენ". მე-კი ,,კიდე კლდოვანი მიწანი არად მოკლენი».

ახლა გადავიდეთ ვალეს ეკლესიის წარწერაზედ, თუმცა საფარის წარწერები ბლომად დარჩა კიდევ შეუდარებელი.

129 გვ.

წ. ნებითა ღისათა მე ღვთივ გვირგვინოსანმან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატოვანთ ქართველთ მეფეთ მეფის კონსტანტინეს შვილის შვილმან მეფის ბაგრატის ასულმან არაბეგ ამირ სპასალარის სახლის რძალმან.

თითოეულის სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი უზის.

B. ნებითა ღვთისათა:მე ღვთივ გვირგვინოსანის იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონისა ქართველთ მეფეთ მეფის კონსტანტინეს შვილის შვილმან მეფის ბაგრატის ასულმან ათაბაგ ამისპასასალარის სახლის რძალმან.

2. დედის იმედმან, მაღლად ავაშენე წმიდაი ესე ეკლესია, შენ ცათა მობაძავისა ვალის ღის მშობლის. რათა მცველ მფარველ გვექმნა აქა და მერმესა მას უკუნსა, მე და თანამეცხედრესა ჩემსა ათაბაგს კაიხოსროს და ძენი ჩემნი.- ყვარყვარე, მზეჭაბუკ. მანუჩარ თზ (?) შეწირულნი ესე სალოცავად თამარის დღეგრძელობით და მიცვენ ან და სამოთხე ვენენს (?) სასუფეველად მზდრე?

2) დედის იმედმან მეორედ აღვაშენე წმიდაი ესე ეკლესია შენ ცათა მუაყანებელისა ველისა ღვთის მშობელისა რათა მცუელ მფარველ ვუქმნას აქა და მერმესა მას საუკუნესა მე და თანა მემცხედრესა ჩემსა ათაბაგსა ქაიხოსროს და ძენი ჩვენნი ყვარყვარე მზეჭაბულ მანუჩარ თუალშვენიერი ივანე და თამარი დღეგრძელობით დაიცვენ. ამინ. დასა მათსა ელენეს სასუფეველი დაუმკვიდრე.

3. შენ...

თევდორეს შეუნდვენ ღმერთმან სა (?)

ვახტანგ და ჰერეკლეს დღეგრძელობით.. და... ძმასა ჩემსა...

პირველსავე..

... ქსა:ამინ.

3. მამასა ჩემსა მეფეს ბაგრატს თანა მეცხედრესა მისსა დედოფალს ელენეს შეუნდვნეს ღმერთმან ძმას ჩემსა ერეკლეს და აშოთს შეუნდვენ ღმერთმან. დასა ჩემსა თამარს შეუნდვნეს ღ-მან ამინ. ვახტანგ და ერეკლე დღეგრძელობით დაიცვენ ამინ და ძმა ჩემი არჩილ აგარიანთა მიერ წარტყუენილი და ცდუნებული გაორგულებულ იქმნა სარწმუნოებასა ზედა და კუალად ცავე. პირველსა პატივსავე ამინ.

ეს წარწერა, რომ შეხვალთ, სამხრეთით იქვე სვეტზედ არი სვეტად, როგორც უსხედს 1, 2, 3. ახლა გადავიდეთ ზარზმის წარწერაზედ.

,,ამის აღმაშენებელსა წინამძღვრის ხუცის ძესა ბარიელს შეუნდვნეს ღმერთმან:

მის დედასა, პატრონისა იღვაწნე ასულსა გულდამ ყოფილსა გაიანეს შეუნდვნეს ღმერთმან:

მამასა შუათა ყოფილს საშოს შეუნდვნეს ღმერთმან.

იქ-კი ასე სწერია ხელჩართულით:

ამისა:აღმაშენებელსა:წინამძღვარსა:ხურცის ძესა გაბრიელს შეუნდვნეს ღმერთმან

მისა:დედასა პატრონისა ივანეს ასულსა გულდამ ყოფილსა გაიანეს შეუნდვნეს ღმერთმან

მისა მამასა:შოთა ყოფილსა:შიოს შეუნდვნეს ღმერთმან.

ეს წარწერა არის მარჯვნივ მხრით ეკლესიის კარებამის სულ ორის არშინის სიმაღლეზედ და დაუბრკოლებლი განირჩევა ძალიან. კარებჭეზედ წარწერა აქვს, მაგრამ გალესილია და ისიც უნდა გადირეცხოს და აღდგეს ის წარწერანი. ეგვტერის შესავალშივე არის წარწერა ერთ ქვაზედ და დანარჩენი კი არსადა სჩანს.

ახლა მოვიხილოთ სამრეკლო, რომელიც ხელშეუხებლად დარჩენილია. შიგ არის ეკლესია იოანე მახარებელისა, ეხლა ჯამედ აქვთ გადაკეთებული, ჩრდილოეთით

აქვს მიდგმული ეგუტერი ამ შესანიშნავის წარწერით ეგუტერს ჩრდილოეთისავე კედელზედ:

ქ. სახელითა ღვთისათა, და წმიდისა ღის მშობლისა მეოხებითა, მე ივანე ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდაი ეგვტერი მას ჟამსა ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშველა წმიდათა მეფეთა და ჩუვენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა სკლიაროსი გავაქციეთ. მე მას ქვეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ეს აღაშენა ტახტი

იქ-კი ისე იკითხვის:

ქ. სახელითა ღმრთისათა (ღმთა) და წმიდისა ღის მშობლისა მეოხებითა მე ივანე ძემან სოლომონისმან. (სულსმნ) აღვაშენე წმიდაი ესე ეგუტერი მას ჟამსა ოდეს საბერძნეთ განუდგა (გადგა სკლიაროსი:დავით კურაპალატი ადიდნა ღმერთმან უშველა წმიდათა მეფეთა და ჩვენ ყველანი ან ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა სკლიაროსი გავაქიეთ (გავაქციეთ) მე მას ქუეყანასა რომელსა ჰქვიან ხარსანანი ადგილსა რომელსა ჰქვიან სარვენისნი მონეს უყენა ტახტი

დასა:.. დაღა...

და დიმ... და უიმ...

შთუ... შთ. უფ...

საადა... სადა...

ეგვტერი... ვე ექტვრი..

უფლთა.. ოჯლთა....

ობლთ ობლთა.J.. (ეს რაეს პირველი ნაწილია ხუცურ).

სულიერთა... სულიერთა...

და იოხე... და იდხე...

ძმისა ჩვენ მმ ჩს არნ მამა ჩემსა რომელმან)

ეს ნახევარი ქვა ამ ათის სტრიქონით მაშინვე ყოფილა დაკარგული. აბა ახლა იმავე სამრეკლოს წარწერა აღმოსავლეთის მხრით შევადაროთ.

,,წ. აღეშენა წმიდაი ესე ეკლესია სახელსა ზედა წმიდისა იოანე ,,მახარებელისა, ნებითა ღთისათა და ბრძანებითა ყოველს ქვეყანასა სახელგანთქმულისა აგარიანთ პირის დამყოფელისა ხარცაძისა პნსაფიაისათა, სამსჯსსა, ენანს და შეუნდვნენ ღმერ-თმან მღვდელთ-მთავართ მთავრობაი. სა ხრცაძის იოსებს მტყისა სპნისსა. ქკს სიე:

R:აღეშენა წმიდაი ესე ეკლესიაი ჯრი + ქსი სახელსა ზედა წმიდისა იოვანე მახარებელისა ნებითა ღუთისათა და ბრძანებითა ყოვლისა ქუეყანისა (ყა ქუნისა) სახელ-განთქმულსა აგარიანთ პირისა დამყოფელისა ხურც ძისა პანკრატოვანისა ფარსმანისითა (პნისა ფანისითა) სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდვნეს ღმერთმან მღვდელთ-მთავართ მთავრობასა ხუცისა ძისა პატიოსნის მიტროპოლიტის იოვანესა სპანისასა ქკრ სიე, (ხუცა:ძისა; პნის:მტ:იესა:სპნისსა).

ეს ქორონიკონი არ უნდა იყოს სწორე, რადგან სკლიაროს წინაღუდგა ბასილს (ბულგაროქტონს 976 წელს) დავით მეფობდა 983-1001 და ამ წლებშია აშენებული ეგუტერი სკლიაროსის აჯანყება რომ არის მოთხრობილი. სიე უდრის 1041, როდესაც დავით კურაპალატი აღარ იყო და გამოდის, რომ სამრეკლო მას უკან არის აშენებული, რაც ყდ წარმოუდგენელია და დაუჯერებელი, ამიტომ რომ ეგუტერის ერთი კედელი სამრეკლოს კედლით არის ავსებული- სამი კედელი აქვს აშენებული, ასე რომ აქ ს მაგივრად უნდა იყოს ,,რ", რომელი უდრის 941 წელსა. მაინც და მაინც მე ყოველი ესე მიმინდვია ჩვენი ისტორიკოსებისათვის და იმ მომავალ ,,მოგზაურთა ძმობისათვის, რომლის საღმრთო ვალად უნდა შეიქმნას შესწავლა სამშობლო ქვეყნის

და საისტორიო თხზულებათა შესწორება. მე მგონია საკმარისია, რომ თვითოეული დარწმუნდეს თუ რამდენად საფუძვლიანია ჩემი გულითადი მოწოდება, შეთხოვა ყოველთადმი განურჩევლად წოდებისა და სქესისა. დამიფაროს ღმერთმან ვისმე უმადურობისაგან. რაიცა შეეხება სმადის ეკლესიასა, სრულებით არა აქვს მოხსენებული არავის, ვგონებ, თუ არა ვსცდები.

აი იმის წარწერაც.

,,ამა:ეკლესიისა:აღმშენებელს:ერისთვის:საბურის:ძესა:

მაწყვერელ:მთავარ კათალიკოზს (მთ კზს):შიოს:და:მშობელთა მისთა შეუნდვენ:- ღმერთმან:რომელმან ქ. სახელითა:ღვთისათა:აეშენა ესე წმიდაი ეკლესიაშიო მაწყვერელ ებისკოპოზ. მიერ კუესისა (კეისრისა?) ზეობასა ქრისტე განუსვენე სულსა მშობელთა მისთასა" ეს იქ უნდა ქრკს:რ მ გ: რომელი უნდა იყოს ახლა (921 წელი თუ 1453 წ?) მიმინდვია ჩვენის ისტორიკოსებისათვის. მე მხოლოდ მოგახსენეთ ის, რაც ვნახე და ვიგულისხმე. უნდა გაჩვენათ როგორ არიან ჩაწმახნული ეს ასოები და სხვანი მრავალნი წარწერანი, რომ ერთი ასო ორია და მთელი სიტყვა. ცოდვაა ეს ხელოვნება დაიკარგოს და უყურადღებოდ დაიღუპნენ, რაც აქამდის ყოფილან და ეხლა ჩნდებიან. ბევრი ამისთან იქნება გამოტოვებული სხვა კუთხეებშიაც.

ცოტა ხანს შევჩერდეთ აწყურთან, გადავავლოთ თვალი მის მიდამოებს და გავემგზავროთ ახალციხისაკენ და შევუდგეთ დაპირებულს საგანს, განვუზიაროთ საზოგადოებას ყოველივე შთაბეჭდილება, რაც კი მივიღე ორის კვირის მგზავრობით. ეს ოდესმე დიდებული ქალაქი შესანიშნავის ციხით, რომელიც მწარედ მისტირის წარსულთ დროთ დიდებულთა, მართლაც რომ ყურე, ბურჯი და თვალყურიც ყოფილა ორთავე მხარეთათვის! (აწყური ეს უსამართლო წოდებაა?). მტერი თუ გამოვიდოდა ამ ალაგს, გათავებული საქმე იყო შიდა ქართლისა, თუ შუა ქართლიდგან გადალახავდა მტერი და მშვიდობით წაუვიდოდა ამ მზერალ-დარაჯ ციხესა, გათავებული უნდა ყოფილიყო სამცხის ბედი. დიდებული აწყური დაუარსებია ფარნაოზ მეფეს ქრისტემდის სამასის წლით ადრე. საქართველოს საეკლესიო მატიანე მოიხსენებს, რომ ანდრია მოციქულმა აქ დაასვენა ხატი ღის მშობლისა და უჩვენებენ ადგილად ქადაგებისა წმ. ანდრია მოციქულისა. ,,დიადი ტაძარი აწყურისა, ბევრით უდიდესი სამთავისის ტაძარზედ, ალბათ კეკლუცად და მოხდენით იყო ნაშენი, ვიდრე სამთავისისა, რომლის დამთავრებაზედ ხუროთმოძღვართ და მექანდაკეთ უნდა შეელივნათ მთელი თვისი გენიოსობა, რომ ამგვარი რამ შეექმნათ, იტყვის დიუბუა:თურქთა აღაოხრეს ეს ქალაქი 1486 წ. და მო-იტაცეს კიდეც ის ხატი, იაკუბხანმა; მანუჩერ ათაბეგმა დიდის საფასით გამოისყიდა ეს ხატი. იმერეთის მეფემ აასვენა ეს ხატი ციხის ჯვარში და იქიდგან 1553 წ. შიდა იმერეთში მოათავსა მტერთა მოსაგერებლად, თუმცა ყვარყვარე ათაბაგმა დაიბრუნა ცოტა ხნობით, რის შემდეგ სამუდამოდ დაემკვიდრა ხატი გაენათის ეკლესიაში, ვგონებ წმ. გიორგის ეკლესიაში. თურქთა იცოდნენ ადგილ სიმაგრეთა ფასი და კარგად გაამაგრეს. ,,1770 წელში პატარა კახმა, მერმე ერეკლემ ნაბუარი აადინა თურქებს და გარეკა. აქ ახლდა მას გიულდენშტეტი. ეს დიდებული ეკლესია და-უნგრევია საშინელს მიწისძვრასა და მას უკან აღარ აშენებულა. აწყურს შორით გადმოჰცქერის დიდებით სავსე საყუნეთი, რომელშიაც დღემდე კიდევ არის ეს სასწა-ული:ყოველ კვირაზედ ეკლესია ივსება ნათლით, განათებულია - გარედან დაკეტი-ლი. ამას განსვენებულმა ევსევიმ ექსარხოსად ყოფილმანც მიაქცია ყურადღება ისე, რომ თვით დარწმუნდა ამ სასწაულში. გასაღები თვით თურმე წამოიღო და შორიდგან უდარაჯებდა. მერე კი დარწმუნებული ღრმად ეთაყვანებოდა ამ უნდო საყდარს. იგი ერთის შეხედვით წააგავს სმადის ეკლესიას. აქ მოსახლე

გადარჯულებულნი ქართველები დიდის მოწიწებით ეპყრობიან ამ საყდარსა და ერთი კენჭიც არ არის გატანილი, როდესაც დიდებული აწყურის ტაძარის ქვებით კი სავსეა თვითოეული კერა აწყურისა, მოსახლეთა გარდა მართლმადიდებელთა, რომელთა რიცხვი ცხრამდის აღემატების. იქნება კიდევე ამოდუღდეს აქ ის სპეტაკი სარწმუნოება, რომელმანც 1521 წელი იცოცხლა ამ დიდებულს ადგილას და ქართვლის ძარღვი ქრისტეს წინად 300 წელიწადი სცემდა და აქამომდეც, გარნა იმ წამოსადეგ ხალხში, მაღალის ხვეული ჩალმით, ახოვანის ტანით. სჯულისთვის კვდარს ქართველ კაცს ჰხედავ, მაგრამ ძალზედ ფანატიკოსს მუხამედისას. მე თვით დაველაპარაკე გზაში ერთ აწყურელს კაცსა, ქართულად პასუხი არ მომცა; ასან ბერიძე ვარო; იმიტომ კი არა, რომ არ იცოდა, იმიტომ რომ ფანატიკოსობა ნებას არ აძლევდა. იმ ქართველ კაცსა ვკითხე და მითხრა, რომ მე ქართულად მელაპარაკებაო. იქნება აქ გავლენა იყოს ერთის შემთხვევის შემდეგ, როდესაც თვით თათრები ეუბნებოდნენ თავიანთ მოლებს: ,,მოლებო! რათ გვატყუილებთო? რატომ ამათ არ მიუგებთ პასუხსაო?" ე.ი. მ. არხ. ლეონიდეს და დეკ. ხახუტოვს, როდესაც მათ ჰქონდათ საუბარი მათთან და მათ მოლებთან ერთად- ამ წლის მარტის თვეში, თუ არ ვცდები.

.....

ახლო-მახლო სოფლელები და ქვიშხეთიდგან, ხვედურეთიდგანაც ბევრნი დადიან სალოცავად ამ საყუნეთის ეკლესიაში 24 ივნისს:თათრები სწირავენ სანთელს, საწირავსა, კურატსა, საღმრთოსა და სხვ. ეს სასწაული უცდის, ვინემ ის გადარჯულებულნი დაუბრუნდებიან მამა-პაპეულს სჯულსა! აბა რატომ არ მოდის გზასა ზედა ჭეშმარიტსა? ამაზე მეტი ქადაგება რაღა უნდათ, როდესაც თვით საფლავი და ნაშრომი მამა-პაპათა ეუბნება მათ?! ძნელია, რომ გონებით მიაღწიონ მამა-პაპათა ღვაწლსა, კიდევ იმათი სისხლი დაიბრუნონ. აქ ძილი და ქეიფი არ არის საჭირო. ხანგრძლივი წამები, რომლითაც უნდა ვისარგებლოთ, თორემ თვით ისინი არ სარგებლობენ. ცარიელი ენა რა გავიდა, თუ ის ძალა, რომელიც ერს შეაკავშირებს, შეაწებოებს და დაადუღებს, არ არის?! ცარიელი მასალით აშენებული სახლი, რომ ააშენო წინასწარ შეზავებულის ძალით თუ არ შეაკავშირე, ის წყობისად დაწყობილი ეკლესია ამაო არის. ზარი ეკლესიის ახლო. ჩრდილოეთ-დასავლეთით კუთხესთან ერთი ეკლესია სდგას. ატირდები რომ ნახო:ერთი ქვა აღარა აქვს, სულ შემოუც-ლიათ. მაგრამ ის კირი მამა-პაპათა სისრულითა აღსავსე მხურვალის ცრემლ-სისხლით არეული დუღაბი კირი ჭებსაც კი მკვიდრად აკავშირებს დღემდისაც, რომ ათასის წლის გრიგალს ვერა დაუკლია-რა! აი ეს მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებას ერთი ენითა მოუბარის ხალხთა შორის.

ამას მტკიცედ დაინახავთ შემდეგი წერილიდგან და ამ წერილს კი ვათავებ ახალციხით.

მიდიხარ გზაზედ, მშვენიერი ყანა ზღვასავითა ღელავს. აღარ არის ნამგალი, აღარ არის სალესავი, იმის ფხის სულისჩამდგმელი, აღარ არის ის, ჰოოპუნა მუშური, ჰერიო და სხვანი, რომელიც ჩვენს გლეხკაცს წელში გადამტვრეულს დილიდან საღამომდის ართობს ეს სიმღერა! ამის მაგივრად ცუდი, სამდურავი თვის შორის, მდუმარება, არც გამარჯობა და არც გაგიმარჯოს-ნაცვლად გაგიმარჯოს მარჯვენას საფეთქელთან მიიდებს ხელსა. ახალციხის ეგრე ვერს ნახევარზედ (ცოტა მეტია) ამართულია ძეგლი ზედწარწერით ომის გმირთა სახელებითა. ვინანი-კი რომ ვერ ვნახე. აი მოვედით ახალციხეში, რომელიც იყო სატახტო ქალაქი ზემო ქართლისა თავისის შეუვალის ოთხკედლოვანის ციხითა, რომელშიაც უჩვენებენ თამარის ციხესა

ეკლესიით ,,წმ. გიორგი”-ს. ამ წარწერით, დიდი ჯამე ათაბეგის მიერ აშენებული; დღეს სობოროა შიგ მოთავსებული, რომლის კედლებზედ კიდევ მოსჩანს ზარბაზნების ტყვიათა ნალი.

ამ წერილში მოგახსენებთ ჩემს ნახულს და მის მნიშვნელობას ჩემის აზრით.

მე გახლავართ ახალციხის ძველს ნაწილში ”რაბათში”, საიდანაც ახალ ნაწილს ქალაქისას და მთელს მიდამოს, აღმოსავლეთით-ფოცხოვის სადევარს დასავლეთ ქვაბლიანის ხეობას შეჰყურებთ და ხელის გულზედ მოჩანან ეს მიდამოები. ამ ძველ ქალაქში ტრიალებს ის, რაც მოგაგონებს სინამდვილით სიძველესა ამ ქალაქისას. აქ მოსახლეობენ ძველნი და ახლად მოსულნი ქართველნი, ,,ფრანგნი”, ურიები და ნარდად მოვაჭრე სომხები. ვაჭრობას აჭარელები აწარმოებენ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ის ძალმომრეობითი ადათი სჩაგრავს აჭარელს და აძლიერებს მოვაჭრეს. იყიდის ორ საპალნეს, მოვიდა 6 ფუთი, ან ნაკ. 10 გირ. თითო გოდრის წონას მოვაჭრე გამოდის 25 გირ. ,,ადათია შვილოო”, ასე რომ ფუთ და ათ გირვანქას აკლებს, როდესაც არ მოვიდოდა ის ორი გოდორი 30 გირვანქა. ამგვარ ადათს მიხედვით ყოველ შემთხვევაში ხმარობენ. ამიტომაც არის, რომ აჭარელი კაცი ნდობით არ უცქერის სომეხს და ცოტა არ არის სძულს. სომხობასაც ეშინიან აჭარელებისა, რასაც ქვემოთ დავინახავთ. გული გინათლდება მათ ძველებურს ერთმანეთში ლაპარაკს რომ ყური დაუგდოთ. სომხები სულ თათრულად ელაპარაკებიან, თუმცა ქართულადაც ეხერხებათ, მოვაჭრენიც, გარდა ქართველებისა და ვისაც ესმის ადვილი მისახვედრელია და დიდი გამოცანა არ უნდა, თუ რა მისიას ასრულებენ ეს ,,სტამბოლიდან მოსული სომხები” და რა სიკეთეს სთესენ!

ჩაივლი ახალი ქალაქისაკენ და თუ გესმის ქართული, ისიც ურიებისაგან, რომელნიც მშვენიერის ძველის ენით მოსაუბრობენ. საცა უნდა იყოს, სულ ქართულად ეკითხება და ეპასუხება თუმცაღა არ ჩამოერთმევა თათრულსა და სომხურის ენების ცოდნა. ბარაქალა ისევე ამ ,,ისრაელებსა”, რომელთაც ღირსეულად დააფასეს და აფასებენ ქართველთა ძმურ დახვედრას და პურ-მარილსა! ჩაივლი ქვემო ახალ ნაწილში და ,,ეს წო! ვა!”, გესმის მეტი ვერა გაამებს-რა მკითხველო, თუ გიამებათ სტამბოლური სომხური. ერთი მუშა რომ გინდოდეს, კურტნიანი რაჭველი არ არის. იმ ძველ ნაშთებსაც აღარ ასვენებენ და ძალმომრეობითაც იჩემებენ! ამაზედ მეტი დამცირებაღა შეიძლება, რომ ადგილობრივი სასულიერო წოდება თხოულობს ამ ადგილს, მომეცითო ადგილი ეკლესიისათვის, სამრევლო სახლისათვის და სკოლისათვის და არ აძლევენ! აგერ ორი წელიწადი მეტია. ქვა თლილი-კი მზად მოპოვებული აქვს, როგორც ზემო წერილებში მოვიხსენიეთ. აი როგორი წესი და რიგია ახალციხეში! გასაკვირველია ღმერთმანი! ,,ჰაირიკი” თურმე შეეკითხა მოხუცებულთ და გაიგო თუ როდის მოსულან აქ სომხები და ვინ”. მახლას, რა იქნება? ბოლო აჩვენებს. აქაურ სომხობას ფრთები აქვს შესმული და ძალიან ქომაგნი არიან ერთი-ერთმანეთისა. ერთი კოპაძე, ეხლა ტერტერა არის; კპიანცად იწერება, ქართველი-კი ყოფილა. კოპაძე რა გავიკვირო, როდესაც ქართველ კათოლიკებს ,,ფრანგებს მოელის სომხების ყბა და დღეს იქნება თუ ხვალ ამათ უნდა ჩანთქან ეს ამოდენა ქართველობა 30000 სული ერთი ვიღაც არარატიანცის ენის მეოხებით! აღუკრძალეს ქართულად წირვა-ლოცვა და დააკისრეს სომხურად. დიდი უბედურება არის და დიდი მარცხიცა მართმადიდებელთათვის! ამ გუშინდელ მოსულ ერს აძლიერებენ და საუკუნოებით მოსახლე ხალხს-კი აუძლურებენ? ეს ჩვენისავე დაუდევრობით და ,,ფრანგთა” ჯიუტობით არის. აი მოგახსენოთ შემთხვევა:ერთ საღამოს ჩავიარე ფოცხოვის პირას დ ვნახე ხუთი ბავშვი თევზაობდნენ ნემსკავით; რომელიც დიდი იყო (16 წლ.) იმასა ვკითხე. ვინა ხარ-მეთქი შენ (მე მინდოდა გამეგო

ტომი) შვილო! მე ფრანგი ვარ. სამჯერ ვკითხე და სულ ეს პასუხი მომცა. მეორეს, მესამეს, სულ ეს პასუხი მომცეს. მერმე მე ვუთხარი:შვილო! ფრანგი სარწმუნოებაა და არა ხალხი, ტომი, ამიტომ რომ ფრანგი იქნება ქართველი, თათარი, ურია, სომეხი, რუსი, ოსი და სხვ. ახლა თქვენ რომელს ეკუთვნით? მაინც იმას იმეორებდნენ. ბოლოს და ბოლოს სთქვა, სომეხი ვარო. გვარი დაბოლოვდა:ერთისა ძე, მეორის შვილი, მესამესი ოვი,-სახელები კარაპეტა, გეურქა, ასატურა, მაჩქატურა და სხ. მე გამიკვირდა ამგვარი ამბავი. ახლა მეორე დღეს მივდიოდით მე და ხუცესი რაბათის ბაზარში. ვნახოთ ერთი ფრანგის დუქნის წინ ორი პატარა ბავშვი (6 და 7 წლისები) ძიძგი, ძიძგი! მამალსაებ თითებს ასვამდნენ, ,,ი, ი, ქართველო! ი! ქართველოო!" მე გონს ვერ მოვედი გაოცებისაგან. ვუთხარი ჩემს თანამავალს ხუცესს, ,,ეს, რა ამბავია მეთქი, მამაო? ნუთუ ესე გამწვავებულია სიმძულვარე ამ ერთხორც მოძმეთა შორის მეთქი?!"

წავედი მოღუაწე პატრი მამა ივანე გვარამაძესთან (ტერ-ოჰანეზას უძახიან ახლა), შევსჩივლე ეს მოვლენა და პირდაპირ განვუცხადე ჩემი უკმაყოფილება ბავშვების საქციელის გამო ისა სჯობდა რომ ისევე ლათინურ ენაზედ ელოცნათ და სომხის ტიბიკონი არ შეეტანათ? თუ ამ ათმა თუ ოცდაათმა წელიწადმა ესე იმოქმედა, ბოლოს რაღა იქნებ? სამწუხარო შედეგი მოსდევს, სამწუხარო!!

16 ივლისს საღამოს რაბათში დასეირნობდნენ პატარა ბიჭები ფრანგისა; დიდრონებიც იყვნენ. დაიწყეს ,,ჰაჩიკ-ჯან, ჰაიასტან-ს სიმღერა და ისეთი აღტაცებით მღეროდნენ, რომ თვით სომეხი ვერ იმღერებს. იმ დროს იქ ქვეით უბნელი არავინ მოდის. ღამის ათ საათზედ უფროსმა დაუძახა ქართულად, ახლა შვილო წავიდეთ წმ. მარინეში, იქ ვნახოთ თამაში და იქ-კი არ გაბედოთ ეს! ამან უფრო შემაწუხა. მაშ სჩანს, რომ ესენიც მღეროდნენ ,,ჰაირიკის" მოსვლას ახალციხეში, ბევრნიც ყოფილიყვნენ! დუქანში ზის, ხელსაქმობს ვაჟკაცი და ,,ტერ-ღორმიას კილოზედ" ქართულს ლოცვას ჰგალობს. განა აქამდისინ მივიდა საქმე, რომ ამ წამებულს ენას დუქან-ბოსელიღა დარჩა და ,,ფრანგთაც"არ-ჰყვეს? ერიჰა! საქმე სულ წასულია მაშა და უბრალოდ ნუღარავინ იქადის ერთობის სახელით! რამდენიმე ათასის გულის მოძმე ერი ამოსდგომია გუშინდელ მოხეტიალებულს გვერდში და თავგამეტებით იძახის ,,კეცე, ჰაიკსა"! და თვის მოძმის სისხლხორცს ,,უსჯულოს""უძახის; ვისაც უნდა ქართველები ძმად, ძმურად მოიქცეს და გვერდში ამოუდგეს! ჩვენთან კაკანი და სხვაგან კვერცხის დება ვერაფერი მოსაწონი წესია. თუ ასეთი ამბავია ქალაქში, არც ნაკლებია სოფელში, სადაც მაგისთანა მაგალითს ბევრს ვხვდებით ვალეში, ბარალისში, უდეშიაც.

ზანავში შეგვხვდა ერთო მოლა ბაქრაძე; კარგად ლაპარაკობდა ქართულად და გზაც გამოგვასწავლა სმადისაკენ, რომლის ეკლესიის წარწერა ჩემს წინანდელს წერილში ვერ მოჰყვა. ძალიან თავაზიანად და პატიოსნად მოგვეპყრა. მე რამ გამაკვირვა:სომხობა შემოჰხვევია ახალციხეს ესე 12-15 ვერსის მანძილზედ და რაც კარგი ადგილებია, იმათთვის ურგუნებია ბებუთოვს 1827-28 წ. და ხატისოვს ამ ბოლო ხანებში და დღეს ერთობ გაჯეჯილებულან სომხები, ჰყლაპავენ ფრანგებსაცა, ანგრევენ ძველს ნაშთებს, წარწერებს სპობენ და ჩვენ კი ესე გვძინავს. დრო არის, დრო თვალები მოვიფშვნიტოთ, მივიდეთ ახლო, ვნახოთ ეს მოკაკანე ქათმები და ერთი ვიღონოთ რამე ნაშთების შესახებ.

დასასრულ, დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი როინაშვილი, რომელსაც მოუვლია დასახელებულნი ადგილები და გადმოუღია.

ქ.გორის აწმყო და წარსული [54)]

გაზ. ,,ქართლი” 1912, N 1, 24 ივნ. გვ. 2-3.

გორს ერთის მხრით ჩამოუდის მტკვარი, მეორე მხრით ლიახვი, ლიახვს ჩაერთვის მდ. მეჯუდა. თვით ქალაქი ვაკეზეა გაშენებული, მხოლოდ მეჯუდის მხარეს მოჩანს აღმართული ბორცვი-გორაკი, ამ გორაკის წვერზე დიდებული ციხეა აგებული. ციხიდან კაცს ატკბობს ლამაზი სანახაობა. თვალის წინ იშლება მშვენიერი სურათი დევ-კავკასიონამდე, სურამ-ლიხამდე, თრიალეთის მოქარგულ ფენოებამდე. მტკვრის მარცხენა მხარეს მცხეთიდამ მოდის კვერნაქი. ამ კვერნაქის წიაღიდან არის წარმოშობილი შიო მღვიმელი და აგრეთვე სახელოვანი საკვირველება-უფლისციხე, ე.ი. კლდეში გამოჭრილი ქალაქი, სახლებით, გვირაბით და სხვ. ეს კვერნაქი თანდათან დაბლდება და გორის მიდამოსთან ილევა, ვაკდება.

1902 წლის ცნობებით გორში ითვლება 10810 მცხოვრები. ქალაქი თანდათან შენდება, იწმინდება, სუფთავდება, ირთვება საჩრდილობელ ხეებით, ბაღ-წალკოტებით. სასეირნო ბაღად მოწყობილია თვით გორაზე მყოფ ციხის ეზოც, საცა არის ძველი საყდარი, აგრეთვე აუზები და დასავლით ციხის ძირში ჩატანილია ქვიტკირის გვირაბი ლიახვამდე.

ვახუშტი ამბობს:,,გორი არის ადგილი ჰავითა შვენიერ:წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი; ზაფხულ კეთილი, ზამთარს ცივი, ქარიანი, სანადირო მოუკლებელი ფრინვლითა, თევზითა და სხვითაცა და საზრდელნი მრავალნი გემოიანნი. მსახლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მშვენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი”.

ქალაქს ამშვენებენ ლამაზი საყდრები და დიდრონი სახელები, რომლებშიაც მოთავსებულან აქაური საშუალო და პირველ დაწყებითი სასწავლებლები, სამაზრო მმართველობა და სხ.

ლიახვის შესართავის ცოტა ქვემოთ, მტკვარზე, გადაკიდულია მკვიდრი ხიდი. მის ზემო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის სადგურია და მას იქით სოფელი ხიდისთავი.

გორს გვირგვინად ეხურება არათუ მარტო მისი გორა ციხე, არამედ წმ.გიორგის ძველისძველი საყდარიც, აღმართული მტკვრის მარჯვენა მხარეს თრიალეთის კალთის მაღალს მწვერვალზე. გორისჯვარიდამ თვალწინ იშლება არათუ მარტო ქალაქი გორი, არამედ, თითქმის, მთელი ქართლიც, მეტად მწყაზარი, მეტად აღმაფრთოვანებელი ადგილია ეს გორისჯვარი და მის გაყოლებით ფენო-ფერდობი გორისა.

გორელებს უყვართ ამ სიწმინდის მილოცვა. აქ ინახებაო, ამბობს ვახუშტი, წმ.გიორგის თავის ქალა. მის ახლოს ამოჩუხჩუხებს წყარო, რომელიც ბურეთის მთიდამ გამოუყვანია რუსუდან დედოფალს 1711 წელს. მისი წარწერაა:

,,ქ. ჩვენ მეფის ვახტანგის მეუღლემან, ჩერქეზის ბატონის ასულმან რუსუდან მოვიტანეთ წყარო ესე წმ.გიორგის წინაშე პატრონისა ჩვენის გამოსახსნელად და ცოდვისა ჩვენისა შესანდობელად და ძეთა ჩვენთა...აღსაზრდელად, ქორონიკონსა უ. წმ.გიორგი შეიწირე”...

როდის აშენებულა გორი,- არა სჩანს. წმ. ნინოს დროს იხსენიება ქართლის დიდი ქალაქი რუისი, გორი კი აღნიშნულია მეშვიდე საუკუნეში:კეისარმა ირაკლიმ, რომელიც საქართველოდამ სპარსეთს ებრძოდა, გორს უწოდაო ტ ო ნ თ ი ო, რაიც ნიშნავსო ოქროს გორას და ჰყოო იგი საფლავად საგანძურთა.

სვიმონ მეფის დროს (1558-1600) გორი აიღეს ოსმალებმა და ციხე თოფ-ზარბაზნით გაამაგრეს. სვიმონი გორისჯვარის მთაზე გამაგრებულიყო, და მოელოდა ხელშემწყობ დროს, რომ დასცემოდა ოსმალებს და გორი წაერთმია.

1598 წელს სვიმონ მეფემ ალყა შემოარტყა მთელს ქალაქს და მეცხრე თვეზე აიღო გორი. ოსმალები დაატყვევა, ციხის კედლები მათვე მოანგრევინა, ციხის ქვა ზურგით გადააზიდვინა და მტკვარში ჩააყრევინა, შემდეგ ყველანი ამოხოცა და მათი ცოლ-შვილი კი თავის მეომრებს მიურიგ-მოურიგა.

1632 წელს შაჰ-სეფიმ გამოგზავნა საქართველოში 123000 მეომარი გამაჰმადიანებულ როსტომის წინამძღოლობით. ნუზლის საზიდავად მას მისცა აგრეთვე 40000 აქლემი. მეფე თეიმურაზი გაიქცა იმერეთს. როსტომი მოვიდა გორს, 31 მაისს 1633 წელს, ამუშავა 20000 კაცი და 25-ს დღეში ააგო სვიმონ მეფის მიერ დანგრეული გორის ციხე. ამ ციხის სურათი მოხატა ქრისტეფორე კასტანელმა (კასტელი) და მიართვა როსტომს, რომელმაც წარუგზავნა ყაენს.

ეს როსტომ ყაენი დანიშნა ქართლ-კახეთის მეფედ 1632 წ. ვახუშტის სიტყვით, როსტომმა გორში ააგო სასახლე სპარსულ გემოვნებაზე:ბაღ-წალკოტის, დიდი, აუზებიანი, შვენიერი.

ნადირ შაჰმა საკმაოდ დააზიანა გორის ციხე. მაგრამ ერეკლე მეფემ ხელახლა გაამაგრა ჯარითა და ზარბაზნით. აბდულა-ბეგი სპარსელებით რომ ჩადგა თბილისის ციხეში, მის ასაღებად გორიდამ მოატანინა (1748 წელს) დიდი ზარბაზანი, დაუშინა ციხეს და მტრები ,,ცხვრებივით დაილალა".

საყურადღებოა აქ აგრეთვე გორის ოქონის საყდარი.

ოქონის ღვთისმშობლის ხატი მზითვად მოჰყვა ბაგრატ მეოთხის მეუღლეს ელენეს 1034 წელს. ეს იყო რომანოზ არგორის ქალი. მტვირთველად ამ ღვთისმშობლის ხატისა და მასთან ერთად ქრისტეს ჯვრის სამჭვალისა, რომელიც აგრეთვე მზითვად მოეცა ხსენებულს ელენე დედოფალს, იყო წინაპარი აწინდელ გარსევანიშვილებისა, ხატი სამშჭვლისთვის ააგეს ეკლესია ქართლის სოფელ ოქონას, საიდამაც შემდეგში გადაასვენეს გორის ოქონის ეკლესიაში. 1590 წელს იგი სვიმონ მეფემ გაიძღოლა იმერეთის ომში. იქ მეფე დამარცხდა და ხატი დარჩა იმერთა მეფეს. იქიდგან დააბრუნეს მხოლოდ 1660 წელს. მის კალთაზე აწერია ასომთავრულით:"ოქონის ხატო, შეიწყალე კათალიკოზი ევდემონ უღირსი". ეს იყო ევდემონ დიასამიძე.

გორის ახლოს არის კარალეთი, ძველი ნაჭარმაგევი, საცა მე XI საუკუნითგან მეფეებს ჰქონდათ სააგარაკო სასახლე. დავით აღმაშენებელმა აქ სტუმრობა გაუმართა შვიდს მეფეს. თამარ ნეტარი აქ ავად გახდა და აქედგან საკაცეზე დასვენებული მიიყვანეს ტფილისს.

ასეთი დიდებული წარსული აქვს ქ.გორს და იმედია, კარგი მომავალიც ექნება, თუ მისი მკვიდრნი მზრუნველობას არ მოაკლებენ.

მესხეთი

,,საქართველო" 1915, N 45, 16 ივლ. გვ. 2-3; N 46, 17 ივლ. გვ. 2.

სახელოვან გეოგრაფოსის ვახუშტის სიტყვით, თავდაპირველად მთელს მესხეთს ისე, როგორც დანარჩენ ჩვენ მიწა-წყალს, ეწოდებოდა ქართლი ანუ საქართლო, საქართველო, შემდეგ მესხეთი გაიყო სამ საგამგეოდ.

მიდამო ფანავრის ტბიდგან კლარჯეთის მთამდე და შავ-ზღვამდე შევიდა მცხეთა-ქართლის მფლობელის გამგებლობაში და ამ სამფლობელოს ქვემო ნაწილს

ეწოდა **შიდა-ქართლი** მცხეთა-არაგვიდამ ფანავრამდე), ხოლო ზემოს **ზემო-ქართლი.** ზემო-ქართლს შეადგენდნენ **სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო** ანუ ტაოსკარი.

მეორე საგამგეოდ ითვლებოდა ჯავახეთი, რომელსაც შეადგენდნენ **ჯავახეთი, არტაანი** (არდაგანი), **ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი**.

მესამე ერთეულს წარმოადგენდა **კლარჯეთი**, რომელსაც შეადგენდნენ **თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა და ჭანეთი**. ყველა ეს ადგილები, გარდა ჭანეთისა, მომწყვდეულია მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში. მაგრამ იყო დრო, მაგ. მერვე-მეათე საუკუნეში, როდესაც ჩვენი მეფეები ბიზანტიის იმპერატორებს ეცილებოდნენ-არზრუმ-ბასიანიც ჩვენიაო[4]*.

ჭანეთს ანუ ლაზისტანს დღეს უჭირავს ვიწრო ზოლი ჭანეთის-მთასა და შავ-ზღვას შორის ტრაპიზონამდე, მაგრამ მათი მფლობელობა უწევდა მდ. ღალისამდე (ჭანურ-მეგრული **ღალის** უდრის **ღელისი**, ღელეს ხევი, მდინარე).

მეფე ღობაზიონის ჟამს (457-474 წ.) საქართველოს დასავლეთ მიჯნად დაიდო,- გამოჩენილ დანიელის შუაკაცობით,- ხუფათი ანუ ხოფა. ამ ხოფას იქით არის რიზა, რომლის დასავლით ჭანეთის მთიდამ ჩამოვარდების მცირე მთა ზღვამდე და ეს მთა საზღვრავსო, ამბობს ვახუშტი, საქართველოსა და საბერძნეთს, აქვე არისო რკინისპალო და სატყეპელა და აქვე მეფე არჩილმა (+718წ. ააშენაო ციხე, ალბად, რიზაო. მის გაყოლება ხაზი ჭოროხის სათავის მთებამდე შეადგენს საქართველოში შემოსასვლელ კარს და იწოდება საქართველოს ყელად, რომელსაც ოსმალთა მფლობელობაში გადაერქვა გურჯი-ბოღაზი (=ქართლის ყელი).

ზედაპირი მესხეთისა უსწორმასწორია, ღვლარჭნილი, კლდოვან-ღრატოვან-ღრიღლოვანი, მთიან-გორიანი, უდიდესი მთებია ფერსათი, არსიანი, მესხის-მთა, პარხალი და ჭანეთის, ანუ პონტოს მთა.

ამისთანა შენობის გამო ,,მთა-ბარი ახლორებს ესრეთ:ჟამისა ანუ ნახევარ ჟამისა (1/2საათის) სავალით არს თოვლი, და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთის-ხილი და ყოველნი ნაყოფნი” ხარობენ.

ამისგამოვე ადგილ-ადგილ ზამთარი ცივია, დიდ-თოვლიანი, ხოლო ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულობით კი ჰავა ზოგან შეზავებულია, ზოგან კი ცხელი, გაუძლასი. ცივი, გემრიელი და შემრგო წყაროებით მეტად შემკულია ეს ქვეყანა.

ყოველი მარცვალი ნაყოფიერებს აქ, თუმცა არა ყველგან. მრავალნაირი ხილი ხარობს, მეტადრე ფორთოხალი. აქაურობა შემკულია წალკოტებითა, მტლებითა და სავარდეებით. მთა და ველი ფშვის შროშნით.

---

[4] * იმპერატორი კონსტანტინე ძოწითმოსილი სწერს 952 წელს:ქართველთა მეფე აშოტმა არტანუჯი დაუთმოო იმპერატორს რომანოზ ლაკაპერს (920-944 წ.), მაგრამ ქართველთა მეფე გურგენმა და მისმა ძმამ შეუთვალეს, თუ ჯარს შემოიყვან არტანუჯში, განგიდგებით და სარკინოზებს მივემხრობითო. მიიღო-რა იმპერატორმა ესეთი განცხადება, მაშინათვე არტანუჯის ციხიდამ გაიწვიაო თავისი მეციხოვნეები. ამას წინად ბასიანი ეპყრათ სარკინოზებს. იმპერატორ ლეონმა (886-912 წ.) გაგზავნა ლაშქარი, რომელმაც აიკლო ბასიანი და თეოფოსიოპოლი (არზრუმი). ამ ომპერატორმა და მერე ლაკაპერსაც სურდათ დაეპყრათ ცეცეუმი, რათა მოესპოთ ამ ქალაქისთვის შეძლება სურსათი შეეტანა არზრუმში. მათ აღუთქვეს ქართველთა მეფეს, თუ დაიპყრობ არზრუმს, შენ გაკუთვნებთო, მაგრამ ქართველებმა ეს არ ისურვეს სიყვარულისა გამო იმ ქალაქის მცხოვრებისადმი და მიტომაც, რომ ქალაქის დანგრევის წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ როდესაც ბიზანტიელებმა ააოხრეს ხსენებული ადგილები, მოვიდნენ ქართველები და დაიჭირეს ეს ადგილები არზრუმითურთ. მოხდა შერიგება. ბასიანის ნაწილი (არაქსის ჩრდილოეთის კიდეებიდან მოკიდებული) დარჩა ქართველებს, ხოლო მეო-რე (სამხრეთისა) საბერძნეთს.

ვახუშტი განაგრძობს:,,პირუტყვნი ყოველნი მრავლად, ნადირნიც, არამედ ქურციკი არა არს. ფრინველნი ურიცხვნი, გარნა დურაკუ, შხერო, ასკატა არა არს აქა. ჩიტნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენნი და კარგნი. ტკბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი დიდნი და წვრილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა ამათ შინა, არცა კირჩხიბი. მწერნი და მძრომელნი ადგილ-ადგილ მრავალნი და ადგილად არა ეგოდენნი. ფუტკარი მრავალი, თაფლნი კარგნი და მრავალნი. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. ხოლო კაცნი და ქალნი არიან მსგავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილმშვენიერად მოუბარნი, ტამოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი, არამედ აწე მაჰმადიანობის გამო, არღარა ენა საკუთრად აქვსთ იგივე ქართული... ჭანეთში კაცნი არიან ხელოვანი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთა, დიდთა და მცირეთა, სარწმუნოებით აწ სრულად მაჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტიანენი და უწყიან ვიეთთამე კვალად ქართული ენაი.”

მესხეთის დიდებულები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი მონასტრები, სასაფლაო, ციხეები და ყმა-მამულები, ესენი იყვნენ:კავკასიძეები (ამათ ეკუთვნოდა დიდებული პარხალი), სამძივარი, ავალიშვილი, სლესარი, ლასურიძე, თათქირიძე, ხურსიძე, დიასამიძე, ბოცოსძენი, ოლიდასშვილი, სალიკაშვილი, ქამქამიძე, რჩეულიანი, ფროდიანი, უზნაძე, ფანასკერტა, სპასალარნი, ხახულარნი, ანძაველნი, კოპასძენი, თუხარელნი, მონასტრიშვილი. აქაურებივე იყვნენ გოგიბაშვილნი, ლონგისძენი, ღობერნი, ამატაკიანნი, ბულღადარისშვილნი, ასპანისძენი, დუკისძენი და სხ. მთელს მესხეთში მცხეთის კათალიკოზს ჰყვანდა 13 ეპისკოპოსი. ვურთავ მათ შესახებ ცნობას ძველის ძეგლიდამ:

,,**მაწყუერელი** გვირგვინ-ბისონიანი არს. ამისი სამწყსო:ყვიბისი-კორტანეთს შუა რომ წყარო დის, იმას ზეით ხეობა და სადგერი, სულ აწყური, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის-წყლის გაღმართი გურიის წადგომამდის.

კუმურდოელი სამწყსო: ხერთვისის ზეით სულ ჯავახეთი სვეტამდი.

იშხნელის სამწყსო: გურჯი-ბოღაზს აქეთ, სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი არტანუჯის თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი, გაღმა ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო ისპირ-ტრაპიზონის მთას გადმოღმა.

ანჩელის სამწყსო: სამწყალს აქეთი ხანძთას და ოპიზას შუა დახატულა, იმას ქვემოთი ნიგალის ხევი, გაღმა და გამოღმართი გონიას საზღვრამდინ.

მტბევარის სამწყსო: დახატულას ზედათი ანაკერთს აქეთი სულა შავშეთი. მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოზის იმ ქვეყანის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა. აჭარა-დანდალოთ ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა.

წურწყაბლის სამწყსო: ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ-ხევი ხერთვისი ქვეით.

წყაროსთაველის სამწყსო: ზეითი და იმას ზეით პალაკაციო კოლას საზღვრამდინ მტკვარს აქეთი, არტაანი.

ერუშნელის სამწყსო: ტალაშოს ზეითი, სულა არტანი კოლას საზღვრამდინ.

ვალაშკერტელის სამწყსო:ყაღზევანს ზეითი ვალაშკერტს აქათ ხინუსი და დევაბოინს აქეთი.

ანელის სამწყსო: სულა ზარიშტიანი და შირავოინი და მაღასბერეთი.

კარელის სამწყსო: სულა კარი და კოლისა და ოლთისის საზღვრის გადმოღმა გაგჩევანი და კაღზევანი.

ბანელის სამწყსო:სულა ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სულა ოლთისი და ნარუმაკანი.

დადაშნელის სამწყსო: სულა კოლა და ხორტევანი ყარასავზედ მიდგმამი. ამ ეპისკოპოსებთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია; იმის ხელთ არის ყველა.

II. მესხი, იმერი, ქართლელი და კახი ძველი დროიდგანვე ასე დაუხასიათებია ერის დაკვირვებას:

,,პირველ თქმულია ძველთაგან
სიდარბაისლე მესხისა;
ზრდილნი არიან იმერნი,
მტერთა მიმცემნი რისხვისა,
პურადობა და ვაჭრობა
ქართლელს არა ეზრახვისა;
მოსაწონია კაცისა
ომი და ლხინი კახისა".

ესენი თავიანთ განსაკუთრებულ თვისებებით ერთი მეორე შეავსებდნენ, ამშვენებდნენ. ერთად, ძმურად მოღვაწეობდნენ მშვიდობიანობასა და ბრძოლა-ომის დროსაც. საერთო საქმეს ყოველი კუთხის ქართველი საღმთო შურით, თავდაუზოგველად ეტანებიოდა. აგერ სამეფო

დროშა გაშალეს
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, **თუში** ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით **ქართლელი**,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხმარდი, **მთიული**,
ბრძოლაში შეუპოვარი,
მესხი სწავლითა ქებული,
გმირი **იმერი** ზრდილობით,
და მშვილდოსნობით **აფხაზი**,
გურული, **მეგრი** მკვირცხლობით...

წინ რა დაუდგებოდა დაუძლეველი ამისთანა ერთობას! ქვეყანა იმოსებოდა საკვირველ შენობებით, მოხატულ-მოჩუქურთმულებით.

ითხრებოდა რუ-არხები ურწყავ ადგილების გასანაყოფიერებლად, მწიგნობრობასა და მგოსნობას ფრთა ეშლებოდა.

ქართველობა შარავანდედით იმოსებოდა და მის იერსა და ჯანგს პატივით ეპყრობოდნენ კულტუროსანი ერები.

ამ მხრივ ქართველობას მოელოდა უმეტესი ზრდა-განვითარება, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დიდებული მესხეთი მისდა უნებურად გამოვარდა საერთო წესწყობილობიდამ და მით შეასუსტა საქართველოს სამეფოს ძარღვის ცემა.

უკუღმა ტრიალი იწყო მონგოლების შემოსევის დროიდამვე. საქართველოს მტრების წაქეზებით განდგნენ მესხეთის ათაბაგები. თავიანთვის ცალკე სამართალიც შემოიღეს (ბექა-აღბუღას კანონები). ,,მეფე" მზებუკმა ანტიოქიის პატრიარქს დოროთეოსს საათაბაგოს სამღვდელოებაც გამოაყოფინა მცხეთის საკათალიკოსოდამ და დაუმორჩილა აწყურის სამიტროპოლიტოს (იხ. ეპისტოლე ამ დოროთეოსისა საეკლ. მუზ. N 193). რაი დღე, ათაბაგები უფსკრულისკენ მიაქანებდნენ თავიანთ

საათაბაგოს. 1626 წელიწადი შეიქმნა საბედისწეროდ. უარყოფილ იქმნა ქრისტიანობა და ყველა გამაჰმადიანდნენ. ეპისკოპოსები განდევნეს. წიგნები მოსპეს. სალოცავები შეიძულეს. საყდრები დააქციეს ან მიზგითებად გადააკეთეს. რის სემუსვრაც ვერ მოახერხეს, დასტოვეს ვერანად:აღსრულდა წინასწამეტყველის სიტყვები (ესაია 33, 13-15; იერემ. 50, 39):ჭალაკთა შინა დაემკვიდრნენ ურჩხულნი; ქალაქთს შინა აღმოსცენდნენ ეკალთა ხენი, ციხენი მათნი იქმნენ საყოფელად ურჩხულთა და სამკვიდრებელად სირთა, და შეითხვივნენ ეშმაკნი და ვირდევნი მუნ განისვენებენ ვირდევნი, მუნ მართველნი ისხდნენ გძღარბთა, მუნ შეკრბნენ ნადირნი”

მის შემდეგ მესხეთმა ვერ აღმოაცენა ვერც ერთი მნათობი, მაშინ როდესაც დანაშთენ საქართველომ აღმოაყვავილა მთელი რიგი სჯულმდებლებისა, მემატიანეებისა, მეიგავ-არაკეთა, პირველ ხარისხოვან მგოსნებისა (გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი) და სხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა.

უამათოდ, უწიგნ-უგაზეთოდ, უსკოლოდ რა ვიქნებოდით დღეს ჩვენ? თუ ამერ-იმერიც იმ ბედშავ 1626 წელს გაჰყოლოდა მესხეთის გზა-კვალს, განა დარჩებოდა სადმე საქართველო, ქართული სული?

მაგრამ ჩვენი სატრფიალო მესხეთი თუმცა წარწირულა, გარნა არ განწირულა. დაცემას აღდგომაც მოსდევს. სიკვდილი სიცოცხლესაც ჰშობს. აგრე ხალისდება, მაგ., საარაკო ფრინველი ფინიქსი:იწვის, რომ კვლავ აღორძინდეს!

ჭირნახულმა მესხეთმა საკმაოდ დაისვენა, და დასვენებული ორკეც ძალით შეუდგება იმის ამოვსებას, რაც დააკლდა ამ 300 წლის განმავლობაში. შეუძლებელიაო, ამბობს ერის სიბრძნე, დამშრალი რუ ისევ არ ახმაურდესო, შეუძლებელია, რომ მესხებმაც დაივიწყონ თავიანთ ფრიად ნაყოფიერი წარსული. თავიანთი მამა-პაპათა ბრწყინვალე მესხეთი, სამცხე-კლარჯეთ-ჭანეთი, ე.ი. აკვანი საქართველოს დიდებისა, უძვირფასესი სპეკალი ქართველ მეფე-კურატპალატების გვირგვინში.

მესხეთი ქართველობისთვის ის არის წინსვლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის.

კაცობრობის ისტორიის განთიადსვე ჩნდება მესხეთის წარჩინება.

ყოველგვარ მადნეულობის შემუშავებას აქ ეცნობიან იგეთი მფლობელი ერები, ვით ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბერძნები.

აქეთკენ მოდიოდნენ ბერძენთ გმირები ოქროს საწმისის გასატაცებლად.

აქვე ნახეს მათ მშვენიერი სასახლეები, რომლის აუზებში დიოდაო შადრევნად ღვინო, რძე, წყალი, ნახეს მშვენიერად დამუშავებული ვენახები, ქალები, რომელნიც სხვადასხვა ბალახით ამზადებდნენ წამლებს.

აქაური იყო მითრიდატ დიდი. ჭანის ქალი იყო დედა გამოჩენილ მეცნიერ-გეოგრაფის სტრაბონისა, რომელმაც ქებით მოიხსენია ივერიის კრამიტით გადახურული სახლები, საზოგადო დაწესებულებათა შენობები, ერის სიმშვენიერე და სხ.

აქაური ქალი იყო დედა ათანასი დიდისა. აქაური იყო წმ. ნინო, შემდეგ 13-ნი მამანი, კვლავ გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი და სხ. დამაარსებელნი პარხალისა, ტბეთისა, ანჩისა, ხახულისა, ოპიზისა, შატბერდისა, ზარზმისა, ბანასი, სოშხისა.

აქ მოღვაწეობდა დიდი მწერალი ბერაი, მიქელ მოდრეკილი, უუდიდებულესი ქართველი ეფთვიმე მთარგმნელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და მრ. სხვა მწერალი პეტრიწი ფილოსოფოსითურთ.

აქ გამოჩნდა პირველი მგოსანი ფილიპე (XIს.), შემდეგ ეფრემ მცირე და ბოლოს უკვდავი შავთელი და შოთა რუსთაველი.

აქ აღორძინდნენ დიდი მეფეები გურამები, აშოტები, დავითები, ბაგრატები, აქედან იყვნენ საუკეთესო სახსენებელი კათალიკოზები არსენი დიდი და სხ.

მაგრამ განა აქ შეგვიძლიან ჩამოვთვალოთ ყველა ის ამაგი, რომელიც მესხებს მიუძღვით ქართველობის წინაშე, და თუ გინდ კაცობრიობისაც! რავდენი მარგალიტი დაგვიუნჯეს მათ ჩვენ ქართველებს და ზოგიც სხვებს, გარმიანელებს, მაგ., ,,ბალავარი, მოთხრობა ,,კონსტანტინეპოლის გარემოცვა სკვითთა მიერ 626 წელს" და მრ. სხვა ტყავზე დაწერილი ძეგლი თუ ხუროთმოძღვრული საუკუნო ნაშთი.

აქ ვურთავთ მოკლე ცნობას მესხეთის ამ ძეგლ-ნაშთების შესახებ.

III. სახსოვრები ქვეყნისა:

1. **ოპიზი** (იგივე ოპისი, უბისი), ანუ ნათლისმცემელი. ეს დიდი მონასტერი ააშენეს მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში ამონამ, ანდრიამ, პეტრემ და მაკარიმ, აქვე მოღვაწეობდა შიომღვიმელის მოწაფე მიქელი, რომელმაც თავისთვის კლარჯეთის კლდეებში ააშენა ეგვტერი ანუ პარეხი. ამ მიქელის მოწაფე იყო სერაპიონი, ზარზმის ამგებელი. ოპიზის შორიახლოს აშენდა დიდებული პორტა ანუ შატბერდი, მიჯნაძორი. 1054 წელს ოპიზლებს და მიჯნაძორელებს აუტყდათ ცილობა მამულების თაობაზე. ოპიზელები თავის უფლებას ამყარებდნენ სიგელზე, რომელიც მათთვის მიეცა გურამ მამფალს (+883 წ.). ოპიზი და მიჯნაძორი ფრიად მდიდარ და დასახლებულ იყვნენ მე-XIII საუკუნეშიც (ქ. ცხ. 404).

2. ანჩა. ეს ის ადგილია, საცა ანდრია მოციქულმა (I საუკ.) დაასვენა მაცხოვრის ხატი. ,,ანდრია იგი მოციქულთა პირველწოდებული მოწაფე მეუფისა დიდისა იდიდებოდენ ყოველთაგან უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა! იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩვენ, მოსავთა მისთა, მოგუანიჭა". ეს ხატი დღეს ასვენია თბილისის ანჩისხატის საყდარში, სიგრძით არის1 ნახევარი ალაბი, სიგანით 1 ალაბი. ძვირფასად შემკულია დიდრონ და ფასდაუდებელი თვლებით, უკანასკნელად იგი შეუმკია ეპისკოპოს იოვანეს მისი მოჭედილობა ეკუთვნის ბექას.

3. ხანძთა ანუ ხარცთა, ანუ ხენძორეთი. აქ მეუდაბნოედ იყო ხვედი. ქართლიდამ მოვიდა გრიგოლი (დაიბადა 759 წელს +861-ს), მოეწონა ადგილ-მდებარეობა და ააშენა მონასტერი, გაუჩინა წესი და რიგი, მოიზიდა მრავალი ქართველი და ააშენა სხვადასხვა მონასტერი, შატბერდიც. მისი მოწაფეთაგანი დიდი დაადგინეს, გრიგოლსვე რჩე... საქართველოს კათალიკოსად... განითქვნენ დაფანჩულები, საბა იშხნელი, ქალი ფებრონია და სხ.

4. ხორზმა. დიდებული მონასტერი ააშენა სერაპიონ ზარზმელმა, შიო მღვიმელის მოწაფის მიქელის მოწაფემ. ყოვლისფრით შემკული შენობაა, მაგრამ აწ ოხრად ჰგია.

5. იშხანი მეორედ განაახლა გრიგოლ სანძულის დისწულმა საბამ, რომელიც მის ეპისკოპოსად შეიქნა. იშხნის დედნით დაწერილია მეათე საუკუნეში წმ. დედათა ცხოვრებანი ფაბრიელ პატარაიას მიერ (N 95).

6. დოლისყანაში დიდებული საყდარი ააგო მეფე სუგბადმა (+958 წ.).,

7. ბანა ააშენა მეფე ადარნასემ (881-923) კვირიკეს ხელით და ეს ეკურთხა ბანას ეპისკოპოსად. აქ ჰმარხიან მეფე ვახტანგი (+1445 წ.) და მისი ცოლი სითიხათუნ. ხელში გვაქვს აქ დაწერილი წიგნი (N 1) ბრძანებითა ზაქარია ბანელისა.

8. ხახული დაარსა ბაგრატ IV (+1014 წ.). იგი მალე შეიქმნა ქართველთა აკადემიად. მასში მოღვაწეობდნენ ბაგრატრის სვილი ბასილი, მამა ილარიონ თუალელი, ტაოსკარელ დავით კურატპალატის მწიგნობართ უხუცესი გიორგი. აქვე აღიზარდა საქართველოს შვენება გიორგი მთაწმინდელი.

9. სოშხი დააარსა მეფე ადარნასემ (881-923) და შეამკო ჯოჯიკმა. ამან და ცოლმა მისმა აღზარდეს ხსენებული ჩვენი სიამაყე გიორგი მთაწმინდელი.

10. პარხალი საკვირველად აგებული ტაძარია, დაყრდნობილი მსუბუქ და მაღალ სვეტებზე. შორიდამ გამოიყურება როგორც ორ სართულიანი შენობა. იგი საქართველოსთვის ითვლებოდა აკადემიად. მასში მოღვაწეობდა მრავალი ჩინებული ქართველი. ბევრია აქ ტყავზე გადაწერილი წიგნი, მაგალ. N 95, შრომა გაბრიელ პატარაიასი. დიდებული ბერაის და მის ნათესავის მიქელ მოდრეკილის, ქრისტომატიები შედგენილია ამ პარხალის მონასტერში.

ხანძთა, პარხალი, ხახული- ეს იყო ქართველთა იერუსალიმი, საქართველოს განმანათლებელი ბრწყინვალე კერია, აკადემიები.

11. ტაძრისი, ახალციხის ახლოს, დედათა მონასტერი. აქ მსახურებდა გიორგი მთაწმინდელის და საბიანა, რომელმაც ამას შეასწავლა ქართული ანბანი და მერე წარუგზავნა აღსაზრდელად თავის ბიძებს გიორგის, საბას და ხახულს.

12. ტბეთი. აშოტ ერისთავთა ერისთავმან, ძემან გურგენ კურატპალატისამან (+891 წელს). რომელსაც ეწოდა კუხი, აღაშენა **ტბეთი** შავშეთს, და განასროლა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე. აშოტ კუხი +918 წელს. აქ მოხსენებული სტეფანე ფრიად განათლებული კაცი იყო და ითვლებოდა სასულიერო მწერლობის ცენზორად. მან დიდშვენიერად დასწერა გობრონის ცხოვრება. ტბეთი დიდებული შენობაა, მაგრამ აწ გაუქმებული, გავერანებულია. მასში ჰმარხია თვით აშოტ კუხი. მიქელ მოდრეკილის საგალობო დიდს წიგნში შენახულა სურათი ტბეთის მეორე ეპისკოპოსის წმ. იოვანესი მის მიერ გამოთქმულ გალობებითურთ. 1028 წელს ტბეთი შეიმოსა განსაკუთრებული შარავანდედით. სწორედ ამ წელს ბერძენთ იმპერატორი დიდის ლაშქრით შემოესია საქართველოს. ბაგრატ მეფე მაშინ ცხრა წლის ყრმა იყო. მას განუდგნენ ზოგიერთა ბეცი ქართველები და მიემხრნენ ბერძნებს. მაგრამ მამულის თავისუფლებისათვის თავი გამოსდო ტბეთის მაშინდელ ეპისკოპოსმა საბამ.

ტბეთის შესავალში არის ბორცვი. საბამ ამ ბორცვზე ააშენა სიმაგრე-სვეტი, ჩადგა შიგ, მოიწვია ეზრა ანჩელი. შემოიმაგრა შავშეთი და აზნაურებთან ერთად სასტიკი ბრძოლა აუტეხა მოსეულ მტრებს. ბევრი იბრძოლეს ამათ, ბევრი ძალ-ღონე შეალიეს სვეტის დაპყრობას, მაგრამ ძრა ვერ უყვეს სვეტს თავისუფლებისას. ბოლოს ლიქნა-ქადებასაც მიჰმართეს, რათა მოისყიდონ ციხის მცველები, მაგრამ ვერას გახდნენ. თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველები ერთურთს ამხნევებდნენ სიტყვებით:- ,,ნუმცა შეგვიტყუებენ ჩვენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი, მოვიგოთ მადლი ერთგულობისა და გვირგვინი ახოვნებისა სიკვდილად გავწიროთ თავნი თვისნი".

ბოლოს მტერი მოიღალა ამაო ბრძოლით და გაშორდა, საქართველოდამაც მთლად გავიდა.

და ასე ნათლითმოსილ საბამ დაიმკვიდრა ქვეყანად შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ მეფისა და ღმერთმაც პატივსცა და ვერ წარუღეს ქვეყანა მტერთა". (სიმაგრე–სვეტი-ეზრა ანჩელი).

* * *

ჯერჯერობით ვასრულებ ჩემ წერილს ამ მოკლე განხილვი და თანავე ვურთავ მგოსნის მოწოდებას:

,,ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი

წარსულთა ძველთა საუკუნეთა:
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა”.

ყოვლად საჭიროა საქართველოს ნაწილების შესწავლა ყოველ მხრივ, იმ გეგმით, როგორც ჩვენ საფუძვლად დავუდეთ ჩვენს მცირე შრომას ,,საინგილო”, ხოლო აგეთ შრომას ადგილობრივ მცხოვრებელზე უკეთესად ვერავინ შეასრულებს, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს და მის მეყვისებს მივმართავ თხოვნით, შეასრულონ ჩვენი გულითადი წადილი და მოგვცენ თავიანთი მოჭირნახულე და ბრწყინვალე სამშობლოს ვრცელი აღწერა.

პატარა ლიახვის ხეობა

,,საქართველო” 1916, N 127, 9 თიბათვე, გვ. 4.

პატარა ლიახვის ხეობა,- აღნიშნავს ავტორი, სილამაზით არ ჩამოუვარდება დიდი ლიახვის ხეობას და მცხოვრებნიც ერთმანეთისაგან არაფრით განირჩევიან. შედარებით უფრო მოკლე, მცირემიწიანი, მაგრამ სახალხო მასწავლებლის, ,,მეხილეობის მამამთავრად" წოდებული ისაია ფურცელაძის წყალობით წელში გამართული ხეობა დიდი ლიახვის ხეობასავით მისი სამხრეთის ნაწილი-ვაკე ადგილი დასახლებულია ქართველებით, ხოლო ჩრდილოეთი, უფრო მთიანი, ოსებით. პატარა ლიახვის ხეობა მეფუტკრეობის განვითარებისთვისაც ძლიერ ხელსაყრელიაო. იგი მიუთითებს სწავლა-განათლების დარგში პატარა ლიახვის ხეობის ჩამორჩენილობაზე, სადაც მხოლოდ სამი სკოლაა, მხარე სიბნელითაა მოცული და მკითხავების გავლენას ემორჩილება. ისაია ფურცელაძეს მოუწადინია თავის ხარჯით სოფელ მერეთში ისეთი სკოლის დაარსება, როგორიც წინამძღვრიანთკარშია, თუმცა ამ საქმეში მისთვის მსოფლიო ომს შეუშლია.

მცხეთა და მისი მიდამონი.

1918, 81 ფურც. 1900 წელს შედგენილი ნარკვევის გადამუშავებულ ვარიანტიდან).
(იხ. ხელნ. ინსტ. მ.ჯანაშვილი საარქივო ფონდი N 211).

ავტორი შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ სამშობლო ქვეყნის შესწავლის სურვილი საკმაოდ გაცხოველდა ჩვენში. ამიტომ განვიზრახეთ მგზავრთათვის სახელმძღვანელოდ მიგვეწოდებინა სამგზავრო წიგნაკები საზოგადო სახელით ,,სამგზავროი”.

პირველ წიგნად იბეჭდება საქართველოს დედაქალაქები მცხეთა და არმაზი. ამას მოჰყვება სხვებიც, მაგალ., ,,უფლისციხე და გორი მიდამოებით”, ,,ტფილისი”, ,,ქუთაისი მიდამოებით”, ,,საინგილო” და სხ., იმედია, საზოგადოება დაგვეხმარება, რომ ჩვენს სიცოცხლეში ეს საქმეც განვახორციელოთო.

მისი სიტყვით, ყოველი ნახული და ნაგულისხმევი დიად შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, მაგრამ ამასთანავე გულს უთუთქავს მამა-პაპათა მიერ აგებულ ძეგლების აწინდელი უნუგეშო მდგომარეობა. არსად არა სჩანს მისი მომვლელი, ერთგული დარაჯი, მათთვის მზრუნველი ხელი. არმაზი მთლად მორღვეულ-

მონგრეულია. სამთავროს გუმბათი შეუსუსტებია წვეთს. სვეტიცხოველს დამტვრევია სარკმელების მინები, წვიმის შხეფი და ქარიშხალის ღელვა თავისუფლად დანავარდობს საყდარში. მტრედების ასპარეზად გამხდარა ის ,,წმიდათაწმიდა", რომელსაც ვერ ეკარებოდა მირიანი მის წაპილწვის შიშით, დაბზარულ და ჩამოცვივნულ მინების მაგიერ სარკმელებზე აქა-იქ ვიღაცას მიუკრავს რაღაც ნაფოტები, რომელთაგან უმეტესი ნაწილი ცალ ლურსმანზე კინკილებს. ყველა ამის მხილველი აწინდელი ქართველი, რომელსაც ადამიანური სახე არ დაუკარგავს, ჰგრძნობს თავის თავის სრულ დანაცრებასა და არარაობას. დგეხარ გვერდით სვეტიცხოვლისა, რომელი, ვითა რაიმე დიადი ბუმბერაზი, ცად აღმართულა, წარმოიდგენ, რომ მისი ტოლი ხუროთმოძღვრული ქმნილება დედამიწის პირზე ბევრი არ არის, რომ იგი, ვით შენი სამშობლოც, შენთვის ერთადერთია,-ყველა ეს გახარებს, გიორკეცებს ეროვნულ სიამაყეს, მაგრამ იმავე დროს წვეთების წკატუნი და ქარის ქშუილი ამწარებს შენს ტკბილ ოცნებას, გულს გიტოკებს, და შენც უნებლიედ ეკითხები შენს თავს:ეს მამა-პაპათა საუკუნო ძეგლი რომ წვეთმა და წყალმა დაანგრიოს, თქვენ კვლავ ააგებთ? თუ ვერ, მაშ რაღათი იამაყებს ქართველი კაცი? რაღა მოაგონებს მას წარსულ დიდებას, ძლიერებას იმ ნეტარხსენებულებისა, რომელთაც უნარი ჰქონდათ შთამომავლებისათვის დაედგათ იგეთი ძეგლები, ვით ეს სვეტიცხოველი, ვით ალავერდი, ვით ბუმბერაზი სამთავისი, გელათი, ატენის სიონი, ბაგრატის ტაძარი (ქუთაისში), ბედია, ზარზმა და სხ.

ბატონებო, სვეტიცხოველი ქმნილებაა მთელის საქართველოისა, ყოველის ქართველისა. მის აგებისათვის საქართველოს ყოველი მეკომური იხდიდა თავის წვლილს 27-ის წლის განმავლობაში-წლიურად 30 კაპიკს. შევჯგუფდეთ დღესაც ყველანი, გამოვიღოთ ყველამ მცირე წვლილი და ამ წვლილთაგან შემდგარი ჯამი მოვახმაროთ იგეთ ძეგლების დაცვას გაოხრებისაგან, ვით სვეტიცხოველი და მისებრი მრავალი სხვა. იგეთ ძეგლებს, როგორი მცხეთაა, გელათი და სხ., განათლებულ ქვეყნებში უფრთხილდებიან ვით თვალისჩინს, უყენებენ დარაჯს, უზრუნველჰყოფენ წვიმა-წყლისაგან. ჩვენც მივბაძოთ მათ და დავიცვათ ჩვენი ეროვნული საუკუნო ძეგლები. მაშ ეხლავე საქმეს შევუდგეთ, რადგან წვეთი აღარ იდროვება და ჰლამის ეხლავე დაანგრიოს ჩვენი წმიდათა წმიდანები.

ავტორის შენიშვნა (იხ. ფურც. 83). მადლობა განგებას. 1900 წელს რომ მცხეთის სვეტიცხოველი უნუგეშო მდგომარეობაში იყო, აწინდელმა მთავრობამ, რომელმაც კარგად იცის ფასი და მნიშვნელობა ამისთანა ისტორიულ ძეგლებისა. მათ მოვლა-პატრონობას მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და საფუძვლიან შეკეთებით უზრუნველჰყვეს ნგრევა-დაქცევისაგან საუკუნოდ არათუ მარტო სვეტიცხოველი, არაგვის გაღმა ჯვრის საყდარი, არამედ ბევრი სხვა ისტორიული ძეგლებიც. 1918, 1 სექტ.

ქართლში.

,,საქართველო" 1919, N 177, 19 მარიამობისთვე, გვ. 3-4

მცხეთა. გორი. ხაშური. სურამი. ბორჯომი.

წლიურ შრომით მოღალულს მეღირსა მატარებელში ჩაჯდომა. საშინელი პაპანაქება იყო, მეტადრე წინა დღეებში. დაიძრა ორთქმავალი და თანდათან ჰაერსაც შეეტყო სიგრილე, ხაშურში ხომ კიდეც აცივდა, ყანები ყველგან დაემკოთ და ახლა ზიდავ-დნენ კალოებზე, ზოგან უკვე ლეწავდნენ. საქართველოს დედა ქალაქი მცხეთაც

მუშაობდა, ლეწავდა, საზამთროდ ემზადებოდა. გორში ჩიოდნენ, სიცხემ ვენახები გადახრუკაო. ამასვე მეუბნებოდა ატენის მემამულე ი.ელიაშვილი:ისე დამეწვა ვენახი, რომ ფოთოლთან ერთად მტევანიც ჩამოცვივდა და 120000-მდე მანეთის შემოსავლის მოიმედეს სულ ხელი დამაბანინაო. ხაშურს და მას იქით ვენახს თითქო კაი პირი უჩანს. აქა-იქ ჩიოდნენ, კალოს კაი გამოსავალი არა აქვსო. ყველაფრის სიძვირეა ყველგან. პური, ხილი, ყველი, ღვინო მამასისხლად ფასობს. კვლავ ვნახე თვალუწვდენელი მინდვრები ხაშურ-სურამ-ქვიშხეთ შორისი. სიმინდები ლამაზად აქოჩრილან, ლაღობენ. დამკილებში მოფენილია ნახირები, კოლტები, ფარები. აქა-იქ მოისმის სოფლის მწყემსის სალამური. კოხტა და ლამაზი სოფლები მოფანტულან გორის ძირებსა ფერდობებში. ჰაეროვან ქვიშხეთიდგანვე იწყება ვიწრო ხეობა, ყელი, საცა მოხუვის მარად მოდუდუნე ჩვენი მტკვარი. ხეობას მარცხნივ აჰყუდებიან ლიხ-ლადოს მთები, მარჯვნივ-თრიალეთი. აქეთ-იქითი მთაგრეხილები ხან უახლოვდებიან ერთმანეთს 1-2 საბლის მანძილზე, ხან იწევიან უკან, იშლებიან და აძლევენ კაცს შეძლებას ამ გაშლილ ღელეებში დაბინავდეს, გაიშენოს სოფელი. ამისთანა ბორჯომამდე რამდენიმეა _ ყვიბისი, ახალდაბა, კორტანეთი. ადგილმდებარეობა მართლაც სულ დაკორტნილია ღადაღუდა, წმინდა კორტანეთი. გზა-კვალს ნუ იკითხავთ, ან ეზო-ყურეს. მიკვირს, როგორ ცხოვრობენ ამ სივიწროვეში, ამ კლარჯულობაში. თვით რკინიგზა მიდის მტკვრის პირპირ. ზოგან ისე ვიწროა სავალი, გგონია, აგერ-აგერ წყალში შესტოპავსო. ბორჯომიდამ იწყება ვიწრო ლიანდაგიანი გზა ბაკურიანისკენ. ჩვენ ამ ხელად იქ წასვლა ვერ მოგვიხდა. საკმაოდ ციოდა და წასვლა არ გვირჩიეს. მივედით აგრედ წოდებულს ბორჯომის პარკშიაც. ლამაზი სახლები მრავლად, დიდრონი და კოხტა ბაღები, შუაში მოჩხრიალებს ანკარა ხევი ბორჯომისა, მოდის გამალებით, მოლიკლიკებს. ჰაერი ყველგან შესანიშნავია. მთა და ღელეები ნაძვის, ფიჭვის და სხ. მცენარით დაბურულია. ვნახეთ თვით ლამაზად მოწყობილი პარკიც თავის ელექტრონის სადგურით, საბანებლებით. გიახელით ბორჯომის სამკურნალო წყალიც. ჩვენი ყურადღება აქ მიიქცია წყლის გრძელ საქანელმა:კლდეებზე შორ მაღლიდამ დაქანდება-რა მთის წყარო, მოდის სპეტაკ თოვლივით თეთრად აქაფებული და ძირს შეერევა ბორჯომის ხევს. წეღან ცოცხალი და დამოუკიდებელი აწ ემონება სხვას, თავისზე უდიდესს. ამას იქით დაგროვილა უწინდელი ქვა-ქანდაკებანი:ცხვრები, ლომები და სხ. საზოგადოდ, ბორჯომში დიდი სივიწროვეა:მთა მთას მოსწოლია და ადამიანსაც გაწვება გულზე. თანაც დიდი სიძვირეა. მიუხედავად ამისა, აქაური ჰავა, ნაძვ-ფიჭვნარის სურნელება იზიდავს ადამიანს. წლეულს საკმაო ბევრი მოაგარაკეა, მათ შორის საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, პ.მელიქიშვილი, რომელსაც ბინა აქვს მეფე-ყოფილთა სასახლეში. ჩვენ დიდხანს ვერ გავძელით აქ:აქაურ სივიწროეს ვამჯობინეთ გაშლილი ხაშურ-სურამი და აქით გავეშურებით. ჰაეროვნება სურამისა, მშვენიერი სახილველები უნებლიედ იზიდავენ კაცს სურამისაკენ. დაბა სუფთაა, კოხტა სახლებით, თავის რკინიგზით. აქვეა ხომ დევი-ქმნილება, სურამის ციხე, რომელიც ჩვენ კვლავ დავათვალიერეთ და ვისიამოვნეთ მის საკვირველ გადმოსახედავით ხაშურ-თრიალეთისკენ. სურამს საკუთარი გიმნაზია არა აქვს და მისი ბალღობა სწავლობს ხაშურში, რომელიც პირველს შორავს რაღაც ვერსითა თუ ვერსნახევრით. კარგი იქნებოდა სურამელებს სურამ-ხაშურს შორის პირებზე დაერგათ კაკლის ხეები, რომ მათ ჩრდილში ესიამოვნათ მგზავრობის დროს. სურამში ვნახეთ სააგარაკოდ მოსული ეპისკოპოსი დავითი. იგი დაბინავებულა ქრ. ციცქიშვილის სახლში. ჰაერი აქ მეტად ნარნარია, მსუბუქი, საწადისი. ქართველობა ყველგან საქართველოს ბედზე მოუბნობს, საქართველოს დემოკრატიულ

რესპუბლიკის თავისუფლებაზე. იმდენად ძვალ-რბილში გასჯდომია სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობის აზრი, რომ იმას სხვა საგანზე ლაპარაკი თითქო ეზარება კიდეც. ,,რა ამბავია? იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა? რას იწერებიან ჩხეიძე, წერეთელი?”...
ამისთანა კითხვებით ჰხვდება ხალხი ტფილისიდან მოსულს...

კოჟორი (=კოჯორი (აზეულა)- 18 ვერსია, საფოსტო და
საცალფეხო გზა). (გზები. გზათა არემარე. ყანები. დუქნები. კოჟრის ადგილმდებარეობა და სახელი. მის მიდამოს მოკლე აღწერა. ოზარდთა ახალშენები და აგარაკები. ბაზარი. ჭები. ბუნება.

,,ტრიბუნა" 1923, N 525, 19 ივლ. გვ. 1-3.

გული გიხარის, როდესაც ყოვლის მხრივ გესმის მშრომელ-მომკლების ყიჟინი და მამა-პაპური ჰოპუნა,-წერს ავტორი, ასე სტკბები თვით კოჟრამდე და გიხარია, რომ შენ მოძმე მუშა ხალხს დაჰჯილდოვებია მისი ალალი ოფლი და უხვად მიჰმადლებია ბარაქიანი სამკაული. მხოლოდ ამ საერთო სიხარულის არეზე ერთგვარ უსიამოვნებას გგვრის არღანის ჭყვიტინი და მოცლილ კაცთა ჟრიამული, რომელიც ამ მშრომელთა სამეფოს გაისმის შარას ნაირას წამოყუნტული ორი დუქნიდან, რომელთაც ერთი შიგ სოფელ ტაბახმელაშია, ხოლო მეორე ტფილისისკენ სოლოლაკის თავს და ჰქვიან ,,ვერდენი”. იგი ,,კახურის” ოხშივარიან ყუმბარებით უწყალოდ სხვერტენ ჩასუქებულ მგზავრების ჯიბეებს.. იქ, საცა უწინ მარტო მეფენი თავიანთ ამალითურთ ზაფხულობით დგებოდნენ,- განაგრძობს ავტორი, დღეს უკვე მოზარდ თაობის ახალშენებია. მეფეების განსასვენებელს დაეპატრონენ ტფილელი კრეზები, თაიროვები, აიდინოვები, ჩითახოვები და ძმანი მათნი, გაიმართეს აქ პალატებიანი აგარაკები და ჰპოვეს მათში საზაფხულო საგრილობელო ბინა. მაგრამ მოჰბერა ახალმა სიომ, კრეზები განაბნია და მათი აგარაკები გადაულოცა მშრომელთა შვილებს. კრეზების პალატები დღეს უკავია მრავალ ათას ბავშვობას. არის ცალკე ახალშენი ქართველ მოზარდობისა, ცალკე სომეხ მოზარდობისა და ცალკე რუსთა. გაოცებთ ამ ახალშენების სისუფთავე, კოხტა მოწყობილობა, აღზრდა ახალშენებში წმინდა სპარტანულია:მრავალგვარ ვარჯიშობას, ბურთაობას, საქანელს, ტანის ბანას და სხვ. ისე გაუმაგრებია, თითქო დასცინიანო ბუნების სიმკაცრეს. არ დამავიწყდება ის წუთები, როდესაც ქუჩაში შეუყენებივარ მოახალშენე ბავშვების ფერხულსა თუ მათ მრავალნაირ სიმღერას, თქმულის ხოროდ, ცქვიტად, ტაქტით, მწყობრად. სამწუხაროდ, მე ვერ გავშინჯე ახალშენების ,,მენიუ”. ისინი გამოიყურებოდნენ მხნედ, სახე სრული, პირგაბრწყინებული ჯან-ღონით აღსავსე. ბევრია ახალშენებს შორის დარჩენილი სახლები, რომლებიც ქალაქ კოჟრის გამგეთა მიერ გაცემულია კერძო მოაგარაკეებზე. ამ მოაგარაკეთა რიცხვიც დიდია. დუქნები აქ მხოლოდ რავდენიმეა და ეს არის მხოლოდ აქაური ბაზარი. არის აქ ბიბლიოთეკაც, უსასყიდლო სამკითხველოც, აგრეთვე აფთიაქიც. სასმელად კოჟორში იხმარება ჭის წყალი, არის წყაროებიც. 15 ივლისს, როდესაც ვწერდი ამ წერილს, აქაური ყანა ჯერ ისევ მწვანე რიდოში იყო, მარცვალ დაუსრულებელ-გაუმაგრებელი, ხოლო აქაური კაკალი ჯერ ძლივს დაწენგოებულიყო. კუმისისკენ და ტფილისისკენ ყანები ზოგი უკვე დაემკოთ და ზოგი იმკებოდა, ხოლო ნიგოზი კი უკვე დაკაკლებულიყო. ასეთია ბუნება ამ დალოცვილ დაკოჟრებულ მთისა. მოხუცი, სუსტი გულის პატრონი ვერ უძლებს აქაურ ჰაერის სიალქატე-სიმსუბუქეს. ალბათ ამიტომ მოაგარაკეთა შორის, რაც დღე მე იქ დავყავ, ვერ ვნახე ვერც ერთი მოხუცი. და ამავე მიზეზით მე

თვითონაც იძულებული ვიყავი კოჟრის სიმაღლიდან დავშვებოდი ტფილისის დაბლობ-როქაქისკენ:ამისთანაებისთვის მეტად მომაკვდინებელია ხშირი ნისლი, რომელიც დროით-დრო სქლად ჰბურავს კოჟრის მთელს სივრცეს და სულს უხუთავს ყველა სუსტგულიანს. ერთი ამნაირი ჯანყი ბურუსი ჩამოწვა და მოეფინა კოჟორს სწორეთ 15 ივლისს.

წერილები საინგილოსა და ინგილოებზე

ინგილოების ცხოვრების ზოგი ვითარება

,,სასოფლო გაზეთი" 1877, N 16, 31 მარიამობ. გვ. 3-4.

ავტორის სიტყვით, საცოდნელად კარგია ვიცოდეთ ჩვენი ხალხის ავი და კარგი თვისება, მეტადრე ზოგიერთის ჩვენი ქვეყნის მიყრუებული ადგილებისა. ამგვარი შესანიშნავი ადგილი არის ალაზანგაღმა ზაქათლისკენ მდებარე ალაგი საინგილო. ჩვენ რომ კარგად დავაკვირდეთ ინგილოების ყოფაქცევას, ზნეს და საკუთრად ცხოვრებას, ბევრ შესანიშნავ რასმე ვნახავთ მაგალითად შენიშნავთ, რომ შური, პირმოთნეობა, ღალატობა, ერთმანეთის გაუტანლობა, უთანხმოება, სიძულვილი და სხვა მახეების დაგება, ეს ადამიანის დამამცირებელი თვისებანი სხვადასხვა საქართველოს ნაწილებში უფრო მოდებულია და მკვიდრათ არის, მინამ ჩვენ საინგილოში. ამით მე არ მინდა ვთქვა ისა, რომ იმერლებსა და ქართლ-კახელებს არა ჰქონდეთ კარგი თვისება. მხოლოდ აქ ვამბობ, რომ შედარებით ინგილოებში უფრო შესამჩნევია. შურს, პირმოთნეობას, ღალატობას საინგილოში ადგილი არა აქვს- ინგილო პირადია და გამბედავი. შურის მაგივრად ინგილოებმა წაბაძვა იციან და კაი თვისების ან საქმეების შეთვისება და მიღება. ერთს, რომ სწავლული შვილი გამოუვიდეს-მეორესაც შვილის სწავლება გულითად ჰსურს. ვინ იტყვის, რომ ეს ვერაფერი თვისებაარ. რასაკვირველია, წაბაძვა ცუდია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი ავსა და კარგს ერთნაირად ბაძავს, ან ვერ არჩევს კარგს ავისაგან, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ინგილოები მხოლოდ კარგს და სამაგალითოს ითვისებენ ან ათვისებენ თავის პატარა შვილებს. მაგალითად, სიყვარული წერა-კითხვისა, მეცადინეობა ქართულად წმინდა კილოზედ ლაპარაკისა, ქვითკირის და პოლიანი სახლების აშენება, მამულისა ქვითკირის კედლის შემოვლება, არამდიდრულად, მაგრამ წმინდათ და კოხტად ჩაცმა-დახურვა, მამულის უკეთ მოვლა, შინაური პირუტყვების გაშენება, გზების გასწორება და გაკეთება. ამ მხრით ინგილოები ძრიელ დიდ ნაბიჯს ადგმენ წინა. ძნელი წარმოსადგენია იმ ყმაწვილების აღტაცება და სწავლის მეცადინეობა, რომელიც ინგილოების პატარა შვილებს ეტყობათ. სოფელში რომ მასწავლებელი მოდის, მამას თუ დედას, ვაჟსა თუ ქალს ყველას უნდა, რომ ახლად მოსული ახალგაზრდა მასწავლებელი გაიცნოს, რომელმაც უნდა გამოუზარდოთ მათ შვილები ან ძმები. ყველა ცდილობს სადილზე მოწვევით და პატარა საჩუქრებით დაიახლოვოს მასწავლებელი, რომ მან კარგად ასწავლოს მათ შვილებსა. მართლადაც, იქაური მასწავლებლებიც აქამომდე კეთილსინდისიანად ასრულებენ თავის მოვალეობასა. ერთმანეთის სიძულვილი ჩვენში იშვიათია. არათუ ინგილოებს სძულთ, ერთმანეთს ძალიანაცა შველიან. აი ვთქვათ:ვინმე სახლს აშენებს. სახლის აშენება ყველგან ძალიან ძნელია, მეტადრე ჩვენში. თუმცა ტყე ახლო არი, მაგრამ მასში არ იპოვება 12-15 არშინიანი სიგრძის და ცოტათ სქელი მუხის ან წიფელის ხე. ამ ხეების საშოვნად სახლის ამშენებელი ძრიელ შორს ტყეში მიიპატიჟებს ხოლმე ხუთ-ექვს კაცს. რასაკვირველია, ტყეში იგინი დიდხანს რჩებიან, რადგან იმ ხეებში

კარგები უნდა მოძებნონ და მოჭრან... ამ მუშაობის შემდეგ სახლის ამშენებელი ურმიან კაცებს მიიპატიჟებს ხოლმე, რომ სახლში წამოიღოს; ამასობაში ბევრი ეხარჯება. ამ ხეების გარდა იმან კიდევ ბევრი სხვა მასალა უნდა იშოვოს და აი ამის მომზადების შემდეგ მიიპატიჟებს 50-100 კაცს სახლის ასაგებად. ყველა მისაშველებლად მიწვეული ერთგულად მუშაობს და ცდილობს, რომ კარგად და მალე გააკეთოს მოძმის საქმე, რადგან მოვა დრო, როდესაც თვითონაც დასჭირდება მისი შველა. ამგვარად სახლს უშენებენ ინგილოს ინგილოებივე ერთი დღის განმავლობაში, თუკი მასალა მზათ არი. სწორეთ ასრევე ძმურად იქცევიან ინგილოები თესვაში, ბარვაში, მკაში, ლეწვაში და სხვა მუშაობაშიაც. ამგვარ ხალხში უთანხმოება, რასაკვირველია, იშვიათად უნდა მოხდეს ხოლმე, და ასრეც არი. ჩხუბი, ლანძღვა, იშვიათია. აი ამისთვის ჩვენი მამასახლისები და სუდიები შედარებით, ზნეობით კარგნი არიან, მინემ ამერ-იმერეთში.

საინგილო (ქუთაისი, 9 გიორგობისთვეს)

,,სასოფლო გაზეთი" 1877, N 21, 15 გიორგობისთვე, გვ. 4.

ავტორის სიტყვით, ამ რამდენსამე წელიწადში იშვიათად მოიძებნებოდა უვალო ოჯახობა საინგილოში. ახლაც ბევრ ინგილოს ნახავთ, რომ უწინ ძალიან შემძლე და მდიდარი ყოფილა, ახლა კი უკანასკნელ ღარიბ და საცოდავ კაცად ითვლება. ადვილად წარმოიდგენთ რა მძიმე ზნეობითი მოქმედება უნდა ჰქონდეს ამგვარ ცხოვრების ცვლილებას ყველა ადამიანზე და საკუთრად ინგილოებზე, რადგან ისინი გააღარიბა არათუ საკუთარმა მათ ზარმაცობამ, არამედ ვაჭრების მოტყუებამ და ქართველურმა დაჯერებამ და დანდობამ. საინგილოს მიწა-წყლის მნახველი გაკვირდება და იტყვის:ნუთუ ეს ხალხი, ამისთანა მდიდარი ბუნების შემმუშავებელი ვალშია ჩავარდნილიო! ჩვენც ვიტყვით, რომ ინგილოების მაგიერად ინგლისელები ან სხვა განათლებული ხალხი რომ ყოფილიყო, სწორეთ განათლებითაც და სიმდიდრითაც წინ იქნებოდნენ, მაგრამ შედარებით ინგილოებიც მდიდრები ყოფილან ადრე. მოხუცებულებს ახსოვთ თავისი კეთილი შემლებული ცხოვრების დრო; ახსოვთ აგრეთვე ისიც, სომეხმა ვაჭრებმა თუ როგორ გაცარცვეს ისინი. ერთი სიტყვით ვინც სომეხს დაყონაღებია, დაახლოებია, უეჭველათ რომ გაღარიბებულა. ნუთუ ინგილოები ამის შემდეგ კიდევ ვაჭრებისაგან უნდა მოტყუვდნენ და ისევ იმათ ხელში ჩაცვივდნენ მას შემდეგ, რაც ახლა მამულობა ჩაბარდათ და ვერ გაითავისუფლებენ თავს ვაჭრების მახეებისაგან? თუმცა სრულიად თავის დაღწევა მალე არ შეიძლება, რადგან საინგილო ძალიან შორს არის ქალაქზე და სხვა ახლო მყოფ ქალაქებში კი ამისთანავე სიძვირე და მატყუარობაა, როგორც საინგილოში. ამისათვის ყველა ინგილო ვერ შეძლებს თბილისში, რომ თავის ნათესაობისათვის და ჯალაბობისათვის სამოსელი ან სხვა ნივთი იყიდოს, რადგან მეტი დრო დასჭირდებოდა, თავის ხვნა-თესვის საქმეს მოსცდება. ერთ დროს ,,დროებაში" წერდა კახის სკოლის მასწავლებელი, რომ აუცილებელი საჭიროება არისო საინგილოში საზოგადოების ხარჯით დუქნის გამართვა, იმისთანა დუქნისა, როგორიც ახლა სოფელ საგარეჯოში იხსნება. ამგვარი საქმის კარგად წაყვანა შესაძლოა, რადგან იქაური ნაიბი (უფროსი) ამგვარ საქმეს უეჭველია დაეხმარება და საქმეს სამართლიანი და ჭეშმარიტი გზით გაატარებინებს. ამ საქმეს წინაპირველად ბევრი მოხელეები დასჭირდება, ამისათვის ცოტა ნასწავლ ინგილოებმა უნდა თავი დაუდვან, ერთმანეთში მოილაპარაკონ, მხარი მხარს მისცენ, რომ მცხოვრებლები ვაჭრების უსამართლო და უსვინდისო ქცევისაგან და მონობისაგან გამოიხსნან.

საინგილო (წერილი ,,ივერიისადმი”).

,,ივერია" 1878, N 43, 2 ნოემბ. გვ. 3-5.

,,ახლახან მივიღე ზაქათალის მაზრიდამ ერთ პატიოსან და სანდო კაცისაგან არა სანუგეშო წერილი, რომელშიაც ის გვიხატავს ქ.ზაქათალის ცხოვრების ნიმუშებს და მის წურბლების ფუფუნს. მწერს, ,,წურბლები სახლების აგებაში და მიწების ყიდვაში დროს ატარებენო"; მოგეხსენებათ, მკითხველნო,- განაგრძობს იგი, რომ ხსენებული ქალაქი ცეცხლით თითქმის მთლად გადაიწვა 1876 წ. ეს განადგურებული ქალაქი შელკოვნიკოვმა პატარა პატარძალივით მორთო, გაასუფთავა და მეტად გაამშვენიერაო. პოღოსაები, არტემაები, კარაპეტები, მინასაები-წვრილი ვაჭრები ამ ქალაქში აგებენ საუცხოო შენობებს და ყიდულობენ უზარმაზარ სახლებს თავის მიწებით. გუშინ ჯიბეცარიელნი და ერთი ვირის პატრონები დღეს დროთა ვითარებით სარგებლობენ. ვინ მისცა ვიღაცა არტემას, ცხრა მთას იქიდან გადმოვარდნილს-ის საუცხოო ქონება (სახლები, მამულები, ძროხა, ძვირფასი ჭურჭელი და სხვ.).. ჭკუამ? რა ბრძანებაა! განათლებამ? შენ არ მომიკვდე- უსვინდისობამ, გაუმაძღრობამ, ალალი და ცხვარი, კაცის სისხლის წოვამ! პირველი გზა და საშუალება ამგვარ მოღვაწეთა გავლენის მოსასპობად, ავტორის აზრით, არის დეპოების და გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობების გამართვა, რომელნიც ამჟამად არის სოფ. საგარეჯოში და მეჯვრისხევში. საინგილოში უხვად მოდის მრავალგვარი მოსავალი-პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, ხახვი, თამბაქო, ათასნაირი ხილეულობა, ღვინო, აბრეშუმი, თივა და სხვა. ინგილოს რომ არ აჩანაგებდეს და არ ასუსტებდეს გაუმაძღარი მუქთამჭამლების გუნდი, კაი შეძლება და სიმდიდრე ექნებოდათ ინგილოებს! დეპოს შეუძლიან ყველა ეს მოსავალი თავის ფასად იყიდოს და სადაც ჯერ არს იქ გაყიდოს, მაგალითად, ტფილისში. ავტორის სიტყვით, საინგილოში ყველა სოფელს სჯობს სოფ. ალიბეგლო, სადაც აქაურებს რაღაცა ერთი მხრივ სიყვარული და გამტანლობა ამშვენებს. ქურდობა და ერთმანეთის ცემა-ტყეპა ძვირად ხდება ხოლმე. აქ მოხელეებიც სხვა ბიჭები არიან. თავის დღეში ვაჭარს არ ჩაუგდებენ თავის მოძმეს ფეხქვეშ საქელვად. აგრე იქცევიან პატივცემულ მ.ასლამაზოვის მამასახლისად დაყენების შემდეგ. იგი ცოტათი ნასწავლია და კარგად ასრულებს თავის თანამდებობას. ალიბეგლოში აშენებულია სასოფლო სკოლის შენობა და საკვირველია, რატომ აქამდე არ გამოიყენება ეს მშვენიერი შენობა დანიშნულებისამებრ, ალიბეგლოებს თავის ხარჯით განა არ შეუძლიათ შეინახონ სკოლის მასწავლებელი. სწავლა სურთ და იქაური მღვდელი ერთი წელიწადია ასწავლის ყმაწვილებს. კახის სკოლაში სწავლა რუსულ ენაზე მიდიოდა და ამიტომ ნაყოფი არაფერი გამოჰქონდა. აბა ამგვარი უთავბოლო, პედაგოგიის წინააღმდეგი განკარგულება როგორ შეაყვარებდა იქაურ ხალხს სკოლას. კორესპონდენციის ავტორს სასურველად მიაჩნია, რომ ალიბეგლოსა და, ყორაღანში თავის ხარჯით დაეჭირათ მასწავლებელი და საკუთარი შინაურული სკოლები დროულად გაეხსნათ. ასევე ითქმის ბელაქანზე, ალიაბათზე, თალაზე, კატუბზე, მაწეხზე, ჭარში და სხვ. წერილის დასასრულ კი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დროა მშობლები შეუდგნენ თავიანთი შვილების აღზრდასა და მოუმზადონ მათ უკეთესი მომავალი.

საინგილოდგან. 26 თებერვალს.

,,დროება" 1878, N 45, 3 მარტი, გვ. 2.

დიდი ხანია, რაც აქედგან არაფერი ყოფილა დაწერილი გაზეთებში; მაგრამ ის კი ნუ გეგონებათ, რომ აქ არაფერი ყურადღების ღირსი არა ხდებოდეს-რა; სრულიადაც არა! ბევრი რამეები ხდება ხოლმე. და თუ ამაებზედ არას ვამბობთ, ამის მიზეზი ის არის, რომ ძალიან განზე გვიყურებენ ხოლმე აქაური ბობოლები წერის მცოდნე პირებს. ვაი აქაურ კორესპონდენტების ბრალი, თუ ნამდვილად გაიგეს, ვისაც აქედან რამე დაუწერია.

საქართველოს ყოველს კუთხეში მოიპოვება თითო-ოროლა მაინც არის იმნაირნი პირნი, რომელნიც ხანდისხან მაინც შველიან თავიანთ გლეხობას; ჩვენში კი ვინ არის, ვინ უშველის? ინგილოებში არ მოიპოვება არც თავადი, არც აზნაური, არც მათ შუათაგან მაღალ ადგილებში გავლენის მქონე პირები. ვინც აქ სამსახურში მოვა, რასაკვირველია ზენადგან უცქერის ინგილოს გლეხობას. ბარამე აქამომდე ასე იყო.

გამოგვიჩნდა ერთი რიგიანი ნასწავლი პირი სასულიერო წოდებისა. ის ინგილო იყო, ისეც განათლებული ერთადერთი ინგილოებს შუა; იმიტომ, რომ სხვა ღვდლებზედა და თვითონ ბლაღოჩინებზედაც დიდი გავლენა ჰქონდა ინგილოებს შუა, მის ქადაგებას აღტაცებაში მოჰყვანდა არამცთუ ქრისტიანი ინგილოები, არამედ ინგილო მაჰმადიანებიც, იმიტომ რომ სრულიად მაჰმადის სარწმუნოებით ინგილოების მოქრისტიანება განეზრახა და ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის შეძლებაც ჰქონდა. სანამ იგი გამოვიდოდა, არც ერთმა პირმა ინგილოთა არ იცოდა წერა- კითხვა; მან, სასულიერო სემინარიაში სწავლის გათავების შემდეგ, აღძრა ინგილოების ყმაწვილებში სწავლის სურვილი; თავის მოხერხებული ყოფაქცევით და გაუმჯობესებული ცხოვრებით ინგილო გლეხებს უჩვენა რა ნაყოფის მოცემაც შეუძლიან ნასწავლ ინგილოს მათივე მსგავსი გლეხისთვის. მისმა მაგალითმა უნაყო-ფოდ არ ჩაიარა:გლეხებმა დაიწყეს შვილების მომავალზე ფიქრი.

ზემოთხსენებული მღვდელი მაშინ დიაკვნათ იყო; შეიკრიბნენ ათ-თოთხმეტი გლეხნი და სთხოვეს მას, რომ მის შვილებს ასწავლოს წიგნი. დიაკვანმა ეს წინადადება დიდის სიამოვნებით მიიღო. 1862-4 წლებში დააარსა ს.კახში პირველი შკოლა ინგილოების ყმაწვილებისთვის. სწავლა, რასაკვირველია, ყმაწვილებისა ძველებური მეთოდით ძნელად მიდიოდა; მაგრამ ეს არ აბრკოლებდა და არ აქრობდა ყმაწვილებში სწავლის სურვილს; რიცხვი მათი თანდათან მატულობდა. მასწავლებელ-დიაკვანს დიდი ხალისი ჰქონდა; ამის მგრძნობელნი ინგილოებიც ძალიან სცდილობდნენ, რომ თავიანთი შვილები არ მომცდარიყვნენ შინაურ საქმით. ორს წელს შემდეგ დაარსებისა, დიაკვანის შკოლაში ირიცხებოდა ოცამდის მოსწავლე ინგილოები.

თუ რანაირ გულმოდგილე იყო დიაკვანი (მიხეილი), ამის დანახვა იქიდან შეიძლება, რომ ექვსი წლის განმავლობაში ყმაწვილებს სრულიად უფასოდ ასწავლიდა. მისი მოსწავლეები მისივე მეცადინეობით ბევრნი გაგზავნილი იქმნენ სხვადასხვა სასწავლებლებში. ვინც კი ს.კახშივე დარჩა, მათ ყველამ კარგად იციან ეხლა ქართული წერა-კითხვა.

აი ამ პირების შემდეგ ჩვენში გაიდგა ღრმად ფესვები სურვილმა სწავლისადმი. ამჟამად ს.კახში 250 ყმაწვილამდინ არის. გარდა ამისა ათამდე მიხეილ დიაკვნის მოსწავლეები სხვადასხვა ადგილებში სამსახურში არიან და ზოგიერთნი ჯერაც სწავლობენ...

ზაქათალის მაზრიდგან. 25 ღვინობისთვეს

,,დროება" 1878, N 224, 3 ნოემბ. გვ. 2; N 225, 4 ნოემბ. გვ. 2

ჩვენი ქალაქი გადაწვის შემდეგ ნელ-ნელა შენდება, იზრდება, მშვენიერდება და შედის წარმატებაში. ყოველი მოქალაქე ვაჭარი სცდილობს თავის ნაშენებით აჯობოს მეზობელს. უწინ ქუჩები იყვნენ ვიწროები და მრუდენი და თვითონ ნაშენებიც იყვნენ მარტო ხისანი. ეს ნაკლულევანება ახლა აცილებული არის. რასაკვირველია, მომავალში ეს ქალაქი იქნება არხიტექტურის მხრით ერთი უკეთესთაგანი ყოველს კავკასიაში. მომავალში ვინ არ მოელის მშვენიერებას ყველაფერში, მაგრამ ვაი იმის ბრალი, ვინც აქ არის მდგმოიერად.

ეს ორი თვე გადის, რაც მე აქ ვარ, ჯერაც ვერ მიშოვნია, ცოტაობით მაინც რიგიანი სადგომი. სადგომები ყოველგან დაფეხვილნი და დანგრეულნი არიან; ყველაში სუფევს სინოტიო, მყრალი და საძაგელი სუნი.

სახლობის ავ-კარგობას არ ჩამოურჩებიან თვითონ სახლის პატრონები. მათ კარგად იციან ეს აწინდელი გაჭირვებითი მდგომარეობა და ძალიანათაც კარგა სარგებლობენ:ყოველს ამნაირ ოთახებში, როგორნიც არიან ქალაქის ბაკებში, თვეში მდგმურს ართმევენ არანაკლებ ხუთ მანეთსა!..

ამასაც ჯანი გავარდეს თუ ამ ფასადაც მდგმურს მოსვენებას აძლებდნენ. აი დაიჭირეთ სახლი, ვთქვათ ექვს მანეთად. გავიდა თვე, შემოვარდება სახლის პატრონი სიტყვებით:,,სახლი დამიცალეთ". ამ ,,სახლის დამიცალეთის" მიზეზი ერთი და იგივეა:პატრონს ჰსურს ფასის მომატება:იძულებული ხართ მოუმატოთ, მაგრამ ამით თქვენი მდგომარეობა არ უმჯობესდება:ყოველს თვეში გესმისთ "სახლი დამიცალეთ!".

რას იზამთ, სად წახვალთ? თუ ფანარებსაც რიგზედ და დროზედ ანთებდეს, მარტო ანათებს, ისიც მოკლე ხანამდის, რომ ფანრები დიდხანს არ იწვებოდნენ და თვითონვე ქრებოდნენ.

ალიბეგლო, 3 აგვისტოს

,,დროება" 1881, N 166, 11 აგვ. გვ. 3.

30 წელიწადია მას აქეთ, რაც საუკუნის გამაჰმადიანებული ჩვენი ინგილოს ხალხი ხელმეორედ გაქრისტიანდა; ყველა იფიქრებს, რომ ეს ყორანის დამონავებული ხალხი ამ დროს განმავლობაში დიდ ნაბიჯს გადადგამდა ზნეობით სარბიელზე. არეულ-დარეული მაჰმადიან-ქრისტიანული წესები, ჩვეულებანი შეეცვლებოდათ, რომ იგინი, ერთის სიტყვით აქამდის შეიქმნებოდნენ ისეთივე მოწიწებით რჯულის დამცველნი, როგორებიც იყვნენ ნეტარხსენებულნი ჩვენი წინაპარნი. სამწუხაროდ, ვინც ასრე იფიქრებს დიდად შესცდება, შესცდება იმიტომ, რომ ჩვენი მონათლული ხალხი ამ 30 წლის განმავლობაში უფრო გაურჯულდა, მინემ გარჯულიანდა, რადგან რჯულისათვის მოღვაწე თითო-ოროლას მეტი არ გამოჩნდა და ისინიც დევნულნი იქმნენ და მოძულებულნი. იმ ქვეყანაში, რომელიც ერთ გადავარდნილ საქართველოს კუთხეს შეადგენდა,-რომელსაც გარს არტყა მრავალი მტერი, რომელმაც ხალხს წაართვა ძვირფასი თვისი საუნჯე-რჯული, მამა-პაპური ჩვეულებანი, დაუმახინჯდა ენა, საუკუნის მონებაში დედაკაცად გახადა, ვამბობთ, ამგვარ უბედურ ქვეყნის გასანათლებლად საქართველოში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას ჰხამდა გამოეგზავნა არა ყველ-პურის მცოდნე, შინ გაზრდილი მოძღვრები, არამედ გამოცდილი, სამაგალითო სწავლული პირები, კარგი მქადაგნი და რჯულის კაცნი (მისიონერები), თორემ, წყალობითი საყველპურო მეცნიერებისათა, ჩვენი მოძღვრებისა, უხასიათობისა, ქრთამებისა, პარტიაობისა, ,,სამუცლე ადგილების" ძებნისა, ურიგო უწესოებისა, საღმრთო, სასულიერო საქმეების აღსრულებაში

(წაიკითხეთ ალიბეგლოს მღვდლის კახის ბლაღოჩინებზედ და ამის პირველზედ ,,დროების" ამ წლისა და იმ წლისა N–ბში), ჩვენი ხალხი იქამდის მივიდა, რომ მოტყუება, ქურდობა, მოძმის გაყვლეფა, ტრაბახი, მარხვის გატეხა, რომელიც ლეკობაში დიდ ცოდვად მიაჩნდათ და ყმაწვილიც ვერ ბედავდა. ეკლესიაში არა სიარულს სალოცავად (ეხლა ეკლესიებში მღვდლები კედლებისთვის და საყდრის ჭერისთვის ლოცულობენ), ვამბობთ, სუყველა, ყველა ეს ცუდი, ხალხის გამრყვნელი თვისებანი ნამდვილ ჩვეულებად შეიქმნენ.

ჩვენ ხალხს არ ესმის წმინდა ქართული ენა და ეკლესიური უფრო მეტად აქაურ მღვდელმა მუდამ უნდა აუხსნას წაკითხული. ჩვენი მღვდლები არათუ აუხსნიან, ან ქადაგებას იტყვიან, არამედ ისეთი გულაცრუებულნი არიან, რომ ხანდისხან არცკი სწირვენ, ან თუ სწირვენ, ისე ადრე დაიწყობენ წირვას, რომ ხალხი ჯერ ფეხზე არ იყოს წამომდგარი. ვიმეორებ, როგორ ასწავლონ ხალხს, როდესაც თვითონ არიან სასწავლებელნი! ესენი თვითონ თავის ნამდვილ საქმეს არ სწავლობენ, პირიქით ერევიან სოფლის საქმეებში და ეკედლებიან იმისთანა კაცებს, რომელნიც სინიდისზე ხელაღებულნი არიან. მაგ. წლეულს ერთი საქვეყნოდ ცნობილი ქურდი დაატუსაღეს და ერთმა აქაურმა პატივცემულმა სასულიერო პირმა თავის ამხანაგითურთ შეკრიბა ზოგიერთა ხსენებულ ტუსაღის ამქართაგანი და წავიდა მაზრის უფროსთან, რათა მან გაანთავისუფლოს იგი:ჩვენ თავდებათ ვართო. რასაკვირველია, მაზრის უფროსმა არ დაუჯერა მათ. ცხადია, გამოჩენილ და ხალხის სისხლის გამომწოველ ქურდისთვის დამხმარებელი ერთის მხრით თვითონაც სცოდავს, თუ არა ვსთქვათ მეტი...

საინგილო, 5 ივლისს.

,,დროება" 1882, N 146, 10 ივლ. გვ. 2-3.

ეს კუთხე ჩვენის ქვეყნისა თვით ბუნებას ორად გაუყვია:ქვემო ნაწილად (ყარასავი- შავი წყალი) და ზემო ნაწილად. რამდენათ პირველში ზაფხულის დროს პაპანაქება, გაუძლისი სიცხე კაცს სულს უხუთავს, იმდენად ზემო ნაწილში (კახში და ამის მიდამოში) სულს უგრილებს. რამდენათაც ყარასავის შავი წყლები თბილია, იმდენათ ზემო ნაწილში ცივა. აგრეთვე ზამთარში:როდესაც ზემო ნაწილში მკაცრი, დიდთოვლიანი, ყინვიანი ზამთარია, იქ, ყარასავში თბილი, უყინვოა.

საკვირველია უფრო ის, რომ ზემო და ქვემო საინგილოს ნაწილების ხალხებიც ბევრით განირჩევიან ერთმანეთისაგან სიტყვა-პასუხითაც, ზნეობითაც და განათლებითაც.

ზემო ნაწილში ხალხი უფრო მსუბუქი ხასიათისაა, ჩქარია, როგორც მიხვრა-მოხვრით, ისე ლაპარაკით; ზემოში უფრო მშვიდი, დინჯი, როგორც ქართლელი იმერელთან შედარებით.

ბუნების სიმდიდრითაც განირჩევიან ეს ადგილები-ყარასავის ბუნება ისეთივე უხვი და მრავალფეროვანია, როგორც ქვემო იმერეთი, ზემო კი მდიდარი, როგორც რაჭა.

ერთი სიტყვით, რომელი მხრითაც გინდა ავიღოთ, ცხადათ დავინახავთ განსხვავებას ზემო და ქვემო ინგილოში. მხოლოდ უპირატესობა მიეცემათ მათ ქართული ენის ცოდნაში:ქართული ენა მათში ისრე არ არის დამახინჯებული, როგორც ზემო საინგილოში,-აქ უფრო წმიდათ, უფრო გარკვევით ლაპარაკობენ ქართულად, მინემ ზემოში. შესანიშნავია აგრეთვე ის, რომ ყარასავში სიტყვების ბოლოში უმატებენ სიტყვის ნაკვეთს ,,ყე", როგორც რაჭაში; ზემოურებმა ეს არ იციან,

თუმცა ოციოდე ვერსის სიშორეზე ცხოვრობენ; ასე რომ კაცი თუ დააკვირდება ყარასაველების ლაპარაკს, დაინახავს, რომ ამათი ლაპარაკი ბევრათ წააგავს რაჭველებისას, მინემ ქართლ-კახელებისას. გარდა ამისა, ამათი ენა მოკლებულია ყოველგვარ ბილწ და უშვერ სიტყვას, თუმცა ამათი ახლო მეზობელი ქიზიყელები ბრიყვ სიტყვა-პასუხით განთქმულნი არიან მთელს საქართველოში.

რაიცა შეეხება ქრისტიანობას, უნდა სამწუხაროდ ვაღვიაროთ, რომ ყარასავში არც ერთი არ არის მონათლული, ყველა მაჰმადს თაყვანსა სცემს. ზემოურები კი, ერთი პატარა სოფლის სოსიკანის გარდა, ყველანი ქრისტიანები არიან.

უწინდელი ქრისტიანებრივი კვალიც უფრო მეტად ატყვია ზემო-ინგილოში. დიდი ეკლესიები, დიდი ნაშთები იპოება ზემო-საინგილოში, მთის ფერდობებზე, როგორც ქიზიყელების მოსახლეობა ცივგომბორ-სიღნაღის მთის ფერდობებზე.

განათლება უფრო მეტად შამოსულა ზემო ინგილოებში:აქ დიდი შკოლა არსებობს სოფ. კაკში; იქ კი ჯერ ეხლა იხსნება სოფ. ალიაბათში.

ეს ერთი თვე იქნება, რაც ბ. ბოღუსლავსკი ნაიბობიდან გადააყენეს. მას აქეთ შემაძრწუნებელი ამბები ხდება ჩვენს მხარეში. კეთილი ღვთისმოყვარე გლეხი კაცი იქელვება, შევიწროებაშია; ქურდი, ყაჩაღი, მტაცებელი კი ამაღლებული, პატივცემული. ამის გამო მთელი კაკის გლეხობა ორათ არის გაყოფილი; ერთს დიდს ნაწილს შეადგენს გლეხობა, მეორეს, მცირეს, ბეწვის ხიდით ჯოჯოხეთისკენ მიმგზავრები-ბესოშვილები და ტარტარაშვილები, ორიოდე კომლის გარდა. ამათი მოთავე და ბელადი არის ამირხან ბ-შვილი. ამათ ისეთნაირად მოაბეზრეს ხალხი, რომ ზოგიერთი გლეხი აპირებს აქედან გადასახლებას, რომ რა არის ამ კაცის ენასა და ხრიკებს გადურჩეს. ვერც ჩივილი, ვერც დამუქრება, ვერც ვერაფერი ამ კაცს ვერ აჩუმებენ. ფულით, ფეხის გულების კოცნით ეს კაცი ყველას უძვრება, უმეგობრდება და მერე მოქმედობს.

ეხლა ისრე გათამამდა, რომ ხალხის ყრილობაში გამოვიდა და თავს იწონებდა, რომ კაკში ნაიბიც მე ვარ და ნაჩალნიკიცაო.

ბოღუსლავსკის მოადგილეთ კაკის ნაიბათ ვიღაც თავმოპარსული უზბაში (მამასახლისი) გაუმწესებიათ დროებით და საქმის მწარმოებლათ ვიღაც ნაციმბირალი უსწავლელი კაცია, ამით სარგებლობს ა.გ-ჯევი და როგორც ჰსურს, ისრე მიჰყავს საქმეები.

ბოღუსლავსკის შემდეგ დივანხანა დამზგავსებია რაღაც სამიკიტნოს; ვინც არ გეგონება, იქ დაგხვდება:ყოველ დღეს ქეიფ-ლხინში არიან.

ერთი სიტყვით, თუ ყურის მთხოვებელი არ ეყოლა ხალხს, ბევრი უმანკო სული დაიჩაგრება და სისაძაგლე ჩაიდინება.

ს.კაკი (,,დროების" კორესპონდენცია)

,,დროება" 1883, N 158, 12 აგვ. გვ. 3. გამომცემელი
გ.ქართველიშვილი, რედაქტორი ი.მაჩაბელი

რა გინდა, რომ ვერ იპოვო ამ ჩვენს ქვეყანაში!- აღნიშნავს კორესპონდენციის ავტორი, მცენარეულობა და პირუტყობა ჩვენი ველისა ისე მრავალგვარი და მრავალფერია, რომ კაცი გაკვირდება. საუბედუროდ ამ მდიდარ ადგილს არა ჰყავს ღირსეული მფლობელი. აქ მის მაგივრად, რომ მოტიტვლებულ ადგილასაც ხე-ტყე მოაშენონ, წვავენ და ბუგავენ იმ ადგილებსაც, საცა მდიდარი ტყეებია. წლეულს გადაიწვა მდიდარი ათაღარის ტყე, რომელიც თრიმლით, შეშა-წნელით და სხვაფრივ ხალხს დიდ შეღავათს აძლევდა. ამ ტყის დაწვით ზარალი მოუვიდა გლეხობას, ეხლა

იწვის ყუმის და სოსკნის (სოსიკანი) ტყეები, იწვის მინდვრის საყანე ადგილები და მასთან თითო-ოროლა ტრიალ მინდორში ობლად მდგომი ხეები, რომელნიც თავის ჩრდილით პაპანაქება სიცხეში კაცს შუბლს შეუშრობენ და გულს გაუგრილებენ ხოლმე. ამნაირი საზარელი ჩირაღდანი გამართული ყოფილა შარშანაც და კეჭნის მთა გადამწვარა. ვინ არის ამის მიზეზი? იგივე გაუნათლებელი და, როგორც ჩვენში იტყვიან, ,,უმმა(უგუნურ-უცოდინარი) გლეხობა, უკიდებენ ცეცხლს თავის ყანა დამკილ ადგილებს და აქედგან ერთ წამს, ამისთანა გოლვიან წელიწადს (ჩვენში ორ თვეზე მეტია წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა) ტყეებს ცეცხლი მოედება. მასუკან ბევრსა ცდილობენ განელებას, გაქრობას, მაგრამ ამაოდ; დროსაცა კარგავენ და ტყეებსაც ვერა შველიან. თუ გონიერად არ უპატრონეს, თუ ლალასავით გამდლობა არ გაუწიეს ტყეებს, ეჭვი არ არის, აქაურობა მალე სრულიად მოტიტვლდება და ეს ახლა შემკული ქვეყანა უდაბნოდ გადაიქცევა. მაშინ ზაფხულის საშინელი სიცხეები და ზამთრის სიცივეები ადამიანს ცხოვრებას გაუძნელებს. ერთი აქაური სოფლის ალიბეგლოს მამასახლისი სწორედ მადლობის ღირსია, რომ გონიერად პატრონობს თავის სამამასახლისოს ტყეებს და არ აბუგვინებს, ათაღარის ტყის ჩაქრობაშიაც მიიღო მონაწილეობა და მთელი ხალხი გამოასხა. ეს ერთადერთი მამასახლისია, რომელმაც წერა-კითხვა იცის და პირველ დაწყებითი სწავლა მიუღია! ამ კაცს ქართულ-რუსული გაზეთებიც მოსდის, და ხალხსაც უკითხავს ქვეყნის ამბებს. დიდ ხანი არ არის, რაც ერთმა ბეგმა წმ. გიორგის ქურმუხის ეკლესიის წინ დაიჭირა სასოფლო (საგლეხო) მიწა, რომელიც იქაური 10-15 თაღარი ადგილი იქნება. ამ ბეგმა აქ გააშენა ვენახი და შიგ ეხლა თრიმლსა სჭრის. მეორე ბეგმა სამი-ოთხი კაცის მოხერხებით ხელში იგდო მდიდარი სოფლის მამული ,,გაგჯაანთ ყოროლი". ერთმა სომეხმა კიდევ სოფლისავე მამული ჩაიგდო. არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არ იღებს მონაწილეობას არც ხარჯსა და ბეგარაში, არც სხვა სასოფლო საქმეში. პირიქით, ამ მამულების ხარჯს და ბეგარას იხდის კაკელი ხალხი. სოფელი უკმაყოფილოდ არის და საჩივრის შეტანას აპირობს. ვნახოთ რა გამოვა. ქურდობამ, წინანდელ დროის შედარებით ეხლა თუმცა იკლო, მაგრამ მაინც არ მოისპო. ქურდებმა ახლა სხვანაირად დაიწყეს პარვა. მოიპარვენ საქონელს და მერე ისევ პატრონს მიჰყიდიან, ამისთანა მაგალითები აქ ბევრია. საინგილოს ხშირი სტუმრები არიან მომიჯნავე გვენუხის საპრისტაოს ქურდები. იქ თითქმის ყოველი კაცი ქურდი და ავაზაკი იყო, მაგრამ ამ ორიოდე სამ წელში პრისტავმა ლევანიძემ ალაგმა მეტად თავგასული ხალხი და ქურდების რიცხვი შეამცირა. ახლა თითო-ოროლა კაცი თუ გადმოდის ჩვენკენა, თორემ ბევრი არა; დონდუკოვი ბრძანდებოდა აქა. იმედი გვაქვს, რომ ეს თავადი მიაქცევს ყურადღებას სკოლების სიმცირეს, ეკლესიების და ქრისტიანობის მდგომარეობას და შემწეობას მისცემს სულიერ მამებს ქრისტეს სწავლის გასავრცელებლად და დასამკვიდრებლად. სწავლა და მარტო სწავლა გამოიყვანს ჩვენს ხალხს სიბნელიდან და დააყენებს წარმარების გზაზე-აღნიშნავს იგი დასასრულ.

ზაქათალა (კორესპონდენცია ,,ივერიისა")

გაზ. ,,ივერია" 1886, N 5, 9 იანვ. გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ თავის სიმდიდრით ჩვენი მაზრა არ ჩამოუვარდება არც ერთ კუთხეს მშვენიერის ივერიისას. ეს ქვეყანა ძველი დროიდგანვე ცნობილი იყო თავის აუარებელი სიმდიდრით. რომაელნი, ბერძენნი და სხვანი განცვიფრებაში მოჰყავდა ალბანიის, ესე იგი ზაქათალის, სიღნაღის და ნუხის მაზრების სიმდიდრესა

და ნაყოფიერებას. აბრეშუმი, ბამბა, სამ-ოთხნაირი ხორბალი, მრავალგვარი ხილი, მრავალნაირი ყურძენი, რამდენიმე ჯურა ბრინჯი, ბოსტნეულობა, თაფლი, ენდრო, წაბლი, კაკალი, თხილი (ჭარული), ლეღვი, ბროწეული, ვარდი, თუთუბო, ხურმა, ზღმარტლი, ფრთოსანი, ნადირი, შინაური პირუტყვი, თევზი, სხვადასხვა გვარ მცენარეებს ხომ თქმა აღარ უნდა. ერთის სიტყვით, რაც კი რამ ღმერთს გაუჩენია სიმდიდრისათვის დედამიწის ზურგზედ, ყველა ის ჩვენს ქვეყანაში მრავლობით აღმოცენებულა და მოგვარებულა. ..ტყისა და ქვის სიუხვის გამო სახლებს ქვითკირისა და ხისას აშენებენ ყველგან და არ არის მაგალითი, რომ ხალხი სადმე მიწურებში ცხოვრობდეს, როგორც ქართლ-სომხითშია. მეტად და აუცილებლად საჭიროა ამ ქვეყნის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის, რომ რკინიგზა ჰქონდეს. უგზოუკვლობისა და უბაზრობის გამო ყოველგვარი ნაწარმობი აქვე რჩება ან ჩალის ფასად გადადის დალალების ხელში. ამიტომ აქაურები შედარებით ღატაკები არიან. თუ ოდესმე რკინიგზა კახეთიდან ჩვენკენ გამოიყვანეს, აქაურ მცხოვრებთ მისცემს შეძლებას ბაზრად გაიტანონ:ხორბალი, მატყლი, ღვინო, აბრეშუმი (ნუხური), შალები, ტყე, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, ენდრო, ბამბა, თაფლი, ხილი, ზეთი (ფუთი ნიგვზის ზეთი ქალაქში ფასობს 15 მან.), ბრინჯი და სხ. რკინიგზის შემწეობით ყოველგვარი სწავლულები ადვილად შემოვლენ აქაური სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს მადნების აღმოსაჩენად, რომელნიც ახლა უწარმოებლად და უსარგებლოდ ჰყრიან. ამგვარი მადნების ნიშნები რამდენიმე ღელეში უკვე ამოუჩხრეკიათ. მეტად სამკურნალო წყლები (ელისოსი, ალიბეგლოსი, ვარდოვანისა და სხვანი, უეჭველად მიიზიდავენ დიდძალ ხალხსა და შესაძლებელიც არის, მალე, როდესაც ეს ქვეყანა ეღირსება რკინიგზას, ელისომ და ზოგიერთმა სხვა ადგილებმა მეტოქეობა გაუწიონ აბასთუმანსა და ბორჯომსა. აქ 67 ათასი მკვიდრია და ამოდენა მაზრაში მხოლოდ 3 სასწავლებელია- ერთი სამაზრო და ორიც სასოფლო! ღმერთმა ჰქნას, აღნიშნავს დასასრულ ავტორი, რომ ჩვენი და ყოველმხრივად ხელუხლებელი მაზრა ამის შემდეგ მაინც წარმატებაში შევიდეს.

ნუხა, 15 ივნისი

,,ივერია" 1888, N 189, 10 სექტ. გვ. 2-3.

ავტორი აღწერს ქალაქ ნუხას, სადაც 27000 მოსახლეა. დაბახანის ხევის გაყოლებაზე ცხოვრობენ სპარსელები, სომხები, რუსები და ქართველები. ქალაქს მშვენიერი მდებარეობა აქვს, იგი დაჰყურებს ალაზნის ველს და შირაქის უდაბნოებს; ძველ ნაშთებს შორის ავტორი მოიხსენიებს ზიგზიდისა და გიშის მონასტრებს, რომელთაგან პირველი ნუხის აღმოსავლეთ მხარეს, გორაზე მდებარეობს და მეორე გიშის წყლის ღელეში, ნუხის დასავლეთის მხრით. ახლა გიშის მონასტერს სომხები დაპატრონებიან, წინად იგი იყო საკათედრო ტაძარი გიშის ეპისკოპოსისა, რომელსაც საქართველოს სასულიერო იერარქიაში უკანასკნელი ადგილი ეჭირა. იგი მწყსიდა შაკიხის, წუქეთს და ელისენს ხუნძახითურთ, ე.ი. მთელს მიდამოს მტკვრიდან კავკასიონის მთებისა და ალაზნის გამოყოლებაზე ვიდრე მაჭის წყლამდე, ანუ აწინდელის აღდაშის, ნუხისა და ზაქათალის მაზრებს. ამ სიდიდე მანძილზე მართლმადიდებელ მკვიდრ ხალხად ითვლებიან მხოლოდ უდები (ნუხის მაზრაში) და ინგილოები (ზაქათალას მაზრაში). მათი რიცხვი 25 ათასი ძლივს იქნება, მაშინ როდესაც სამთავე მაზრაში თითქმის 200000-მდე მკვიდრია.. ავტორი შესანიშნავ ნაშთებს შორის ასევე მოიხსენიებს აქაური ხანების სასახლეს, იგი დგას ქალაქის თავში მაღალ ადგილას, გადმოსცემს მკითხავის წინასწარმეტყველებას. ამის შემდეგ

იგი საუბრობს ნუხიდან ევლახამდე (რკინიგზის სადგურამდე) 73 ვერსზე გაყვანილ მშვენიერ გზატკეცილზე, ყოველდღე დილიჯანია და ღირს 3 მან. და 20 კაპ. საინგილოსკენაც გაყვანილია გზატკეცილი, რომელიც გადის კაკზე (34 ვერსი), ზაქათალაზე (68 ვერსი), სიღნაღზე (150 ვერსი) და ეს გზატკეცილი ტფილისში შემოდის; ავტორი იტყობინება, რომ ნუხიდან ტფილისამდე ფოსტის გზით 261 ვერსია, ამ გზაზე ყოველდღე ნუხიდან გამოდის მრავალი ფურგონი და ქალაქში მოაქვთ ათასგვარი საქონელი.

საინგილო

,,ივერია" 1894, N 219, 15 ოქტ. გვ. 2-3.

1894 წელს, საინგილოში მოგზაურობის დროს, ავტორს გაუსინჯავს სიწმინდენი, დაცულნი კაკის მცხოვრებელის ივანე ხუციშვილის სახლში, რომელთა საზოგადო სახელი არის ,,ხუციანთ ოთხთავი" ანუ ,,ხუციანთ ოჯახი". როდესაც ამ მშვენიერ ქვეყანაში უფლობდნენ ლეკნი და მტარვალობდნენ ელისოს სულთანნი, ,,ხუციანთ ოთხთავი"იყო ერთადერთი ნავთსაყუდელი აქაურ ქრისტიანებისა, იგი იყო მათი ნუგეშინის მცემელი, მათი სასოება და სულიერი მკურნალი. მის თაყვანისსაცემლად ინგილონი დიდის კრძალვით იკრიბებოდნენ ხუციანთ ოჯახში, აქ აღანთებდნენ ხოლმე სანთელს, აღაკმევდნენ საკმეველს და ლმობიერებით ითხოვდნენ შველასა და შემწობასა. მისი თქმით, ღირსია ყურადღებისა, რომ ამ ,,ხუციანთ ოთხთავის»" წინაშე დასაკლავად ყველაზე უკეთეს მსხვერპლად ხალხის თვალში ითვლებოდა ოთხრქიანი ვერძი ანუ ოთხრქიანი ვაცი. ამგვარ საღმთოს შესაძენად ინგილო არ იშურებდა თავის ქონებას, რადგან იგი დაიმედებული იყო, რომ ასეთ მსხვერპლს შეიწირავდა უფალი. ,,ხუციანთ ოთხთავის" ბრალია უმთავრესად, რომ ეს განაპირა კუთხე სრულიად არ მოსწყდა საქართველოს და დაიცვა თავისი ხალხოსნობა-ქართველობა, თავისი ენა და რჯული-მისივე ბრალია, რომ ლეკთა ძალმომრეობამ ვერ დაჩაგრა ეს ერთი მუჭა ხალხი, და ინგილო ისევ დაშთა ქართველად; ამგვარი დიდი ღვაწლი მიუძღვის ,,ხუციანთ ოთხთავს" ქართველობის წინაშე და ამიტომაც იგი ღირსია, რომ გავიცნოთო,-აღნიშნავს კორესპონდენციის ავტორი. გადმოცემის მიხედვით, ხუციშვილების წინაპარი ყოფილა მღვდელი, რომლის შთამომავალნი არიან დღევანდელი ხუციშვილები, მცხოვრებნი სოფ. კაკში. ლეკთა მტარვალობის დროს, როგორც ყველა ინგილოებს, ისე ხუციშვილებსაც გარეგნულად მიუღიათ მაჰმადიანობა. მიუხედავად ამისა ინგილოთ ქრისტეს სარწმუნოება არ დაუტოვებიათ და იდუმალად უსრულებიათ ყოველი ქრისტიანებრივი წესრიგი და ულოცნიათ ქურმუხის წმ. გიორგი და ,,ხუციანთ ოჯახი", რომელშიაც კრძალვით შეუნახავთ ყოველი სამღვდელო ნივთი. ავტორი ჩამოთვლის ხუციშვილების ოჯახში დაცულ 16-ვე ნივთის სახელწოდებას:სახარება ვახტანგ მეფის დროისა და მის მიერ დაბეჭდილი ტფილისში; კრებული, რომელიც შეიცავს ლოცვანს, ჟამნს, ზადიკს, სამოციქულოს; კონდაკი; კურთხევანი; კონდაკი; დაუჯდომელი; ფეშხუმი; ბარძიმი ჩუქურთმიანი; ღრუბელი; სამირვნეები ჩინური თიხისა; სანაწილე; სეფისკვერის ბეჭედი; ჯვარი ვერცხლისა; ჯვარი პატარა ყვითელიც თითბრისა; ჯვარი პატარა, გულზედ საკიდი' ბარძიმი ვერცხლისა წარწერით... ავტორის სიტყვით, ვინ არიან ბერუკა, ჯიმშიტა, აბრამ მღვდელი, ლავრენტი მონაზონი, დიაკონი იოსები ჩვენი ისტორიიდან არა ჩანს, არც ზეპირ გადმოცემას შეუნახავს ცნობა მათ შესახებ.

ტფილისი

,,ივერია" 1902, N 255, 28 ნოემბ. გვ. 2.

ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ინგილო-ქართველები ცხადად შემოუერთდნენ მართლმადიდებლობას 1850 წელს (მანამდე ცხადლივ მაჰმადიანობდნენ ლეკების შიშით და საიდუმლოდ ქრისტიანობდნენ), ყველა სოფელში აიშენეს თითო საყდარი. ნათქვამია ისიც, რომ მას აქეთ ხალხი გამრავლდა და ერთი საყდარი სოფლისათვის მცირე შეიქმნა, მეტადრე კაკელებისთვის, რადგან ეს სოფელი 6-7 ვერსზე გაჭიმულია მდინარე ქურმუხსა და კავკასიონის კალთებ შორის. სოფლის ბოლოს ძველთაგანვე დაშთენილი იყო ,,ალავერდის" ნიში და ამ რამდენიმე წლის წინათ კაკელებმა განიზრახეს მეორე საყდრის აგება ამ ნიშის ადგილას. უკვე დიდძალი ფული დახარჯეს სოფლელებმა, ააგეს ტაძარი, დახურეს და მაინც კიდევ 2000-3000 მანეთამდე საჭიროა მის მოსაწყობად. ამ ფულის შესაკრებად ტფილისში ქველმოქმედ ქართველთა შორის კაკელ ინგილოებმა ზაქათალის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლის ალ. ნ. გველესიანის განკარგულებით გამოგზავნეს ქრისტიანების მამასახლისი იასე ოთარაშვილი და იმედი აქვთ, რომ შორეულ მოძმეთა თხოვნას თანაგრძნობით მიეგებება ტფილისის საზოგადოება და შეძლებისამებრ, არ დაიშურებს წვლილს კეთილი საქმის დასამთავრებლად, მით უმეტეს, რომ საყდრის ეზოშივე უნდა გაიმართოს სამრევლო სკოლა და მოეწყოს ბიბლიოთეკა. რადგან ასეთ დაწესებულებას, როგორც ბიბლიოთეკაა, არსად ისეთი უაღრესი მნიშვნელობა არა აქვს, ვითარცა საინგილოში, ფშავ-ხევსურეთში, სვანეთს, აჭარას.. დასასრულ აღნიშნულია, რომ შემოწირულობა ,,ივერიის" რედაქციაშიაც მიიღებაო.

საინგილოს გასაჭირი

,,საქართველო" 1918, N 4, 5 (18) იანვ. გვ. 2.

ნახევარი წელიწადია, რაც საინგილოში სწარმოებს შესაზარი ამბები და ჩვენმა ფართე საზოგადოებამ კი არა იცის რა ამის შესახებ რაოდენათმე სწორე და მართალი სიტყვა. გაზეთებში არ ისმოდა უსამართლობით აღკვნესებულ ხალხის მძვინვარე ხმა, მისი სულისკვეთება. მოგვდიოდა დეპეშის მშრალი ცნობები, ეს დაჰკლეს, ის მოჰკლეს, აქ დაგვარბიეს, იქ გაგვამაჰმადიანეს, მუნ აგვაწიოკესო. თვით ჩამოსულების ნაამბობიც ეგეთივე მოკლე იყო, მაგრამ ამ მოკლე ცნობებიდანაც სჩანდა, რომ ინგილოს აწვებოდა უშველებელი ტალღა, რომელიც აბობოქრებულიყო მათ წასალეკადა და რომ ინგილოები იმ ყოფაში იყვნენ, რა ყოფაში შეიძლება იყოს წინ წყლით და უკან მეწყერით მომწყვდეული ადამიანი.

ვუთვლიდით იქაურებს თქვენი გასაჭირი, თქვენი ჩივილი საჯამაათოდ წარმოუდგინეთ ამიერკავკასიის კომისარიტს, ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მათ უწმინდესობათ-პატრიარქ კირიონს და შეიხ-ულ-ისლამს ფიშნამაზ-ზადეს და მაჰმადიანთა ეროვნულ კომიტეტს, მაგრამ ასეთი მოწოდება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, მშრალი, ხშირად, უშინაარსო კერძო დეპეშები და საჩივრები კვლავ მოდიოდა, მოდიოდა... მაგრამ 30 დეკემბერს თბილისში მიღებულ დეპეშამ გაგვივსო მოთმინების ფიალა და იგი გაგვიხდა კარგ ნივთიერ საბუთად, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში წარგვედგინა შემდეგი მოხსენება.

,,გასული წლის გაზაფხულითგანვე ქართველ ინგილოებს გადაეკიდა მეზობლების გაფანატიკოსებული ნაწილი. ჯერ იყო და დააწიოკეს ყორაღნელები-

ძალით გამაჰმადიანება მოუნდომეს. ეს დანაშაულობა დაუსჯელად დასრულდა:ეს დიდსულოვნობა კომისარიატის მხრივ ხსენებულ ფანატიკოსობას მის უძლურებად მოეჩვენა, და უმეტესის გაბედულობით დაუწყო ინგილოებს რბევა, ძარცვა, ხოცვა. სხვა რომ არ ჩამოვთვალოთ, ინგილოების აუტანელ ყოფა-ვითარების გასაშუქებლად საკმაოა დავასახელოთ საზარელი მკვლელობა თასმალოს მღვდლის ყულოშვილისა და ყორაღნელთა მოღვაწის საკნელაშვილისა, აგრეთვე აქვე მოვიყვანოთ 30 დეკემბერს მიღებული დეპეშა შესახებ ინგილოების სოფლების და ბინების დარბევისა მთელის 30 ვერსის მანძილზე. აი სიტყვა-სიტყვით დეპეშის შინაარსი.

,,დაარბიეს ქეშხუთანი. გაურეკეს 29 მიხეილს, 30 ტიმოთეს, აღაბეგს 120 თავი მსხვილი საქონელი, მოკლულია გიორგი მურთუზას ძე; ქოთუქლუს დაცემის დროს მოკლულია ორი; ყარა მეშა:გაირეკეს 11 თავი საქონელი; დაეცნენ დიდ-ალათემურს, ჩიგლოდამ პაპიაშვილს გაურეკეს 600 თავი ცხვარი. მცირე ბინები აიყარნენ (გადმოსახლდნენ). დამნაშავენი ძარცვისა ნუხელებია”. (ნუხის მაზრელები).

,,ეს დეპეშა ხელმოწერილია კარგა ცნობილ პაპიაშვილის და ბაჩალიაშვილის მიერ. კერძო ცნობებიდამაც სჩანდა, რომ ჩვენი სამშობლო საინგილო თავზე ხელაღებულებისაგან ისედაც აწიოკებულ და თავზარდაცემულ იყო და ახლა ამას დაემატა კიდევ ეს უკანასკნელი მოსევა. თურმე ფანატიკოსები ინგილოებისაგან მო-ითხოვენ ან გამაჰმადიანებას ან აყრას. და ან ერთის ან მეორის განსახორციელებელ სახსრად მიუჩნევიათ რბევა, ხოცვა მოთავე კაცებისა, თავზარდაცემა ქრისტიან ინგილოებისა, უწინაც ებრძოდნენ ინგილოებს კაციჭამია ბრბოები, მაგრამ მაშინ ინგილოებში სუფევდა დიდი ერთობა, სიმტკიცე პირისა, ახლა-კი მზაკვრულ რეჟიმმა იგინი გაიცალკევა ისე, რომ დღეს თვით მაჰმადიან ინგილოების უმეტესობა ქრისტიან ინგილოების მოწინააღმდეგო ბანაკშია და თავისივე მომმეებსა და ნათესავებს აღარ ინდობს. წარმოუდგენ რა ეროვნულ მაღალ დაწესებულებას ამ მოხსენებას, ვსასოებ იღონებს იგი რაიმე სახსარს საპატრონებლად ყოვლად უნუგეშოდ დატოვებულ ხალხისა, იმ ხალხისა, რომელსაც თავის წარსულ გმირულ ცხოვრებით დარაჯობა გაუწევია საქართველოს შორეულ აღმოსავლეთ კუთხისთვის.

ჩემის მხრივ დაუხანებლივ და აუცილებლივ საჭიროებად მიმაჩნია საქართველოს უმაღლეს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა შეთანხმებით მაჰმადიანების ამგვარსავე კომიტეტთან წინადადება მისცეს ამიერკავკასიის კომისარიატს ა)ახლავე, რაც შეიძლება მალე, ზაქათალის და ნუხის მაზრებში წარგზავნოს- ლოცვა კურთხევითა და შეთანხმებით მის უწმინდესობის შეიხ-ულ-ისლამის ფიშნამაზ-ზადესი, მუფტისა და მის უწმინდესობის კირიონისა- მქადაგებლები ძმობისა, სიყვარულისა და ურთიერთის შეწყნარების, საკეთილდღეოდ ყველა იქაურებისა და გამარჯვებისთვის იმ რევოლუციისა, რომელიც არ არჩევს ელლინს, ებრაელს, სკვითს და რომელიც ეთაყვანება მხოლოდ თანასწორობას ყველა ხალხთა შორის მიუხედავად მათის ჩამომავლობისა, ენისა და სარწმუნოებისა და ბ) დაუყოვნებლივ გაგზავნის აგრეთვე ქართველ და მაჰმადიან ნაფიც ვექილთა კოლეგია პირუთვნელ გამოძიების მოსახდენად და გასაგებად იმისა, ვინ არიან ის ვაჟბატონები, რომელნიც ინგილოების დარბევის საქმეში ხელმძღვანელობენ ფანატიკოს უმეცართა ლაშქარს. 1 იანვ. 1918. ქ. თბილისი”.

აწ ამ მოხსენებას ვაქვეყნებთ, რათა მთელმა საქართველომ, რომელსაც ინგილოები ვით დღეს, ისე მუდამ უყურებდნენ როგორც თავის პატრონს, თავის განუყოფელობას, გაიგოს, რა ცეცხლი ტრიალებს სრულიად უდანაშაულო ინგილოთა შორის და მით დასაცველად აღმოხეთქოს თვისი უმანდელი ეროვნული მძაფრი ხმა. თქმულა-ძმა ძმისთვინა შავი დღისთვინაო. ინგილო-ქართველებს შავი დღეც უკვე

კარს მოსდგომიათ მოსასპობლად. საჭიროა არათუ თანაგრძნობა, არამედ სწრაფი დახმარება ეროვნულ მძლავრ ხელის მიწვდენით, მაგრამ არა სისხლის აღების განზრახვით, არამედ მშვიდობის ქადაგებით სასურველ მშვიდობის დასამყარებლად უბედურ, გარნა შვენიერ მზიან საინგილოში.

კვლავ საინგილოს შესახებ

,,საქართველო" 1918, N 223, 21 გიორგობისთვე, გვ. 1.

საქართველოს სხეულს მოსწყდა თავი-საინგილო. აქედგან ეფინება საქართველოს მზის ყოველდღიური სხივები. ეს არის ჩვენი აღმოსავლეთი და აქ დასწყდება შვენიერი და მდიდარი კახეთი. აქ სამხრეთიისკენ ბრუნდება კახეთზე აღმოსავლეთისკენ მომდინარე ალაზანი. საინგილო ბუნებრივი განგრძობაა კახეთისა, მის მიწა-წყლისა, ჰავისა, მცენარეულობისა, პირუტყვისა, ადამიანის ერთფერ მოწყობილობისა, მის ერთნაირ ადათ-ჩვეულებისა. უკეთ ვთქვათ, საინგილო იგივ კახეთია, მის განუყოფელი ნაწილი. კახეთს ვერ წარმოიდგენს ჩვენი კაცი უსაინგილოდ და საინგილოსაც უკახეთოდ. თვით ბუნებას უბრძანებია მათი იგივეობა.

საინგილოს ბოლოს რომ ალაზანი ჩაბრუნდება მტკვარში ჩასაქანებლად, მისკენ რკალივით მოიწევს დიდი კავკასიონი და იმდენად უახლოვდება ალაზანსა და მის აქეთს სიღნაღის მთებს, რომ შუაში რჩება მხოლოდ 15-იოდე ვერსი მანძილი. აი ეს 15-ვერსიანი მანძილი არის საქართველოს აღმოსავლეთის მხრით მიჯნა. და ამ მიჯნასაც ჩაჰყვება ღელე სისხლისკობი და მერე ეგრისხევი. ამ მიჯნას იქით ერთბაშად სწყდება ამიერ-იმერის (საქართველო-ადირბეჟანის) მსგავსება:აქეთ რომ აყრილი მცენარეულობაა, იქით უდაბური უტყეო მშრალი და ცხელი ველებია, გადამწვარი გორაკები და ფერდობები.

საჭირო იყო თავიდგანვე ამ 15-ვერსოვან მიჯნაზე დაგვეყენებია 40-იოდე გერმანელი და ხუთიოდ ქართველი, რომ საინგილოც დღეს ჩვენი ყოფილიყო. თურქებმა ცარიელი მიჯნა რომ ნახეს, ნუხის მხრიდგან გამოსწიეს, დაიჭირეს კახი, ზაქათალა, ბელაქანი, ალაზნის ბორნები, შეჰკრეს ყველა გზები და კაწები, ქვეყანას დაუნიშნეს ცალკე გუბერნატორი და აუკრძალეს ხალხს იქიდგან რისამე გამოტანა ,,საზღვარგარე" და ,,უცხო" ქვეყანა საქართველოს. სამაგიეროდ, როგორც გვატყობინებენ, იქიდგან გაიტანესო მილიონ ფუთამდე ბრინჯი, ათას ურმობით ხორბალი, ათას-თავი ყოველ მოსავლისა, კვლავ ხარკი და სხვ.

ასე, საქართველოს ღვიძლი კუთხე ერთადერთ უხვად მომცემი ბრინჯისა, აბრეშუმისა, ხილისა, ბოსტნეულისა, ღვინისა და სხვ. დაგვეკარგა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი დარაჯები დროით ვერ ჩავაყენეთ საინგილოს მიჯნაზე.

ინგილოებს-კი კისრები დაებრიცათ ჩვენკენ ცქერაში. ასეთი შეუნდობელი დაუდევრობა მოგვივიდა მაშინ, როდესაც საქმე შეეხებოდა არათუ მარტო ეკონომიურად დიდმნიშვნელოვან კუთხის ბედს, არამედ სტრატეგიულადაც თვალსაჩინოს:ვისაც უჭერია საინგილო, მის ბატონობაში ჰყვება დანაშთენი კახეთიც:მოგეხსენებათ, საინგილოში ლეკები რომ ჩამოსახლდნენ, მის შემდეგ უკუღმა დატრიალდა ჩარხი საქართველოში.

უნდა კაცმა თვითონ ნახოს აქაურობა, და მაშინ დარწმუნდება, რომ საქართველო უსაინგილოდ ვერ იცხოვრებს:ზურგით მას აყუდია დაღისტანი, და იქიდან ჩამოსულ ლეკებმა ჭარბელაქნელებთან ერთად რა უყვეს საქართველოს, ჩვენში ყველას უნდა

ახსოვდეს. ეს სტრატეგიული თვალსაზრისით. ახლა რა უაღმატებულესი მნიშვნელობისაა საინგილო ზემო ჩამოთვლილ ნაწარმოებებითა და მრავალგვარ ლითონ-მადნეულობით. ყველა ამის ეკონომიური მნიშვნელობა ისე დიდია, რომ მისი განრიცხვა თითქმის შეუძლებელია ეხლავე..

რახან დროით მიჯნაზე ვერ დავდექით და, თქმისა არ იყოს, ,,უპატრონო საყდარი" სხვებმა დაიჭირეს, ჩვენ დაგვრჩენია, ერთადერთი გზა:მეგობრულად გამოველაპარაკოთ თვით იმ ,,საყდრის" პატრონებს, დავპირდეთ ადმინისტრატიული თუ კულტურული თვითმმართველობაც და ასრე შევუერთოთ ჩვენს რესპუბლიკას.

საინგილოს მისადევარი საქართველოა და უამისოდ ის ვერ გასძლებს. დროით მოვჭიდოთ ხელი საქმეს, რომ აქაც არ დაგვასწროს სხვამ და საუკუნოდ არ დავკარგოთ ყოველმხრივ შემკული ქვეყანა.

ისევ საინგილოს შესახებ

,,ივერია" 1919, N 32, 20 ქრისტეშობისთვე, გვ. 3-4.

საინგილო მუდამ საქართველოს ნაწილი ყოფილა, მისი განუყოფელი და განუყრელი შემადგენლობა. წმ. ნინომ მეორე საუკუნეში აქეთკენაც გამოიარა, როგორც ქართველი ერის ერთ სამრევლოში. მეშვიდე საუკუნეში არჩილ მეფემ კახს, ჭარს, ბელაქანს და ლაგოდეხს იღვაწა ხალხის ზნეობრივ ასამაღლებლად და ააგო ციხეები, ქალაქები და საყდრები. მეათე საუკუნეში აქვე იღვწოდა დინარ დედოფალი, მერე დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, თეიმურაზი (XVI საუკ.). მართალია, შაჰ-აბაზის ძალმომრეობით ეს ადგილი დაიჩემეს ლეკებმა და დაიარსეს აქ მცირე რესპუბლიკა (ჭარ-ბელაქნისა) და იმავე ყაენის დახმარებით ქართველ მეფეს განუდგა კახ-ელისოს ერისთავი ვახახიშვილი და გასულთანდა ჭარ-ბელაქნის მომიჯნავედ, მის აღმოსავლეთის მხრივ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხალხი, მეტადრე იქაური ქართველობა, არ სწყვეტდა თავის უმანდელ კავშირს დანაშთენ ქართველობასთან და არც ქართველი მეფეები უარჰყოფდნენ თავის უფლებას ამ ქვეყანაზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, იმას მაინც აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ბოლონდელი მეფე ერეკლე მეორე თავის ტიტულში იწოდებოდა აგრეთვე მთავრად საინგილოსი და რუსებთან ხელშეკრულობის დროს 1783 წელს იხსენიებდა თავის თავს მეფედ ქართლ-კახეთისა, მთავრად სამცხე-საათაბაგოსი, კახის (საინგილოსი) და სხვ.

ასეთია ისტორიული სამართალი. საინგილო არასდროს არ ყოფილა ნაწილი ადირბეიჯანისა, პირიქით, ეს ქვეყანა მუდამ იყო საქართველოს მისადევარი არათუ ისტორიულად, არამედ ეკონომიურადაც. ქიზიყის განგრძობა საინგილოა, ხოლო საინგილოს ქიზიყი:იქიდგან მოდის ბრინჯი, ხორბალი, ხილი, თაფლი, აქედგან მანუფაქტურა და ცხოვრებისათვის ათასი უსაჭიროესი საგანი. ადირბეიჟანსა და საინგილოს შორის თვით ბუნებას დაუდვია აუცილებელი საზღვარი:ეს ვიწრო ყელი კავკასიონისა და ალაზანს შორის კოშკა-ჩაის (ყანუყობის) ღელის გაყოლება. მის აქეთ იქით ატეხილი ჭალებია, ვით დანარჩენ კახეთში, ქვეყანა სავსეა ქართველი ერის შექმნილ და აწ მუსრად ქცეულ ნაშთებით, ყანუყობის იქით კი გაჰყვება გატუცული და გარუჯული მთა-გორაკები, როგორღაც დანაშთენ ნუხის მაზრასა და მის გაყოლება ადგილებში.

ვერ წარმოგვიდგენია, რა უფლებით უკავია ჩვენი ქვეყანა ადირბეჟანს, ამას ვერ ამართლებს ვერც ისტორიული გადმოცემა, ვერც ეთნოგრაფიული მონათესაობა და ვერც სარწმუნოებრივი ერთობა. საინგილოში ქართველებს გარდა ცხოვრობენ ლეკები

და მცირედ თათრები, მაგრამ ესენი სუნის მიმდევარნი არიან და არა შიისა, როგორც ადერბეჟანის დანაშთენი მოსახლენი. თუ იტყვიან იგინიც და ესენიც მაჰმადიანები არიანო, და ამიტომ ჩვენი უნდა იყვნენო, გამოვა ერთგვარი ულოღიკობა, ვინაიდან ეგრე შეიძლება ჩვენც დავიჩემოთ სომხები, ბერძნები, აისორები და სხ., რადგან ესენიც ქრისტეს მიმდევარნი არიან!

ჩვენი გასაჭირი ორ-სამკეცდება ამ ბოლო დროს, რადგან აქაურ მთავრობის განკარგულებით საინგილოს გზა-კვალი კახეთის მხრივ მაგრა შეკრულია და არ გვიშვებენ გავიტანოთ ჩვენი ნამეტი პური, ბრინჯი და სხვა საქართველოში და იქიდგან შემოვიტანოთ ჩვენთვის უსაჭიროესი საგნები, შაქარი, ჩით-ფარჩეულობა და სხ. მაგრამ არათუ ეს, ნებას არ გვაძლევენ, რომ თბილისში დარჩენილ ჩვენს ღვიძლ შვილებსა თუ ძმებს მივაწოდოთ მათივე აქაურ მამულიდამ შემოსული პური, ბრინჯი, ღვინო და სხვა სარჩო, ურომლისოდ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. და ასე გვავიწროებენ მაშინ, როდესაც ადირბეჟანს და საქართველოს რესპუბლიკებ შორის სუფევს მტკიცე და სიყვარულით აღსავსე კავშირი. ჩვენის ფიქრით, ორთავე მოკავშირეებმა საბაჟოები დაუყოვნებლივ უნდა მოხსნან, რომ ხელი მოინაცვლონ ერთურთისაგან, თვისი ნამეტით მეზობელს დაეხმარონ და ეკონომიურად გაღონიერებულებმა საერთო ძალით შესძლონ დაცვა და აყვავება თვისი.

საერო და სასულიერო მოღვაწეები

კათალიკოსი ანტონი II (შემოკლებით)

,,მწყემსი" 1885, N 1, 1 იანვ. გვ. 9-11; N 2, 15 იანვ. გვ. 6-8; N 3, 4 თებ. გვ. 9-10; N 5, 4 მარტი, გვ. 6-9; N 6, 15 მარტი, გვ. 11-12; N 8, 16 აპრ. გვ. 7-N 12, 15 ივნ. გვ. 11-13; N 15, 1 აგვ. გვ. 14-15.

მეფე ერეკლე გარდაიცვალა 1798 წ. იანვრის 11 დღეს, შობიდან 77 წლისა, სამჯერ იყო შეუღლებული თავის სიცოცხლეში. პირველი მისი ცოლი იყო ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული ქეთევან. მეორე-ასული ზაალ აბაშიძისა, მესამე დარია (დარეჯან), ასული დადიანისა (ცხოვრ. გიორგი XIII-სა.

პირველის მეუღლისაგან მეფეს შეეძინა ორი ძე ლეონი და ვახტანგი. მეორისაგან:გიორგი და თამარი; მესამისაგან:იულონი, ვახტანგ, თეიმურაზ (ანტონი), მირიანი, ალექსანდრე, ლუარსაბი და ფარნაოზი, მარიამი, ქეთევანი, ანასტასია, ეკატერინე, თეკლე და ელენე. ამათთაგან ვახტანგი პირველის ცოლისაგან და ლუარ-საბი მესამისაგან სიყმაწვილეშივე დაიხოცნენ.

მეფის ძე თეიმურაზი (ანტონ I-საც საერო წოდებაში ერქვა თეიმურაზი) დაიბადა სწორედ იმ დღეს, რა დღესაც სანკტ-პეტერბურღში აღესრულა პაპა მისი თეიმურაზ II, ესე იგი 8 იანვარს, 1762 წ. და მოსახსენებელად, მოსაგონებელად პაპისა მონათვლაში დაარქვეს მას თეიმურაზი.

ჩვენ ხელთა მყოფ წყაროებიდამ სჩანს, რომ 20 წლის ბერი ანტონი (თეიმურაზ) მეფის ძე მირიანთან ერთად მეფე ერეკლესაგან ხელმწიფა ეკატერინა II-სადმი გაგზავნილს გარსევან ჭავჭავაძის ამალაშია (посольство).

როგორცა სჩანს, ელჩებს მშვენიერად შეუსრულებიათ მათდამი მინდობილი საქმე, რადგან ტრაქტატი ეკატერინეს დაუმტკიცებია. ელჩებისათვის და სხვა წარჩინებულ ქართველთათვის უბოძებია ძვირფასი ნივთეულობა, ღირებული 30000 მანეთად; ხოლო ერეკლეს მეუღლის დარიასთვის ორდენი წმ. ეკატერინესი და ბეჭედი (5500 მან.); მეფის ძეს მირიანს, 17 წლისას, ებოძა პოლკოვნიკობა და დაინიშნა

უფროსად ყაბარდოს ქვეითი პოლკისა, ჭავჭავაძე დაინიშნა მინისტრად მისი უმაღლესობის იმპერატრიცის კარზედ. მეფის ძე ბერი და იეროდიაკონი ანტონი დაშთა რუსეთშივე და 1784 წელს, მეფის ერეკლეს თხოვნით, ცარსკოე სელოს სასახლის ეკლესიაში, იმპერატრიცის და მისი უმაღლესი სასახლის წევრების თანადასწრებით- კურთხეულ იქმნა ეპისკოპოსად, სახელწოდებით ნინოწმინდელი. ახლად კურთხეულ მღვდელმთავარს ეკატერინე II-მ უბოძა ძვირფასი, ბრილიანტებით შემკული პანაგია. იმავე წელიწადს მეფე ერეკლემ დანიშნა იგი ალავერდელად. ანტონი სულ 26 და რამდენიმე თვისა იყო, რომ აღვიდა საყდარსა ზედა საკათალიკოსისა. ამ დღისათვის ანტონს ვარლაამ მიტროპოლიტმა მიჰმართა მშვენიერის სიტყვით, რომლიდამაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ ანტონი აღიზარდა ანტონი I-საგან.

სრულად მოყვანილია ვარლაამის სიტყვა, ,,თქმული საკათალიკოზოსა საყდარსა ზედა აღსვლასა და ნიშნების მირთმევასა ანტონი ირაკლი მეფის ძისასა". (იხ. ქართ. ქრესტ. ჩუბინაშვილისა, გვ. 41-43). ავტორი ფიქრობს, რომ მეფე ერეკლე დაესწრო მცხეთის სობოროში, ანტონის საკათოლიკოსო ტახტზე აღყვანების დღეს და ამ დღესვე მიუბოძა თავის შვილს ანა დედოფლის ნიშნის ნივთნი, სიგელით (იხ. Акт. Арх. Ком. Т. I, გვ. 68).

ამ დღიდგან იწყება მოღვაწეობა ანტონისა საქართველოს ეკლესიის წარსამართებლად. კათოლიკოზს ანტონის დიდი მეცადინეობა და სიმტკიცე ხასიათისა უნდა გამოეჩინა, რომ ამისთანა დაუდგრომელს დროს დაეცვა თვისი უწმინდესი ტახტი. ანტონს გაუტარებია ბრძოლაში თვისი ტახტის დასაცავად. მაგრამ მისი გამოცდილებისთვის, მედგრობისთვის ბოლო მოუღიათ იმისთანა პირთა, რომელთაც უყვართ ხოლმე ამღვრეულს წყალში თევზის ჭერა. ამისთანა მტრები ანტონს ბევრი გამოუჩნდენ. ანტონი კათალიკოზის ისტორიის შესადგენად ავტორი მიზანშეწონი-ლად მიიჩნევს მისი მღვდელმთავრობის დრო დაიყოს შემდეგ ხანებად:1, 1788-1798 წლამდე (გარდაცვალებამდე მისი მამის ერეკლესი); 2, 1798 წ.- 1800 წლამდის (გარდაცვალებამდე მეფის გიორგისა); 3. 1800 წ.- 1810 წ. (ანტონის რუსეთში გაწვევამდე) და 4. ანტონის მდგომარეობა რუსეთში 1811 წ.-1827 წლამდე.

იმპერატორის პავლეს მანიფესტი საქართველოს რუსეთის ქვეშევდრომობაში შესვლაზე გამოცხადებულ იქმნა მოსკოვში და იმპერატორის ბრძანებით მანიფესტი იგი მოიტანეს საქართველოდ გიორგი ავალიშვილმა და ელიაზარ ფალავალდის შვილმან. თბილისში საქართველოს განმგემან გენ. კნორიგმა შეჰყარა სამღვდელოება, თავადნი, აზნაურნი და თბილისის სიონის ეკლესიაში მანიფესტი იგი კათოლიკოსმა ანტონიმ წააკითხა არქიმანდრიტს ტრიფილეს. შემდგომად წაკითხვისა ხელი მო-აწერეს ფიცით აღთქმაზე, რომელიც რუსულად და ქართულად წინადვე იყო დაბეჭდილი პეტერბურღში. ფიცით აღთქმაში გამოცხადებული იყო ქვეშევდრომობის მიღება და ერთგულება რუსეთის იმპერატორისა. ამ აღთქმაზე ხელი მოაწერეს, სხვათა შორის, კათალიკოზმა ანტონიმ, მთავარეპისკოპოზმან იუსტემ, თბილელმან არსენიმ, ბოდბელმან იოანემ, რუსთველმან სტეფანემ, წილკნელმან გერვასიმ, ნეკრესელმან ამბროსიმ, მუხრანის ბატონმან კოსტანტინემ, სარდალმა იოანე ორბელიანმან, სარდალმან ზაალ ბარათაშვილმან, აბელ ჩოლოყაშვილმან და სხ. (ცხოვ. გიორგი მე XIII, გვ. 300). ამ დროს აქ დაესწრნენ რუსთა გენერლები:კნორინგი, ლაზარევი. გულიაევი, კარიაგინი და კოვალენსკი და აგრეთვე 10000 რუსის ჯარისკაცი (ცხოვ. გიორგისა, გვ. 300).

მოცემულია პავლე იმპერატორის მანიფესტის ტექსტი. ავტორის სიტყვით, არც ეს ფიცი, არც მანიფესტი არც ერთს ერეკლეს შვილს, გარდა

ანტონისა, არ შეუწყნარებია. გავარდნილან საწინააღმდეგოდ რუსებისა და ხალხის ასაღელვებელად. ამასთანავე გავარდნილა აგრეთვე მეფის გიორგის ძე თეიმურაზი და იულონის ძე. ჯერედ ყრმა (10 წლისა) ლევანი. მეფის ძე ალექსანდრე ჯერ ძმის გიორგის სიცოცხლეშივე გასულა საქართველოდან და ეს ყოფილა უმთავრესი მოწინააღმდეგე პირი ახალის მმართველობისა. თუმცა დარია დედოფალმა, ანტონი კათალიკოსმა და მრავალთა სხვებმა დაიფიცეს იმპერატორის ქვეშევდრომობაზე, მაგრამ იდუმალად იგინი ყოფილან მტერნი რუსეთისა და იმათაც სხვა მეფის ერეკლეს შვილებთან ერთად უმოქმედნიათ, რათა ტახტი დაუბრუნონ ბაგრატიონთ შთამომავლობას (ეს აზრი მარტივად გამოსჭვივის იმ წერილებიდამ, რომელნიც გაბნეულნი არიან არხეოგრ. აკტების ტომებში: I, II, III, IV და მე-V ამ სათაურით:"Грузинский царский дом" და აგრეთვე ბუტკოვის წიგნში:материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ სუსტად იმეფა მეფე გიორგი მე-XIII, რომელმაც საქართველო შეიყვანა რუსეთის იმპერატორის ქვეშევდრომობაში, რასაც მოჰყვა დიდი შეთქმულებები ახალი მთავრობის წინააღმდეგ და რუსეთში საქართველოს სამეფო გვარის წევრთა გადასახლება, რომელიც თითქმის სრულიად დასრულდა 1811 წელს. აქვე მოჰყავს საინტერესო ცნობები ქართლ-კახეთის ეპარქიების რაოდენობაზე, მათ გამგებლებზე, ეპარქიების ეკლესიათა მამულებზე, ყმებზე და სხვ. მოთხრობილია ამბები ღვიძლი ერისათვის ანტონის ნაყოფიერ მოღვაწეობაზე, ნაჩვენებია მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს მისი დათხოვნა ამ მაღალი თანამდებობიდან. ანტონს უზრუნვია დაეცვა თავისი ეკლესიის და სამწყსოს წესნი და სარგებლობანი. ანტონისავე დროს მომხდარა გახსნა თბილისის კეთილშობილთ ქართველთ ყრმათა სასწავლებლისა (училища для благородного грузинского юношества) და შემოტანა საქართველოში და თბილისის სიონის ტაძარში დასვენება წმ. ნინოს ჯვარისა. თითქმის 1809 წლამდის ახალი მმართველობა არ რეულა სასულიერო საქმეებში და ანტონ კათალიკოზს უმართავს თვისი სამწყსო. როგორცა სჩანს საქმეებიდამ (იხ. ,,აქტები", ტ. ტ. I, II, III და IV-სასულიერო ნაწილი) ამ წელს კი მთავრობას მიუქცევია თვისი ყურადღება ამ ნაწილისათვისაც და მის საქმეებში თუმცა ფარულად, მაგრამ ფაქტობრივად დაუწყია უხეში ჩარევა და საბოლოოდ საქართველოს კათალიკოსი პეტერბურგში გაუწვევია, რაზედაც ნარკვევში საამისო ცნობებია მოცემული. ანტონ კათალიკოსი თბილისიდან 1810 წლის 3 ნოემბერს გამგზავრებულა.

1814 წ. 17 ოკტომბერს უწ. სინოდმა თანახმად უმართებულესის სენატისა გადაწყვიტა:1) საქართველოში (ქართლ-კახეთში) და იმერეთში იყოს ერთი ექსარხოსი სინოდისა და ეწოდოს მას საქართველო-იმერეთისა. 2) თბილისში დაარსდეს საქართველო-იმერეთის უწ. და უმართებულესი სინოდის კანტორა, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულებაში უნდა იყოს სინოდთან, ისრე, როგორათაც კანტორა მოსკოვისა. მაგიერ თბილისის დიკასტერისა, რომელიც კანტორის დაარსებიდან უქმდება, ამნაირივე გაიხსნას ქუთაისში-იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ეკლესიათათვის; 3) თავმჯდომარედ კანტორისა უნდა იყოს საქართველოსა და იმერეთის ექსარხოსი, წევრებად:არხიეპისკოპოსი თელავისა და საქართველო-კავკასიისა; ორი არქიმანდრიტი და ორი დეკანოზი; 4) კანტორას ჰყვანდეს პროკურორი მეხუთე კლასისა, მცოდნე რუსულისა და ქართულის ენათა. შემდეგ 23 მუხლში ჩამოთვლილია დაწვრილებით მოვალეობა კანტორისა, მისი წევრებისა, ექსარხოსისა და სხვ. მეშვიდე მუხლში კი ნათქვამია:საქართველოში დაწესდეს სამი ეპარქია: ქართლისა, ოსეთისა და სიღნაღისა (იხ. ,,აქტები", V, გვ. 407-410). ეს დადგენილება სინოდისა უმაღლესად მისი იმპ. უდიდებ. უქაზით 30 აგვისტოს 1814 წ.

დამტკიცებულ იქმნა და 1815 წ., მაისს სინოდის კანტორა უკვე გახსნილ იქმნა (იხ. რაპორტი სინოდის კანტორის პროკურორისა ნად. სოვ. ჩილაევისა, გენ. რტიშჩევისადმი 8 მაისს 1815 წ. N 33).

1817 წ. ექსარხოსი საქართველოისა გაწვეულ იქმნა პეტერბურღს და მის მაგიერ დანიშნულ იქმნა თეოფილაკტე, სინოდის წევრი, არხიეპისკოპოსი რიაზანისა. დათხოვნილ იქმნა აგრეთვე დოსითეოზი (ფიცხელაური) თელავის და კავკასიის არქიეპისკოპოსის თანამდებობიდამ.

თეოფილაკტემ, თანამდებობაზე აღვიდა თუ არა, მიაპყრო თვისი ყურადღება სამწყსოს დაცემულ მდგომარეობას და ქართლ-კახეთის სამწყსოს გაუმჯობესების გარდა, იმერეთის სამწყსოებიც უყურადღებოდ არ დასტოვა. იგი წავიდა იმერეთში და გაიგო იქაური ეკლესიის მდგომარეობაც. მაგრამ, როგორც სჩანს, ხალხს სრულიად არ მოეწონა თეოფილაკტეს იქ ყოფნა და მეტადრე ის ცვლილებანი, რომელიც სურდა მას შემოეღო იმერეთშიაც.

თავადნი, აზნაურნი და გლეხნი წულუკიძეებს, იაშვილებს, ჯაფარიძეებს, ყიფიანებს და ყველა რაჭის კეთილშობილთ (ლოსიანთ-ხევიდამ) მოახსენებენ, რომ თეოფილაკტეს იმერეთში მოსვლამ დიდ მწუხარებაში ჩაგვყარაო. აზრი წერილისა ის არის, რომ როგორც ქართლში შეავიწროვეს ეკლესია, ისეც ჩვენში უნდა შეავიწროონო. ეკლესიებს, მონასტრებს დაგვინგრევენ, ჯვრებს და ხატებს წაგვართმევენო. საკუთარ ჩვენგან აღზრდილ მღვდლებს გვართმევენ, ჩვენი არქიელების კურთხევას ვეღარ ვეღირსებითო. თუკი ხელშეუხებლად შთება სარწმუნოება დაბრმავებულთა ურიათა და სომეხთა და კათოლიკთა, მაშ ჩვენ რაღათ შევადგენთ განსხვავებასო. თუკი საშინელი აგარიანნი, მტერნი ჩვენნი, ჩვენს სარწმუნოებას არ ეხებოდნენ, ეხლა რაღა დავაშავეთ, რომ გვართმევენ არქიელებსა, მღვდლებსა და ეკლესიებსა და სხ. შემდეგ სთხოვენ ხსენებულთ თავადთ, რათა იშუამდგომლონ, რომ საუკუნოთაგან დანერგილი წესწყობილება, სარწმუნოება შეუცვლელად დარჩეს და თეოფილაკტესაგან წარდგენილი აზრი უკუიქცეს.

შემდეგ იმერეთში მომხდარა აღელვება და ამ აღელვების მოთავედ ჩაუთვლიათ ქუთაისის მიტროპოლიტი დოსითეოზ და გენათისი ექვთიმე. ორთავენი დათხოვნილ იქმნენ; დადგინდა:იმერეთი შეიქმნეს ერთ ეპარქიად (იხ. ,,აქტები", VI, ნაწ. I, გვ. 419).

თეოფილაკტე შეუდგა ქადაგების და ქრისტიანობის გავრცელების საქმესაც. უდებში და ოსებში დაიწყეს ეკლესიების შენება და ხალხის მოქცევა. ოსეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად დიდი ხნიდგან იყო დაწესებული განსაკუთრებული კომისია, რომელიც ნაყოფიერად მოქმედებდა მთის ხალ-ხებში:ოსებში, ქისტებში, ინგუშებში და სხვა.

ამისთანა გაცხარებული საქმეების დროს ბოდბეში გარდაიცვალა მიტროპოლიტი თეოფილაკტე (19 ივლისს 1821 წელს) და დასაფლავებულ იქმნა წმ. ნინოს ტაძარში.

ექსარხოსად დაინიშნა არქიეპისკოპოსი იონა. სხვათა შორის, დაიწყო ინგილოების მოქცევა. განათლდა 6 ინგილო თბილისში და ს. კაკშიაც გაიგზავნა მღვდელნი, რომელთაც ამ სოფელში მონათლეს რამდენიმე (17) ინგილო. ამ საქმის წარმატებას ხელი შეუშალა ადგილობრივ სულთნის შვილმა ალხაზმა, რომელიც ინგილოებს არ ურჩევდა ქრისტიანობის მიღებას და ჰქადაგებდა სასჯელსაც (იხ. ,,აქტები", VII, გვ. 249).

ამ მდგომარეობაში იყო საქართველოს სამწყსო მაშინ, როდესაც რუსეთში გარდაიცვალა კათოლიკოზი სრულიად საქართველოის ანტონი. ეს იყო 2 ქრისტეშობისთვეს, 1827 წ., დილის 10 საათზე.

3 ნოემბერს, 1810 წ. გამგზავრებული ანტონი რუსეთს (პეტერბურღს) მივიდა 1811 წ. დასაწყისს. იმპერატორმა ალექსანდრე I მეგობრულად მიიღო იგი. დანიშნა წევრად უწ. სინოდისა, მიუბოძა მას მწვანე ხავერდის მანტია და ორდენი წმ. ანდრია პირველწოდებულისა და ორდენისათვის მისაკუთრებულ ჯილდოს გარდა დაუნიშნა ჯამაგირად ყოველწლივ 54000 მ.

პეტერბურღში დიდხანს არ დარჩა ანტონი. იმან საცხოვრებლად აღირჩია ნიჟგოროდის გუბერნია, საცა მაშინ ცხოვრობდნენ ქართველ მეფეთ ჩამამავალნი:გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, ლეონ გრუზინსკის ქვრივი, აგრაფენა ტატიშჩევის ასული და აგრეთვე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დადიანი. ესენი ცხოვრობდნენ ს. ლიკოვოში. ანტონი კი დადგა ნიჟგოროდის მიძინების ეკლესიაში. მისი საქმეების გამგებელი იყო მისი ნათესავი ესტატე ციციშვილი. ანტონი რამდენიმე ხანს წავიდა საცხოვრებლად გ.ა.გრუზინსკისთან.

1824 წ. კი კათალიკოსი დაბრუნდა ნიჟ-ნოვგოროდში და დადგა რიუმინის (ანდაშკოვის) სახლებში. შემდეგ გადავიდა ბარბარეს ქუჩაზე ბრავინის (ანკოტელნიკოვის) სახლებში. მიძინების ეკლესია იყო სანიადაგო სამლოცველო ტაძარი მის მეუფებისათვის. ამ ეკლესიის ხარლამპის ეკვედორი მისაკუთრებული იყო ქართველთათვის, საცა ნიადაგ ქართულად სწირავდენ. ყოველთვის კათოლიკოსი ისმენდა წირვას. მის მეუფების სახსოვრად ამ ტაძარში აქამდე დაშთენილია წმ. სამების ხატი, რომელიც კათალიკოზის თქმულობით ეკუთვნოდა ძველებურს დროს და იყო სასწაულმომქმედიცა. ამავე ეკლესიის მეტრიკულ წიგნში სწერია, რომ კათოლიკოსი ყოფილა მიმრქმელად შვილისა პორუჩიკის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა და ოლგა ლეონის ასული ტურჩანიკოვისა-ასულის ბარბარესი.

ანტონის ძალიან იშვიათად უწირავს საკრებულო ეკლესიაში. წირვაზე დაიარებოდა ხოლმე ოქროს კარეტითა. ეს კარეტა ეკუთვნოდა იმპერატრიცა ელისაბედ პეტროვნას. კარეტას ჰქონდა ექვსი თვალი, იბმებოდა ექვსი ცხენით. როდესაც ანტონი გამოვიდოდა ამ კარეტით, მაშინ გუნდი ხალხისა დაეევნებოდა მას და სიამოვნებდა მისი ხილვით.

როდესაც 1825 წ. აღესრულა ალექსანდრე I, ხალხი ორ გზობას დააფიცა ანტონმა-იმპერატორ კონსტანტინე I ერთგულებისათვის.- ეკლესიაში იხსენიებდნენ ანტონს უნეტარესად, კათოლიკოსად ქართლისა და კახეთისა, ხოლო მიწერ-მოწერა-ში მეუფებად.

თავისუფალ დროს ანტონი სამშობლო ლიტერატურის შესწავლას ახმარდა. მას ჰქონდა მრავალი წიგნები, დაშთენილნი შემდეგ ანტონი I-სა.

ანტონი ყოფილა ტანოვანი, მაღალი, დიდი და მშვენიერი პირისახისა, დიდი წვერით, შავის თვალებით. ანტონს თურმე რუსები ეკითხებოდნენ:"ნუთუ საქართველოში ყველა შენისთანა ლამაზები არიანო". (ზეპირ გადმოცემა). ამასთანავე კათოლიკოზი ყოფილა მეტად ზრდილობიანი, მეცნიერების მოყვარე.

ანტონი თურმე მეტად ნაღვლობდა სამშობლოს განშორებისათვის და შველიდა თვისთა მემამულეთა. ასე რომ 54000 მ. არც კი ჰყოფნიდა საცხოვრებლად. იგი ღარიბად ცხოვრობდა და ღარიბადვე მოკვდა. ასე რომ დასამარხავი ფული არ დარჩა და იგი დაიმარხა სახელმწიფო ხარჯით. დამარხვას მოხმარდა 6000 მ. და მისთვის ძეგლის აგებას 2500 მ. ანტონი, აღესრულა 21 დეკემბერს 1824 წ., შობიდამ 66 წლისა.

დაასაფლავეს იგი დიდებულად, ისე, როგორც შეეფერებოდა მეფის ძესა. 25 დეკემბერს მისი გვამი გადიტანეს ხარების სობოროში და ყოველ დღედაღამ მღვდელნი უკითხავდენ სახარებას. 31 დეკემბერს დაასაფლავეს იგი ეპისკოპოსებმა-ნიჟეგოროდისამ ათანასემ და პენზისამ ირინემ. ხარების ეკლესიიდამ გამოტანის

წინად გამოსათხოვებელი სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა სობორისამ ლებედევმა. დასაფლავებაზე დაესწრნენ:გენერალ-გუბერნატორი ბახმეტევი, გუბერნატორი ხრაპოვიცკი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. გრუზინსკი და სხ. ჯარებმა სამეფო პატივი სცეს. დაასაფლავეს ,,სკობიაშჩენსკის" სობოროში. აქაც წარმოსთქვეს სიტყვები-რექტორმა სემინარიისამ არქიმ. გაბრიელმა და დეკანოზმა პრუდენცოვმა.

გვამი უნეტარესის კათალიკოზისა დაშთა სკორობიაშჩენსკის ტაძარში 14 წელიწადი; 9 ენკენისთვეს 1841 წ. ამ ეკლესიის დანგრევის დროს კი იმავე გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკისაგან გვამი ანტონისა გადატანილ იქმნა ფერისცვალობის საკრებულო ტაძარში და შენახულ იქმნა დიმიტრიევის ეკლესიის სავანეში, მარჯვენა მხრით. (ეს უკანასკნელი ცნობანი კათალიკოზზე სტატიის ავტორს ამოუღია ,,Странникъ-ის 1865 წლის აგვისტოს ნომრიდან.

დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობა

,,ივერია" 1890, N 32, 13 თებ. გვ. 2-3.

წუთისოფელმა ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი კვლავ გამოაკლო ჩვენ მცირე წრეს. განსვენებულს თავის სიცოცხლეში მუდამ თვალწინ ედგა ერის ბრძნული თქმულება:,,არც კაცი ვარგა იყვეს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს»". ამ თქმულობის მიხედვით განსვენებულმა მთელი თავისი სიცოცხლე ქვეყნის სამსახურსა და სარგებლობას მოანდომა.

განსვენებულ დიმიტრიმ თვის სამოღვაწეოდ მეტად ძნელი სარბიელი ამოირჩია. ეს სარბიელი იყო შესწავლა საქართველოს წარსულისა, რომელიც მის დრომდის ჯერ უკუმათის ბინდით იყო მოცული. მაშინ არათუ უცხო ქვეყნელები, არამედ, ხშირად, ჩვენი თანამემამულენიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ჩვენს წარსულს, ქართველთა მიერ გამოვლილ ორი ათას- სამი ათასი წლის გზა-კვალს. მაგრამ ბაქრაძე მრავალგვარ დაბრკოლებას არ შეუშინდა. ყურადღებაც არ ათხოვა იმ გარემოებას, რომ ჩვენში როგორღაც ისტორიას ვერ ეწყობოდნენ, რომ ისტორიულ წიგნების მკითხველსა და მწერალს ხშირად დასცინოდნენ; და ძველისძველი ნაშთების მთხრელ-მჩხრეკელს უკიჟინებდნენ და საფლავის მთხრელებს უწოდებდნენ. მაგრამ განსვენებულმა, ვიმეორებთ, ასეთი კიჟინი არაფრათ მიიჩნია. ყურადღებაც კი არ მიაქცია უმრავლესობის ხმასა და ღაღადს. იგი დარწმუნებული იყო, რომ აწ დაწუნებულნი საფლავნი და სხვადასხვა ნაშთნი უტყუარნი მთხრობელნი არიან წარსულისა. ხოლო ახლა საჭირო იყო მათი შესწავლა, მათი აღწერა, რომ იგინი საინტერესონი შექმნილიყვნენ თვით ერისათვისაც. განსვენებულს მტკიცედ სწამდა, რომ ჩვენს წარსულში იყო ჩადგმული ის მკვიდრი დედაბოძი, რომელზედაც უნდა აგებულიყო მომავლის შენობა.

ამ დედააზრით გამსჭვალული მოღვაწე მუყაითად შეუდგა საქართველოს წარსულის დასურათიანება-დახატვას. ამ ძნელ საქმეს მან შესწირა მთელი თავისი ძალ-ღონე; იგი ჭაბუკობიდან მოკიდებული სიკვდილამდე ეტრფიალებოდა ერთხელვე თავის მიერ დაჭდეულ ნიშანს და გზად არ უხვევდა მას. წარსულის სრული სურათის აღსადგენად იმან საჭიროდ დაინახა შესწავლა მიწაში დამარხულ ნაშთებისა, მიწის პირზე დაშთენილ ძეგლებისა, აგრეთვე გარკვევა-გაჩხრეკა ძველისძველ ხელნაწერებისა, ქართლის ცხოვრების ვარიანტებისა, სიგელ-გუჯრების შესწავლა და სხვადასხვა.

ერის ცხოვრება მეტად რთული საგანია, მეტადრე იმისთანა დღეგრძელი ხალხისა, როგორიც ქართველი ერის. ყოველი ერის ცხოვრებაში აწმყო არის ნამყო წარსულისა და აწმყოსაგან იბადება მომავალი. მაშასადამე, თუ გვსურს შევიგნოთ აწმყო და გამოვიცნოთ მომავალი, აუცილებლად საჭიროა შევისწავლოთ წარსული. დაშთენილი დაწერილი ისტორიული თხზულებებით ქართველები თავს ვერ მოვიწონებთ. ქართლის ცხოვრებაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს სურვილს. იგი გაკვრით გვიამბობს ჩვენს წარსულს და ბევრს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას არც კი აღნიშნავს.

ბაქრაძეს საქმის სიძნელემ წარბი ვერ შეახრევინა, რასაც ქართლის ცხოვრებაში ვერ ჰპოებდა, მას იგი ეძიებდა ძველ ხელნაწერებში, ტაძრების წარწერებში, სიგელ-გუჯრებსა, აკლდამებსა და ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. ამ აზრით განსვენებულმა მი-მოიმგზავრა მთელი საქართველო, ყოველი კუთხე ჩვენი ქვეყნისა დაათვალიერა და შეისწავლა. მისი მოგზაურობა საქართველოში ნამდვილი მზის ამოსვლის დრო იყო ძველი ნაშთებისათვის. დაობლებულნი და თავ-პირ ჩამომტირალნი ძეგლნი, მდებარენი გადაყრუებულს, უჟამურსა და უკაცურს ტყე-ღრეში, ხევ-ხუვსა და მთა-გორაკთა ზურგზე ხელახლად ალაპარაკდნენ. იგი ამასაც არ სჯერდება. მისი გამოცდილი და შორსმხედველი თვალი იხედება დამტვერიანებულს და დაობებულ წიგნთსაცავებში და მათში საოცარის სისწრაფით ჰპოებს შესანიშნავ და სულისა და გონების საგრძნობელ ავკარგიანობას.

ამგვარად მოპოებულ ცნობებს განსვენებული აწვდის ერს წვრილ-წვრილად, რათა ისწავლოს საქმენი მშობელთა და დაიფასონ ძეგლი წარსულისა.

ბაქრაძის მეოხებით დღეს ამ ხელნაწერებისა და ჭურჭელ-სამკაულისთვის არის დადგმული მკვიდრი სავანე-საეკლესიო ნივთთა მუზეი ტფილისის სიონის კარიბჭეში. განსვენებულისავე შთაგონებითა და ქადაგებით ძველი ძეგლების წინამძღვარნი და მაშენებელნი დღეს აღარ სცვლიან ძველს აღნაქსს (თვისება), ძველს ჩუქურთმას არ აოხრებენ და ძველ მხატვრობას აღარ ათეთრებენ თეთრი კირითა და გაჯით (გავიხსენოთ მისი შარშანდელი მოგზაურობის საოცარი შედეგები).

განსვენებულმა უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი ანბანებიც. შეისწავლა იგინი, აღადგინა მათი მოყვანილობა, წარმატება და განვითარება; განსაზღვრა ყოველი საუკუნისა და ეპოქის ხელი და ამგვარად დაადგინა და შექმნა ახალი დარგი ქართული მეცნიერებისა, ე.ი. ქართული პალეოგრაფია. ზედმიწევნით სცნობდა ხელნაწერის შედგენის საუკუნეს, არჩევდა ყოველი მონასტრის ხელსა.

ამგვარივე თვისება აქვს იმის წმინდა ისტორიულ მოღვაწეობასაც. საქართველოს ისტორიის შესწავლას მან მკვიდრი საფუძველი დასდო. იგი თუმცა სამსახურის კაცი იყო და ლუკმაპურის საშოვნელად ბევრ დროს სახელმწიფო თანამდებობის აღსრულებას ანდომებდა, მაგრამ მაინც მთელს თავის თავისუფალ დროს წარსულის ძიებას ახმარებდა. ამ საქმეში განსვენებული ისეთ ხალისს, ერთგულებასა და სიყვარულს იჩენდა, რომ ხშირად მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა, რათა ნიშანში ამოღებული საგანი, მისი სისრულისათვის, ბოლომდე მიეყვანა. ამგვარ შრომის დროს ხშირად შევსწრებივარ განსვენებულს და როცა მიკითხავს:,,ბატონო დიმიტრი, ამდენი შრომა როგორ არ გღალავთ?”,- უპასუხნია:,,რა ვქნა, წარსული კაცს ისე აყვარებს თავს, ისტორიაში იმდენი კეთილშობილი, მამულისა და ქვეყნის ერთგულებაში გაბრძმედებული პირნი არიან, ისეთი მტკიცე ხასიათისანი, თავმდაბალნი, უშურველნი და უმწიკვლონი, რომ მათთვის თვალი ვერ მომიშორებია; მათთან ყოფნა, მათთან საუბარი და მათთან გულის ძგერა მავიწყებს ჩემი ხორცის დაქანცვა-ტკივილსა; მცირე დროს განმავლობაში მაინც მაშორებს დღევანდელ ორპირობითა და ცბიერებით აღსავსე აწმყოს. წარსულის შესწავლა

თვალწინ გვიყენებს იმ ხორცით დამიწებულ, მაგრამ სულით აღფრთოვანებულ გმირებს, რომელთაც ხალხის ბედ-უბედობა თვისის მხარბეჭით უტარებიათ. ამგვარი გმირების რიცხვი ხომ ჩვენს ისტორიაში, მადლობა ღმერთს, ცოტა არ არის. მათთან საუბარი კაცს უნებლიედ აყვარებს საქართველოს ისტორიასო" და სხ. მისი საქართველოს ისტორიის I ტომი, ორი დაუმთავრებელი დარჩა. 1873 წლის მოგზაურობა თურქეთში... აღწერა საქართველოსა და, საზოგადოდ, კავკასიის 321 ტაძარი. სამეცნიერო აკადემიამ ოქროს მედლით დააჯილდოვა.

რა იყო წინათ და რა არის ახლა?

პალეოგრაფია ახლად შექმნილია, არქეოლოგიურნი ნაშთნი, შეძლებისდაგვარად, გამოკვლეულია. ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ვითარება შეტყობილი გვაქვს. ქართული წყაროების სახელი აღდგენილია. საქართველოს ნანგრევნი და ნაშთნი ვიცით და ვუწყით. საქართველოს სამართალი ახსნილია. ყოველივე ამას მეცნიერების ნათელი ვინ მოჰფინა? ნეტარხსენებულმა ჩვენმა დიმიტრიმ.

მაგრამ დღეს რომ დიმიტრი ბაქრაძე აღარ არის?

ვცდებით, იგი, მართალია, ხორცით მოგვშორდა, მაგრამ სულით მუდამ ჩვენთან იქნება და არის. იგი იყო პირველი მეცნიერი სამშობლო ისტორიისა.[55)]

მეფე ერეკლე

(124 წლის შესრულების გამო კრწანისის ბრძოლის შემდეგ)

,,საქართველო" 1919, N 224, 17 ღვინობისთვე, პარ. გვ. 4.

ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?

ნიკო ბარათაშვილი

გვირგვინი მუდამ სატრფიალო საგანი ყოფილა. მის დასაჩემებლად უბრძოლიათ დიდებულთაც და მცირებულთაც. ვისაც გვირგვინი ჰხვედრია, ძლიერად დაჰბღაუჭებია. ეს გასაკვირიც არ არის. მეფის ცნებას ძველ დროითგანვე შეეთვისა მნიშვნელობა წინამძღოლობისა, ღვდელმთავრობისა, წინასწარმეტყველობისა და, წარმოიდგინეთ, ღმერთობისაც კი; ჟამთა განმავლობაში ხალხს რწმენად გადაექცა,- მეფე ღვთისაგან არისო და მისვე ქვეყნიური სახვა ანუ, რუსთაველის სიტყვით რომ ვთქვათ, ,,მისგან (=ღვთისგან) არს ყოველი ხელმწიფე, სახისა მის მიერითა". ამ რწმენის ძალით ბაგრატიონები თავიანთ მისხს, ჩამომავლობას მიუწევდნენ თვით ღვთის მშობელამდე.

დიდობა და, თუ შეიძლებოდა, ,,ღმერთობაც" პატივმოყვარეთა ოცნება ყოფილა მუდამ. მართლაც, ქვეყანაზე რამდენი ფუყეთავიანია, რომელიც ეტენება ყველგან, რომ, რა არის, იცნონ იგი დიდ ვინმედ! მრავალს მეფეს დიდებასთან ერთად ჰქონდა გვირგვინიც, მაგრამ ეს გვირგვინი პირველ ყოვლისა, ეკუთვნოდა არა მათ, არამედ ერს. მათ შეეძლოთ თავიანთ თავიდამ აეხადათ გვირგვინი, მაგრამ ნება არ ჰქონდათ გაებოძებინათ იგი სულ გარეშეთათვის, ვინაითგან გვირგვინი, საზოგადოდ, ეროვნული თავისუფლების გამოსახულობაა და არა ვისიმე კერძო კუთვნილება.

რუსეთის მეფე თეოდორეს ვერც კი წარმოედგინა, რომ სადმე იქნებოდა ხელმწიფე, რომელიც თავის ქვეყანასა და გვირგვინს გაიმეტებდა სხვისთვის. ბორის გოდუნოვმა რომ წარუდგინა ქაღალდი ,,ივერიელთა მეფე თავის ქვეყნითურთ

დამხედ თავს გიკრავსო და ქვეშევდრომობას აღგითქვამსო”, თეოდორემ გაიკვირვა და წამოიძახა:,,ვოტ ჩუდაკ!”-ო (იხ. ა.ტოლსტოი. მეფე თეოდორე. ტრაღედია 5 მოქმ. გვ. 243).

ამ ცუნდრუკად ხსენებულ მეფედ მაშინ იყო ლუარსაბი. იგი მართლაც ივერიას კი არ განაგებდა, არამედ მხოლოდ მტკვრის ნაპირებს სურამიდამ თბილისამდე, ხოლო მის აქეთ იქითი ეპყრათ ძრიელ მფლობელებს-ქსნისა და არაგვის ერისთავებს, მერე მაჩაბლებს, ციციშვილებს, ამილახვრებს, თარხნიშვილებს, ბარათაშვილ-ორბელიანებს და სხ., დანარჩენ ნაწილებშიაც, როგორც მოგეხსენებათ, თავთავიანთი გამგებლები ჰყვანდათ:კახეთსა და იმერეთში-მეფეები, ხოლო მთავრები რაჭას, სვანეთს, სამეგრელოს, აფხაზეთს, გურიას, მესხეთს, საინგილოს.

ასეთ სუსტ ლუარსაბ მეფეს, რომელსაც ამასთანავე ავიწროებდა ირანის ლომი შაი აბაზი, კიდევ ესამართლებოდა, რომ ძლიერ შემწეს ეძებდა მოსკოვში, ხოლო საამისო რა სჭირდა ერეკლეს?

მას ხომ უკვე გაეერთიანებინა ქართლ-კახეთი, დაეხარკა ერევანი და განჯა, გაეფართოებინა ქვეყანა თითქმის ყარსამდე, თვით იმერეთშიაც გადაეტანა თავისი რიხი და იქ გაემეფებინა თვისი შვილიშვილი არჩილის ძე სოლომონ მეორე.

მას ხომ იმერეთიდან მოსდიოდა ელჩები თხოვნით-გვიწინამძღვრე და მთელი ივერია გავაერთიანოთო.

მან ხომ ოქრო-ვერცხლის მადანიც გამოაჩინა და გააძლიერა ხაზინა, გამართა სკოლები, სემინარია და ხელი მიჰყო ევროპიული განათლება მიეცა ხალხისთვის.

თვით მისი სახელიც ხომ ჰქუხდა არა მარტო კავკასიაში, არამედ პეტერბურგ-ბერლინ-პარიჟ-ვენა-სტამბოლ-თეირანს და თვით შორეულ ინდოეთამდეც-კი.

განა იგი თვითონ არ იყო გმირი ასპინძისა, ხარგვირაბისა, ერევნისა, განჯისა, ინდოეთის დიდი მოგოლის სატახტო ქალაქის დელის აღებისა?

განა მას არ ახსოვდა, რომ მრავალი მოწყალება მოსდიოდა ყაენისაგან და ბოლოს ხომ მის მიერ ქართლის მეფედაც დამტკიცდა, თუმცა ეს სამეფო ტახტი ეკუთვნოდათ რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებს.

განა იგი არ იყო, რომ მოუვიდა საჩუქრები მეგობრობის შემოთვლით ხანებისაგან თავრიზისა, ხოპისა, ურუმისა, მაყაყისა, მარაღისა, ბაიაზეთის ფაშისა, ხოლო იმავე დროს ყმად მოეცა შამსადინ აღა-ქურთი, კაცი ძლიერი და მრავალთა ქურთთა მეპატრონე, მოეცა ყმად აგრეთვე შორაგელის სულთანი თავის ხალხითურთ. თვით ერანელნიც ხომ ელოდნენ, ერეკლე გახელმწიფდება და ერანის ნაწილებსაც დაიჭერსო, რადგან ჰქონდათ მისი ცნობა ნადირშაჰიდან მყოფელობითა, ესმოდათ მარადის სიმხნე მისი, ვერ არავის ჰხედვიდნენ მოპირდაპირედ მისა (ერეკლე მეფისა), ამისთვის დიდად ჰფიქრობდნენ და ყოველთვის ელოდნენ, რომ ერანისკენ წამოვაო. ყაენი ქარიმხანი ხომ ცალკე წერილით უცხადებდა მას სიყვარულსა და მეგობრობას, თვით აღა-მაჰმად-ხანიც კი, როგორც დავინახავთ ქვემო, სამეგობროდ და საზავოდ იწვევდა მას, ერეკლეს.

თვით ხონთქარიც პატივით ეპყრობოდა ერეკლეს, მისი გმირულ ნამოქმედარის ცნობა მისდიოდა, ხშირად მეფურ ძღვნით იკითხავდა და მასთან მშვიდობა სწადდა.

ეს ყველა ასე იყო და თვითონ ერეკლემაც ყოველი ეს კარგად უწყოდა. მაშ რაღად მიჰყვებოდა ზემოხსენებულ ლუარსაბ მეფის კვალს, რად იცვლიდა უმანდელ ორიენტაციას? განა ერეკლემ არ იცოდა, რომ ამ უმანდელ ორიენტაციის გამოცვლით მარტო უბედურება ეწიათ მის წინაპრებს; ხსენებულ ,,ჩუდაკ” ლუარსაბს, მის სიძე თეიმურაზს, კვლავ გიორგის, თვით მის პაპას ვახტანგ VI-ს და სხ. ორიენტაციის გამოცვლით ანუ რუსებთან საქმის დაჭერით გააბრაზეს ცალკე ყაენი, ცალკე

ხონთქარი, ცალკე ლეკები; ყველა ესენი მტერად გადაიკიდეს მაშინ, როდესაც იგინი მოითხოვდნენ, დარჩით ძველებურად, დარიალი შეკარით და ვიცხოვროთო მეგობრულად, მეზობლურად.

ეს ყველა იცოდა ერეკლემ, მაგრამ არ წყნარდებოდა, ანუ, უკეთ ვთქვათ, არ აწყნარებდნენ ახალი ჩრდილოელი ,,მეგობრები".

1770 წელს იგი მოიმხრეს რუსებმა საომრად ოსმალეთთან. დარიალით შემოუშვა ტოტლებენი და ერთად გაილაშქრეს ასპინძას. ბრძოლის დაწყების წინად ტოტლებენი თავის ჯარით გაბრუნდა. ერეკლემ გაიმარჯვა, მაგრამ ამიერიდგან მოსისხლე მტრად გადაიკიდა ახალციხის ფაშა.

1771 წელს ერეკლეს კარზე მყოფ ლვოვმა წააქეზა მეფე აშლოდა ოსმალეთს და დაერბია ხერთვისი. ,,ეს საქმე კმა არსო, ეუბნებოდა იგივე ლვოვი მეფეს, რუსეთის ხელმწიფის ერთგულებადო" (ომან ხერხეულიძე, გვ. 593). ერეკლემ დაუჯერა, აიკლო, მაგრამ ,,სამაგიეროდ ხერთვისისა გამოუხთა ახალციხის ფაშამ ოსმალისა და ლეკის კარი ქართლის დასარბევად" (იქვე).

1772 წელს კვლავ შეუჩნდა მეფეს ლვოვი და უთხრა:,,ერთხელ კიდევ დაჰკარ ხონთქრის მამულსა, რომ შენს ერთგულებაზედ გული დაიჯეროსო ეკატერინამ" (იქვე). ერეკლემაც დაჰკრა.

გაიგო ხონთქარმა. განძვინდა ერეკლეზე. დიდძალი ლაშქარი დაღისტნელებითურთ შემოუსია საქართველოს. ამავე დროს რუსის ლაშქარი, შველის მაგიერ, საქართველოდამ გავიდა.

ერეკლეს ჩამოსაგდებად ტახტიდამ საქმეს აწყობდნენ რუსეთში შემწეობით ალექსანდრე ბაქარისძისა და ალ. ამილახვრისა. იგინი მოიყვანეს დაღისტანს, რომ მიიმხრონ შამხალი, უცმი და სხ. ერეკლეზე დასაცემად. ჯერ ამას წინად ამავე შეთქმულთა წევრნი ჩამოვიდნენ პეტრეს ქალაქიდამ თბილისს, მაგრამ იგინი შეიპყრეს და ამოწყვიტეს (ქ. ცხ. 506).

ერეკლე ყველა ამას თვალნათლივ ხედავდა და მოკავშირეს ეძებდა ევროპაში. ამ აზრით ორი წერილი გაუგზავნა გერმანიის იმპერატორს იოსებს (1781-სა და 1782 წლებში); თან ჰპირდებოდა, თუ ომი მოგიხდა ოსმალეთთან, მე დაგეხმარებიო. ვიდრე იქიდამ პასუხი მოვიდოდა, მოახწია 1783 წელმა. ერეკლემ ხელი მოაწერა ცნობილ ტრაქტატზე. ამან მოახდინა უზომო შთაბეჭდილება აღმოსავლეთში. უმეტესად განძვინდენ ხონთქარი და ყაენი, ,,სცნეს-რა ირაკლისაგან რუსეთის იმპერიის საფარველოსა ქვეშე შესვლა". (ქ. ცხ., 444; მასალები საქ. ისტ., 29; ბუტკოვი, II, 177).

ბუტკოვი (2-171):,,ფაშები აზრუმისა, კარისა, ბაიაზეთისა და ვანისა ერეკლეს ეპყრობოდნენ მეგობრულად, თავაზიანად და კეთილი მეზობლობა ჰქონდათ საქართველოსთან ვიდრე რუსთა ჯარის შემოსვლამდე. ამის შემდეგ კი ყველანი გადაეკიდნენ. ახალციხის ფაშა სულეიმანი დაუძინებელ მტრად გადაეკიდა ერეკლეს. მან მიიბარა დაღისტნის ომარხანი, შეეზრახა განჯელებს და გადასწყვიტა ერთბაშად ყოვლის მხრივ შემოსეოდნენ საქართველოს და დაეპყრათ იგი. ომარხანმა 2000-მეომრით კიდეც გადაიარა კახეთზე და შეუერთდა 1785 წ. ახალციხის ფაშას. საქართველო ალბად აკლებული იქნებოდა, რომ ახალციხის ფაშას არ მიეღო ხონთქრის ბრძანება, ნუ გაილაშქრებთო საქართველოზე:,,ოდეს ხარი (ერეკლე მეფე) წევს, ნურას ერჩით და ნუ აიძულებთ ფეხზე წამოდგესო". ომარხანიც შეურიგდა და დაღისტანს დაბრუნდა (1787 წ.).

რუსები-კი 1783 წლის ტრაქტატის შემდეგაც ჯარს არ უგზავნიდნენ ან ძალიან ძუნწად. ასე იმიტომ იქცეოდნენ, საფიქრებელია, ერეკლე მეტს გაჭირებაში

ჩავარდნილიყო და ქვეყანა თვითონვე დაეთმო რუსებისთვის. ამ მოსაზრებას ნათელს ჰფენს როგორც გუდოვიჩის საქციელი ერეკლე-აღამაჰმადხანის ბრძოლის საქმეში, ისე პოტემკინის ჩამოსვლა თბილისს 1783 წელს. იგი ეუბნებოდა მეფე ერეკლეს- ნება დაგვრთე ვმართოთ საქართველო ,,რუსთამებრ წესით, ხოლო შენ გქონდესო კახეთი თავისუფალი და ჯამაგირი ეგოდენი, რაოდენიც შემოგდიოდაო ქართლიდამ" (მასალ. 30). ერეკლემ უარი უთხრა.

1791 წელს გამეფდა აღამაჰმადხანი, მოვიდა ადირბეჟანს და ,,აბირა მეფესა ირაკლის მეგობრობასა ზედა წარვიდა" (მასალ. 41).

1795 წელს აღამაჰმადხან მოადგა შუშას. იულონ და ალექსანდრე ირაკლის ძეებმა იმავე ხანებში ,,მოაოხრესო განჯა, რომლის ხანი წავიდა შუშას და შესჩივლა ყაენს. იგი დიდის ლაშქრით თბილისზე წამოვიდა. ერეკლე დაფაცურდა. ითხოვა რუსის ჯარი ტრაქტატის ძალით, მაგრამ არავითარი შველა არ მოუვიდა. ავალაპარაკოთ თანამედროვე (მასალ. 45):

,,უწინარეს მოსვლისა თხოვა შეწევნა კავკასიის ლინიის მთავარს ღრაფ ღუდოვიჩსა ტრაქტატისამებრ ძალითა, რომელიც რუსთა აღეთქვათ პირობის წიგნსა შინა:უკეთუ მტერ ძლიერ მოვიდეს, შემწე იყოს ლინიის მთავარი მეფესა. რომელსაცა არა ენება მოცემა და არცა მოსცა მეფესა შეწევნა ამისთვის, რომელ ხოჯა (აღამაჰმად-ხან) უვლიანებდის ფეშქაშსა და ნივთსა მრავალსა, რათა არა შემწე ექმნას მათ იგი და მეფესა არწმუნებდის ღრაფი შეწევნასა. რომელიცა ატყუა და ესრეთ შეემთხვა მეფესა".

10 ენკ. 1795 წელს ყაენმა აიკლო და დაარბია თბილისი.

ასრე წახდა სატახტო ქალაქი. მაგრამ ყაენს მაინც მეგობრობა უნდოდა მეფისა. სოღანლუღიდამ შემოუთვალა:,,დამზავდი, ყოველს ნატყვენავს დაგიბრუნებო". მაგრამ არ ინდომა, და ამიტომაო, სწერს თანამედროვე:,,ვინაიდგან ხოჯა იყო მცბიერი და დაუნდობელი, ამად ვერ ენდო მეფე მას და კვალად ადრიდანვეცა შესრულ იყო მეფე საფარველსა როსსიისასა და ეფუცაცა ერთგულებასა ზედა როსსიისასა, ამად არა იქნება შეერთება სპარსთა თანა" (მასალ. 45).

მეფეს ყველგან ატყუებდნენ ახალი ,,მეგობრები" და ის კი თვითონვე ხელს უწყობდა მატყუარებს, რომ კვლავ ეტყუათ ქვეყნის სავალალოდ, დასაშლელად, მოსასპობად.

ამგვარივე დამღუპველი იყო ერეკლეს შემდეგი მოქმედებანიც:

მან შესცვალა უმანდელი წესი მეფობისა არა მამით შვილზე, როგორც მრავალს საუკუნეს იყო, არამედ უფროს-უმცროსობაზე მორიგეობით.

ამან გამოიწვია საშინელი შუღლი და ქვეყანა გაყო ორ ბანაკად-გიორგისა ერთის მხრივ და დარეჯან დედოფლისა და მის შვილებისა მეორე მხრივ.

მან შვილებს გაუყო საუფლისწულოები, ზოგს მისცა არაგვის ხეობა, ზოგს-გორი, სურამი, ქიზიყი, ზოგს ბორჩალო და სხ. ყოველი მათგანი თავისთავს თითქმის დამოუკიდებელ თვითმპყრობელად სთვლიდა. წინანდელ ერისთავების მაგიერ ყველგან წამოსკუპდნენ პატარ-პატარა მთავრები, ისიც ერთურთის მოძულენი და ამან წინანდელზე მეტად დაასუსტა ქვეყნის ერთეული.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ გმირი მეფე ერეკლე ფრიად წინდაუხედავი და შორს განუჭვრეტელი ხელმწიფე იყო. აი ამის შესამოწმებელი მოკლე ნუსხა.

ა. მეფობის უმანდელ წესის შეცვლით ჩამოვარდა ძმათა შორისი შუღლი და გამთიშველი ცილობა.

ბ. ივერიის გაერთიანება ვერ მოხერხდა, რადგან ირაკლიმ და დარეჯანმა არ ისურვეს იმერეთის ტახტი გამოეწირათ თავიანთ შვილებისთვის[5*].

გ. საუფლისწულოების გაღებით დაიშალა ქვეყნის სიმტკიცე. თანამედროვე ამბობს (მასალ. 42):

,,წელსა ამას (1772) ერეკლემ განუყვნა მამულნი ძეთა თვისთა:თვითეულსა მისცა ათას-ათასი კომლი ქართლსა და კახეთში, ხოლო უფროსსა ძესა გიორგის-ოთხი ათასი კომლი". ამის შემდეგ იგივე დაუმატებს ამ სიტყვებს. ,,განყოფა ესე იქმნა მიზეზი დამხობისა სამეფოისა სახლისა" (მასალ. 42). დ. 1783 წ. ტრაქტატის დადებით საქართველოს გადაეკიდა მაჰმადიანობა აზიისა.

ე. აღამაჰმადხანის მეგობრულად გამოწვდილ ხელის უკუგდებამ და აგრეთვე ორიენტაციის შეცვლამ გამოიწვია თბილისის დარბევა 1795 წელს. ამ გაჭირების დღეს შვილებმა მამა მეფეს ისე მცირე შემწეობა აღმოუჩინეს, რომ სათქმელადაც არა ღირს. ზოგიერთმა კი ხომ ფეხიც არ მოიცვალეს თავის ბინიდამ. მეფემ ამ მოღალატე შვილების წინააღმდეგ არავითარი ზომა არ მიიღო.

ჩვენი მოსაზრებით, ერეკლეს ორიენტაციის შეცვლაზე კი არ უნდა ეზრუნა, არამედ მის გამომწვევ მიზეზების მოსპობაზე. საჭირო იყო ცდილიყო განეხორციელებინა გაერთიანება ივერიისა, აღედგინა უმანდელი წესი მეფობისა, 1783 წლის ტრაქტატი უარეყო, რადგან მეორე მხარე მას სავსებით არ ასრულებდა, ყაენსა და სხვა მეზობლებთან ეცხოვრა მეგობრულად, საუფლისწულოები მოეშალა, ბატონიშვილები და ფეოდალები აელაგმა, პარტიობა მოესპო, მორიგე ჯარი, რომელიც თვითონვე გააწყო და რომელიც მერე დაიშალა უყურადღებობის გამო, კვლავ გაეწყო და გაეძლიერებინა.

რახან არც ერთი ეს არ მოიმოქმედა და ისე გარდაიცვალა, რომ შვილებიც-კი ვერ შეარიგა, ამან გამოიწვია უაღრესი რყევა და შფოთი, მტრობა შინაგან და გარეგან, ხოლო ამ მიზეზებმა გამოიწვიეს სამეფოს თავისუფლების დაკარგვა.

როგორც ყველამ ვუწყით, ერეკლეს ყოველი მოლოდინი სინამდვილეში ჩაიშალა:მართლმადიდებლობა ურწმუნოებამდე დავარდა, თბილისი ათინად ვერ იქცა, ქართული სული კინაღამ განქარვების საზღვრამდე მივიდა, ქართული ტკბილი და სიყვარულის ენა შეიბღალა და სხვადასხვა უმსგავს ნართაულებით სახსენებელი შეიქმნა, ქართული კანონები და ფული მოისპო, საქართველო აღდგენის მაგიერ ეღირსა მის უკეთეს ნაწილების გაყიდვას ან მკვიდრ ქართველთა გასახლებას და უცხოთა ჩამოსახლებას, ქართველ ტომის თაისუფალ განვითარებას მოაყოლეს მისი გადაგვარების მანქანება.

სიტყვით, ჩვენზე ასრულდა ბიბლიური თქმულება:"მამათა შეჭამეს კაწახი, შვილთ მოაჭრა კბილები"

ა.ყაზიბეგის ნახატი

(,,Всемирная Иллюстрац."-ის 1306 N-ში, დახატულია განსვენებული ალექსანდრე ყაზიბეგი, რომელსაც აწერია:,,А.М. Казбек (Мочхубаридзе), грузинский писатель, +11-го января сего года. იმავე ნომერში მოყვანილია განსვენებულის ვრცელი ბიოგრაფია. წერილი ხელმოუწერელია.

---

[5] * 1790 წელს საქართველოს მეფე-მთავრებმა დასდეს ხელშეკრულობა და დათქვეს მტკიცე ერთობა, მაგრამ ეს ხელშეკრულობა მარტო ქაღალდზე დარჩა და არ განხორციელებულა. მხოლოდ იმერეთის ტახტზე ერეკლემ დასო შვილის-შვილის ელენეს ნაშობი დავითი (სოლომონ II).

,,ივერია" 1894, N 69, 31 მარტი, გვ. 2

შინაარსის მიხედვით პუბლიკაცია უფრო რედაქტორის ნაწარმოები უნდა იყოს და დაწერილია დიდი თანაგრძნობით განსვენებულისადმი. ,,ახლა არ იკითხავთ, როგორ მოეპყრნენ ქართველნი ამ ტალანტს, მათივე გულისა და ჭკუის განმაცოცხლებელს"- წერს ნეკროლოგის შემდგენელი, ამის პასუხი გულსატკენია". შემდეგ მოთხრობილია რა დიდს და წარმოუდგენელ გაჭირებაში იყო ყაზიბეგი, რა ტანჯვით გაატარა მან უკანასკნელი სამი წელიწადი. ,,სულიც კი ისე ამოხდა საწყალს, რომ ამ დროს არც ერთი მისი თანამემამულე ახლოს არა ჰყვანდა, არც ერთი იმ თანამემამულეთაგანი, რომელთა მან შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე, სიმხნევე და ჰაეროვნებაო". ქართველნი მათივე გულისა და ჭკუის განმაცოცხლებელ ამ ტალანტს სიცოცხლეში სათანადოდ ვერ მოექცნენო და იგი თავის წერილს ამგვარი მწარე საყვედურით აბოლოებს-,,მისს სიკვდილის შემდეგ მხოლოდ, მისნი თანამემამულენი იღვრებიან ცრემლით და მის ხსოვნას აპატიოსნებენ გვირგინებითა, პანაშვიდებითა, ზეიმით მოსილ განსვენებით განსვენებულისა... ასე გამოდის, რომ ქართველთა და სომეხთ მოღვაწეთ სიცოცხლე ბედად უწერიათ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ".

მართა კონჭოშვილი (კონჩუევისა)

,,ივერია" 1896, N 28, 7 თებ. გვ. 3.

23 იანვარს, ტფილისში, იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში (ვერაზე) დაასაფლავეს მართა დიმიტრის ასული, მეუღლე კარგად ცნობილის საეკლესიო ისტორიისა და ღვთისმეტყველების მცოდნის ტფილისის დედათა ინსტიტუტის მასწავლებლის პეტრე კონჭოშვილისა (კონჩუევისა). ეს ახალი საფლავი მაგონებს იმ დროს, როდესაც ჯერ ისევ ლეკთა ჩაჩქან-ხირიმის გრიალი გაისმოდა საინგილოში, როდესაც ახლად მოქცეულ ინგილოებს წინამძღვრობდნენ საყვარელი პეტრე და მისი მეუღლე მართა.

პეტრემა და მართამ დიდი სიკეთე და სათნოება დასთესეს საინგილოში და მათ ღვაწლს, უეჭველია, ოდესმე ჯეროვნად დააფასებს ადგილობრივი ისტორიოგრაფი, ხოლო დღეს, ჯერ ისევ გაუცივებელ საფლავის წინაშე, არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვით არ გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ინგილოს ბავშვები დავდიოდით კაკის ,,საყდარში" და ჩვენი ,,დედა" მართა ,,გვალოცებდა". სახელმძღვანელოდ მაშინ გვქონდა დიმ. ფურცელაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია. ყოველ დღე, დილა ადრიან, ბავშვები შევიკრიბებობით ხოლმე საყდრის ეზოში ანდა, თუ წვიმა-სიცივე იყო, თვით ჩვენის მასწავლებლის ქოხში (მაშინ კაკის ბლაღოჩინთა სადგური წარმოადგენდა ცალით გადახურულ ორ ვიწრო და ბნელ ოთახიან ქოხს). ,,დედა" მართა და ან მამა პეტრე (და თუ ამათ არა სცალოდათ, მათი დიაკვანი მიხეილი დაუზარებლად და უსასყიდლოდ გვასწავლიდნენ. სწავლა კი ფრიად საჭირო იყო, რადგან მაშინ (1860-1879 წ.) საინგილოში ქართული წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი იმდენი იყო, რამდენიც თითია ერთს ხელზედ. (და ამ ხუთთაგანაც ერთი იყო დიმ. ჯანაშვილი, რომელსაც სკოლა ჰქონდა თავის მრევლში, სოფ. ყორაღანს).

მართა გვასწავლიდა:ლოცვებს, წერა-კითხვას, ანგარიშს, სუფთა წერას (ფურცელაძის დედნით) და სხ. და სხ. თუმცა გეოგრაფიის სწავლება შემოღებული არ იყო კაკის სკოლაში, მაგრამ ჩვენი მასწავლებელნი ხანდახან გეოგრაფიულ ცნობებსაც გაგვიზიარებდნენ ხოლმე. კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც დედა მართამ შეგვკრიბა ყველა მოწაფენი და ჩამოგვიგდო ბაასი შესახებ საქართველოს ქალაქებისა, მდინარეებისა, თემებისა, დიდი ეკლესიებისა, ისტორიისა და სხ. მართასაგან

პირველად გავიგეთ ინგილოებმა, რომ მსოფლიო შესდგება დიდ-დიდი ხმელეთებისაგან, დიდ-დიდი ოკეანეებისაგან და ზღვებისაგან და სხ. და სხ.

მართას ქცევამა და მოქმედებამ ისეთი ზედგავლენა იქონია ინგილოებზე, რომ დღესაც მისს ცხოვრებას მტრედის უმანკოებას ადარებენ ინგილონი. ტფილისში გადმოსვლის შემდეგაც მართამ დიდი სიკეთე დასთესა. მის სახლში გამოიზარდა არა ერთი ობოლო და უქონელი. წიგნის გარდა ხელსაქმარსაც ასწავლიდა ყველას. სულკურთხეული მართა ერთი იმ დედათაგანი იყო, რომელთაც კარგად იციან, რომ ,,იგი ძე, რომელსაც მამამან მისმან არა ასწავლა არცა ერთი ხელობა, არცა მოვალეა არჩინოს მშობელი თვისი".

თავადი გიორგი ქოჩაკიძე (ჭალადიდელი)

,,ივერია" 1898, N 87, 25 აპრ. გვ. 1.

შეიტყობ, დიდი და დიდბუნებოვანი მამულიშვილი გარდაიცვალაო და ჯერხნობით მაინც არ გეჯერება, რომ მოსპობოდეს სიცოცხლე თვით ამ ,,ცოცხლობის" მქადაგებელსა და დარაჯს.. გარნა შენი ურწმუნოება მალე რწმენად იქცევა და ძაძით შემოსილ მეინახე-მგლოვარს მხოლოდ ისღა გრჩება სანუგეშოდ, რომ შენი საყვარელი არსება არ მომკვდარა, არამედ მხოლოდ განუსვენია და ტკბილად დაუძინია. კაცი რჩეული, კეთილად მშრომელი მოღვაწე და მქადაგებელი არა კვდება. თვით ხორციელი სიკვდილი შარავანდოსან ჰყოფს მის სულიერს ნამუშაკარს. სიტყვა და ქადაგება მისი არის მის-მიერვე და მისდავე აგებული ხელთუქმნელი და უხრწნელი ძეგლი, მარადჟამ ჩვენი მანუგეშებელი და გამამხნევებელი..

აღარ გვყავს კოლხიდის შვილი და საქართველოს წარჩინებული მგოსანი. მოჰბერა სასტიკმა ჩრდილოეთის ქარმა და წარიტაცა სასურველი მამულიშვილი. განისვენა ჭალადიდელმა შორს საქართველოდგან, თეთრი ზღვის მიდამოებში..

დადუმდა ენა, რომელიც ატკბობდა ქართველს 30 წლის განმავლობაში:

გადატყდა კალამი, დიდ-მშვენიერ ძეგლების მწერალი;

შესდგა შვინვა აღმატებულ რიტორისა.

წარვიდა იგი ნაღლით მოსილი და დაამკვიდრა იქ ,,სადა არა არს ჭირი, არცა მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი"

***

გიორგი ჭალადიდელის ნაწერები, განბნეულნი ქართულს დროგამოშვებით ჟურნალ-გაზეთებში, ,,ხელით ხელს საგოგმანებელნი" იქმნებიან, როდესაც ცალკე წიგნად დაჰბეჭდავს რომელიმე მადლიანი კაცი. მხოლოდ დღევანდელ სამგლოვიარო დღისთვის ამ ნაწერებიდგან ამოგვაქვს ორიოდე ნაღვლიანი და ამასთანავე კაცურ კაცის ღრმად დამაფიქრებელი ნაწყვეტი.

ა)

ნელის ქუხილით გადმოდის
კამკამი მთიური წყარო;
თითქო მთა-ბარს ჩაჰკითხოდეს,
მოწყენილი რათა ხარო?
აბა, წყარო, ჩემო წყარო,
სამშობლოდგან მომდინარო,

ყვავილი და ახალ ბუჩქი,
გევედრები, გაახარო!
ბ)
ჰხედავ!..
არემარეს ნელა სძინავს,
და ასწლოვან მოხუც მუხას

მძიმედ თავი ჩაუღუნავს,
და ფოთლების ნელსა რყევას
ყურს უგდებს და უკვირდება,
საქართველოს ძველს მოთხრობას
თითქოს მას ეჩურჩულება.

გ) ამ ლექსში ჭალადიდელი მოიხსენიებს თავის ყმაწვილობის დროს, როდესაც იგი სწავლობდა ჯერ შინ, მერე ქუთაისისა და ტფილისის სასწავლებლებში და მერე რუსეთში.

მახსოვს, პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე მომამზადეს:
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შორსა გზასა მე გამამგზავრეს.
ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნაჩვევ ბაღებსაც ვეთხოვებოდი,
დაღონებული მწარედ ვსტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.
მხოლოდ ეს მახსოვს, გამომყვა დედა
და მითხრა: ,,შვილო, კმარა, ნუ სტირი,
ვინ სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი;
გიყვარდეს სწავლა, გულს მოდგინება,
შრომა და ჯაფა ნუ დაგეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ჯაფა
სამშობლოს რადმე გამოადგება;
იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,-
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა,-
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,-
არ დაივიწყო სამშობლო ენა;
მერწმუნე, რომა გამოცდილია,
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარდულია".
ამ სიტყვებითა დედა მომშორდა
და ეს მას აქეთ დამამახსოვდა,
რომ ის ამ სიტყვებს გრძნობით ამბობდა.
თვალთაგან ცრემლსა ფრქვევა გაჰქონდა..

გაგებულ კაცს ბევრს და ფრიად ბევრს ეუბნება ჭალადიდელის დედის სიტყვები შესახებ სამშობლოს ენისა, მისის საძირკველისა. ჭალადიდელის მშობელი არა

ჰგვანებია ზოგიერთ აწინდელ ცირაებსა და ქომოლი-კოჩებს! დედაც ის არის, რომელიც სამშობლოს აღუზრდის ჭალადიდელისთანა კაცებს; ნეტარ არს იგი მშობელი, რომელიც თავის რძესთან ერთად შვილს შეასისხლხორცებს მამულის სიყვარულს და შეასწავლის საუბარსა და მსჯელობას იმისთანა წმიდასა და ანკარა ენაზედ, ვითარცა არის ენა ჭალადიდური.

წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე ღმერთო, სულსა ახლად გარდაცვალებულისა მონისა შენისა გიორგი ქოჩაკიძისასა.

ალექსანდრე როინაშვილი

,,ივერია" 1898, N 101, 16 მაისი, გვ. 1-2.

იყო და აღარ არის. იყო შვინიერ და უშვინვო შეიქმნა. იყო ცხოველ და დაცხრა, გაგრილდა. ხოლო გარდაიცვალა და არა მოკვდა. დაიძინა და ცხოვნდა და არა მიიძინა და წარწყმდა. დაიბადა განა ქოხში, არწივის ბუდეში! (მთიულეთში არწივის ბუდის მსგავსი შენობებიც ქონებად ითვლებიან!) ...ჭაბუკი შეიქმნა და წიგნი ისწავლა. წიგნმა გამოიყვანა იგი დედაქალაქის ტფილისის შარაგზაზე. მოვიდა ქალაქს და... იგება ტანჯვა, წვალება, მუშაობა, მსახურობა; დაითმინა წყურვილი, შიმშილი, სიგლახაკე, სიტიტვლე; ...უკვე ვაჟკაცი იყო და მიებარა ერთ კეთილ მესურათხატეს ხ-ს. გაფრანგული ჭკუა და გამჭრიახე გონება ღვთისა მიერ მონიჭებულ ტალანტად ჰქონდა. ...მესურათხატემ წარგზავნა იგი სურათხატების გარდასაღებად კახეთს, ნუხს, ბაქოს, დაღისტანს, კავკავს, ოსეთს, იმერეთს, სამცხეს, ქართლს და სხ. მესურათხატემ შეისყიდა მისგან მისი სასურათხატო. მხატვრობა კოხტად, ლამაზად და ღირსეულის ხელოვნებით გადაღებული. სასურათხატომ გადიღო სახეები საქართველოს წარჩინებულ მეფეებისა, მწერლებისა, მღვდელ მთავრებისა, სურათები შესანიშნავ ადგილებისა, ტაძრებისა, ციხეებისა, მხატვრობანი ხატთა, სამკაულთა, ქანდაკებათა, ფულთა; გადიღო ყოველივე ეს და თვისს სასურათხატოს შესთვისა ნა-ციონალური იერი და ფერი. იმოგზაურა რუსეთში. მისი ნახელავი უანდერძა წ.კ.გ.საზოგადოებას. გულის სიმდაბლით განისვენა ცხრა მაისს, ცხრა ჟამს მწუხრისას. საქმემან შენმან გაცხოვრა შენ, განსვენებულო ალექსანდრე, გლეხო გვარიშვილობით და აზნაურო საქვეყნო ღვაწლითა და მოჭირნახულობით. შენ არ გიკაფავდა ცხოვრების გზას არც ბრწყინვალე დიდგვაროვნება, არც მაღალხმოვანი მოწმობა დიდის სწავლა-განათლებისა, არც ის თვალთმაქცობა, რომლის წყალობითაც ბევრი მოხდენილი და ცქვიტი, ახალგაზრდა ვაჟბატონი მარდად ახტება ხოლმე საზოგადოებრივს უმაღლესს საფეხურზედ და იქიდგან გადმოგვცქერის თავმოწონებით. არა, შენ იყავ დამყარებული მარტოდ მარტო შენს საკუთარს ალალ-მართალ ძალ-ღონეზედ; ამ ძალ-ღონის კვალობაზედ ჰშრომობდი მხნედ, ჰშრომობდი გულმხურვალედ და მიაღწიე იმას, რომ გვერდში ამოუდექ ჩვენს უკეთესს მამულიშვილებს, მოძმედ გაუხდი უწარჩინებულეს ქართველებს.

თამარ ქართველიშვილი

,,ივერია" 1898, N 138, 1 ივლ. გვ. 1-2.

კვლავ სამგლოვიარო უსტარი იწერება! ის ის იყო მოვიგლოვეთ ზახიანი პოეტი და მერე სახელოვანი მესურათხატე და ახლა უნდა გამოვეთხოვოთ ჩინებულს დედას, ძველებურს-ჩვენებურს დედას, მოგახსენებთ.

..იგი მართლაც იყო დედაბოძი კერიისა, რადგან იყო მხნე და გამრჯელი დიასახლისი, ზედმიწევნით მცოდნე და თანავე აღმასრულებელი ყოველგვარ საოჯახო საქმისა, ბევრის გამომზოგველი და მცირეს გამბარაქიანებელი.

..მწიგნობართაც აღარა ჰყავთ ქართულ მწერლობის აღორძინების მოტრფიალე, ის მოტრფიალე, რომლის საფასით დაიბეჭდა (პირველად) საქართველოს მოკლე ისტორია.

..შვილთა მოვლა და აღზრდა თვის უსაღმრთოესს მოვალეობად მიაჩნდა მას. თვით იგი იყო ღვთისნიერი, მოსიყვარულე გულისა, თავმდაბალი, წყნარი, მშვიდი, მართლის მოყვარე და ამავე თვისებებს უნერგავდა თვისთაცა და უცხოთაც.

თავის შეხედულებას ავსა და კარგზე გამოსთქვამდა ხოლმე სიმღერაში, რომელიც მრავლად იცოდა. მის სიმღერასა და დაკვრას არა ერთხელ დაუტკბია სმენა საქართველოს წარჩინებულ კაცებისა, რომელნიც მის ოჯახს ეწვეოდნენ ხოლმე ოცობითა ანუ ორმოცობით..

ქართული ძველებური ზნე, ჩვეულება და საცმელი ისეთივე სიწმინდავე იყო მისთვის, როგორც რომელიმე სალოცავი. ,,ჩვენებური ლეჩაქიო, გვეტყოდა ხოლმე განსვენებული, იგივ გვირგვინია, გვირგვინი, რომელსაც სხვა ქვეყნებში მხოლოდ მეფეები და დედოფლები იხურავენ. მარტო ქართველ კაცს ჰქონდა შნო, რომ ქალისთვის ეცა პატივი უმეტეს თავის თავისა. მხოლოდ ქართველმა ცოლი დედოფლად დაისო სახლში და გვირგვინი დაადგა თავზე. ეს გვირგვინი როგორ გაიცვლება რაღაც კალთის მსგავს თავსახურავზეო!"

,,თქვენაო, უთხრა ერთხელ განსვენებულს ეპისკოპოსმა გ. თქვენის სამაგალითო ცხოვრებით დაგვიხატეთ ძველებური ქართველი დედა, ის დედა, რომელიც იყო ბურჯი და სიმტკიცე ქართველთა უძლეველობისა".

..ხსენება შენი, დედაო თამარ, საუკუნო ჰყავ თავით თვისით, ნეტარ ხარ შენ, ჭეშმარიტად!

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(22 ნოემბერი 1816 წ.- + 22 ნოემბერს 1845 წ.)

იხ. გ.ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 7109-ხ. 1899 წ. (12 გვ.)

ბარათაშვილები, ორბელიანები, აბაშიძენი და გუგუნავანი საქართველოში მოვიდნენ ქრისტეს წინად მეოთხე საუკუნეში, ფარნავაზ მეფის დროს. იგინი დასახლდნენ თრიალეთის მხარეს, საბარათიანოს.

ბარათაშვილების გვარიდამ გამოდიოდნენ ჩინებული მეომრები, მხნე და ერთგული მამულიშვილები, ღვდელმთავრები; მათ მეცადინეობით საბარათიანოში აშენდა მრავალი შესანიშნავი ეკლესია, დაიწერა არაერთი ძვირფასი წიგნი.

ნიკო ბარათაშვილმა უფრო მეტად ასახელა თავისი გვარეულობა:იგი შეიქმნა მის ბრწყინვალე ვარსკვლავად.

მგოსნის მამა მელიტონი მსახურობდა თარჯიმნად ახლად დაწესებულს სამმართველოში, მერე იყო ტფილისის მაზრის უფროსად, თავად-აზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლად. დიდს ადგილს ბევრი ხარჯები უნდებოდა; ამასთან თვით თავადი მელიტონიც იყო კაცი სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი. მალე მას შემოელია ცხოვრების სახსარი და გაღარიბდა.

მიუხედავად ამისა, მელიტონი მაინც არა სწყვეტავდა მეგობრობას მაშინდელ გამოჩენილ მწერლებთანა და კაცებთან; მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო მგოსნის

ალ.ჭავჭავაძისთვის და სხვა სწავლულ ქართველებისთვის. თვითონაც დროს შესაფერი განათლება მიეღო და ითვლებოდა კარგ მოლაპარაკედ.

ის ქალი, რომელმაც თავის ძუძუსთან ერთად მგოსანს ჩაუწვეთა გულში უაღრესი ნაპერწკალი სიყვარულისა და კაცურ კაცობისა, იყო მისი დედა ეფემია, ღვიძლი და პოეტის გრიგოლ ორბელიანისა. ეფემია იყო სახით შვენიერი, მოხდენილი ქალი. ამასთანავე იგი იყო მშვიდი, წყნარი, კეთილად ზრდილი. ეფემიამ შვენიერად იცოდა ქართული მწიგნობრობა, მეტადრე საღმრთო წერილი, ლამაზი წერა.

მელიტონის სახლობა იდგა ანჩისხატის უბანში. აქვე დაიბადა ჩვენი მგოსანი ტატო (იგივე ნიკოლოზ) ბარათაშვილი 22 გიორგობისთვეს 1816 წელს.

შვიდი წლის ტატო მისმა მშობლებმა მიაბარეს კალოუბნის სამრევლო სასწავლებელში. ეს სასწავლებელი მაშინ განთქმული იყო, როგორც კერა კარგის განათლებისა. აქვე აღიზარდნენ გრ. ორბელიანი და ბევრნი სხვანი.

კალოუბნის სკოლაში ტატომ დაჰყო კარგა ხანს და მხოლოდ 1827 წელს სეკტენბერს იგი მიაბარეს აგრედ-წოდებულ ,,კეთილშობილთა" სასწავლებელში, რომელიც შემდეგში 1-ლ გიმნაზიად გადაკეთდა. ამ სასწავლებელში მაშინ სწავლობდა 150-მდე ყმაწვილი.

ტატო მეცადინეობდა ბეჯითად. იყო ცქვიტი, მახვილგონიერება, ამხანაგების მოყვარე, კარგი მოლეკურე, ფრიად მჭერმეტყველი და ოხუნჯი ჭაბუკი.

მაშინ სწავლის საქმე რიგიანად მოწყობილი არ იყო:მასწავლებლები უმეტეს ნაწილად უხეიროები იყვნენ, არ ვარგოდენ არც სახელმძღვანელოები. მაგრამ რასაც ასწავლიდნენ, ყველაფერს ჩვენი ტატო სწავლობდა და ითვისებდა.

1835 წელს ტატომ შეასრულა კეთილშობილთა სასწავლებელი და დააპირა უნივერსიტეტში შესვლა და სწავლის განგრძობა, მაგრამ მშობლებმა ნება არ მისცეს, რადგან მეტად ღარიბნი იყვნენ.

მას სურდა სამხედრო სამსახურში შესვლა, მაგრამ კეთილშობილთა სასწავლებელში ყოფნისვე დაეხიჩრებინა თავისი თავი:კიბიდგან ჩამოვარდნილიყო, ფეხები ეტკინა და კოჭლად დარჩენილიყო. თვისი სურვილი რომ განუცხადა მშობლებს, მათ სამხედრო სამსახურში შესვლის ნება არ მისცეს, უთხრეს:,,შვილო, კოჭლი ხარ, თუ არ ინვალიდების კამანდაში, შენ სამხედრო სამსახურში ვერ ივარგებო".

ყველა ამან ნება არ მისცა ტატოს განევითარებინა თვისი ნიჭი, შეეძინა მეტი განათლება უკეთესად მოეწყო თვისი ცხოვრება. იგი შევიდა მოხელედ მაშინდელს სამმართველოში, რომელსაც ერქვა ,,ექსპედიცია სუდა ი რასპრავი".

ტატო არ იყო კმაყოფილი, რომ სამსახური იშოვა. იგი ამის შესახებ თავის ბიძას გრ. ორბელიანს სწერს (1837 წ.) ასრე:

,,საყვარელო ძიავ ! - განვწესდი სამსახურში და დავმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედს, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას:ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის ასრულება! (ტატოს სურვილი იყო სამხედრო სამსახურში შესვლა)... გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ; ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება! ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა ისეთის ხალისით, რომ მთავრობის ყურადღება მიიპყრო".

ტფილისის ცხოვრება მაშინ იყო მეტად უფერული. აქ მაშინ არ იყო კლუბები, თეატრები, გიმნაზიები და დაწესებულებანი. ამას გარდა, ვინც ჩვენში ნასწავლი და ფარსაგი კაცი იყო, რუსეთში გადაიკარგნენ. ვინც დარჩა თითო-ოროლა, ისინი იყრებოდნენ ერთად კერძო სახლებში, ორთაჭალის ბაღებში ან მთაწმინდაზე,

ბაასობდნენ სხვადასხვა საჭირბოროტო საგნებზე, დროს ატარებდნენ სიმღერისა და ჭადრაკის თამაშობაში. ამ წრეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა მგოსანი ტატოც.

ესრეთი ცხოვრება არ აკმაყოფილებდა ტატოს. იგი ისევ იმავ თავის ბიძას სწერდა, რომ ,,ტფილისი უსარგებლო ქალაქია გულისა და გონებისათვისაო". პასუხი კი მას მაინც არ მოსდიოდა; ბედი არ ეღიმებოდა ტატოს და არ სწყალობდა.

იგი ცოლშვილსაც ვერ მოეკიდა, თუმცა ამის მონატრული იყო. ჩვენს ტატოს, როგორც კოჭლ კაცს, ბანოვანნიც არ სწყალობდნენ.

ერთს თავისს წერილში (იხ. ,,კვალი" 1893, N 7, გვ. 9) მგოსანი სწერს თავის ბიძას ზაქარიას:"...მიუხვდომელობამ ჩვენის დანიშნულების საგნისამ, უსაზღვროებამ ადამიანის ნატვრისა და ამაოებამ მთელის ცადქვეშეთისამ ამივსეს გული საშინელის სიცალიერით. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეძლება მქონოდა, ამ წამსვე თავს დავანებებდი ქვეყანასაც, ადამიანსაც მისის გაუმაძღრობით და შეუშფოთებლად და მშვიდად გავატარებდი უბრალო (მამაპაპურ) სიცოცხლეს წიაღსა შინა მარტივის ბუნებისასა, რომელიც ასე დიდებული და მშვენიერია ჩვენს მამულში. ამ ნაღვლიან ფიქრების დროს მომესწრო შენი წერილი.

,,ადამიანის სული როდესაც თავის სრულს განვითარებას მიაღწევს და ზენაარით განსაზღვრულ საქმეებს ასრულებს, ბოლოს დამაშვრალი ეძლევა მოსვენებას მშვიდ საოჯახო ცხოვრებისასა."

თავის დას მაიკოს პოეტი სწერს შემდეგს ნაღვლიან წერილს:

«შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო, სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით. ან წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც ვერც ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის მგრძობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდამო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველებად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეტნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? ვიცი, გაიცინებ, მაიკო, ასე გეგონება- დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო...

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა»!

ამისთანა აუტანელ ყოფამ მგოსანი სასოწარკვეთილობაში არ ჩააგდო. პირიქით, მას ვინ უყვარდა, უფრო მეტად შეიყვარა და შვენიერი ლექსები მისძღვნა თავის საყვარელ არსებათ.

ბოლოს ტატომ უსაყვედურა თავის ბიძას, გრ. ორბელიანს, რომ შენც ისე იქცევი, როგორც ყოველი ქართველი:თავისიანებს არ იკარებო და მათ ცხოვრების გაუმჯობესებაზე არც კი ფიქრობო. შემდეგ ამისა ტატომ მიჰმართა თავის სკოლის ამხანაგს ლევან მელიქიშვილს, რომელმაც იგი გაამწესა ნახიჩევნის მაზრის უფროსის თანაშემწედ. ტატო წავიდა, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო იქ, ისევ ტფილისს დაბრუნდა და აქედგან წავიდა განჯას, საცა მალე გარდაიცვალა (9 ოკტ. 1845 წ.), ჯერ ისევ 29 წლის ვაჟკაცი. მისი გვამი დამარხეს იქვე, განჯის ეკკლესიის წინ და ასრე გამართლდა მისივე ნაწინასწარმეტყველი ჯერ ისევ 1842 წელს მგოსანი სწერდა:

,,ნუ დავიმარხვო ჩემსა მამულში,
ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის;

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,-
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!”

ეს წინასწარმეტყველება გამართლდა, მაგრამ გამართლდა არასრულად. მისი ძვლები უცხო ქვეყნის წიაღში ესვენა მხოლოდ 48 წლის განმავლობაში, 1893 წლამდე. ამ წლის 25 აპრილს კი მთელმა საქართველომ უკვდავი ნიკო-ტატოს ნაშთი გადმოასვენა ტფილისს და დიდის ზეიმით დამარხა დიდუბის საყდრის წინ, და პოეტს ეღირსა ,,განსვენება თვისსა მამულში, თვისთა წინაპართ საფლავებ შორის”.

,,კვალი” ასრე აგვიწერს (1893 წ. N 18) ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დახვედრას და დასაფლავებას დიდუბეში.

,,დღე (25 აპრილი) იყო ღრუბლიანი, დილით ცოტა წინწკლავდა. ქალაქიდგან ხალხი მიეშურებოდა რკინის გზის სადგურისკენ. დიდი, პატარა, ქალი და ჩვილი [56],- ყველანი იქით მიისწრაფოდენ, გულისძგერით მოელოდნენ თვალი მოეკრათ დიდებულის ქართველის ნაშთისათვის. გაისმა რკინის გზის სადგურზედ მწყობრი, გულის სიღრმემდის მისაწვდენი ტკბილი ხმა ქალების გალობისა:,,ქრისტე აღსდგა მკვდრეთით”- ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით თავის სამშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თავის მომავლის სვებედის წინასწარმეტყველსა. მას უშლიდენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაველებისაგან შეკრულს გვირგვინებს. ერი გალობდა ,,წმინდაო ღმერთოს” და ამ დიდებით გაჰყვა იგი დიდუბის ტაძრამდის, სადაც მას მოელოდა სამშობლო მიწა, რომ მიეღო საუკეთესო დაკარგული შვილი თავის კალთაში, ზედ დაეფქვია მდუღარე ცრემლი საქართველოს დედისა და იმით- გაეთბო 48 წლის გაყინული ძვლები პოეტისა უცხო ქვეყანაში”.

უკვდავის ნიკო-ტატოს კუბოს წინაშე წარმოითქვა მრავალი მგრძნობიერი სიტყვა. აკაკიმ თავის შესანიშნავს სიტყვას წინ წაუმძღვარა თვით ნიკო-ტატოს უკვდავი სიტყვები:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი
ჩემთა დღეთა გარსა მომავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო.
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი,
განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმასვლას ელოდნენ
ტყეთა ფრინველნი და ვარდი.

ნიკო-ტატომ ჯერ ისევ სკოლაში ყოფნის დროსვე დაიწყო მწერლობა, ლექსების წერა. გიმნაზიაში იგი მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალში ,,ცვეტოკ გიმნაზიი”. გიმნაზიაში ყოფნისასვე მას დასწერა ორი ჩინებული ლექსი- ,,ბულბული ვარდზედ” 1834 წელს და ,,ქეთევან” 1835 წელს.

სკოლის გარეთ მგოსანმა იცოცხლა მხოლოდ ათი წელიწადი. და ამ ათს წელში დასწერა 35 ლექსი. არის ცნობა, რომ მას ჰქონია დაწერილი აგრეთვე ვრცელი პოემა ,,ივერიელნი” რომელშიაც დასურათებული ყოფილა მეათე-მეთორმეტე საუკუნეების საქართველო, და აგრეთვე გადმოთარგმნილი ჰქონია ტრაგედია ,,იულიუს ტარენტელი”, მაგრამ ყველა ეს ან ბევრი სხვაც თვითონვე დაუხევიაო.

მგოსანს ნიკო ბარათაშვილს ბევრი არ დაუწერია. მაგრამ რაც დაუწერია, ყველა რჩეულია, ჯერჩინებული, პირველხარისხოვანი.

საგანი ბარათაშვილის ქნარისა არის ბუნება, სამშობლო, სიყვარული. კილო მგოსნის ქნარისა არის კაეშანი, სევდა, ნაღვლიანობა, მარტოობა, ობლობა სულისა.

სევდა-კაეშანი უმაღლეს ხარისხამდე აღიწევა მის ლექსებში ,,მერანი", ,,სულო ბოროტო", ,,სული ობოლი".

მთაწმინდა, მტკვარი, ჩინარი, ყვავილი და სხ. მგოსნისთვის შესამჩნევია იმ მხრით, რომ აძლევენ მიზეზს-გულჩათხრობილმა აღმოხეთქოს გულის სიღრმიდამ მწვავი სევდა, მწარე ნაღველი; კრწანისის ველი, არაგვისპირი, მეფე ერეკლე მის გულში ჰბადებენ აზრთა მორევს შესახებ საქართველოს ბუნების სიმშვენიერისა, ქართველ მეომართ გმირულად ბრძოლისა, ერეკლეს დამარცხებისა შინაგამცემის მიზეზით, სამეფოს დამხობისა, მეფის ძეთა უნიჭობისა და მოღალატე კაცების გამრავლების გამო.

მგოსანს ბარათაშვილს ადარებენ რუსთა მწერალ ლერმონტოვს და საქვეყნოდ განთქმულს ბაირონს, რომელიც აგრეთვე დამღეროდა ,,სულით ობლობას" და ,,სულის მარტოობის" ჰანგზე. საქართველოს მწერლებში ხომ ამ მხრივ ბარათაშვილს ჯერ ტოლი არა ჰყავს.

ერთს თავის ლექსს (,,ფიქრნი მტკვრის პირას") ნიკო ბარათაშვილი ასრულებს სიტყვით:"არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

ჩვენც შეგვიძლიან ვთქვათ, რომ პოეტი ნიკოლოზ მელიტონის ძე თუმცა მოკლე ხანს იყო ამ სოფელში, მაგრამ სოფლისთვის კი თვალსაჩინოდ იზრუნა:სამშობლოს დაუტოვა შესანიშნავი ლექსთა კრებული და მით თავის თავსაც დაუდგა უხრწნელი ძეგლი.

მ. ჯანაშვილი. ნიკო ბარათაშვილის ნაწერების კერძო განხილვა (7108-ხ)- მიმოხილულია პოეტის 20 ნაწარმოები (,,ბულბული ვარდზედ", ,,ქეთევან", ,,შემოღამება მთაწმინდაზედ", ,,ხმა იდუმალი", ,,ფიქრნი მტკვრის პირას", ,,ჩონგური", ,,ჩემს ვარსკვლავს", ,,ნაპოლეონ", ,,თავადის ჭ... ძის ასულს ეკ... ნას", ,,საყურე", ,,ჩჩვილი", ,,სული ობოლი", ,,ბედი ქართლისა", *** (უცნაური ცრემლი), ,,ჩემი ლოცვა", ,,ჩემო მეგობარო", ,,ხუმრალი და მწირი", *** (შვენიერება სულისა), *** (მერანი), ,,საფლავი მეფის ირაკლისა").

ვახტანგ გორგასალი

,,მოამბე" 1899, **N** 3, მარტი, VI განყ. გვ. 1-2

ავტორის თქმით, ვახტანგ გორგასალის ცხოვრება მეცნიერებს, თითქმის, ზღაპრად მიაჩნიათ, რად? იმიტომ, უმთავრესად, რომ მის ცხოვრებაში" მოხსენებული ამბები არ ემოწმებიან მსოფლიო ისტორიის გადმოცემებს იმავე დროის შესახებ, რა დროსაც, ვახუშტის ქორონიკონით, მეფობდა ვახტანგ გორგასალი. გარნა ჩვენი მატიანის ზედმიწევნით შესწავლა მეცნიერების ამგვარ აზრს სრულიად არღვევს და ვახტანგს მიაგებს იმას, რაც ეკუთვნის. ისტორიკოს ვახუშტისა და მისი მიმდევრების ბრალია, რომ აქამდის ვახტანგს ზღაპრულ ან ნახევრად ზღაპრულ გმირად მიიჩნევს მეცნიერება!. შემდეგ სტატიის ავტორი განიხილავს ,,ქართლის ცხოვრების" ცნობებს. საჭიროდ სთვლის შენიშნოს, რომ სახელი ვახტანგ არის შემოკლებული ფორმა ვარან-ხვასრო-თანგისა; ამ სიტყვების დასაწყისს ასოებში იკითხება ვახტანგ ანუ ვახთანგ

(ვარან-ხვასრი-თანგ. ნამდვილი, ნათლისღების სახელი ამ მეფისა უნდა იყოს გიორგი (მდაბიურად გორგი, რომლისაგან წარმოსდგა) გორგისეული (გორგასალი, გურგასალი, გოლგასალი) და ბ) გიორგიანი, (გორგერი, გურგენი, კურკენი, ბერძნულად). ჩვენს მეფეებს, რომელთაც ერქვათ გიორგი, სპარსელები გურგენს უწოდებდნენ. იგულისხმეთ ,,გურგენ-ხანი" (გიორგი X) და სხვ. ასახელებს სასანიდთა გვარის ყაენებს არტაქსერქსე 226-240-დან იეზდგარდ III (+649 წ.), როცა არაბებმა მოსპეს სასანიდთა დინასტიაო. 25-ე გვერდზე განმარტავს და ამტკიცებს ტზატჰიოს, ტზატჰეს. რადგან აჭარას ბერძნულად სწერენ Aტზარა-ე, ამიტომ ტზატჰიოს (ტზატჰეს) უნდა იყოს ჭათი, ჭათე ან ჭატი. ზეპირთქმულებაზე დაყრდნობით აღნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ საქართველოში აბრეშუმის ჭიის თესლი პირველად ვახტანგის დროს შემოვიდაო (გვ. 26). სტატიის ბოლოს წერს, რომ ვახტანგის შემდეგ დიდ განსაცდელში ჩავარდა საქართველო:ყაენებმა მეფეებს ჩამოართვეს მეფური უფლება და ეკლესიაც ეტისმეტად შეავიწროვეს. ამ სავალალო დროს ეკლესიას ნუგეშად გამოუჩნდნენ კაბადუკიიდან მოსული 13-ნი მამანი და სამეფო ტახტს კი გურამ ბაგრატიონი (გვ. 29).

თვალდამწვრიშვილები.

ეძღვნება თავ. დ.ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს

,,ივერია" 1904, N 38, 14 თებ. გვ.2.

წერილში მოთხრობილია ბაგრატიონ-დავითიშვილების გვარის წარმომავლობისა და ამ გვარის ღირსეულ წარმომადგენელთა შესახებ. ნათქვამია, რომ თვალდამწვრიშვილები-დავითისშვილები-რამაზის შვილები, ანუ ბაგრატიონ-დავითიშვილად იწოდებოდნენ. 1666 წ. რუსეთში გადასახლდნენ ხოხონა და მისი ძმა ელიზბარი და მათ ნაშენობას იქ დაერქვა დავითიშვილი (დავიდოვი). წინაპარი დავითისშვილებისა, დავითი, ძე ალექსანდრესი, რომელმაც გაჰყო საქართველო. მეფობდნენ:დავით (+1471 წ.), გიორგი (+1492), ალექსანდრე (+1511), ავი გიორგი (+1513), ლევან (+1574), ალექსანდრე, დავით, კონსტანტინე, თეიმურაზ I (+1605-1673), დავით, ერეკლე I (+1710), თეიმურაზ II, ერეკლე, გიორგი XII. ავტორის თქმით, კახეთის მეფე ავ-გიორგის ძმა დიმიტრი უფროსი შვილი იყო ალექსანდრესი. მამას სათნოებით ჰგვანდა დიმიტრი, ნაშობი ათაბაგის ქალისაგან, სიბოროტით სავსე იყო გიორგი, ნაშობი ჩერქეზის ქალისაგან. 1511 წელს საფურცლეს იდგნენ. უგრძნეულად მიეპარა გიორგი მამას-ალექსანდრეს და ღალატით მოჰკლა. დიმიტრიმ, რადგან იცოდა, ჩემი ძმა დიდების მოყვარეაო, მეფობა მას გადაულოცა, შერთო ცოლი, გამეფდა, უთხრა:ერთს ქვეყანაში ორი ხელმწიფე ვერ იქმნებისო, საჩემო მამულები მომეც და შენ მშვიდობით იმეფეო. გიორგის ეამა, კახეთის მეხუთედამდე მისცა და სამეფო გვირგვინი კი თვითონ დაიდგა. გავიდა მცირე ხანი. შეუჩნდნენ გიორგის ჩოლოყაშვილები და შეასმინეს:,,კახნი შენს ძმას ემსახურებიან და არა შენ, არ ვიცით, რა სწადიანთო, სჯობს თვალები დასწვაო". ,,გამზარდა, დამაქორწილა, უფროსი იყო და ხელმწიფობა მე დამითმოო". არ მოეშვნენ, ვიდრე ძმას ძმის თვალები არ ამოაწ-ვევინეს. თვალდამწვარს ცოლად ციციშვილის ქალი ჰყავდა და ორი შვილი-დავითი და რამაზი, რომლებიც გაიქცნენ ქართლს და სპარსეთს, შაჰთამაზთან (1523-1576). ავტორი ყურადღებას ამახვილებს და აღნიშნავს, რომ ყველგან ეძიებენ და იკვლევენ სახელგანთქმულ გვარეულობათა ისტორიას, რადგან ეს ისტორია ერთი ფურცელთაგანია თვით ერის ისტორიისა. მხოლოდ ჩვენში მეტ ბარგად მიაჩნიათ,-

არა ყველას, რასაკვირველია,-არათუ გვარეულობათა ისტორია, არამედ მთელი ჩვენი გვარ-მოდგმისაც. საკვირველი ის არის, რომ თვით დღევანდელი წარმომადგენლები სახელოვან გვარეულობათა, მაგალითად, ორბელიანებისა, ერისთავებისა, წერეთლებისა, მელიქიშვილთა, მაჩაბლებისა, ჯაყელთა, დადიანთა და სხ., არავითარ ხალისს არ იჩენენ არათუ შეადგინონ წერილობითი ისტორია თავიანთი მამა-პაპათა, არამედ მოკლედ მაინც შეისწავლონ მათი თავგადასავალი, მათი სრე ანუ, უცხოურად რომ ვსთქვათ, ,,როლი" ჩვენს ისტორიაში. ერთ ამგვარ დიდებულ გვარად ითვლებიან ბაგრატიონ-დავითიშვილებიც, პირდაპირნი წარმომადგენელნი და მემკვიდრენი ერეკლე და გიორგი მეფეებისა. ამათი ამბავი, რაც კი ჩვენ ვიცით, საკმაოდ არეულია და ბინდ-ბუნდით მოცული. საჭიროა ახალი მასალები, რომ ამ არეულ დარეულობას ნათელი მოეფინოს-ამგვარ წყაროებად კი ჩაითვლება სიგელ-გუჯარნი, ძველი ნაშთებისა და ტაძარ-კოშკების წარწერები და მინაწერები, აგრეთვე საგვარეულო ზეპირგადმოცემა. რაოდენადაც ჩვენ შემოგვესმა, ამისთანა მასალა არ ჰკლებიათ ბაგრატიონ-დავითიშვილებს და, იმედია, გამოაქვეყნებენო.

თულაშვილების საგვარეულო სიგელი

,,ივერია" 1904, N 168, 21 ივლ. გვ. 3.

ავტორი წერს, ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილმა გადმოგვცა ეს სიგელი, ტყავზე დაწერილი, თავ-ბოლო დაზიანებული (მოაქვს ტექსტი, რომელიც, მისი სიტყვით, მე-14 საუკუნისაა. იგი განმარტავს, რომ სიგელში მოხსენებული ბაგრატ არის ბაგრატ დიდი (1360-1395), რომელსაც ჯერ ისევ ემორჩილებოდნენ დადიანი, გურიელი, შარვაშიძე, გელოვანი და ათაბაგიც. ამგვარი მრავალმნიშვნელოვანი სიგელები შეიქმნენ მასალად ქართულ სამართლისა, ძეგლისწერისა, სჯულდებისაო..

ილია ჭავჭავაძე

,,ნაშრომი" 1907, N 2, გვ. 3-27.

ავტორის სიტყვით, ყვარლის მეთაურებად უკანასკნელ 3-4 საუკ. განმავლობაში სულ მუდამ იყვნენ ჭავჭავაძეები. საქართველოს თავად-აზნაურობის ბლომა ნაწილი უცხოეთიდამ შემოხიზნულა საქართველოში (ბაგრატიონები ურიასტანიდან, წერეთლები ლეკეთიდან, მიქელაძეები საბერძნეთიდან და სხ.), ხოლო ჭავჭავაძეები ეკუთვნიან ქართველ გვარტომს-თესლს. ამათგან გამოდიოდნენ ჩინებული სარდლები, ჩინებული მწერლები და, წარმოიდგინეთ, ჩინებული მეურნეებიც, მეტადრე-მევენახეები. შემდეგ საუბარია ილიას მშობლებზე, ვეფხისტყაოსანზე, იმაზე, რომ ვეფხისტყაოსანი ილიას შეასწავლეს სასახლის ქალებმა, რასაც თურმე ხშირად დიდი ტრფიალებით იგონებდა ილია გრიგოლის ძე სარედაქციო კრებებზე და თავის შინაურ წვეულებებზე, საუბარია კეთილშობილთა სასწავლებელსა და გიმნაზიაში, პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტურ წლებზე. ,,საზოგადოდ,- ნათქვამია წერილში, ჩვენმა სტუდენტობამ,- ნუ კი მიწყენენ გულწრფელ სიტყვისთვის,-დაპირება დიდი იცის, პლან-გეგმების შედგენა საუცხოვო, სამშობლო ქვეყნისთვის გულშემატკივრობა შეუდარებელი, მაგრამ ვაი რომ ყოველივე ეს სათნოება კავკასიონის მთებს აქეთ ვეღარ გადმოაწევს ხოლმე, ახალგაზრდული ოცნება და სურვილი, უმეტეს წილ, ცხოვრების სიტკბოების ძებნაში ითქვიფება, ქარწყლდება. თუ არა ეს დასაგმობი თვისება, მაშ რატომ არ ვხედავთ მათ,-თითო-

ოროლას გარდა,-ვერც მწერლობაში, ვერც მეურნეობაში, ვერც მრეწველობაში, ვერც მეცნიერებაში, ვერც..., მაგრამ კმარა. სულ ცოტა, 2000-მდე ,,უმაღლეს" სწავლა მიღებულიდამ ძლივს თვალს მოვკრავთ ასიოდე კაცს. სად არიან დანარჩენები?..

ასე არ დაემართა ილია ჭავჭავაძის პეტერბურგის სტუდენტობის წრეს. ამ წრიდან გამოერჩივნენ ილია, აკაკი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ღოღობერიძე და რამდენიმე სხვა და ამათ, მართლაც, არ უღალატეს თავის სტუდენტობის დროს შემუშავებულ გეგმას. ამათგანი იყვნენ, მაგალ., ილია სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი), რომელიც პროფესორობდა ლაზარევის ინსტიტუტში, დასწერა რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევა და გარდაიცვალა ახლახანს. ნიკო და ბესარიონ ღოღობერიძენი, რომელნიც საკეთილოდ მოღვაწეობდნენ და პირველი ეხლაც მოღვაწეობს, ეხმარება ყოველგვარ საწაღმართო საქმეს. აკაკი წერეთელმა ხომ უკვდაობა სიცოცხლეშივე დაიმსახურა".

ამ ერთობის აზრს შეებოჭა ჭაბუკ ილიას არსება. იგი ჯერ ისევ 1859 წელს ურჩევდა ქართვლის დედას:შვილთ ,,შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, - რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეთ და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდენ" ავტორს მოხერხებულად მოჰყავს ადგილები ,,მგზავრის წერილებიდან". მათ შორის აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა და დაე გვძრახონ, - ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი". სტატიის ავტორის აზრით, ამისთვის ილია დასაზრახი კი არა, ქების ღირსი იყო. აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები, მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?

24 წლის ილია თბილისში ჩამოვიდა.

არ მოეპოებოდა მას სკოლა.

არ მოეპოებოდა ფული.

მწერლობა ვაინაჩრობით მიღოღავდა.

ძველი სამწერლო ნაშთები იმუსრებოდა, იბნეოდა.

გლეხობა მძიმე უღელქვეშ იჭყლიტებოდა, კვნესოდა, გმინავდა.

საჭირო იყო ძლიერის სულის შთაბერვა, რომ მიძინებულ-მისუსტებულ საქართველოს თვალები მოეფშვნიტა, გამოეღვიძა, აღფრთოვანებულიყო.

ამისთანა სული შთაებერა საქართველოს, მაგრამ, უშიშრად ვაცხადებთ, შთაებერა არა მარტო, როგორც ზოგიერთები ღაღადებენ, ილია ჭავჭავაძის მიერ:ილია-აკაკის უღელს ბევრნი სხვანიც მიეწეოდნენ და უყევროდ მარტო ილია საქართველოს ეტლს ძრას ვერ აქნევინებდა.

სამოციან წლებიდგან საქართველოს გაღვიძებაზე ლაპარაკის დროს ჩვენ ზნეობრივად მოვალენი ვართ ილია-აკაკის სახელებთან ერთად მოვიხსენიოთ ისეთი სახელებიც, რომელთა მარტო ხსენება საკმაოა, რომ გავითვალისწინოთ ამა თუ იმ მოღვაწის საქმე ქართველ ერის სულიერ ზრდაში. მაგალ. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერ-ამერთათვის 40 წლის განმავლობაში იყო ცოცხალ სასულიერო აკადემიად, გიორგი ერისთავი იყო ქართულ თეატრის დამაარსებელი და მისი სულისჩამდგმელი, დიმიტრი ყიფიანი და ბესარიონ ღოღობერიძე იყვნენ სათავად-აზნაურო ბანკების დამფუძნებელთაგანნი, იაკობ გოგებაშვილის მიერ გონიერად შედგენილი სახელმძღვანელოები მოეფინა მთელს საქართველოს კიდის კიდემდე, დიმიტრი ბაქრაძემა და მის მიმყოლთ დააარსეს საეკლესიო მუზეუმი, რომელშიაც შემოკრიბეს მრავალ მილიონად საღირალი სამწერლო ნაშთები და დაბეჭდეს მრავალი მასალა საქართველოს წარსულის შესასწავლად. აქ, რაღა თქმა უნდა, ყველას ვერ მოვიხსენიებთ, მაგრამ ვისაც თვალყური უდევნებია ჩვენის მახლობელ წარსულისთვის, იმან კარგად უნდა იცოდეს, თუ რაოდენი სამსახური მიუძღვის

ქვეყნის წინაშე ი.მაჩაბელს, დანიელ ჭონქაძეს, რომელმაც თითქმის პირველმა აიმაღლა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ, სერგეი მესხს, რაფ. ერისთავს, დ.ერისთავს, გრ. და ვ. ორბელიანებს, ა.ყაზიბეგს, ე.ნინოშვილს, გიორგი წერეთელს, ან.ფურცელაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, ვაჟა-ფშაველას, ალ. და ავქ. ცაგარლებს, ს.მგალობლიშვილს, ნ.ლომაურს, ნ.ცხვეთაძეს და მრ. სხ. ჩინებულ და უანგარო მუშაკთ და მოღვაწეთ, მაგალ., თუნდ ლ.აღნიაშვილს, რომელმაც ზღაპრულ გმირივით რკინის ქალამნები ჩაიცო, რკინის არგანი ხელში დაიჭირა, გაემგზავრა უცხო და შორეულ სპარსეთს, იქ აღმოაჩინა 40-60 ათასამდე ქართველი, შეისწავლა მათი ცხოვრება და გაგვაცნო იგინი ჩვენ. ანდა თუნდ იმ ჯგუფს (თაყაიშვილი, ჟორდანია, მარრი, ხახანაშვილი, ჯავახიშვილები და სხ.), რომელმაც ბროსეს, პლ.იოსელიანის, ჩუბინაშვილის, ბაქრაძის, ცაგარლის მემკვიდრეობა თავს იდო და რომელმაც საკუთრივ დაჰბადა ჭეშმარიტი ხანა საქართველოს წარსულის შესწავლისა მის მრავალგვარ და უძვირფასეს სამწერლო, სახუროთმოძღვრო და სხვაგვარ ნაშთების შემოკრებითა, გამომზევებითა და ჩხრეკა-ძიებით და რომელმაც ბოლოს დააარსა ,,საქართველოს საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოება”.

ი.ჭავჭავაძემ 1860 წ. ერთ ლექსში თქვა-,,ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი”. წერილის ავტორის სიტყვით, 23 წლის ილია მართლაც ,,ჭაბუკ აღარ იყო”, იგი უკვე, როგორც ცხადად სჩანს იმის ამ ხნის ნაწერებიდან, დაბრძენებულს, გულმშვიდ მოხუცს მოგაგონებდათ, ვიდრე ახალგაზრდა ჭაბუკს. მას მოჰყავს თავად-აზნაურთა კრებაზე ილიას სიტყვები-ყმას თავისუფლება მიწასთან ერთად უნდა მიეცესო, რაზედაც ერთმა თავადმა ხმალი იშიშვლა. მეორე კრებაზე გენერალ ივ.მუხრან-ბატონმა განაცხადა:უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას ემხრობა ყველა თავად-აზნაურობა, გარდა ორიოდ კაცუნებისაო. ,,ვინ არის ეს კაცუნები?”-ჰკითხა მას ილიამ. მუხრანსკი იძულებული იყო ბოდიში მოეხადა ილიას წინაშე და ,,კაცუნა” ,,კაცად” გაესწორებინა. ილია ამ გარემოებისა თუ სხვა შემთხვევის გამო წერდა: ,,ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ღირდნენ, გვიან შევიტყვე ეს ცდომილება; ეხლა მათ საზიზღ, დაბალ მტრობაზედ არც მეცინება, არც მეტირება”. 1864 წლიდან ,,მონა თავისუფალ კაცად იქცა, ლუარსაბ თათქარიძეობა დასაგმობ საქმედ გახდა” .

წერილის ავტორი შემდეგ ეხება ილიას ხანგრძლივ (30 წელი) მოღვაწეობას ბანკში და აღნიშნავს, რომ 1875 წ. ილია სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ და ხელმძღვანელად მიიწვიეს, რომელმაც საფინანსო საქმეშიაც, ვით ყველგან სხვა თანამდებობაზე გამოიჩინა დიდი ცოდნა და უნარი, ბანკი მის ხელში გაიზარდა, გამტკიცდა და შესაძლებელი შეიქმნა მის შემოსავლით რამდენიმე ახალი საეროვნო დაწესებულება ესაზრდოებინათ, მაგალ., სათავადაზნაურო სასწავლებელი, რომელშიაც გლეხკაცობის შვილებიც ბლომად ურევიან, ბანკისავე დახმარებით სულდგმულობს წერა-კითხვის საზოგადოება, დაარსებული ილიას და მის მომხრეების თაოსნობით, მდიდარი ფასდაუდებელი ხელნაწერებით და სხვადასხვა ნაშთებით, აგრეთვე ქართული თეატრი, მოთავსებული ბანკისავე შემოსავლით შეძენილ დიდს, მილიონად ღირებულს სათავადაზნაურო შენობაში, სა-სახლის ქუჩაზე, დიდად თვალსაჩინო წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებელიც, დაარსებული საკუთარ მიწა-წყალზედ ილიას მეგობრის და ყოველ საწაღმართო საქმეში მის თანამოზიარის ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის მიერ, ცოტა წილი დახმარება არ ეძლება ბანკისაგან აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გახსნილ სასოფლო-სახალხო სკოლებს.

ილია ჭავჭავაძე 1860 წლიდან შეიქმნა ლიდერად ანუ დედაბოძად ქართველ ახალგაზრდათა წრისა. ავტორის სიტყვით, რომ უფრო ცხადად გავიგოთ, თუ ვითარ

,,დედაბოძობდა” ილია, როგორ და ვის დახმარებითა თუ მოწინაღმდეგეობით მოარონინებდა იგი ქართულ აზრს თითქმის თავის სიკვდილის დღემდე, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ქართულ ახალ მწერლობისა და ბეჭდვის მსვლელობა. ეს განხილვა ჩვენ დაგვანახვებს ყველა იმ ნაკადულებს, რომელთა ერთ კალაპოტში შელევით შესდგა ის დიდი და ძრიელი მდინარე, რომელსაც ჰქვიან დღევანდელი ქართული ცხოვრება.

რაღა თქმა უნდა, დღევანდელი ჩვენი ცხოვრება შედუღდა საუკუნოებით შეძენილ წმინდა ქართულ ნაკადულების რუსულ ნაკადულებთან შელევით. ამ შელევის დასაბამად ითვლება 1800-1811 წლები, როდესაც საქართველომ თავისივე წინდაუხედავ მეფეებისა და მთავრების წყალობით დაჰკარგა თავისუფლება. მას აქეთ მოდენილ ორ ტოტმა-ქართულმა და რუსულმა ერთურთის ბრძოლით და ხან კიდე დამეგობრებით, დატკბობით შეჰქმნეს სახე დღევანდელის ჩვენის ყოფა-მდგომარეობისა.

ეს ორტოტობა, ამ ორ ტოტის მოსალოდნელი შეხლა შეტაკება-ბრძოლა და ამ ბრძოლით ახალის ცხოვრების დაბადება აღინიშნა ირაკლის დამარცხებიდანვე 1795 წელს, იმ დღიდგან, რა დღესაც მეფესა და მინისტრს სოლომონ ლიონიძეს შორის გაიმართა ბაასი თავისუფლების მოსალოდნელი დაკარგვის შიშის გამო.

წერილის ავტორის სიტყვით, პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვას იმ აზრით შეურიგდა ქართველობა, რომ იფიქრა- განათლება და ეკონომიური აღორძინება უფრო აღამაღლებს და გააბრწყინებს ჩვენს სამშობლოსაო. მალე ჩვენი ტფილისი ახალ ათინად იქცევაო და კიდით-კიდემდე საქართველოს მოეფინება განათლებაო (იოანე ხელაშვილი). თვით ნ.ბარათაშვილს სწამს, რომ ირაკლიმ მხოლოდ ამ ,,განათლება-აღორძინებისთვის” აიღო გვირგვინზე ხელი და ქვეყანას მოუსპო თავისუფლება.

მართალია, თავისუფლების დაკარგვის შემდეგ კიდევ ერთხანს შერჩა ქართველობას თავის ეროვნების მაუწყებელი ნიშნები:სასამართლო, ეკლესია, ფული (ქართული ფული იჭრებოდა ტფილისში 1832 წლამდე), ენა სკოლებში და სხ., მაგრამ შემდეგში ყველა ამან იწყო დაკნინება, დაწრეტა, გაუქმება. მაგიერათ შემოვიდა ახალი კანონები უცხო ენაზე, ახალი სკოლა, ახალი სახორციელო და სასულიერო წესწყობილება. ამ ცვლილებამ დაბადა წმინდა ქართული მიმართულება, სუსტი დასაწყისში და გაძლიერებული მესამოცე წლებიდან.

ეს მიმართულება, ვიმეორებთ, განისკვნა მე-XIX ს. დასაწყისშივე და მისი მიზანი ის იყო:რომ ერისთვის მიეცა განათლება, სულიერად აღემაღლებინა იგი, რადგან ახალს ძრიელს ტალღას არ გაეთქვიფა მისი პიროვნება, როგორც ერისა, რომელსაც კაცობრიობის წინაშე მიუძღოდა მრავალსაუკუნოვანი და დიდი დამსახურება.

ხსენებულ მიმართულების მატარებელნი და მატფურებელნი იყვნენ უწინარეს ყოვლისა ქართველ მეფე-მთავრების შვილები ანუ ბატონიშვილები და მათ გადაშენება-გადაგვარების შემდეგ თვით ერი და მისნი რჩეულნი, მიმართულების დედააზრი პირველ ხანს ერში სულდგმულობდა ზეპირსიტყვაობითა და ხელნაწერებით, შემდეგ კი ჟურნალ-გაზეთების მეოხებით. (მიმოხილულია ჟურნალ-გაზეთები, რედაქტორების საქმიანობა, გვ. 24-25).

ავტორი თვლის, რომ 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ჟურნალ ,,საქართველოს მოამბემ” წარმოშვა მთელი ეპოქა ჩვენს დროგამოშვებით მწერლობაში. იგი შინაარსის მიხედვით იყო პირველი-ევროპულად მოწყობილი ჟურნალი და დიდი ზეგავლენა ჰქონდა საქართველოს თანამედროვე საზოგადოებაზე.

ჟურნალ-გაზეთებმა საკმაო სამსახური გაუწიეს ხალხის გაღვიძება-განვითარების საქმეს. ქართულ თეატრის მსახურთ (ვ.გუნიამ, ვ.აბაშიძემ, ალექსი-მესხიშვილმა,

კ.ყიფიანმა, ტ.აბაშიძისამ, ნ.გაბუნიამ და სხ.) ხომ განთესეს ფასდაუდებელი თესლი, ერს განუმტკიცეს და გაუმდიდრეს ენა, გაუფაქიზეს ანუ გაულმობიერეს ზნე, უმეტესად შეაყვარეს სამშობლო ,,სამშობლოს", ,,დედა და შვილის" და მათებრ შესანიშნავ ნაწარმოებების სცენაზე თამაშობით. აქ აღარ ვიხსენიებთ ფილარმონიულ საზოგადოების ღვაწლს, ვინაიდან იგი ეხლახანს დაწესდა, მაგრამ არ შემიძლია მოუხსენებად დავტოვო ფ.ქორიძე, ი.კარგარეთელი, არაყიშვილი, კარბელაშვილები, ლ.აღნიაშვილი და სხ., რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ქვეყანას სამშობლო სიმღერებისა, საგალობლებისა და ჰანგების შემოკრებითა თუ მგალობელთა გუნდების დაარსებით.

ყველა ამას რომ მივუმატოთ თვალსაჩინო ღვაწლი ქუთაისის, ჭიათურის და სხვა დაბა-ქალაქების ქართულ დაწესებულებათა, და დეპო-ბიბლიოთეკების შრომა, ზოგიერთ მასწავლებელთა და სასულიერო პირთა (ეპ. ალექსანდრეს, კირიონის, ლეონიდის, დეკ. ღამბაშიძის და სხ.) მონაღვაწი, თვალწინ გვექნება მთელი ჯამი იმისა, რასაც ბარათაშვილი ეძახდა თავისუფლების მაგიერს განათლებას და რაც მოიჭირნახულა ქართველმა ერმა უმთავრესად ილია ჭავჭავაძის მესვეურობით.

ილია იყო თავისბუნება, თვითარს, შეურყეველ, მედგარ ხასიათის კაცი. ერთს რასმე საქმეს რომ დაადგებოდა შემდეგ ყოველმხრივ მის განსჯისა და გამოწვლილვისა, მას ბოლომდის ,,ჩააკვდებოდა", ის იყო ერის ბრძნულ თქმულების განმხორციე-ლებელი:"შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერ".

...მისი თხზულებების შინაარსი და ენა ცხადად გვამცნევს, თუ მათს ავტორს რაოდენი ძალღონე შეულევია თავისის თავის გასანათლებლად, მრავალგვარ მეცნიერების შესასწავლად, განთქმულ ფილოსოფოსთა და მჭერმეტყველთა ნასიბრძნის ასაწონ-დასაწონად, ძველ მემატიანეთა ნაწერების გასაცნობად... იგი, რომ იტყვიან- ყოველმხრივ განათლებული კაციაო, სწორეთ ის იყო. ჩვენში მხოლოდ მასზე შეგვიძლია ვთქვათ:იგი ჭაბუკობითვე ენამზე ფილოსოფოსი და დიდი მგოსანი იყოო.

ვაი ჩვენ! საეროვნო თვისებად გაგვიხდა სამშობლოს მადიდებელთა და წინწამწევთა მოკვლა, შემუსვრა, დათრგუნვა, განდევნა. ოთხ გონებით მნათობთაგან ვერც ერთი ვერ შევიგუეთ. **შოთა რუსთაველი** იძულებული იყო შორეულ პალესტინის უდაბნოებში დაელია თვისი უკვდავი სული.. მისი თხზულება სა-ქართველოში სამღვდელოებამ დასწვა, ხოლო აქაურმა ბერობამ გაჰკიცხა მისი დამწერი სიტყვებით:შოთა ,,ამაოდ დაშურა, საწუხ არს ესე". მეორე იყო **დავით გურამიშვილი**, რომლის დიდებულს ზრდიდა არაგვის იგივე არემარე, რომლის სიმშვენიერემ და დიადობამ ილიას გამოათქმევინა ბევრი ,,წყობილი მარგალიტი". ეს დავითი ყველაზე წინდაუხედავი მეფის ვახტანგ სჯულმდებლის მეოხებით ლეკებმა დაიჭირეს არაგვისპირსავე, ლამისყანას, წაიყვანეს დაღისტანს, სტანჯეს და, ბოლოს სული დალია რუსეთის ტრიალ ველებზე, სამშობლოს ნახვით დანატრებულმა. ვის არ ახსოვს მესამე-**ნიკოლოზ ბარათაშვილი**-, რომელიც თვის გვარტომ ნათესავთაგან შეუწყნარებელი დაიღუპა განჯაში! მეოთხეს-**ილიასაც** იგივე დაემართა:მასაც გაუგმირეთ გული... ოთხნივე დიდებულნი მგოსანნი გადაშენდნენ **უშვილოდ,** უმემკვიდრეოდ. განა მარტო ესენი ვერ სცნა თანამედროვე ქართველობამ? ჩვენი სამარცხვინო უზრუნველობით სხვა უნიჭიერესი მოღვაწეებიც ვერ შევიგუეთ, ზოგი დღისით-მზისით კვალწმინდათ დავკარგეთ (ი.მაჩაბელი), ზოგი დავაგიჟეთ, ზოგი დავაჭლექიანეთ (ე.ნინოშვილი)...

ჩვენ ჩვენს ,,ავტორიტეტებს" წიხლს ვკრავთ, სხვებისას კი ,,მაგრა" ვეჭიდებით! ტყუილად კი არ სთქვა ქრისტემ:არა არს წინასწარმეტყველი შეწყნარებულ თვისსა მამულსაო.

დავით აღმაშენებელი (1089-1125)

,,სავაჭრო გზა 1908, N 19, 2 ნოემბ. გვ. 2; N 20, 6 ნოემბ. გვ. 2-3; N 21, 9 ნოემბ. გვ. 2-3.

ვახტანგ გორგასლის შემდეგ საქართველო დაიყო მრავალ სამთავრო-სამეფოებად. მეშვიდე-მეათე საუკუნოებში უკვე არსებობდნენ დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროები კახეთისა, ჰერეთისა, რანისა, აფხაზეთისა, ტაოსი. ქვეყნის დანაწილება და მასთანვე დაძაბუნება-დასუსტებას ხელს უწყობდნენ არაბნი, რომელიც შემოესივნენ საქართველოს, დაიპყრეს მისი ნაწილები, აიღეს სატახტო ქალაქი ტფილისი, მძიმე უღელი დაადეს ერს და დევნა დაუწყეს ქრისტიანებს.

ოთხასი წლის განმავლობაში არაბნი და მერე თურქნი ბატონობდნენ საქართველოს დედაქალაქ ტფილისში, ე.ი. 722 წლიდან 1122 წლამდე. ამ წელს მხოლოდ დავით აღმაშენებელმა მტრებს წაართო ეს ქალაქი და ერს მიანიჭა თავისუფლება.

საქართველოს გაძლიერება დაიწყო 985 წლიდგან. ამ წელიწადს ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის თაოსნობით და დავით კურატპალატის ნებაყოფლობითა და დახმარებით გაერთიანდა მთელი საქართველო და ბაგრატ მესამე შეიქმნა მეფედ ქართლ-აფხაზეთისა, ხოლო თვით ამ პოლიტიკურს გაერთიანებას ხელი შეუწყო სულიერმა გაერთიანებამ, სამშობლო მწერლობის აღორძინებამ. ბაგრატ მეფემდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბრწყინდა მრავალი მონასტერი და წმ. საყდარი, გამოჩნდნენ მრავალნი მოღვაწენი და მასწავლებელნი ერისა, ამათ ერში მოჰფინეს კეთილი აზრები, ხალხს გაუღვივეს გულში სიყვარული თავისუფალის ცხოვრებისა, ერთობისა, ძმობისა.

მეათე საუკუნეში ამ მოღვაწეთ სულით და გულით თანაუგრძნობდა და მფარველობდა აჭარა-ტაოსკარის კურატპალატი დავით, რომელიც, ამასთანავე, თვისის სიძლიერისა და მეფე-მთავრების სიმრავლის გამო, იწოდებოდა მეფეთა მეფედ. მის დროს შესანიშნავ მამულიშვილებითა და სამშობლოს დიდების მოყვარე კაცებით გაივსო ტბეთი, პარხალი, ანჩა, ოპიზა, შატბერდი, ხანძოეთი, ბანა, არტანუჯი, ათონი (საბერძნეთს) და სხ. კლარჯეთში მწიგნობრობა ააყვავა გრიგოლ ხანძოელმა (+861 წ.).

იოანემ, მისმა შვილმა ეფთვიმემ (+1028 წ. 13 მაისს) და გიორგი მთაწმინდელმა (+1068 წ. 20 ივნ.) ათონი გახადეს ქართველთა ათინად. საბა მტბევარმა და ეზრა ანჩელმა თავისუფლების დროშა აღმართეს ტბეთის წინ მაღალს სვეტზე, წინ აღუდგნენ მტრად მოსულ ბერძნებს და სახელოვანად გაიმარჯვეს აჭარა-კლარჯეთის აზნაურებისა და ერის დახმარებით.

ამ საერთო მოძრაობამ აღაფრთოვანა მთელი ერი. არაბთა უღლიდამ განთავისუფლება დღე დღეზე მოსალოდნელი იყო. მაგრამ ამ საერთო მოლოდინის დაგვიანების მიზეზად შეიქმნენ სელჩუკნი ანუ თურქნი.

ეს სელჩუკნი გამოჩდნენ აზიაში მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისს, მალე გაძლიერდნენ, დაიპყრეს სპარსეთი, სომხეთი, საბერძნეთის აღმოსავლეთი ქვეყნები

და მოაწვნენ საქართველოს. მათი სულთანი აღფასარანი შემოვიდა ქართლს (1064წ.) და ქვეყანა ააოხრა. ამისი შვილი მელიქშა მამაზე ძლიერი ხელმწიფე იყო. მან თავზარი დასცა საბერძნეთს და აღმოსავლეთის ქვეყანას, იგივე შემოვიდა საქართველოში და აფხაზეთამდე ძლევამოსილად გაიარა, დიდი ვნება მიაყენა საქრისტიანო საქართველოს:მრავალი ტაძარ-მონასტერი დაინგრა, მრავალი ხალხი დაიღუპა, კლდე-ღრესა და ნაპრალებში შეიხიზნა. ქართლი მთლად მოოხრდა.

მაგრამ უბედურებამაც ვერ დაამხო საქართველოში ერთხელვე აღძრული იმედი განთავისუფლებისა, დიდებისა და წარმატებისა.

ამ საერთო სასოების სულის ჩამდგმელად და თავისუფლების დროშის ამფრიალებლად გამოჩნდა თექვსმეტი წლის ჭაბუკი დავით აღმაშენებელი.

მამა მისი იყო გიორგი მეორე (1072-1089).

პაპა იყო ბაგრატ მეოთხე (1027-1072).

პაპის პაპა იყო გიორგი პირველი (1014-1027).

და პაპის-პაპის-პაპა კი ბაგრატ მესამე (985-1014), ძე გურგენისა (+ 1008 წ.) და შვილობილი დავით კურატპალატისა (+ 1001 წ.).

დავითი ყმაწვილობიდანვე სიბრძნით აღსავსე იყო. ნახა რა, სამშობლოს ფრიად უჭირსო, თავის ჭაბუკობას აღარ დაჰხედა; 16-ის წლის ყრმა დავითი საომო იარაღით აღიჭურვა, გადმოდგა წაღვლისთავს და იხმო ყველა მოწაღმართე მამულის შვილები.

წაღვლისთავი ანუ წაღვლი მაგარი ადგილი ლიხის მთის ძირში. გამოღმა, ფცის ხეობაში, წაღვლის-წყალზე, რომელიც ჩამოდის მშვიდაურის მთიდამ. ეს ადგილი დავითმა ამოარჩია თავის წადილის განსახორციელებლად იმიტომ, რომ იგი იყო მტრისათვის მიუდგომელ-მიუვალი, ხოლო ამერ-იმერთათვის კი- ფრიად მარჯვე.

მოწოდებითი ხმა ჭაბუკ მეფისა გაისმა კიდით კიდემდე. ვისაც მონობის უღელი ლოდივით აწვა გულზე, ვინც გრძნობდა ამ სამარცხვინო უღლის სიმძიმეს, ვისაც კაცურ კაცის ნიშან-წყალი ეკრა პირზე, ადგა და გამოეცხადა თავის პატრონს, თავის გმირ მეფეს.

მოვიდნენ ამერ იმერით, მოვიდნენ მარდი კისკასნი მეომარნი. შესდგა ყრილობა და ბჭობა მეფის თანდასწრებით. გადასწყვიტეს:ამიერიდგან საქართველო ხარკის მიმცემი აღარ არისო, ამიერიდგან საქართველო იხსნის მონობის უღელს და ააფრიალებს თავისუფლების დროშას.

ამ კრების გადაწყვეტილებამ თავზარი დასცა, უპირველეს ყოვლისა, აგარიანებს (მაჰმადიანებს), და მერე იმ უკუღმართ ქართველებს, რომელთაც ქვეყნის კვნესა-ვაების არ ესმოდათ, რომელთაც-ქვეყნის უბედურების ჟამს-მოეტაცნათ ზოგს საეპისკოპოსო საყდარი, ზოგს-მთავრობა, ზოგს მამულები და ციხეები. ამ უკუღმართთაგან მეფე ჯერ შეებრძოლა ლიპარიტ ორბელიანს და კახეთის მეფეს კვირიკეს.

ლიპარიტ ორბელიანი დიდი მტერი იყო საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერებისა. იგი და მისნი მამა-პაპანი იმთავითვე უკუღმართობის გზას ადგნენ, ჰშველოდნენ ბერძნებს, რომელთაც უნდოდათ საქართველოს დასავლეთ-სამხრეთ კუთხეების დაპყრობა და დაჩემება, მერე თვით ლიპარიტი თურქთა დახმარებით ამირთამირობდა თრიალეთსა და კლდეკარს, სკვირეთსა და ატენს. ბაგრატ IV-ის დროს თითქმის საქართველოს ნახევარი ამათ ეჭირათ. ,,ვით ძაღლის კუდი არაოდეს არ გასწორდებისო, ეგრეცა ეს თესლნი ერთგულნი ვერ იქნება საქართველოსიო”. აი, ეს ლიპარიტ ორბელიანი და მისი ძე შეიპყრეს მეფის მოხელეებმა და არგვეთს გადაასახლეს, ხოლო კლდეკარის გამგეობა მეფემ ჩააბარა თევდორეს, გიორგი ჭყონდიდლის დისწულს, ფრიად ბრძენ კაცს (1101 წელს).

მალე კახეთ-ჰერეთის მეფობაც მოისპო. აქ მეფობდა კვირიკე IV (1084-1102),. ამას მეფემ წაართო ციხე ზედაზენი (1101 წ.). კვირიკე მოკვდა უძეოდ. ტახტი დარჩა მის ძმისწულს ახსართანს. ეს იყო კაცი ამაყი, ცუნდრუკი, მტრობდა ქართველობას, ემეგობრდებოდა ურჯულოებას. კახელები დიდს გასაჭირში იყვნენ მის უსამართლოებისა და ბოროტებისა გამო. მისი მთავრობა ვეღარ იტვირთეს კახეთის მოწაღმართე კაცებმა. მიუხტნენ მას ბარამი, არიშიანი, ქავთარი, შეიპყრეს და მიჰგვარეს მეფე დავითს (1105წ.). კახეთი, კუხეთი და ჰერეთი შეიერთა აღმაშენებელმა მეფემ და მით დიდი ძლიერება შეჰმატა სამშობლო ქვეყანას.

იმავე წელიწადს სპარსეთის სულთანმა დიდძალი თურქობა მოასხა ერწო-თიანეთს, მაგრამ დავითმა მტერი საზარლად შემუსრა და ესეთი რისხვა დასცა, რომ ,,ხუთი ქართველი იპყრობდაო ოთხასთა, ათი ქართველი ათასთაო". თვით დავითი გმირივით იბრძოდა, ჯარს ამხნევებდა, ,,ვითარცა ლომი შეუძახებდა ხმათა მაღლითა და ვით გრიგალი მიდამო იქცეოდა, თვით გოლიათებს მიიმართებოდა და სვრიდა და დასთხევდა". ბრძოლაში სამი ცხენი გამოუკლეს მეფეს, მაგრამ მას ვერა დააკლეს-რა. ღმერთი ჰფარავდაო თავის ცხებულს. მეფეს ამ დღეს იმდენი ეკაფაო, რომ მის ხმლის ნაწვეთს სისხლს მთლად გაევსო მისი უბე წელამდეო და ეს საცნაური იქმნა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეფემ სარტყელი შეიხსნა და სისხლმა გადმოსჩქეფა დედამიწაზეო. პირველად ეგონათ ეს სისხლი მისგან გამოდიოდა.

მაშინ ჯერეთ თურქებს ეჭირათ ყარაია, მაშავერი, ახტალა, ფანავარი, ე.ი. მთელი დღევანდელი ბორჩალოს მაზრა ყარაიიდგან ფანავრის (ტობორავანის) ტბაბდე ტფილისითურთ, მთელი ქვეყნის თურქობაო, შენიშნავს მემატიანე, კალიასავით სძოვდაო გაჩიანს, აგარანს, სამშვილდეს, ივრის პირს, რანს და ბარდავს. ეს ადგილები საძოვრად ჰქონდათ ზამთარში, ხოლო ზაფხულს გრილს ადგილებში დგებოდნენ და საქართველოს მოსვენებას არ აძლევდნენ.

მეფე დავითმა მიუსია მათ თავისი მხნე მეომრები, რომელთაც დალეწეს მტრის ძლიერება და აიღეს სამშვილდე და ძერნა (1110 წ.).

გამარჯვებული მეფე წავიდა ქართლს და დადგა ნაჭარმაგევს, რომელიც მდებარებს ქალაქ გორის ახლოს. აქ მეფეს ჰქონდა საზაფხულო სასახლე, ტურფა ხელოვნურად ნაგები. მეფეს აცნობეს, სულთანი მოუძღვის დიდ ლაშქარს და ციხე-ცისკარს მოდისო. დავითს მაშინ ჰყვანდა მხოლოდ 1500 მეომარი, სასახლის მცველი. ამ მეომრებით მეფე გრიგალ-ქარივით გაეშურა მტრისაკენ, გადავიდა თრიალეთზე, მოულოდნელად თავს დაესხა მტრის ურდოს (ეს ურდო შესდგებოდა 200000 კაცისაგან) და მოსრნა უწყლოდ (1110 წ.).

მტერი კარგად ხედავდა, რომ დავითს მტკიცედ განეზრახა აეღო საქართველოს დედაქალაქი ტფილისი და ამიტომ ცდილობდა არ დაეთმო ამ ქალაქის გარშემო და შორიახლო მდებარე სიმაგრეები, მაგრამ დავითი შორს გამჭვრეტი სარდალი იყო. მან შეურჩია მტერს დრო და ტფილისში შემოსასვლელი კარი რუსთავი (ყარაია) წაართო (1115 წ.).

მტერმა, რომ მეფე ჩამოაშოროს ტფილისს, ხერხი იხმარა:დიდძალი თურქობა ჩამოდგა ტაოსკარს. იმ წელიწადს მეტად ცივი ზამთარი იყო და მტერი, ალბად ჰფიქრობდა ქართველთა მეფე ამ დროს აქ ვერ მოვაო და, თუ მოვა, ბარდავ-რანის მხრის თურქობა ადვილად წაართმევს რუსთავსა, სამშვილდეს და სხვა ციხეებსო. მაგრამ მტერი მწარედ მოსტყუვდა. ბრძანება გასცა მეფემ, კლარჯეთს შეიყარენითო. თებერვლის თვე იყო და სასტიკად ჰყინავდა. გმირი მეფე არ შეუშინდა უამინდობას და არც მტრის სიმრავლეს, თავის მარჯვე მეომრებით ,,გადაფრინდა" აჭარას, შევიდა

ტაოსკარს, მილეწა თურქობა და სრულიად იავარჰყო მისი სარჩო-საბადებელი (1116 წ.)

შემდეგ ამისა სისწრაფით წამოვიდა ქართლს, გაიარა კახეთი, მივიდა ნუხს, დაიმორჩილა გიშ-ნუხის პატრონები ასამ და შოთა გრიგოლისძენი (1117 წ.), თვითონ კი დადგა, ხოლო თავისი შვილი დიმიტრი წარგზავნა ლაშქრობით შარვანს (შირვან-ბაქოს მხარეს).

დიმიტრიმ სახელოვნად ილაშქრა, დაიპყრა, დაიმონა ყალამორი და დაბრუნდა გიშს იმავე წელიწადს.

მეფემ აღარ შეიგვიანა. მოუვიდა ცნობა, რახსის (არაქსის) პირის თურქობაში დიდი მოძრაობა აღმოჩნდაო. მეფე აიყარა ბზობის დღეს, გიშით გადმოვიდა განუხს (აწინდელ საინგილოს) და იქიდან სწრაფად წავიდა რახსის მხარეს. თურქთა ერი ვერც კი იფიქრებდა, რომ ქართლთა მეფე გაბედავს აქ მოსვლასო, მაგრამ მათ მიერ მოულოდნელი და შეუძლებელი შესაძლებელი შეიქმნა. ქრისტეს მხედარი დიდის მრისხანებით თავს დაესხა ქრისტეს მოძულე თურქობას, მოსრა გმირულად და ამოაგდო იქაურობიდამ (1118 წ.). შემდეგ ძლევამოსილი შემობრუნდა, შემოვიდა დებედას ხეობაში, შემოერტყა ციხე ლორეს, მოსწურა და აიღო იმავე წელიწადს, მერე გამოვლო და აიღო აგარანი (1118 წ. ივლისში).

საცა ჩნდებოდა ღვთის მოსაგრე მეფე, იქ მტერი, ვით ქონი აღგზნებულ ცეცხლის წინ, ფიცხლავ დნებოდა, ილეოდა. მტერი მალე დარწმუნდა, რომ პირდაპირის შებრძოლებით მეფეს ვერაფერს დააკლებდა, ამიტომ მოპარვით ბრძოლას ხელი მოჰკიდა. მეფეს განიგულებდა თუ არა შორს სადმე, შემოიპარებოდა ავაზაკურად და დაეცემოდა ამა თუ იმ სიმაგრესა და ციხეს.

1120 წელს მეფე იყო იმერეთს. იმ წელს სასტიკი ზამთარი იყო. მტრებს გაუხარდათ, მეფე შორს არისო და კორტოხზე გადმოსვლას ვერ შესძლებსო. ამიტომ უდარდელად შემოვიდნენ საქართველოში, აიღეს ბოტორას ციხე და არემარეს რბევა იწყეს. სცნა ეს შემდეგ, დიდის მძვინვარებით გადმოლახა ღრმად დათოვლილი ლიხის მთა, მოვიდა, მოულოდნელად დაეცა ბოტორას, აიღო იგი 14 თებერვალს 1120 წელს და უწყალოდ მოსრა მტერი.

შემდეგ ამისა დაუსვენებლივ წავიდა ღანუხს, იქიდგან ყაბალას (ყაბალა ვართაშენის ახლოა, ნუხის მაზრაში), მერე ჟიათით არბილას და ქურდევანით შიშტალას. დაიპყრა ეს ადგილები, ყველგან ჩააყენა თავისი მოხელეები და წავიდა შარვანს, რომლის მთავარი მოეკლათ დარუბანდელთ. მეფემ დიდი ვაჟკაცობა გამო-იჩინა, დაამარცხა დარუბანდელნი, დაიპყრა სევგელმენი და სხვა ადგილები (1120 წ.), გამარჯვებული დაბრუნდა და იმავე წელიწადს წავიდა აფხაზეთს, განაგო იქაური საქმეები, მოვლო ბიჭკონტია და სხვა სალოცავები.

თურქებმა, სცნეს-რა, მეფე შორს არისო, ჩამოდგნენ მტკვრის ხეობაში საზამთრო იალაღებზე. ამ წელსაც ზამთარი იყო ცივი, დიდ თოვლიანი. ლიხის მთაზე სამი ალაბის სიმაღლე თოვლი დაედო. მეფე არ შეუშინდა სიცივეს. გადმოლახა ლიხის მთა, მოვიდა. გრიგალივით, უგრძნეულად მიესია მტერს და გააქრო იგი ისე, რომ ამბავის სახსარი აღარ დაუნარჩუნა (მარტს 1121 წ.).

იმავე წლის ივნისში მტკვარი მეტისმეტად ადიდებული იყო. მეფე არ შეუშინდა წყლის სიდიდეს ალონს (ალაზნის შესართავის ახლოს) გასცურა მტკვარი, თავს დაესხა ბარდავის (გონჯის) თურქმანთა, დალეწა საშინლად და დიდის ალაფით დაბრუნდა.

ახლოვდებოდა ქართველთათვის სასიხარულო და მტერთათვის სავალალო დრო. მტერს აწ ეჭირა კიდევ ტფილისის ყოფა-მდგომარეობაც მიწურულიყო და დღეს თუ არა, ხვალ ქართველები ამასაც აიღებდნენ. ამიტომ აქაურ მოვაჭრე თურქებმა წვერ-პირი შეიღებეს, თავი გაიმურეს, წავიდნენ სპარსეთს და იქაურს სულთანს მოახსენეს თურქთა სიბედშავე და გაჭირვება.

სულტანი განძვინდა ქართველობაზე, იხმო არაბთა მეფის სადაყეს შვილი დურბეზი, მოუწოდა თვის ლაშქარს, აგრეთვე თურქთ, არაბთ, სპარსთ დამასკოთგან ალამამდე, კვლავ განძის ათაბაგს, სპასალარობა ჩააბარა ილღ არდუხისძეს. მას გამოატანა თავისი შვილიც, მელიქი; შესდგა 400000-600000 მეომარი და ეს დიდი ლაშქარი წამოვიდა საქართველოსკენ და დადგა თრიალეთს, მანგლისს, დიდგორს.

მეფემ მოამზადა თავისი ლაშქარი და მტერს გაუმკლავდა ახოვანად (18 აგვისტოს 1121 წ.). შეიქმნა სასტიკი და საშინელი ბრძოლა, ასეთი საშინელი, რომ დედამიწა ირყეოდაო. მან ისეთის სიმედგრით, სიმხნით და მოხერხებით მიუსია ქართველები მტერს, რომ მალე აგარიანთა მძოვრებით აივსო მინდორ-ველი, ღელე-ხევები, დაიჭრა, დაიკოდა, და მოკვდაო 400000-მდე, დატყვევებულ იქმნა 20000-მდე და დანაშთენი გაიქცნენ, გაიქცა აგრეთვე დურბეზი და დაჭრილი ილღაზიც ძლივს გადარჩა. ქართველებს დარჩათ მათი აუარებელი დავლა:-არაბული რაშები, რემ-ჯოგები, კახვერი, ოქრო-ვერცხლი, ქოს-ფილავკანერი, ჯამ-ჭურჭელი, საქართველო აღივსო ნაალაფევით.

ზენაარი სიმართლე იყო შემწე გმირ ქართველებისა და მათის მეფისა. საქართველომ ამ დღეს მოიხვეჭა სახელი უძლეველისა, შარავანდედი დიდებისა და რაინდობისა.

მამათ ცხოვრება ასე აგვიწერს ამ გამარჯვებას:დავით

მეფემ ,,პირველსავე ომსა იოტა მტრის ბანაკი, რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ჰფარავდა მას და წმ. მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველას სახილველად წინაუძღოდა, მკლავითა თვისითა მოსრვიდა უსჯულოთა, ისე ძლიერად მოსრა და ისეთის სიმარჯვით წარიქცია და სდევნა, რომ აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მათის მძორებით, ხოლო სპანი ჩვენნი და ყოველი სამეფო აღივსო ოქრო-ვერცხ-ლით, არაბულის ცხენით, ასურულ ჯორით, კარავ-საფარდაკებით, უცხო ჭურჭლებით, საბრძოლველ იარაღით, ჯოხითა და ფილაკავნით, ტურფა სანადიმო სასხურებელით, სამზარეულო ჭურჭლით. რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს ყველა მისი აღწერა! თვით გლეხნიც ატყვევებდნენ არათუ სხვადასხვა გოლიათებს, არამედ თვით მტრის მეფეებსაც!

მეორე წელს (1122 წ.) მეფემ აიღო ისანი, კოდა და მთელი **ტფილისი**, 500 თურქი მოაშთო, ბევრი გაჟლიტა, დანაშთენთაგან ზოგი გაიქცა, ზოგი თავდახრით მოვიდა მეფის წინაშე და მონურ-ძმური ქვეშევდრომობა აღუთქვა.

ასრე განთავისუფლდა საქართველოს დედაქალაქი, 400 წელიწადს (722-1122) აგარიანთა დედაბუდედ ყოფილი.

სიხარული განთავისუფლებულ საქართველოისა იყო უზომო, გარდამეტებული.

ჯერ ისევ ამ სიხარულისა და ტფილისის მოწყობაში იყვნენ ქართველები, რომ შარვანს კიდევ შემოვიდა იგივე სულთანი სპარსეთისა. მას ჰყავდა დიდი ლაშქარი. სულთანმა შეპყარა შარვანის მთავარი შარვაშა, აიღო შამახია და მეფე დავითს შემოუთვალა ამაყურად:,,შენ ტყვეთა მეფე ხარ და ვერაოდეს გამოხვალ ველთა ზედა. შარვაშა შევიპყარ და ხარჯს გთხოვ, შენც გინდ ჯეროვანი ძღვენი გამომიგზავნე და გინდ სამალავით გამოდი და მნახე”.

ამის პასუხად მეფე თავის ლაშქრით მოულოდნელად გაჩნდა სულთანის ლაშქრის წინ. სულთანს თავზარი დაეცა, შეივლტო შამახიაში და გარემოიზღუდა სხირტითა, ხანდაკებითა (თხრილებით) და ზღუდით. მაგრამ აქაც გამაგრება ვეღარ მოახერხა, მეფეს გამოუგზავნა, ვითარცა მონამ ბატონს, დიდი ძღვენი და ითხოვა გზა სამლტოლვარო, იგი იყო დამშეული და წყურვილით შეწუხებული. მის წინაშე მიმავალი ხანის ათაბაგი აღსუნღული და მისი ჯარი მოსრეს მეფის მოწინავე მეომრებმა. აღსუნღულს დაეღუპა 40000 კაცი, ხოლო თვითონ მარტო მივიდა სულთანის წინაშე, რომელიც იქ ვეღარ დადგა, გაიპარა ციხიდამ და გადიკარგა (1123 წ. მაისს).

მეფე დაბრუნდა, რამდენიმე დღეს დაისვენა ამთენს და მეორე თვეს, ივნისს, ისევ წავიდა შარვანს აიღო შარვანის სატახტო ქალაქი გულისტანი, (11223 წ.) ისევ შეიერთა შარვანი, კეთილით აავსო თავისი მორჩილნი და დაბრუნდა და წავიდა იმერეთს რთლობას.

შემოდგომა და ზამთარი მეფემ გაატარა იმერეთს. ცხოვრობდა გეგუთის სასახლეში, ნადირობდა იქაურს ტყეებში, განაგებდა იქაურს საქმეებს.

მარტის დამდეგს (1124 წ.) მეფე გადმოვიდა ქართლს, აიღო ქალაქი დმანისი; აპრილს ქართველნი მიესივნენ შამუხინს დარუბანდელსა, გასწყვიტეს ქურთნი, ლეკნი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქვეყანა. მაისში მეფემ დაიჭირა სომხითის ციხენი-გაგი, ტერო-ნაკალი, ქვაზინი, ნორიშიდი, მანასგომი და ტალინჯაქარი. ივნისს წავიდა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნივოლა, ბასიანი სპერმანდოს (ჭოროხ-შავზღვამდის) და საცა თურქმანნი ჰპოვა, მოსრა და ტყვეჰყო, მერე ჩამოვლო ბუიათ-ყური, დასწვა ოლთისი და მოვიდა თრიალეთს და დადგა მოჟანის წყაროზე.

20 აგვისტოს (1124 წ.) მოჟანის წყაროზე მდგომ მეფის წინაშე მოვიდნენ ქალაქ ანისის თავადთა მწიგნობარნი და მოახსენეს მეფეს თვისი ერთგულება, ანისისა და მისი ციხის მოცემა. ანისი ეჭირათ თურქებს და აქ მაშინ მტარვალობდა მთავარი ბულასვარ. მეფე მესამე დღესვე (23 აგვისტოს) 60000 მეომრით გაუდგა ანისის გზას, მივიდა, გარემოიცვა ქალაქი და მესამე დღეს აიღო ქალაქიცა და მისი ციხე-სოფელნი და არემარენი, ამოსწყვიტა 20000 აგარიანი, ბულასვარი, მისი რვა შვილი, მისნი მხევალნი და რძალნი დაატყვევა და აფხაზეთს გამოისტუმრა,*) ანისი შემოუერთა მცხეთას და გამგედ დაუდგინა აბულეთი და მისი შვილი იოვანე ორბელიანი.

ანისის დიდებული ტაძარი თურქმანთ თავიანთ ჯამედ ექციათ, მეფემ მოიწვია სომხეთის სამღვდელოება, ხელახლა აკურთხევინა, ხელახლა განამშვენა. მტარვალთა ხელისგან განთავისუფლებული სომხის სამღვდელოება ადიდებდა ღმერთსა და ლოცავდა დავითს.

ამ დროს მოხდა შემდეგი სასწაული:ანისის ტაძარში ესაფლავა სომხების დედოფალი კატრონიკ. წირვის ჟამს მისს საფლავის პირს დადგა დავით მეფე და დედოფალს ჩასძახა:,,გიხაროდენ, დედოფალო! შენი ტაძარი ღმერთმა იხსნა აგარინთაგან.” საფლავიდან კატრონიკმა ამოსძახა:,,მადლობა ღმერთსა!”

,,ეს დღეო, შენიშნავს სომხის მწერალი მათე, ჩვენის გვარ-ტომისათვის იყო დღე ბედნიერებისა, ვინაიდგან წმიდა ტაძარი ანისისა განთავისუფლდა მტარვალთა მფლობელობისაგან.”

ასრე განაგო, განამტკიცა მეფემ სომხეთის საქმე და დაბრუნდა. შეისვენა ცოტახანს და ისევ შარვანის გზას გაუდგა, მივიდა-რა, აიღო ქალაქი შამახია, ციხე ბივსიტი და ყოველი შარვანი, ციხე-ქალაქებში ჩააყენა კახეთ-იმერეთის ლაშქარი, გამგებლად და იქაურ საქმეთა ზედამხედველად დაადგინა მწიგნობართ უხუცესი სვიმონ

ჭყონდიდელი, მთავარ ეპისკოპოზი, მაშინ ბედიელ ალავერდელობის მქონებელი, კაცი ყველაფრით სრული და ბრძენი. მეფემ განაგო ყოველი საქმე შარვანისა, კეთილით აავსო ქურთნი, ლეკნი და თარასნი და დაბრუნდება ქართლს (1124 წ.).

ამ დროს მეფემ მოიტანაო აგრედ წოდებული დარუბანდის რკინის კარები, რომელიც დღეს გელათშია. ამ კარებს აწერია არაბულად:"სავირ ბენი-შედდად განჯელის ბრძანებით ეს კარები გაკეთდა 1063-1064 წელსა".

მეფის სიმკვირცხლით ლაშქრობამ და მისმა ძლევამოსილობამ მტრები დააშინა და შეაძრწუნა ისე, რომ თვით სპარსეთის დიდი სულთანი მეფეს ზედიზედ უგზავნიდა აუარებელ ძღვენს, მძიმე ჭურჭელს, ძვირფას ფარჩას, უცხო-უცხო ფრინველებს და ნადირებს და ეხვეწებოდა მშვიდობა მიენიჭებინა მისთვის და მის ქვეშევდრომთათვის.

ამ სახით, ქართველთა დაკნინებული სამეფო დავით მეფემ განადიდა და განავრცო დარუბანდიდან ჭოროხის თავამდის და ტრაპიზონამდის, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდის, კავკასიონის მწვერვალიდგან ანი-ქალაქამდის. ყველგან ფრიალებდა ქართველთა დროშა, ყველგან აქ გაისმოდა ქართველთა ქება-დიდება. და ამ ძლიერებისა და დიდების საძირკველი კი გაინასკვა პატარას, მაგრამ ჩვენთვის წმინდად მისაჩნევს, **წაღვლის** თავში.

წაღვლი აგარიანთათვის წარღვნად იქცა, ხოლო ქართველთათვის წაღმართ სავლელ გზად და ხიდად.

აქ თავდება მხედრობისა და ლაშქრობის ამბავი. მეფეს ამდენ გამარჯვებას ანიჭებდა მისი საკუთარი სასარდლო და სამეფო ღირსებანი, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ დროს თითქმის მთელი მაჰმადიანობა გართული იყო ,,ჯვაროსანთა ომში, თითქმის მთელი აგარიანობა ებრძოდა ევროპის საჯვაროსნო ლაშქარს იერუსალიმის არემარეზე, ამის გამო მაჰმადიანთა უმთავრესსა და უმეტეს ძალას არ ეცალა საქართველოსათვის, რომლის დაცვა მინდობილი ჰქონდა მხოლოდ ადგილობრივ მაჰმადიანებს და სპარსეთის სულთანს.

ამას გარდა, საქართველოს ძლევამოსილობას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მეფის შორსმხედველობის წყალობით ერთობა და მეგობრობა დამყარდა ოსეთსა, ყივჩაღეთსა და სომხეთ-საქართველოს შორის.

მეფე კარგად ხედავდა, რომ საჭირო იყო დიდი ლაშქარი ერთის მხრით დაპყრობილ ციხე-ქალაქებში ჩასაყენებლად და მეორეს მხრით მტერზე იერიშის მისატანად. ამისათვის მეფე დავითმა შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით სულისა მიერ წმიდისა, აღაღო მაღლა თავი თვისი და განიცადა, რომ ასაკში იყვნენ მისნი ლაშქარნი და ესეც ალექსანდრე მაკედონელივით მოიქცა. ვინმე ფილოსოფოსმა უთხრა მეფეს:,,არიანო მრავალნი და ურიცხვნი სოფელნი, რომელთა არცა სახელი გსმენიაო". მან უპასუხა:,,უკეთუ დამშთეს ესენი, რაი იყოს მპყრობელობა ჩემიო".

მეფემ იცოდა, რომ საქართველოს ახლო მეზობლად იყვნენ ოსნი და მხნე მეომარნი ყივჩაღნი. ადგა მეფე და თვით დარიალის გზით შევიდა ოსეთსა და ყივჩაღეთს, შეირთო ცოლად ყივჩაღთა მეფის ათრაქა შარაგანიძის ასული გურანდუხტ (წინად მეფეს ჰყვანდა ცოლად სომხის მეფის ქალი), შეარიგა ოსთა და ყივჩაღთა მთავრები, ყივჩაღეთიდგან მოიყვანა 40000 მეომარი, ამათ მიუმატა ქართველთა ლაშქარიც, ყველა მეომრებს დაუნიშნა სახელმწიფო ულუფა, ჯარი კარგად გაწურთვნა და გააწესრიგა ისე, რომ ამ დიდს ლაშქარს გრიგალ-ქართულად გაუტევდა ხოლმე იქითკენ, საითაც შენიშნავდა მტრის მოძრაობას.

სახელმწიფო კაცების ამორჩევაშიაც მეფეს დიდი ნიჭი ჰქონდა, და მათის შრომისა და ღვაწლის დაფასებაც იცოდა. ამათ შორის უპირველესი და მეფის უმახლობელესი იყო მწიგნობართ უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი. ეს სიყრმითგანვე მეფის მსახურებაში აღზრდილი იყო. მეფე რომ ოსეთს წავიდა, ეს გიორგიც თან წაიყვანა, მაგრამ გიორგი იქვე, ოსეთს, მოკვდა; მეფემ მისი გვამი წარმოგზავნა საქართველოს და 40 დღე იგლოვა, რომ ამისთანა ჩინებული კაცი დაკარგა. გიორგი დამარხეს გელათს.

უნდა შევნიშნოთ, რომ დავითის სამეფოს გამგეობა წმინდა ქრისტიანულად მოეწყო, ალბად იმის დასამტკიცებლად, რომ იგიც, ევროპიულ ჯვაროსანთა მსგავსად, ემსახურება მხოლოდ ქრისტიანობას და მონაწილეობას იღებს საჯვაროსნო ომში მით, რომ მაჰმადიანთა არამცირე ნაწილს აბანდებს საქართველოს არემარეზე და ნებას არ აძლევს ამ ნაწილს შეუერთდეს დანაშთენ მაჰმადიანობას, მებრძოლს ევროპიელებთან.

მხოლოდ ამგვარ თვალსაზრისით შეგვიძლიან ავხსნათ ის გარემოება, რომ მეფე თვით დაპყრობილ სამაჰმადიანო შირვანის გამგედ ნიშნავს სვიმონ ჭყონდიდელს და ბედიელ ალავერდელის მთავარ ეპისკოპოზს, აგრეთვე ჯარში სპობს ყოველგვარ საერო სიმღერებს, სამხიაროდ, განცხრომას და შემოაქვს მხოლოდ სასულიერო გალობანი.

ამავე საქრისტიანო აზრით მეფემ 1103 წ. მოიწვია ურბნის- რუისის სასულიერო კრება. თვით დადგენილებანი ამ კრებისა ცხადად მოწმობენ, რაოდენად დაცემულიყო ზნეობა საქართველოს სამღვდელოებაში, რაოდენად შერყვნილიყო აზრი ქრისტიანობრივ სიმდაბლისა, სიყვარულისა ბევრს საყდარი არა ღირსებად მოეტაცნაო, უსწავლელნი და უმეცარნი ქურდულად შესულიყვნენო ღვთის ტაძარში, ბილწება, სოდომელთ ცოდვა, უძღებობა, ქრთამის აღება, უჯერო ქორწინება და მრ. ბოროტება გავრცელებულიყო. ყოველივე ეს უკუღმართობა აღკრძალა ურბნის-რუისის კრებამ, უღირსნი ეპისკოპოსნი განაყენა, ღირსეულნი მათ ადგილას დაადგინა. მეფემ კრების განაჩენი დაამტკიცა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღმოჩნდნენ ბევრნი, რომელნიც არ დაემორჩილნენ ამ განაჩენს. აი ამის ერთი მაგალითი.

თვით მეფე დავითი მოგვითხრობს შემდეგს:იყო ღვთის შემაწუხებელი ძაგანი და მისი ძე მოდისტოსი, წინაუკმო მღვდელმოძღვარი. ერთმა ამათგან ,,თვისთა პატრონთა წყალობა მათზედა საისრედ აღმახვა, ხოლო მეორემ ეკლესიები თვისად მიიტაცა. მაგრამ ეს მწყემსი ჭეშმარიტ მწყემსებმა დაამხეს, ხოლო ძაგანი, შევტოლვილი შიომღვიმეს, ღმერთმა ხელში ჩამიგდო, რადგან მღვიმის ბერები დამეხმარენო”.

სჩანს, ურბნის-რუისის კრების დადგენილება არ მიუღია ხსენებულ ძაგანს და მის შვილს მოდისტოს და მიტაცებული საყდრები არ დაუთმიათ.

სიგელის დანაშთენ მოთხრობიდგან სჩანს, რომ მეფეს ეს უკუღმართნი შეუპყრია, შარვანზე გალაშქრების წინად შიომღიმეს შეუვლია, ბერებისაგან ლოცვა კურთხევა აუღია და წმ. შიოს შეჰვედრებია, მისცეს მეფესა და მის ლაშქარს გამარჯვება. ამ დროს (1123 წელს) საშუალ შიომღვიმის მონასტრისა მეფისაგან დაწყებული საყდარი-სახსოვრად ძაგან-მოდისტოს დამხობისა, დასრულებულ იყო.

შიო მღვიმის მამების დახმარებით ძაგანი რომ შევიპყარიო, განაგრძობს დავით მეფე, შიო მღვიმეში მიველიო, თაყვანი ვეც წმ. შიოს საფლავს, ვნახე მემღვიმე მთავარ მამა მიქელი და სხვანი, სულითა ღვთისათა განათლებულნი, მამანი, სიხარულით აღვსილნი, რომ ვნახე ეს სამოთხის მსგავსი ლავრა, მოვუწოდე არსენი ბერს და

ვუბრძანე აეშენებინა საყდარი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა მონასტრის ეზოს საშუალ-არსენი ბერისა და ჩემის მოძღვრის იოანეს რჩევით შიო მღვიმის მონასტრის წესნი სვიმონ-წმინდელის წესზე დავსხიო. თუ მე დავბრუნდი, ხომ კარგი, თუ არა და-არსენი ბერს აქვს ფული (,,კოსტანტი" და ,,პესპარა"), მით ეკლესიას კალაპოტი გამოუყარონო, მოლესონ, მოხატონ, და ძემან ჩემმან დიმიტრიმ და ჩემთა ბერთა აკურთხონ ქართლის კათალიკოზის იოანეს ხელით და თანადასწრებით იმერ-ამერთა ყველა ეპისკოპოსებისა. სიგლები მღვიმისა განმიახლებია და დამიმტკიცებია. მისთვის შემიწირავს ბროლისა, ბაზიჯის და მინის კანდელები, სასანთლეები, სიწმინდის სამსახურებელი და 30 ლიტრა ვერცხლი, ცვილი სანთლისათვის, ძმათათვის პური, ხილი 500 დრამისა, ღვინო ერთი საწყავი, შემოსავალი ქულბაქთა, საზეთეთა და წისქვილთა-შესამოსლების შესაძენად, 30 ჯორი, 2000 ცხვარი მე მომიბოძებია და მონასტერს ჰყავს კიდევ 3000, ამ 5000 ცხვარს უბაჟოდ ეთმობა საბალახე, ასი ფური მომიძღვნია, თვალი, მარგალიტი ჩემის ხატისთვის, ბარძიმ ფეშხუმი და სხ. შვიდეულის ყოველს პარასკევს თითო კირასული ღვინო სეფისკვერთან შესვან და მილოცონ ასრე:,,უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცდომილებისა". ასი დრაჰკანი მღვდელთა და მგალობელთათვის შემიწირავს, თუ ვინ დააკლებს ამას ნუოდეს...

დავით მეფის ცხოვრება აღსავსეა კეთილის მზრუნველობითა და მაგალითებით.

1106 წ. დავითმა განიზრახა აეგო უდიდესი მონასტერი. ადგილი აირჩია შემკული და ჩაჰყარა საძირკველი გელათის უპირველეს საყდრისა საოხად ღვთისმშობლისა. კედლები ამოაყვანინა დიდრონის თლილის ქვით. მატიანე ამბობს:,,ვითარცა მეორე ცა გარდაართხა ყოვლად წმიდისა ტაძარიო, რომელი სჯობს ყველა წინანდელ ნაშენებს შვენიერებითა, სივრცითა და ნივთთა სიმრავლითა". ეს მონასტერი მეფემ აავსო წმ. ნაწილებით, წმ. ხატებით, სამსახურებელით, იქვე დადგა ძვირფასი ტახტები ქართველთა ძველის მეფეებისა, სასანთლეები, ფერად-ფერადი საკიდელები, გვირგვინებით ფიალანი, სასმურები, რომელნიც მეფემ წაართვა არაბთა მეფეებს, მასში შემოკრიბა ცხოვრებით წმინდა კაცნი, მონასტრებს მიუძღვნა უმემკვიდრეოდ დარჩენილი სალიპარიტო მამული, განუჩინა უზრუნველი ტრაპეზი, და მალე გელა-თი გაბრწყინდა, იქცა მეორე იერუსალიმად აღმოსავლეთისა, სასწაულად კეთილისა, მოძღვრად სწავლისა, ქართველთა ათინად, საეკლესიო შვენიერების წესად და კანონად. დღესაც გელათი იქცევს ქვეყნის ყურადღებას თავისს დიდებულებით, თავის ძვირფას სამკაულითა, წმ. ნივთებითა და ხატებით. ამათ შორის შესანიშნავია თვალწარმტაცად მომინანქრებული და ძვირფასად თვალმარგალიტით შემკული ხახულის ხატი, აღმაშენებელისი და მის მამის დიდი ბეჭედი, თამარ მეფის ფოსტლები და სხ.

მეფეს ფრიად უყვარდა განათლება. ყოველწლივ 22-მდე ყმაწვილს გზავნიდა საბერძნეთს უმაღლეს სწავლის მისაღებად. ამავე აზრით მან კახეთის დაბებში, გრემსა და იყალთოს, დააარსაო უმაღლეს განათლების მისაღები სასწავლებელნი, აკადემიები. ამათი მოთავენი იყვნენ არსენი, ეფრემ მცირე, ივანე ტარიჭისძე, თეოფილე და სხ.

თვით მეფე წიგნს არაოდეს არ იშორებდა. შინ იყო თუ ბრძოლის ველზე, სანადიმოდ მიდიოდა თუ სანადიროდ, ყველგან და მუდამ თან წიგნი დაჰქონდა, წიგნს არ იშორებდა. წიგნი შეიტკბა დავითმაო, ვით მცირე პტოლომეოსმა, ისე შეიყვარა და შეითვისა ყველა წიგნები, ძველად და ახლად ნათარგმნი, რომ გეგონებოდათ ,,მათ შინა იგი არს ცხოველ და მათ შინა იძვრის; იგი იყვნეს მისი საზრდელი, ტკბილი და საწადელი სასმელი, საშვებელი დღე და ღამ". ყველგან

მისთვის წიგნები ჯორ-აქლემებით დაჰქონდათ, როცა დასასვენებლად ჩამოხტებოდა, წიგნს კითხულობდა ანდა სხვას აკითხებდა და თვითონ ისმენდა, ღრმა ადგილების განმარტებაში შედიოდა. ასრეთი გულმოდგინე და წიგნის მოყვარე იყო დავითი. მეფეს უფრო მეტად სამოციქულოს კითხვა უყვარდა, ხანდახან ამ წიგნს წელიწადში 24-ჯერ გადაიკითხავდა ხოლმე. მეფის მიერ წიგნის კითხვის მოყვარეობას ასრე ახასიათებს მემატიანე:

ტფილისი ჯერ არ აეღო მეფეს და მაჰმადიანნი ისევ ბატონობდნენ აქ. მათ დასამზერად შემოსული მეფე ავჭალის ხეობაში ჩამოხტა და სამოციქულოს კითხვაში გაერთო. მისი რაზმი წავიდა ლოჭინისკენ და იქიდგან გამორეკა ტფილისელების ნახირი. ტფილელ მაჰმადიანებმა თვალი მოჰკრეს და გზა გადაუღობეს. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა. მეფეს ესმა კიჟინის ხმა. კითხვას თავი დაანება, შეაფრინდა თავის ცხენს, გამოაჭენა, დაერია მტრებს და ჭრა-კაფით ქალაქის კარებამდის სდია. შემდეგ მეფე კვლავ დაუბრუნდაო თავისს წიგნს.

სიტყვით, მეფე იყო წიგნის ტრფიალი და ამან უფრო განაბრძნა ბუნებითვე დიდის ნიჭით დაჯილდოვებული ხელმწიფე. სამართალს ისე იქმოდა, ვით ბრძენი სოლომონ, მისი საბჭო-სამართლის სასწორი წამსაც არ გადიხრებოდაო; სიწმიდეთა სათნოება ესოდენი მოიგოო, ვით დიდმა ანტონიმ. მეფემ კარგად იცოდაო სამეფოს კიდეთა და ნაპირთ წესიერად განგება და მოვლა, სამეფოში ყოველგვარ განხეთქილების დაშოშმინება-დაწყნარება, გაამაყებულ მთავართა ზაკვის გამოცნობა, წურთნა, დასჯა და ან პატიება, ელჩების მიღება და დახვედრა, ნიჭიერ კაცთა ზედა წყალობის მიყენა, შემოსავალ-გასავალის ანგარიში, გაწესრიგება. და არათუ მარტო ეს იცოდა მეფემ, არამედ, თვით მონასტერნი და საეპისკოპოსო საყდარნი ,,წესსა და რიგსა ლოცვისა და ყოვლისა საეკლესიო განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან”.

მეფემ ყოველ ბეგრისა და ხარჯისაგან გაანთავისუფლა მონასტერნი და ლავრანი, ბერნი და მღვდელნი, ააშენა მრავალი ხიდი, ქვაფენილი გზები გაიყვანა, ააგო კიდევ მრავალი საყდარი, გააქრისტიანა ყივჩაყიდგან მოყვანილი მეომრები და ბევრი სხვა ურჯულონი.

მეფე იყო ფრიად ქველი, ღარიბ-ღატაკთა შემბრალებელი. თავის ნანადირებულით აღებულს ფულს აგროვებდა ქისაში, ყოველდღე ეს ქისა თან დაჰქონდა და ყველა შეხვედრილს ღატაკს გაიკითხავდა ხოლმე, და თუ რომელსამე დღეს არ შეხვდებოდა ვისმე ღარიბსა და უქონელს, იტყოდა ხოლმე:,,დღეს ვერ მივეც ქრისტესა ჩემის ცოდვის გამო”. ამგვარად შეგროვილი ფულისაგან ერთხელ მეფემ თავისს მოძღვარს იოანეს მისცა 24000 დრაჰკანი დასარიგებლად გლახაკთათვის და უქონელთათვის.

ავადმყოფთა და უძლურთათვის მეფემ ააშენა დიდი ქსენონი (საავადმყოფო) და გაუჩინა მას უხვი საზრდო-საკვები. მეფე ხშირად თვით მიდიოდა უძლურთა სანახავად, უსინჯავდა მათ ქვეშაგებს, ლოგინებს, საჭმელსა და სასმელს, ყველას ანუგეშებდა და აძლევდა ოქრო-ვერცხლსა. ძნელ ავადმყოფებს ასინჯვებდა მკურნალებს.

მოგზაურთა სადგურად და დასასვენებლად მეფემ ააშენა შვენიერი სასახლეები, აგრეთვე მგოსანთა და ქადაგთა თავსაფრად. მგზავრსა და მგოსანს, რომელსაც კი მეფე შეხვდებოდა, მამაშვილურად მოიკითხავდა ხოლმე და, ვინც უქონელი იყო და მგზავრობის განგრძობა აღარ შეეძლო, ფულს აძლევდა და ისტუმრებდა.

მეფე გულუხვი ქველი იყო არათუ მარტო საქართველოს შვილთათვის, არამედ ასურეთისა, საბერძნეთისა, პალესტინისა, კვიპრისა, შავმოისა, ათონისა და სინას მცხოვრებთათვისაც. აქაურებს მეფე გულუხვს შესაწევარს უგზავნიდა ხოლმე.

განსაკუთრებით დიდი კეთილი მიაგო მეფემ უფლის საფლავს, საცა ქართველებს ჰქონდათ საკუთარი სამლოცველო.

სინას მთაზედვე მეფემ ააშენა წმ. ეკატერინეს მონასტერი, რომელიც გაამდიდრა ყოველის შემკულობით, წიგნებითა და წმ. ჭურჭლით. და ,,წარსცა მას ოქრო მრავალ ათასეული და მოსაკიდებელი ოქსიონნი და წიგნები საეკლესიო სრულებით დასამ-სახურებელნი სიწმიდეთა რჩეულის ოქროსა". ეს ტაძარი მეფემ ააშენა მოსაგონებლად და მოსახსენებლად თავის ასულის ეკატერინესი, რომელიც მიათხოვა (1116 წ.) ალექსის, ნიკიფორე ბრიენისა და ანა კომონიანოსის შვილს.

თავის სამეფოში სვლის დროს, სიჩქარისა და ჯარისა თუ ამალის (მხლებლების) სიმრავლის გამო, მეფე ვერ განიკითხავდა ხოლმე ღარიბ-ღატაკებს და ყველა იმათ, რომელთაც ან საჩივარი ჰქონდათ და ან რამე სათხოვარი. ამისთანები, ვით ზაქე, ავიდოდნენ ხოლმე მაღალს ხეზე ან ბორცვზე და დაენახვებოდნენ მეფეს. მეფე იმ ხანს ჩაივლიდა და ღარიბების საჭიროების შესატყობად თავისს მოხელეს გზავნიდა, შეიტყობდა ყველაფერს დაწვრილებით და მერე, მოცლის დროს, მათს თხოვნას დააკმაყოფილებდა.

დავითს სამეფოში ვერა-რა დაემალებოდა. მას ჰყვანდა ფრიად სანდო და პატიოსანი კაცები, რომელთა მოვალეობა მხოლოდ ის იყო, რომ შეეტყოთ, სად რა ხდებოდა, სად ვინ რას განიზრახავდა. შეიტყობდა-რა მეფე ყოველივეს, ავისათვის ავს სჯიდა, კეთილისათვის კეთილს ამხევებდა, აჯილდოვებდა.

არის თქმულება, რომ მეფე წყალში თევზსაც ამრავლებდაო: ამერეთის მდინარეების თევზებს იმერეთის მდინარეში სხავდაო და იმერეთის წყლებისას ამერეთის წყლებშიო.

ესოდენ დიდებული მეფე თავმდაბლობით განთქმული იყო:მან არ ითაკილა, როდესაც შარვანის მთავარმა ახსართანმა მეფეს ცოლად მოსთხოვა მისი უფროსი ასული თამარ.

ეს თამარი მისთხოვდა ახსართანს 1116 წლის წინად. თამარი აქ დიდხანს არ დარჩენილა. იგი მალე დაქვრივდა, სამშობლოში დაბრუნდა, გამონოზნდა, თეღვას ააშენა შვენიერი მონასტერი ყოველის მოწყობილობით და იქვე დასახლდა, იმოღვაწა, აღესრულა და დასაფლავდა..

ეს თეღვას ტაძარი დღევანდლამდე კარგად შენახულა. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, ჯვრის გარშემო, აწერია ასომთავრულით:

,,ქმნულებამან რაი აქაი სასუფეველისამა:სხვაი მიიღოს უწყებაი ყოფადისაი:მოქმედებითა შენ ზედა ჯუარცმითა:ქრისტეს ღუთისაითა, რომლისა მირთვისა:მარადის შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს;"-თიღვა და წაღვლისთავი ახლოს არიან ერთურთისაგან. სჩანს, დავითის სახლობის საყვარელი საცხოვრებელი ყოფილა ეს შესანიშნავი ადგილი, რომ დავითსაც აქედგან დაუწყია საქართველოს განთავისუფლების საქმე და მის ასულს თამარსაც თითქო ამ განთავისუფლების სახსოვრად აქ აღუგია უკვდავი ძეგლი-თეღვას მონასტერი.

დავითს ფრიად აწუხებდა, რომ ქართველნი და სომეხნი რჯულით ცალ-ცალკე იყვნენ და ამის გამო ხშირად მტრობდნენ ერთმანეთს. მან მოინდომა ამ წესით სამღვდელოების მორიგება და ბრძანა საცილობელი საგანი განეხილა ქართველთა და სომეხთ სამღვდელო კრებას. შეიყარა ორივე მხარის ნასწავლი სამღვდელოება. კრებას დაესწრო თვით მეფეც. გადასაწყვეტი საგანი ფრიად მარტივი იყო, მაგრამ სამღვდელოებამ გააჭიანურა საქმე. მემატიანეს თქმით, ,,შევიდიან შეუვალსა და ძნიად გამოვიდიან", ბჭობდნენ დილიდგან საღამოს მეცხრე ჟამამდე. მეფე მოთმინებიდგან გამოვიდა, მობაასეთ მიჰმართა ღვთის მეტყველურის სიტყვით და

,,პირნი დაუყვნაო”. მეფის ღრმა ცოდნამ გააკვირა სომეხთა სამღვდელოება და ამათ მოახსენეს ღვთის ცხებულს:

,,მეფეო, ვგონებდით შენ იყავ მათი მოწაფე, აწ ვცანით, შენ ყოფილხარ მათი მოძღვარი”. კრება დაიშალა, მეფის წადილიც- ქართველ-სომეხთა შერიგების შესახებ- აუსრულებელი დარჩა.

მიუხედავად ამისა, მეფე მეგობრულად ეპყრობოდა სომხებს. სომხის მწერალი მათე დავითის შესახებ სწერს:”დავითი იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით, მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა სომხის დანაშთენი ნათესავი. მათთვის საქართველოში ააშენა ქალაქი ლორეა და აქვე მრავალი ეკლესია და მონასტერი. მიაგო სომხობას ყოველგვარი ნუგეშისცემა და შვება”. სომხის სხვა მწერალი ამბობს:”დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურ წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა. იგი ხშირად თავს იდრეკდა ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას”.

დავითი ასრე ლმობიერად ეპყრობოდა არა მარტო სომხებს, არამედ დაპყრობილ მაჰმადიანებსაც:

ტფილისის მაჰმადიანებმა სთხოვეს მეფეს, ქრისტიანები ჩვენთან ერთად ნუ შემოვლენ აბანოშიო. მეფემ მათი თხოვნა შეიწყნარა. ყოველდღე მეფე და მისი შვილი დიმიტრი მაჰმადიანთ მიზგითში შედიოდნენ, ისმენდნენ სამეფო ლოცვას და ყურანის კითხვას. მოლებსა და მუაძინებს მეფე აძლევდა ულუფას. უცხოელთათვის მეფემ ტფილისში ააგო ქარვასლები და სადგომები. დავითი უფრო მეტ პატივს სცემდა მაჰმადიანებს, ვიდრე თვით მაჰმადიანთა მთავარნი.

ნაბუქუდუნოსო არის ხილვა ასეთი იყო:,,ვხედავდით ხეთა შორის ქვეყანასა, სიმაღლით ცისა მიმწვდომსა და რტოთა მისთა კიდემდე ქვეყანისა, ფურცელნი მისნი შვენიერ, ნაყოფი ფრიად საზრდელი მისი, შორის ქვეკერძოდ მისსა დაიმკვიდრეს მხეცთა ქვეყნისათა და შორის რტოთა მისთა ფრინველთა ცისათა, და მისგან იზრდებოდა ყოველი ხორციელი”. სწორედ ამ ხეს დაემსგავსა მეფე დავითი, რომლის ,,აჩრდილს შეკრებილ იყვნენ მეფენი და ხელმწიფენი ოსეთისა, ყივჩაღისა, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი, მის სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნის სახილველად და სასმენად მოდიოდნენ ქვეყნის კიდითგანო”.

ასეთი ბრძენი, კაცთმოყვარე და შემწყნარებელი იყო ღვთის ცხებული მეფე დავითი. და ღმერთიც იხსნიდა მას ყოველგვარ განსაცდელისაგან. აი, ორიოდე მაგალითი:

ერთხელ მეფე ნადირობდა მუხრანს. ნადირის დევნაში ცხენი წაექცა და ისე ძლიერად დაეცა მეფე ძირს, რომ ,,ყოვლად უსულო იყო, უძრავად”. მხოლოდ მესამე დღეს მეფე გონს მოვიდა და მომჯობინდა.

ქართლს ჰბრძოდენ რომელსამე ციხეს. მეფე კარვის წინ პერანგის ამარა იდგა. შუადღე იყო. ციხით მტერმა გამოისროლა ისარი, მაგრამ ისარმა ვერ ავნო მეფეს, რადგან იგი მოხვდა მთავარ-ანგელოზის ხატს, რომელიც მას გულზე ეკიდა.

ბევრჯელ მეფეს ხმლით გამოსდგომიან მოსაკლავად ყივჩაყნი ან თურქნი, მაგრამ ღმერთს ყოველთვის უხსნია იგი მტერთაგან.

და ასე, მეფემ დამდაბლებული სამეფო უზომოდ აღამაღლა, დანგრეული საყდრები აღადგინა, ახალი მონასტრები და ციხეები ააშენა, სკოლები გამართა, გააბრწყინა მწიგობრობა, ქვაფენილი გზები გაიყვანა, ხიდები გასდო, ქსენონები და სასტუმრობი ააგო, ლაშქარს გაუჩინა ულუფა, საქართველოს მოუპოვა სახელი უძლეველობისა. და ამის შემდეგ მაინც კიდევ იყვნენ თითო-ოროლა დუხჭირნი,

რომელნიც მეფის შესახებ საყვედურით ამბობდნენ:”ზოგს იყვარებს, განადიდებს, ზოგს იძულებს, ამცირებსო. ამას ამაღლებს, იმას ამდაბლებს, უსამართლოდაო”.

მაგრამ ესენი ეკუთვნოდნენ იმ ორგულების რიცხვს, რომელთაც საკუთარის კუთვნილების მეტი სხვა საზრუნავი არ ჰქონდათ. ამისთანების შესახებ მემატიანე სამართლიანად შენიშნავს:”ნუ უკვე დუხჭირმანცა აბრალოს სარკეს, რომ მის სახეს ცხადად უჩვენებს!-ნუ უკვე და ლომსაცა აბრალონ ეგევითართა, რამეთუ არა ციდა-მტკავლურად იხედავს, არცა კვერნურად ჰკრთების?!”

უდროოდ, სულ ორმოცდა ცამეტის წლის გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი (1125 წ. 24 იანვარს). გვამი მისი დიდებით მიასვენეს გელათს, დაკრძალეს და საფლავის ქვაზე წააწერეს მისივე სიტყვები:

,,როს ნაჭარმაგევს მეფენი
შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი
საზღვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა წყალთა შთამესხნეს,-
აწე ამათსა მოქმედსა
გულზედან ხელნი დამესხნეს”.

ხსენებულ შვიდ მეფედ იგულისხმებიან მეფეები:შარვანისა (დავითის სიძე, თამარის ქმარი აღსართანე), ბერძნის მეფე (სიძევე ალექსი), ყივჩაყთა მეფე ათრაქა შარაგანიძე (დავითის სიმამრი), ოსთა მეფე (მეგობარი), ბულასვარ ანის მფლობელი (ტყვედ წამოყვანილი), კახეთის მეფე აღსართან (დავითის ტყვე) და არანის მფლობელი.

ნაჭარმაგევი,-ეს დიდებული ადგილია, საცა აღმაშენებელის დროს სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა, საცა დავით მეფის შვილის-შვილი გიორგი და ამისი ასული თამარ მეფე აგარაკად გამოდიოდენ ზაფხულობით, დღეს მინგრეულ-მონგრეულა და იწოდება კარალეთად.

ასრე წარმავალ არს დიდება სოფლისა.

7 იანვარი, 1904 წ.

ბაგრატ მესამე (საქართველოს გაერთიანება).

,,სავაჭრო გზა” 1908, N 12, 9 ოქტ. გვ. 2-3; N 13, 10 ოქტ. გვ. 2-3.

დიდი ხანი არ არის, ჩვენში თამარ მეფესა და დავით აღმაშენებლის იქით სხვა მეფე არ სწამდათ, და არც ეგულებოდათ რუსთაველის წინამორბედი მწერალი. ხელმწიფობას იწყებდნენ დავით-გიორგი-თამარით, მწერლობას- რუსთაველით. ოქროს ხანად საქართველოს უთვლიდნენ მე-XI-სა და მე-XII საუკუნეებს, ხოლო არავინ კითხულობდა, როგორ და ვის მეოხებით შემზადდა და შენივთდა ეს ,,ოქროს საუკუნე”, ვინ განამტკიცა საქართველოს გაერთიანების საქმე, ვინ განაბრწყინა საქართველოს მწერლობა და ანუ განავითარა ქართული სამწერლო ენა. ყოველ ამ ღვაწლსა და სიქველეს მიაწერდნენ აღმაშენებელს და, განსაკუთრებით კი, თამარ მეფესა და შოთა რუსთაველს. არავინ დაგიდევდა, რომ ციდამ მოწყვეტილი არ იყო არც რუსთაველი, არც თამარ მეფე და არც აღმაშენებელი, არავინ ფიქრობდა, რომ გენიოსები ველურებში არ იბადებიან, რომ მაღალ ნიჭიერ სარდლებსა და მწერლებს ჰბადებს გარშემორტყმული წიაღი...

ნამდვილად კი ,,ოქროს საუკუნის” განმტკიცებელი იყო ბაგრატ III და დამგვირგვინებელი-თამარ მეფე.

ისიც არ ვიცოდით, რომ ქართული ენა უმწვერვალესობამდე განავითარეს და მწერლობაც აღაყვავეს მეათე საუკუნის მამებმა თვით ამ ბაგრატ მეფის მონაწილეობითა და მფარველობით, ხოლო რუსთაველმა და მისმა თანამედროვე მწერლებმა უკვდავჰყვეს ეს ენაცა და ეს მწერლობაც.

თუ არ ბაგრატ მეფე, მისი გენიოსი ხელისუფალი იოანე მარუშიძე და თანამედროვე მწერალი მამები. ვეჭვობთ, რომ გაბრწყინვებულიყვნენ თვით დავითები, გიორგიები, თამარები და რუსთაველები. პირველთ მოხნეს და მოთესეს, მეორეებმა მომკეს და მოიხვეჭეს; პირველთ ხიდი გასდეს მეორეების სავლელად დიდებით და ზარცემით, სიქველით და ჯერჩინებით...

ბაგრატი იყო მეფე გურგენის ერთადერთი ვაჟი. საქართველოს ბედ-უბედობა თითქმის ყოველთვის იმაზედ იყო დამოკიდებული, თუ მეფეს რამდენი შვილი ჰყვანდა:მრავალშვილიანი მეფე თავისს სიცოცხლეშივე ქვეყანას უნაწილებდა ხოლმე შვილებს, ხოლო ერთადერთის მემკვიდრის მყოლი მთელს ქვეყანას უანდერძებდა მხოლოდ ამ მემკვიდრეს. სწორედ უბედურება იყო, როდესაც მეფეს ჰყვანდა ორი, სამი თუ ბევრი შვილი:მეფე-მამის სიკვდილის დროს და ხშირად მის სიცოცხლეშივე ძმათა შორის იბადებოდა შური, მტრობა, სიძულვილი, განხეთქილება, ქვეყნის გაყოფა-განაწილება. ასე მოხდა, მაგალ., ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ:მისმა შვილებმა ორ დიდ ნაწილად გაიყვეს საქართველო და ერთის შვილის შთამოება ემორჩილებოდა სპარსებს, მეორისა- ბერძნებს. წინდაუხედავმა ალექსანდრე მეფემ თავისს სამს შვილს სამად გაუყო საქართველო, და ერეკლე მეფესა და მისს მემკვიდრეს გიორგი მეფეს ხომ თითოს ცამეტ-ცამეტი ვაჟი ჰყვანდა, და ყველას ცალ-ცალკე საუფლისწულოები მიასაკუთრეს...

და არათუ ვაჟების მამა-მეფე, არამედ ქალებისაც მარტო საქართველოს გაყოფა-განაწილებაზე ფიქრობდა. მაგალ., მეფე მირი რომ კვდებოდა, თავის ძმასა და მემკვიდრეს არჩილს დაავალა:”შენთვის იკმარე ეგრისი, სვანეთი, თავკვერი, არგვეთი და გურია, ხოლო ქვეყანანი ქართლისანი განუყავ ჩემს ქალებსო”. და არჩილმაც მოიწვია ერისთავნი და მიათხოვა მათ თავისი ძმისწულები:**ერთი** მისცა კლარჯეთ-ჯავახეთს ერისთავს გურამს, **მეორე** მისცა თრიალეთის, ტაშირის და აბოცის მთავარს, **მესამე** მისცა ნერსე ნერსესიანსა და **მეოთხე**-ადარნასეს, და ამათ განუყო ქართლი, **მეხუთე** მისცა ვარაზმანს, მფლობელს კოტმანიდგან ქურდისხევამდე, **მეექვსე** მისცა ჯუანშერს, რომელს დაუსაკუთრა ჯვარი, ხერკი, მთიულეთი, მანგლისის ხევი და ტფილისი, და **მეშვიდე** მიათხოვა აფხაზეთის ერისთავს ლეონს. ასე წარმოდგა შვიდი მძლავრი მთავარი. და ეს კიდევ არ აკმარა ქვეყანას ამ არჩილ მეფემ:კიდევ დაუდგინა ერისთავები თუშებს, დიდოელებს და ხუნძახელთ, აგრეთვე კახეთ-კუხეთს ჰერეთს, წუქეთს.

საქართველოს გრძელს ისტორიაში ერთი მეფეც არა სჩანს ისეთი, რომ გაემეტოს თავისი შვილი, როდესაც ამას მოითხოვდა სახელმწიფოს ერთიანობისა და სიმტკიცის ინტერესი. ისეთი მეფეც კი, როგორიც იყო დავით აღმაშენებელი, ,,ანდერძში” ავალებდა თავისს მემკვიდრეს დიმიტრის:თუ გამოდგესო, ჩემმა ვაჟმა ცვატამაც იმეფოსო...

სულ სხვა კაცი იყო ბაგრატ მესამე:თავის ორ ვაჟთაგან ერთი-ბასილიბერად აღკვეცა, და მრავალ ხელმწიფეთაგან ზოგი დახოცა, ზოგი განდევნა, ზოგიც საპყრობილეში ამოალპო...

მას ბოროტი გული კი არ ჰქონდა, რომ ასრე ულმობელად სდევნიდა ხელმწიფე კაცებს, პირიქით, იგი იყო მეტად ლმობიერი და ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ემსახურება მხოლოდ სამშობლოს დიდებასა და ძლიერებას. განდეგილობა სიძაბუნედ, სისუსტედ მიაჩნდა, ერთობა კი-უძლეველობად.

მას შემდეგ, რაც არჩილ მეფემ დაათხოვა თავისი ძმისწულები, განდეგილობამა და განხეთქილებამ მალე იჩინა თავი. ამას ხელი შეუწყო არაბთა შემოსევამაც.

არაბებმა საქართველო რომ აიკლეს, ქართველთა მეფის ძლერებაცა და რიხიც შესუსტდა. ამით ისარგებლეს დიდების მოყვარე ერისთავებმა:აფხაზეთისამ-ლეონმა, და კახეთისამ- გრიგოლმა..

ლეონი განდგა 786 წელს და გრიგოლი 787 წელს.

პირველმა თავისი თავი გამოაცხადა აფხაზეთისა და იმერეთის მეფედ, დაიპყრა ბედია, ქუთაისი; საყდარიც გაჰყო და მოაშორა მცხეთის საპატრიარქოს და აფხაზეთში ცალკე კათალიკოსი დაადგინა.

მეორემ თავისი თავი აღიარა მთვარად ანუ ქორიკოზად კახეთისა, კუხეთისა და გარდაბანისა. ბრძოლა აუტეხა საქართველოს მეფეს აშოტს და კახეთს შეუერთა ქვეყანა ქსნამდის. რომ უფრო გაძლიერებულიყო, გრიგოლი დაუმეგობრდა ჰერეთის (საგარეჯო-ქიზიყის) მფლობელს, რომელიც ამ ხანსვე გამეფდა.

მეფეები ისხდნენ აგრეთვე ტაოს, არტანუჯს.

ეს ცოტაა კიდევ. ამავე დროს საქართველოში იყო ორი მეფეთ-მეფე; ამათგან ერთი იყო გურგენი, ძე ბაგრატ რეგვენისა, მამა ბაგრატ III-ისა, და მეორე კი-დავით კურატპალატი, მფლობელი ტაოსი, ბასიანისა, თორთმანისა და შავშეთისა.

ყველაზე მძლავრი ამ მეფეთა შორის იყო ეს დავით კურატპალატი. იგი იყო უშვილო და იშვილა ბაგრატ III.

ბაგრატი, როგორც ვთქვით, იყო გურგენ მეფეთ-მეფის შვილი. ამ გურგენს ცოლად ჰყვანდა გურანდუხტი, ასული აფხაზთა მეფის გიორგისა. ამ კურთხეულის გურანდუხტისაგან იშვა ბაგრატი.

დავით კურატპალატი, ბაგრატის მამობილი, იყო კაცი ფრიად მხნე, ახოვანი. იგი ,,ფარად და ზურგად" უდგა არათუ ქართველთა დანაშთენ მეფეებს, არამედ მეზობელ ერთა ხელმწიფეებსაც. მაგალ., მან დიდი შემწეობა აღმოუჩინა ბერძენთა იმპერატორს ბასილის. 12000 მეომარი გაგზავნა თორნიკეს წინამძღოლობით და იმპერატორის მოწინააღმდეგე ქვეშევდრომი ბარდოს სკლიაროსი შეამუსვრინა. დავითმა მშვიდობა დაამყარა სომხეთშიაც.

ბაგრატ ჯერ ისევ მცირეწლოვანი იყო, რომ ქართლს შემოესივნენ კახნი და უფლისციხე აიღეს. მაშინ იოანე მარუშიძე იყო ერისთავად ქართლისა. ამან კაცი აახლა დავით კურატპალატს და მოახსენა:,,ან შენ მოდი და ქართლი დაიპყარ, ანდა ქართლს გაამეფე შენი გაზრდილი და შვილობილი ბაგრატი". დავითმა შეისმინა მარუშიძის თხოვნა, დიდის ლაშქრით წამოვიდა და ქართლს ჩამოდგა. კახნი შეშინდნენ და ქართლს გაეცალნენ. მარუშიძემ უფლისციხე გადასცა დავით კურატპალატსა, ამან ქართლის მეფედ გამოაცხადა ბაგრატი (980 წელს), ასრე: დავითმა შემოიკრიბა ყველა აზნაურები და უბრძანა:,,ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი".

ესრე უთხრა ქართველებს, უფლისციხეში დასტოვა ბაგრატი, მისი მამა გურგენი და დედა გურანდუხტი და თვითონ წავიდა ტაოს.

სამწუხაროდ, დავით კურატპალატის მოწოდებამ და რჩევამ გონს ვერ მოიყვანა ქართლის აზნაურები:,,კვალად იწყეს მედგრობით ზაკულება, ვითარცა არს ჩვეულება

ქართლისა აზნაურთა". ნაქურდეველნი და საბოტარელნი შეებნენ კახელებს, მოიყვანეს კახეთის ლაშქარი და გადასცეს უფლისციხე. კახელებმა შეიპყრეს ბაგრატ მეფე, მისი მამა გურგენ, დედა გურანდუხტი და წაიყვანეს კახეთს.

შეიტყო-რა ეს, დავით კურატპალატი ფრიად განრისხდა. დიდის ძლიერებით წამოვიდა, თრიალეთზე გადმოვიდა, რომ წავიდეს და შური იძიოს. კახელებს შეეშინდათ, ბაგრატ, გურგენ და გურანდუხტი გაათავისუფლეს, ზავი ითხოვეს, ქართლი და უფლისციხე მოსცეს და თავისთვის მხოლოდ დაიტოვეს წირქვალის ციხე და გრუი.

დავითმა სისხლი არ დაღვარა. ქართლი ჩააბარა დედოფალს გურანდუხტს და დაბრუნდა. ბაგრატი დედ-მამით ისევ უფლისციხეში გამაგრდა, და აქედან იწყეს მართვა ქართლისა.

მიუხედავად ყველა ამისა, საქართველოში სასურველი მშვიდობა მაინც არ იყო. აქა და იქ ქვეყანა ღელავდა, მეტადრე აფხაზეთს უჭირდა საქმე. აქ მეფობდა თევდორე-ბრმა, დედის ძმა ბაგრატისა. ეს, ძმის მეფის დიმიტრის შიშით გარდახვეწილი კონსტანტინეპოლს, მოიყვანეს წარჩინებულ აფხაზებმა. დიმიტრი ფიცით შეურიგდა თევდორეს, მაგრამ მერე ფიცი გასტეხა, დაიჭირა ძმა თავისი და თვალები ამოსწვა. დიმიტრი რომ მოკვდა (979 წ.), ბრმა თევდორე გამეფდა. ამ დროს აირია აფხაზეთის საქმეები:თევდორეს ქვეყნის მართვის თავი არა ჰქონდა და ამიტომ მის სამეფოს ბედი უკუღმა დატრიალდა, ამასთან თევდორე უშვილოც იყო.

სწორედ ამ დროს გაისმა სანუგეშო ხმა და მოწოდება დიდებულის მამულისშვილის ქართლის მძლავრ ერისთავის იოანე მარუშიძისა.

მან შეკრიბა ქართლისა და აფხაზეთის თავი კაცები და უთხრა:,,აფხაზეთს უჭირს ჩალა-მეფის უვარგისობის გამო. იგი უშვილოა, მისი ტახტის მემკვიდრე მეფე ბაგრატია, რადგან ეს არის შვილი გურანდუხტისა, თევდორეს დისა. ვთხოვოთ კურა-ტპალატს ბაგრატი, მისი შვილობილი და გაზრდილი, მოგვცეს მეფედ აფხაზთა. თევდორე გადავაყენოთ და ბაგრატი გავამეფოთ. ამას მოითხოვს ქვეყნის სარგებლობა:ქართლი და აფხაზეთი გაერთიანდებიან, ქვეყანა გაძლიერდება და აშენდება".

მარუშიძის რჩევა მოიწონეს. დავით კურატპალატს აცნობეს. მან ნება დართო. წაიყვანეს ბაგრატი, გაახელმწიფეს აფხაზეთს და მეფედ აკურთხეს ქუთაისს (985 წ.).

ქართლი და აფხაზეთი შეერთდნენ.

ბაგრატმა მოიარა აფხაზეთი, განაგო იქაური საქმეები, ბრმა ბიძა თევდორე შეიპყრა და დავით კურატპალატს გაუგზავნა:აქ რომ დარჩეს, უწესოებას და განხეთქილებას დაიწყებსო.

შემდეგ ამისა ისევ ქართლს მოვიდა და დადგა თიღვს. მეფეს ეწადა ქართლის საქმეებიც განეგო, დრკუ და ორგული კაცები აელაგმა. აქ მაშინ ბევრი აზნაური იყო გაყვიზინებული და გაამაყებული. ამისთანაები არ ფიქრობდნენ ვისმე დამორჩი-ლებოდნენ და ქვეყანას დამოუკიდებლად განაგებდნენ, თუმცა გარეგნულად ემორჩილებოდნენ ბაგრატის დედას გურანდუხტსა, უფლისციხეში მყოფს.

ამგვარ აზნაურებს არ ეპრიანათ ბაგრატის გადმოსვლა. იწინაძღვრეს ქავთარ ტბელი, დიდის ძალით მოგროვდნენ მაღრისს და ბრძოლა გამოუცხადეს ბაგრატს. ბაგრატი ახოვანად დაუხვდა მეამბოხე აზნაურებს. აღუზახა თავის ლაშქარს, მიესია მტრებს, დაამარცხა, ზოგი დახოცა, ზოგი შეიპყრა, დანაშთენნი განიბნენ, გაიფანტნენ. მერე მივიდა უფლისციხეს, განაგო ქართლის საქმეები, წაიყვანა დედა და წავიდა აფხაზეთს. ,,ვით ხელოვანმან მენავეთ მოღვარმან, ისე გააგო სამეფოს საქმეები; ურჩი ამხილის, მისსა ადგილსა განადიდის ერთგული და მისანდობელი".

ერთი ასეთი ურჩი კაცი იყო რატი ორბელიანი, ერისთავი კლდეკარისა, პატრონი ატენისა, თრიალეთისა, მანგლისისა და საკვირეთისა. ეს ,,არა მორჩილებდა კეთილად" ბაგრატ მეფეს.

მეფემ მოუწოდა ლაშქარს და იმერეთით უგრძნეულად გადმოვიდა, რომ შემოერტყას რატის და შეიპყრას. საქმე რომ კარგად მიდიოდა, ბოროტმა კაცებმა, ალბათ, იმათ, რომელთაც მეფის გაძლიერება არ ეპრიანებოდათ, რადგან ამით მათს პარპაშობას ბოლო ეღებოდა, დავით კურატპალატს უთხრეს:"ბაგრატი შენ მოსაკლავად მოდისო". დავითმა დაიჯერა და დიდის ლაშქრით წამოვიდა თრიალეთისკენ და დადგა დლივს. ბაგრატიც მოვიდა კარუშეთს. აქ დასტოვა თავისი ლაშქარი და მარტოდ-მარტო წავიდა თავის აღმზრდელის წინაშე და აუწყა:,,მორჩილებისათვის რატისა მოველ და არა სხვისა რისათვის". დავითმა დაყვავებით მიუგო:,,მითხრეს ჩემს მოსაკლავად მოსულიყავ, აქ ვცან უბრალო ხარ. მითავისუფლებიხარ რატიზედ. როგორც გინდოდეს, ისე დაიმორჩილე".

ამხელად ბაგრატი ისევ აფხაზეთს წავიდა. იქ იზამთრა და მერე უგრძნეულად წამოვიდა და რატის ციხის კლდეკარს შემოერტყა. რატიმ ციხე და თავისი შვილი ლიპარიტი გადასცა ბაგრატს და თვითონაც წავიდა არგვეთს და იქ დადგა საცხოვრებლად.

ამხანს გარდაიცვალა მეფეთ-მეფე დავით კურატპალატი, მამობილი ბაგრატისა (1001 წელს).

გარდაცვალებული მეფეთ-მეფე ძლიერი იყო, მაგრამ შორს გამჭვრეტელობა აკლდა.

ზევით უკვე ვსთქვით, დავით კურატპალატი დაეხმარა ბერძენთა იმპერატორს მეამბოხე სკლიაროსის დასამარცხებლადო, რადგან სკლიაროსის განადგურება და კონსტანტინეპოლის ტახტის ხსნა უმთავრესად ქართველთ ლაშქრის უნარი იყო, ამიტომ ჯერ ისევ მცირეწლოვან იმპერატორმა ბასილიმ და მისმა დედამ თეოდორამ დავით კურატპალატს დაუთმეს რამდენიმე ციხე-სიმაგრე თავის საბრძანებლის აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველოს მომიჯნავედ. ეს ციხეები დავითს უნდა სჭერო-და, ვიდრე ცოცხალი იყო. დავითი რომ კვდებოდა, ეს ციხეებიც და, არ ვიცით, რა მიზეზით, მთელი თავისი საბრძანებელიც უანდერძა ბასილი იმპერატორს, და არა თავის შვილობილს ბაგრატს. ბასილი დიდის ლაშქრით მოვიდა. მას მიეგებნენ კურატპალატის აზნაურნი და გადასცეს ციხე-სიმაგრეები. მის წინაშევე მოვიდნენ ბაგრატ მეფე და მისი მამა გურგენ მეფეთ-მეფე. ბასილიმ პირფერული სიყვარული გამოუცხადა მათ; რომ მამა-შვილს შორის შური და უთანასწორობა ჩამოეგდო, შვილს ბაგრატს უბოძა უმაღლესი ჯილდო, კურატპალატობა, და მამას, გურგენს-უმდაბლესი მაგისტროსობა. მაგრამ ამით ვერ არია მან საქართველოს საქმე და მამა ვერ წააჩხუბა შვილსა:გურგენი კეთილი და შორსმხედველი კაცი იყო.

ასე გავიდა რამდენიმე წელიწადი. გურგენი გარდაიცვალა (1008 წ.). ბაგრატი უფრო მედგრად შეუდგა სახელმწიფოს მართვის საქმეებს. ,,ურჩნი შესცვალა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა, ყველა მეფეს წარემატა ყოვლითა განგებითა". ლაშქარიც ისე გაიმრავლა, რომ მანამდე სხვა მეფეს არა ჰყოლია ამდენი მეომარი. მერე დიდის დიდებით გადმოვიდა ქართლსა, კახეთს წარგზავნა მოციქული და ითხოვა, ქართლის ციხეები რომ გიჭერიათ, დამითმეთო.

კახეთში მაშინ ქორეპიკოზობდა დავითი. ეს ამაყი კაცი იყო და ბაგრატს შემოუთვალა:,,უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩვენ შორის დამჯერებელ მკლავი და ომი. მე წინამოგებებო კსანსა ზედა".

ბაგრატმა მცხეთის ხიდი განვლო, მივიდა თიანეთს და იწყო კახეთის ციხეების შემუსვრა. დავით ქორიკოზი ვერ გაუმაგრდა მეფეს, რომელმაც ამასთანავე დაიპყრა ჰერეთი და მთავრად დაუდგინა, აბუღალი. ბაგრატი რომ დაბრუნდა, ჰერნი მიემხრ-ნენ დავით ქორიკოზს და ამან დაიჭირა ჰერეთი.

ეს დავითი ამავე ხანს მოკვდა და გაქორიკოზდა მისი ძე კვირიკე.

ამასობაში ბაგრატ მეფე კვლავ მოვიდა აფხაზეთიდამ, ხელახლა დაიპყრა ჰერეთი, დაატყვევა აქაური მეფის მეუღლე დინარ დედოფალი, ის დინარი, რომელმაც მწვალებლობიდამ მართლმადიდებელთა სჯულზე მოაქცია ჰერეთის მკვიდრნი. ორს წელიწადს მეფემ აიღო კახეთის ციხეები, კვირიკე შეამწყვდია ბოჭორმას, მალე მოსწურა ეს ციხე და აიღო. მერე ისევ დაბრუნდა ბაგრატი და თან წაიყვანა დინარ დედოფალი და კვირიკე ქორიკოზი და თავისს ,,კარსა დაიმჭირა" იგინი.

ბაგრატის ძლიერება არაფრად მიაჩნდა განძის (განჯის) ემირს ფადლონს.

ეს ფადლონი იყო ქრისტიანთა მოძულე; არბევდა საქრისტიანო ქვეყნებს, არ უსვენებდა კახეთ ჰერეთს, არბევდა, ატყვევებდა ხალხს. იგი იყო მეტად გალაღებული.

ბაგრატ მეფე დიდის ლაშქარით წავიდა მის წინააღმდეგ. შევიდა რანს და დაიპყრა, მერე შემოადგა სახელოვანს ქალაქს შანქარს, რომელიც ძლიერ იყო გამაგრებული და მკვიდრად მოზღუდვილი. ბაგრატმა ფილაკავანი დაუდგა, და რამდენსამე დღეში დალეწეს შანქარის ზღუდეები. ქალაქი რომ მოსწურა, ფადლონმა მეფეს აახლა მოციქული, ითხოვა შენდობა, აღუთქვა ერთგულობა და მსახურება, გაუკვეთა ხარჯი და დაჰპირდა თავის ჯარით შემწეობის აღმოჩენას ყოველგან და ყოველთვის. მეფემ შეიწყნარა მისი თხოვნა,- და ძლევამოსილი დაბრუნდა დიდის დიდებითა და ნაშოვნით.

ჯერ ამაზედაც წინად ბაგრატმა ბოლო მოუღო კლარჯეთის მეფეებს, სუმბატსა და გურგენს, რომელნიც იყვნენ ბაგრატ არტანუჯელის ძენი.

ბაგრატიონთ გვარეულობა მეტად გამრავლდა მე IX-X საუკუნეებში. ამათ გაენაწილებინათ მთელი საქართველო. ზოგი მეფობდა, ზოგი ერისთავობდა, ზოგი ერისთავთ-ერისთავობდა; ზოგი იყო მაგისტროსი, ზოგი იპატოსი, ზოგი პატრიკი, ზოგი კურატპალატი, ზოგი სევასტოსი ანუ ნობილისიმოსი. შუღლი, მტრობა, დავიდარაბა იყო გამეფებული მათ შორის. ღალატი, ერთმანეთის ხოცვა გახშირებული იყო. ყველა ამას ხელს უწყობდა საბერძნეთის ტახტიც, რომელიც წყალს არ უწმენდავდა საქართველოს ძმის მკვლელებსა, მოღალატე ბაგრატიონებს მფარველობას უწევდა და ბინას აძლევდა თავისს კარზე.

თავისის გამჭრიახის ჭკუა-გონებით ბაგრატმა ნათლად დაინახა, თუ რა ვნება მოჰქონდა ქვეყნისათვის მრავალმეფობას. ამიტომ არ დაინდო სუმბატ და გურგენ მეფენი.

ერთხელ ბაგრატი მივიდა ფანასკერტის ციხეში. ეს ციხე ეკუთვნოდათ ციციშვილებს და მეტად მაგარი და მიუდგომელი იყო. ამ ციხეში მეფემ გამართა დიდი სტუმრობა, დაიპატიჯა დიდკაცობა და აგრეთვე მეფენი სუმბატ და გურგენ. პურობის დროს შეიპყრა ეს უკანასკნელნი, წარმოგზავნა თმოგვის ციხეში და აქ დაამწყვდია, კლარჯეთი და მთელი მათი ნაქონები ქვეყანა კი შემოუერთა დანარჩენ საქართველოს.

საწყალი სუმბატ და ძმა მისი გურგენ თმოგვშივე დაიხოცნენ:სუმბატი 1011 წელს და გურგენი-1012 წელს. ამათი შვილები- სუმბატისა ბაგრატ და გურგენისა დემეტრე-გაიქცნენ კონსტანტინეპოლს და ბასილი იმპერატორს შეეწყნარნენ. ვინც კი კლარჯთა

მეფეების ჩამომავალი აქ დაშთა, ყველანი უწყალოდ მოისრნენ, პატიმრობაში ამოწყდნენ.

ასე მოაშორა ბაგრატმა სახელმწიფოს მეტხორცნი, მუქთა ხორა მეფეები. ყველგან დანიშნა თავისი საკუთარი მოხელეები და წარმატების გზას დააყენა თვისი მაღალნიჭიერი, გულადი, მხნე და პურადი ერი.

ბაგრატის თვითმპყრობელობას დაემორჩილა მთელი კავკასია ჯიქეთიდან კასპიამდე და კავკასიონიდამ სამხრეთამდე.

პოლიტიკურს გაერთიანებას მოჰყვა სულიერი გაერთიანებაც.

ლეონის დროს აფხაზეთში შემოღებული კათალიკოზობა ბაგრატმა მოსპო და იმერ-აფხაზთა სამღვდელოება ისევ მცხეთის კათალიკოზ-პატრიარქს დაუმორჩილა. თვით ეს მცხეთის სვეტიცხოველი და ქალაქი მცხეთაც, თითქმის, ხელახლა გააშენა, გაალამაზა, განაახლა და შეამკო.

მემატიანე სწერს:,,ბაგრატს მიმადლა ღმერთმან განახლება მცხეთის ქალაქისა, და შეამკო დიდი კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი ყოვლითა სამკაულობითა, ოქროითა და ვერცხლითა, თვალითა და მარგალიტითა, შეჭედა სვეტიცხოველი ოქროითა და ვერცხლითა, შესჭედა წმ. საკურთხეველი ოქროითა და ვერცხლითა, თვალითა და მარგალიტითა, მოსჭედა კანკელი და კარნი საკუთხეველისანი ოქროითა და ვერცხლითა, შექმნა წმ. სამარტვილო ოქროითა, ვერცხლითა, თვალითა და მარგალიტითა, შექმნა ძელი ცხოვრებისა-ორ თვალითა და მარგალიტითა, დაასვენა ყოველთა წმიდათა ნაწილნი აუარებელნი, მოჭედილნი ხატნი თვალითა და მარგალიტითა შემკულნი, წიგნნი, მოჭედილ-მოუჭედელნი, რომელ თვითონ აღაწერინა, ჯუმლად 25-ნი, თვით ტაძარს აუშენა ბჭე, სტოა და დახურა სახურავი".

მეფემ არ დაივიწყა აგრეთვე აფხაზეთიცა და ქუთაისიცა. აფხაზეთში ააშენა დიდებული ბედიის ტაძარი, რომელიც შეამკო ყოვლითა სამკაულითა. გუდაყვის საეპისკოპოსო მოშალა და მის მაგიერ აქ დასვა მაკურთხეველი-ბედიელი. ბედიის სიმდიდრითა და შემკულობით განცვიფრებული მემატიანე სწერს:,,უკეთუ ვისმე ენების განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის და დიდებისა მეფობისა მისისა (ბაგრატისა), პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა და მისგან გულისხმა ჰყოს და სცნას, რომელ არავინ სხვა მეფე ყოფილ არს მსგავსი მისსა ქვეყანასა ქართლისა და აფხაზეთისასა".

ქუთაისის საყდარი, რომლის საძირკველი ჩაჰყარა 1103 წელს, ამავე ბაგრატმა აკურთხებინა ,,განგებითა დიდითა და მიუწვდომელითა, რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი, კათალიკოზნი, მღვდელ-მოძღვარნი, ყველა მონასტრების წინამძღვარნი, ყველა დიდებულნი, ზემოთნი და ქვემონი, მამულის და სამეფოისა მისისა მყოფნი და სხვათა ყოველთა სახელმწიფოთანი".

ამ ბაგრატის ტაძარს თარიღი აზის არაბულის ციფრებით 223 (1103 წ.). დიუბუა დე მონპერემ ამ ტაძრის თარიღიანი წარწერა გადაიღო და აჩვენა პარიზის ,,აზიის საზოგადოებას". ამ საზოგადოების მიერ შეკრებილ ცნობებით აღმოჩნდა, რომ ქართველებს უფრო ადრე სცოდნიათ ციფრების ხმარება, ვიდრე თვით არაბებს. საქართველოში ინდოეთიდგან შემოვიდოდაო ციფრები და ინდოეთში კი მათი ხმარება IX საუკუნეშივე იცოდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ცხრა ციფრი გამოხატულია აგრეთვე ქართულს დავითნში, რომელიც გადაწერილია 974 წელს.

ბაგრატისა და დავით კურატპალატის დროს აშენდა აგრეთვე ათონის ქართველთა ლავრა, საცა მოღვაწეობდნენ იოანე, მისი შვილი ეფთვიმე მთარგმნელი, თორნიკე, არსენი ნინოწმინდელი და მრ. დიდებულნი მამულიშვილნი. ათონით

საქართველოში შემოდიოდა ევროპიული განათლება და ყველა საწაღმართო აზრები და დაწყობილობანი.

ბაგრატ მეფემ დიდი დახმარება აღმოუჩინა აგრეთვე იერუსალიმის ქართულ მონასტრებს და მათში მოღვაწე ბერებს. ბაგრატის სახელი იდიდებოდა არათუ მარტო საქართველოში, არამედ საბერძნეთს, ათონს, სიონს, პალესტინას, სომხეთს.

ბაგრატ მესამე და მისი მამობილი დავით კურატპალატი იყვნენ მფარველნი მწერლობისა, საგალობლების შემადგენლებისა, მხატვრობისა, მქადაგებლებისა და სხ.

ტყუილად კი არ ამბობს ანტონი კათალიკოზი, რომ ბაგრატი, მმეფობი კოლხიდით ჰირკანიამდე (კასპიამდე) საქებიაო, ამიტომ რომ მის დროს აღყვავდნენო მრავალნი ბრძენნი, წიგნთა მთარგმნელნი, ღრამატიკოსნი, მან ეკალთა შორის აღმოაცენაო სურნელოვნება.

მის დროს გადაწერილი, დახატულ დაფერადებული წიგნები დღესაც ანცვიფრებს კაცს ხელოვნების სიკეთითა და სიმშვენიერითა.

თვით ბაგრატ მეფე იყო ჩინებული ისტორიკოსი. მან დასწერა აფხაზეთის ისტორია, ანუ ,,აფხაზთა ცხოვრება".

სპარსეთში ისტორიის წერა ანუ, უკეთ ვთქვათ, ყეენების ამბების მოთხრობა, იწყეს მხოლოდ 1000 წლის დასასრულიდან. ჩვენში ისტორიოგრაფია უფრო ადრე გაჩნდა. ბაგრატმა ,,აფხაზთა ცხოვრება" დასწერა 992 წელს, ხოლო ამაზე წინად ქართლის მოქცევა და მოკლე ცნობები ქართველ მეფეების შესახებ შეადგინეს მე-VII საუკუნეში. ეს ისტორიული ცნობები და მოთხრობანი დიდათ განათლებულმა მე-X საუკუნის მწერალმა ბერაიმ შეიყვანა თავის ცნობილს შატბერდის კრებულში.

მიქელ მოდრეკილმა დაგვიტოვა უკვდავი ძეგლი, ნოტებიანი საგალობელი წიგნი, რომელშიაც მას შეუტანია საგალობლები მინჩხისა, ტბეთის ეპისკოპოზის იოანესი და მრ. წარჩინებულ მოღვაწეთა და მწერალთა. ამ კრებულშიაც ბევრი წერილი ისტორიულის შინაარსისაა.

ჩვენამდე მოუხწევია კიდევ ბევრს სხვა შესანიშნავ წიგნს, რომელიც დაწერილა მეათე საუკუნის დასასრულს.

უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთ საუკუნითგან იმდენი წიგნი არ დაგვშთენია, რამდენიც მეათე საუკუნითგან. ამ დროის წიგნთა რიცხვი აუარებელია. ყველა დაწერილია განსაცვიფრებელის ხელოვნებით, შვენიერ უხუნო ფერადებით, შვენიერად გამოქნილს ტყავზედ (ეტრატზე).

შესანიშნავი ის არის, რომ ამ დროს, როგორც სჩანს მაშინდელ ხელნაწერ წიგნებიდან, ქართველებს სცოდნიათ მზის საათი, დღისა და ღამის მოქცევა, წელიწადის დროთ და მთვარის (თვების), დღეთა გამოთვლა (ხელთა); სცოდნიათ აგრეთვე წესები მეურნეობისა, შინაურ ცხოვრებისა, ლამაზი ჩაცმა-დახურვა, იარაღების კეთება, ძვირფასი კაზმულობა ცხენებისა, ფულის ჭრა და ლიტრობით რწყვა და სხვ.

აი, ამ დროის სიგელი:,,მივათვალენით სოფელნი და მოგვიწონა 30 ლიტრა ოქრო, 30 ლიტრა ვერცხლი, 1000 პერპერა, 1000 სტავრა, მოგვცა:შვიდი ჯორი, შვიდი ქორი კაპოეტი, შვიდი მეზებარი, შვიდი მწევარი. თეთრისა (ფულის) რა ანგარიში უნდა! კაბარჭითა გარდაუწყე. უკანისა საფასე ემცრობოდა და კიდევ მოგვეშალნეს და მივეცით კიდევ ერთი ჯორი პალავრა-კურტნითა, ერთი ცხენი სამასად, ერთი უნაგირი ხუთასად, ერთი ლაგამი მარგალიტის ძირითა, და კიდევ ერთი დღე ანეული ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი თუ გრივი გამოვიდეს, 9 გრივი პატრონსა და მე-10 ციხე-ვერელთა. წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობისა არის. ბეგარა:კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეჭამანდი, ორ-ორი პური, ორ-ორი პირი

ღვინო.. სიგელი ასე თავდება:,,მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან, დიოფალთა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან, მითავისუფლებიან ყოველთავე ხელთაგანმოლარეთაგან შეუღლებულთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ხელოსანთაგან”...

ქართველმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ ბაგრატ მეფის სახელმწიფო კარი, მთელი მისი ოჯახი იყო უმაღლესი სკოლა, კერა განათლებისა, წარმატებისა.

გურანდუხტი, დედა ბაგრატისა, იყო ფრიად მაღალზნეობიანი, ფრიად ჭკუიანი და შორსმხედველი დედოფალი, იგი თავის შვილს შველოდა ყოველს საწაღმართო საქმეში. შვილის მცირე წლოვანობის დროს ქვეყანასაც ჰმართავდა, ხოლო ბედიის ტაძრის აშენებაში დიდს დახმარებას უწევდა ბაგრატსა.

მეფე ბაგრატს ჰყვანდა სამი შვილი, ორი ვაჟი (გიორგი და ბასილი) და ერთი ასული.

გიორგი მამის სიკვდილის შემდეგ გამეფდა, ხოლო ბასილი, როგორც უკვე ვსთქვით, მამის სიცოცხლეშივე ბერად შედგა და მოღვაწეობდა ხახულის ლავრაში. ეს ხახული, რომელიც აწ არასია, მაშინ ითვლებოდა უმაღლეს განათლების კერიად.. ბასილთან ერთად აქ ნათობდნენ მაკარი, ილარიონ თუალელი, რომელიც ,,ბრწყინავდაო, ვითა დილის ცისკარი”. ბასილი ითვლებოდა განმანათლებლად მთელის საქართველოისა. ბასილმა, სხვათა შორის, ხახულში მიიღო და დალოცა უდიდესი მასწავლებელი ქართველთა, გიორგი მთაწმინდელი.

ამ ბასილზე არა ნაკლები იყო მისი დაი, მეუღლე ფერისი ჯოჯიკისა. გიორგი რომ მცირეწლოვანი იყო, იზრდებოდა ამ ფერისის მეუღლის სასახლეში. მას ასწავლიდა ორივე ბიძა გიორგი, ჩინებული მწერალი, რომელიც დავით კურატპალატის მწერა-ლთა უხუცესად ყოფილიყო. ფერისს ბერძნებმა ღალატი შესწამეს, თავი გააგდებინეს და მისი სახლობა გიორგი მთაწმინდელითურთ კონსტანტინეპოლს წაიყვანეს. ბასილის დაი აქ დარჩა 12 წელიწადს, აქ გიორგიმ შეისწავლა ბერძნული ენა და ფილოსოფია. შემდეგ ბასილის დაი დაბრუნდა სამშობლოში და დაბინავდა ტვარწატაფას. აქ მოსვლის შემდეგ გიორგი მთაწმინდელი გამოეთხოვა ამ სათნოებით აღსავსე დედაკაცს, წავიდა ისევ ხახულს, მერე ათონს და საქართველო მორწყო ჩინებულის თარგმანებით.

სიკვდილის წელს ბაგრატ მეფემ მოივლო ჰერეთი, კახეთი, აფხაზეთი, აჭარა, მოვიდა ტაოს და დადგა ფანასკერტის ციხეში. აქ ავად გახდა და გარდაიცვალა 1014 წელს 17 მაისს, პარასკევს. მისი გვამი ერისთავთ ერისთავმა ზვიადმა მოასვენა ბედიას და დამარხა დიდებით.

ბაგრატის გულითადი წადილი იყო საქართველოს გაერთიანება და გაერთიანებით მისი გაძლიერება. დიდება ბაგრატისა იყო დიდება ქართველის მამულისა, მთელის ივერიისა ანუ საქართველოისა.

აკაკი წერეთელი

,,სახალხო ფურცელი" 1915, N 201, 4 თებ. გვ. 2.

მზე აღარ მზეობს ჩვენთვისა,
დარი არ დარობს დარულად.
შოთა.

აღარა გვყავს დიდებული აკაკი. ჩვენთვის იალბუზზედაც უდიდებულესი. სძინავს ამერ-იმერის გამაერთიანელს აკაკის...

,,ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა"...

აღარა გვყავს ტკბილი, ახოვანი. გამოგვეთხოვა საუკუნოდ მოძღვარი ძლიერი. მასწავლებელი ერისა, მატარებელი და მატფურებელი მის უკეთეს სწრაფვისა, გულისნადებისა გარდაგვეცვალა.

გარდაგვეცვალა, ესე იგი ხორციელობა გარდაიცვალა სულიერობაზედ.

აწ ჩვენთან იქნება ისევ ის აკაკი მარად მოღიმარი, მარად მოალერსე, მარად გულკეთილი, მაგრამ არა ხორციელად, არამედ სულიერად. თვითონ მან დაიძინა. მიირულა შვენიერად, ტკბილად. თავის მაგიერად ჩვენდა მოსაუბრედ დაგვიტოვა ,,თორნიკე ერისთავი", ,,ბაში-აჩუკი", ,,გლეხის გოდება", ,,ბაგრატ დიდი", ,,ქართველი ქალი", ,,ახალი გზა", ,,აღმართ-აღმართ", ,,მუხამბაზი", ,,გამოფხიზლება"..

წარსულ საუკუნის 60-იან წლებში ილიამ, აკაკიმ, ღოღობერიძეებმა, კირილე ლორთქიფანიძემ, ნიკო ნიკოლაძემ და სხ., ჯერ ისევ ახალგაზრდა სტუდენტებმა, გამოაცხადეს გეგმა თავის ცხოვრებისა- ,,სტუდენტების სიმღერა, შეთხზული ილიას მიერ.

...წმინდად აასრულეს ის, რისთვისაც ,,ზრდიდნენ ჭაბუკს გულსა" ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი მუშაობდნენ დაუცხრომლად ერთად საქართველოს დიდ მაკურთხევლის გაბრიელის თანაშემწეობით და დახმარებით.

დღეს აღარ დაშთა არც ერთი, გარდა ნ.ნიკოლაძისა, რომელიც სხვა გარემოებასა და სხვა მდგომარეობაში უაღრესს ხარისხს მიეწეოდა.

ყველანი დანაშთენნი გამოგვეთხოვენ და განისვენეს წიაღსა შინა აბრამისას.

სძინავს ამერ-იმერის გამაერთიანებელს აკაკისაც.

თვალნი დაუხუჭია.

მკლავნი გულზე გადუჯვარიდინებია.

ხელნი, დაუღალავად მშრომელნი, დასტუნებია ჩვენს მზრუნველს.

თითნი, განუწყვეტლად საქართველოს ჰანგის მჟღერელნი, ვეღარ მოძრაობენ.

აკაკი გაყუჩებულა, აკაკი დადუმებულა.

შემდგარა სიცოცხლე, რომელიც თვით სიცოცხლის განხორციელება იყო. მომკვდარა, მაგრამ იცოცხლებს მარად. ყოველს ქართველის გულში. ახალგაზრდობას კი ეყოლება სახედ სამშობლოს სიყვარულისა, კაცობრიობის უკეთეს სწრაფვათა ბაძვისა.

თავად დიასამიძეების გვარეულობა

,,თემი" 1911, N 42, 24 ოქტ. გვ. 2-3.

წერილს წამძღვარებული რედაქციის მინაწერში ნათქვამია: ჩვენ უადგილოდ არ დავინახეთ ჩვენი პატივცემულ ისტორიკოსის ბ. მოსე ჯანაშვილისაგან გამოგზავნილ მცირე ისტორიულ წერილის დასტამბვა, დარწმუნებული ვართ, რომ სხვადასხვა გვარების ისტორია ინტერესს არ უნდა იყვეს მოკლებული ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის.

იმედია, ამ წერილის დაბეჭდვას სხვაფრივ არ ჩამოგვართმევენ. დარწმუნებული იყვნენ, ჩვენც გაგონილი გვაქვს რომაულ ბატების საარაკო ამბები. სიგელი, რომლის დასტამბვას გვთხოვს ჩვენი მკვლევარი, სხვა ისტორიულ საბუთებთან ერთად გადასცა ჩვენმა რედაქტორმა (გ.დიასამიძემ) მ. პოლიევქტოს კარბელაშვილს, რომელსაც საზოგადოდ ბევრი ცნობები აქვს შეკრებილი დიასამიძეების გვარეულობის შესახებ. მ. კარბელაშვილი რამდენადაც ვიცით, ამ მოკლე ხანში აპირებს შეგროვილ მასალის გამოქვეყნებას.

თავად მ.ჯანაშვილი თავის პუბლიკაციაში აღნიშნავს-ჩვენთვის საჭირო შეიქმნა ამ გვარეულობის შესწავლა. გაგვიკვირდა, რომ დიასამიძის ხსენებაც კი ვერ ვპოვეთ თავად-აზნაურთა იმ სიაში, რომელიც დაბეჭდილია ,,ივერიაში" (N-ები 1884 წლისა).

მე-11 საუკუნეში უპირველეს თავადებად იყვნენ. იგი ჩამოთვლის იმ დროს მესხეთში გავრცელებულ გვარებს-კავკასიძე, სამძივარი, ლასურისძე, თაქთირისძე, ხურსიძე, დიასამიძე, ბოცასძენი, მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევარი, ანელი, კარელი..

თავდაპირველად დიასამიძენი ცხოვრობდნენ მესხეთში (1548 წელს სჩანს) იოანე ლევანის ძე, მეფე ერეკლე I-ის დედის ძმა დიასამიძე უკვე საქართველოს პატრიარქად ჯდება (1687-1700).

ევდემოს დიასამიძე-კათალიკოზი (1700-1703), ძმისწული იოანესი.

გეორგიევსკში დადებულ ხელშეკრულობის მე-9 არტიკულის ძალით ერეკლემ წარადგინა თავად-აზნაურობის სია ან მათ შორის, როგორც ბუტკოვი იუწყება

(ტ. 2, გვ. 125, შენიშვნა 2) იყვნენ თავადები

ქართლისა 38 გვარეულობა

კახეთისა- 24

აზნაური სახასო-82

აზნაური საკათალიკოსო-13

აზნაური სათავადო-

აზნაური ერისთავებისა-18

აზნაური ბარათაშვილისა-9

აზნაური მაჩაბლისა—2

დიასამიძისა-3

ციციშვილისა- 34 და სხ., სულ 216 გვარეულობა.

1837 წ. გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად არჩეული იყო თავადი დავით დიასამიძე.

დასასრულ ვთხოვ პატივცემულ რედაქტორს სრულად დაბეჭდოს თავის საგვარეულო სიგელი, რომელშიაც, უეჭველია, ბევრი საყურადღებო ცნობა იქნება,- წერს დასასრულ სტატიის ავტორი.

იაკობ შემოქმედელი დუმბაძე

,,სახ. გაზ." 1912, N 572, 12 აპრ. ხუთშ. გვ. 2; N 573, 13 აპრ. პარ. გვ. 2.

საქართველოს ისტორიამ იცის მრავალი თვალსაჩინო მამათმთავარი. ერთი მათგანი იყო იაკობ დუმბაძე, შემოქმედის მიტროპოლიტი, გურიაში შემოქმედელობა მიუღია 1647 წელს, როცა აფხაზეთის კათალიკოზად იჯდა მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657) და გურიაში კი გურიელობდა ქაიხოსრო, ხვარამზე გოშაძის ქმარი. იაკობ შემოქმედელის დროს ,,მთელი მაჰმადიანობა ალურსული მძვინვარედ მოიწევდა კოხტად შემკულ საქართველოს დასარბევად, წასახდენად, დასაპყრობად. დასავლეთს

უჭირდა ოსმალთაგან, სამხრეთს სპარსთაგან, აღმოსავლეთს ლეკებისგან და მთელ საქართველოს კი ყველასაგან საერთოდ.

საჭირო იყო ამ დროს მეორე ბაგრატ III გამაერთიანებელი, მეორე დავით აღმაშენებელი, მეორე თამარ მეფე, მეორე გიორგი ბრწყინვალე, მეორე უუდიდებულესი სარდალი და მამულიშვილი იოანე მარუშიძე. მაგრამ არ ჩანდა არც ერთი, არც მეორე, არც დანარჩენნი.

მცირე საქართველოს, გარეშემო მტერ-შემოსეულს, უჯდა სამი უნიჭო მეფე (კახეთი, ქართლი, იმერეთი), ხუთი დამოუკიდებელი მთავარი (სვანეთი, აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, მესხეთი), სამი ერისთავი (არაგვი, ქსანი, რაჭა), ერთი სასულთნო (საინგილო) და ერთიც საფაშო (ჭანეთი).

დახეთ და რანი იყვნენ ამ დროის ,,მარუშიძეები".

თითქმის ყველანი იმას ცდილობდნენ, რომ წყალი უფრო ამღვრეულიყო, რომ მეტი თევზი დაეჭირათ, სამშობლო უფრო დაწეწილ-დაყოფილიყო, რომ თავისთვის მეტი მიწა, მამული და უფლება შემოეფარგლათ.

რა მწარედ სტყუვდებოდნენ ეს უბასდრუკნი ჭკუით, თუმცა მკლავით, ღონით ვაშკაცნი და ძლიერნი!

მათ შეუთანმხმებლობისა, უთაურობისა და გარეწრობის მიზეზით ვერც დადიანი,-რომ ჩემულობდა ჰანიბალობას და კოლხიდის იმპერატორობას,- გახდა ჰანიბალად, ვერც მესხეთის მზეჭაბუკი შეიქმნა ,,მეფედ მეფედ", ვერც ,,ბუღა"-ს (taurar) ეღირსა ,,მაღრავ-შაჰობა". ოღონდ მათ ჯაშუშობამ, მათ მუხანათობამ დიდი, უზომო ვნება მიაყენა ქვეყანას:ქართლ-კახეთს დაეღუპა 230000-მდე სული უმანკო მდაბიო ქართველი და მთელი მესხეთიც გაფაშებულ ათაბაგითურთ ძალად გაამაჰმადიანეს, რის გამოც აქაც ქართველობას მოსწყდა 100000-ზედაც მეტი სული. დაინგრა აქაური საყდრები, მოიშალა აქაური 13 საეპისკოპოსო ტაძარი, დაიწვა და გადიბუგა სამწერლო ნაშთები შოთა რუსთაველის სამშობლო ქვეყნისა.

მაჰმადიანობამ ფრთა გაშალა და მოინდომა დაემხო საქრისტიანო კულტურა საქართველოს დანაშთენ ნაწილებშიაც. მეფეები უკვე მაჰმადიანდებოდნენ. აგრეთვე შიგადაშიგ დიდკაცობაც...

მეორეს მხრივ, პაპმაც მოინდომა ესარგებლნა ქართველთა გაჭირვებულ მდგომარეობით და მიეზიდნა იგინი თვისის ტახტისადმი. ლათინთა ბერებმა გააჩაღეს ქადაგება. საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის მეფეებს ჩვენები მონურის თავმდაბლობით სთხოვდნენ შველას, ყმურის კილოთი აღუთქვამდნენ ქვეშევდრომობას.

ამ ბედკრულ დროს სცხოვრობდა თითო-ოროლა გაგებული პირი და მათ შორის ჩვენი იაკობ შემოქმედელიც.

ანტონი კათალიკოზი არც კი იხსენიებს იმას, თუ რაოდენი ძალა შეალია შემოქმედელ მიტროპოლიტმა საეროვნო სარწმუნოების დაცვას, ვერც კი შენიშნა ის, რასაც უშიშდა შორსგამჭვრეტი ბრძენ მამადმთავარი, სახელდობრ ერის მიერ მამაპაპათა სარწმუნოების დაკარგვას:სარწმუნოება და ეროვნება იაკობ დუმბაძის შეხედულობით განუყოფელი ერთარსება იყო, ერთის დაკარგვა მას მიაჩნდა მეორის დაკარგვადაც. (ანტონ I წყობილსიტყვაობა, 675-677):სამცხე-ჯავახეთის, აჭარა-კლარჯეთის და ჭანეთის მაგალითი დღეს ცხადად გვიჩვენებს შემოქმედელის შორსმხედველობის სიმართლეს. აქ უკვე არათუ მარტო ქართველობა გადაგვარდა, არამედ ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელნიც აქაურ ძველ კულტურასა და მიწა-წყალსაც კი ედავებიან ქართველებს. ნეტა სად მიიმალებოდნენ ესეთი ბეცები, თუ სამესხეთო შერჩენოდა საქართველოს თუ ივერიის დროშა დროთა უკუღმა ტრიალს არ დაეკეცა!

იაკობ დუმბაძემ დაწერა თხზულება:,,თავი დასაწყისი უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებისა ლექსად ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან ბრძანებითა მეფის გიორგისათა ძისა მეფის შანაოზისათა". ქართლის ტახტზე 1676-1688 წ.წ. იჯდა გიორგი მეფე, მერე, ყაენისაგან გადაყენებული, ზემო ქართლს, საათაბაგოს დასტრიალებდა და ამ დროს, ალბათ წინადადება მისცა მიტროპოლიტ იაკობს თათართ პირდასაყოფი წიგნის დაწერა (მაშინ სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანობა სულს ძლივსღა ითქვამდა).

ეს თხზულება შეტანილია წ.კ.გ. ს. მხედრულად 1773 წელს გადაწერილს კრებულში N 342, გვ. 274-325 და შესდგება 290 ოთხ-სტრიქონოვან ტაეპისაგან. დაწერილია შაირად (16 მარცვლოვან ლექსად)...

საეკლესიო მუზეუმის კატალოგში (წიგნი 2, N 656) წერია ,,ქართულ მწერლობაში უცნობი პოემა ცნობილის მწერლის მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძესი:შესხმა მეფის არჩილისა". სამწუხაროდ, ეს თხზულება პატივცემულს ავქსონს არ წაუკითხავს. რომ წაეკითხა, დაინახავდა, რომ N 656-ში თავიდან ბოლომდე მოყვანილია თხზულება იოანე შავთელისა და არა იაკობ შემოქმედელის. აქ ყველა შავთელისაა, გარდა გადამახინჯებულ სათაურისა; მასვე ეკუთვნის ისიც, რომ საცა თამარია ანუ დავითი, მას ამ სახელების მაგიერ (გარდა 53 ტაეპისა) ჩაუწერია არჩილი. თვით შესხმის ბოლოს კი დავიწყებია თავისი აზრი სათანადოდ შეესწორებინა სიტყვებით:,,დასრულდა ესე მეფის თამარის ქება-შესხმანი და გადმოვსწერე მე დავით ივანეს ძემ ამირიძემ წელსა ჩყოზ იანვრის კზ" (1877 წ. 27 იანვ.).

შემოქმედელისვე თაოსნობით დაგვშთენია კიდევ ორი შესანიშნავი კრებული მუზეუმისა N 69 და N 691).

N 69-ს დაუცავს გრიგოლ ხანძთელის ძეგლზე არა ნაკლები, თუ არა მეტიც მნიშვნელობით, საუნჯე-სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, და აგრედვე ძვირფასივე თხუზულება პროკლეს დიადოხოსისა პლატონისურ ფილოსოფიის კავშირნი თვით პეტრიწის ფილოსოფიურ განმარტებათა დართვით (იხ. დაწვრილებით ,,ქართ. მწერ."წ. 2).

N 691 კი დიდი კრებულია და ამასთანავე უშრეტი საუნჯე ღვთისმეტყველებრივი, ლინგვისტური და სხ.

ამ წიგნს ჰქვიან ,,ფუტკარი". ზედგამოჭრილი სახელია. შემდგენელს, როგორც თაფლის მგროვებელს ფუტკარს, ყველგან ხელი მიუწვდია და ყველგნით გამოუკრებია ცნობები. აქ აღწერაა იერუსალიმის სოფიის ტაძრის, ქვემოთ ისტორია ბიბლიის თარგმნისა (გადმოვწერეთო), სხვაგან მამათ სიტყვა-სწავლანი, ქრონოლოგიური ცნობები, განმარტება საწონებისა, სარწყავისა და სხ., აქვეა (გვ. 45) თვით ,,რეცეპტი" შენობათა ასაგებ სითხისა (დღევანდელი კირ-შლამის მაგიერ):,,აღმართებასა ესე ვითარისა ტაძრისსა... და დადგნა ქუაბნი დიდნი; აგბობდა ქერსა და ნაგბობითა მით ზავებდა კირსა ქუიშასა თანა კაცისასა ნაცვლად წყლისა, რამეთუ მალიად შემყოფელი არს წებოს სახედ. და ეგრედვე ძეწნის ხისა ქერქსა აგბობდეს ქუაბითა ქერსა თანა საზავებელად კირისა". აი ის საიდუმლოება ქართულ ციხე-ტაძრების სიმკვიდრისა და სიმტკიცისა, რომლისა გამო ძველი შენობა დღესაც ანდამატივით მაგრობს და უძლებს ათასგვარ ჭირ-ვარამს.

იაკობს მისმა თანამედროვე იოსებ ტფილელმა მისწერა შემდეგი იგავი განსამარტებლად:,,სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული, მას შვიდნი სუეტნი შეუდგნა შვიდნივე წმიდა გებული; სიკუიდილით მოკლა სიკუდილი, დაიხსნა ცოდვილთ კრებული ამისი ახსნა თქუენგან მწადს, ვიცი, კაცი ხარ მცნებუ-

ლი”. განმარტება შემოქმედელისა:”სიბრძნე ქრისტეა და სახლი უბიწო მისი მშობელი; მან შვიდნი საიდუმლონი ჰყო, მტერთა დასამხობელი; სიკუდილი ჯუარცმა ქრისტესი, ლახუართა დასასობელი. თვითმცნობსა ცნობა გებრძანა, რას გკადრებ მე უცნობელი”. ფრიად საყურადღებოა იაკობ შემოქმედელის კრებულის განმარტება სიტყვისა პახტი. საბათი:”პახტი, ერთს წელიწადს ერთს თემს რაც მოსავალი გამოუვა ერთობით”. ჩუბინაშვილით:,,პახტა, ს. მახტი წლის გამოსაღები ერთის თემისა გარდაკვეთით, годовой оброк с какой либо провинции”. ასრე განმარტავენ და არც ერთი კი არ აღნიშნავს წყაროს, რომელშიაც ეს პახტი შეხვედრიათ. წყაროს უჩვენებლად კი სიტყვის განმარტება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ასრე გვესმის და თქვენც ამავე მნიშვნელობით იწამეთო! შემოქმედლის კრებულში ვკითხულობთ (N 691, გვ.61):,,წაეგო ეგვიპტისა, პახტისაგან კენტინარი სამას სამოცდა ხუთი; რამე თუ პახტი მოვიდოდა ეგვიპტით რაიწელ (ყოველწლივ) ლიტრაი ათასი, რომელ განაწესა დიდმან კონსტანტინე დღეთა სარვანოს სპარსთა მეფისათა, და სხუაი მრავალძღუენი”. თვით პახტა უნდა იყოს ლათინური pa ta-ხელშეკრულობის ძალით კუთვნილი, გარდასახდევინებელი. სხვა ხელნაწერში პახტი არ შეგვხვედრია. არანაკლებ საყურადღებოა ამ გურულის იაკობ დუმბაძის მართლწერა:იყვნენ, მოსწონდა, მისცა და სხ. წარსულ დროს მესამე პირის დაბოლოებად ჩნდება ხან მეგრულ–ენ. (შემოკლ. ორენ), ხან ძირეულ ქართულ-ჭანურ-ნენ (შემოკლ. არიან-არნნ.

ამ მცირე წერილით არ სრულდება სახელოვან მამათმთავრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა. იმედია, დღევანდელი მისი ღვიძლი შთამომავლობა ჯეროვან ყურადღებით მოეპყრობა თავის წინაპრის ხსოვნას და მის მოქალაქეობასა და ნაშრომ-ნაღვაწს გააცნობს, ცალკე გამოცემით, ჩვენს საზოგადოებას.

მარიამ დედოფალი

,,ქართლი” (გორი) 1912, N 7, 8 ივლ. გვ. 2-3.

მარიამი გიორგი ციციშვილის ქალი იყო.

მეფე გიორგი მეთორმეტეს პირველი ცოლი რომ გარდაეცვალა, შეირთო ეს მარიამ ციციშვილი, ლამაზი, ჯერ ისევ ნორჩი და მეტისმეტად მტკიცე ხასიათის ქალი.

მარიამი დაქვრივდა 1800 წელს და დარჩა წვრილი შვილები:მიხეილი (7 წლისა), ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ, ირაკლი, თამარ და ანა.

ათას რვაას სამის წლის თორმეტ აპრილს, კვირა დღეს, ამათ დედითურთ ტკბილად ეძინათ სამეფო სასახლეში.

რიჟრაჟდებოდა, ბინდს სინათლე ედავებოდა.

ვერავინ წარმოიდგენდა, თუ რა საზარლობა დატრიალდებოდა იმ საწოლში, საცა მყუდროდ ეძინა სამეფო სახლობას.

პავლე დიმიტრის ძე ციციანოვმა, იმ დროს საქართველოს მმართველად რომ იყო, მთავრობა დაარწმუნა, საქართველოში წესრიგი არ დამუშავდება, ვიდრე სამეფო სახლობის წევრები აქ იქნებიანო. ამის გამო აქ აღარავის ედგომინებოდა, ბატონი-შვი-ლებიცა და ქვრივი დედოფლებიც უნდა გასცლოდნენ სამშობლოს და წასულიყვნენ რუსეთს, საცა საკმაო საზდო ეძლეოდათ.

მარიამს ძლიერ სურდა დარჩენილიყო საქართველოში და აქ დაელია სული. მაგრამ როგორ? მარტო საკუთარი სურვილი საკმაო არ იყო. რახან გადაწყვეტილი იყო მათი აყრა და გადასახლება, ამასაც დარჩენის ნებას არ მისცემდნენ. საჭირო იყო გაჰქცეოდა პავლე ციციანოვს, მაგრამ სად და როგორ?

თავშესაფარად მარიამმა აირჩია ფშავ-ხევსურეთი.

განზრახვის აღმასრულებლად მოიწვია ფშაველი გადილა, კაცი გულადი, წარმოსადეგი.

ყოველივე მზათ იყო დედოფლის გასატაცებლად.

თვით გადილაც ჩამოვიდა ქალაქს.

ცხენები დააბინავა კუკიაში და დედოფალს ეწვია.

მაგრამ რა იცოდა გულუბრყვილო მთიელმა, რომ სწორედ დედოფლის კარზედ მას უყარაულებდა მოღალატე და ხაფანგის დამგები.

ეს გახლდათ კალატოზოვი, რომელიც, პოლკოვნიკ როტიერის სიტყვით, იყო ქართველი აზნაური და დედოფლის კარის კაცი, სასახლეში მეტად სანდოდ მიჩნეული.

დედოფალსა და მთიელებ შორის მიწერ-მოწერაში ეს კალატოზოვი დიდ მონაწილეობას იღებდა და ამავე დროს ყველაფერს დაწვრილებით პავლე ციციანოვსაც ატყობინებდა.

გადილა რომ ტფილისში ჩამოვიდა, იგი ეწვია ციციანოვს, რომელსაც სურვილი ჰქონდა ფშაველის პირადად ნახვისა. კალატოზოვი ამ დროს სკამ ქვეშ შემალულიყო.

ციციანოვი თარჯიმანის პირით გადილას შეეკითხა:

-რათ ჩამოსულხარ, გადილ ქალაქში?

-მარილის საყიდლად.

-ჰაა! სიმართლეს ნუ მიმალავ.

-მხოლოდ მარილის საყიდლად ჩამოვსულვარ.

-ფშაველო! შენი სიცოცხლე დამოკიდებულია სიმართლეზე და თუ სიმართლეს დამიმალავ, იცოდე, შემიძლია ახლავე თავი გაგაგდებინო.

-მერე ვისი ხელით გამაგდებინებ თავს? განა თუ ეს თარჯიმანი გაბედავს ამას?- განრისხებულმა იტაცა ხმალზე ხელი და სთქვა გაბრაზებული:,,განა აღარ მაქვს ჩემი ხანჯალი, რომელიც არასოდეს არ მშორდება?”

ციციანოვი დარწმუნდა, რომ მუქარით ვერას გახდებოდა, მიუახლოვდა გადილს, მხარზე ხელი დაადო და დაყვავებით სთხოვა, მართალი ეთქვა. იგი არ ტყდებოდა, ისევ თავისას გაიძახოდა.

ამ დროს სელის ქვეშიდან გამოძვრა კალატოზოვი.

ზიზღით და ბრაზით აივსო გადილა.

კალატოზოვი კი ეუბნებოდა მას:

- გადილა, ნუღარ უარობ, გამოტყდი, აღიარე, რისთვის ჩამოსულხარ, აბა ჩემთან როგორ იტყვი უარს! განა არ გახსოვს, რომ მეც ვიყავი დედოფალთან, როცა შენ მას მოახსენე, ყველაფერი მზად არის ქალაქიდგან თავის დასაღწევადო, და მთებში წასასვლად კუკიაში ცხენები გიცდიანო.

გადილა მაინც უარობდა:,,სულ ტყუილია და სიცრუვეო”.

ექვსი გრენადერი შემოვიდა, შებოჭეს, იარაღი ახადეს და ციხისკენ წაიყვანეს. მიმავალს კალატოზოვმა სილა შემოჰკრა. გადილამ ამპარტავნულად მიაძახა:,,მქონოდა ხანჯალი, ნახავდით თქვენს ყოფას, ყველას ერთად გაგწყვეტდითო!”

ციციანოვი უშიშარი, გამბედავი, კანონისა და სიტყვა-საქმის კაცი იყო და გენერალ-მაიორს ლაზარევს უბრძანა მეორე დღესვე ქვრივი დედოფალი დიდის პატივით რუსეთისკენ გაესტუმრებინა.

როგორც ვსთქვით, კვირა თენდებოდა, რომ სასახლეში მოვიდა ლაზარევი. მას თან ახლდა თარჯიმანი სომეხი კაპიტანი სოროკინი (კაჭკაჭევი იქნებოდა) და ორი რაზმი ქვეითის ჯარისა.

დედოფალს გამოჰღვიძებოდა და ფეხმოკეცილი ლოგინშივე იჯდა. დანარჩენთ ისევ ეძინათ. ლაზარევი შემოვიდა მისს ოთახში, თარჯიმანის პირით მოახსენა:

,,ადექით! უნდა წახვიდეთ”

დედოფალმა მშვიდის ხმით მიუგო:

- რისთვის უნდა ავსდგე ახლა? ვერ ხედავთ, ჩემს შვილებს ჯერ ისევ ტკბილადა სძინავთ? უცებ რომ გავაღვიძო, აწყენთ, სისხლი გაუფუჭდებათ. ასეთი საჩქარო ბრძანება ვინ მოგცათ

-ციციანოვმა.

-ციციანოვი ცოფიანია.

პოლკ. როტიერის (როტიერი 1811-1818 წ. განაგებდა მეოცე დივიზიის შტაბს, რომლის უფროსად იყო თავ. ორბელიანი (,,მოამბე” 1894, N VII, გვ. 1), აზრით დედოფალს ამ სიტყვებით იმის თქმა უნდოდა, რომ ციციანოვი თავის გვარის ღირსი არ არისო, რადგან თავის ნათესავებს აგრე სასტიკად ეპყრობაო.

ამასობაში დედოფალმა მუხლებზე დაიდვა მუთაქა, რომლის ქვეშ შეუმჩნევლად დამალა თავის ქმრის მეფე გიორგის ხანჯალი.

ლაზარევი დარწმუნდა, რომ დედოფალი შვილების გაღვიძებამდე გვაცდევინებსო, ამიტომ მიუახლოვდა ტახტს და უნდოდა დედოფლისათვის ფეხში ხელი ეტაცნა და წამოეყენებინა, მაგრამ, ვიდრე ლაზარევი სწვდებოდა, დედოფალი წამოვარდა ელვის სისწრაფით და ისე ძლიერად ჩასცა ლაზარევს ხანჯალი მარცხენა გვერდში, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხარეს გავიდა. მერე გამოაცალა ხანჯალი, თავში დაარტყა და სრულის გონებით მიაძახა:,,ასეთის სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურებაც დაურთოო”.

ლაზარევი იქვე უსულოდ დაეცა.

სოროკინმა იძრო ხანჯალი და რამდენიმეჯერ დაჰკრა დედოფალს.

ხმაურობაზე გამოეღვიძა ელენეს, დედოფლის დედას, და გასისხლიანებული შვილი რომ დაინახა, მივარდა და გულში ჩაიკრა.

ოთხმა აფიცერმა გაასვენეს ოთახიდამ ლაზარევი.

სასახლე გაივსო ჯარის კაცებით.

დედოფალი შვილებითურთ ჩასვეს ეტლში და დარიალისკენ წაიყვანეს.

გზაზე ჯიბრაილი შეეკითხა დედას:

-დედა, რათ მოჰკალი ის აფიცერი?

-თქვენის სიკეთისთვის.

-მაშ, დედა, თქვი, რომ მე მოვკალი ის კაცი და შენ აღარას გავნებენ.

მარიამი ბელგოროდის მონასტერში ჩაამწყვდიეს ცოდვების მოსანანიებლად. დედოფალი დიდხანს დარჩა და მერე კი სასჯელი ეპატია.

მარიამი ვეღარ ეღირსა სამშობლოს ნახვას, იგი რუსეთში გარდაიცვალა.

ათას რვაას ორმოცდა თერთმეტ წელს მარიამ დედოფლის ნეშტი დიდის ამბით გადმოასვენეს საქართველოში და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

ნიკოლოზ ჯორჯაძე

,,სახ. გაზ." 1913, N 863, 4 აპრ. გვ. 2-3.

გარეჯის მონასტერში მოღვაწე, ენისელის მოურავის დავითისა და მისი მეუღლის მახიას შვილის ნიკოლოზ ჯორჯაძის შესახებ აღნიშნულია, რომ ენისელის მოურავობა დაწესდა მე-XV საუკუნეში და მასთან ერთად აგრეთვე მოურავობანი ქიზიყისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყვარელისა,

გრემისა, პანკისისა და მარტყოფისა. ენისლის მოურავობა ჯორჯაჯეებს ხვდათ ადრევე (იხ. ერეკლეს თავად-აზნაურობის სია), მოკლედ მოთხრობილია ჯორჯაძეთა გვარის წარმომავლობაზე, ჯორჯაძეები შთამომავალნი არიანო ჯორჯიკ ვაშათიელისა. რანიდან გადასახლდნენ ახალციხეში 980 წელს და იქიდან კახეთს 1466 წ. აქ მიიღეს მოურავობა ქალაქ გრემისა და ენისელისა. ენისეს მოურავის შვილებად-იოანეს შვილებად და ზურაბის და მისი ძმის თამაზის შვილებად. მათი სახლიკაცები-ნოდარისშვილები-ფლობდნენ საბუეს. ესენი იყვნენ გიორგის შვილები, გრიგოლის შვილები და დავითისა. დავითის შვილები იყვნენ ნიკოლოზ ჯორჯაძე და მისი ძმა მერაბი, ენისლის მოურავი მამის სიკვდილის შემდეგ. ამ ძველსა და დიდებულ გვარს ეკუთვნოდა აგრეთვე ახლად განსვენებული არჩილ ჯორჯაძეო,-მიუთითებს ავტორი და საუბრობს ნიკოლოზის მიერ 1710 წელს გადაწერილი მშვენიერი ნუსხურით დაწერილი დიდი კრებულის (წიგნი ესე ,,ეფრები" (საეკლ. მუზ. N 166, გვ. 1149) შესახებ, მოყავს ამ კრებულში მოცემული რამდენიმე აფორიზმი).

ალექსანდრე ეპისკოპოსის საწიგნე.

,,სახალხო გაზეთი" 1913, N 980, 29 აგვ. გვ. 3.

ნათქვამია, რომ განსვენებულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ სიცოცხლეშივე თავის წიგნები მოათავსა საეკლესიო მუზეუმის შენობაში. ყველა ეს უძრავი გონებრივი საუნჯე-ქართული და რუსული,-მიყრილი იყო ერთ გროვად ქვედა სართულში. შარშან, ეს წიგნები განსვენებულის მემკვიდრემ არქიმანდრიტმა პიროსმა შესწირა საეკლესიო მუზეუმს. აწ ცალკე კომისიამ არქიმანდრიტის ნაზაროსის თავმჯდომარეობით ყველა ეს წიგნი მიითვალა და მუზეუმის გამგემ ყოველივე ცალკე კატალოგად აღნუსხა. წერილში მოკლედ გადმოცემულია შემოწირულების აღწერილობა. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ მრავალ სახელმწიფო კაცთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ მონაწერ ბარათებ შორის, გვხვდება წერილები დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძისა (ერთად), იწვევს წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებაზე დასასწრებლად), გაბრიელ ეპისკოპოსისა, სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის იაკობ გოგებაშვილისა, რაფიელ ერისთავისა, დიმიტრი ბაქრაძის, დიმ. ჯანაშვილისა, დავით ღამბაშიძისა, დურმიშხან ჟურულისა, ნიკო დადიანისა და სხ. აქვეა ბარათი მამია გურიელისაგან, აგრეთვე ნიკოლოზ დადიანისაგან- 25 წლის სამსახურისა და 50 წლის იუბილეის (დადიანის ივბილიონის) გამო. ავტორის თქმით, ყოველი აღნუსხული იძლევა მნიშვნელოვან მასალას ღვთივ განსვენებულ ეპისკოპოზის ალექსანდრეს მდიდარი და ნაყოფიერი ცხოვრების აღსაწერადო.

დიმიტრი ჯანაშვილი

,,განათლება" 1916, N 3, მარტი, გვ. 174-177; N 4 და 5, აპრილი და მაისი, გვ. 258-261; N 6-7, ივნისი და ენკენისთვე, გვ. 335-338.

არვეზად დაგვშთა ცხოვრება ჩვენის ბიძაშვილის დიმიტრი ჯანაშვილისა. ამ ცხოვრების გაცნობა უპრიანია არა მარტო მისთვის, რომ დიმიტრი იყო პირველი მოხალხოვნე საქართველოს ისტორიისა, არამედ იმისთვისაც, რომ მან, ჩამომავლობით ინგილომ, პირველმავე გააცნო საქართველოს მისგან შავთა დროთ მანქანებით მოწყვეტილი ვრცელი კუნჭული, მარად მზიანი ჩვენი საინგილო.

იგი დაიბადა 1843 წელს სოფელ კახს ჯანაშვილების გვარეულობაში. ჯანაშვილები საინგილოში ეკუთვნიან წარჩინებულ გვარეულობას. ეს გვარეულობა თავადიშვილის ღირსებისა იყო. პაპაჩვენის ბაირამალის სიტყვით, ჯანაშვილები აქეთ გადმოსახლებულან ლორისა თუ ბორჩალოს მხრიდგან. ძნელია კაცმა სთქვას, იგინი ვისი ნატამალები არიან-ლორის მელიქიშვილების განაყოფის მელიქ-ჯანაშვილისა (იხ. ირაკლის სიები ,,ივერია" 1884 წ.N 4 დამატ.) თუ გორელ აზნაურის გიორგი ჯანაშვილისა. აღსანიშნავია, რომ ჯანაშვილები მოსახლეობენ საინგილოს სხვა სოფლებშიაც, ქოთუქლოს, სოსკანს და ალიბეგლოს და საინგილოს გარეთაც ქიზიყში და ქართლში, საცა ებრაელობენ ტფილელ ებრაელ ჯანაშვილებითურთ. კახის ჯანაშვილების საგვარეულო ოქრობეჭდული სიგელი, როგორც მოგვითხრობენ მამა-ბიძანი, დაიწვაო სოსკანში მის დარბევის დროს ლეკებისაგან.

გადმოცემავე იუწყება, რომ კახის ჯანაშვილების წინაპარი მათე, რომელსაც სასახლე ჰქონია აგრედ-წოდებულს მათეი-ყალაში, ფრიად მდიდარი კაცი ყოფილა, ჰქონია მფლობელობაში თვით მათეი-ყალას (=მათეს ციხეს) მინდორ-ველი, აგრეთვე ფანცაურის გაყოლება მიწები ყუმის ბოლოდგან სოსკანამდე, საცა ჰქონია აგრეთვე საბინაო მამულ-დედული. შაჰაბაზი რომ შემოესიაო საქართველოს (1611 წ.), განაგრძობს გადმოცემა, მის ლაშქარს გაუმასპინძლდაო ვინმე შარმაზან ჯანაშვილი:ყველა მოლაშქრეს მიართვაო გაძღომამდის ახალნაცხობი ლავაში და კილანით (ჭიქით) თაფლი. ამისთანა უხვი სტუმრობა სათნო იჩინაო ყაენმა და ეს ქვეყანა არ დაარბევინაო თავის ლაშქარს:ასე მოგვითხრობდა ამ ამბავს ლეკი კამაზოღლი: ჩვენს საგვარეულო წიგნებში ასე სწერიაო. სამწუხაროდ ხსენებულ კამაზოღლისაგან ვერ გამოვიტანეთ მისი წიგნი, რომ გაგვეგო მართლა რა და როგორ ეწერა. მალე თვითონაც მოკვდა და თუმცა დიმიტრი ნახურშიაც იყო მის ავან-ჩავანის გასაგებად, მაინც ვერას გახდა, ვერ გაიგო ვის დარჩა კამაზოღლის სახსოვრის წიგნი.

პაპაჩვენს ბაირამალის, რომელმაც იცხოვრა ას წლამდე და რომელსაც, როგორც თვითონ ამბობდა, ახსოვდა მეფე ერეკლეს ვაჟკაცობა, ჰყვანდა სამი ძმა და ხუთი შვილი, უმცროსი მათგანი იყო იოსები, მამა ჩვენის დიმიტრისა. პაპის ბიძაშვილი იყო ის ზილფი ჯანაშვილი, რომელიც თავის ვაჟკაცობით თავზარს სცემდა აქაურ მტარვალებს და რომელიც ბოლოს შეიპყრეს და ჭარში აწამეს ლეკების ცოლებმა:შამფურებით დაჩხვლიტესო სანამ სისხლით არ დაიცლებოდაო და ნელის, მაგრამ საშინელის ტანჯვით სულს არ მიაბარებდაო ღმერთს. გაყრამდის ყველანი სცხოვრობდნენ ზემო მამულში, კობალას პირად. შემდეგ კი მანსური და მისი მომდევნო ძმა გადასახლდნენ სოფლის ქვემო ნაწილში, აგრედ წოდებულ თოფ-ბარში. აწ გიორგის სახელობაც ცხოვრობს ამ თოფ-ბაღის მომიჯნავედ და მათეი-ყალას ბოლოში ორ ხევს შუა, საოლქო დიდ შარას პირად.

დიმიტრის მამას ჰყვანდა ორი ვაჟი და ოთხი ქალი. დედა მისი არზი იყო ოთარაშვილის ქალი. ამ გვარში შთამომავლობითგანვე დარჩენილი იყო სამკურნალო ხელოვნება, რომელიც მამით შვილზე გადადიოდა. დიმიტრის მკურნალი ბიძის ჯალილას სახელი შორს გავარდნილიყო, რადგან დაუცადებლად არჩენდა ჭრილობას და სხვა ავადმყოფობას.

იოსები თავის სახლობით ღარიბად ცხოვრობდა. იგი, როგორც უმცროსი შვილი, ნებიერად იყო გაზრდილი, მაგრე რიგად არ უყვარდა მუშაობა; იზიდავდა მას ჩონგურის დაკვრა და გართობა, რადგან უფრო მგოსნური სულისკვეთების კაცი იყო. მამას სოფლურ საქმეში შველოდა მისი შვილი დიმიტრი, რომელიც თუმცა ჯერ ნორჩი იყო, მაგრამ მაინც მთიდამ ზურგით ზიდავდა შეშას სანათად, მწყემსს

მიჰყვებოდა მინდვრად ძროხის საძოვებლად, ანდა მიელალებოდა ულაყებს საძოვარზე და სხ.

1850 წელს 9 წლის დიმიტრი ჩამოიყვანა მამაჩემმა ტფილისს და მონათლა სიონის საყდარში. მანამდე ერქვა აღაჟანა.

Ᾱალე იგი რამდენიმე ინგილო ყმაწვილთან ერთად მიიყვანეს დედოფლის წყაროზე და მიაბარეს სამხედრო სასწავლებელში. აქ მათ ვერ გაუძლეს სამხედრო წესებს, ვერ შეეწყნენ უცხო ყოფას და ორიოდე წლის შემდეგ შინ დაბრუნდნენ. აქ დიმიტრი დიდხანს არ დარჩენილა.

იგი ახლა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მისცეს. სწავლაში დიდი ნიჭი გამოიჩინა და სემინარია 1865 წ. სტუდენტად დაამთავრა. შეირთო ბეგიაშვილის ქალი სათნო ელენე და ეკურთხა ყორაღნის მღვდლად. ამ ქალმა ვერ აიტანა ამ სოფლის ციებ-ცხელებიანი ჰავა და მალე გარდაიცვალა (1868 წ.), მისგან დარჩა ერთი ქალი მარიამი, მამის ნუგეში და გამრთობელი მის ქვრივ ობლობაში (აწ მარიამ ივანიცკისა ჩამომავლობით ინგილოისა).

დაქვრივებულ-დამმარებულს აღარ ედგომებოდა ყორაღანში.

1868 წლის აპრილის 4-დან მე ვსწავლობდი ზაქათალის სამაზრო სკოლაში. საღმრთო წერილს გვასწავლიდა დეკ. გრიგოლიევი. 1871 წელს იმან დამავალა მიმეწერა დიმიტრისთვის, რომ გრიგოლიევი თავს ანებებს საღმრთო სჯულის მასწავლებლობას და თუ ინებებს, მას გაამწესებენ. დიმიტრი დათანხმდა. ჯამაგირი მცირე ჰქონდა. თუმცა მოხუცი გრიგოლიევი აწირვინებდა ხოლმე თავის მაგიერ სამხედრო ეკლესიაში და იქიდანაც ცოტაოდენი შემოსდიოდა.

მე ჩინებულად ვსწავლობდი და ნიშნების უპირატესობით ვითვლებოდი ,,სტარშოით" სასწავლებლის მოსწავლეებისა. 1872 წელს დავასრულე და დიმიტრიმ ჩამომიყვანა ტფილისს და სემინარიაში მიმაბარა (იხ. ამ ჩამოყვანის ამბავი ,,მზე და აკაკი"-ში) თვითონ კი უკანვე ზაქათალას დაბრუნდა. მაშინ იგი უკვე განთქმული მწერალი იყო. გაეგოთ მისი ხელნაკლულევანება გაბრიელ ეპისკოპოსსა და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს კალანდარაშვილს და მიეწვიათ ქუთაისს ხსენებულ სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად.

1873-1876 წლებში დიმიტრი უკვე მოღვაწეობდა იმერთა დედაქალაქში და გამოჩენილ მასწავლებლად ითვლებოდა. შემდეგ იგი წავიდა მოსკოვს სწავლის გასაგრძობად იქაურ სასულიერო აკადემიაში, საცა მაშინ მასთან ერთად სწავლობდნენ თედო ჟორდანია, ქრისტეფორე უღრელიძე და სხ. მოსკოვიდან დაბრუნდა 1879 წელს. მისცეს მას ტფილისის სემინარიის აღმზრდელობა. აქ დიმიტრი საკმაო თავისუფლებას იჩენდა და მიტომ გუდა-ნაბადი აჰკიდეს. შევიდა სათავადაზნაურო გიმნაზიაში, იარჩიეს წ.კ. საზოგადოების გამგეობაშიაც. რამდენიმე ხნის შემდეგ ეგზარხოსმა პავლემ დიმიტრი ისევ მოიწვია სასულიერო სამსახურში და გაამწესა საინგილოში მისიონერად. მოქრისტიანებით ვერ აქრისტიანებდა, მაგრამ ხალხზე კი დიდ გავლენას ახდენდა თავისი ცეცხლივით მჭერმეტყველობით.

კახში მაშინ იყო იქაურ მისადევრის უფროსი ვინმე მერკულოვი. გვმეგობრობდა ვითომ ისე, ვით უგულითადესი ძმა, გვპატიჟობდა, გვიდარბაზებდა. გველაპარაკებოდა საქართველოს კეთილდღეობაზე, დიმიტრის და სხვების უმეტეს წარჩინებაზე. ამასობაში ტფილისიდამ მოვიდა ქაღალდი შესახებ დიმიტრის გადაყენებისა მისიონერობიდამ. სახტად დავრჩით. უმეტეს გაკვირვებას იჩენდა ზემოხსენებული მერკულოვი. პაპანაქება ზაფხული იყო. დიმიტრი გაემართა ტფილისისკენ და რომ დაბრუნდა ცარიელ-ტარიელი, გვითხრა:,,მერკულოვს დავუბეზღებივარ, თუმცა ნამდვილად ვერა გავიგე რაო".

გული დაგვწყდა, მით უმეტეს, რომ მის წინად წინადადებას აძლევდნენ ეპისკოპოსად ეკურთხაო და არ ინება:წმიდა მაკურთხევლობას ვერ შევასრულებ, რადგან მე მიყვარს მოძრაობა, თავისუფალი ცხოვრება და ეპისკოპოსი კი უნდა იყოსო მდაბალი, მონა უფლისა და წმინდა ყოველი მხრივ.

ამის შემდეგ დიმიტრის საქმე უკუღმა დატრიალდა. ბედმა გადიტყორცნა ადგილიდან ადგილას; ნუხს, ვართაშენს, ალიბეგლოს, დიღომს, სანთლის ქარხანას, მდივნად და ბოდბისხევს, საცა უბრალო მღვდლად აღესრულა 1906 წლის ოქტომბრის 5-ს დაბადებიდან 65 წლისა. მისი ნეშტი ინგილოებმა წაასვენეს კახს, დაიტირეს საერთო ტირილით და მიაბარეს მიწას ეკლესიის ეზოში, მისი მეუღლის ელენეს სამარის გვერდით.

ავტორი შემდეგ მიმოიხილავს დიმიტრის ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებს. მისი სიტყვით, მწერლობაში დიმიტრი იყო უშიშარი, გამბედავი მამხილებელი, გატაცებული მქადაგებელი, ხან დინჯი მოაზრე, ხან მქუხარი მჭერმეტყვი, ხან ისტორიკოსი, ხან დამრიგებელი, პედაგოგი, პროპაგანდის გამწევი, ყოველთვის გულწრფელი მეგობარი თავის ერისა, ყოველთვის მეძიებელი ჭეშმარიტებისა.

რაჭის ერისთავი როსტომ

,,სახალხო ფურცელი" 1915, N 260. 17 აპრ. გვ. 3.

როსტომს ბედმა არგუნა დიდი თანამდებობა-გამგეობა ქვემო რაჭისა. მაგრამ მან ეს ქვემო რაჭა იცოტავა და მოინდომა მთელი ამ კუთხის დამოუკიდებელ მფლობელად გახდომა. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მას საღერღელს უშლიდა უწინდელი დროის ერისთავი კახაბერ, თუმცა მასთან არავითარი ნათესაობა არ ჰქონდა. ასეა თუ ისე, რაჭის ბატონ-პატრონობა მოიწადინა.

მაშინ ყველა თათქარიძეების ბატონობის განმტკიცებისთვის საკმაო იყო მკლავი და როსტომს კი ზედმეტად დიდი ნათესავ-მოყვრობაც გვერდს ეგულებოდა. აბა ამ იარაღებით შეჭურვილ კაცს წინ რაღა დამიდგებაო, ალბად, ფიქრობდა როსტომი. გამაგრებული იყო ისევ ბუნებითვე.

გამაგრებულს ციხე მუხურში და თავის განზრახვის განსახორციელებლად ჩუმჩუმად იმხრობდა რაჭის თავად-აზნაურობას, საიდუმლო მიწერ-მოწერას ჰმართავდა ყაენთან, ხონთქართან, ახალციხის ფაშასთან, შიკრიკებს ჰგზავნიდა რუსეთისკენ...

მალე რაჭის დიდკაცობა, გარდა წულუკიძისა, ყველა მიიზიდა, მოიმხრო. წულუკიძემ ქედი არ მოუხარა, რადგან თვითონაც ოცნებობდა იმასვე, რასაც როსტომი, მასაც სწყუროდა რაჭის სატყეპი ჯოხი ხელში ჩაეგდო. მას იმედი ჰქონდა თავის ძმის ბერ წულუკიძისა, რომელიც მეფე სოლომონის კარზე უპირველეს და უსაყვარლეს მრჩეველად და მოხელედ ითვლებოდა.

როსტომი მიუხვდა, გაუწყრა, მოულოდნელად თავს დაესხა, ამოუჟლიტა ყმანი, აუფორიაქა ქონება მას და მის გვარეულობას, და სიგლახაკეში მოკლა.

გამოუჩნდა მეორე მეტოქე-ჯაფარ ჯაფარიძე, ძლიერი არა მკლავით, არამედ ჭკუით, სათნოებით, უანგარობით.

წულუკიძეები რომ აიკლო, ჯაფარმა მოახსენა როსტომს

-აგეთივე იქნება შენი დასასრულიც. ანგარება, ზვიადობა, დიდების მოყვარეობა დაგანარცხებს, დაგღუპავს ისე როგორც დღეს შემუსრე შენი მეტოქე წულუკიძე.

ეს წინასწარმეტყველება გულში მძიმე ლოდად ჩაეჭდია ,,სარკესებრ ბრწყინვალე" როსტომს. ცხადლივ ვერ ბედავდა ჯაფარის-ამ განხორციელებულ სვინიდისის

მოსპობას და ეძებდა მოხერხებულ შემთხვევას გზიდან მოეშორებინა ეს ,,მავნე" მხილებელი.

გაიმართა დიდი წვეულობა. მისადევრის მთელი ბრწყინვალება დაესწრო. ჯაფარ ჯაფარიძეც შეიტყუილეს. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა, მრავალჟამიერი მრავალჟამიერს. დაქირავებული თამადა თვალს არ აშორებდა ჯაფარას. ,,შესვი შენც, ჩვენო უმანკო, ჩვენო სიამაყევ! შესვი ლალისფერი, გეცეს პირსა ფერი!"

შესვა ჯაფარმაც, თან აედგა ენაც. იწყო მხილება როსტომისა ჯერ ფრთხილად, მერე აშკარად, ხმამაღლივ. ამაყი ,,მთავარი რაჭისა" აივსო სიბრაზით, მით უმეტეს, რომ იქ იყვნენ ქუთაისიდან მოსული მეფის კაცებიც.

ბოღმა ახრჩობდა როსტომს, მაგრამ ითმენდა, რომ ღვინოს გაელექებინა სტუმრები.

ილხინეს, შესვეს სადღეგრძელოები ქართველურად, არ დაივიწყეს არა თუ ერთმანეთი და მეფე-დედოფალი, არამედ ის ვაზიც, რომლის ლალისფერი წვენი ამდენ სიამოვნებას აგრძნობინებდა მათს ძმობას, გვრიტებივით ერთურთის მოტრფიალე-მოღუღუნეებს.

ბოლოს ვაზის წვენმა თავისი ჰქმნა:უჭკუო ღვინომ ჭკუა წაართვა ჭკვიანებს... აიშალნენ, აბარბაცდნენ, წაეყარნენ ვინ სად, ვინ სად. ჯაფარ და როსტომ მოჰყვნენ ერთ გამარტოებულ ოთახში. მის ნიშნებით მისმა ყმამ გახურებული სამსჭვალი ჯაფარს მოსდო თვალებში და წამწამის უმალ ამოაძრო ორივე და შორს გადიტყორცნა.

ბრმად დაშთენილ ჯაფარმა მწუხარებაში დალია თვისი წრფელი სული.

მეფე, დიდი ხანი იყო, გრძნობდა, რომ რაჭაში რაღაცას ამზადებს როსტომი, რომ იქ რაღაცა უწესოება იკიდებს ფესვს. ერთხელ მეფე სოლომონს ძილში გამოეცხადა თვალებამოგდებული ჯაფარ ჯაფარიძე. დაბებკილ-დაძონძილ ტალავრით და მასთანავე როსტომი ოქრონემსულ საცმლით გამოწყობილი. ვითომ ჯაფარი უჩიოდა როსტომს და მეფისაგან ითხოვდა სამართალს. რომ გამოეღვიძა მეფეს და სცნო სიზმრის სიმართლე, დაიბარა როსტომი. მაგრამ ეს არ გამოცხადდა, რადგან თვითონაც იგეთივე სიზმარი ენახა, როგორიც მეფეს, და ეშინოდა დასჯისა.

მეფე ძლიერის რაზმით გაემართა რაჭისკენ. ნაქერალაზე მას დახვდა როსტომი თავის მეომრებით. მეფემ შეუტია. როსტომი გაიქცა მუხურს, მაგრამ იქაც ვერ გამაგრდა და შეიმალა რაჭის უღრან ტყეებში. მეფე ვერ დაეწია მას და დაბრუნდა, მხოლოდ 1768 წელს იმერეთის დიდებულებმა შეარიგეს მეფე და მისი გაამაყებული ყმა როსტომი.

სოლომონმა კვლავ იწვია როსტომი. ახლა კი დასთანხმდა, 500-ის ცხენოსნით მოვიდა და დადგა ვარდციხეს.

გაიმართა წვეულებანი, ჯირითი, ნადირობანი, სმა, ლხინი, წყალობანი.

ერთ დღეს მეფე მობრძანდა რიონის მარჯვენა კიდესა, პირისპირ ვარდციხისა, და იწვია როსტომი სანადიროდ. რა წამს ტივით მოაწია ნაპირს, მეფის კაცებმა მიაცილეს ერთს მახლობელ სახლს, საცა მეფის ბრძანებით თვალები დასთხარეს. სოლომონმა იგი ჩააგდო ,,მოდი და მნახეს ციხეში", მისი ქონება კი გაუნაწილა იმ დიდებულებს, რომელნიც შველოდნენ გაზვიადებულის დასამორჩილებლად. როსტომის ნაცარცვიც პატრონებს დაუბრუნა მოწყალე მეფემ.

ბრწყინვალება სიბნელედ დაიმსხვრა.

ვაჟა-ფშაველას წმ. კუბოსთან. 1915 წ. 28 ივლისი

იხ. ხელნ. ინსტ. მ.ჯანაშვილის საარქივო ფონდი N 250.

თავზარი დაგვცა ვაჟას სიკვდილის ამბავმა. მეორე დღეს დილითვე გავეშურე ძვირფას ცხედრის თაყვანსაცემლად.

ესვენა კუბოში ყინულის ნაფლეთებ შემოწყობილი.

უჩვეულო სანახაობამ გონებით გადამაფრინა ვაჟას სამშობლოში, იქ, საცა მას ცათამდე აყუდებულს მთა-კლდოვანებისა და ყინულის კონცხებ გარემოცულს არაერთხელ უხარნია ბუნების სიდიადით და ზუსტად ხელი აღუპყრია მშვიდობისათვის ქვეყნისა და სათნოების დამყარებისათვის კაცთა შორის.

ახლაც კუბოს კედლებ შუა მომწყვდეულს მეტად აღეხვნა თვალნი, მხოლოდ უსულოს, პირი დაეღო ისე, თითქო გამზადებულიაო ლოცვა-ვედრებად და ამბობსო:

,,ყინული მაწევს მყინვარი,

საკუთარის ღვთის ტკბილი ხმა

ყურს მეწვეთება აღარა"..

ერთი თვის წინად-კი სულ სხვაგვარად დამხვდა.

შევედი თუ არა მის სანახავად, მომაპყრო თვისი გამჭრიახი თვალები, ტკბილად მომეალერსა დიდი ხნის მეგობარს და მითხრა:

- გმადლობ ნახვისთვის, მეტისმეტად გმადლობ. კვლავაც მითქომ შენთვის და ახლაც გეუბნები-მე ვიყავი და სიკვდილამდეც ვიქნები უკეთესი თანამოზიარე და თანამოაზრე შენის მუშაობისა. ვერ იქნა, ვერ შევეგუე იმათ აზრებს და მიმართულებას, რომელნიც წარამარად იხარჯებიან შოთა რუსთაველისა და სხვადასხვა კითხვების შესახებ. კლარჯეთ-აჭარაში მკვიდრთა გაქართველება ძლივს დასრულდაო მე- XI საუკუნეში, კახეთის მოსახლეობაც უცხო მოდგმისა იყოო და მერე გაქართველდაო, ივერია სამეგრელო არისო. ამისთანა ვითომ-მეცნიერებამ ჩემს თავში ადგილი ვერ ჰპოვა. ამგვარ მეცნიერებას უარჰყოფდნენ თვით ილია-აკაკიცა.

მაგრამ ეგ რა! ჩვენს (აქ გამოვტოვეთ ერთი სიტყვა-მ.ჯ. დაუწერია და შემდეგ წაუშლია-,,შემლებულ (მოძულე")-კ.კ.) მეცნიერებს ეჭვი შეაქვთ თვით ქართველ კათოლიკეთა არსებობაშიაც. ,,თუ არიან აგეთი ქართველებიო!" იმერეთში მე IX საუკუნემდე წირვა-ლოცვა ბერძნულს ენაზე სწარმოებდაო. სამწუხარო ის არის, რომ ამისთანა აბდაუბდა ჩვენში მეცნიერებად იწოდება და მათ ავტორებს ტაშით ეგებებიან ზოგიერთნი. ჩვენი შოთა მერანიდამ დონკიხოტის როსინანტზე ჩამოსვეს. ამირან-დარეჯანიანის ასლი ვიპოვნეთო. მერე სად არის. რატომ ამ ათიოდე წლის განმავლობაში ვერ გვახილვეს ის ასლი. მე არც ის მჯერა, რომ იყოს რაღაც იაფეთური ჯგუფი, რომ სემიტების მონათესავენი ვიყვნეთ. ამის დასამტკიცებლად ამოშლილი მაგალითები დომხალივით არეულ ცხრაწვენას მომაგონებს და არა რასმე დასაჯერებელ საბუთიანობას. ყველგან ქართველების დაჩრდილვა, დამალვა ქართულ წყაროებისა, მაგ. ,,არქაუნას" შესახებ, ცალმხრივ გაშუქება აღძრულ კითხვებისა, ქართული ენის მრავალ ენებად დაყოფა, დაქსაქსვა, ბარბაროსობად გამოცხადება ქართულ სახელების დაბოლოებისა (ეთ-ს მაგიერ იოტა-ს წერა)-ყველა ეს უკიდურეს ტლანქობის ნაყოფია და არა დამჯდარ აზროვნობისა და საქმიანობისა. ყველა ამის შესახებ მე ხმას ამოვიღებ თავის დროზე, ჯერჯერობით კი ჩემი საზრუნავი ეს არის, რომ მალე გამოვიდე აქედგან და ჩემს მთებს ვეწვიო. იცი, რა დიდებულებაა იქ! ბუმბერაზი დევი მთები და ბროლი ჩანჩქერები ჩემს გულს იქითკენ ანდამატივით იზიდავენ. ძალიან დავაშავე, რომ აქ მოვემწყვდიე. თავიდგანვე სამშობლოს მთებისკენ უნდა წავსულიყავ და ისინი და იმათი სული მომარჩენდნენ. ერთხელაც ძალიან დავუძლურდი, მაგრამ დროით მივაშურე მთებს და განვიკურნე. ვეჭობ, ეხლაც წამლებმა მომარჩინონ. მთის კაცისთვის ცოტაა წამლის

აქაურული განაკვეთი:ჩვენში ერთიორად მეტს სმენ და ძლივ შჭრის. ჩვენებური ბუნება, სჩანს, სხვაა. ასეა თუ ისე, ჩემი სულ-გული მთისაკენ მიიხარის. იქაურ წყაროებს ჯანაოზ ექიმის ძალა აქვს. ჩემს წყალმანკს მყის დაადნობენ იქაურ ჰაეროვნების დახმარებით. მიამა შენი მოსვლა უფრო იმიტო, გამეგო შენი აზრი შესახებ თამარ მეფის საუკუნო ბინისა. დარწმუნებული ვარ, უკვდავი დედოფალი დასაფლავებულია არა გელათში, არამედ ჩვენს მთაში. ამას მოწმობს თეიმურაზ მეფის სიგელიც. მართლა, კინაღამ დამავიწყდა, როგორ მიდის შენი ლექსიკონის საქმე. მეტად დიდი და ვრცელი შრომა გამოგსვლია:ორჯერ დიდი ჩუბინაშვილის ლექსიკონზე. ეგ კაი სამსახურს გაუწევს ჩვენს ხალხს. საჭიროა მხოლოდ დროით დაიბეჭდოს. მიკვირს, რატომ არ წარუდგენ წერა-კითხვის საზოგადოებას. აქედგან მალე გამოვალ და ერთი შენი მუზეუმი დამათვალიერებინე, კაი წიგნები ბევრი გამოგიციათ და მინდა სასულიერო პოეზიას საფუძვლიანად გავეცნო.. ეტყობოდა კიდევ ბევრი რამ უნდა ეამბნა საქართველოს წარსულის მოტრფიალე მჭერმეტყველ მგოსანს, მაგრამ შემობრძანდა მორიგე ექიმი და მე გამოვეთხოვე ძვირფას მეგობარს ვაჟას.

საღმთო მოვალეობად ჩავთვალე სტენოგრაფიული სისწორით გამოვაცხადო ის, რაც მის ნახვის დროს მიამბო აწ ღვთივგანსვენებულმა მრავალმხრივ განათლებულმა დიდმა მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ. დე საზოგადოებამ გაიცნოს მისი უკანასკნელი სიტყვა-ანდერძი.

ვაჟა-ფშაველობა

,,თეატრი და ცხოვრება" 1916, N 34, 22 აგვ. გვ. 5-7.

ყველა დიდ მიცვალებულის შესახებ აუარებელი წერილი იწერება და ყველა ეს წერილი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქო ახალი მიცვალებულისთანა არც ყოფილა და არც იქნება.

ილიათი ჩაესვენა საქართველოს მზე...

აკაკით დასრულდა რუსთაველობა...

ვაჟათი მოისპო მესაიდუმლეობა მთისა, ქართველი ერისა...

არჩილ ჯორჯაძეს რომ საუკუნო ბინისკენ ვაცილებდით, მთელი თბილისი გამოფენილი იყო მგლოვიარების საყურებლად და ყველანი ჰკვირობდნენ, ვინ არის ეგეთი დიდი განსვენებული, რომ მის კუბოს ზღვა ქართველობა მისდევსო, ერთმა მკითხა:

,,კიდევ გყავთო ასეთის ზეიმით დასამარხავი?"

-ბევრი მეთქი. ძალიან ბევრი!-შევატყვე, არ ესიამოვნა უცხოელს ჩემი პასუხი და გამშორდა. მე მაშინ არ ვიცრუე, არამედ წრფელის გულით ვუპასუხე.

ჩვენი წარსულის გათვალისწინება საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველო დაბადავს არა-ერთ ბარათაშვილს, არა-ერთ ილიას, აკაკის, ვაჟას...

დიდი მოღვაწე, უკვდავი მწერალი და მგოსანი უდაბნოში არ ჩნდება, არამედ ყოველი ნიჭი იბადება განაყოფიერებულს და გაპოხიერებულს ნიადაგზე, იზრდება, ვითარდება და ძლევამოსილობას იძენს ადგილობრივ გარემოს მრავალგვარ ხელშე-მწყობ პირობათაგან.

საქართველოს ჯერ სძინავს, რომ დროით დრო აღმოაჩენს მხოლოდ თითო-ოროლა მადლით მოსილს, თორემ აქ ისეთი პირობებია, რომ მას შეუძლიან ასაზრდოვოს არა ერთი და ორი აგეთი, არამედ ათასი, უამრავი.

მამა-პაპას ბევრი კეთილი დაუზოგვია ჩვენთვის და თვით განგებასაც არ მოუკლია ჩვენთვის ნიჭი, გამბედაობა, შრომის უნარი, ზრდილობა მესხისა, გმირობა

იმერისა, სიმდიდრე ქართლელისა, ხმალი-კახისა-ყველა ეს მოუმადლებია ღმერთს ქართველისთვის.

ახლა რად ღირს თვით მშვენიერება და სიკეკლუცე ჩვენი სამშობლოსი!..

ფერადი მობიბინე ველები, კოხტა ბორცვები და კორდები; დევი მთები, ცამდე ასრბოლილი მწვერვალებით მოკვერცხილნი; ბარად მოდუდუნე და ყვირილა მდინარეები; სპეკლად გადმომქუხარე ჩანჩქერები; ფირუზ-ზურმუხტი ცა, უღრანი ტყეები მრავალგვარ ფრინველითა და ნადირებით; ზომიერი ჰაერი:დიდებული გადასახედავები და საოცარი სახილველები. ყველა ეს, გინდათ თუ არა, მოსახლეს სამგოსნო ფეხზე აყენებს, სიმკვირცხლის უნარს უღვივებს.

ჩვენი ქვეყნის შვენიერებას ზედ ემატება კიდევ შვენიერება მამა-პაპათა ნამოღვაწისა:

ველი-ბორცვი-მთა ნაბიჯსა და ნაბიჯზე შემოსილია აუარებელ საოცარ ძეგლებით, ქვეყანა გადათხრილია რუ-არხებით, შემკულია ლამაზ-ლამაზი სოფლებით, წიგნთსაცავები სავსეა ტყავზე ნაწერ წიგნებით, შორს წარსულიდამ ალერსიანად გამოიყურება არა ერთი საკვირველი მოღვაწე, თვალსაჩინო მწერალი, მგოსანი (მათ შორის არა თუ პაწია საქართველოს, არამედ მსოფლიოს დამამშვენებელიც, ვით შოთა), სჯულმდებელი, თავდადებული გმირი; გამოიყურებიან, რომ შეამოწმონ, რას ვაკეთებთ, რას ვშვრებით, როგორ ვემსახურებით საქართველოს.

ამავე დროს თვით ერში მრავლათ-უმრავლეს კიდის-კიდემდე განფენილია სიტყვიერებითი თქმულება-გადმოცემანი ღმერთებსა და ბუნებაზე, ზესკნელსა და ქვესკნელზე, კაცსა და პირუტყვზე, კარგსა და ავზე, ცხოვრებასა და სიკვდილზე, მეგობრობასა და მტრობაზე, სააქაოსა და საიქიოზე.

და სხ. და სხ. მთელი ბუნება აუმეტყველებია ქართველს, მის ყოველ შემადგენლობისათვის მიუნიჭებია ხუთივე გრძნობა:,,დროით დრო ცას კარები ეღებაო". ,,წამით წამს წყალსაც ძილი ერევაო; ამ დროს ჩერდებიანო მდინარეები, მაღლიდან დაწყებული ჩანჩქერებიც ადგილზე ყუჩდებიანო". ,,ჩვენი სოფლის მუხა დუდუნებსო". ,,ყვავმა გასძახა ყვავსაო:,,ჩავარდი გულის ხმასაო". ,,მთა წმინდა ჩაფიქრებულა". ,,მყინვარმა ქედი მოიხარაო იალბუზის წინაშე".

აგერ გმირთ-გმირებიც:ჰკვნეტენ რკინას, ისვრიან ათას ლიტრიან კონცხებს, აღმოჰკვეთენ კალოს ტოლა ბელტებს, წიხლით შეანგრევენ ციხე-კოშკების კედლებს, ერთი ჰმუსრავს ათს, ათი ლეწავს ათასს...

ამ გვარ ფერადებით მორთულია ის თვალწარმტაცი წალკოტი, რომელშიაც ჩნდებიან და იზრდებიან შოთაები, დავითები, ილიები, აკაკიები, არჩილები, ვაჟაები და მომავალშიაც გაჩნდებიან (თუ ეხლავე არ გაჩენილან!) და ფრთას შეისხამენ ბევრი სხვა ვაჟაები, სამშობლო მიწა-წყლის მესაიდუმლენი.

კულტურისანს ჩვენს სამემკვიდრეობო ყველასთვის არის საკმაო დაზოგილობა:მგოსნისთვის, მქადაგებლისთვის, მხატვრისთვის, მეცნიერისთვის მეტადრე ისეთ რჩეულთათვის, ვით ვაჟა, ილია, მოჩხუბარიძე და სხ.

შოთა დღევანდელ ქართველებისთვის ცოცხალი უნივერსიტეტია. სწორედ ამ შოთას უნივერსიტეტში ისწავლეს ბარბარე ჯორჯაძემ, ნეტარ-ხსენებულმა მგოსანმა დავითაშვილმა და სხ. ამ უნივერსიტეტის ბარაქიანობა ჯერაც მკვიდრობს სოფლითი სოფლად, მეტადრე მტრის აკლებისაგან უფრო გადარჩენილს ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთში, რაჭას, სვანეთს, ლიხის მიუვალ ღელეებში. აქ იზრდებიან და აქვე საზრდოობენ პატარა დავითაშვილები, მესტვირეები.

ჩვენი სიამაყე ვაჟაც შვილი იყო გარემო ჰაეროვნებისა და ჰაეროვნებამ ბუნებითვე დიდი ნიჭის პატრონი უკვდავ და დიდებულ მგოსნად მოგვევლინა.

ამასთანავე იგი ევროპიულად განათლებულიც იყო. მან მრავალი ძვირფასი საუნჯე შეიძინა, როდესაც დაეწაფა თავის სათაყვანო მსოფლიო მეცნიერებს და მესაიდუმლოებს:სპენსერს, ტეილორს, გიოტეს, შილლერს, ჰეინეს და სხ. აღარ ვიხსენიებ შოთას, გურამიშვილს, ბარათაშვილს, მეტადრე ილიას, აკაკის და სხ., რომელთა გეგმაზე ჩამოაყალიბა მან თავისი მშვენიერი ეთნოგრაფიული წერილები (იხ. ,,ივერიაში”).

ხალხის თქმულებასაც იგი მძლავრად ეწაფებოდა. 25-დე წლის წინათ მე დავბეჭდე ,,ქართველთა თქმულებანი” (მზრუნველის ჟურნალში) და მათ შორის ,,ყველაფრის ენის მცოდნე”. კაცი ყოველ სულიერ და უსულო საგნის ენის მცოდნედ მაშინ გახდა, როდესაც გველთა მეფემ ჩააფურთხა მას პირში. ვაჟას ნუსხაში კი ყველაფრის ენის მცოდნედ მაშინ გახდა, როდესაც გველის ხორცი შეჭამა (იხ. მისი დიდხელოვნური პოემა ,,გველის მჭამელი”).

ვაჟა იყო ცოცხალი ალაბასტრი იმ ღვთიურ სურნელება-ყვავილებისა, რომელიც ჰფშნიდა ქართველ ერის მიერ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დარგული და სათითაოდ მოვლილ მტილ-წალკოტში; იგი, როგორც ღვთიური მეწალკოტე, უკეთეს ყვავილებიდამ აგროვებდა სურნელოვნებას შესამზადებლად იმ თაფლ-გოლეულობისა, რომელმაც დაატკბო სამშობლო ქვეყანა და რომელსაც ჩვენში დაენათლა სახელი-ვაჟა-ფშაველობისა.. ვიდრე არსებობს საქართველო, იარსებებს მის სასოების და მოლოდინის სათუთად გამომსახველი, თაყვანსაცემელი, ქონებით ღარიბი, ხოლო სულით მდიდარი ვაჟა-ფშაველაც...

ვიმეორებ, ნუ ამბობთ მოისპოო ვაჟა-ფშაველობა. მალე მას მოჰყვებიან სხვა ვაჟა-ფშაველები და უმეტესის სიძლიერით აღმოცენდებიან ახალი მოჩხუბარიძეები, სხვა ნინოშვილები, ახალი დავითაშვილები, სხვა ილია-აკაკიები. კოხტად მორთული საქართველო ვერ იძუნწებს ტალანტებით, ვერ მოიკლებს სხივოსნებს მგოსნობასა, მეცნიერებასა თუ სხვა დარგში.

თ.დ.ჟორდანია

,,საქართველო" 1916, N 240, 28 ღვინობისთვე, გვ. 3.

მე რომ სემინარიის პირველ კლასში შევედი (1871 წ.), თ.ჟორდანია მეოთხე კლასში იყო. პირად მისი გაცნობა არ მომიხდა, თუმცა მის კურს გათავებამდე სამი წელიწადი ერთად დავყავით სემინარიის კედლებ შუა შორიდან კი მას კარგად ვიცნობდი. მაშინ სემინარიის უფროს კლასებ შორის იმართებოდა პაექრობა სხვადასხვა თემაზე, კამათის საგნად გახდებოდა ხოლმე რომელიმე ფილოსოფოსის ან გამოჩენილ; კაცის რაიმე ნასიბრძი. გაცხოველდებოდა რა ბაასი და პაექრობა, ერთისა თუ მეორის მხრიდამ გადმოდიოდა კანტი, ფიხტე, დარვინი, სპენსერი, ბოკლი, გიუგო, არისტოტელე, სოკრატე ან ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბაკუნინი, პისარევი, ილია, აკაკი, პლ. იოსელიანი, გაბრიელი, შოთა და სხ. მოზარდთა შეყოლა სწეწავდა და ჰფენტავდა ამისთანა დიდ-დიდ სახელებს, ავტორიტეტებს.

პირისპირ შემბელი ორი იყო. მაგრამ ორივეს ჰყვანდა თავისი მომხრეები, რომელნიც საჭიროებისამებრ ჰშველოდნენ თავისს ბელადს ტექსტების მოგონებათა თუ სხვაფრივ. პაექრობა ჩვეულებრივ იმართებოდა სადილის შემდეგ და რომ გაცხარდე-ბოდა, სემინარიის შენობას ზანზარი გაჰქონდა ერთის მხრით ორატორების სიცხარისა გამო და მეორეს მხრით მოძრაობისა გამო სემინარიელებისა, რომელნიც მოისწრაფოდნენ მოპაექართა ყურის დასაგდებად.

კაი მპაექარად ითვლებოდნენ კვანჭახიძე, მ.ილურიძე, დ.ალადაშვილი, შ.შიუკაშვილი, თ.ჟორდანია, გ. სამაგლიშვილი, ნ.ლომაური, უთურგაური და სხვ.

პაექრობას ხელს უწყობდნენ მასწავლებელნი იოსელიანი, ცხვეთაძე, ტურიაშვილი, ცვეტკოვები, გოგებაშვილი, რადგან ცხადად ხედავდნენ ამგვარ პაექრობის სარგებლობას:მით მოსწავლენი ეცნობოდნენ მეცნიერების შეხედულებას ღმერთსა და მსოფლიოზე და ეჩვეოდნენ სამჭერმეტყველო ხერხს, იჩენდნენ დაკ-ვირვებას, სიმხნევეს, სამშობლო ქვეყნის ჭირ-ვარამის ცოდნას და სხ.

ამისთანა კეთილმა საქმემ, ჩვენის ფიქრით, დაუდო საფუძველი მომავალ შრომას იგეთ მაშინდელ სემინარიელებისა, ვით ეპ. კირიონი, ს.მგალობლიშვილი, ნ.ლომაური, თ.ჟორდანია, ა.ნატროშვილი, ვ.ბარნოვი, მ.ილურიძე და სხ.

ვიმეორებ, ამ პაექრობის დროს შორიდან გავიცანი თედო. იგი იშვიათად პაექრობდა, მაგრამ ყოველთვის სიმხნით, გაბედულად, ყველანი აქებდნენ მას, როგორც საკმაოდ განვითარებულ ახალგაზრდას.

სემინარია დაამთავრა 1875 წ. და იმავე წელს შევიდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. იქვე მაშინ სწავლობდა ჩემი ბიძაშვილი ცნობილი დ.ჯანაშვილი. ამასთან ხშირი მიწერ-მოწერა მქონდა, და იგი თავის წერილებში ქებით იხსენიებდა თ.ჟორდანიას და იქვე მოსწავლე ქრ. უგრელიძეს.

ამ მიწერ-მოწერამ შეამზადა ქართველი სამღვდელოება, რომელმაც ახალ კურს დასრულებული თედო ჟორდანია ამოირჩია ზედამხედველად თბილისის სასულიერო სასწავლებლისა (1879 წ.). მის ამორჩევას ხელი შეუწყო ნ.ნიკოლაძის ,,ობზორმაც" და აგრეთვე ი.მეუნარგიამ.

სკოლის საქმეს კარგად აწარმოებდა, რადგან სარგებლობდა თავის მეგობრის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მიხ. ასათიანის გამოცდილებით.

სამწუხაროდ, იგი დიდხანს არ დარჩა აქ:ფავორსკის ადგილი გაუცვალა და გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ ჩააბარეს მას ქართული ენის მასწავლებლობა, მაგრამ ამ ენას, მთავრობის პროგრამის ძალით, ასწავლიდა რუსული ენის შუამავლობით ისე, ვით ისწავლება ლათინური თუ ბერძნული. მიუხედავად ამისა, მასში თავიდანვე ბუდობდა ღვთიური ნაპერწკალი, რომლის მეოხებით შესძლო აღეზარდა მრავალი საფუძვლიანი მცოდნე ქართულ მეტყველთა და საქართველოს მოყვარე მოღვაწეთა.

ამასთანავე, იგი მუშაობდა წ.კ. ბიბლიოთეკაში და აგრეთვე საეკლესიო მუზეუმში, რომლის გამგედაც იყო 1889 წლიდან 1896 წლამდე. შემდეგ იგი ინიშნება სამრევლო სკოლების ზედამხედველად და აქაც, მიუხედავად სიძნელისა, სცდილობს ქართულ ენას გაუხსნას გზა ფართო.

მისი გულითადი საქმე და მოწოდება კი იყო სამეცნიერო მუშაობა. დიდი ღირსებისაა მისი ,,დავით გურამიშვილი და მისი დრო", ,,იოსებ სამებელი", ,,ისტორიული ოფოფები", ორ ტომად დაბეჭდილი მისი ,,ქრონიკები" და სხვა მასალები, რომელიც სახელდახელო წიგნად გახდა საქართველოს წარსულის შემსწავ-ლელთათვის. ამგვარივე მნიშვნელობისაა მის მიერ შედგენილი საეკლესიო მუზეუმის კატალოგი, რომელშიაც აღწერილია 800 ხელნაწერი.

ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენთან იყო თედო და დიდის იმედებით ლაპარაკობდა თავის მომავალ მუშაობაზე. მინდა კიდევ ვიცოცხლო, რომ განვაგრძო ჩემი ,,ქრონიკები" და ორიოდე ,,ისტორიული ოფოფები" მიუძღვნა საქართველოს წარსულის დამმახინჯებელთაო. [57)]

მისი უწმინდესობა კირიონი, უნეტარესი და უკეთილმსახურესი კათოლიკოზ-პატრიარქი ყოვლისა საქართველოისა

(იხ. ხელნაწ. ინს-ტის მ.ჯანაშვილის საარქივო ფონდიდან)

11 აგვისტოს ამა წლისას პატივცემულ ე.ს.თაყაიშვილისაგან მომივიდა წერილი შემდეგის შინაარსით:,,ჩვენ, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობამ გადავწყვიტეთ კათალიკოს-პატრიარქის კირიონის პატივსაცემად, რომელსაც ასე დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოებისადმი, გამართოს განსაკუთრებული სხდომა, და თქვენ გთხოვთ მიიღოთ შრომა და მოხსენება წაიკითხოთ მისის სამეცნიერო შრომათა შესახებ, რითაც დიდად დაგვავალებთ".

იმ დროს მე ლექციებს ვკითხულობდი მასწავლებელთა კურსებზე და არა მცალოდა. მაგრამ ეს არაფერი - წინადადების ასრულება უფრო საჭოჭმანო შეიქმნა იმ მხრივ, რომ მე, როგორც სიყრმის მეგობარი და ამხანაგი კირიონისა, შევძლებ მიუდ-გომელად დავახასიათო სრული პიროვნება ღვთივგანსვენებულ პატრიარქისა? ბევრი ჭოჭმანის შემდეგ თანხმობა გამოვაცხადე, და დღეს წარმოგიდგენთ ჩემს მოკლე მოხსენებას, რომელიც იყოფება სამ პატარ-პატარა თავებად:ა) ბიოგრაფია, ბ) გონებ-რივი ნაწარმოებნი და გ) პატრიარქობა. რა მიუდგომელობით შედგენილია ეს მოხსენება და როგორ გამიმართლებია ნდობა დამსახურებულ თაყაიშვილისა, გამოსჭვირს თვით მოხსენებიდამ.

რუსი მოგზაური ა.მოშჩანსკი კირიონის შესახებ ,,ისტორიჩესკი ვესტნიკში" (N 3, 1911 წლ. გვ. 1046, 81 სწერს:"სიონის მუზეუმი ბევრნაირად დავალებულია ეპისკოპოს კირიონისაგან, რომელსაც არასასიამოვნო სახელი გაეთქვა ეგზარქოსის ნიკონის მოკვლის საქმით. იგი იყო დიდი მოყვარე და მცოდნე საეკლესიო სიძველეებისა, ბეჯითად აგროვებდა მათ ყველა ქართული ეკლესიებიდამ და უგზავნიდა სიონის მუზეუმს. მცხეთის საკრებულოს მღვდელი მწარედ შემოგვჩიოდა ამ ეპ. კირიონზედ, რომ მან ამ ეკლესიიდამ გამოიტანაო ძველი გარდამოხსნა და წარგზავნაო ტფილისს. იქ, მართლაც, ჩვენ ვნახეთ ის გარდამოხსნა, მაგიერად ბ-ნი ჯანაშვილი კირიონს იგონებს დანანებით (ვსპომინაეტ ნე ბეზ სოჟალენია). ყველას, როგორც სჩანს, ვერ ესათნოები.."

ყველა ესეთი გადაკვრ-გადმოკვრა რომ იოტის ოდენადაც მართალი ყოფილიყო, არათუ ,,ნიკონის მოკვლის საქმით არასასიამოვნოდ ცნობილ კირიონს", არამედ მის ,,დანანებით" მომგონებელ ჯანაშვილსაც სახრჩობელა თუ ციმბირი არ ასცდებოდათ. მაგრამ რახან ტყუილს მუდამ მოკლე ფეხები აქვს, ამიტომ კირიონს ხანგრძლივ ტანჯვის შემდეგ მტანჯველისგანვე ეღირსა ჩინებული კათედრები, მაგრამ არა მის საყვარელ სამშობლოში, საცა მას შეეძლო აუარებელი სარგებლობის მოტანა ღვიძლ მოძმეთათვის, არამედ შიდა რუსეთში..

1915 წელს ეპისკ. კირიონს ეპარქიის მმართველობის უფლება დაუბრუნეს და პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს, მაგრამ სამშობლოს ნახვის ნება მაინც არ მისცეს. ისევ დარჩა დაუკმაყოფილებელი, ისევ ბრძოლის პირი არ მოეშალა ანუ, უკედ ვთქვათ, არ მოუშალეს.

ამასობაში მოატანა მძლავრმა რევოლუციის ქარიშხალმა. მეფე დაემხო, ახალი მთავრობა შესდგა. კირიონი დაუყოვნებლივ მიეგება ახალ წესწყობილებას. ამოძრავდა საქართველოც, ხმა აღიმაღლა და 12 მარტს მცხეთაში გამოაცხადა თვისის საყდრის განთავისუფლება სინოდის ბრჭყალებისაგან. თავზარი დაეცა აქაურ რუს ხულიგნობას ექსარხოზითურთ. თვით რევოლიუციონერმა მთავრობამ ამ დიდ აკტს

ალმაცერად შეხედა, დაიბარა რუსეთში დამწყვდეული კირიონი და სთხოვა წასულიყო სამშობლოში და როგორმე დაეყოლიებინა ქართველობა სინოდის უღელი არ მოეხსნა და არ გადაეგდო გათხუპნული ჩხირივით. მოვიდა. უფრო გაამაგრა და წავიდა. ისევ იქვე დაამწყვდიეს, სადაც ემწყვდია წინად. ამუშავდა საქართველოში ბრძოლა ერთის მხრით მხნე ლეონიდესა და მეორეს მხრით სინოდის მოხელეთა და ექსარხოსს შორის. ბატონობის ჩვეულნი მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიის მონობას. კათალიკოსის მოსაყდრე იდგა მყარად და ბეწვის ოდენის დათმობასაც არ კისრულობდა. ბოლოს საქმე გათავდა ქართველთა სასარგებლოდ:სინოდის მოხელე უპურმარილოდ წავიდა, მას მიჰყვა ექსარხოსიც, ქართველთა წარმომადგენლები შეიყარნენ სიონში და 17 ენკენისთვეს აირჩიეს თვისი საყდრის პატრიარხი. და ეს ბედნიერება წილად ხვდა ჩვენს მრავალტანჯულს ეპისკოპოსს კირიონს.

სვეტიცხოვლობას მთელმა საქართველომ არჩეული აკურთხა თავის კათოლიკოზ-პატრიარქად, და ერთი კურთხევა იქვე იდღესასწაულა დიდებულად, ისე, როგორც შეჰფერის თავისუფლების მოყვარე და დიდად მოჭირნახულე ერს-ზეიმში მონაწილეობა მიიღო ფშავ-ხევსურეთმა, საინგილომ, საუდომ, ბორჩალომ, მესხეთმა, აფხაზეთმა, სვანეთმა, რაჭამ, მთიულეთმა, მთელმა ამერ-იმერმა, და მით დაამტკიცა, რომ ერთგული შვილები არიან დიდის სვეტიცხოვლისა. და ეს ერთგულება და ამ სვეტი- ცხოვლის და მის თავადის დაცვა იქვე დაამტკიცეს თოფთა ბათქა-ბუთქით, ნიშნად იმისა, რომ მტრისთვის არ დაიშურებენ ცხელს ტყვიას.

კურთხევის შემდეგ ამუშავდა მოღვაწეობა საკათალიკოზო საბჭოსი. საქმე ბევრი იყო, რადგან ხელახლა უნდა მოწყობილიყო ყოველივე ისე, როგორც გაჩარხულიყო 1811 წლამდე, როდესაც რუსებმა უღვთოდ გადაასახლეს კათალიკოზი ანტონ II და რუსეთშივე ჩაკლეს. ამ საკეთილო მუშაობის წარმართვის დროს მარტყოფის ტაძარში მიიძინა მრავალ ღელვათაგან მოღალულმა პატრიარქმა (26 ივნისს 1918 წელს). იქიდგან მისი ნეშტი გადმოასვენეს და დაკრძალეს სიონის ტაძარში..

და ასე, მან გაუძლო რუსეთის ტანჯვებსა და სუსხებს, მან გადიტანა მედგრად უცხოელთა ჩაგვრა და აქ, სამშობლოში-კი, როდესაც მიაღწია თავის უგულითადეს წადილს-საქართველოს განთავისუფლებას-შეეწირა მას მსხვერპლად ბრაუნინგის ცხელ ტყვიით. ბერების ტკბილ გალობის მაგიერ მას უგალობა სიცოცხლის მომსპობელ ტყვიამ.

II

მეცნიერულ შრომას ღვთივ მიძინებულმა კირიონმა ხელი მიჰყო ადრევე, ჯერ ისევ მაშინ, როდესაც იყო ინსპექტორად თელავის სასწავლებელში. იგი მაშინ მუშაობდა ,,მწყემსში", რომელშიაც ათავსებდა წვრილ-წვრილ გამოკვლევებს საქართ-ველოს ისტორიიდამა და მწერლობიდამ. მან თავის შრომით დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, ასე რომ რედაქტორი დავით ღამბაშიძე აცხადებდა მას თავის უკეთეს თანამშრომლად. შემდეგ იგი მუშაობდა ,,კვალში", ,,ივერიაში" თავის მიმართულებით იგი უფრო ეთვისებოდა მესამე დასელებს და ილიასი და მაჩაბლის ბრძოლის დროს ეჭირა მხარე მაჩაბლისა და აკაკი წერეთლისა, და მათ ორგანოებში შრომობდა.

უფრო მეტად იგი სწერდა რუსულად. ღამბაშიძის ,,პასტირში", ღამბაშიძემვე გამოსცა მისი თხზულებები ,,ისტორიკო-არხეოლოგიჩესკი ოჩერკ მეტეხსკავო ხრამა" (1893 წ.) და სხ., იმავე ხანებში იგი მუშაობდა მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების გამოცემაში, საცა დაბეჭდა თვისი საუკეთესო შრომა ,,ანანურის მიძინების საყდარი" მისის სურათით (ტ. VII). 1901 წელს დაბეჭდა ცალკე წიგნად

ვრცელი გამოკვლევა ,,კრატკ. ოჩერკ ისტორიი გრუზინსკოი ცერკვი ი ეგზარხატა ზა XIX სტოლეტიე". ამ წიგნში მოათავსა ბევრი საყურადღებო ცნობა და, სამწუხაროდ, ჩაურთო იქვე სიტყვები, რომ ვითომ საქართველოს ეკლესია სტკბებოდაო ექსარხოსების მაკურთხევლობის დროს.

კითხვაზე, რად მოათავსა ეს სიტყვები? ამბობდა, წიგნი საიუბილეო გამოცემაა და არ ივარგებდა, რომ ამისთანა დროს ავად მოგვეხსენებინა ჩვენზე გაბოროტებული მთავრობა. მაგრამ თან ამასაც უმატებდა, რომ ეს სიტყვები მისი არ არის, არამედ მაშინდელ ექზარხოსების მახლობელ ქართველ მღვდლებისა, რომელთაც მოითხოვეს ხსენებულ სიტყვების ჩართვაო ვითომ საკეთილოდ საქართველოისა. მაგრამ მაინც ნანობდა, რომ სხვებს გაუგონა და მით თავის აზროვნობაში ერთგვარი შეუწყობლობა შეიტანა.

მეორე დიდი შრომა კირიონისა არის მისი ,,კულტურნაია როლ ივერიი ვ ისტორიი რუსი" (ტფილისი 1910 წ.). ამ თხზულებაში იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსების უმთავრესი ისტორიული წყარო-ნესტორის მატიანე-არისო პირწავარდნი-ლობა ჩვენის ,,ქართლის ცხოვრებისა", რომ ყოველიფერი ნესტორს გამოუჭრიაო ,,ქართველთა მოქცევის" მიხედვით, რომ სლავების მამებს კირილეს და მეთოდეს უმუშავნიათო ქართულ ისტორიულ მწერლობის ზეგავლენით და ანბანიც ქართულის მიბაძვით შეუდგენიათო. ამას გარდა, გზადაგზად იგი ეკამათება სომხების მწერლებს, რომელნიც რყვნიანო ქართულ წარწერებს სომხურებით. ბოლოს ჩართულია, მთელი ცხრილი სიტყვებისა, რომელნიც, მისის ფიქრით, რუსულში შესულან ქართულ ენიდამ. თვითონვე ავქსონი წინასიტყვაობაში აღიარებს, რომ ეს მისი თხზულება პირველი ცდაა და თუ შეცდომები აღმოჩნდება აქა-იქ, ეს საპატიებელი იქნება მისთვის. უნდა აღვიაროთ, რომ ეს დიდი თხზულება ჩვენის პატრიარქისა ვერსად უძლებს კრიტიკას და გვიკვირს, ამაოდ რად დაშვრა ჩვენი მიხვედრილი და გასინჯული ავტორი. აღძრულ დიდ-დიდი კითხვების გადასაჭრელად საჭირო იყო ისტორიულ-ლინგვისტიური ცოდნა და მეთოდი და კირიონს კი აკლდა ერთიცა და მეორეც. იგი მარჯვე იყო უფრო ღვთისმეტყველურს მეცნიერებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში კირიონს შეუტანია მრავალი ცნობა, რომელიც გამოადგება არა ერთ მკითხველს. და ამისთვისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ შრომისმოყვარე ავქსონისა.

მაგრამ აქ თუ ვერ გაიმარჯვა მისმა აზრმა, პირიქით, ნაყოფიერად იმოქმედა სხვაგან, მან გამოსცა ერთი წიგნაკი, სახელად ,,ნაზრევში ვოპროს", რომელშიაც ამტკიცებდა საჭიროებას- პეტრეს ქალაქის სასულიერო აკადემიაში დაწესებულიყო ქართული კათედრა. ამას მოითხოვსო აუარებელი და უმდიდრესი ქართული სასულიერო მწერლობა და ჩვენი მპყრობელები მოვალენი არიანო შეისმინონ ჩვენი ხმაო. მართლაც, რუსებმა შეისმინეს და დააწესეს აღნიშნული კათედრა, მაგრამ კათედრაზე ქართველი კი არ მიიწვიეს, როგორც სურდა კირიონს, არამედ რუსი სოკოლოვი (კირიონი კი ასახელებდა ისტორიკოს თედო ჟორდანიას).

რუსეთში მყოფობის დროს კირიონმა გამოსცა კიდევ რამდენიმე წვრილი წიგნაკები, აგრეთვე მოაწყო არქეოლოგიური გამოცემები, რომლებშიაც იღებდნენ მონაწილეობას თვით პროფესორები. ამისთანა წიგნებში გვხვდება მოკლე დახასიათება თვით ეპ. კირიონის მწერლობისაც. ამგვარი დახასიათება პროფ. გლუბოკოვსკისა შეტანილია ,,ღვთისმეტყველების ენციკლოპედიაში".

აღსანიშნავია მისი ერთი პატარა გამოკვლევაც თამარ მეფის შესახებ. მაშინ საქართველო და მისი ეკლესია განიცდიდა სასტიკ დევნას. ყველანი მოელოდნენ, რომ რუსები დღედღეზე მოსპობდნენ ძველიდგან გადარჩენილ ერთადერთ სახსოვარსაც,-

Грузия-ს. თან აღმართული იყო დევნა ქართველ წმინდანებისა და თამარს ხომ მასხარად იგდებდნენ. მტრებმა ვიღაც ქართველს (მგონი ხელიძეს) დააწერინეს დამცინავი წერილი წინააღმდეგ თამარ მეფისა და მის წმინდობისა. კირიონმა გასცა გაბედული პასუხი და ამტკიცებდა, რომ თამარი არ არის წმიდანი, რადგან თავის დროზე არ დაკანონებულა. მაშ წმიდანად არ ჩაითვლება თვით რუსების ვლადიმირიც, რადგან არც მის შესახებ ჩანსო დაკანონება. ასრე გაუკმარა სიტყვა ქართველების მოძულე მტრებს.

კარგა ახასიათებს კირიონს მისი შემდეგი ბარათიც, რომელიც მისწერა ხაჩატუროვს პასუხად მის ველურ გამოსვლისა:ქართულს რომ ძაღლური ენა უწოდა. ბარათში იყო მხოლოდ შემდეგი სიტყვები:,,ბ-ო ხაჩატუროვ! ქართული ანგელოზური ენაა და შენ კი ჰყეფავ წუნკალასებ".

ასეთის ბრძოლის ხასიათისა იყო მისი რუსული მწერლობა. მანვე გრ.ყიფშიძესთან ერთად შეადგინა და გამოსცა ,,თეორია სიტყვიერებისა", რომელიც უკვე სახელმძღვანელოდ გახდა თავის უეჭველ ღირსების გამო.

კირიონს თავის სიცოცხლეში, როგორც თვითონვე აღნიშნავს, თავის ,,კულტურნაია როლ ივერიი ვ ისტორიი რუსი"-ს ბოლოში დაუწერია სულ 98 თხზულება და ამათგან ქართულად მხოლოდ 19.

III

დასასრულ, ამ მესამე თავში გვსურს შევეხოთ კირიონის ზოგიერთ სუსტ მხარესაც, რომ არ დავემსგავსოთ იმისთანა მოზარეებს, რომელნიც თავიანთ მკვდრებს დასტირიან-რა, ამკობენ და რთავენ მარტო ქება-დიდებით.

ალბად ისეთი დატირებაც დამკვიდრდა ჩვენში თანახმად ძველის თქმულობისა-მკვდარზე ან კეთილი და ან არაფერიო. ჩვენ არ გვინდა ამ წესს მივდიოთ და კარგთან ერთად გვსურს აღვნიშნოთ ზოგიერთი სხვა მხარეც ღვთივ განსვენებულისა-მომაკვდავი არ ყოფილა დედამიწაზე, რომ რაიმე ნაკლი არ ჰქონოდა და დაზღვეულნი ყოფილიყო შეცდომებისაგან.

საზოგადო მამულიშვილობასთან ერთად განსვენებულის გულში მოთავსებული იყო აგრეთვე თავის სამშობლო მისადევრის მამულიშვილობაც:ნიქოზური. იმერულს, სამცხურს, კახურს სიყვარულს მასში სძლევდა სიყვარული ქართლური და ამაზედაც პატარა რაიონისა-ნიქოზური. იცოდა აგრეთვე ამოჩემება რაიმე აზრისა და თუნდაც მტყუანი ყოფილიყო, მაინც ვერ გადაათქმევინებდი. იცოდა აგრეთვე, ადამიანის ათვალწუნება და, ხშირად, უსაფუძვლოდ, კათალიკოსობისას ვერ გამოიჩინა იგეთივე სიმედგრე, ვით ივერიის საყდრის აღდგენისთვის ბრძოლაში. ისე ჩავიდა საფლავში, რომ მღვდლებს ვერ მოხსნა სინოდის მიერ ბოძებული სლავურ წარწერიანი ჯვრები, რომელნიც დღესაც ჰკიდიათ გულზე, და კაცმა არ იცის, ჩვენი სამღვდელოება ისევ სინოდის გაგრძობაა, თუ შვილი დამოუკიდებელი ივერიის საყდრისა. ისე განისვენა, რომ ერთი თვალსაჩინო სიტყვა არ უთხრა საქართველოს, ერთხელ მაინც არ მოიმგზავრა კიდის კიდე და არ გაეცნო თავის სამწყსოს და ესეც მაშინ, როდესაც საყდრის მტრებმა აიკლეს საინგილო და სხ, კუთხეები.

ერთი თვის წინად მის არჩევამდე კათალიკოზად ჩვენ ვწერდით (,,საქართველო" N 102, 1917):

,,საცაა უნდა ასრულდეს ქართველთა ოცნება.

,,საცაა საქართველოს დიდი იერარქების კირიონის, არსენი დიდის, ოქროპირის, ანტონის და სხ. უსამართლოდ გაუქმებული კათედრა უნდა აღდგეს მკვდრეთით.

,,საცაა ამ დიდი იერარქების საყდარი უნდა დაამშვენოს ახალმა კათალიკოზ-პატრიარქმა.

დაამშვენოს, მეთქი და რომ დაამშვენოს, უნდა ამოვირჩიოთ კათალიკოზად კაცი მტკიცე ხასიათით, სპეტაკი ყოფაქცევით, თაოსანი, მოყვარე საქმისა და საქმიანობისა, დაუცხრომელად მზრუნველი, აღმაშენებელი ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, ისეთი, რომლისთვის ბედნიერება ქრისტიან ქართველებისა ისევე სანუკვარი საზრუნავი უნდა იყოს, ვით კეთილდღეობა არაქრისტიან ქართველისა».

ასრე-ვწერდი მეთქი 1917 წლის 19 აგვისტოს. მას აქეთ წელიწადია და საქართველოს ეკლესიისთვის თითქმის არა გაკეთებულა რა, მაინც არა სჩანს-რა.

რა გააკეთა ნეტარ ხსენებულმა პატრიარქმა კირიონმა. იგი კერძო ლაპარაკში ჩიოდა, საკათალიკო წესდებით ხელფეხ შეკრული ვარო. მაგრამ ეს გამართლება გამართლებად არ ჩაითვლება. ვინ უშლიდა იმავე საბჭოსთვის წარედგინა თვისი სარეფორმო, სააღმშენებლო გეგმები, ვინ უშლიდა მოევლო თვისი სამწყსო, ვინ უკრავდა პირს ახლად განთავისუფლებულ საქართველოსთვის მიემართნა მამადმთავრულ ეპისტოლეთი.

მაგრამ კირიონი გონიერი კაცი იყო, იგი ალბათ გრძნობდა თავის სისუსტეს, როდესაც გამოსთქვამდა სურვილს განყენებულ იყო ნიქოზს და იქ გაეტარებინა თვისი დანაშთენი დღეები, და ვერ წარმოგვიდგენია, აგეთმა როგორ გაჰბედა, რომ ტყვია დაახალა არათუ მარტო თავის თავს, არამედ თანავე პატრიარქობას, რომელიც მას მიუბოძა მთელმა საქართველომ ასაყვავებლად და არა ტყვიით განსაგმირავად. თუ რამე აწუხებდა მას, თუ წესდება ხელფეხს უბორკავდა, თუ ემძიმებოდა საპატრიარქო ტვირთი, მას ბრაუნინგისთვის კი არ უნდა მიემართნა, არამედ თვით იმ ერისთვის, რომელმაც სამამადმთავრო კვერთხი ჩააბარა, დაულოცა.

უწინ ჩვენი პატრიარქები თავს სწირავდნენ, მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ მათი თავგანწირვა მტლედ დაედებოდა სამშობლოს დიდებას, საყდრის გამაგრებას, და კირიონის თავგანწირვას-კი აბა რა სარგებლობის მოტანა შეეძლო, პირიქით, ამან, თუ იტყვით, ჩირქიც-კი მოსცხო იმ საყდარს, რომლის აღდგენისთვის იგი თვითონ ყველაზე მეტს მუშაობდა, მოსცხო იმიტომ, რომ პატრიარქების მიერ ტყვიით თავგანწირვა მსოფლიო ეკლესიამ არ იცის დღევანდლამდე და ამიერიდგან ჩვენი პატრიარქი ამ მხრივ შეიქმნება პირველ მაგალითად.

მისი აღარ ყოფნა სამწუხაროა სხვაფრივაც-განსვენებულის ხარჯით საზდოს პოობდა არაერთი მოსწავლე და უქონელი. ღვთივმიძინებული იყო უებრო მოყვარე ნუმიზმატიურ-არქეოლოგიურ და სამწერლო ნაშთებისა, რომელთაც მოწიწებით აგროვებდა და სწირავდა წერა-კითხვის, საისტორიო და საარქეოლოგიო და საეკ-ლესიო მუზეუმებს და ბიბლიოთეკებს, ფიქრად ჰქონდა მოეწვია მცოდნე პირები ქართულ დაბადების დასაბეჭდად, და აი ამისთანა კაცი გაშორდა ქართველ მოღვაწეთა მცირე წრეს.

ყოველივე ნათქვამს მივიღებთ-რა მხედველობაში, ჩვენ, გვგონია არ გადავაჭარბებთ, რომ ვთქვათ:

საქართველომ კირიონის სიკვდილით დაკარგა ერთი საუკეთესო შვილი.

1918 წ. 12 სექტ.

მინისტრი წერეთელი

(მცირე ნაწყვეტი ჩემი ხსოვნიდან).

,,საქართველო" 1917, N 144, 5(17) მკათათვე, გვ. 3.

სათავადაზნაურო გიმნაზია მოთავსებული იყო ნიკოლოზის ქუჩაზე ალელოვის სახლში. მის დირექტორად ბრძანდებოდა ალექსი ჭიჭინაძე. მე და რაფიელ ერისთავი ვეწვიენით ალექსის. მგონია შემოდგომა იყო. დირექტორს რაღაც საჩქარო საქმე ჰქონდა და მის მოცლამდის გამოგვეგება გიორგი წერეთელი თავის ვაჟით, რომელიც, ალბათ, 5-6 წლისა იყო ჰასაკით. გიორგი და ალექსი ქვისლები იყვნენ:ცოლად ჰყვანდათ ღვიძლი დები ნიკო ნიკოლაძისა.

გიორგიმ ჩამოაგდო ლაპარაკი კაი აღზრდის შესახებ. მადლობა ღმერთს, ახლა გვაქვს ეროვნული სასწავლებელი და იმედია ბევრს მამულიშვილს გამოგვიზრდისო, ბევრ კაცურ კაცს მოუვლენსო დაბეჩავებულ საქართველოსაო. რაც შემეხება მე, როგორც მამას, მე ჩემს შვილებში დასაბამითგანვე მინდა გავაღვიო ნიჭი მჭერმეტყელებისაო. კაი მჭერმეტყველებით ძალიან ღარიბები ვართო, და ეს სულ უკუღმართ აღზრდის ბრალიაო. მართალია, ეხლა სამჭერმეტყველო ასპარეზი თითქმის არ გვაქვს, მაგრამ ქვეყანა შეიძლება სხვანაირად მოტრიალდეს, ჩვენს ობლობასაც ბრმა ბედმა გამოუღიმოს და საპარლამენტო კვარცხლბეკები მოგვანიჭოს, და მაშინ საჭირო იქნებიან ქართველი ორატორებიო. ნება მომეცით ჩემს ირაკლის თქვენს წინაშე წამოვაფრქვევინო სამჭერმეტყველო ნიმუშიო.

დაბრძანდა სელზე. აქეთ იქით დაგვსხა ჩვენ, წინ დაიყენა პატარა, მაგრამ მეტად მალხაზი ყმაწვილი, და უბრძანა:ხმამაღლა, გარკვევით და გრძნობიერად გამოსთქვი ლექსიო. ყმაწვილმა ტანი მოიმართა ორატორულად, გაიჭიმა მოხდენი-ლად. თავზე ხელი გადისო და ამეტყველდა (ნ.ბარათაშვილის ,,ყვავილი", სხვა ლექსი გოგებაშვილის დედაენიდან, აგრეთვე რ.ერისთავის იგავი ,,მამალი და მარგალიტი".

მამა ალერსიანად ეუბნებოდა:ესა და ეს სიტყვა უფრო მკაფიოდ გამოსთქვი ხოლმეო, აქა და აქ საჭიროა ხმა აუმაღლოო, უკანასკნელი სიტყვა უფრო რიხიანად უნდა გამოკვეთოო და სხვა.

,,თამარ მეფეს" ვაბეჭდვინებდი ვ.რუხაძის სტამბაში. რომ ეს ხსოვნა გამიცხოველდა ჩვენის ,,კაცის" მიერ პეტროგრადში წარმოთქმულ დიდ მჭერმეტყველური სიტყვის ზეგავლენით და მას შემდეგ მესამე დღეს უკვე მინისტრადაც გამოაცხადეს ერეკლე წერეთელი.

ასე დაგვირგვინდა ღვაწლი კეთილი მამისა და მისი წინასწარმტყველება:ქვეყანა ბრმაა და, ვინ იცის, როგორ მოგვიტრიალდებაო..

მძიმე რეჟიმი, რომ გვაწვებოდა, ვით ლოდი მკვდარს, დღეს იმდენად მოგვეფონა, რომ სახელმწიფო მანქანის უმაღლეს სათავეზე გვყვანან ისეთი მსოფლიოდ განთქმული მჭერმეტყველები, ვით მინისტრი წერეთელი, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და დროებით მთავრობის წევრი კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, კიტა აბაშიძე და მრავალი სხვა სახელოვანი მოღვაწე. სამშობლო ამაყობს, რომ მის წიაღში დაიბადნენ და მის ტკბილ ძუძუთი გამოიზარდნენ ესდენ აღმატებული მისი შვილები. თვალნი მისნი მათკენ სასოებით მიიმზერიან ამ ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის ხანაში, და მათგან მოელიან საუკუნო შვება-ლხენას. ბრმა ბედმა ალერსით გამოგვიღიმა უმთავრესად მათვე

ღვაწლით და მათვე უნდა იზრუნონ, რომ ეს ალერსი არ მიგვეფაროს ჭყიტა ვარსკვლავივით, არამედ გამოუშუქოს საქართველოს ვით მთიებმა. იყავნ, იყავნ.

ნინო და შოთა

,,საქართველო" 1918, N 11, 14 იანვ. გვ. 3-4.

პირველი საზღვარია ურწმუნოებისა და სარწმუნოების ხანებ შორის, მეორე მიჯნაა სარწმუნოების და ფილოსოფიურ მეცნიერულ საუკუნოებ შორის. პირველი დასაწყისია დოღმატიკისა, მეორე კვლევა-ძიებისა თანახმად ჭკუა გონების კანონებისა. პირველმა დაამხო წარმართობა, მეორემ შეჰქმნა ეროვნული აზროვნობა. ორთავეს გამოსვლა სასწაულებრივი იყო, ბუმბერაზული, საეპოქო.

ყველგან სუფევდა ბნელი წარმართობა, მრავალღმერთობა. წარმოდგენაც ძნელია, გონიერი არსება ადამიანი როგორ ეთაყვანებოდა გამოფიტულ ნივთებს, გამოქანდაკებულ ლოდებს, სპილენძის, ოქროის და ვერცხლისაგან ჩამოსხმულ სახეებს! როგორ უგებდა მათ შვენიერ საყდრებს, როგორ ემხობოდა წინაშე იმათი, რომელნიც თავისივე ხელით გაეკეთებინა, გამოეჩორკნა, თვითონვე შეემოსა ზოგი ვაჟად, ზოგი ქალად, ზოგი მეომრად, და მერე ყველა ამათ სწირავდა არა მარტო კურთებს, არამედ ხშირად თავის ღვიძლ შვილებსაც! ასეთი იყო ყოფა-ვითარება, როდესაც საქართველოს შუაგულს, მცხეთაში დაბინავდა ნინო. სუსტი ქალი მტკიცე რწმენით. საცა რწმენა გულწრფელია, იქ გამარჯვებაც მოსალოდნელია. სუსტი ხორცით ძლიერი იყო სულით და უფერო მძლავრი რწმენით, მოვიდა და დასახლდა არა მეფეთა პალატებში, არამედ ეკლიანს მაყვლოვანში. თავისი ღარიბული მოწყობილობა შეუფარდა მდაბიოთა ცხოვრებას, ერის დაჩაგრულ სიმრავლისას, ამათ უკარნახა და მისი სულისკვეთება, ადამიანთა იმდროინდელ საზოგადოების გუნების ცოდნა. ღარიბობა საჭირო იყო მის სარეფორმატორო საქმისათვის. რეფორმაცია ვერ ხეირობს, თუ მდაბიობას არ მიემხრო. ღარიბს ღარიბისა ესმის. დიდებულება რეფორმაციას ან გაურბის, ან უგულოდ ეკიდება, ან ცდილობს დაახშოს. მაყვლოვანში გაისმა ბიბლიური ჰანგების წილ სახარების კილოები:ნუ ,,თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ", არამედ შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი; ყველანი ქრისტეს მიერ ძმანი ვართ, ყველანი თანასწორნი, ზიარნი ადამიანურობისა; უპირველესი კაცი ის არის, ვინც თავს დასდებს ხსნად უბედურისა. ასეთი ლაპარაკი ნანად მიესმა ბოგანოს, უქონელს, დავრდომილს, გლეხობას. ნინო მათ სულს ინადირებდა, მათ ხორცსაც ჰკურნებდა მრავალგვარ წამლობით. თანდათან მიიზიდა მდაბიობა, 50-მდე ქალს არწმუნა თავისი მაცხოვარი, ხოლო ჯერხნობით მირიანის და მის დიდებულების გულქვაობას მალამო ვერ მიაკარა. მათ ისევ ძველი წესი სწამდათ, ბნელი, სასტიკი. გასტანა ჟამმა. ,,გასტეხსო ქვასაც მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა". ნინოს ლბილმა სიტყვამ ბოლოს მოდრიკა სალი კლდეები. ქრისტიანების ამოსაჟლეტად გამზადებული მეფე დაამარცხა უიარაღო სარდლის რწმენამ და იგიც მოინადირა, მიიბარა, მით უმეტეს, რომ ბიზანტიის იმპერიაში უკვე ტრიალებდა კონსტანტინეს მიერ გამოცემული ედიკტი ქრისტიანობის თავისუფლებისა და შეწყნარების შესახებ:აშენდა საყდარი მცხეთაში. მოვიდა კონსტანტინესაგან სამღვდელოება. ნინომ მონათლა ქართველობა. წარმართობასა და ქრისტიანობას შორის საზღვრად დაიდო 324 წელიწადი. იწყო სრბოლა ახალ ცხოვრებამ. აშენდნენ საკვირველი ეკლესიები. აღორძინდა საქრისტიანო მწერლობა- თარგმანებანი საღმრთო წერილისა, მამათა ცხოვრებანი, წმიდათა საგალობლები, მოქცევის ისტორიანი, ღვთისმეტყველებანი, არა სჩანდა მხოლოდ ნიმუში საწერო მეტყვე-

ლებისა. ბოლოს გამობრწყინდა ასეთიც-შოთა თავისა ვეფხისტყაოსნით. მაგრამ არსებობდა სასულიერო ცენზურა და ამ ცენზურამ კი მოსპო ყოველივე, რასაც კი მსოფლიური ნიშანწყალი ეკრა. სწავლულება უსარგებლო და ნამეტი ბარგიაო, ღაღადებდა ბასილი მეორე; მთელმა საბერძნეთმა ათასის წლის განმავლობაში (გაქრისტიანებიდან) ვერ გადასდგა ვერც ერთი ნაბიჯი ფილოსოფიასა თუ მეცნიერებაში, ვერ შესთხზა ვერც ერთი პოემა, ვერც ერთი ტრაღედია, ღირსი ხსოვნისა. დაიწერა ,,ალექსიადა", კიდევ ისტორია ნიკიფორე ბრივნის მიერ, მაგრამ იგინი ნაკლებ აკმაყოფილებენ საისტორიო მეცნიერების მოთხოვნილებას, არც მაგრე რიგად ტალანტოსანია კონსტანტინე ძოწითმოსილის კალამიც და ორიოდე სხვა მემატიანეებისაც. ეს გონებრივი სიცარიელე კონსტანტინეპოლში გამოიწვიაო თეოლოგიის მტარვლობამ წინააღმდეგ ფილოსოფიისა, ჭეშმარიტ მეცნიერებისა. იგივე მიზეზები უეჭველია ბატონობდნენ ჩვენშიაც, თუმცა უფრო სუსტად, ვინაიდგან აქ ჯერ ისევ ზარზმელის, ხანძთელის, მიქელ მოდრეკილის ჟამებშიაც ისე დაწინაურებულ იყო ცხოვრება, რომ ამ ცხოვრებას შეეძლო დაებადა არა ერთი შოთა, არა ერთი ხონელი, გინდა თმოგველი, ჩახრუხაძე, შავთელი. მაგრამ, სჩანს დააბრკოლა ყველგან საქრისტიანო გამეფებულ ცენზურის სასტიკობამ. მას ვეფხისტყაოსნის დახშობაც უნდოდა, მაგრამ ,,ლაღმან და ლამაზმან" დართო ,,ნები". სასულიერონი შოთას მოვლენას ალბად ისე უყურებდნენ, როგორც კათალიკოზი ანტონი, რომელიც სწერს:,,შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის. თუ-სამ სწადო და, ღვთისმეტყველ მაღალ, უცხო საკვირველ პიიტიკოს მესტიხე, მაგრამ ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე".

ეს კი არ არის,-ჩვენ ვიტყვით-,,საწუხ", არამედ ის სიბნელე ანტონის მოსაყდრისა, რომელმაც ქართულ და სომხურ სეფისკვერების სიწმიდის გამოსაცნობად მოიწვია მშიერი ძაღლი! ამ კათალიკოზის ევროპიელი თანამედროვე იყო პაპი ინნოკენტი III (+ 1216 წ.). ამან ისე აამაღლა წმ. პეტრეს ტახტი, რომ მას ემორჩილებოდნენ იმპერატორები და მეფეები; ამათ თვით სურვილისამებრ თუნდ გადააყენებდა, თუნდ დაამაგრებდა, მანვე პირველად დააწესა ინკვიზიცია. საქმე ის არის, რომ ისპანიაში სამაჰმადიანო კულტურის აყვავებამ ნელ-ნელა დენა იწყო სიცილიისა, იტალიისა და საფრანგეთისაკენ. გაჩნდნენ მესტვირეები, ტრუბადურები და ტერუვერები, რომელნიც სასიყვარულო სიმღერებს დამღეროდნენ, მხიარულს ჰანგებს გამოსთქვამდნენ და ხალხს უღვიძებდნენ ახალ იმედებს, ასწავლიდნენ ახალ კილო-ებს. ინოკენტიმ მოინდომა სათავეშივე ჩაექრო ეკლესიისთვის საშიში მოძრაობა. აღმართა საშინელი დევნა. ზოგი შოლტით დაალება, ერთგან ამოახოცინა 7000, სხვაგან 20000, მერე ინკვიზიციაც, როგორც ვთქვით შეჰქმნა, ეს უსაზარლესი დაწესებულება ყველა დაწესებულებათა შორის, რაც კი ადამიანს შეუქმნია დასაწყისიდამ სოფლისა. აი იმ ინოკენტის თანამედროვე იყო, ვამბობთ, ის ქართველი კათალიკოზი, რომელმაც ძაღლი მოიწვია მსაჯულად სეფისკვერების დაფასების საქმეში. და აი ამ მამადმთავრის დროს გაისმა დიდებული ხმა ეროვნულ მგოსნის შოთა რუსთაველისა. კათალიკოზი ჩაშრეტავდა ამ ხმას, თუ მწედ არ გამოსულიყო უძლეველი მკლავი ლამაზ და ლაღ მეფისა, რომელმაც დართო ,,ნები" საქართველოს უდიდეს ეროვნულ თხზულებას-სახარებას. ნინო ქადაგებდა სინათლეს, საქრისტიანო მეცნიერებას, სძულდა კერპთაყვანისმცემლობა. მის მიერ მოქცეული მირიანიც ანდერძად უტოვებდა შვილს:,,მაცდურნი კერპნი ცეცხლითა დასწვენ და ნაცარი მათი შეასვ მათ, ვინც მათ ეგლოვდისო". აქ მოჰხდა ის, რაც შესრულდა საქართველოს მძღვანელ საბერძნეთში. იქ დაანგრიეს მარმარილოს უშვენიერესი ტაძრები სერაპისისა და სხვა ღმერთებისა, მიწასთან გაასწორეს მათთან არსებული

სამეცნიერო აკადემიები, საქიმიო და სავარსკვლავთმრიცხველო კაბინეტები, გადასწვეს სერაპისის შენობაში მოთავსებული ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა 400000 ტომს, მეორედ კიდევ 200000 სერაპისში. ასე, ფანატიკის ეპისკოპოსებმა გაქრისტიანებულ მთავრობის დახმარებით გადაბუგეს ეს ამდენი უძვირფასესი საუნჯე, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაუნჯებულ-შეძენილი ძველ ფილოსოფოსებისა და ძველ მეცნიერების გონების მიერ. მათ მიხედვით მოექცეოდნენ ჩვენშიაც. თავისუფალ აზრის დევნისა და შევიწროების სისტემა ყველგან ერთი იყო:გალილეებს და მათებრ მნათობებს არ ითმენდნენ რომშიაც, ბიზანტიაშიაც, ალექსანდრიაშიაც. ყველგან და ყველაფერში აზრის სიმართლე-სიმტყუვნე იზომებოდა ბიბლიის მეცნიერებით. რაც ეწინააღმდეგებოდა დაბადების ტექსტს, ის ტყუილი იყო და უნდა მოსპობილიყო. ათინის საფილოსოფიო სკოლები იუსტინიანემ გააუქმა 529 წელს. ჩვენშიაც არა სჩანს ქრისტიანობის წინადროინდელი სამწერლო ნაშთების ნატამალიო. იყო ანბანი და ამ ანბანზე გაწყობილი ძველი სიტყვა აღარსადაა, აღარც ის დიდი წიგნი ,,ნებროთიანი", რომლის ტექსტი ქრისტიანობის სიმართლის დასამტკიცებლად გამოადგა თურმე მირიანს. ასეთი საჭირო წიგნიც შემდეგ დასწვეს ალბად, როგორც მომაგონებელი ძველი წარმართობისა. საკერპოებიც თანახმად მირიანის ანდერძისა შემუსრეს, დასწვეს; მაგრამ უმანდელი ტრადიციები სავსებით ვერ აღმოფხვრეს ერის გონებიდან. რაც ერთხელ ღრმად ჩაესახება სულს, მას ვეღარ დასთმობს უკანასკნელ აღმოქშვინვამდის.

კვალი წარმართულ დროის შეძენილობისა მაინც გადარჩა ერის საგალობლებში, ერის ფიცილში, ადათებში და უმეტესად კი გარეშემო სახატო სალოცავებისა, მათ სერტყებისა, ოქრო-შიბიან მუხებისა, რომელთაგან ერთი ჭყონდიდისა- ოქრო-საწმის გადაფარებული ითაყვანებოდა თვით აიეტის დროსაც მის საღვთო ტაძარ-საკერპოში. ყველა ამას უთუოდ ებრძოდა ბერობა, განდეგილობა, მწირობა, მაგრამ ვერ ამოაგდო, ის კი შესძლო, რომ მას შეურია თავისი ქრისტიანული კილოები. შეიქმნა ერთნაირი შერეული ქრისტიანულ-წარმართული კულტურა, ერთნაირი გმირული, მზიანი პოეზია, რომლის სიმდიდრე ვერ ამოსწურა ვაჟას მჭრელმა კალამმა, ვერ ამოშრიტა მოჩხუბარიძის დიად ოცნების ამუშავებამ, ვერც ამირანის ამბის მთხრობელთ, ვერც მნათობ ქალთა წინაშე გმირებისა და რაინდების მაკამათებელ მაბრძოლებელ მოსე ხონელმა, ვერც ვისისა და რამინის დამწველ სიყვარულის მთარგმნელმა და ვერც უძლეველ მეგობრობისა, გმირობისა და სიყვარულის მქადაგებელ-მაღმერთებელ შოთა რუსთაველმა. ამ უდიდეს ქართველ მოაზროვნემ, ისეთმავე წმიდამ ჩვენში, ვით ევროპაშია დანტე და შექსპირი. ნინო და შოთა ორთავე ქართველთა მძღვანელებია:ერთი სულიერი მამადმთავარი, მეორე- გონებრივი. ბედი რუსთაველისა და ქართველობისა, რომ ეს ბუმბერაზი მოაზროვნე დაიბადა თავისუფალ ოქროს საუკუნეში და არა ჟამსა რომელიმე ხანძთელისა, რომელიც პირზე კლიტეს ადებდა კრინის სხვანაირად, სოფლიურად ამწეს.

პატრიარქი ლეონიდი

,,საქართველო" 1919, N 42, 23 თებ. გვ. 4.

უწინდელ დროში პატრიარქს რომ ირჩევდნენ, ყურადღებას აქცევდნენ ასარჩევის რწმენას უფრო, ვიდრე მის სწავლას, მის მჭერმეტყველობისა თუ ზნეობრივ მხარეს, ყოველს კეთილ მორწმუნე სამღვდელოს შეეძლო დაეჭირა საპატრიარქო საჭე. მაგალითი:ვიდრე ანტონი I მტკიცედ იდგა მართლმადიდებლობაზე, იგი პატრიარქობდა სახელოვანად, ხოლო რომ შეატყეს განდრეკილება, პატრიარქობიდან დაამხეს და

განდევნეს. შემდეგ-კი, როდესაც დაამტკიცა თვისი ერთგულობა ეკლესიისადმი, იგი კვლავ მოიწვიეს და პატრიარქად დააყენეს.

ახლა სხვა დროა, მარტო მორწმუნოება აღარ უნდა შეადგენდეს საპატრიარქო ღირსებას. ამასთან ერთად ჩვენს დროში საჭირო იყო კარგი სწავლულიც, მჭერმეტყველიც, თაოსანიც საქმეში. სათნოიანიც ცხოვრებაში.

მართალია, ჩვენ აქამდე არსებულ დუხჭირ აღზრდა-განათლების სისტემის დროს ძნელი იყო კაცს შეეძინა ყველა უკეთესი სათნოებანი, მაგრამ მაინც არ გვაკლია თითო-ოროლა, რომელთაც, მიუხედავად ხსენებულ ავდროობისა, შეინარჩუნეს რიგიან, ვიტყვი, კაცური კაცის სახე. ერთ ამგვარს ეკუთვნის ჩვენი ახალი პატრიარქი ლეონიდი.

იგი ეკუთვნის ოქროპირიძეების გვარს და ამ გვარმა კი მოგვცა არაერთი ოქროპირი. მაგალ., რითი არ იყო ოქროპირი ღვთივ განსვენებული ეპ. ალექსანდრე, კაცი მართალი, პირში მთქმელი, გამხილებელი არათუ უხარისხო მზაკვრობისა და უსამართლოთა, არამედ ხარისხოვანებისაც, ვითარცა პობედონოსცევი, ეგზარხოსი ვლადიმირი, კერსკი და მრავალი სხვანი, რომელნიც გამოდიოდნენ საქართველოს სავნოდ, ანდა, რომელნიც თავის დიდის ქონებიდან არას სწირავდნენ საქართველოს, ვით, მაგალითად, ალ.ჭავჭავაძე, ბაგრატიონი, მელიქიშვილი და მათებრი ,,მამულიშვილები". იგი იყო ოქროპირი არა მარტო პირით, სიტყვით, არამედ საქმითაც, და ამას ღაღადებს მისი ნამუშევარი თუნდა ზედაზენს, ჯვარს, შიომღვიმეს და სხ.

ვიცნობთ სხვა ოქროპირიძესაც, საინგილოში დიდხანს კეთილმოწესედ ნამყოფს ეროდიონს, რომელმაც თავის სიტყვა-ქადაგებით, თავის კეთილშობილ მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო საქართველოს შორეულ კუთხის შვილებს-ინგილოებს. საინგილოშივე კარგა ხანს წყნარად მუშაობდა სხვა ოქროპირიძეც, პიროსი.

აი აქვე, საინგილოში, დაიწყო თვისი მოღვაწეობა ლეონიდმაც.

ჩვენთვის ,,მზრუნავები" ეუბნებოდნენ მას:"მაინცა და მაინც თავს ნუ შეიტკივებ იქაურებისათვის. იყავი იქ. დეე იცოდნენ, რომ გვყავს კაცი სამისიონერო ადგილზე". მან კი ასეთი ბრძანებანი არად ჩააგდო და ქრისტიანობის საქმე მხურვალედ აწარმოვა. ასეთივე მხურვალეობითა და სიყვარულით იგი მოღვაწეობდა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, დუშეთ-ხევსურეთს, იმერეთს, სამეგრელო-გურიას და სხვ. თან მას არასდროს გულისყური არ დაუხურავს ქართულ ავ-კარგის წინაშე, პირიქით, მუდამ ცდილა სხვა წარჩინებულ მამულიშვილებთან ერთად მოწინავედ ევლო ყოველს სასიკეთო საქმეში, ქართული ერის აღორძინებაა იგი, საპატრიარქო საყდრის აღდგენა, მწერლობის წარმატება თუ კიდევ სხვა საქმე, ყველგან ლეონიდს უკვე დაუჩნევია, შეძლებისამებრ თვისი სასიკეთო კვალი:ეს ცოტაა კიდევ. ნეტარხსენებულ გაბრიელის შემდეგ იგი ერთადერთი მჭერმეტყველი მქადაგებელია. არ დარჩა არც ერთი დიდი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომ მას არ გაეშუქებინა იგი ადამიანურის, და არა კლერიკალურის, თვალსაზრისით. კრწანისი 1795 წლისა, მცხეთა კირიონის პატრიარქად კურთხევის, 26 მაისი 1918 წლისა და მრავალი სხვა თემებია მის გულის საიდუმლოთა-საიდუმლოს აღმოფრქვევისა, მოსიყვარულე გულის აღმოკვ-ნესისა სამშობლოს სიხარულისა და მწუხარებისაგან გამოწვეული. ამგვარივე ხასიათისაა მისივე ,,სიტყვანი და მოძღვრებანი", რომელიც დაიბეჭდა ფოთში 1914 წელს.

ამასთანავე ახალი პატრიარქი არის მეტისმეტად გულკეთილი და ჩვეულებრივ ქართველურ მეამიტობით დამნდო. ეს დიდი სათნოებაა, მაგრამ არა ყოველთვის: ხშირად დიდი ადამიანი ენდობა ხოლმე ისეთ უღირს კაცს, რომელიც ადვილად ითრევს მას მდუღარე მორევში. მრავალწლოვანი მისი გამოცდილება თავმდებია, რომ

იგი მოერიდება ასეთებს, მით უმეტეს, რომ მის გარშემო ტრიალებენ ისეთი პირები, ვით კეკელიძე, ცინცაძე, იროდიონ ოქროპირიძე და სხვა სახელოვანი მოღვაწეები.

პატრიარქი კირიონი უფრო მეცნიერებაზე თავს სდებდა და ვერ შეჰქმნა თავის გარშემო სააღმშენებლო წრე, ლეონიდი კი უმეტესად პრაქტიკის, საქმის კაცია და, არ ვეჭობთ, სახელოვნად გაუძღვება ამიერიდან მისდა მიბარებულ მშვენიერ სამწყსოს. გაუმარჯოს!

ერის მკურნალი

იხ. ხელნ. ინსტ. მ.ჯანაშვილის საარქივო ფონდი, N 252

წინათ გაზეთები იტყობინებოდნენ, ახალგაზრდა მკურნალის ივანე გომართელის ბინას ესევიანო ავადმყოფნი, იმდენი მოდიანო, ხშირად ურმებითაც შორეულ სოფლებიდან, რომ ხან მთელი დღეები უხდებათო მის კარს დგომა, ვიდრე მოსულთა სიმრავლის-გამო ჯერი შეხვდებათო. ვანო მკურნალი ყველას გულდასმით და სიყვარულით სინჯავსო, შესაფერ წამალს უწერსო და ისტუმრებსო. ღარიბებს ყველას უფასოდ, უმიზდოდ უწამლებსო და ამისთანაებს ხშირად თვითონ წამლის ფასსაც უბოძებსო. ვანომ ხალხში უკვე დიდი სახელი დაიმსახურაო, ყველა დაუძლურებუ-ლი მისკენ მოისწრაფისო, მისგან გამოელისო შველას და მას ჰლოცავსო.

ამისთანა ცნობებს ივანეს შესახებ ამოვიკითხავდი ხოლმე გაზეთებში ან გავიგებდი თვალით მხილველთაგან და მენატრებოდა გამეცნო ერის სახელოვანი გმირი-მკურნალი. ივანე გომართელი მე უკვე მესახებოდა ბარად იმ უწინდელ მკურნალებისა, რომელთა უებრობა ხალხის მკურნალობის საქმეში თაობით-თაობას გადმოეცემის და საზღაპროდ გამხდარ ბარტოლის უყოლო ჯანაოზ მკურნალის მემკვიდრედ გახდომას ჰლამის.

ერის მკურნალი გომართელი დღეს უკვე ცხოვრობს ტფილისში. ანასტასის ქუჩის ბოლოს. უნივერსიტეტს წასვლისას ყოველ-დღე მიხდება გავლა ამ ანასტასის ქუჩაზე და მუდამ მის კარ-წინ ვხედავ მთელ ჯგუფ ავადმყოფებისას, ხშირად ურმითაც მოსულებს შორე სოფლებიდან. არაერთხელ შევკითხებივარ ამისთანაებს:

-ვის ელით, ძმანო?

უპასუხნიათ:

-ჩვენს ვანოს, ჩვენი ხალხის მეგობარ გომართელს.

-მერე რათ დგეხართ გარე და სახლში არ შეხვალთ?

-მისი მისაღები ოთახი უკვე გაჭედილია სხვა ავადმყოფებით და არც თვითონ შინაა, სადღაც სხვა სამკურნალოშია, და აქ ველით, რომ დაუხვდეთ და აქვე შევჩივლოთ ჩვენი ტკივილი, რომ სალხინებელი მისგან არ დაგვიგვიანდეს. მისი წამალი დედის რძესავით შეგვერგება ხოლმე. ამიტომ არ ვზარობთ, 20-30 ვერსი გამოვიაროთ ყინვასა თუ პაპანაქება სიცხეში და ვეჩვენოთ ერის მკურნალს, რადგან ვიცით, რომ ჩვენს ავადმყოფს მაგის ერთი გასინჯვა ფეხზე წამოაყენებს..

გამოჯანმრთელება მისურვებია მათთვის და გავშორებივარ გულგანათლებული, თან მითქვამს ჩემთვის:,,დაილოცოს ის დედა, რომელმაც გაწოვა შენ რძე და სიყრმითგანვე ჩაგინერგა გულში სიყვარული იმ ხალხისა, რომლის წიაღში დაიბადე და აღიზარდე, რომლის ნდობა მოიპოვე და რომელს თავი ესთენ შეაყვარე, რომ მისი სათაყვანებელი შეიქმენ”.

იშვიათია, რომ ერმა ათას სხვა მკურნალში ერთი მხოლოდ გაიხადოს თავის გმირად, თავის დასნეულებულ სხეულის უებარ მრჩენელად, მისკენ მიიმართებოდეს, მისგან მოელოდეს ლხენასა, ხსნასა და მაცხოვრებას. ამისთანაზე მეტი არ იყო ის

იოსების შვილიც, რომელიც დაიბადა ბოსელში, ბაგაში გამოიშუშა და მერე, დიდობისას ხალხის მკურნალად გამოვიდა და მით მიიმხრო მრავალი-მილიონოვანი მორწმუნე ერი. მაგრამ იგი ჯვარზე გააკრეს მშრომელთა და მაშვრალთა მოძულე ფარისევლებმა. ჩვენს ვანოს-კი აგეთი მტრები არ ჰყავს:ყველა მისი მეგობარია, მდაბიოც და დიდებულიც, რადგან იგი თვითონაც მთელი ერის მოსიყვარულე ამხანაგია და მკურნალი გზიანი.

ვფიქრობ, არ კმარა, რომ ვანო ყველას უყვარს. საჭიროა მადლობელმა ერმა მას ხელი შეუწყოს:გაუმართოს ცალკე სამკურნალო, საცა თავს შეიფარებდეს ყველა შორიდან მოსული სნეული და თვითონ ერის მკურნალსაც შეძლება მიეცეს მთელი თვისი საჭირნახულო დრო მოახმაროს ამ სამკურნალოსადმი მომართულ ავადმყოფებს.

ვასილ ბარნოვს

,,საქართველო" 1919, N 244, 9 გიორგობისთვე, გვ. 4.

მოგეხსენებათ, რა სიცარიელე იყო ქართულს მწერლობაში ჯერ ისევ მაშინ, როდესაც ვსწავლობდით სემინარიაში, მწერალთა რიცხვის გასაგებად ხომ ათივე თითი კმაროდა!

მოგეხსენებათ ისიც, თუ ეს მწერლობაც და ეს მწერლებიც როგორ შევიწროებულ იყვნენ საცენზურო მზვერაობით!

მწერლები კინაღამ იგავურად ჰმალავდნენ თავის აზრებს სტრიქონებ ბწკარებ შუა და თავისი მაინც გაჰყავდათ,- ბარაქალა მათ! - და კიდეც გაიყვანეს.

სწორედ გმირობა იყო მაშინ მწერლობა:ერთის მხრივ მთავრობის სისასტიკე, მეორე მხრივ ქართველ საზოგადოების მოუმზადებლობა და მცონარეობა მიზეზისა გამო იმავე მთავრობის პოლიტიკისა, რომლის მიზანი იყო სრულიად დაემხო ჩვენში ყოველგვარი ეროვნული სასუნთქი.

მწერალს თავისი კალმით მთავრობის მზვერაობაც უნდა ხერხიანად დაეძლია, რომ სცილლა ხარიბდას შორის თავმთლიანად გაევლო, და მშობლიური ხალხიც აღეზარდა ცნობად თავის თავისა, თავის ვინაობისა, მისწრაფებისა.

ესეთი აღმზრდელობითი მწერლობა დაიწყო ჯერ ისევ ჭაბუკ ბარათაშვილის დროიდამ. ,,ბედმა ქართლისამ" და მისებრ მარგალიტებმა არა ერთი ქართული გული აატოკეს.

შემდეგ პლ.იოსელიანმა თავის მრავალ ისტორიულ თხზულებებში გააბნია აზრები, თუ რანი ვიყავით ქართველნი წინა დროსა, ოდეს ვმეფობდით, ოდეს თავისუფლად ვსუნთქავდით. მისი კილო განაგრძეს ბროსეს, ბაქრაძეს და მათ მიმყოლთა მიერ დაბეჭდილ მატიანეებმა, ნარკვევებმა და თხზულებებმა.

ზედაც აიდგა ფეხი ეროვნულ თეატრმა.

მასთან გამოჩდნენ მესამოცე წლების დიდი მწერლები:ილია, აკაკი, ნიკოლაძე, მესხი, წერეთელი და მათ მიმყოლები და მოტრფიალენი.

თან სოფლად გაღვივდა არსენაობა,

არსენ ოძელაშვილებმა მოინდომეს ყაზახთა თოფების მიწით დატენა, მდიდრებისთვის წართმევა, ღარიბებისთვის მიცემა, არსენაობა შეიქმნა წინამორბედად ჭონქაძის ,,სურამის ციხისა", ხალხის ფსკერიდან გამოსულ იოსებ დავითაშვილისა, ,,მეჯღანუაშვილისა" და სხ.

ქართული ისტორიული და მხატვრული მწერლობა უკვე გაიზარდა. გაჩნდა მთელი გუნდი ახალ მწერლებისა, რომელთაც ააკვნესეს ჰანგები მთისა და ბარისა.

გაჩდნენ ვაჟა-ფშაველები, მოჩხუბარიძეები, ნინოშვილები, ჟორდანიები, ინგილოები, ერისთავები, არაგვისპირელები, კლდიაშვილები და მრ. სხვანი.

შეიქმნა დიდი ჯუმლი მწერალთა და მოღვაწეთა. ამ ჯუმლში ერთ მნათობად გამოჩნდი შენც შენის ლმობიერებით აღსავსე, ჭკვიანურ კალმით.

უკვე ბუმბერაზული საქმე გაკეთდა, ზღაპრული ნაბიჯი გადაიდგა.

დღეს მწერალთა აღნუსხვა არ ეკმარის არათუ ათი, ოცი თითი, არამედ თუნდაც ასჯერ ამდენიც!

მწერლობა საკმაოდ აგვიყვავდა ყოველ მხრივ და ეს მწერლობა სოფელს მოფინა მასწავლებელმა, თვით მწერალმა, წ. კ. საზოგადოებამ, სოფლის მღვდელმა,

სამოციან წლებში თუ ხუთიოდე სკოლაც არ გვებადა, ისიც დამახინჯებული, დღეს უამრავია, და ყველა მათ აგირგვინებს ეროვნული სიწმინდე-საქართველოს უნივერსიტეტი თავის უმდიდრეს და უუძვირფასეს საეთნოგრაფიო და საეკლესიო მუზეუმებით. თან დაარსდა ქართული მეცნიერება სწორედ იმ სახლში, რომელში ქართულ გიმნაზიის კურს დამთავრებულ ქართველებს არათუ საქართველოში, კავკასიაშიც აღკრძალული ჰქონდათ სამსახური რუდოლფების საიდუმლო განკარგულებით.

ეს ცოტაა კიდევ.

წინად თუ მწერლები ცოტა გვყვანდა და ამ ცოტას დამფასებელიც არ სჩანდა ისე, რომ, ხშირად, ზოგი მათგანი უაღრეს სიღარიბეში უდროოდ სულს ლევდა, დღეს უკვე მწერლის დამფასებლად და პატრონად გამოდის თვით ფართო საზოგადოება.

გვახსოვს მეფური ზეიმი პატივად რაფიელ ერისთავისა, ვაჟა-ფშაველასი, აკაკისა და სხვების და ამ მიმავალ წელს კი ჯერ ჩვენის რეალისტური,-მხატვრული ნაწერების ავქსონის, საყვარელ ჩემს მიერ კი ამასთანავე სათაყვანო შიო არაგვისპირელისა, და დღეს შენის უნარით დამსახურებული შენი საკუთარი ზეიმი.

ღარიბ დედ-მამის შვილს, დატვირთულს მძიმე საპედაგოგიო სამსახურით იმავე დროს ხელში გეჭირა შენი კალამი და მდიდრად, მხატვრულად ჰხაზავდი ცხოვრების ნაკვთებს, ამშვენებდი შენებურ, ბარნიაშვილურ ყაიდით და მერჩულ-ეფთვიმე-გიორგი მთაწმინდელისებურ უაღრესად განვითარებულ მშობლიურ ენით ამდიდრებდი.

30 წელიწადია შენი კალამი ღამევ დღივ დაუღალავად შრომობს, რუდუნებს.

შენმა კალამმა გადახნა არა ბარნი და ველნი, არამედ მრავალთა დაკორდებულნი გულნი და მათში შეიტანა შუქი სიყვარულისა, ლმობიერებისა, ადამიანობისა, სამშობლოს დიდებისა.

შენ შესძღვენ საქართველოს დიდი საჩუქარი, მაგრამ ვერც კი წარმომიდგენია, რა ზომისა და თვისებისა იქნებოდა ეს საჩუქარი, რომ უკეთეს გარემოებაში ჩავარდნილიყავი იმთავითვე.. გეწერა არა სამსახურისაგან მოცლის ჟამს და ხშირად ძილის მოკლებით შუაღამემდეც, არამედ მთელი სამუშაო დრო შეგეწირა მხოლოდ ამ საქმისთვის, რომელსაც დღეს აგვირგვინებს შენი საყვარელი საზოგადოება, ჩვენი საზეპურო ქართველი ერი.

შენის წმინდა ოფლით მოჭირნახულებულია დღევანდელი შენი სასიქადულო ზეიმი. მოგილოცავ მას ჩემის და ჩემის ცოლშვილის მხრივ, და გისურვებ გულით დღეგრძელობას და სამსახურებლად ამგვარივე, მაგრამ უფრო უდიდეს ზეიმისა. ვაშა ვასილს!

მარად შენი მ.ჯანაშვილი

(ავადმყოფობის გამო მწერლის იუბილეზე წარმოუთქმელი მისალმების ტექსტი. აქვე მოთავსებულია ვ.ბარნოვის ფოტოსურათი. წერილს ერთვის შენიშვნა:,,პირადად სათქმელი იბეჭდება გაზეთში”)

ალექსანდრე უღუზაშვილი

იხ. ხელნ. ინსტ. მ.ჯანაშვილის საარქივო ფონდი N 254.

საინგილოს განაპირა კუთხის საუდოს უკეთეს შვილთაგანია ჩვენი მეგობარი ა.გ.უგუზოვი (ანუ უგუზაშვილი). ბევრის მხრივ საგულისხმოა ამ პატიოსან ქართველის ცხოვრება.

ესეც, ვით ივან-ბაბა, მდაბიოთაგანია, უღარიბეს დედ მამის შვილი. ობლად და თითქმის ულუკმაპუროდ დარჩენილი მისს მეზობელს, ჩემს ყრმობის ამხანაგს მღვდელ მ. პაჭიკაშვილს მოჰყავს საგარეჯოს და აბარებს თავის მოყვრებს. იქ იტანს მრავალს გაჭირვებას, ბოლოს ბეზრდება უდიერი, თითქმის ყმური ცხოვრება, ღამევ-დღევ მეხრეობა, და მოდის ქალაქში. აქაც რჩება ცისამარად კარგა ხანს და ბოლოს შიმშილისაგან თითქმის ქანცგაწყვეტილს ითვისებს ვიღაც ღვთისნიერი ქართველი. თავის ერთგულობით იმსახურებს მის ყურადღებას, იზოგავს თითო-ოროლა გროშს თავის მცირეოდენ ჯამაგირიდან და ბოლოს ამ თანხიდამ ვაჭრობას ჰკიდებს ხელს. გამუდმებული შრომა მის პატიოსან მუშაობას სძენს ბარაქას, ისე, რომ დღეს მას პირნათლად შეუძლია თავი მოიწონოს იმ მონასავით, რომელმაც თავისი ტალანები მიწაში კი არ დაფლა, არამედ ამუშავა და გაზარდა. მხნემან განხეთქოსო, ამბობს ერის სიბრძნე, მთა და გორია. ჩვენმა ალექსანდრემაც დასძლია ყოველივე დაბრკოლება და დღეს, წინანდელ უნუგეშო, თითქმის ულუკმაპუროდ დარჩენილს უკვე აქვს საკუთარი ჭერი, პატარა სახლიც და სათნოებით აღსავსე ცოლ-შვილი, აქვს მცირეოდენი სამსახურიც შვილების გამოსაზრდელად. იგი დღევანდელ თავის ყოფით არ ამაყობს ზოგიერთივით, პირიქით, კარგად ახსოვს თავისი წინანდელი მდგომარეობა და სცდილობს, რაც თავის შვილების გამოსაზრდელ თანხიდამ ზედმეტი შთება, მით შეეწიოს ღარიბ-ღატაკებს, მისგან წვლილი მიაწოდოს. მისი ქველმოქმედება სულ უჩინარია. მარჯვენა მისი აძლევს მარცხენას უჩუმრად. ჩვენამდეც ძლივს მოაწია ცნობამ შესახებ მის ქველმოქმედებისა არმაზს, გელათს, მოწამეთს, აჭარას. პირად ჩვენც გადმოგვცა 300 მანათი წიგნაკების დასაბეჭდად და აღგვითქვა კიდევ საფასურიც,- რა წამს დაეზოგება საჭირო თანხა,-გამოსაცემად ჩვენის დიდის შრომისა ,,ქართული მწერლობა”. მას გულში უღვივის აგრეთვე მეტად სანუკვარი განზრახვა:შეაქუჩოს იმდენი თანხა, რომ წერა-კითხვის საზოგადოების დახმარებით გახსნას ინგილო-უდებისთვის სასოფლო სკოლა, ანდა თუ სასკოლო თანხა ვერ დაიზოგა, ის მაინც მოახერხოს, რომ სათავადაზნაურო გიმნაზიაში ან წინამძღვ-რიანთ-კარის სკოლაში ერთი სტიპენდიანტი (უდთაგანი) მაინც იყოლიოს.

ასეთია, მოკლე განხილვით, ამ თვალსაჩინო კაცის ცხოვრება. იყო უფსკრულის ძირს და იქიდგან თავის მედგარ ბრძოლითა, მხნეობა-მუყაითობით მამაცურად ამოცურდა მაღლა და დღეს თვალნათლივ უყურებს გარემო ცხოვრებას და ეწევა მოძმეთა წარმატების საქმეს შეძლებისამებრ.

სალამი ახალგაზრდა მეცნიერებს

ხელნ. ინსტ., მ.ჯანაშვილის საარქივო ფონდი N 259,

რუსეთის დიდმა რევოლუციამ სხვა მრავალ წყალობასთან ერთად მოგვანიჭა ქართული უნივერსიტეტი...

წინად აქ მოთავსებული იყო ქართული გიმნაზია, მაგრამ მასში კურსს დამთავრებულ ქართველებს მეფის მთავრობა საიდუმლო განკარგულების ძალით სამშობლოში სამსახურის ნებას არ აძლევდა, როგორც ვითომ არასაიმედოს, არამედ მაშინდელ იმპერიის სხვა კუთხეებისკენ გზავნიდა. რევოლუციამ ერთის დაკვრით მოსპო მჩაგვრელი უხეში ძალა და ჩაგრულ ერებს მისცა უფლება დაეარსებინათ თვისთვისი რესპუბლიკაში არათუ მარტო ჩვენში, კავკასიაში, არამედ ვრცელ რუსეთის სხვა ადგილებშიაც. მონა ერები გაიშალნენ წელში და უპირველეს ყოვლისა დაიარსეს თავიანთ დედაქალაქებში უნივერსიტეტები, როგორც სიმბოლო განათლებისა, ეროვნულ თვითშემეცნებისა, თავისუფლებისა.

ჩვენც გვარგუნა ბედმა ეგეთი კერა და იწყო აღმოცისკრებად წაღმართობის სინათლემ ხელმძღვანელობით ისეთ სასიქადულო მეცნიერთა, ვით ივ.ჯავახიშვილი, პ.მელიქიშვილი, იას. მოსეშვილი, გრ. წერეთელი და სხ. უწინაც გვებადა უმაღლესი სასწავლებლები, მაგ. გელათს, მათშიაც მოღვაწეობდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, მათშიაც აღიზარდნენ შოთაები, მოსე ხონელები, ეფრემ მცირეები, საბა ორბელიანები, სეხნია ჩხეიძეები და მრ. სხ. მათაც დაგვიტოვეს ტყავზე თუ ქაღალდ-პაპირუსზე დაწერილი წიგნები, მათაც შეჰქმნეს ერთგვარი ფასდაუდებელი მასალა ეთნოლოგიური, ლინგვისტიური, ისტორიული, ეკონომიური, საკა-ნონმდებლო და სხ. მასალას-კი უკვე მრავლად მოგროვილს ჩვენს მუზეუმებში, თუმცა მას გადაჰკრავს სქოლასტიკისა და კლერიკალობის ელფერი, მაგრამ აწ მუშავდება იგი უნივერსიტეტში, მის შემწეობით იწერება ისტორიები ქართველ ერისა, ქართულ სამართლისა, მწერლობისა, ეკონომიისა, ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნებისა საზოგადოდ, მათგან იკრიბება აუარებელი სალინგვისტო-სალექსიკონო საუნჯე.

ამგვარ შრომაში უნივერსიტეტმა უკვე განვლო ერთი წრე აკადემიურ კურსისა და გამოუშო პირველი წყება ახალგაზრდა მეცნიერ ექიმისა, ისტორიკოსებისა, ლინგვისტებისა, ეკონომოსებისა და ეჭვი არ არის, უნივერსიტეტი დროს მოთხოვნილების გამო განავითარებს თავის მისიას და მოუმზადებს საზოგადოებას ყოველმხრივ განათლებულ დრო-ჟამის შესაფერად შვილებს.

მოხუცებული ქართველი მოხარული ვარ, ჯერჯერობით უნივერსიტეტში საპროფესოროდ დატოვებულ ახალგაზრდა მეცნიერთაგან აღვნიშნო ბენედიქტე ჩიქობავა, ვარ. თოფურია, ს.ჯანაშია, სტ. ჯიქია, გ. ჯაკობია, შალვა ამირანაშვილი, თ. ლომაური, ამათგან ზოგიერთის თხზულებანი უკვე წინ გვიდევს და ვტკბებით, რომ ჩვენს ჯერ ნორჩ უნივერსიტეტს შესძლებია გამოეშვა ისეთი სერიოზული ნასწავლნი, ვით დასახელებულ ქართველი ერის საიმედო მოქალაქე-მეცნიერნი.

ეს სასიამოვნო მოვლენაა.

ოდესღაც, ჯერ ისევ 1905 წელს საეკლესიო მუზეუმში მუშაობის დროს ნიკო მართან მე მქონდა მეგობრული ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ ქართველი ერის წარსულისა და მის ენის ამოცანის შესახებ საბოლოო სიტყვას იტყვიანო განაპირა კუთხე-მოსახლეობის შვილნი, ე.ი. მეგრელნი, სვანნი, ფშავნი და სხ., რომელთაც საერთო ქართულის ცოდნა უადვილებს-თქო მათი ადგილობრივი კილო-კითხვის ცოდნაც, იგინი, ასე ვთქვათ, ორმაგი ქართველები არიან-თქო. და აი დღეს უკვე მართლდება ჩვენი სიტყვა და სამეგრელოს შვილები თოფურია, ჩიქობავა, ჯანაშია და სხ. გამოდიან უნივერსიტეტის ,,მოამბეში" თავიანთი ნამდვილ მეცნიერულ შრომებით, ვითარცა ,,ორმაგი უარყოფა ქართულში" (თოფ.) ,,ყე ნაწილაკი..

ქართულში” (ჩიქ.) ,,უზენაესი ღვთაების აყრა სახელწოდების ფორმისათვის” (ჯან.), ,,მეოთხე საუკ. მხატვრულ ნაშთები” (ამირანაშ.)

ვუსურვოთ გაუმარჯვდეთ საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ნორჩ და საიმედო მეცნიერ-მოქალაქეთ.

საქმე აწმყოა და მასზე დამყარებული მომავალი

წერილი რედაქტორთან

,,დროება” 1879, N 122, 12 თიბათვე, გვ. 3.

მოწყალეო ხელმწიფეო!,

ამ ორიოდე წლის განმავლობაში აქაურმა გაზეთებმა ბევრი ცხარე ბაასი შექნეს თფილისის სასულიერო სასწავლებელზე, საზოგადოდ ამ უკანასკნელების ცუდსა და, სწორეთ მოგახსენოთ, საძაგელ მდგომარეობაზე. თითქმის კვირა არ გაივლიდა და არ გაივლის, რომ თითო რომელიმე ნაკლულევანება არ გამოეშკარავებინათ ამ ჩვენი სასულიერო სასწავლებლისა და სასულიერო სემინარიისა.

მაგრამ გამაგრებული მტერი ვერ დასძარით სანგლებისაგან და მრავალი მწარე ტყვიით ვერც კი გაჰკაწრევით.

მართლაც შეიძლება ამისთანა საზოგადოების ხმის და სურვილის გაუგებლობა! იმდენი თქვენი გაკიცხვით და ქადაგებით, თფილისურ სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობა ნამცეცადაც არ გაუმჯობესებულა; სწავლა ისევ უთავბოლოდ მიდის; მოსწავლენი ისევ მონურ მდგომარეობაში არიან; ისევ იმგვარად გამოუდეგარ საჭმელსასმელს აძლევენ; ისევ გონიერად მიუხედველობისაგან იხოცებიან ყმაწვილები; თქვენი მტრების ლაშქრის უფროსები (კუვშინსკი და კამპანია) არათუ დაისაჯენ, არამედ თქვენი გაზეთის ზუილის მიხედვით ყურებიც კი არ გამოიბ-ღერტეს.

ვისიც ჯერი იყო, არათუ ყურადღება მიაქციეს ამ თქვენგან აშლილ საქმეს, არამედ ყველაფერი ჭორად ჩათვალეს და ერთ ყურში შაშვებული მეორე ყურიდგან გაუშვეს.

რამდენად მართალია ზემორე თქმული ცხადად გვიმტკიცებს ის, რომ უფ. კუვშინსკის და ბაიევის ჩხუბს ყურის მგდებელი არა ჰყავს. სხვა სასწავლებლებში მაჩხუბარებს ერთ წამსაც არ შეინახავდნენ, ჩვენი გმირი (უფ. კუვშინსკი) კი ეხლაც სემინარიაში ბრძანდება. და რომ მათი ჩხუბის შესახებ თქმული მართალი იყო და უფრო მეტიც იყო, ამაში ეჭვი არ არის.

ქართული ენის სწავლება არათუ გაუმჯობესდა, პირიქით უფრო დასუსტდა. სასულიერო სასწავლებელზედ ,,დროების” N 93-ში თქმული უსწორმასწორობა არათუ გასწორდა, არამედ რამდენათმე ცუდად წავიდა; ასე რომ ჩვენი შვილები ეხლაც შიმშილისაგან დასუსტებული არიან; საწყალ ბოვშებს აძლევენ მცირე საჭმელს, ისიც უვარგისს:პური ისეთი შავი და უმია, რომ ყმაწვილი ვერა სჭამს; სადილზე ეძლევათ რაღაცა უცხო საჭმელი, კაცი ვერ გაიგებს სადაურია ეს ხორაგი, აქ უძახიან ,,სუპს”. აი რითი შესდგება ეს სუპი:მტკვრის მღვრია წყალი (ბლომათ), მცირე ბრინჯი, მარილი და ზეთი. მაგრამ ამ საჭმელს მხოლოდ მაშინ ეკარებიან ყმაწვილები, როცა ხუთი დღის მშიერ მგელივით შიანთ, თორემ სხვა დროს კი არც ერთი ხელსაც არ ახლებს. აი მაგ. 9 ამ თვისას ყმაწვილები არც კი მიეკარნენ მორთმეულ ,,სუპს”. ასე, როგორც მითხრეს, მოსდით ყოველ დღეს. საწყლებს ერთის მხრით შიმშილისაგან, მეორის საწოლ და სასწავლო ოთახების უწმინდურებისაგან, სიმყრალისაგან მკვდრის ფერი ადევთ.

გარდა ამისა ისე სასტიკად ეპყრობიან მოსწავლეებს, როგორც უწინ ზოგიერთი უსინდისო ბატონი თავის ყმას. ყმაწვილები ყოვლის მხრით დამონავებული არიან:ვინც წინააღმდეგ სიტყვას იტყვის, უპუროდ რჩება; მოსამსახურეებსაც კი თავის ფეხქვეშ ქელვენ.

საზოგადოთ სასწავლებელი სამწუხარო მდგომარეობაშია, და ამისთანა მდგომარეობაში მყოფ სასწავლებელზე წელს, როგორც ამბობენ, 3000 მანეთი მეტი დახარჯულა დანიშნულს ჯამზე.

თვით სწავლა თითქმის სრულიად არ არსებობს ამ სასწავლებელში და არ არსებობს მიტომ, რომ არავინ არ ასწავლის. უფ. ინსპექტორი გაკვეთილების დროს ბევრჯელ მიდის სხვადასხვა სოფლებში, ან თფილისში, სადაც დასეირნობს და ფულით ვაჭრობს. რასაკვირველია, ამისთანა მასწავლებლის ყმაწვილებს არაფერი ეცოდინებათ:ჩემ დროს ეს ინსპექტორი მთელი წლის განმავლო ბაში ათჯერ თუ 15-ჯერ შამოვიდა გაკვეთილზე, სხვა დროს კი ადვოკატობდა! ზედამხედველი ჰყავთ მოქეიფე და სრულიად უნაყოფო კაცი, რომელიც თავის გაკვეთილებს თავის სასწავლებელში სტოვებს და იუნკერების სკოლაში კი დაიარება გაკვეთილების მისაცემად.

ყველა ეს მე იმიტომ ვსთქვი, რომ დროა ეხლა მაინც მიაქციონ ყურადღება ამ სასწავლებლის დაცემას. დროა, რომ მოაშორონ სასწავლებელს ადამის ხნის მასწავლებლები, დროა კარგა გაასუფთაონ სასწავლებლის უწმინდური მიმდინარეობა და სწორ გზაზე დააყენონ!

თორემ, თუ ასე წავიდა საქმე, გარდა იმისა, რომ უსწავლელნი დაგვრჩება შვილები, კიდეც დაგგვეხოცებიან. აი წლეულს, მაგ., მოგვიკვდა ოთხი ყმაწვილი. ამბობენ, რომ ერთის ყმაწვილისთვის, რომელიც ერთ თვეს კუჭით იყო ავათო, და რომელსაც დოქტორის ბრძანებით ბულიონის მეტი არაფერი არ უნდა ეჭმევიათ, ზელიონი შჩი მიუციათ და ამით ყმაწვილი მომკვდარა!

ჩვენი სამღვდელოების აღზრდა.

,,დროება" 1881, N 119, 11 ივნ. გვ. 1-2.

ყველა იმ სასულიერო სასწავლებელში, რომელნიც დაარსდნენ ჩვენში რუსეთთან შეერთების შემდეგ,-წერს ავტორი, განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ქართულ ენას, ქართველთ გვარტომობას, ისტორიასა და ყველა ,,ჩვენებურს"; ყველა ,,ჩვენებური" იყო ქვაკუთხედად, დედაბოძად ამ სასწავლებელთათვის. ქართულის შემდეგ უმთავრესი ადგილი ეჭირათ თათრულს და ოსურ ენებს და, საზოგადოდ, იმ ელემენტებს, რომელნიც ყოველ ნაბიჯზე ჰხვდება კავკასიაში კაცს, რომელსაც ამ ელე-მენტების ცოდნა ყოველთვის სარგებლობას მოუტანს. რუსულ ენას, მართალია, ადგილი ჰქონდა ამ სასწავლებლებში, როგორც სახელმწიფო ენას. მაგრამ იგი სრულიადაც არა სჩაგრავდა ქართულ ენას და ჩვენებურ ელემენტს. ამგვარ მდგომარეობაში იყო ,,ჩვენებური" ვიდრე 1872 წლამდე, როცა განათლების მინისტრ გრაფ ტოლსტოის განკარგულებით ყველა ჩვენს სასულიერო სასწავლებელშიაც ,,ჩვენებურს" ფრთები შემოსჭრეს და მხოლოდ ფორმის გულისთვის დასტოვეს; თათრულს, ოსურს სრულიად ნიადაგი მოუსპეს; ამათ მაგიერ შემოიღეს ლათინური ენა სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში და ბერძნული ენა მეორე კლასიდან. ბ. კერსკის რევიზიის შემდეგ სემინარიაში სრულიად მოისპო ქართული ისტორია (საერო და თითქმის საეკლესიოც); ქართული ენის მასწავლებელს სრულიად პატი-

ვისცემა და მნიშვნელობა ჩამოართვეს და თითქმის მტრულად უყურებდნენ; ვინც კი ქართველი მასწავლებლები იყო სემინარიაში უბრალო მიზეზები მოუგონეს და დაითხოვეს და მანვე (კერსკიმ) შეიტანა უწმინდეს სინოდში თავისი აზრი, რომ დღეის შემდეგ თბილისის სემინარიაში არ დაინიშნოს მასწავლებლად ან გამგედ ქართველი, ან თუ დაინიშნა, მათი რიცხვი არასოდეს არ უნდა იყოს ყველა მსახურთა რიცხვის ნახევარზე მეტი, არამედ ნახევარზედაც ნაკლები, რუსთა ხმა იყო მომეტებული. იგი დამტკიცდა. ამის გამო სემინარიაში ერთი ქართველის მეტი არავინ არის მასწავლებლად და ვაი იმისთანა ქართველსაც!.. ამნაირად კერსკიმ შეავიწროვა და შეაძულა საეკლესიო მთავრობას ჩვენი ენა, ჩვენი სამღვდელო შვილები და თვით სამღვდელონიც, რომელთაც ორგულება შესწამა. ახლა 1879 წლიდან დაადგინეს, სემინარიაში მხოლოდ აკადემიადამთავრებულები, რუსები უნდა ასწავლიდნენ. ახლა თბილისის სასულიერო სასწავლებელში უფერულობა, უნაყოფობა სუფევს და ასე თუ გაგრძელდა, სრულიად უენონი, უაზრონი დავრჩებით და მუნჯ ადამიანს დავემსგავსებით.

ჩვენი სასულიერო საქმეები

,,დროება" 1881, N 202, 29 სექტ. გვ. 1-3.

ვაჰ სოფელო რას შიგან ხარ, რა ზნე გვჭირსა!
სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა

რუსთაველი

ჩვენს საქართველოში მოქმედობს ამჟამად ორი ძალა:ერთი სიკვდილს გვემუქრება, მეორე ცხოვრების დღეგრძელობის დაცვას. ამ ორთა წინააღმდეგ ძალთა შუა, ამ ბოლო დროს ცხადად გამოაშკარავდა ბრძოლა; თუმცა ეს ბრძოლა ყრუთ გაისმოდა მის შემდეგ, რაც დაიბადა შავი ყორანი ჩვენ მოსაკლავად და მერე ჩვენ ლეშზედ სანავარდოდ. რომელი ძალა გამოვა გამარჯვებული ბრძოლის ველიდან, ძნელი სათქმელია, მხოლოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ აწი იმარჯვებს ძალა ბოროტებისა, ჩვენი დამარხვისა, ანუ სხვანაირად ვსთქვათ, ხე ბოროტისა, მინემ ცხოვრებისა.

ჩვენ გვქეჯნის არა ერთი ეშმაკი. უკიდურესი ამათგან არის უმეცრება. ამ მრავალძარღვა ეშმაკის წყალობით მრავალმა ბოროტებამ ჩვენში მოიდგა ფეხი. რელიგიური რწმენა, მამა-პაპური ენა, სიმამაცე, სიმხნევე, რომელნიც არიან დედაბომად ყოველი ხალხოსნობის თვითარსებობისა, ჩვენ თითქმის დავკარგეთ. დასამტკიცებლად ჩვენ მივმართოთ საქართველოს ეკლესიებს, სკოლებს, ჩვენებურ მოხელეების ყოფაქცევას, ხალხის ურთიერთ დამოკიდებულებას და განწყობილებას, შემლებისამებრ, განვიხილოთ იგინი და ვნახოთ, თუ რამდენათ და რა ღონით ებრძვის ამათ წინააღმდეგი ძალა.

ჯერ ვსთქვათ ეკლესიებზე. ქართველების რელიგიური რწმენა წარმართობის და ქრისტიანობის დროს მუდამ ყოფილა სასიქადულო და სამაგალითო. არც ერთ ამ მტრის რელიგიურ ფანატიზმს ჩვენი ხალხი არ გაუტაცნია ისე, როგორც სხვა ხალხები. ისეთი ხალხი არ არის, გარდა ქართველებისა, რომ ამ მავნებელის სენით არ იყოს ჭირვეული. უგანათლებულეს უწინდელს დროში ეგვიპტელები თავის მოგვებიით 1565-1499 წლებში ქრისტეს წინ, შემოვიდნენ საქართველოში და დაუდგეს ქართველებს მზის, მთვარის და ვარსკვლავების კერპები და თაყვანი აცემინეს მათ. წინასწარმეტყველი დანიელი მშიერ ლომების ორმოში ჩააგდო სპარსეთის მეფემ

მისთვის, რომ იგი სცემდა თაყვანს არა თვით მეფეს, როგორც ღმერთს, არამედ იეგოვას. ქრისტიანობის შემდეგ როდესაც რომის პაპმა გამოუცხადა ომი ლიუთერს და უბრალოდ სისხლს ჰღვრიდა, მაშინ ჩვენში ქრისტიანობასთან ერთად უღელს ეწეოდა მაჰმადის სარწმუნოება, სომხის ეკლესია და სხ.

როგორც ჩვენმა ხალხმა იცოდა სხვის სჯულის, სარწმუნოების დაფასება, ისე, და უფრო მეტად, თავისა, და რადგან სხვის სჯულს ხელს არ ახლებდა, იმასვე ითხოვდა სხვათაგანაც შესახებ თავის რწმენისა. და თუ ვინმე გაიფიქრებდა ამ რწმენის ვნებას, იმას მეხივით ეცემოდნენ და ებრძოდნენ იმ დრომდისა, მინემ ხიფათს არ გადაარჩენდნენ თავის სარწმუნოებას, რომელიც მიაჩნდათ სრულ ჭეშმარიტებათ, მაცხოვრისაგან მონიჭებულად.

318 წლის შემდეგ მთელი ჩვენი ხალხი მართლმადიდებელი ქრისტიანია და მოწიწებით თაყვანისმცემელი მაცხოვრისა. ამას, ისტორიის დამოწმების გარდა, გვიმტკიცებენ მრავალზედ უმრავლესი ძვირფასად და ხელოვნურად აგებული ეკლესიები, რომელნიც მოიპოვებიან ყოველ კუთხეში ჩვენის პაწაწკინა მამულისა, ჩვენის საქართველოისა. მართალია, 1552 წ. ოსმალობამ დაიპყრო ჭოროხის ხეობა და მტკვრის სათაურები და მცხოვრებნი ძალათ გაამაჰმადიანა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ სამი საუკუნის განმავლობაში იქაური ხალხი კიდევ პატივს სცემს ტბეთის, ოპიზის, პარხალის და სხალთის დიდებულ ეკლესიებს და მაჰმადიანობაშიაც უბრძოლნია გრდემლ-წერაქვის წინააღმდეგ, რომ დაიცვას თავის ტაძრები და ხელუხლებლად ჩააბაროს იგინი თავის შთამომავლობას, მოსაგონებლად თავის გვარტომისა და ვინაობისა. მართალია, აგრეთვე, რომ ზოგიერთები მიდიოდნენ სპარსეთში და ღალატობდნენ ქრისტიანობას, მაგრამ ეს ღალატი იყო გარეგანი, ფორმალური, პოლიტიკური და არა ჭეშმარიტი.

ყველა ამით მე მინდა ვსთქვა, რომ ქართველი კაცი იყო ღვიძლი შვილი ქრისტეს ეკლესიისა და მისი ყურმოჭრილი მონა. და ამნაირი რწმენის მიზეზი იყო ის მაღალი მცნებანი, რომელნიც ყოველდღე ესმოდა ქართველს თავის ღვიძლ ენაზე, ღვიძლი მამის პირიდან. ქართველის მამა-მოძღვარი მაშინ იყო, როგორც მაღალი ზნეობის არსება კაცთა შორის, ისე სწავლა-განათლების წარმომადგენელი, ხალხის სუსტი მაჯის გამაცხოველებელი. არაერთხელ მჭერმეტყველები, მაღალი ზნეობის სიტყვას ალავერდის, შუამთის, წმ. ნინოს, ნეკრესის და სხვა მონასტრებში, მცხეთის სობოროში, ბედიის, ოპიზის, ტბეთის ეკლესიებში, ანდამატურის ძალით მიუზიდავს ხალხი და ძმურის კავშირით შეუკრავს იგი. ვინ მოსთვლის ყველა იმას, რაც ჰხდებოდა მაშინდელ დროში ყველა პატარა ეკლესიებში!

44 წლის შემდეგ ეკლესიების გვერდით დაარსდნენ სკოლები, რომელშიაც ბერძნულ, ასირიულ ენებსაც ასწავლიდნენ (ნახე:История средних веков, რვეული II და III, გვ. 17. ს.ბარათაშვილისა) მაშინდელნი მასწავლებელნი იყვნენ ეკლესიის მოძღვარნი, მონასტრების წინამძღვარნი. ვინ იყო გამოჩენილის, ქართველთა მნათობელი პოეტის შოთა რუსთაველის მასწავლებელი? იგივე მოძღვარი.

დიახ, ასეთ მაღალ ხარისხზე იდგა მაშინ ჩვენი ეკლესია და ჩვენი რელიგიური რწმენაც.

რა არის ეხლანდელი ჩვენი ეკლესია და მოძღვარი

ჩვენ ვერ შევძლებთ ყველაფრის გამოთქმას მათ შესახებ, რადგან მათი დახატვა რთული საგანია.

მაგრამ ჩვენი და მოძღვრის ძალღონე, ზნეობითი, გონებითი მხარეები ყველამ იცის.

ზნეობითი მხარე, ქრთამების ხვეჭა, შური, მარხვის გატეხა, ჯვარის წერისთვის სასყიდელზედ აყალმაყალის ატეხა, უმადურობა და სხვა კაცის დამამცირებელი ხასიათები შეადგენენ უმთავრეს მავნებელ თვისებებს, თუ არა ყველა ჩვენი მოძღვრებისა, უმრავლესისა მაინც.

გონებითი ძალა. მთელს იმერეთში ძლივს მოიპოება 10-15 განათლებული, ესე იგი თბილისის სემინარიაში კურსშესრულებული მღვდელი. სხვანი საყველპურო მეცნიერებით აღჭურვილნი არიან. ზოგმა ამათგან არ იცის წერა; კითხულობენ უთავბოლოდ, ჩათვლით.

ამერეთში კურსოვნიკები მეტია. ამ კურსოვნიკებში უფრო კარგად ჩანს ჩვენი ხალხის ისტორია, ავანჩავანი ძველებმა იციან, ვიდრე ახლებმა, რადგან პირველთ წინეთ ასწავლიდნენ ამ საგნებს, ახლებს კი მაგიერ თავები გაჭედილი აქვთ ბერძნულის აორისტებით, ლათინურის სუპინუმითა, ფრანცუზულ, ნემეცურ და ურიულ ენების ლიტონ სიტყვებით.

გარდა ამისა პირველნი საგნებს უფრო პრაქტიკულის მხრით სწავლობდნენ, მეორენი ფორმალურის. გარდა ამისა ენა, რომელზედაც სწავლობდნენ პირველნი, იყო ღვიძლი ქართული; თუ კლასში არა, შინაობაში, კლასგარეთ მაინც. ამ ენას ჰშველოდნენ ოსური, თათრული, რომელნიც ყოველთვის ეხმარებოდნენ მას. ისინი სწავლობდნენ აგრეთვე მკურნალობას პრაქტიკულად თვით სემინარიასი. ეხლანდელებს კი უსწავლიათ კონტის ფილოსოფია (?)

ჩემის აზრით, უენო სემინარიელს სჯობს ენიანი შინაურად მომზადებული მოძღვარი, რადგან იგი ხალხს ადვილად გადასცემს თავის გრძნობას, და მათ სატკივარსაც მალე გაიგებს.

ასე და ამნაირად ჩვენი ხალხი, ეკლესიები დარჩნენ უპატრონოდ ანუ ისეთი პატრონობით, რომელიც უფრო წააგავს მეომარ მტერთან საბრძოლველად უიარაღოდ გასულს ბრძოლის ველზედ. როგორც მეომარი აღიჭურვება იარაღით, ისე მოძღვარი ცოდნით, მაღალ ზნეობით; მხოლოდ ამ თვისებებს შეუძლიათ მისცენ მოძღვარს ძალა, გაჰკაფოს უმეცრება, დათრგუნონ ავზნეობა ხალხისა და აღამაღლონ ეს უკანასკნელი.

ჩვენი მღვდლები არათუ აღჭურვილნი არიან ყველა ამაებით, არამედ იმოდენ სწავლასაც მოკლებულნი არიან, ხალხთან ცრუმორწმუნოება, მკითხაობა სჯერათ.

ეკლესიებში მაღალ ზნეობითი ქადაგებანი წლითიწლობამდე აღარ გაისმის. თვით ჩვენს დედაქალაქში, ჩვენ სიონში ქადაგების კათედრიდან აღარ გადმოდის ხალხზე მდუღარე ჭეშმარიტების ძალა ქრისტეს მაღალ სწავლისა. ათასში ერთხელ თუ გაიგონებს კაცი უხალისო, უგემურ ქადაგებას. ისიც უეჭველად რუსულს ენაზედ-ქართულზე იშვიათად.

საინტერესოა ვიცოდეთ:რას აკეთებენ ბერები დარიის, ნათლისმცემლის, წმ. ანტონის, შუამთის, წმ. ნინოს, ქვათახევის და სხვათა მონასტრებისა? ნუთუ ესეთი შემოსავლიანი მონასტრები ვერ გამართავდნენ სკოლებს და ვერ მოჰფენდნენ განათლების სხივებს ჩვენ უმეცარ ქვეყანას. მაგრამ სადაა მათში იმდენი მამულის სიყვარული, იმდენი ხალხის სიყვარული, რომ დაივიწყონ საკუთარი ნეტარება და ცოტა რამ უწილადონ კეთილ საქმესაც.

ქადაგება რომ მოაკლდა ეკლესიას და თვით მოძღვარნი შეიქმნენ არა სულიერ მამათ ხალხისა, არამედ ფორმალისტებად, ჩინოვნიკებად, ,,მაიტა ვსჭამოებად", ჩვენ ხალხსაც გული გაუგრილდა და ეკლესიებიდან გამოვიდა. ქართველ კაცს ეკლესიაში, ბატების საძოვარზე გარეკვით, მათრახებით და შტრაფებით მიერეკებიან.

ჩვენი ხალხი განშორდა ეკლესიას. სამაგიეროდ მიემკედლა მკითხავს, ცრუმორწმუნეობის მორევში შეტოპა. უწინდებური ძმობა, სიყვარული დაივიწყა. შეიქნა ავი, ქურდი, მკილავი, ტრაბახა, ფიცის დამრღვევი, ურწმუნო. იქამდის დაეცა ხალხის ზნეობა, რომ ეკლესიაში შესვლა ეზარება, მღვდლის სასაცილოდ აგდება გროშად დაფასდა. ეკლესიები, სადაც ერთ დროს (საუკუნეთა განმავლობაში) ზნეობით საქმეების გარდა იხილვებოდნენ საერო, საზოგადო საქმენი, ეხლა ერთ ჩირად არ ფასდებიან. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ხალხს ეკლესია არ უყვარს, არა, ის არის, რომ ეკლესიაში ის ხედავს ისეთივე უგუნებო კაცს, როგორც თვითონ არის.

ამნაირად ჩვენი ხალხის სარწმუნოება შეირყა.

არათუ ქართულს ისტორიას, არამედ ქართულს გეოგრაფიასაც კი შემოკლებულ პროგრამით ასწავლიან. ასე რომ ამ ჩვენმა თელაველმა შაგირდმა გაცილებით მეტი იცის დედამიწის მეორე გვერდზე გადავარდნილ სახალინის ამბავი, მინემ 50 ვერსის სიშორეზე მდებარე ქალაქ სიღნაღისა. იმ სკოლებში, რომელიც პირველ დროში განსაკუთრებით ჩვენი შვილებისთვის ააშენეს, ეხლა უეგზამენოთ არც ერთს არ იღებენ, ამის გამო მათში ქართველი მოსწავლეობა შეადგენს უმცირეს ნაწილს.

ქართული ენის მაგიერათ სკოლებში შემოიღეს რუსული, ლათინური, ბერძნული, ნემეცური, ფრანცუზული, ურიული და ზოგიერთი ისეთი საგნები, რომელნიც არც ჩვენ სულს და არც ხორცს რგებენ, თუ არ ვნებენ.

უმეტესი ნაწილი ჩვენი მოსწავლე შვილებისა ამისთანა მძიმე ტვირთის ქვეშ იჭყლიტებიან და ბაიყუშდებიან, სამუდამოდ იღუპებიან, რადგან იმათ ითხოვენ სასწავლებლებიდან, სხვა საქმეს ხელს ვეღარ ჰკიდებენ, გადაჩვეულნი არიან.

აი მიზეზი, რომ საქართველოს სასწავლებელნი, სწავლის მსურველთა შედარებით, ცარიელნი არიან. 500-600 შაგირდი, ესე იგი 5%-ზე ნაკლები:თბილისის სემინარიაში, რომელშიაც უნდა მიიღოს სწავლა თითქმის 2000 შაგირდმა, 10-15 ყმაწვილი ასრულებს ყოველწლივ, ესე იგი 7/10 %-ზე ნაკლები.

სოფლის სკოლა, რომელშიაც ყველაფერი ღვიძლ საფუძველზე უნდა იყოს დამყარებული, საცა ,,მშობლიური" უნდა გარს ერტყას მოსწავლეს, იქაც ღვარძლი ითესება. ქართველ ბავშვს ატიტინებენ რუსულად; აღტაცებაში მოდიოდნენ ზოგიერთები, როდესაც ქართველი ბავშვი მათ ,,კოზლიკს" ,,ზაიჩიკ პაიჩიკ" და სხვას უმღეროდა. ამისთანა ყმაწვილს დაასაჩუქრებდნენ ხოლმე და სხვას, რომელმაც მშვენიერი ქართული კითხვა იცოდა, იმას ყურსაც არ ათხოვებდნენ, რადგან ,,ზაიჩიკ პაიჩიკი" არ იცოდა. ნუთუ სამი წლის განმავლობაში სოფლელი ყმაწვილი ისე შეისწავლის რუსულს, რომ ცხოვრებაში გამოადგეს?! ერთ ჭკუის კოლოფს განუზრახავს ქართული ,,მამაო ჩვენოს" რუსულ ნოტებზედ გადაღება და აგრეთვე ზოგიერთი ლოცვებისა. იმის აზრით, ისეთი კაცები, როგორც პოპეჩიტელი ან სხვა, საზოგადოთ, ,,დიდი", რომ მოვა სკოლის სანახავად, მაშინ ქართველი შაგირდები ,,მამაო ჩვენოს" იგალობებენ რუსულ მოტივებზე. არათუ სასაცილოდ აიგდეს ჩვენი ენა, არამედ ჩვენი ხმებიც, ის ხმები, რომლებზედაც იგალობებიან ყველა ლოცვები! და ასე სკოლაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, და ცდილობს ქართული ენის მაგიერ ჩაგვიდგას რუსული, ქართული ხმების მაგივრად რუსული. მაგ. ,,წმიდა იყავნ სახელი შენი"-ს მაგიერ ,,ცმიდა იკავნ".. ,,ბაყაყი ყიყინებს", ,,ბაკაკი კიკინებს", ჭავჭავაძეს მაგიერ ,,ჩავჩავადზე".

მოხელეების ყოფაქცევა ხალხში. უმეტესი ნაწილი მოხელეებისა ჩვენში არიან უცხო ტომის ხალხი, რომელთაც არ იციან არც ზნე, არც ჩვეულება, არც ავი, არც კარგი

ჩვენი ხალხისა. ამიტომ ისინი გულგრილად ეკიდებიან საქმეს და მხოლოდ ,,ჩინოვნიკობენ".

მეორეს მხრით მას სულთამხუთავ მაჯლაჯუნასავებ ახრჩობს ვაჭარი. ამგვარ მძიმე საპალნეს ქვეშ ნელ-ნელა სუსტდება ხალხი და ეს სისუსტე სამარეს უთხრის მას...

ყველა ამგვარ მოვლინებათა წინააღმდეგ ,,ჩვენ" გავიღვიძეთ ამ რამდენიმე წლის წინეთ. გავხსენით სოფლის სკოლები, რომლებშიაც არიან მრავალი სინიდისიანი მასწავლებელნი, რომელთაც მშვენიერად მიჰყავთ საქმე. დავაარსეთ ,,საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელმაც რამდენიმე სკოლა გამართა, დავაარსეთ ,,დრამატული საზოგადოება", გავმართეთ ბანკები, გვაქვს ორი ჟურნალი და ორი გაზეთი; შევსწირეთ ფულები, რომ მოგვცენ ნება გავმართოთ უნივერსიტეტი, ქუთაისში საკუთარი სემინარია.

ერთი სიტყვით, მართალია, ჩვენი გვარტომობის დასაცველად ჯერ ბევრი ზომები არ მიგვიღია, მაგრამ რაც მიგვიღია, ისიც კარგია..

მაგრამ ეს მხოლოთ ნიშანია ჩვენი ხალხის გამოფხიზლებისა და წინწაწევისა. სანუგეშოა, რომ ქართველმა გამოიღვიძა, და მალე მტერს ტყვია-წამალით პირდაპირ დაუდგა. ამ ბრძოლაში, სასურველია მხოლოდ, რომ ყოველმა ქართველმა მიიღოს მონაწილეობა, თორემ ,,სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი".

მცხეთის დღესასწაულის გამო

,,დროება" 1881, N 207, 6 ოქტ. გვ. 1-2.

იმ აზრის დასამტკიცებლად, რომელიც, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის წყალობით, ვერ გამოითქვა სრულად და ცხადად (იხ. ,,დროების" ფელეტონი, N 202 ამ წლისა, ,,ჩვენი სასულიერო საქმეები") შესახებ ჩვენი ეკლესიების დაცემისა, სხვათა შორის, შეგვიძლიან მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები.

წელს თბილისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის დღეობაზედ შეიყარა მრავალი ხალხი, უმეტესი ნაწილი ქართველთაგანი. რა ნახეს ქართველებმა, რომელთაც არა გაეგებოდა-რა რუსული (სლავიანური) ენისა, რომ წირვა იწირება არაქართულად, შესწუხდნენ და ეს თავის მწუხარება გამოხატეს შემდეგის სიტყვებით:- "რა დროს მოვესწარით. წირვა რა არის, ქართული წირვა, ამის ღირსიც კი აღარ ვყოფილვართ!"

ამავე წელს სვეტიცხოვლობას, ჩვენს დედა ეკლესიაში (მცხეთას), რომელიც წარსულ წლებში მრავალის მლოცველებით ივსებოდა, ჩვენ ვერ ვნახეთ მესამედიც იმ მლოცველებისა. ამას მე პირდაპირ მივაწერ, რომ ჩვენს ერს თანდათან უცრუვდება გული, ეკარგება ხალისი ლოცვისა, სულის კაეშანის და მწუხარების აღვიარებისა ეკლესიაში. ამისთანა უსწორმასწორობის და გლეხებისათვის უპატრონო დროს, როდესაც ყოველი გლეხის ,,მართალი" ჩივილი, ღაღადება ქვასაც კი ბანს ათქმევინებს, კარგია, რომ მთელია. წლის განმავლობაში ტანჯულმა გლეხმა გამოსთქვა წინაშე ღვთისა თავის მწუხარება იმ იმედით, რომ უფალი შეისმენს მის ვედრებას და აქაურ ტანჯვას, იქ ნეტარებით გადუხდის.

ამისთანა საყვედრებელი ადგილი ყველა გლეხის-ქრისტიანისთვის არის ეკლესია. ჩვენი ხალხი უფრო ეტანება დიდ ტაძრებს, სობოროებს და ჰგონია, რომ, რაც ტაძარი დიდია, ძველია და დიდი კაცების, წმინდანების ადგილსამყოფელი, ის უფრო ძლიერია და ვედრების გამგონი.

ერთი ამისთანა ტაძართაგანი არის ქართველთათვის მცხეთის სობოროს უძველესი, უდიდესი საქართველოს ეკლესიათა შორის და დედა მათი. ეს ეკლესია, რომელმაც მკვიდრი ფესვები გაიდგა მთელს საქართველოში თავის 1562 წლის სიცოცხლის განმავლობაში და ღირსეულად დაიცვა ქრისტიანობა და საქართველო განძვინებულ მტერთა შემუსვრისაგან, ეკლესია, რომელიც ერთ დროს იყო საკათალიკოსო, რომლების (უმეტესი ნაწილის) ადამიანური და სიცოცხლით სავსე მჭერმეტყველობა აღვიძებდა, აცოცხლებდა მტრისაგან დაჩაგრულ გულს მლოცველებისას, უნათებდა მას ბნელ და ხიფათიან გზას მომავლისას, ის ეკლესია-მეთქი ეხლა უკუაქციეს მლოცველს და ლოცვის ხალისს უკარგავს მას.

პირველ ღვინობისთვის, როცა ეკლესიაში იყო ერთი ამბავი, ესე იგი გალობა სხვადასხვაგვარ ნოტებზე, როდესაც სლავიანური წირვა დიდის ამბით იწირებოდა საქართველოს არქიელისაგან მრავალის სამღვდელოთა თანდასწრებით, ამ დროს, ვამბობთ, ქართველნი, მლოცველნი, ხატებისთვის სანთლების დანთების შემდეგ, გავიდნენ ეკლესიიდან და სობოროს ეზოში დროს გატარება დაიწყეს და ზოგი კი შინისაკენ გაემგზავრა.

როდის ყოფილა ასეთი უშნო და უგემური მცხეთობა? როდის ყოფილა, რომ ამისთანა დიდებულ დღეს ქართველს არ გაეგონოს ერთი თბილი, ძმური ქადაგება? რა იმედებით მოვიდნენ ქართველები აქ 200, 300 ვერსის სიშორიდან და რა ნუგეშით გაისტუმრეს მეორე სვეტისცხოველობამდის ჩვენი ქრისტეს მოციქულებმა!

ქრისტიანობა (ეკლესია) დამყარებულია ქრისტეს სწავლაზედ და მთელი ეს სწავლება ქრისტესი გამოიხატება სახარებაში. რა არის ის ქრისტიანობა, თუ იგი ხალხს არ ესმის და არ ესმის იმიტომ, რომ იგი სრულიად ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სწარმოებს?

მცირე ისტორიული შენიშვნა

,,დროება" 1881, N 218, 18 ოქტ. გვ. 2.

ყოველი ერის ცხოვრებაში სასმელს ჰქონია და აქვს დიდი მნიშვნელობა. დაჩაგრულს, გაყინულს გულს კაცისას სასმელი აცხოველებს, აღვიძებს; სევდიანს სევდას უქარვებს; ხანდისხან ლაჩარს ალბობს და მძლავრს მოპირდაპირეს ამარცხებინებს; არაყი იყო იმის მიზეზი, რომ რუსის სალდათები უშიშრად და გაბედვით შედიოდნენ შიპკაში, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ იქ ვეშაპივით პირები დაეღოთ ოსმალების მსხვილ ზარბაზნებს და მათი გრიალი დედამიწას ანძრევდა; არაყია იმის მიზეზი, რომ სიცივისაგან და შორეულ გზისაგან დატანჯულ-დაქანცული მეცნიერი ხშირად შეუდგება მეცნიერულ გამოკვლევას და ადის იმის-თანა სიმაღლეზე, როგორც მყინვარი, ყაზბეგი, მონბლანი და სხვ. ვინ მოსთვლის-რამდენი კაცი დაუხსნია სასმელს სიკვდილისაგან (ზამთარში გაყინული, დამზრალი და სხვ.). თვით სასმელების უაღრესმა მტერმა, თათრის წინასწარმეტყველმა მაჰმადმა, მართალია, აღუკრძალა თავის მართლმორწმუნე ხალხს ღვინო, არაყი, მაგრამ რადგან კარგად იცოდა-თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის ცხოვრებაში ,,სასმელს", ამიტომ ნება დართო, რომ მუსულმან ხალხს ესვა შარბათი.

ისეთი ხალხი არ არის დედამიწის ზურგზე, რომ, წყლის გარდა, არა სვამდეს რამე სასმელს.

ყველა აქედან სჩანს თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ხალხის ცხოვრებაში სასმელს. ერთი მწერალი ამბობს, რომ (ზოგიერთი) ,,სასმელი" ისე ამხნევებს, აცხოველებს

ადამიანს, როგორც ერთი კარგი, გრძნობით და იმედებით სავსე ქადაგებაო. არ შეგვიძლიან, რომ ამ აზრს არ დავეთანხმოთ.

მაშასადამე, პეტერბურგში მოწვეულ კომიტეტს ჰმართებს დიდი სიფრთხილე და ადევს მძიმე ვალი, რომ გონიერად განიხილოს ეს საქმე, რათა ერთის მხრით, მთლად აღმოფხვრას სიმთვრალე, მეორეს მხრით მოსპოს სასმელების მონოპოლია და ხალხის საკუთრება (სასმელების წარმოება) ხალხსავე (საზოგადოებას) გადასცეს. სასმელების განსახილველად მოწვეულ კომისიის ერთი წილი, ამ უკანასკნელ აზრს ადგია.

კომისიის შემადგენელი პირთა სიიდან ჩანს, რომ ამ კომისიაში არც ერთი კავკასიელი არ ურევია. თითქმის რუსეთის ყველა გუბერნიიდან მოწვეულ იქმნენ მცოდნე, როგორც აცხადებდნენ, პირნი და რა დააშავა ჩვენმა მხარემ! როცა სასმელების საქმეს გამოიკვლევენ და დააყენებენ ისე როგორც შეჰფერის რუსთა ხალხს, მაშინ ჩვენთვისაც მოსძებნიან ამათგან შედგენილ წესდებაში რომელიმე პუნქტს მესამე ან მეოთხე შენიშვნისა და ამ პუნქტის ძალით ჩვენში აწარმოებენ ,,სასმელების" საქმეს, იმის მიუხედავად, თუ რამდენად სასარგებლოა და რამდენად მოთავსებული ამგვარი წარმოება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის და წარმატებისათვის...

ჩვენი პირველდაწყებითი სკოლა

,,დროება" 1883, N 228, 12 ნოემბ. გვ. 1-3.

ფელეტონში ნათქვამია, რომ ,,დროების" ერთ ნომერში ამასწინათ იყო ლაპარაკი მოწინავე წერილში ჩვენი სკოლებისთვის საჭირო სახელმძღვანელოებზე. ამ წერილის შთაბეჭდილებათა გამო მსურს ორიოდე აზრი გავუზიარო ,,დროების" მკითხველებს ჩვენს პირველდაწყებით სკოლაში სახელმძღვანელოების უქონლობაზედ. თუ ვამბობთ რასმე ამ საგანზე არა იმიტომ, რომ ჩვენ თავსვე სახელმძღვანელოების სიღარიბე ვუკიჟინოთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი სკოლის ერთგულ პირთ თვალნათლივ დავუხატოთ ჩვენი გარემოება და გამოვიწვიოთ ამ ნაკლოვანებების შესავსებად. აგრეთვე ჩვენა გვსურს შემდეგ ჩვენი სკოლების მდგომარეობის გაცნობისა თითონ მკითხველებს ვათქმევინოთ- შეგვიძლიან ჩვენ სკოლას ეროვნული სკოლა ვუწოდოთ, თუ არა? ყველა ხალხის პირველდაწყებითი სკოლების პროგრამა შემდეგია:1) სამღვთო რჯული, 2) დედაენა, 3) არითმეტიკა, 4) სამშობლო ისტორია, 5) სამშობლო გეოგრაფია, 6) გეომეტრია, 7) ხატვა, 8) გიმნასტიკა, 9) სიმღერა. ამის შემდეგ ავტორი განიხილავს თვითეულ სამოსწავლო საგანს. იგი გულისტკივილით შენიშნავს, რომ არამცთუ სკოლისთვის შედგენილი და შემუშავებული სახელმძღვანელო, საზოგადოდაც ვახუშტის გეოგრაფიის გარდა ჩვენში გეოგრაფიის ჭაჭანებაც არ არის. მისი თქმით, ძნელად მოუტანს ნაყოფს სწავლა თავის ერსა, როცა მას არც სახელმძღვანელო აქვს რომელიმე სამოსწავლო საგნისა და არც ასწავლიან საგანს იმ ენაზე, რა ენაზედაც უნდა ასწავლიდნენ.

ორიოდე სიტყვა ჩვენი პირველდაწყებითი სკოლის გამო

,,დროება" 1883, N 233, 19 ნოემბ. გვ. 3.

ათი წელიწადია მას აქეთ, რაც მე ვაგროვებდი ყოველნაირ მასალას (გეოგრაფიისას) და ბეჯითად ვსწავლობდი როგორც საზოგადო, ისე ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიას. რადგან ჩვენი სკოლა საჭიროებდა მეთოდიურს

სახელმძღვანელოს, ამიტომ განვიზრახე ამგვარი სახელმძღვანელოს შედგენა და კიდეც შევადგინე. წიგნის ენა, ქართული მდაბიური ენის მიხედვით, შეასწორეს ბბ ი.ბაქრაძემ და მღ. ჯანაშვილმა. სახელმძღვანელო გავყავი სამ ნაწილად:სამშობლო, საქართველო, მსოფლიო განხილვა, 56 ხელნაწერი თაბახი. წიგნის დაბეჭდვა 200-250 მ. ეღირება (ურუკებოდ). მე არ მაქვს შეძლება ჩემი ხარჯით გამოვცე. ვინც გამოსცემს 1200 ეგზემპლიარს, იმას ვაძლევ შემდეგ პირობას:უკეთუ გამოცემა წლის განმავლობაში არ გაიყიდოს, ჩვენ ვკისრულობთ დანარჩენი ეგზემპლიარები უკანვე შევისყიდოთ გამომცემლისაგან.

ანჩისხატის ეკლესია.

,,დროება" 1884, N 83, 18 აპრ. გვ. 1-3.

ავტორის სიტყვით, ბევრს, ძალიან ბევრ ქართველს სხვადასხვა მიზეზების გამო აქამდის ვერ მოუხდებოდა ანჩისხატის ნახვა და მისი დათვალიერება. ბევრი იმისთანაც მოიძებნება, რომ ეკლესია ენახოს, დაეთვალიერებინოს, მაგრამ მაინც არ იცოდეს ტაძრის წარსული, აწმყო, უკეთ ვსთქვათ, არ იცოდეს მისი ისტორია. ამ მიზეზისა გამო, მისი აზრით, ურიგო არ იქნება, მოიყვანოს რამდენიმე ცნობა ამ ეკლესიაზე, რომელსაც ,,დიდ პატივს სცემენ თბილისელი ქართველები და სოფლელებიც კი, რომელნიც დღეობაზე, აღდგომის მეორე დღეს (საკუთრად ხატის დღეობაა და 15 მარიამობისთვეს (ღვთის მშობლობა) ურმებით ჩამოდიან ღამის სათევად". ავტორი აღწერს თვით ტაძარს, მოგვიანებით გადმოსცემს ხატის ისტორიას, მოაქვს საქართველოს წინანდელ ეპარქიათა და საეპისკოპოსოთა სია, რომლიდანაც ჩანს, რომ ანჩა შეადგენდა საკუთარ ეპარქიას. მმართველ საეკლესიო ცენტრებს შორის დასახელებულია:1. კათალიკოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოისა; 2. მთავარეპისკოპოსი:სომხეთისა, მცხეთისა, ჭყონდიდისა, ბოდბისა; 3. ეპისკოპოსნი: მაწყურისა, ქუმურდისა, იშხანისა, ნინოწმინდისა, ანჩისა, ტბელისა, წყაროსთავისა, განგისა, რუსთავისა, კანარისა, მროველისა, ნიქოზისა, ბალაშვერტისა, ყრელისა, ხარჭაშნისა, ბანისა, ჭერმისა, დბანისა, წურწყმისა, ერუშნისა, წინწყაროსი, ურბნისისა, სამთავისისა, ბოლნისისა, ანისა, თბილისისა, წალკისა, დმანისისა, გიშელისა. შემდეგში კიდევ დაარსდნენ ეპარქიები:დანდარისა, მოქვისა, ბედიისა, ცაიშისა, ჭელეშისა, მარტვილისა, ტყვაჩისა, იპპურიისა, ხობისა, სებასტოპოლისა, ანაკლიისა, ცაგერისა, შემოქმედისა, ჯუმათისა, ჯაყვისა, ხონისა, ნიკორწმინდისა, გენათისა (გელათისა), ქუთაისისა, ნეკრესისა და სხ. ყველა ეს ეპარქიანი არსებობდნენ (?) მე XVIII საუკუნის დასაწყისამდისო,- ამბობს პლ. იოსელიანიო (Краткая история грузинской церкви, გვ. 38).

დათვალიერება მეტეხის ტაძრისა (ქ.თბილისში)

,,მწყემსი" 1884, N 18, გვ. 6-9.

მცხეთის ტაძრის გუჯარი N 212 და N 405 მოგვითხრობს, რომ ,,მცხეთის ტაძარს ეკუთვნის თბილისში მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია, ავლაბარი თვისის ტყით, ლეღვისხევი თაბორის ეკლესიამდის და ახალუბანი თბილისში ქალაქის გლეხებითურთ" (პ.იოსელიანი). თბილისის დაარსებიდან ვიდრე როსტომ მეფემდე (1634-1658 წწ) მეფეთა სასახლე იყო მეტეხის ციხეში და მეტეხის ტაძარიც სამეფო კარის ტაძრად ითვლებოდა, შემდეგში კარის ეკლესიად შეიქმნა წმიდა გიორგის ტაძარი. მეტეხი= ბერძ. Metox=მეტოქი ანუ ,,კარი", ,,კარისბჭე". საფლავი შუშანიკისა ეკვედერსა შინა ეკლესიასა მეტეხისა (458 წ.). მეტეხის ხიდი არსებობდა 595-514

წლიდან. ახლა მეტეხის ციხეში გამართულია საპყრობილე და მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიაც არის სამლოცველო ტაძარი პყრობილთა და უძლურთა სულითაო.

ქართული საეპისკოპოსო ენქერი ტულაში.

,,ივერია" 1886, N 247, 14 ნოემბ. გვ. 3-4.

აღნიშნულია, რომ მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ჩვენი ისტორიკოსი, პატივცემული დ.ზ.ბაქრაძეს ამოირჩია თავის წევრად და ამასთანავე საზოგადოების მიერ გამოცემული შრომები (,,Древности") გამოუგზავნა, რომელთა შორის მე-11 ტომის პირველ წიგნში არის ვრცელი წერილი ,,Церковно-археологические памятники, хранящиеся в ризнице Тульского архиерейского дома"- სამებისა. ა). აი ამ წერილშია ქართული ენქერის მშვენიერი სურათი და მისი აღწერილობა. წიგნის ბოლოში ჩართულ ქართული ენქერის სურათის ქვეშ აწერია ,,Грузинская археологическая палица XVII века". ბიბლიოგრაფი აღწერს ორივე ფიგურას და ქართულ ენქერთან დაკავშირებით მოჰყავს ალექსანდრე ცაგარელისა და დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებები. ,,ჩვენის მხრით დავუმატებთ,- წერს ავტორი, რომ არა ერთი და ორი ამგვარი და, ვინ იცის, ამაზედაც უძვირფასესი ნივთებია,- ნივთები, ფრიად შესანიშნავი ქართველთა ძველი ხელოვნებისა და მხატვრობის შესატყობლად და შესამეცნებლად. ახლა ტფილისის სიონის ტაძრის ერთ-ერთ სადგურში არსდება მუზეუმი ძველი ნივთებისთვის. როგორც ჩვენ შევიტყვეთ,-განაგრძობს იგი, ამ მუზეუმის გამგებლად და ხელმძღვანელად ინიშნება ბ-ნი დ.ზ.ბაქრაძე. იმედია, ამის შემდეგ მაინც, ყოველგვარი და საყურადღებო ნივთნი ისრე აღარ განიბნევიან და წარიტაცებიან, როგორც აქამდე.. ღმერთმა ჰქმნას, რომ კეთილი აზრი მუზეუმის დაარსების შესახებ მალე სისრულეში მოსულიყოს".

ვიზრუნოთ ,,სამოთხისათვის"

გაზეთი ,,ცისკარი" 1887, N 12, 8 თებ. გვ. 3.

წერილში არის მოწოდება, რომ გავუფრთხილდეთ და გამოვიყენოთ ეროვნული სიმდიდრეები; განვავრცოთ წინაპართა სამეურნეო გამოცდილება, შევისწავლოთ ევროპის სახელმწიფოების სასოფლო სკოლების მუშაობის გამოცდილება; ათასგვარ საკვირველებას სამეურნეო საქმეში ჩვენ აღარ ჩამოვთვლით,- აღნიშნავს ავტორი, მხოლოდ აქ საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა, რომ ჩვენ, ქართველნი, მეურნეობისათვის ისეთი დალოცვილი ქვეყნის მქონებელნი, როგორც საქართველოა, ყოვლად უვიცნი და უცოდინარნი ვართ ყოველგვარ სამეურნეო საქმისა-პურის მოყვანაა იგი, თუ ღვინის დაყენება; საქონლის მოშენება, თუ შალების ქსოვა; ფუტკრის გამრავლება-გაშენებაა, თუ აბრეშუმეულის კეთება, ბამბისა და ბრინჯის თესვაა, თუ სელისაგან ტილოების ქსოვა და სხვადასხვა. ჩვენ არათუ ახალს არა ვსწავლობთ, წინაპრების სამეურნეო საქმეებსაც ვივიწყებთ (სელის თესვა და მისგან ტილოს ქსოვა), ანდა მადნეულობათა შემუშავება და რკინეულობის კეთება-გატანა იმავე ბაზრებზე და სხვ. გამომგონებელნი არიან ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, ამერიკელები, იტალიელნი, ესპანელნი. მეურნეობაში ხომ ჩინელები თითქმის პირველობენ. ევროპის სახელმწიფოების სასოფლო სკოლებში, თითქმის ყველგან, უმთავრეს საგნად ითვლება შესწავლა მეურნეობისა. შვეიცარიის, ბელგიის, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების სკოლებში მოწაფეებს ზედმიწევნით ასწავლიან მეურნეობას,

ესე იგი ხვნა-თესვას, მებოსტნეობას, ტყის მოვლას, მებაღეობას, ფუტკრისა და აბრეშუმის ჭიის მოვლას და სხვ. რუსეთშიაც ამ ბოლო დროს მიაქციეს ყურადღება მეურნეობას. მეურნეობის თვალსაზრისით საქართველოს ნიადაგს ბევრი ქვეყანა ვერ შეედრება. რა არ მოდის, ან რა არ მოვა და არ იხეირებს ამ დალოცვილ და კეკლუც კუთხეში სამსოფლიოსი. ეს ჩვენი პაწაწინა დედა ქვეყანა, ტყუილად კი არ უწოდებდნენ მას ჩვენი წინაპრები ს ა მ ო თ ხ ე დ, მტილ-წალკოტად! როგორ ვასრულებთ ,,სამოთხეში" ამგვარ მძიმე მოვალეობას? უწყალოდ ვჩეხავთ, ვბუგავთ ხე-ტყეს და ვაშრობთ წყარო-მდინარეებს. ჩვენი დაუდევრობით და უზრუნველობით ყოფილი სამოთხე ლამის ჯაგნარად, უდაბნოდ ვაქციეთ.

დასასრულ ავტორი თანამემამულეებს ერთგვარად საყვედურობს და ამავე დროს მოწოდებასავით გაისმის მისი სიტყვები:,,ჩვენ იმის შნოც არა გვაქვს, რომ ის მაინც გადმოვინერგოთ ჩვენს ქვეყანაში, რაც შეადგენს დასავლეთ ქვეყნების კულტურის ნაღვაწ-ნაყოფს.. მთავარანგელოზის მაგიერ ლამის ფულად წოდებულ ფარ-ხმალმა აგვყაროს მამაპაპეულ სამოთხიდან და უმიწაწყლო ღატაკად გაგვხადოს! დროა დაუფიქრდეთ ჩვენს ყოფა-ცხოვრებასა და რიგიანად ვუპატრონოთ სამოთხე დედულ-მამულს").

საუნჯე მეათე საუკუნისა-,,საგალობელი"

,,ივერია" 1891, N 147, 13 ივლ. გვ. 1-3; N 148, 14 ივლ. გვ. 1-3.

წერილი ეძღვნება თავ. ნ.ტ.დადიანს, ავტორს ,,ჩვენი გალობის აღდგენა"-სას. ვრცელ წერილს წამძღვარებული აქვს მიქელისა და იოანეს სიტყვები-,,ვითარცა ტალანტი, წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ". ხელნაწერი, რომლის შესახებ დღეს მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა, მე, ჩემდა თავად, მიმაჩნია შესანიშნავ ძეგლად,-წერს წერილის ავტორი. ეს ხელნაწერი ეკუთვნის ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", აღნიშნულია N 425-ით და ჰქვიან ,,საგალობელი" (ნოტი), წიგნი შედგება 544 ფურცლისგან. ეს უზარმაზარი ხელნაწერი დიდად საყურადღებოა ყოველმხრივ. იმ დროს, რა დროსაც ევროპის საშუალო საუკუნოების ცივილიზაციის მკვლევარს მე-X-XI საუკუნემდე თითქმის ვერაფერი თვალსაჩინო ნაშთი ვერ აღმოუჩენია, რომ მისით ასწონ-დასწონოს ვითარება გონებითი წარმატებისა ევროპის კაცობრიობისა (იხ.Средные века и варвары, ლიტრესი), იმ დროს, ვამბობ, აზიის ერთ კუნჭულში, სახელდობრ ჩვენს სამშობლოში, იწერება დიდი საგალობელი თავის ნიშნებით (ნოტები). მუსიკის ისტორიის სახელმძღვანელოდან ჩანს, რომ ჩვენი საგალობელის მსგავსი ნამუშევარი, დროის მიხედვით, იშვიათი მოვლენაა. დღეს, რასაკვირველია, ამ წერილს იმიტომ კი არ ვწერთ, რომ გვსურდეს თვით საგალობლების განმარტება, არამედ იმიტომ, რომ ეს ღირსშესამჩნევი ხელნაწერი, შემლებისამებრ, ცოტაოდნად მაინც გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას. რა დროს დაწერილია ეს ხელნაწერი? ამ საკითხავის პასუხად, ჩემის აზრით, საკმაოა მოვიყვანოთ ეს ცნობები, რომელიც მოიპოვება თვით ამ ნაშრომში. გვ. 357. ,,ქრისტე, ადიდე უძლეველნი მეფენი:სუმბატ (923-958) და გურგენ (958-980). ამ ორ მეფეს გარდა რამდენიმე ადგილას იხსენიება აგრეთვე მეფე და კურატპალატი დავით. დავით მეფის ფულებს აწერია:ქე შე დთ კპტი) ქრისტე, შეიწყალე დავით კურატპალატი). იგი უშვილო იყო, რის გამო თავის სიცოცხლეში, ტახტი გადაულოცა თავის შვილობილს, ბაგრატ მესამეს (980-1014). ეჭვი არ არის, რომ ეს ხელნაწერი ამ მოხსენებულ მეფეების შემდეგ ყოფილიყო გადაწერილი, მაშინ შემდეგი დროის უფრო უძლიერეს მეფეებსაც მოიხსენიებდა მწერალი, მაგრამ

ამოტელა წიგნში არც ერთგან ხსენებაც არ არის არც ერთის მეფისა და საზოგადო მოღვაწისა. პირიქით, ჩვენ გვხვდება სახელები იმისთანა პირთა, რომელთაც უცხოვრიათ მეათე საუკუნეში. ამგვარნი არიან:მწერალნი:მიქელ, დავით, კიდევ დავით, სტეფანე ჭყონდიდელი, იოანე მტბევარი, ეფთვიმე, იოანე ქონქოლისძე, მოსე მწერალი და სხ. პუბლიკაციის ავტორი აღნიშნავს, რომ წმ. ეფთვიმე დაიბადა მეათე საუკუნის მეორე ნახევარში და აღესრულა 1028 წელს. ,,წერა-კითხვის" ერთ ძველ ხელნაწერში (N 1257) აღნიშნულია:,,ბაგრატ გურგენის შვილი, რომელმაც მეფობაი აფხაზთა და ქართველთა ერთყო ქორონიკონსა სლდ (1014 წ.), ამისთა ჟამთა იყო ეფთვიმე მთაწმინდელი, მთარგმნელი ტაოთ" (გვ. 10). მართლაც ბაგრატ III მეფობდა 980-1014 წლებში). იოანე აღესრულა 998 წელს. მაშასადამე, ამ დრომდის ყველა ზემორე დასახელებული წიგნები (21) აგრეთვე ,,მრავალთა წმიდანთა გალობანნი" უკვე შესრულებული ყოფილა ქართულ ენაზე. აი ამიტომაც ვფიქრობო, რომ ეს ეფთვიმეს გალობანიც ჩატანილი უნდა იყოს ამ წერილის თავს აღნიშნულ საგალობელში, რომელშიც, ორგან წარწერა იხსენიებს ,,მწარედ ცოდვილ ეფთვიმის"" ჩემის აზრით, უეჭველი უნდა იყოს, რომ ეს ხელნაწერი გადაწერილია ზემორე ხსენებულ მეფეების ჟამს, ხოლო თვით დედანი, რომლიდანაც ავტორს გადუწერია, ანუ შეუმუშავებია, თავის ნაღვაწი, უნდა ეკუთვნოდეს ამაზედაც უწინარეს დროს (ასახელებს მაგალითს). ფელეტონის ავტორს მოჰყავს აგრეთვე ორიოდე ცნობა ტბეთის ეკლესიის შესახებ, რომელთა ნანგრევები, მისი სიტყვით, აღუწერია გიორგი ყაზბეგს და დიმიტრი ბაქრაძეს. ტბეთი შავშეთში მდებარეობას, ეს ეკლესია აუშენებია აშოტ კურატპალატს და 918 წელს საეპისკოპოსო კათედრად დაუმტკიცებიათ. პირველ ეპისკოპოსად ყოფილა სტეფანე. ტბეთი ეპისკოპოსოსებს ემორჩილებოდა მთელი შავშეთი ანაკერტს აქეთ და ზემო აჭარა სოფელ დანდალოს ზევით. ოსმალეთის ბატონობამ გააუქმა ერთ დროს მბრწყინავი საღმდელმთავრო... ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს მეათე საუკუნეზე უწინარეს დროინდელ ქართულ წიგნებზე, მათ შორის:ა) წიგნი აბოკრო, ბ) წიგნი დადიანესი და სხ. იგი სვამს კითხვებს-რა წიგნებია ეს წიგნები, რა შინაარსის, ვისი დაწერილია, როდის და-წერილა, თარგმნილია თუ ორიგინალური? ყველა ამ კითხვებზე,-აღნიშნავს იგი, პასუხის მიცემა დღეს შეუძლებელია, რადგან ორთავე ეს წიგნი დაკარგულად ითვლება. აბოკროზე ორიოდე ცნობა მაინც მოიპოვებოდა, მაგრამ რომ ქართულ ენაზე იყო ,,წიგნი დადიანესი", ეს კი ჩვენთვის სულ ახალი ამბავია (დამოწმებულია ვიქტორ როზენის სტატია, რომელიც დაიბეჭდა რუსეთის საიმპერატორი აღმოსავლური განყოფილების ჩანაწერებში (,,ზაპისკი", ტ. I, გამოც. I და II, გვ. 166-174), სადაც ნათქვამია, რომ პარიზისა და ვენეციის ხელნაწერ ,,ბალავარის" სათაურშივე პირდაპირ არის ნათქვამიო, რომ ბალავარი ,,ქართულიდან ბერძნულად თარგმნა წმ. ეფთვიმი ივირმაო". პუბლიკაციის ქართველი ავტორი დასძენს, რომ აბუკურა უკანონო ყოფილა. ძალიან შესაძლებელია, რომ ეს წიგნი ეფთვიმემ გადიღო ბერძნულ ენაზე და ბერძნის ეკლესიამ იგი უკანონოდ აღიარა. ამ კითხვა-მიგებაში მოხსენებული სტეფანე მე სწორედ იმ სტეფანე ჭყონდიდელად მიმაჩნია, რომელსაც საგალობელი ჰხადის სანანოისძედ. სხვა ჭყონდიდელი, სახელით სტეფანე, ჩვენ არ გვახსოვსო. თვით პალეოგრაფიაც (წერის ნიმუშები) გვიჩვენებს, რომ ეს ხელნაწერი არა უგვიანეს მეათე საუკუნისაა. ამ ხელნაწერის წერა და ,,შატბერდის კრებულისა" ძრიელა ჰგვანან ერთი მეორეს. შატბერდის კრებულის ჩვეულებრივ ხუცურის ხელით მინაწერები ხომ სრულიად არ გაირჩევა ,,საგალობელის" ტექსტის ხელისაგანო და მოჰყავს მსგავსებისა და განსხვავების დამადასტურებელი მაგალითები. შატბერდის კრებულის გადამწერი ამბობს ქართლის მოქცევის შესახებ:,,მოქცევაი ქართლისაი,

ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ". თითქმის ამავე სიტყვებს ამბობს საგალობელის მწერალი. ,,საგალობელნი.. ფრიადითა ხარკებითა და გულმოდგინებით ძიებითა.. ვპოენ ენითა ქართულისაითაი და განვაწესე სიმართლითა და სისწორითა კილოისაითა და უცდომელობათა ნიშნისაითა" და არც ენა საგალობელისა განსხვავდება შატბერდის კრებულის ენისაგან. ყველა ზემორე მოყვანილ ცნობების შემდეგ პუბლიკაციის ავტორი ამბობს, რომ ეს ,,საგალობელი" მეათე საუკუნეშია გადაწერილი, ხოლო მისი დედანი კი, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ დაკარგულია, უნდა ყოფილიყო შედგენილი ამაზედაც უწინარეს დროს, ვინ იცის, მეათისავე დასაწყისს ანუ ამაზედაც ადრე. ..მუხური ალბათ მესხურად ჩათვალეთ. მეც აგრე მეგონა, მინამ წავიკითხავდი ამ ხელნაწერის სხვადასხვა მინაწერებს. და რახან ყველგან მოხსენებულია:,,მეხური", ამიტომ ამ შეცდომაზე ლაპარაკი აღარ უნდა იყოს. ,,მეხური" უნდა იხმარებიოდეს მაგიერ ,,სომხურისა", რომელიც მართლაც შემოკლებულია სიტყვიდან ,,სომეხური". ქართულ ენასა და მის კილოკავებში პრეფიქსი ,,სო" უდრის პრეფიქსს ,,სა", რომელიც მეგრულში ხანდახან გადადის ,,ო"-ზე და სვანურში ,,ლა"-ზე) სავარცხელი. სარცხი, ლა-ცნირ.= საზომი. ო-ზომალი, ლა-ზმა. საყვედური). ქუთაისის მარცხენა მხრის მთას, საცა ბაგრატის ტაძარია, ძველად ერქვა (და მგონია დღესაც უწოდებენ) უხამერიონის ანუ ოხამერიონის მთებს. ერთი ჩვენებური ფილოლოგი ამ სახელს უკავშირებს ბერძნულ სიტყვას ,,ხიმა" (ზამთარი) და ამ ხიმადან აწარმოებს ოხამერიონს. შენიშვნის ავტორის აზრით კი აქ ზამთარს არაფერი ადგილი არა აქვს. უხამერიონის ფესვი უნდა იყოს ქართულივე სიტყვა ოხუა, რომლიდანაც იწარმოვა სიტყვები:საოხი, საოხებელი, ოხება და აქედან მეგრული სახელწოდება ეკლესიისა ოხუამე და სვანურად ლახვამ. სა-ხუამე და სა-ხუამ. ე.ი. ადგილი სასაყრო, საღმთო, სავედრებელი ანუ საოხი, სა-ოხებელი, ო-ხუამე- რი ონი (ძველად მეგრულად). ამგვარადვე მე მგონია, რომ ,,მეხური" და ,,სომეხური" ერთი და იგივე სიტყვა უნდა იყოს. და ამასთანავე უნდა ვთვაქთ, რომ ქართული ,,მეხური" წარმოებულა სომხურიოს სიტყვიდან ,,ჰაი". უნდა დავიხსომოთ, რომ ქართულ დედაენაში ასო ,,ჰ, იცვლება ,,ხ"-თი. მაგ. სვანები და ინგილონი იტყვიან ,,ყაჰბა", ხოლო დანარჩენი ქართველები ,,კახბა"(მოჰყავს მაგალითები). ეს ჩვენი შესწავლებაც რომ უგერგილო აღმოჩნდეს,-აღნიშნავს ავტორი, მაინც ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ,,საგალობელის" ,,მეხური" აღნიშნავს ,,სომეხურს". ეს მტკიცდება იმითაც, რომ წიგნში შიგადაშიგ მოიპოვება ათიოდე სომხური სიტყვა და წინადადება. მაგ. ,,ტერ ვოღორმი" (უფალო შეგვიწყალენ), ,,დრანქ" (სამოთხე) და სხვ. თუ ,,მეხური" ნიშნავს ,,სომხურს", მაშინ ჩვენს საგალობელს ერთი-ორად მეტი ფასი დაედება, რადგან, როგორც ამბობენ, სომხებს დაუკარგავთ თავისი ნაციონალური ხმები და ახლა ევროპიული შემოუღიათ. დღეს ჩვენი საგალობელის შემწეობით შეიძლება სომხებმა სრულიად აღადგინონ თვისი ძველი გალობა, რომლის შესახებ საგალობელის ავტორი შენიშნავს (მოყავს ციტატა). ხელნაწერში მოყვანილია საგალობელი შობისა, ნათლიღებისა, აღდგომისა და სხ. დღესასწაულებისა და აგრეთვე მოსახსენებელი საგალობელნი ანუ, უკეთ ვთქვათ, ,,ქება" სხვადასხვა წმინდანებისა და მათ შორის ჩვენი ,,აბოისაც". აბოს საგალობელნი თუმცა შინაარსით, საზოგადოთ, ჰგვანან მისივე (იოანე მტბევარ ეპისკოპოსი) შესხმას, დაბეჭდილს საბინინის მიერ, მაგრამ ორივე ეს ნაწერი ერთისა და იმავე მწერლის კალამს არ ეკუთვნის (მოჰყავს მაგალითები შესადარებლად). სქოლიოში აღნიშნავს:აბოს წამებამდე ,,ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესთა" გაქრისტიანებულსაც ჰხადის ქართველებს ამ წმინდანის ცხოვრების აღმწერელი. რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი ძალითურთ// რომელმან შექმნა

სამყარო ძალითა მით ძლიერითა.; ყოვლითა თანა მკვიდრითურთ (გვ. 37ა)// ზეგარდმო არიან სულის ტანით, ზეცით მონაშურ. აქვე მოყავს მეხუთე ასოთი დაწყებული პერიოდი სრულად: ენასა ჩემსა უძლურსა// მოეც ძალი ძლიერ,// ქრისტე სიტყუაო მამისაო,// რათა ვაქებდე ღირსად// ნათლისა რემასა შენსა. აგრეთვე მოყავს ასო ბ-თი ნაწყვეტი): ბუნებით შეუხებელი// არსებით შეუწერელი.. და სხვ. დასასრულ იგი იმედს გამოთქვამს, რომ ქართულისა, სომხურისა და ბერძნულ გალობის მცოდნენი მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საგალობელს (ნოტებს) და ქართველი მხატვრებიც ხელნაწერის მინანქრიანი ასოებითა და იოანე მტბევარ ეპისკოპოსის სურათით ისარგებლებენ.

სოფ. ქისტაური), წერილი რედაქციის მიმართ.

,,ივერია" 1891, N 165, 4 აგვ. გვ. 3.

ავტორი იტყობინება, რომ ჩვენმა მხცოვანმა პოეტმა და წარჩინებულმა მოღვაწემ თავად რ.დ. ერისთავმა თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკა შესწირა ,,წერა-კითხვის საზოგადოებას". წიგნები უკვე წარიგზავნა დანიშნულებისამებრ. რაფიელის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ბევრი ძვირფასი წიგნი და ხელნაწერი. უკანასკნელთა შორის შესანიშნავია რექტორ დავით ალექსიძის ავტობიოგრაფია, ჯერ არსად დაბეჭდილი და სრულიად უცნობი ჩვენს ლიტერატურაში. დაბეჭდილ წიგნთა შორის ბევრია დიდი ფასისა და იშვიათად საპოვნელი წიგნი; აგრეთვე მთელი კოლექცია ამ საუკუნის ყველა დროგამოშვებით გამოცემისა-რუსულისა და ქართულისა. როგორც თვითონვე რაფიელმა ბრძანა, მისი ბიბლიოთეკის შედგენა და შევსება დღეს არც 5000 მანათით შეიძლება. ამ სასიხარულო ამბავს გატყობინებთ და იმედია გაზეთში გამოაცხადებთ საყოველთაო საცნობლად და საყურადღებოდ იმათთვის, რომელთაც ბევრი ძვირფასი ხელნაწერი წიგნი გადმოსცემიათ ჩვენთა მწიგნობარ მამა-პაპათაგან და ამ წიგნების დალპობასა და დახევას უფრო არჩევენ, მინამ შემოწირვას ,,წერა-კითხვის საზოგადოებისთვის", საცა ამგვარს საუნჯეს ფაქიზად ინახვენ და დედობრივის სიყვარულით თავს ევლებიან.

გაფრთხილება

,,ივერია" 1893, N 193, 10 სექტ. გვ. 2.

პუბლიკაციის ავტორს მამულის გაყიდვა ფუფუნებით საცხოვრებლად ისეთივე ცოდვად მიაჩნია, როგორც გაყიდვა მამისა და დედისა. წერილში კერძოდ ნათქვამია, რომ ჩვენს ლექსიკონში სამი უწმინდესი სიტყვაა:**დედა, მამა, დედამიწა**. ძველი ქართველი, როგორც არ გაჰყიდდა დედ-მამას, არ გაჰყიდდა მიწასაც. მიწაც დედად ჰქონდათ დასახული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსყიდველად აღმოჩნდებოდა მეზობელი, ან თვისივე გვარტომის კაცი. მაშინ უდიდეს დარისხებად ჩაითვლებოდა სიტყვა:დედა შეერთოს ცოლად" ანუ ,,ოჯახი დაექცეს", ,,დედამიწამ შთანთქას", ,,მამულის მოღალატე""და სხვ. ყველა ეს იმას გვასწავლის, რომ ქართველებს უწმინდესად ჩაურიცხავთ დედა და დედამიწა (იგივე მამული და ოჯახი). და მართლაც, ვინ არ იცის, რომ ქართველები მედგრად იბრძოდნენ მოსეულ მტრის წინააღმდეგ, რათა მისთვის არ დაენარჩუნებინათ არც ერთი მტკაველი მიწა თავის მშვენიერ და საყვარელ მამულ-დედულისა. ძველი ქართველისთვის ტკბილი იყო ეს დედულ-მამული, ტკბილი დედ-მამასავით. ქართველნი მტკიცედ მკვიდრობდნენ მასზე და სასოებდნენ, რომ განკითხვის დღეს იგივე მიწა, მშობელ დედასავით, თვით

გულში ჩაიკრავდა მათს ნაშთს. და ამიტომაც დედულ-მამულის მოშლა მიაჩნდათ ოჯახის დაქცევა-დანელებად, გაოხრება-დანგრევად და მამა-პაპათა სამარხავის შეგინება-შებილწებად. დღეს-ღა რაღას ვხედავთ? დღეს ვხედავთ, რომ აწინდელნი ქართველნი გაგულგრილებულან, საყვარელ დედამიწას გერი შვილივით უცქერიან და თავაღებულად ჰყიდიან, დაუხედავად მისა-მტერია იგი კაცი, თუ მოყვარე, თვისიანია, თუ უცხოელი. ჰყიდიან რას?- იმას, რაც ჩვენ, ჯერ კიდევ უსუსურთ, ძუძუს გვაწოვებს, გვაჭმევს, გვასმევს, გვზრდის, ტლედ და ნათვსაყუდლად გვედება.). Земледельческая газета-ში (N 34, 1893 წ.) მეთაურად დაბეჭდილია გრძელი წერილი კახეთის ახალი მემამულე ბ-ნ ასტაფიევისა ამ სათაურით:,,Сельское хозяйство в Кахетии". ამ წერილში ავტორი რუსეთის მემამულეთ, ანუ მამულის შემენის მსურველთ, უხატავს კახეთის სამკვიდრებელის სიმდიდრე-სიუხვე-სიმშვენიერეს, მის აწინდელ მკვიდრთა სიღატაკეს, მცონარეობას და უვიცობას; ზვიადობით აღნიშნავს აქაურ ერის მიერ მამულების დაყიდვას ჩალის ფასად, ამ მამულების ნაოხრობას და იწვევს მსურველთ დაესწრაფონ მოდენას, რათა იაფად შეიძინონ ძვირფასი მამულები. იჩქარეთო, ღაღადებს ავტორი, აქ მალე რკინიგზას გამოიყვანენ და მაშინ ძნელი და ძვირი იქნება მამულის შემენაო. ვისაც ჭკუაში მოგივათ ჩემი სიტყვა, დაუყოვნებლივ გამოემგზავრეთ, კავკავამდის რკინიგზით მოხვალთ, იქიდან 10-12 მანათად ჩამოხვალთ ტფილისამ,დე, მერე 2-3 მანათად ამოხვალთ თელავს და ეს კი კახეთის გულიაო. იქიდან ჩემ მამულამდე (იმავე წერილიდან სჩანს, რომ ასტაფიევს ხუთი წლის განმავლობაში კარგი მამული შეუძენია კახეთში) ოციოდე ვერსია და მე მიგიღებთ და გიხელმძღვანელებთო, გზას უხიფათოდ გამოივლით, რადგან ქართველები მშვიდობიანი ერიაო და სხ. და სხ. ახლა ჩვენ ეს ვიკითხოთ:ზოგმა რომ კახეთის მამულები ვყიდოთ, ზოგმა ქართლისა, იმერეთ-აჭარისა, ჩვენმა შვილებმა, შვილისშვილებმა სადღა და როგორღა იბრუნონ სული? სადღან და როგორღა ჩადგან კერა მამულისა და მამულიშვილობისა? ნუთუ ჩვენ, მართლა, ისეთნი ბედოვლათნი ვართ, რომ მამა-პაპათაგან სისხლის ოფლით დატოვებული სამკვიდრებელი უშურველად ვფლანგოთ? გავუფრთხილდეთ ჩვენს მამულებს, გაჭირვება მოვითმინოთ, თუ გვინდა ერად დავრჩეთ და არ მოვიქცეთ ბოშებად, რომელთაც არც მიწა აქვთ და არც სამშობლო. მამულის გაყიდვა ფუფუნებით საცხოვრებლად ისეთივე ცოდვაა, ვითარცა გაყიდვა მამისა და დედისა.

სიმდიდრე გვაქვს- სიმხნევე კი გვაკლია

,,ივერია" 1894, N 55, 13 მარტი, გვ. 1-2.

საქართველოს მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრე, ფლორა, ფაუნა გააჩნია. ჩვენს წინაპრებს სახელოვნად უსარგებლიათ ღვთის მომადლებულ ,,რჩეულ მონაგებით", დაუცავთ მამული, უმუშავნიათ გონებით. დღეს კი გულ-ხელი დაგვიკრეფია, ვსხედვართ ჩვენთვის, ვსტკბებით და ვსიამოვნებთ ჩვენი ძველი წარსულით. დროა თვალი მოვიფშვნიტოთ, აწ ღვიძილის მეტი ვერა გვიხსნის რა. ამის ნიშნები შესამჩნევია სხვადასხვა სფეროში. ამას თუ დავუმატებთ აგრეთვე ქართველი ტომის მიერ ერთობისა, ერთ სისხლ ერთ ხორცობის შეგნებას, მაშინ საიმედო ვარსკვლავი გამოჩნდება და გამოაკაშკაშებს საქართველოს წილ ცის კამარაზეო. წერილში ნათქვამია:რა არ მოუნიჭებია ღმერთს ქართველისათვის. თავისი უხვი კალთა უფალს ჩვენს სამშობლოში დაუბერტყია. საქართველო შეუმკია თვალწარმტაც მთა-ღელე-ვე-ლებით, შემრგო მდინარე-წყაროებით, მრავალფერ და მრავალგვარ მდელო-ტყე-ჭალებით, ნოყიერ და ყოველ თესლ-მარცვალთა აღმომცენებელ ნიადაგით, რომლის

ქვეშე ჩამარხულია სხვადასხავ მადნეული:ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, ნავთი, ძვირფასი თვალი იასპინი, ქვა-გუნდა (ქვანახშირი), გიშერი და სხ. ყველა ამას დაუმატეთ შინაურნი თუ გარეულნი პირუტყვ-ნადირ-ფრინველნი, სასარგებლო მწერნი:ფუტკარი და აბრეშუმის ჭია; საწალკოტო და სამტილოვნო მცენარენი; ჩუხჩუხა და კამკამა წყარონი, საბანელნი თუ სასმურნი, აგრეთვე ჩანჩქერანი, წყლის გარდმოსაქანელნი; შეზავებული და ზომიერ სიცხე-სიგრილე-სიცივის მომგვრელი ჰავა. ერთი სიტყვით, რა გინდა სულო და გულო, რომ ამ ჩვენ კეკლუც სამშობლო-სთვის არ მიემადლებინოს უფალს. და ამგვარ ტურფა ქვეყნის უფლად და მთავრად იმთავითვე ღმერთს დაუდგენია ქართველი. აქ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ჩაურთოს მე-XI საუკუნის ქრესტომათიაში შეტანილი წერილიდან ,,კაცისა შესაქმე" ძველი თქმულება იმის შესახებ, თუ ,,რაისთვის დაიბადა კაცი უკა-ნასკნელ ყოველთა". წერილში ვკითხულობთ-"არღა იყო ჯერეთ დაბადებული ესე. კაცსა ვიტყვი, პოვნილ შვენიერებასა შინა არსთასა. რამეთუ არა ჯერ-იყო, რათა გამოჩნდეს მთავარი უწინარეს სამთავროისა მისისა, არამედ ჯერ-იყო ჭეშმარიტად, რათა განიმზადოს სამეუფოი პირველ და მაშინღა გამოჩნდეს მეფე. და ვითარ განმზადა დამბადებელმან ყოველთამან საუნჯე სამეფოი:და არს ესე ქვეყანაი, ზღვაი, და ხერთვისნი (ხერთვისი-ჭალაკი, კუნძული) და ესე ცაი, რომელი არს მაგრილობელ მათ ზედა, და იუნჯა საუნჯესა ამას ყოველი სიმდიდრე, ესე იგი არს სიმდიდრე ყოველთა და-ბადებულთაი:მცენარეთაი, და ნერგთაი, და ცხოველთაი; და ყოველი ესე სულ და საშუმინველ. და უკეთუ გინდეს აღრაცხად სიმდიდრე ბუნებათი და რომელი მათგან განშუენდების წინაშე თუალთა კაცთასა მსგავსებაი ოქროისაი და ვერცხლისაი, და ესე ქვანი პატიოსანნი და ბრწყინვალენი, რომელნი საკვირველად ჩანედ წინაშე კაცთა. რამეთუ ესე ყოვლითურთ დაიუნჯნეს კაცისათვის უბესა შინა ქვეყნისასა, ვითარცა საგანძურნი მეფეთანი. ,,და ამისა შემდგომად გამოაჩინა სოფელსა შინა, რათა იყოს მხედველ საკურველებათა მათ, რომელნი არიან მათ შინა და იყოს კეთილთა მათ ზედა უფალ:რათა გულისხმაყოს მოცემული იგი მისი, რომლისა იშუებდეს; და ცნას ძალი შემოქმედისა თვისისაი, რომელი მიუთხრობელ არს ხილულთა მათგან, და შვენიერებათა დაბადებულთა და დიდებულთა. ,,და ამისთვის შეიყვანა კაცი სოფლად უკანასკნელ დაბადებულთა-არათუ შეურაცხებისა მისისათვის უკანა მოაქცია, არამედ რათა იყოს მეფე დაბადებითგანვე მისით. ,,ვითარცა იგი ვის ჰნებავნ სერისა ყოფაი, თანაც მას, რათა განჰმზადოს პირველად რაი იგი უხამს საჭმლად და მაშინღა მიუწოდოს ჩინებულთა მათ; და კვალად რათა შეამკოს სახლი თვისი და ტაბლაი ჯეროვნად და მაშინღა შეიყვანეს სტუმარნი ჭამად პურისა თვისისა. ,,და ამით, ესე ვითარითა სახითა ყო, მზრდელმან მან ბუნებისა ჩვენისამან, მდიდარმან და მეუფე მან:რაჟამს შეამკო დაბადებული ყოვლითა შვენიერებითა და განჰმზადა საყოფელი ესე დიდებული და პატიოსანი, მაშინღა შეიყვანა კაცი და მისცა მას საქმედ მონაგები რჩეული, პოვნილი და მომზადებული; და ამისთვის ყო მას შინა მიზეზი ცხორებისაი მრჩობლად და შეჰრია საღმრთოი იგი ქვეყნისასა მას".. დიაღ, ,,მონაგები რჩეული" უფალმა მისცა კაცს ,,საქმედ". მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ, არა ყოველ კაცს, ყოველ ტომს, ყოველ თესლს ეკუთვნის ეს ,,მონაგები რჩეული", არამედ ზოგს წილად ხვდა ჩრდილოეთის ყინულიანი ხრიოკები, ზოგს სამხრეთის პაპანაქებისაგან გარუჟული ქვიშიანი მინდვრები, ზოგს თვალგადაუწვდენელი ერთფეროვანი ველები და სხვ. თითქმის ერთადერთი ქართველი ტომია, რომელიც უფალმა დაადგინა მთავრად და მეუფეს ყოველმხრივ მორჭმულ სამეუფოისა. თვალს გადავავლებთ რა ჩვენს ორიათას-სამიათას წლის ისტორიულ ცხოვრების სიგრძეს, ვამჩნევთ, რომ ჩვენს წინაპართ სახელოვნად

უსარგებლნიათ ღვთის მომადლებულ ,,რჩეულ მონაგებით”:მედგრად დაუცავთ თავისი მამული, უმუშავნიათ გონებით და თავისი კულტურული სვე გრძელ გორვილად (Гирлянда) გადუბამთ ჯვარედინად, ერთის მხრით ორ ზღვას შორის და მეორეს მხრით მყინვარ-არარატ შორის. თქმულის მოწამეა:ძველანდელი ჩვენი მდიდარი ლიტერატურა, ისტორია, სახუროთმოძღვრო ნაშთები, სარწყავი წყლის სადინებელი არხები, აღმატებული და სტუმართმოყვარული ჩვენი ზნე-ჩვეულებანი და სხვ და სხ. დღესღა,” დღეს რაღა ვართ?-სვამს კითხვას ავტორი და განაგრძობს-მაშინ როდესაც ფინლანდიისა, შვეცია-ნორვეგიისა, ინგლის-ირლანდიის ხრიოეკებზე მოსახლე ერები, შვეიცარიის მთა-ბარზე მცხოვრები ტომები და მემრე სხვანი თავის სიმხნე-სიქველით თავის სამშობლოს ბედნიერებით აღავსებენ,-მაშინ, ვიმეორებთ, ჩვენ კი გულხელ დაგვიკრეფია და ვსხედვართ ჩვენთვის და ჯერხნობით ვსტკბებით და ვსიამოვნებთ ჩვენი ძველი წარსულით. ვინ რას შემოგვბედავს ჩვენ? ჩვენი წინაპარნი არ იყვნენ, რომ ,,რომი იხსნეს!” ვაი, როგორ ვსტყუვდებით? თვალი მოვიფშვნიტოთ და ისე შევჭვრიტოთ ჩვენს გარემოს. რას ვხედავთ აქ? რას ვხედავთ მანდ? რას ვხედავთ იქ? რას ვხედავთ ყველგან, ჩვენი ქვეყნის ყოველ ფეხის დადგმაზე? ჭიდილს, ბრძოლას არსებობისათვის, აღბორგებულ დიდ ზღვის ფოფინს, რომელიც ესერა ქვეყნის წამლეკავ ტალღად იქცევა. ისინი, რომელნიც გაჭირების დღეს ჩვენთა წინაპართ შემოეფარნენ, იმათ, რომელთაც ჩვენმა განსვენებულებმა ასვეს, აჭამეს, მყუდრო სავანე მიუჩინეს, ისინი, რომელნიც ერთ დროს ყმა-მონანი იყვნენ საქართველოს დროშა-ალმისა,-ყოველნი და ყველა ესენი დღეს, მათდა სასახე-ლოდ, მიისწრაფიან წინ, მიეტევიან უკეთესს მერმისს, სანატრელ საგანს, ივსებიან, იღვწიან ქონებით, სახელით, შემდგარ ისტორიის აღდგენით. და ჩვენ კი, რომელთაც, ღვთის წყალობით, ისევ გვეკუთვნის ყოველი სახსარი ჩვენი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ჩვენ, ვამბობ, ჩამოგვტირის პირისახე, გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავცვივნულვართ, დავძაბუნებულვართ. ,,იღვიძებოდეთ და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა”, ბრძანებს უფალი. და ჭეშმარიტად ბრძანებს. აქ ღვიძილის მეტი ვერა გვიხსნის-რა. გაღვიძების ნიშნები კიდეც გვიღიმის. ამგვარ ნიშნებად მისაჩნევია:წიგნის გამომცემელი ამხანაგობანი, ახლად დამართული წიგნთ საბეჭდავნი საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქში, ჟურნალის დაარსება, რომელშიაც, სხვათა შორის, მოღვაწეობენ უმთავრესნი მწერალნი, ღვინის სავაჭრო ამხანაგობანი, ქვა-გუნდის წარმოება, გაძლიერება აღებ-მიცემისა იმერეთში და იმერლებისავე შემწეობით იმერეთშიაც ნელ-ნელა გავრცელება ამავე დარგისა და სხ. და სხ. ამას დავუმატებთ რა აგრეთვე ქართველ ტომის მიერ ერთობასა, ერთ სისხლ ერთ ხორცობის შეგნებას, მაშინ შორს ღრუბლებში ვხედავთ იმ საიმედო ვარსკვლავს, რომელიც დღეს-ხვალ გადიყრის ნისლ-ბურუსის გორებს და გამოაკაშკაშებს საქართველოს წილ ცის კამარაზე... მედგარი და მღვიძარე არს თავადი თავით თვისით.

ძველი ნაშთი

,,ივერია" 1894, N 63, 23 მარტი, ოთხშ. გვ. 3-4.

ეგნატე ო-ძე იოსელიანის ოჯახში დაცულია ორი ძველი ნაშთი:ა) დაუჯდომელი და ბ) ოქრომკედით თავთავზე ნაკერი ხატი; აღწერილია.. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ამ ხატის შეძენა სდომებია ივანე გ-ძე გრუზინსკის, მაგრამ პატრონს არ დაუთმია, ,,ხატის გამყიდავს დამარქმევენო. ამავე წერილში მოცემულია ცნობები დომენტი თბილელი კათალიკოსის შესახებ. გარმარტებულია სიტყვა ,,მსგეფსი-სწორიდან

სწორამდე. საბა. მსგეფსი-,,შობიდან ხუთს იანვრამდის მსგეფსია. მსგეფსი ამას ჰქვიან-ორშაბათ პარასკევიც რომ ხსნილი იყოს:მეზვერისა და ფარისევლის კვირა მსგეფსია”და სხ. (იხ. დაუჯდომელი (დაბეჭდ. 1800 წლის 26 ივლისს. ავტორის სიტყვით, დაუჯდომელში ჩართულია აგრეთვე საოხებელი ქართველთა, ვითარ-ცა:..პოი ყოვლად მოწყალეო დედოფალო ღუთის მშობელო, აღმოგვიყვავნ ჩვენ სიღმრთეთაგან ცოდვათასა და გვიხსენ ჩვენ სიყმილისაგან, სრვისა, და ძრვისაგან, ცეცხლისა მახვილისა და ზედა მოსვლისაგან ბრძოლისა და უცნაურისა სიკვდილისაგან და ზედა დასხმისაგან მტერთასა და გამხრწნელლისაგან ქარისა, და ყოვლისაგან სიკვდილ-შემოსილისა წყლულებისა, და ყოვლისაგან ბოროტისა”.

,,გვირგვინი”

(ძველი სასულიერო მწერლობა, N 11,
გამოც. მღვდ. ვ. კარბელაშვილისა)
,,ივერია" 1893, N 242, 14 ნოემბ. გვ. 3; N 254, 24 ნოემბ. გვ. 3-4.

წიგნში მოთავსებულია რამდენიმე მოთხრობა-სულ ყველა ზნეობისა და სათნოების შესახებ. ავტორი იწონებს ვ.კარბელაშვილის განზრახვას სამომავლოდ მსგავსი წიგნების გამოცემის თაობაზე. ,,წიგნის მკითხველი აშკარად დაინახავს ჩვენთა ძველთა ზნეობისა და სარწმუნოების სიმტკიცეს და აგრეთვე იმას, თუ ეხლანდელი, არა თუ ერის კაცნი, არამედ თვით სასულიერონიც, რაოდენ დაბლა სდგანან თავიანთ წინაპრებზე”, წერს მიმომხილველი. იგი აღნიშნავს, რომ წიგნის ენა კარბელაშვილს არ შეუცვლია და კარგიც უქმნია, რადგან ჩვენი ლიტერატურული ენის გამდიდრება მხოლოდ ამგვარი ძველი ნაშთების აღბეჭდვით. მისი აზრით, ძველ მწერლობაში ჰმარხია ბევრი საუნჯე ენისა და სასურველია, რომ ეს საუნჯენი გამოცხადდეს.

წიგნის მეოთხე თავს ჰქვია ,,სასწაულთ მოქმედებათათვის და საკვირველებათა»”(ამბები წმინდანთა ცხოვრებიდან და მათი დაკვირვებიდან). მიმოხილვის ავტორის თქმით, სასწაულებს წინად დიდი ზემოქმედება და გავლენა ჰქონდათ ერის მისწრაფება-წარმოდგენაზე. ქრისტიანებრივ სარწმუნოების და ყოველი სარწმუნოებისაც–დასანერგავად და გასავრცელებლად მქადაგებელნი და მოძღვარნი დიდად სარგებლობდნენ ამ სასწაულებრივ ამბების მოთხრობით. მდაბიო ერი ამგვარ ქადაგებას დიდის ხალისით ისმენდა და ქრისტიანდებოდა. აი ამიტომაც მას ფრიად სასარგებლოდ მიაჩნია ეს წიგნაკები მრავლად გავრცელდეს მდაბიო ხალხში. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ წიგნის ასიოდე ცალი მაინც შეეტანათ აჭარა-შავშეთში და იქ გაევრცელებინათ. მისი აზრით, ეს გამოცემა მთიულთა, თუშ-ხევსურთა და ინგილოთაც კარგ სარგებლობას მოუტანდა. ბიბლიოგრაფიის ავტორი სურვილს გამოთქვამს, რომ სხვა მღვდლებსაც მიეგბაძათ კარბელაშვილისათვის და თითო წიგნი მაინც დაებეჭდათ ქართულ ძველ საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან. ამ მხრივ მას სასურველად მიაჩნია გამოიცეს სხვადასხვა წერილები შატბერდის კრებულიდან და მეათე საუკუნის საგალობლიდან, რადგან ეს გამოცემანი სასარგებლონი იქნებიან არა თუ მარტო ხალხის საკითხავად, არამედ თვით მეცნიერებისთვისაც.

ამოცანათა კრებულის გამო

,,ივერია" 1893, N 264, 5 დეკ. გვ. 3.

ავტორი მიესალმება ქართულ ენაზე შედგენილ ამოცანათა კრებულის გამოცემას, რომელიც ახალგაზრდებს მისცემს ბუნებრივი ჭკუის საზრდოს და სულის გამაცოცხლებელ, მარტივად, მოკლედ და ცხადად გამომხატველ ენას, რომლის უქონლობა ეხლა მთელს ჩვენს არსებას რაღაც მომაკვდავის ბეჭედს ასვამს. აქვე გამოთქმულია შენიშვნები ამ ფრიად საინტერესო კრებულში ქართული ზომა-წონის შესახებ მაგალითების სიმცირის გამო. წერილში კერძოდ ნათქვამია:სხვაგან, სხვა ბედნიერ ქვეყანაში, უფრო ბედნიერი ერია ის, ვისაც სწავლა-განათლება დედაენაზე მიუღია, ვისაც, ღვთის სადიდებლად, ღვთისაგან მოცემული ენა უცხო ენაზე არ შეუცვლია, ვისაც დაჩაგვრა, ძალმომრეობა, ბუნების ტყვევა არ გამოუცდია, ან დაჰვიწყებია, ის ვერ მიუხვდება იმ სიხარულს, რომელსაც მისი შემნატვრელი ადამიანი გრძნობს, როდესაც მის არსებობის დასაცველად ვინმე რამე სურვილს გამოაცხადებს. რა არის სხვა ხალხისთვის თუნდაც უმშვენიერესი კრებული ამოცანათა?! იქნება რომელსამე გაზეთის მასწავლებელთა საყურადღებოდ გამოეცხადებინა როგორც ახალი ამბავი, ან კიდევ იქნება რომელსამე სამეცნიერო ჟურნალს საზოგადო მოსაზრებანი გამოეთქვა, ასეთი მაგალითად- ამოცანები სისტემატიურად არის დალაგებული, შინაარსით ბევრით განირჩევა სხვა ამისთანა კრებულებისაგანაო, ან კიდევ რაიმე შეცდომას გამოსძებნიდნენ და იმაზე ლაპარაკით გაზეთის სვეტებს შეავსებდნენ. მაგრამ ჩვენთვის, რა ნაკლულევანებაც უნდა ჰქონოდეს ამ მხრივ, მას აქვს ერთი უმთავრესი ღირსება, რომელიც ყველა ნაკლულევანებას ჰფარავს. ეს ღირსება ის არის, რომ ეს კრებული გვაძლევს საშუალებას, თუ ჩვენ არა, ჩვენს შვილებს მაინც მისცეს ბუნებრივი ჭკუის საზდო და ის სულის გამაცოცხლებელი ენა, რომლის უქონლობა ეხლა მთელს ჩვენს არსებას რაღაც მომაკვდვის ბეჭედს ასვამს. რითი განირჩევა უენო ადამიანი პირუტყვისაგან და ვინ იცნობს ჩვენში ნასწავლს, განათლებულს ყმაწვილს, რომელსაც შეეძლოს სამი წლის განმავლობაში უყოყმანოდ, თავისუფლად განმარტოს სულ უბრალო თავის აზრი? სამაგიეროდ. ვის არ გინახავთ ის დარბაისელი სოფლელები, რომელთაც ანბანიც იქნება არ იციან, მაგრამ მშვენივრად, დალაგებით გამოსთქვამენ თავიანთ აზრს! რას მიეწეროს ეს გარემოება, თუ არა იმას, რომ ჩვენ პატარაობითვე მუნჯურად ვართ აღზრდილნი, რომ ჩვენ სიცოცხლეში ერთხელ არ შეგხვედრია შემთხვევა ჭკუას ძალა დაუტანებლივ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი. აი ეხლა გადავშალე კრებული და წავიკითხე:კიბეზე დასაფენად იყიდეს ფარდაგი, 10,5 არშინი სიგრძით, და მისცეს 42 მან. და 84 კაპ. რომ დაფინეს, ნახეს, რომ კიდევ დააკლდა 25 არშ.; რამდენი მანათი დაუჯდებათ ეს 25 არშ. იმავე ფარდაგისა? ამაზე მარტივისა და გასაგების ენით შეიძლება კიდევ გამოითქვას ეს ამოცანა?! მე მინდოდა ამ ამოცანის აღსნას შევსდგომოდი ისე, როგორც წესი მოითხოვდა; მაგრამ, წარმოიდგინეთ, მანამდისინ სჯას შევუდგებოდი, უკვე გამოვიცანი კიდეც და, იცით, რამდენი სიტყვა ვიხმარე ამ გამოცნობაში? სულ ცოტა:თუ ის ღირს ამდენი... მაშასადამე, ეს ასე.. ის ისე.. და აი მთელი ჩემი სიტყვები, რომელიც ამ ამოცანის ასახსნელად ვიხმარე. დანარჩენი სიტყვები, რომელიც საჭირო იყო, ვიგულისხმე. და აი მთელი ჩვენი სიცოცხლე, პირველ ანბანის დაწყებიდან, ამნაირად ვივარჯიშებთ ჩვენს გონებას. ყოველი სიტყვა, რომლითაც გვინდა ჩვენი აზრი გამოვხატოთ, საძებნელი გვაქვს. სიტყვა ვერ მისდევს აზრს, ამიტომ იგი ყოველთვის აბდაუბდა და დაუმთავრებელი აზრის გამომხატველად რჩება.. აზრი, რომელიც ჩვეული არ არის, რომ მას მოსდევს მისი გამომხატველი სიტყვები, მოკლებულია აგრეთვე სისტემატიურ თავის ვითარებას.

ამიტომ როდესაც მოვინდომებთ ხოლმე ჩვენის აზრის დალაგებით გამოთქმას, გონება გვეფანტება და გვავიწყდება ის, რაც უნდა გვეთქვა. ეს ნაკლულევანება მწერლობაში იხატება. იქნება სხვა მიზეზიც იყოს, მაგრამ საფიქრებელია, რომ სიცოტავე ჩვენში მოთხრობების მწერალთა, ერთის მხრით, უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ მათ მეტად უძნელდებათ თავიანთი აზრის გამოხატვა. ეს ღირშესამჩნევი ნაკლულევანებაა და ამაზე ფიქრი გვმართებს. აბა ჩვენ, მუნჯურად აღზრდილებს, რაღა გაგვასწორებს და საჭიროა მომავალზე ვიფიქროთ ამ მხრით. ეს ამოცანათა კრებულები და საზოგადოდ მათემატიკური თხზულებანი მეტად კარგ წამლად უნდა ჩაითვალოს, როგორადაც საუკეთესო გონების სავარჯიშო საგანი. გამოცდილება ნებას გვაძლევს ვურჩიო ჩვენს ახალგაზრდა მოსწავლეებს, რომ ზურგს ნუ შეაქცევენ ყველა ამნაირ თხზულებას. როგორც გასართობი საგანი, აიღონ ეს კრებული და ავარჯიშონ, როგორც გონება, ისე სამშობლო ენა. ეს მათს სწავლას თუ წინ არ წასწევს, უკან არ დააყენებს. სასაცილოდ ნუ დარჩებათ ქართულ ენაზე ამოცანათა კრებული, მით უფრო რომ სხვა ენაზედაც ბევრს ვერ გამოსძებნიან ამნაირ კრებულს. ავტორს, ეტყობა, რომ თავის თავის ძალ-ღონე მოუხმარნია, რომ კრებული უკეთესი გამოსულიყო, ვიდრე ისინი, რომლითაც უხელმძღვანელნია, და ამ მხრით სწორედ რომ მიუღწევია თავის საწადელისათვის. მე უფრო მომწონს მისი მარტივი, მოკლედ და ცხადად გამომხატველი ენა, თუმცა ტერმინი ,,სინჯი" როგორღაც არ მეჭაშნიკება. თუ არ ვცდები, ფოლადზე ამბობენ ,,ნაცადიაო" და ეს სიტყვა უფრო გამოხატავს იმ დაღს, რომელსაც ავტორი სინჯს ეძახის. სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი ისე ძალიან გაუტაცნია იმ აზრს, ეს ჩემი კრებული სხვა კრებულებზე უკეთესი გამოვიდესო, რომ ცოტა არ იყოს დავიწყებია, რომ ეს კრებული ქართველთათვის არის; ამითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ არც ჩვენს საწყაოზე, არც ზომაზე, არც ფუთზე თითქმის ერთი-ორი ამოცანა არ არის შედგენილი. საქართველოს ყოველ კუთხეში თითქმის თავ-თავიანთი ალაგობრივი საწყაო-ზომა აქვთ და ამის ცოდნა ყველა ქართველისათვის, თუ საჭირო არა, მეტი მაინც არ იქნებოდა. აგრეთვე, რასაკვირველია, კარგია ვიცოდეთ მიუნხენსა და სტრასბურგს შუა რა მანძილია, მაგრამ მეტი არ იქნებოდა გვცოდნოდა, ქუთაისი უფრო შორს არის ქალაქიდან, თუ თელავი. სწორეთ მოგახსენოთ, აღარც კი მახსოვდა, კიმერი სადაური საწყაო იყო, მაგრამ ურემი, საპალნე, კოკა, ჩაფი, დოქი, ფუთი, ჩარექა,-თითქმის ყოველდღე მესმის. იქნება ეს მცირე შენიშვნაც უალაგო იყოს იმ დიდ შრომასთან, რომელიც ავტორს მიუძღვის. მაგრამ როდესაც ადამიანი შრომობს იმისთანა წიგნისათვის, რომელსაც, წინადვე კარგად იცის, ჯერჯერობით ათასში ერთი ძლივს დაინახავს, ის ადამიანი, ვამბობ, არც არავის ტაშისკვრას მოელის.

მხატვართა საყურადღებოდ

,,ცნ. ფურც." 1896, N 66, 24 დეკ. გვ. 4.

ერთი ჩინებულის და საქართველოს სიძველეთა მოყვარის ოჯახში ვნახე შესანიშნავი ნაშთი-ხატი თამარ დედოფლის დიდებისა. აი აღწერილობა ამ ხატისა:

ალაბის სიგრძე ტილო გაკრულია ხის ჩარჩოზე. ტილო ქართული ძველებური სკლატია (სვანურად ეხლაც სგალატს ეძახიან), თეთრი ფერისა. ნახატი გამოყვანილია სხვადასხვა ფერ წამლებით. ნახატის ზედაპირზე, მარცხნივ მხარეს, წარმოდგენილია თამარ დედოფალი, რომელიც ფეხზე დგას და იყურება მარცხენისკენ. ჩაცმულობა დედოფლისა მთლად ქართულია:თავზე დახურული აქვს ქართული მრგვალი ქუდი, შავი ფერისა, ტანზე წამოსხმული აქვს საიმპერატორო პორფირი, ძვირფასად

შეკერილი; პორფირის ქვეშ გამოსჩანს მომწვანო კაბა ატლასისა, ყოშებიანი; კაბის გულისპირი დამაგრებულია ძვირფას თვალით, რომლის ზევით გამოსჩანს თამარ დედოფლის ცნობილი გულსაკიდი ჯვარი; კეფის მხრით, ქუდზე ხელოვნურად დამაგრებულია ძვირფასი ლეჩაქი, რომლის ერთი წვერი, მარცხენა მხრიდან გადმოშვერილი, ეხვევა მეფის ყელს და გადადის მარჯვენისკენ; კაბის ქვეშეთგან ოდნავ ჩანს დედოფლის ფეხსაცმელი- უქუსლო წუღები. საზოგადო გამოყვანილობა და სახის გამომეტყველება წარმოგვიდგენს თამარ მეფეს მოხუცებულობაში:თვალები აქვს დიდრონი, შუბლი მაღალი, ცხვირი ზომიერი, წარბები შავი-,,ყორნის ბოლო", თმა გიშერი, პირისახე ხანში შესულ დედაკაცისა, ბაგენი წვრილი და ზომიერი; მარცხენა ხელში უჭერია რგვლად დახვეული ეტრატი, ხოლო მარცხენა- გაწვდილი აქვს იქითკენ, საითაც თვითონ იყურება. მოხუცი დედოფალი დგას მეტად ახოვანად და დიდსულოვანად და უმზერს ნაყოფს თვისის მეფობისას:

ა. თამარის წინ არჭვია მრგვალი ხე, რომლის მაღლა-მაღლა აწვდენილ წვერზე ფრიალებს ქართველთა დროშა, ძვირფასად ქსოვილი დროშის კუთხეებში ფოჩებიანი ბურტებია, ხოლო შუაგულში გამოყვანილია ღვთისმშობელი მისი ყრმითურთ. დროშის ხის ზემო წვერი წარმოადგენს გაშლილ ხელს (ხელის მტევანს); დროშა-ალამი წითელია.

ბ. დროშის იქით, შორს გამოსჩანს:დაბლა, ორი ტომრებ კიდებული თათარი, რომელთაც ხარკი მოაქვთ და მაღლა-ზღვა, რომელზედაც მოცურავს გემი და მოდის თამარისაკენ; გემი პირისპირამდე სავსეა დროშა-ალამებით, საყვირებით, ფილაკავანებით (ფილაკავანი ციხეების სამტვრევ-სალეწი მანქანაა) და სხ.

გ. გემის თავზე, მაღლა, ფრიალებს დროშა, რომელზედაც გამოყვანილია მძვინვარე ლომი; ეს დროშა ორ წვერად იყოფება ბოლოში. ზემორე ხსენებული თათრები მძიმე ტვირთის ქვეშ წაზნექილან, თვალები საცოდავათ დაუჭყეტიათ.

დ. თამარის აქეთ-იქით და წინ მოჩანს ყვავილები.

ე. თამარსა და მთელს ხატს მზის შუქი ანათებს შორიდან. მთელი სურათი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, თუმცაღა, სამწუხაროდ, სიძველისა გამო ტილო დაჭმუჭნულა და ამის გამო მხატვრობის წამლებიც დამსკდარა, დაწეკვილა. მე, ჩემ თავად, საქართველოს მხატვრობის ისტორიის მიხედვით, ამ ძვირფას საუნჯე-ნაშთს ვაკუთვნებ იმავე დროს, რა დროსაც ცხოვრობდა თვით უკვდავი დედოფალი,- გარნა ამ კითხვის საბოლოოდ გადაწყვეტა მიმინდვია ჩვენი ძველი სამხატვრო ხელოვნების ზედმიწევნით მცოდნეთათვის.

აზრი, ანუ იდეა ნახატისა მეტად დიდებულია:მთელი სურათი იმასვე გვიხატავს, რასაც საერო ლექსი:უბისს ავაგე საყდარი,

უწყლოსა წყალი ვადინე;
ისპაანს დავსდევ ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯა ავიღე;
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე..

საჭიროც იყო, რომ ამისთანა ძლიერი დედოფლის საქმენი და ღვაწლინი აღვნიშნოთ, არა მარტო ეტრატსა და ქაღალდზე, არამედ ტილოზედაც.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ნახატზე, გემსა და თათრებს შორის, აწერია შემდეგი სიტყვები:,,თამარ, მეფე ქართველისა".

წერილი რედაქციის მიმართ

,,ივერია" 1897, N 88, 8 მაისი, გვ. 4.

მ.ჯანაშვილი მკითხველებს აცნობს მის მიერ შედგენილი წიგნის ,,საქართველოს დედაქალაქი ტფილისი და მისთვის მბრძოლთა ისტორია"-ს, რომელიც, ავტორისავე სიტყვით, ,,მალე დაისტამბება, თუ ხელისმოწერით (თითო მანათი) იმოდენა თანხა შესდგა, რომელიც ეკმარება ამ მოზრდილის და დასურათხატებულის წიგნის გამოსაცემად". ავტორის სიტყვით, წიგნი შედგება შემდეგ განყოფილებათაგან:ა) ისტორია ტფილისისა მისი დაარსებიდან 1800 წლამდის; ბ) ტფილისის სიწმინდენი და სიძველენი; გ) წიგნისა და სტამბის საქმე ტფილისში; დ) ტფილისის მკვიდრთა შინაური წესწყობილება და რაოდენობა; ე) რუსთა მთავრობის დამყარება ტფილისში და მის მიერ შემოღორებული ცვლილებანი და წესები.- წიგნში ჩართული იქნებაო:ა) სახეები მეფეთა (ვახტანგ გორგასლანისა, დავით აღმაშენებლისა, თამარ დედოფლისა (ახლად ნაპოვნი, რომლის აღწერა იხ. შარშანდელი ,,ცნობის ფურცლის" NN-ბში), ბაგრატ V და სხ. ბ) გეგმანი ტფილისისა, შედგენილი შარდენის მიერ (1673 წელს), ტურნედორფის მიერ (1701 წ.), ვახუშტის მიერ (1735 წ.) და გეგმა აწინდელი ტფილისისა და სურათი ქორწილისა ვახტანგ V-ის სასახლეში (1673 წ.). ავტორის სიტყვით, ყოველი დედაქალაქი ითვლება უმთავრეს ძარღვად მთელი სახელმწიფოსი და ამიტომ არ დავიშურეთ ჩვენი ძალ-ღონე, რათა გამოგვეძიებინა ქართველების სიმ-ხნევე და მათი თავგანწირული ბრძოლა აუარებელ მტერთან რომელთა უგულითადესი სურვილი იყო დაეპყრათ ტფილისი და მასთან აღმოეფხვრათ მთელი საქართველოც.

მამა-პაპათა ანდერძი (20 მარტი 1622 წ.)

,,ივერია" 1898, N 61, 20 მარტი, გვ. 2-3.

გადმოცემულია მე-17 საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ბედის ცალკეული ეპიზოდი; ლუარსაბ მეფის მოწამეობრივი ცხოვრება. დასმულია საკითხი სპარსეთის ქ.შირაზიდან ქართველთა ღირსეული, წმინდანად შერაცხული ლუარსაბ მეფის ნეშტის სვეტიცხოველში გადმოსვენების თაობაზე. ...შირაზი, ციხე-საპატიმრო-გულაბყალა (ვარდის წყლის ციხე) გულ+ აბ+ ყალა). მზეჭაბუკის დასჯა. 1586 წ. სპარსეთის ხელმწიფედ შეიქმნა შაჰ-აბაზ პირველი. გარნა შაჰ-აბაზი ყველა ყაენებზე უუსასტიკესი იყო ქართველთა გვარ-მოდგმისათვის და ამ ჯალათმა, ფელეტონის ავტორის სიტყვით, ისე დაასუსტა საქართველო, რომ მის შემდეგ ჩვენი ქვეყანა წელში ვეღარ გაიმართა და ვეღარ შეერთდ-შეკავშირდა. ჯერ არასდროს საქართველოს არ ენახა იმდენი წამებულნი, რაოდენიც აწამა ულმობელმა შაჰ-აბაზმა. ჯერ არასდროს საქართველო ისე არ აღეოხრებინა მტერს, როგორც აღაოხრა ამ ბარბაროსმა. ..მან სიცოცხლე მოუსპო საქართველოს რამდენსამე მეფეს, ერთ დედოფალს და ორ ბატონიშვილს და რამდენიმე ბატონიშვილიც გაამაჰმადიანა და წარწყმიდა, რაზედაც ამავე წერილში მოცემულია მაგალითები. ავტორის სიტყვით, აი ამ უდიერმა ყაენმა დასდო პირველი და ,,მტკიცე" საფუძველი იმ შენობისა, რომელიც დასრულდა ბაგრატიონების ხელმწიფობის მოსპობით. ყაენის შემოსევის წლებში (1615-1616) ლუარსაბს აღარ ემორჩილებოდნენ ერისთავები არაგვისა და ქსნისა, სულტანი ლორისა, ხოლო პატრონი ცხინვალ-დვალეთისა და თეძმის ხეობისა და მოურავი ტფილისისა გიორგი სააკაძე თვით ხელმძღვანელი იყო ყაენისა საქართველოზე ზემოსევისა და გამოლაშქრების დროს. ეს გიორგი სააკაძე იყო შთამომავალი ლეკთა ჭანკებისა, რომელნიც 767 წელს დაღესტნიდან გადმოვიდნენ სომხეთს და იქიდან,

სომეხთა სამეფოს დამხობის შემდეგ, შემოვიდნენ საქართველოში და დასახლდნენ თეძმის ხეობაში, გიორგი მეფის დროს (1525-1534 წ.). იმათ მიეცათ ხარისხი თავადობისა, ხოლო 1622 წელს შაჰ-აბაზმა დაუმტკიცათ თარხნობაც (იხ. ერეკლე მეორის თავად-აზნაურთა სიები, ჟურნ. ,,ივერია). გიორგი იყო კაცი მხნე, ახოვანი, ძლიერი, უშიში, ხოლო ამასთანავე ,,ცბიერი, მჩურჩნელი და უნდო"; საქართველოს აოხრების მიზეზად წყაროები ჰხადიან გიორგი სააკაძეს (იხ. ამ კითხვის შესახებ ყველა საბუთები საქართველოს ისტორია, გვ. 287-315). იოსებ ტფილელი. ლუარსაბ მეფე დატყვევებული იყო 7 წელი შირაზის ციხეში; ხელნაწერი N 170, ანდერძი: ,,ხოლო ნაწილნი ამის მოწამისანი მუნვე მდებარე არიან. აკლდამის სახედ შექმნილსა სახელსა შინა:და ვიდრე დღეინდელად დღედმდე ვერვის უკადრებიეს აღებად იგი:მაშინ (ე.ი. შაჰ-აბაზის დროს) შიშისათვის სპარსთასა და აწცა (1733 წ.) ჰგიებს მუნვე შეუძველად და შეურყეველად:ვიდრემე ინებოს თუ ღმერთმან გამოცხადებაი მისი:და მონიჭებად ჩუენ და საუნჯე იგი დიდძალი მადლთა საღთოთა მომნიჭებელი. ამ ანდერძის ასრულება ძნელი არ არის, თუ მოვინდომებთ. თანამდებარს წმიდა ძვალნი წმიდა მეფისა მოვასვენოთ და მივაბაროთ წმიდა სამარხავს-მცხეთის სვეტიცხოველს, რომელიც არის აკლდამა და საძვალე წმიდა ლუარსაბის მამა-პაპათა, ხოლო ვიდრე აღვასრულებდეთ ამ წმიდა საქმეს, შეუერთდეთ ჩვენთა მამა-პაპათ და მათთან ერთად წარვსთქვათ საგალობელი: წამებისა სისხლითა შეიმკვე შენ ღირსო მეფეო, რამეთუ მაღლით მოიღე გვირგვინი და წინაშე ქრისტე შენისა მოხვედ, და რომელნი სახელსა შენსა ხადიან ყოველთა ვნებათა და ჭირთაგან იხსნებიან; ვითხოვთ შენგან ყოველნი შეწევნასა ჭირთა შინა, რამეთუ დღეს (20 მარტს) შენ მიერ იხარებენ შვილნი ესე ეკლესიისანი და დღესასწაულობენ ხსენებასა შენსა და შენგან მიიღებენ მადლსა კურნებათასა სანატრელო ლუარსაბ (N 170, გვ. 165).

გიორგობა

,,ივერია" 1898, N 86, 23 აპრ. გვ. 3-4.

ჩვეულება განაღამც რჯულთ უმტკიცესი ყოფილაო! როგორაო? მკითხავთ. მოგახსენებთ. ნეტარხსენებულმა ანტონ კათალიკოსმა 1781 წელს მოინდომა შემუსვრა ქართველთ იმ ჩვეულებისა, რომლის ძალით დიდშვენიერად იდღესასწაულების წმ. გიორგის 10 ნოემბერს. ეს ჩვეულება შეაჩვენა და საეშმაკო უწოდა მას. წმ. გიორგის ხსენებას ბერძენთა ეკლესია დღესასწაულობს მხო-ლოდ 23 აპრილსო და ჩვენ რა მიზეზით ვადიდებთ მას ათ ნოემბერსო! ამიერიდან ნუღარამც იხსენიების ეს საეშმაკო ჩვეულება საქართველოშიო (იხ. სამთთუენი 1781 წლისა). ასეთი განჩინება განაჩინა რიხიანმა კათალიკოსმა ამ 127 წლის წინათ, გარნა, ,,საეშმაკო ჩვეულება" ჩვეულებად დარჩა. მამაპაპათა გადმოცემანი, განმტკიცებულნი დროჟამთა და საუკუნეთა განმავლობაში და სიწმიდედ გამხდარნი, ისე ადვილად ვერ წარიხოცებიან, როგორც ამას მოელოდა თავისებურ ,,ღრამატიკის" მომგონი კალა-თაკოსი. კაპადოკია, სადაც, ახალი გამოკვლევით, ესახლა ქართველთა ტომ-მოდგმის ერი, პირველ საუკუნიდანვე ითვლებოდა ქრისტიანობის სატფურად. წმ. ნინო და მისი ბიძაშვილი წმ. გიორგი ამ კაბადოკიიდან იყვნენ. გიორგი იყო უძლეველი და ახოვანი მხედარი ქრისტესი. მრავალფერის ტანჯვა წამებით წარეკვეთა მას თავი დიოკლეტიანეს მიერ (285-305 წ.). ამის შემდეგ წმ. ნინომ მოაქცია წმ. მირიანი ერითურთ (318 წ.) და მას ჯამიდან. იწყეს და აღაშენეს 365 ტაძარი წმ. გიორგისა, მათ შორის ბევრსაც ჩამოთვლის. ხატი, რომელზედაც გამოსახულია თეთრ რაშზე

მჯდომარე ჩაფხუტ-ჯავშნიანი მხედარი, შემმუსრავი გველისა, ანუ ილორის წმ. გიორგის ხატი, რომლის ქვეშ აწერია ,,აქა წმ. გიორგიმ მკუდარი ხარი აუყენა მაგნენტიოზს[6]*. როგორც ავტორი შენიშნავს, მაშასადამე, ათ ნოემბერს დღესასწაულობა გიორგობისა არა ყოფილა ,,საეშმაკო ჩვეულება". არამედ აგრედ წოდებული ადგილობრივი წესი და უქმე, ხოლო ეს ადგილობრივი უქმეები შეწყნარებულია თვით აწინდელი სასულიერო მთავრობისაგანაცო. წერილს კი ასე ამთავრებს:დიახ, გიორგობა არის უსაღვთოესი ანდერძი ჩვენთა მამაპაპათა, რომელ-ნიც მთავარმოწამე გიორგის ჰბაძავდნენ მხედრობაშიაც და, თუ მამულიშვილობა და ქრისტიანობა მოითხოვდა, მოწამეობაშიაც.

იგულეთ და იგულისმოდინეთ

,,ივერია" 1899, N 46, 3 მარტი, გვ. 2-3.

ქართველისთანა ულამაზესი ერი სხვაგან არსად არისო, ამბობენ ეთნოგრაფები. ქართველთა აღმატებულესობას ამ მხრივ აღიარებს სტრაბონიცა, შარდენიცა და სხ. ქართველთა სისხლის შერევამ გააშნოიანა ოსმალნი და სპარსნიო, დასძენენ ისტორიკოსნი.

საქართველო თვისის ბუნებრივ სიმდიდრითა და სიმშვენიერით ერთი უკეთესი თაიგულია მსოფლიოსიო, ჰმოწმობენ ყველანი. ღმერთს აქ დაუბერტყია სხვისი ბარაქიანი კალთაო.

ქართველთა ანბანი, ეს ნიშნები აზროვნობისა, კინაღამ უუსრულესი არ არის ყველა ევროპიულ ერთა ანბანზეო, ამტკიცებენ პალეოგრაფნი. ქართველთა ხელოვნება შესანიშნავიაო, ამბობენ ხუროთმოძღვარნი და ქანდაკების მცოდნენი.

ქართველთ სტუმართმოყვარეობაში ვერავინ შეედრებაო, ამბობენ სტრაბონი და მასთან სხვებიც; ეს ზნე დღესაც გვჭირს ჩვენ:ტკბილი ქართული და ტკბილი ღიღინი ამშვენებს ჩვენს სუფრას და ართობს ჩვენს სტუმარს.

აბა, რა არა გვქონია და რა არა ვყოფილვართ! ჩვენც ულამაზესი ვყოფილვართ (ღვთის წინაშე, დღესაც არ გვაკლია შნო), მიწა-წყალიც კარგი გვქონია, მადლიანი ბრძოლაც გვცოდნია, ღმერთიცა, ჩვენი თავიცა და მოყვასიც გვყვარებია, კარგადაც გვიხნავს, გვითესია, გვიჭირნახულებია.

დღეს-ღა?

დღეს გამოჩნდნენ ცრუმეტყველნი, მლიქვნელნი, ცრუ მწიგნობარნი, კალმის ყვავ-ყორანნი და გაიძახიან:

- ქართველების სილამაზე კათოლიკეთა ,,დამშეულ" ბერებმა მოიგონესო.
- ქართველები მშიშარანი იყვნენო.
- ქართველების ანბანი სხვებმა მოიგონესო.
- ქართველების სახარება ქართველებმა არ თარგმნესო.
- ქართველების ისტორია უმეცარ სომეხმა დაწერაო.
- ქართველები თვით თამარ მეფის დროსაც ყაჩაღები და ავაზაკები იყვნენო.
- შოთა რუსთაველი და მოსე ხონელი სპარს-არაბების გმირებს აქებდნენო.

---

[6] *შარდენიცა და ვახუშტიც, თანახმად ძველის გადმოცემისა, ჰმოწმობენ, რომ ათ ნოემბრის ღამე ილორის წმიდა-გიორგში (აფხაზეთშია) უხილავად მოდის კურო, რომელიც მეორე დღეს დიდის დიდებით დაიკვლის ზვარაკად მთელის ერის მიერო. ამ გადმოცემას კავშირი აქვს ისევ წმ. გიორგის ცხოვრების თქმულობასთან, რომ გიორგიმ მომკვდარი ხარი გაუცოცხლა თავის მეგობარს მაგნენტიონსო.

- ქართველების ენა ველურების ენას წააგავსო.

რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, რაოდენი წიხლი აღვნუსხოთ?

ჩვენ დღეს გვემართება ის, რაც დაემართა ბებერ ლომს. ამას დათვი ყურიშალში სცემდა, ტურა კუდს უწევდა, მგელი ფეხებში წაჰკიდებოდა და სჯიჯგნიდა, კანჯარი წიხლს აზელდა, მელია თვალებს უშრეტდა.

ასრევე აწვალებენ, ჰგრეხენ და ჰბღალავენ ჩვენს წარსულს უმეცრებითა თუ მეცნიერებით, განგებ თუ განზრახ დაბრმავებულნი ცრუმწიგნობარნი.

ეს შხამი და სამსალა ცხოველის სიტყვის მეოხებითა და ხშირად სამეცნიერო ჟურნალების შემწეობით ყურში ეწვეთება მკითხველს, აქაურსა თუ უცხოურს, მაღრიბელსა თუ მაშრიყელს; წვეთ-წვეთად მიწვდილი ცრუ აზრი ჩვენ შესახებ გონება-მეხსიერებაში ეთქვიფება გულუბრყვილო კაცს, რომელსაც ყოველი დაბეჭდილი სიტყვა ხალას ოქროდ მიაჩნია. ზღვა კოვზით დაილევაო. და ასრე დღითი დღე ბნელდება ჩვენი წარსული, ჩრდილი და წვდიადი ეფარება მას, ნელ-ნელა ილევა დიდება და ღვაწლი ქართველისა.

რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?

,,მათა", გვიჩურჩულებს გონიერება, ,,რომ თქვენ ჭირნახული გაქვთ და მისი გამომზევება-გამოფენა კი არ იცით. ტყუილად კი არ ამბობენ რუსები: ,,без хозяйна товаръ плачетъ-ო. თქვენის წარსულის პატრონები დღეს ხართ თქვენ. თქვენზედ უკეთესად მას ვერავინ ვერ შეისწავლის. თუ ვერ შესძლებთ მატიანეების თარგმნას რუსულსა და ევროპიულს ენებზედ, ერთი ისტორიული ქრისტომატია მაინც შეადგინეთ და იქ დაბეჭდეთ ყველა ის, რასაც თქვენ შესახებ ამბობს ჭეშმარიტი კვლევა-ძიება. ეს წიგნი ლაგამს ამოსდებს ლაგამ წაყრილ ჯაგლაგებს.

ამიტომ ამბობს წარჩინებული გრიგოლ:

ძმანო! პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა:
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!

ისტორიის ცოდნა თვით შემეცნებაა. ისტორია ერისა არის ხიდი წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის. მომავლისაკენ გულაუძგერებლად გაივლი და გადირბენ ხიდს, თუ იცი მასზე სიარულის ხერხი.

ეს იციან ჩვენმა მეზობლებმა და ყველა თვით შემეცნების მქონე ერმა და ტომმა. ყველა ისწრფის გამოიკვლიოს და შეიგნოს თვისი წარსული, დაანახოს ყველას, რომ მას უნარი ცხოვრებისა ჰქონია და კიდევაც აქვს, რომ მასაც ეკუთვნის შესაფერი სავარძელი ცხოვრების იერარქიაში.

რისთვისღა მოგვცა ღმერთმა ჩვენ უპირატესობა, თუ ამ უპირატესობას ვერ მოვიხმართ? ნუ დავემზგავსებით ზარმაც მონას, რომელმაც მისდამი მიცემული ტალანტი დამალა და დაფლა.

გასაკეთებელი ბევრი გვაქვს და ერთი უაღრესთაგანი, ჩემის აზრით, არის ქრესტომათისებურად შედგენილი წიგნი, რომელიც ჯერჯერობით უნდა გამოიცეს რუსულად და ეწოდოს თუნდ ასრე:,,Жизнь Грузин". ამ წიგნში უნდა შევიტანოთ უმთავრესი კვლევა ძიებანი სახელოვან მეცნიერებისა და მწერლებისა:ბროსესი, ცაგარლისა, დ.ბაქრაძისა, პლ.იოსელიანისა, კონდაკოვისა, ჩუბინაშვილისა, მ.ბარათაევისა (,,Нумизматические факты"), ხახანაშვილისა, მარისა და სხ. შემდეგ სხვა ენებზედაც დავბეჭდოთ, შეძლებისამებრ.

ეს ჩვენ დიდ საერო საქმედ მიგვაჩნია, და რადგან ჩვენი თავად-აზნაურობა ყველგან და ყოველთვის მესვეური ყოფილა, ამიტომ წინადადებას მივცემ მათს

ბრწყინვალე კრებულს, აქაც იტვირთოს მოთავეობა და თავის ნახევარმილიონოვან თანხიდან გადასდოს წვლილი დიდმნიშვნელოვან წიგნების დასასტამბავად და გასავრცელებლად.

რაც სათქმელი გვქონდა, ვსთქვით მოკლედ და დროის შესაფერისად.

გარნა ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინონ.

ქართველთა მილიონები

,,ივერია" 1899, N 135, 27 ივნ. გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ წარსულ კვირა დღეს საქართველოს საეკლესიო მუზეუმი დაათვალიერა კ.ე.ბალმფორთმა, ინგლისის გაზეთის ,,ტაიმსის" კორესპონდენტმა. მასთან ორი ქალიც იყო. ნახა რა მუზეუმის ეტრატები მე-VII-X საუკუნოებისა, ბალმფორტმა იკითხა მათი შინაარსი და მერე სთქვა:მეტად დიდი საუნჯე გქონიათ და მეტად ძვირფასიო. პასუხად მიიღო""თვენ მიერ ნახული მეათედი არც კია ყველა იმ საუნჯისა, რომელიც დაცულა ქართულ ენაზედ და რომელიც დღეს შეადგენს კუთვნილებას სხვადასხვა წიგნთსაცავებისას:ტფილისის წერა-კითხვისა, გელათის მონასტრისა, მოსკოვისა, პეტერბურგისა, ლონდონისა, პარიჟისა, ვენისა, პალესტინისა, ათონისა და სხვათა. არ მეგონა და არც მოველოდი საქართველოში ამისთანა ძვირფასს წიგნებს. მე ეჩმიაწინში ვიყავი და იქ რამდენიმე ხელნაწერი მიჩვენეს. ახლა მივდივარ კასპიის იქითა მხარეს და დაბრუნებისას კარგა ხანს დავრჩები აქ და მაშინ საფუძვლიანად დავათვალიერებ ამ სამწიგნობროს, და იმედი მაქვს, ინგლისი მალე გაიცნობს თქვენს საუნჯეებს ვფიქრობ, ძვირად უნდა აფასებდეთ ამ წიგნს?. მიუთითა მე-VII საუკუნის სახრებას, იოანე ტატანელის მიერ გადაწერილს. ,,იგი ფასდაუდებელია. მილიონადაც არ გაიყიდება. ,,ოღონდაც. წიგნები ბევრი გვაქვს, როგორც ჰხედავთ და ფული კი არა. თორემ ეს საუნჯენი აქამდის გამოცემული იქნებოდნენ და ღირსეულადაც დააფასებდა მათ მეცნიერება». ,,ვხედავ, ფულიც ბევრიც გქონიათ». ,,როგორ?",,ეს საუნჯენი ლონდონის მილიონებზედაც მეტის ფასისაა. ,,ეგ ეგრეა, გარნა ჩვენში ეხლა ძველს წიგნებს მეტად ძვირად ჰყიდულობენ და არა თუ ჰყიდიან-ერთ ფურცელსაც არავინ გაიმეტებს. ,,ფრიად მოსაწონია, რომ ეგრე სიყვარულით ეკიდებიან მამა-პაპათა ნაანდერძევ გონების ნაყოფს. კეთილი. აქ თქვენა გყოლიათ ბრწყინვალე თავად-აზნაურობა, გქონიათ ბანკები და მდიდარი მოქალაქენი, ნუთუ ისინი არ ჰზრუნავენ გააპატი-ოსნონ საქართველო ამ წიგნების გამოცემით?",,დიაღ, ჰზრუნავენ. ზოგიერთი წიგნი უკვე იბეჭდება..."(მეტი აბა რა ითქმოდა უცხო ქვეყნელის წინაშე!). ინგლისელის აღტაცებას საზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც ნახა ეტრატზე ნაწერი სიგელები ბაგრატ IV-ისა, თამარ მეფისა და სხვათა. მიიღო რა მუზეუმის ახლად დაბეჭდილი კატალოგები, გამოთხოვებისას სთქვა:ჰნახავთ, ინგლისის მეცნიერები მალე მონახვენ თქვენ სასაუნჯოს. მუზეუმიდან ანჩისხატის დასათვალიერებლად წავიდა. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ:ზოგიერთი თხზულება, რომელიც ჩვენს მუზეუმში ინახება, ევროპაში დაკარგულად ითვლება, ნ.მარრის სიტყვით.

მოსაწონია, რომ ეგრე სიყვარულით ეკიდებიან მამა-პაპათა ნაანდერძევ გონების ნაყოფს.

კეთილი განზრახვა

,,ივერია" 1902, N 100, 14 მაისი, გვ. 3-4.

ამ ბოლო დროს ევროპის სხვადასხვა კუთხიდგან მოგვდის წერილები თხოვნით, რომ გავუგზავნოთ ჩვენ მიერ გამოცემული წიგნები და კატალოგები და აგრეთვე სხვა ავქსონთა თხზულებანი შესახებ საქართველოისა. უმეტეს ნაწილად ითხოვენ ქართულ ლექსიკონებს, გრამატიკას, ისტორიულ წიგნებს და მეცნიერულ გამოკვლევას ამა თუ იმ ისტორიულ პირთა და საგანთა შესახებ. ერთი ამ გვარი წერილი დღეს მივიღეთ ათონიდგანაც, აქაურ ქართველ ბერებისაგან. იგინი ითხოვენ შემდეგ წიგნებს:1. Заслуги грузинского монашества, 2. Грузинския обители вне Грузии, 3. Двенадцати вековая борьба православной Грузии с исламом, 4. О воцарении Екатерины 2-ой; 5. საბინინის გამოცემულ ქართველ წმიდანთა დედა ხატი.

ყველა მოხსენებულ წიგნებს და ხატს იბარებენ ექვს-ექვს ცალს და თანაც დასძენენ:,,თქვენ რო წარსულ წელს წიგნები გამოგეგზავნათ,- აქ ჩვენს სავანეში ბერები დადიან და ხშირად კითხულობენ თქვენს გამოცემულ წიგნებს და ძლიერ გაკვირვებულნი არიან და აღტაცებულნი არიან, რომ მცირე სამეფო ქართლისა რა ძლიერად სთრგუნვიდა ბარბაროზთა მტერთა. განათლებულნი ერნი დიდად აფასებენ თვისთა ძველთა მამა-პაპათა დაუნჯებულ ნაშრომთა და ძეგლთ და ჩვენში-კი უგულებელს ჰყოფენ და ივიწყებენ. უცხო ტომნი ენერგიულად თავს სწირავენ და ზედ აკვდებიან წინაპართა ანდერძთ. ამისთვის ჩვენ ვსთხოვთ უფალსა, მდაბალნი ესე ქართველნი, ძმანი ჩვენნი, რათა მოჰფინოს თქვენზედა, თქმულისა, მისებრ იოილ წინასწამეტყველებისა, მდიდრად სული სიბრძნისა და მეცნიერებისა, სული გულისხმის ყოფისა და აკურთხოს ღმერთმან შრომა თქვენი და განაძლიეროს, რომელსაცა მხურვალება გაქვს ქართველთა ძველის ისტორიის და სახსოვართ, ძეგლებთა გამოჩენასა და დამტკიცებასა მათთა საჩინოებაა... 20 აპრ. 1902 წ. ათონის ქართველთ ძმათა სავანის მმართველი მღვდელმონაზონი იონა. ქრისტეს მიერ ძმები სავანისა".

თავიდგანვე ქართველთ სავანის ფუძე ათონს ჩაიდგა იმ აზრით, რომ იქიდგან შემოეტანათ საქართველოში ევროპული განათლება და ცივილიზაცია. იქ იწერებოდა ჩინებული წიგნები. იქ სთარგმნიდნენ ქართულიდამ ბერძნულად ბალავარს და ზოგიერთ სხვა წიგნებს. იქ მოღვაწეობდნენ ისეთნი მნათობნი თავის დროისა, ვითარცა ეფთვიმე, გიორგი მთაწმინდელი, პეტრიწი ფილოსოფოსი და სხ.

დღესაც იმავე სავანეს შეუძლია ისეთივე სამსახური გაუწიოს საქართველოს, ე.ი. იკისროს გონებრივი შუამავლობა ჩვენსა და განათლებულ ერთა შორის:გააცნოს მათ ქართული შესანიშნავი გონებრივი ნაწარმოები, აღწერა ძეგლის ნაშთებისა, ჩვენი ისტორია და სხვ. და შეძლებისამებრ, საყურადღებო თხზულებები, ბერძული თუ სხვა ერთა ენაზე დაწერილი, გადმოთარგმნოს ქართულად.

ვიმეორებთ, იმთავითვე ათონის მონასტრის დაარსების აზრი სწორედ ასეთი იყო და ასეთი მნიშვნელობა მას დღესაც არ დაუკარგავს. იქაურ ბერებს შეძლება აქვთ, თუ მოისურვებენ, ადვილად შეისწავლონ ბერძული და ევროპიული ენები და თვალსაჩინო სამსახური გაუწიონ სამშობლოს და ისევე განაბრწყინონ თავისი სავანე, ვითარცა განებრწყინათ ათონი ეფთვიმეს და მის გვარ დიდ-კაცებს. ოღონდ საჭიროა სიმხნევე და რუდუნება, მსგავსი ჩინებულთა, ძველი დროის მამათა და მოღვაწეთა და აწინდელ მხითარისთთა.

ათონის მამები, როგორც მათ წერილიდამ სჩანს, აპირებენ ბიბლიოთეკის დაარსებას თვის სავანეში. ფრიად ჩინებული აზრია. თუ ამგვარ წიგნთსაცავში იქნება ყველა გამოცემანი ჩვენის უკეთეს მწერლობისა, დაბეჭდილ ქართულს და რუსულს

ენაზედ, უეჭველია, ბევრი ევროპიელი და თვით რუსების ბერებიც, რომელთა რიცხვი ათონზედ რამდენიმე ათასია, გაიცნობენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერსა და მის გონებრივ ნაღვაწს. ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენი მწერლები და მეტადრე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა, წიგნების გამომცემელი ამხანაგობანი ტფილისსა და ქუთაისში უყურადღებოდ არ დასტოვებენ ათონის ბერების განზრახვას და შეეწევიან მათ, განახორციელონ ეს დიდი საქმე. კარგი იქნება აგრეთვე ჩვენმა რედაქტორებმა თითო ცალი ჟურნალ-გაზეთებიც მიაწოდონ იმავე ათონს. უფრო საჭიროა, ჩემის ფიქრით, ჩვენს ბერებს ჰქონდეთ ლექსიკონები, გრამატიკები, ისტორიული წიგნები და გამოკვლევანი, ი.გოგებაშვილის რუსულ-ქართული გამოცემანი, საბინინის წიგნები და ხატები, ქართული საგალობლები და სხვ.

ზოგიერთი ჩვენი მწერლისა და კორესპონდენტის საყურადღებოდ.

,,ივერია” 1902, N 136, 29 ივნ. გვ. 4.

დღემდის ვერ შეგვიგნია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირადობის პატივისცემას, ზრდილობიანს და თავაზიანს სიტყვა-პასუხს, სხვისი ღირსებისა და ,,მე”-ს შეწყნარებას. მწერალმა სხვის სამხილებლად დაწერილს წერილსა და შენიშვნაში ერთ წამსაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ის სხვაც კაცია, იმასაც აქვს თავმოყვარეობა, იმასაც ქუდი ჰხურავს, იმასაც შეუძლია მსჯელობა და ნება იქონიოს საკუთარი აზრი და შეხედულობა ამა თუ იმ საგნის შესახებ.

ზოგიერთი ჩვენებური კორესპონდენტები-კი, რაკი ხელში კალამს აიღებენ და ვისმეს ნიშანში ამოიღებენ, მუდამ და მარად ცდილობენ დაამტკიცონ მოპირდაპირეთა არარაობა:სრულიად არა იცის-რაო, ყველაფერში დამნაშავეა, ცუდი ხასიათი აქვს, მისი ზნე ჩვენ ვიცითო და სხ

საზოგადოებისთვის ეს-კი არ არის საგულისხმო, არამედ ის, თუ ვინ რა საქვეყნო საქმეს მოჰკიდა ხელი და როგორ შეასრულა ეს საქმე. მხოლოდ საქმიანობით ფასდება კაცი და არა მით, ვინ რა ხასიათისაა, ვინ ფიცხია ანუ წყნარი, ვინ სად რას სჭამს და სვამს. აღნუსხეთ ყოველივე მიუდგომელად, მიუკერძავად, გაუშმაგებლად და მიაწოდეთ საზოგადოებას და იგი ყველაზე უკეთ დააფასებს, რაა მოსაწონი და რა დასაგმობი, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

საზოგადოება უკეთესი მსაჯულია ყველა ნაფიც მსაჯულებზედაც-კი. მისი ალღო სამართლის სასწორის ლარია და ყოველთვის სწორედ სწონავს. მისი გამჭრიახობა ისე შორს მხედველია, რომ საწყაოდ სამოთხესა და ჯოჯოხეთში დასაბინავებლად იგივ სასწორი მიუჩნევია, სასწორი, რომელზედაც უნდა იწონებოდეს აქედგან საიქიოს მიმსვლელთა საქმენი, მხოლოდ საქმენი ავნიცა და კეთილნიცა

ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინენ, ვისაც პატივისცემა გაქვს შენი, პატივი ეც შენს მოყვასსაც.

სამეურნეო განათლება

ჟურნ. ,,მოსავალი" 1910, N N 15 და 16, აგვ. გვ. 3-5.

როგორც ილია ჭავჭავაძემემ წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნის დღეს თქვა, ღმერთს თავისი უხვი კალთა აქ, ამ ჩვენს კოხტა და შემკულს ქვეყანაში დაუბღერტია,

მაგრამ ჩვენ, ქართველები, ყველაზე ღარიბები ვართ. იმიტომ, რომ სამეურნეო ცოდნა, სწავლა არა გვაქვს და ამას კი მოგვცემენ სწორედ ისეთი სასწავლებლები, როგორც დღეს დაგიარსათ თქვენმავე მემამულემ ილია წინამძღვრიშვილმაო.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა კასპიისა და შავი ზღვისაკენ და სამეურნეო სკოლები და სწავლა ვერ მოეფინა ჩვენს ქვეყანას. მათ მაგიერ ჩვენში მრავლდება ისეთი სასწავლებლები, რომელნიც კლასიკურ განათლებას ავრცელებენ. შარშანვე აღვნიშნე მე ეს უკუღმართობა, მაგრამ გამგონი არ აღმოჩნდა. ზოგმა კიდეც გვისაყვედურა, ჩვენ უწინარეს ყოვლისა საზოგადო განათლება გვინდაო! ძალიან კარგი. მაგრამ ეგეთი განათლება როგორ გამოვიყენოთ ჩვენს სამეურნოდ გაჩენილს მხარეში? ჩვენ რომ ლათინური, ბერძნული, გერმანული, ფრანგული ენები შევისწავ-ლოთ (რუსულს აღარ ვიხსენიებ, რადგან ამის ცოდნა აუცილებელ მოთხოვნილებად შეიქმნა უკვე) ამით რა ერგება ჩვენს ვენახებს, ტყეებს, მადნებს, საქონელს, მამულებს და მიწა-წყალს საზოგადოდ, რომელსაც ჯერ ისევ ძველი დროის ბერძნებმა უწოდეს გიორგია. ესე იგი სახნავ-სათესო, სამეურნეო. სჩანს, იყო თვით ქვეყნის ბუნებრივი აგებულება აგეთი, რომ დაარქვეს მას ეს სახელი.

...იქნებ ქართველს ბევრი რამ აკლდა, ვით მაგალითად, ხელთათმანები, სამზეურები, რომელსაც აქ ,,ქოლგას" (თათრ.) ეძახიან, მაგრამ სახლს თავისს მონაგარით აცხოვრებდა, სხვას ხელში არ შეჰყურებდა. ქართველი გაურბოდა არათუ მარტო სამსახურს, რომელიც დღეს ცხოვრების ერთადერთ სახსრად მიგვაჩნია, არამედ თავისუფლების შემზღუდავ ქალაქებსაც. ქართველის სულის ასეთის მისწრაფებით, უმთავრესად და მის ხასიათის ასეთ მიმართულებით აიხსნება, რომ მიუხედავად მაშინდელი დროის დიდი უსწორ-მასწორობისა წოდებათა შორის, მაინც შესაძლებელი იყო იმდენ საკვირველ და დიდებულ ციხეებისა, კოშკებისა და საყდარ-მონასტრების აგება, რომელნიც ამშვენებენ ჩვენი ქვეყნის სოფლებსა, ქალაქებსა თუ უღრან ტყე-ჭალებს, ბარსა და მთას, და რომელთა მეასედსაც დღეს მთელი ქართველობა, თუ საჭირო იქნებოდა, ვეღარ შესძლებდა. თავისი დამოუკიდებელი ცხოვრების შეზღუდვა სამსახურში შესვლით და სავალდებულო მოვალეობათა ზურგზე წამოკიდვით ქართველს დღესაც ეზარება.

მაგრამ დღევანდელი ქართველი თავის ხსნას ეძებს არა იქ, საცა მისი მამა-პაპა ეძებდა, თავის მდიდარ დედულ-მამულში, არამედ ბერძნულ-ლათინურ წიგნებში, უბარაქო კლასიკურ განათლებაში.

ჩვენ ამგვარი სწავლის წინააღმდეგიც არა ვართ, მაგრამ საზოგადო განათლებასთან ერთად დე ჩვენში გავრცელდეს ყოველგვარი სამეურნო და სატექნიკო დარგიც. კახეთს ესაჭიროება უპირველეს ყოვლისა მევენახეობა-მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, საქონლის მოვლა-მოშენება, ტყეთ დაცვა-შენახვა, მადნეულობათა შემუშავება და სხვა. ამისთანავე ცოდნა ესაჭიროება ქართლელს, იმერელს და ყოველს აქაურ კაცს. აი ამაზე უნდა იზრუნოს ჩვენში დიდმა და პატარამ, თუ არ სურს, რომ შიმშილმა და წყურვილმა სული ამოხადოს მისი შვილისა და მახლობელსავე შთამომავლობას.

მერწმუნეთ, გაღატაკებულ, წელში გაწყვეტილს ხალხს უშველიან არა რკინიგზები, ავტომობილები და ჰაეროსტატები, არამედ სამეურნეო სკოლები, სამეურნეო სწავლა-ცოდნა. რა უშველა ქართლს ისეთმა დიდმა კულტურულმა საქმემ, ვით რკინიგზაა, რომელმაც იგი შუაზე გადასჭრა? რომ გაიაროთ ტფილისიდამ გორამდე და სურამამდე, გულს მოგიკლავენ ლიანდაგის აქეთ-იქით ხრიოკები, ჭაობები. ცოდნა და ხერხი კი რომ ჰქონოდა ხალხს, ეს ხრიოკები ეხლა კოხტა წალკოტებად, აბიბინებულ ბაღ-ვენახად და ტყე-ჭალებად იქნებოდა გადაქცეული.

ჩვენი თავი თუ არ გვეცოდება, იმათი მაინც როგორ არ გვრცხვენიან, ვინც ამ ქართლის" რკინიგზას ყოველდღე დაჰყავს და ჩვენს არარაობას ხედავენ გავლაში.

თვალები მოვიფშვნიტოთ ჩვენც, დროა ღმერთმანი.

შვიდასის წლის ქალი

,,სახ. გაზ." 1911, N 486, 28 დეკ. გვ. 2.

აღნიშნულია, რომ სწორედ ცხრა წლის წინათ, ჯერ კიდევ 1902 წლის 17 სექტემბერს ავტორი წერდა ,,მოამბეში" (იხ. იმავე და შემდეგი წლ. N –ები) თამარ მეფის გარდაცვალების 700 წლისთავის აღნიშვნისათვის მზადების დაწყების აუცილებლობის შესახებ, რომ საზოგადოება ღირსეულად შემზადებულიყო ამ ღირსახსოვარ დღის დასახვედრად:შეეკრიბათ ისტორიული და ზეპირსიტყვიერი ყოველი წვლილი, რომელიც თამარ მეფის ეპოქას შეეხება და ,,ვეფხისტყაოსანთან" ერთად იმ დღისთვის ერთ კრებულად გამოეცათ. მ.ჯანაშვილი განაგრძობს-საზოგადოებისადმი მიმართვას ვათავებდი სიტყვებით:"სწორედ დროა, ჩვენც შევუდგეთ საქმეს, ჩვენც მოვკიდოთ ხელი ჩვენთა მამაპაპათა მიერ შეძენილ მდიდარ კულტურის შესწავლას. მრავალ ჩინებული შენაძენი დაგვეკარგა, მრავალი დაიპარეს, მრავალი შემუსრეს, მრავალს ამტვრევენ, ანგრევენ და ამ ნანგრევებში იმარხება მდიდარი წარსული. ყოველმა დიდებულმა თითო მორჩილი, დე ყოველმა მცირებულმა თითო უზალთუნი რომ მოაწოდოს წ. კ. საზოგადოებას, ის მაინც შეიკრიბება და შეისწავლება, რაც გადაგვრჩენია. მაშ საქმეს შევუდგეთ". მაგრამ ნათქვამი დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა, მხოლოდ ორიოდ-სამიოდე წლის შემდეგ ჩვენი აზრის მობანედ გამოჩნდა ნ.ყიფიანი და ისიც, წარმოიდგინეთ, ბრიუსელში. კვლავ მიყრუვდა გარეშემოს. ამ მიმდინარე წლის პირველ მაისისთვის-თამარობისთვის-დავამზადე წერილი ,,შვიდასი წლის ქალი", რომელიც დაიბეჭდა ,,სახალხო გაზეთში"(N 305). ისევ მოვიწვევდი საზოგადოებას ყურადღებით მოპყრობოდა მომავალს 18 იანვარს. წერილს ყურადღება მიაქცია ერთადერთმა კაცმა, ცნობილმა ეგნატე მენთეშაშვილმა, რომელმაც იმავე ,,სახალხო გაზეთში" აღნიშნა 700-ის წლისთავის დღესასწაულის დიდი მნიშვნელობა ქართველი ერის თვითცნობიერებისთვის. შემდეგ კვლავ იმავე გაზეთში დავბეჭდე ვრცელი წერილი ,,შვიდასი წლის ქალი და შავთელი" (ს. გაზ. N 353). გავიდა მას აქეთ არა დღეები, და კვირეები, არამედ სრული რვა თვე და იმავ ქართულ მოჭირნახულე გაზეთში (N 484) დაისტამბა წერილი გულმისავალ მწერლის თედო სახოკიასი ,,თამარ მეფის 700 წლის იუბილეი". ავტორი უსაყვედურებს საზოგადოებას, რომ უყურადღებოდ ეპყრობა აღძრულ კითხვას და არ ზრუნავს ღირსეულად აღნიშნოს თამარის დღე-სასწაული მაშინ, როდესაც ,,გარშემო ყველანი იმასღა ცდილობენ, რომ დაგვავიწყონ ჩვენი წარსული, მოსპონ მისი ხსენება". ბ. სახოკიას შენიშვნას ღირსეულის ყურადღებით მოეპყრნენ ,,ზაკრეჩი" და ,,თემი". კვლავ მოვუწოდებთ საზოგადოებას პატივით მიეგებოს თვისის დიდებულის ხელმწიფის ხსოვნას.

ახალი დაბადება

,,სახალხო გაზეთი" 1911, N 386, 26 აგვ. გვ. 3-4.

გადავიკითხე ქართული დაბადება ანიდან ჰ-მდე ქართულ-რუსულ ლექსიკონის შესადგენად. დაბადება უშრეტი ზღვაა:ყველას სწვდება, ყველას ჰყოფნის. ცა და

დედამიწა, ზესკნელ-ქვესკნელი, მცირე მოხატულობა და მთელი მსოფლიო, სახელმწიფოებრიობა და სოფლობა, ხუროთმოძღვრება და მიწისმოქმედება, მეზობლობა, ნათესაობა, აღორძინება, ვაჟკაცობა, დაძაბუნება, სიკვდილი და სხ.- ყველა და ყოველივე განხილულია და განმარტებული იმ ღვთიურ და დიდებულ წიგნში, რომელსაც ჰქვიან დაბადება, შეჰქმნა, ყოფნა.

იყო უკუნი, ბნელი გარესკნელი (кромешный).

ღმერთმან ინება.

ყოველივე მის მიერ შეიქმნა:

თვინიერ მისა არცა ერთი რაი იქმნა, რაოდენი რაი იქმნა.

მისთანა ცხოვრებაი იყო და ცხოვრებაი იყო იგი ნათელი კაცთა.

და ნათელი იგი ბნელსა შინა სჩანს, და ბნელი იგი მას ეწია (იოანე თ. 1).

ეს უსაზღვროებით ვრცელი წიგნი ქართულს ენაზედაც არსებობს, სხვა და სხვა ნიშნების მიხედვით მეხუთე-მეექვსე საუკუნიდან, ამიტომაც ქართული დაბადება იმავე დროს არის უდიდებულესი ქართული ლექსიკონიც, გარეშე იმ ბარბარიზმებისა, რომელიც შემოერია ჩვენს ენას არაბებისა, თურქ-სელჯუკებისა, მონღოლებისა და ფირდოუსის ხანას მომდევნო სპარსელების შემოსევის შემდეგ. ამგვარ ბარბარიზმებს ჩვენს დაბადებაში ადგილი არა აქვს.

ვერც კი წარმოგვიდგენია, რა ღარიბი იქნებოდა ჩვენი ლექსიკონი, თუ ღვაწლით მოსილ ჩვენს მამებს არ ეზრუნათ და დროით არ გადმოეღოთ დაბადება!

დაბადება არა თუ საუნჯეა ენისა, არამედ უტყუარი ნიშანიც იმ ერთა საკმაო წარმატებისა, რომელთა ენაზედაც იგი არსებობს.

ენა უდაბადებოდ იგივეა, რაც მუნჯი უსიტყვოდ.

რადა ღირს თუნდ მარტო დავითნი, ეს მთლიანი გალობა, ღაღადება, ქება, დიდება, გოდება ძენთა ზედა მუნ დავკიდენით საგალობელნი ჩვენნი.

მკითხვიდეს წარმტყვენველნი ჩვენნი გალობასა:"გვგალობდით ჩვენ გალობათა მათგან სიონისათა".

ვითარმე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქვეყანასა უცხოსა?!

უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენეიცა ჩემი! აქვინ ენათ ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ! სფს. სვნ. 2-61.

თუნდ მეორე-სჯული, რომლიდანაც ამოღებული კანონები შეტანილია ვახტანგ სჯულმდებელის წიგნში ან კიდევ სიბრძნე სოლომონისა და სხ. წიგნები, რომელთა თქმულებანი მრავლად გვხვდება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

რაიცა სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკის (გალ. 6, 7).

მზე მისი მიეფინის ბოროტთა ზედა და კეთილთა ზედა და აწვიმის მართალთა ზედა და ცრუთა (მათე 5, 45).

სჯობს სტუმრობაო მხილითა სიყვარულითა და მდაბლობითა, ვიდრე ზვარაკითა ბაგეთაგან დაკლულთაგან მტერობით (იგ. 15, 16).

რომელმან უთხარის მოყვასსა ხნარცვი, იგივე შთავარდეს მას (ზირ. 27, 29).

დაბადებაში მრავლად მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომელიც უწინ საერთო ყოფილა და დღეს-ღა იხმარება მხოლოდ ამა თუ იმ კუთხეში. ამგვარებია, მაგალითად, ყე (რაჭა-საინგ- ქიზიყი), შიდ (იმერეთი) შინა-შიგა, ჯეკმა (ფშავ-ხევს.), პოვა-ყოფნა (მეგრ. პუნა-პუ, პი), სტაბანი (სვან.) ვენახი-ვაზი (მეგრ.), ერთსახე-ერთცახე (გურ.) კუდა-კუდური (ინგ.) და მრ. სხ.

დაბადება გვაძლევს მასალასაც ქართული გვარების მნიშვნელობას ასახსნელად ორიოდე მაგალითი.

მცხეთაძე=ცხვედაძე. მცხვედი (გამოსდ. 9, 32). მას უდრის ბერძნ. ოფსიმოს-გვიანი, ნელი. ამავე მნიშვნელობით იხმარება ბერძნულივე სხედინ-ნელა, ფრთხილად, მოფიქრებით, მაგრამ სხედიოს ერის ცქვიტი, სხეთო-დაკავება, დაყენება. ამ ფესვიდანაა ,,მცხვედი" თუ ქართ. ზმნებამ ცხვება (მცხველი ნელა გამოსაცხობი), ძნელია თქმა, მხოლოდ ამის აღნიშვნა კი შეგვიძლია, რომ სახელი მცხვედა უკვე გვხვდება მერვე საუკუნეშივე:მცხვედა იყო ხანძთის მოღვაწეთაგანი (გრიგ. ხანძთელის ცხ., გვ. 33).

იშხნელი, კაცი იშხანიდამ. ბერძნ. ისხანო იმასვე ნიშნავს, რასაც სხეთო (დაკავება, დაყენება, გვიანება), მაგრამ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ სხვა დროს. ჯერ კი შეადარე ბერძნ.-ს ქართულს შ:სარა ბალღა=სარვალი, სუსა-შუშანი (ერთ. 1,5)- შუშ (ნეუბ 1,1) იშ ხანი. ჩვენს ისტორიაში ჩნდება ადრითგანვე. მერვე საუკუნეში აქ უკვე ბრწყინავდნენ ბაგრატიონები.

ტატიშვილი, ტატიანელი, ტატანელი (ურბნისის სახარების გადამწერი):ტიტანელი-Титан, Рефаим (2 მეფ. 5, 18 და 23, 13):იმავე მნიშვნელობით:ტატანელი=ტატანელი (N 51 და N 646) ივდით 10,6.

სემიდალაშვილი-სამადალაშვილი:ბერძნ. სემედალი- ქართ. სემინდალი (გამოცხ. 18,13)-სამინდალი-სემიდალი-სამინდო (ეზეკ. 16,13); ეს 1,13, ლევ. 2,2) ბერძნ. ,,სემიდალის"- სამინდო უკეთესი, ახალი ხარისხის ფქვილი, ხორბალი.

თესლითმეტყველაშვილი, სადღაც ლაპარაკში დაცინვად გავიგონეთ:უიმე თესლითმეტყველაშვილო, და ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ვერავინ გვითხრა. თესლით მეტყველობა ყოფილა ცრუობა, სიცრუე. იგი თარგმანია ბერძნულის ,,სპერმალოგოს" (საქმე 17,18)- თესლის შემკრები, ყბედი, მროშავი.

კაწახიძე-კაჭახიძე. კაწახი საინგილოში იგივეა, რაც წენგო, კოწმახი, უმწიფარი ნაყოფი. ეს სიტყვა ნახმარია იერემიას წინასწარმეტყველებაში და უდრის რუსულს терцкий (თ. 31, 29):მამათა ჭამეს კაწახი და კბილნი შვილთანი მოლხვას.

ოღონდაც რომ ჩვენც მოგვალხვა კბილები. მაგრამ არ დაბერებულა ერი, რომელსაც აბადია სწორუპოვრად თარგმნილი ბიბლია, ერი, რომელსაც მოეპოვება ისეთი სამკაულები, ვით მამათა ცხოვრება, ვეფხისტყაოსანი, გურამიანი, ერი, რომლის ენა ისეთი მდიდარია, რომ როდესაც სხვათა ენაზედ არსებობს მხოლოდ ,,ბასილევს" და ,,ბასილია" (მეფე, სამეფო), იქ ჩვენი ენა განავითარებს სიტყვებს მეფე და მეუფე, მეფობა და მეუფობა, სამეფო და სამეუფო, სუფევა და სასუფეველი.

წარღათუწირულვართ, არა განწირულვართ.

საქმე- რუდუნებაა

,,მოსავალი" 1911, N 236, 1 ქრისტეშობისთვე, გვ. 3-5.

მდიდარი, შემკული, უხვი ქვეყანა. ღარიბი, უქონელი, გაჭირებული ერი... საკვირველია სწორედ.

გადასდგამ ფეხს ლიხს იქით, ყოველმხრივ სამოთხე დაგესახება, გადმოსდგამ აქეთ, გადაგეშლება თვალწინ ედემი.

აქაც ისეა, ვით ედემში:

,,ოთხი წყარო დის,

ოთხი მხრივ მოდის,

მითი მოირწყვის ყოველი არე"

მტკვარი, რიონი, ჭოროხი, ინგური ზვირთს-ზვირთზე ისვრიან, მოდიან, მოდუდუნებენ და ჩვენ კი ამათი დუდუნი, გრიალი და ღრიალი არ გვესმის.

ვართ ჩვენთვის ძველებურად-ჩვენებურად და ველით იმ დროს, როდესაც განათლებული გერმანელები ჰაერისაგან ხორცისა და პურის კეთებას მოიგონებენ და მით ჩვენც დავიკმაყოფილებთ ჩვენის გაცამტვერებულის ცხოვრების მოთხოვნილებას.

ბატონო, შემოქმედმა ედემი იმიტომ კი არ მოგვცა, რომ გულზე ხელები დავიკრიბოთ და ვუცადოთ, თუ ვინ მოგვაწვდის მზამზარეულად ქადასა და ნაზუქს, არამედ დაგვასახლა მასში და გვიბრძანა.

,,აღორძინდით და განმრავდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას და მთავრობდით და ოფლითა პირისა თქვენისთანა შწამდეთ პურსა თქვენსა".

ჩვენ კი გვგონია, რომ ,,მთავრობისათვის"" და ,,უფლობისათვის"" არც მუშაობა უნდა, არც გარჯა, არც მამაპაპეულ ზვრების მოვლა, არც ნაფუძვრების შემუშავება, არც ყამირის გატეხა, დაგუთვნა და არც სხვა რამ იმისთანა, რომელიც ტკბილ ლუკმას მოგვცემს პატიოსან ოფლის დაღვრით, ღონიერ მარჯვენის ქველობით, ჭკვიანურ ძმურ ცხოვრებით, რუდუნებით.

გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი მერცბახერი აქებს ჩვენს წინაპრებს, მათ ხმალს, მათ ხუროთმოძღვრებას, მწიგნობრობას, ვაჟკაცურ ბრძოლას არსებობისთვის, მაგრამო, დასძენს ბოლოს, ლამის აწინდელმა შთამომავლობამ გაანიავოს ყოველივე, რაც გადარჩა საუკუნოებს.

მაგრამ ჩვენ არ ვეთანხმებით ამ გერმანელს. აწინდელი შთამომავლობა არც ისე უნუგეშოა, როგორც ჰგონია ზოგიერთს. წერა-კითხვა საქართველოს კიდით კიდე მოსდებია, საზოგადო დაწესებულებები აკავშირებს მათ, მშვიდობიანი მუშაობა თანდათან ფეხს იკიდებს, იგეთი დიდი ქალაქები ვით ტფილისი, ქუთაისი და სხ. ჯერ ისევ უმთავრესად ქართველის ნაჭირნახულევით იკვებება:ღვინო, ყველი, მატყლი, ცხვარი, ერბო, ხილი, შეშა და მრავალი სხვა. ჯერ ისევ ქართველს მოაქვს ბაზრად, ჯერ ყველა ეს ქართულია.

მაგრამ განა ეს კმარა! სად არის აბრეშუმი, სელი, კანაფი და მრავალი სხვა კეთილშობილური დარგი მეურნეობისა, მაგალითად:თაფლი, ფრინველობა, ვარდისწყალი, ხმელ ხილეულობა და სხვადასხვა.

მე ვფიქრობ, ქუთაისში და ტფილისში რომ ქართულ კლასიკურ გიმნაზიების მაგიერ დაეარსებინათ სამეურნეო სასწავლებლები, აქამდის საქართველო ქონებრივად საკმაოდ გაღონიერდებოდა და გამოღონიერებული ამ მხრივ უფრო მეტს გულმოდგინეობას გამოიჩენდა მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში.

განა რა და რა სამეურნეო დარგის გაუმჯობესება არ შეიძლებოდა საქართველოში, რა და რა სამეურნეო დარგის აღორძინება, აყვავება!

ვარდისწყალი, ბედ-მუშკი, მზეუჭვრიტა, იის წვენი და სხვ. მოიკრიბებაო სოფლებში და გამოხდებაო, გვაუწყებს დასტურლამალი.

დღეს ეს დარგი მეურნეობისა სრულიად მივიწყებული და მიგდებულია, ხოლო რაოდენს შეჰმატებდა ჩვენს ხალხს, რომ ეს ესრე არ ყოფილიყო.

ვარდისწყლის გამოხდა და გამოყენება იცოდნენ ჯერ ისევ მე-VIII საუკუნეში. ყოველ წლივ ფარსისტანიდან ბაღდადს იგზავნებოდა 300.000 შუშა ვარდისწყალი. Oleum rosarum destillatum გერმანიის აფთიაქებში უკვე იყიდებოდა მე-XVII საუკუნის დასაწყისიდანვე. ძველი მწერლები ვარდის სამშობლოდ იხსენიებენ ჩრდილოეთ აფრიკას, კირენეს, კაუას და სხვ.

აწინდელს დროში ვარდის სამშობლოდ ითვლება რუმელიაში კაზანლიკი, კოლოფერი, დერვანტი და სხვ.

რუმელიის მთავრობისაგან აკრძალულია აქაური ვარდის ბუჩქის გაყიდვა უცხო ქვეყნელებზე. მიუხედავად ამისა გერმანიაში მაინც გავრცელდა ვარდის მოშენება.

ჩვენი ქვეყანა ხომ თვით ბუნებითვე ვარდის სამშობლოა. განა ამას ხმამაღლა არ ღაღადებს თუნდ ის გარემოება, რომ ნინოს დროიდგანვე ჩვენში მაისს ერქვა თვე ვარდობისა. ვინ იცის, იქნება ამ თვეს ძველი დროიდგანვე იგეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, ვით მის შემდეგ მომდევნო თიბისას (ივნისი), მკისას (მკათათვე), ღვინობისას (ღვინობისთვე).

ბაქოს მხრიდან თითქმის ყოველწლივ გადის ოთხიოდე მილიონის თხილი. ამაში თუ საინგილოს მხარის ათასიოდე ფუთი ურევია, თორემ დანარჩენ საქართველოს ამ მილიონებში წილი არ უდევს და თხილის ბუდედ კი იგია გაჩენილი.

წინად უხვად მოჰყვანდათ აბრეშუმეული, რომლისაგან ქსოვდნენ თავთავებს, მოვებს, საჩოხეებს და სხ. ახლა მცირეა.

ნუგნობას (აბრეშუმის წლიურ მეურნეობა) უნდება სულ 40 დღე. საინგილოში ხშირად თითო მეკომური თითო ნუგნიდამ იღებს 200-300-500 მანეთამდე. ახლა გადავიანგარიშოთ მთელს საქართველოში.

აღარ გავაგრძელებ სხვა სასარგებლო მცენარეთა ჩამოთვლას. ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ მთელმა ხალხმა გულით მოჰკიდა ხელი თავის მეურნეობის აღორძინებას, სამეურნეო სკოლები გაიმრავლა, თავისი შვილები მეურნეობასა და ტეხნიკაში გამო-წურთნა, საქართველო ოციოდ-ოცდაათიოდ წლის განმავლობაში მთლად მოღონიერდება და ეს მოღონიერება თანდათან მოსპობს ჩვენში არსებულს ერთურთის უწყალო ხოცვა-ჟლეტას და სხვა ავკაცობას, შედეგს დღევანდელის გაჭირებულის ყოფა-მდგომარეობისა.

წერილი რედაქციის მიმართ

,,სახ. გაზ." 1912, N 552, 17 მარტი, გვ. 4.

ნება მიბოძეთ, ბ. რედაქტორო, პასუხი გავცე იმათ, რომელთაც თქვენის პატივცემულ გაზეთისა თუ ცალკე წერილით მოგვთხოვეს განმარტება სხვადასხვა კითხვებისა შესახებ საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.

1. **სევასტოპოლს. ეპ. კ.** (კირიონი-კ.კ.). პასუხად კითხვისა ,,რომელის წყაროს ჩვენებით ნიკიის მსოფლიო კრება 325 წლის მაგიერ ჩვენში ნაჩვენებია 318 წელს", პატივი მაქვს მოგაგონოთ წმ. ნინოს ცხოვრების სიტყვები (გვ. 14):"311 წელსა წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა; **მეშვიდე** წელსა იყო წმიდაი კრებაი ნიკეას".

2. **ბელმონტს. ოლივერ ვარდროპს**. მოთხოვნილი თქვენ მიერ ტექსტი უკვე გადავწერეთ და წარვადგინე დასაბეჭდად. რომ დაისტამბება, მოგართმევთ თითო ცალს თქვენცა და მეცნიერს კონიბიერს, რომელსაც იგი დასჭირებია.

3. **კიევი. სტ. ი. ბ.** ,,ხანმეტური" ნუსხები სახარებათა ჯერ არა ჩანან, ბიბლიის ისტორია კი ჩვენ დავწერეთ ვრცლად.

4. **ბერნი. მგოსანს ა.შ-შვილს** (შანშიაშვილი-კ.კ.). სამსონ ფირცხალავას რომ თქვენთვის უცნობებია ჩემი მოთხრობის ,,მზეს" ანუ ძველ ღმერთების შესახებ, იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიბეჭდა კოწია თუმანიშვილის ,,ივერიაში, ამავე ღმერთების შესახებ საკმაო ცნობებია ივ.ჯავახიშვილის ,,ქართველი ერის ისტორიაში" და აგრედვე ჩემს წიგნში ,,საქართველოს ისტორია", რომელიც წაიღო ახალგაზრდა

კერესელიძემ შვეიცარიაში გამოსაგზავნად. ჯერჯერობით იმუშავეთ ,,თევდორე მღვდელზე” და მერე, თუ დრო მექნება, დანარჩენ კითხვებზედაც მოგწერთ ცალკე წერილით.

5. **შიო ბათმანიშვილს** (,,სახალხო გაზეთი”, N 520). ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნა უეჭველ ფაქტად მიმაჩნია (იხ. ჩვენი წერილი ვალ. გუნიას ,,ნიავში”” და აგრეთვე ჩვენს უკანასკნელ გამოცემაში). პალეოგრაფიული ტაბულები არ დაიბეჭდა, რადგან ხარჯად უნდება 3000 მანეთამდე, ხოლო ძმათა ეფესელთა შესახებ ქართველთა საეკლესიო მუზეუმის ტყავზე ნაწერ დიდ სვინაქსარში (N 222) ხსენება შვიდთა ძმათა ეფესელთა დადებულია 23 ოქტომბერს (მოჰყავს ციტატა).

ჩვენი ლექციების გამო

,,სახალხო გაზეთი" 1912, N 564, 3 აპრ. გვ. 3.

ეს ლექციები, ან, უკეთ ვთქვათ, ამ 23 წლის წინათ მოიწონა აწ ნეტარხსენებულ ილია ჭავჭავაძის ,,სახუთშაბათო სალიტერატურო საღამომ" და დაბეჭდა ,,ივერიაში" ცხრა ფელეტონად. თვით რედაქტორისა, ალექსანდრე ნანეიშვილისა და ბევრთაგან მაშინ დიდი მადლობაც გვერგო. მას აქეთ იგივე წერილები ერთიორად შეივსო, შევიმუშავეთ, ,,რწმენანი და ჩვეულებანი"-ს განყოფილება სრულიად ახლად დავწერეთ, და დღეს შესდგა საკმაოდ მოზრდილი შრომა, რომელსაც მე ვუწოდებ და ვყოფ ასრე:საქართველო (ისტორიულ-კულტურული განხილვა).

1. რწმენანი და ჩვეულებანი.2. ქრისტიანობა, 3. პოლიტიკური წყობილება. 4. მრეწველობა. 5. ხუროთმოძღვრება. 6 მწერლობა. 7. ხელოვნება-მხატვრობა. 8. სამართალი. 9. ქორონიკონი და კალენდარი. 10. მკურნალობა. 11. გალობა. 12 (დამატება) ანდაზა-გამოცანები.

ეს დაწერილია და ბეჭდვის დროს პროგრამა, ალბად, გაფართოვდება ან აქა-იქ შეიცვლება.

ამ შრომას არავითარი პოლემიკური ხასიათი არა აქვს, არამედ წმინდა პედაგოგიურია; მისი მიზანია კრიტიკულად გარჩეულ ყველასაგან სარწმუნოდ მიჩნეულ ან მისაჩნევ წყაროების დაგვარად საქართველოს მოკლე ,,ისტორიულ-კულტურულ” ყოფა-ვითარების გამოხატვა.

ამგვარი ხასიათის გამო, ვფიქრობთ, ჩვენს საკითხავ-წერილებს უყურადღებოდ არ სტოვებს თვით პატივცემული საზოგადოება და დიდის გულდასმით ისმენს ჩვენს არახელოვნურად წარმოთქმულს მართალს სიტყვას.

გიორგი სააკაძის მოქალაქეობის დამფასებლების საყურადღებოდ

,,სახალხო გაზეთი” 1912, N 616, 5 ივნ. გვ. 4.

ავტორი ეხმაურება ამავე გაზეთის 31 მაისის (N 612, გვ.3) ნომერში ტრ. ი-ძე (ტრიფონ ინასარიძის) მიერ ბათუმიდან გამოგზავნილ კორესპონდენციას-,,ხმა ბათომიდან (გიორგი სააკაძის გასამართლება)”. მასში ნათქვამია, რომ გამოთქმა ,,ჯანაშვილი და ჯამპანია მათნი” ეკუთვნის დამცველ ბ. ქვარიანს.. ,,ბრალმდებელ ბ. გიორგაძეს სწორედ ის ადგილები ამოუწერია, რაიცა ამცირებს გმირის სახელს, ამას ჩადიან ბ.ბ. ჯანაშვილი და კამპანია მათნი. სააკაძემ დაღუპვისაგან იხსნა

საქართველო, საკუთარი შვილი შესწირა მის ბედნიერებას და აქ კი მას ჩირქსა სცხებენო.

მ.ჯანაშვილი თავის წერილში აღნიშნავს, რომ ,,ყოველ ისტორიულ პირის დაფასებას წინ უძღვის მის დროის მასალების შესწავლა, გამორკვევა ყოველის წვლილისა, გაშუქება მრავალგვარ კითხვისა, გარემოებისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამგვარი შესწავლა აკლია არათუ იმ დროს, როდესაც ცხოვრობდა სააკაძე, არამედ თუ გინდ იმ დროსაც, როდესაც ბრწყინავდნენ ღვთივ დიდებული თამარ ნეტარი. შოთა, იოანე მარუშიძე, ცოტნე დადიანი და მრ. სხვანი. საქმე ბევრია. გამკეთებელი სულ მცირე და მკითხველი-უფრო ნაკლებ. ამიტომაც, ნაადრევია ჯერჯერობით ჩვეულებრივ მკითხველის მიერ საკუთარის ძალღონით გასამართლება ამა თუ იმ ისტორიულ პირისა, და მით უმეტეს იმ დროისა, როდესაც გიორგი სააკაძეს სიმამრი ნუგზარ ერისთავი ,,სისხლის წვიმებს" აწვიმებდა", როდესაც სამეგრელო და გურია ყოველწლივ 10.000-15.000 სულს მოძმეს ტყვედ ჰყიდნენ, როდესაც ათაბაგი ფაშობაში" ჰყიდდა თითქმის 200.000 ქართველობას, სპობდა და ანგრევდა აქაურს მამა-პაპურს შეძენილობას, როდესაც ჩვენივე კაცები და მათთან სააკაძეები ემსახურებოდნენ ქართველთა სისხლის მწოველს შაჰაბაზს არათუ მარტო სპარსეთში, არამედ თვით საქართველოშიაც, რომლის აღმოსავლეთი მხარე მან დაარბია და აჰყარა.

საქართველო დაღუპეს არა ჩინგისხანებმა და ტამერლანებმა, არა 1800 წლ. გმირებმა, არამედ 1614-1629 წლების შორს განუჭვრეტელ ქართველებმა.

ჩვენ ხელახლა შევისწავლეთ ეს შავბნელი ხანა და ჩვენი აზრი გამოვთქვით საკმაოდ ვრცელს გამოკვლევაში ,,ბოროტი და დამღუპველი მცსინვარება საქართველოში", რომელიც, იმედია, მალე დაიბეჭდება. ჩვენი წინანდელი ნაწერ-ნათქვამი არათუ მარტო შეურყეველი, შეუბღალავს წყაროებზე დაფუძნებული გამოჩნდა, არამედ მას ერთი ათად ახალი საბუთებიც მიემატა.

შეუცვლელად დარჩა აგრედვე ყოველივე ის, რაც სხვადასხვა სანდო წყაროებიდამ გვქონდა ამოღებული სააკაძისა და მის დროის კაცების შესახებ, თვით ფრაზაც კი ,,კახეთიც ხომ ამოვწყვიტეთ და ქართლელნიც იქ (სპარსეთს) ჩავგვაროთ" (ასეა ,,არჩი-ლიანის" უუძველეს ნუსხებში 1701 წლისა, 1706 წლისა და სხ.

რაღა თქმა უნდა, ფიორი სიმართლეც არ არის იმ თქმა-კიჟინში, რომ, ვითომ, ,,ჯანაშვილები და კამპანია" სააკაძეს ,,გმირს ჰანნიბალს" ამცირებდნენ. სააკაძეს ,,ჰანნიბალობას" არა ,,ჯანაშვილები და კამპანია"ედავება, არამედ თვით მისი ნამოქ-მედარი, რომელიც შავად აჩვენებს ყველა თანამედროვე წყარო, თვით მისის შვილიშვილის იოსებ ტფილელის ,,დიდმოურავიანიც" კი.

მომყავს ჩვენის ,,კომპანიის" მონაწილეთაგანის აზრიც ,,ჰანნიბალის" შესახებ:

აკადემიკოსი მარი ბროსსე:,,ამგვარად მოკვდა სააკაძე ორჯელ ღალატის მტვირთველი, სჯულის უარმყოფელი და სამშობლოს დამღუპველი".

სიმონ ღოღობერიძე (ბროსეს მიერ ,,საქართველოს ისტორია, გამოც. ნიკო ღოღობერიიძისა, გვ. 30):"ყველა მაშინდელნი მწერალნიც ერთხმად აღიარებენ, რომ თუმცა სააკაძე ნიჭით და მხნეობით შესანიშნავი კაცი იყო, მაგრამ მუხანათი, გამცემი, მოღალატე, რენეგატი იყოვო. მის სახელს ზიზღით იხსენიებს ისტორია"...

ბ-ნი ბათუმელი კი კადნიერად გაიძახის:ჯანაშვილები და კამპანიაო. აქ ისევ მეორდება ის ჰანგი, რომელიც დევიზად ჰქონდათ სააკაძის დროის დიდებულებს: ,,უჩემოდ ვინ იმღერეთა!" ,,მე იალბუზი, შენ კი ბუზი". დევები იკიდებოდნენ და კოზაკი შუაში იჭყლიტებოდა, და გაიჭყლიტა კიდეც.

ასრევე მღერის ბათუმელი დამფასებელიც". ბროსსე, ღოღობერიძე, იოსელიანი, ვახუშტი, დელავალე (1627 წ.), არაქელი (1653 წ.), არჩილ მეფე და სხ. თურმე სხვა არა არის რა, თუ არ ,,ჯანაშვილების კამპანია", რომელსაც ალბად, დო უხვრეტია და ბალახი უძოვნია, რომ ,,ჰანნიბალი" მოღალატედ ჩაუგდია ანდა, თუ გინდ, შორსმხედველობის მოკლებულ კაცს, რომელიც ,,მოატყუა" ყაენმა რვა გუდა ოქროთი და სხვადასხვა დაპირებით.

ისტორიაში რა საქმე აქვს დაჟინებას, სიამაყეს, ,,უჩემოდ ვინ იმღერეთა"-ს! დაამტკიცეთ და ჩვენ დიდის სიამოვნებით მოგყვებით, ვინაითგან უსიამოვნო წარსული ჩვენს გულს შჩაგრავს, ანაღვლიანებს, სასიამოვნო-ამხნევებს, აყვავილებს".

ბიბლიოგრაფია.

,,სახალხო გაზეთი" 1912, N 760, 28 ნოემბ. ოთხშ. გვ. 3.

ოლივერ უორდროპმა გამოგვიგზავნა ინგლისურს ენაზე ახლად დაბეჭდილი წიგნი ვინმე დოვლინგისა (დაულინგი) აღწერილობა საქართველოს საეკლესიო ისტორიისა (Sketches of Georgian (harch Histori).

სულ თავში წიგნისა ჩართულია თამარ მეფის წმ. სახე ქვე წარწერით:guech Tamara the gzeut= მეფე თამარ დიდი, შემდეგს ცალკე გვერდზევე 17 სტრიქონო-ვანი ლექსი ილია ჭავჭავაძისა.

"O Georgia, thon pearl and ornament of the world"-შემდეგ მიდის შენიშვნები, წინასიტყვაობა:ტექსტის წინ ჩართულია ქართველ წმინდანების კალენდარი:აბო 8 იანვ., ანტონი 19 იანვ., დავით აღმაშენებელი 26 იანვ. და სხ.

თვით აღწერილობა ანუ ისტორია დაყოფილია ეპოქებდ:ივერია ღვთისმშობლის წილხდომილია, ანდრიას მოღვაწეობა, სვიმონ ზილოტი, კლიმენტოს პაპი, ელიოზ ებრაელი.

წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი.

მცხეთის ანტიოქიის პატრიარქი და საქართველო. ქართველთა ეკლესია იერუსალიმში, სომეხთა და ქართველთ ეკლესიები. ტფილისი. 13 ასურთა მამანი. ქართული ბიბლია. წმ. შუშანიკი, ათონის ივერთა მონასტერი. ქართული ათონური ბიბლია. ქართული ხელნაწერები ივერიის წიგნთსაცავში. ქართველების მონაწილეობა საჯვაროსნო ომში. ბაგრატიონთ სამეფო სახლი. თამარ მეფე დიდი. მეფე რუსუდან. მონდვილ იოანე შესახებ წმ. გიორგისა და ქართველთა. ფლორენციის კრება. წმ. ქეთევანი. ვახტანგ VI. ერეკლე II. გიორგი XII.- დამატებებში ცნობებია შესახებ ქართველთა ეკლესიისა კვიპროსს, ხუროთმოძღვრებისა და სხ.

წიგნი მეტად ფაქიზად გამოცემულია და მის შინაგან ღირსებას, ინგლისურის უცოდნელობისა გამო, სამწუხაროდ ჩვენ ვერ ვაფასებთ.

2. ეს-ეს არის მოგვივიდა შრომა კორნ. კეკელიძისა- ,,Сведение грузинских историков о посподобном Максиме Исповеднике". ეს წიგნაკად გადმობეჭდილი კიევის სასულიერო აკადემიის შრომიდან, სულ 77 გვერდია. მაქსიმე მოღვაწეობდა მეშვიდე საუკუნეში. ჭეშმარიტი მოძღვარი მართლმადიდებლობისა, რიტორი და ფილოსოფოსი ქრისტიანობის მტრებმა მას ენა და ხელები დასჭრეს და ,,გამოაციმბირეს" სამეგრელოში. მასთან ერთად იტანჯნენ მაქსიმეს მოწაფეები ანასტასი და ანასტასი დიაკონი. ხელმოჭრილს მკლავზე კალამს იბამდა და ისე სწერდა. იგი შრომობდა ციხე მურს და იქვე გარდაიცვალა 13 აგვისტოს 662 წელსა, 90

წლისა. დაასაფლავეს წმ. არსენის მონასტერში. მისი ეკლესია მურ-ცაგერის ახლოსაა, დანგრეულია, მაგრამ დღესამომდე იზიდავს მრავალს მლოცველს.

მამა კორნელის თხზულება წარმოადგენს საქართველოს ერთ ხანის მშვენიერ სურათს და უფრო მეტი ფასი ედება, რაც გადმობეჭდილია გავრცელებულს სამეცნიერო ჟურნალში.

საეკლესიო მუზეუმი (1889-1912)

,,სახ. გაზ." 1912, N 754, 20 ნოემბ. გვ. 2-3.

რახან აღიძრა კითხვა საეკლესიო მუზეუმის ახალ შენობაში დაბინავების შესახებ, საჭიროდ ვთვლი ორიოდე სიტყვა ვთქვა მის წარმართვის შესახებაც დაარსებიდან დღესამომდე. მუზეუმის წესდება დაამტკიცა უწმინდესმა სინოდმა 24 იანვარს 1889 წელს. წესდების შემმუშავებელი და შემდგენელი ისტორიკოსი დ.ბაქრაძე თავის მოხსენებაში ექსარხოსისადმი წერდა:საჭიროა დავაარსოთ სიძველეთსაცავი და მასში შემოვკრიბოთ საქართველოს ტაძარ-მონასტრებში გადარჩენილი სამწერლო და სხვა ნაშთებიო. მუზეუმის დაარსების შემდეგ დაარსდა მისი კომიტეტიც. ნივთებმა მოდენა იწყეს საქართველოს ყოველ კუთხიდან, განსაკუთრებით კი მცხეთიდან, გარეჯიდან, ალავერდიდან, სიონიდან, გელათიდან, აფხაზეთიდან და სხვ. წერილის ავტორი არსებული სიმდიდრის დამადასტურებლად ასახელებს ციფრებს მის მიერვე შედგენილი წიგნებიდან- ,,Тифлисское церковное древлехранилище, 1898. ,, და ,,Каталог церковного музея грузинского экзархата. 1899” წ. 1908 წელს საეკლესიო მუზეუმში დაცული იყო 1040 ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნი (ტყავზე ნაწერი 170 და მათში 30.900 ფურცლამდე. 1912 წელს მუზეუმში უკვე იყო 1045 ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნი, 1074 სიგელ-გუჯარი, 183 სამღვდელო და საეკლესიო შესამოსლები, 116 წმ. ჭურჭლები, ჯვრები და მათ შორის ერთი დავით კურატპალატისა (+ 1001 წ.) და ერთიც რომანოვების სახლიდან პირველი მეფის მიხეილ თევდორეს ძისა, 142 ძველი ხატი და სურათი და მათ შორის კათალიკოსი ანტონ I-ისა, ანტონ II-ისა, პირველი ეგზაქოსის ვარლაამის (ერისთავის), ბოდბის მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილისა, 102 წარწერიანი ქვები და სხ. ნაშთები (არის ქვა-სანათლო მე-IX საუკუნისა და 993 წლის წარწერით დავით კურატპალატისა), 50 ძველი თოფი, კერპები, კარები და სხ. 215 ძველი ფული, 157 ცალი ახლად დაბეჭდ სამეცნიერო გამოცემები და წიგნები. პირველ ათ წელიწადს (1889-1899) მუზეუმში მოგროვდა სულ 1359 N-რი. 1912 წლის ნოემბისათვის მუზეუმში იყო 3114 N–რი (ეპისკოპოს ალექსანდრეს კუთვნილი წიგნებისა და გამოცემების გარდა). თავისი არსებობის პირველ ათ წელიწადს კომიტეტს არა დაუბეჭდია რა; ხოლო 1898 წლის შემდეგ გამოცემული აქვს: ა) ყველა ხელნაწერების დაწვრილებით აღწერა სამ მოზრდილ ტომად, ბ) მოკლე კატალოგები, რომელთაგან ერთში მოთავსებულია თვით წესდება მუზეუმისა და ისტორია მისი დაარსებისა. გ) ათონის კრებულის 1074 (მასში ისტორია ათონის ქართველთა ლავრის დაარსებისა და დამაარსებლებისა, ილარიონ კახელის ცხოვრება, ათონის აღაპები, საგალობლები და სხ.), დ) ცხოვრებანი აბოსი, წმ. ნინოსი, ე) სასწაულებრივ ხსნა კონსტანტინეპოლისა 626 წელს, ქადაგებანი იოანე ბოლნენლისა (მე-X საუკ.) ზ) Древне груз. архиерагикон, და სხვ., სულ 15 გამოცემა. ხელნაწერთა აღწერილობანი საკმაოდ გავრცელდა და მათ შემწეობით ჩვენი მუზეუმის საუნჯეები გაიცნეს არათუ მარტო რუსეთში, საზღვარგარეთაც. მის სიძველეთა დასათვალიერებლად 1898 წლიდან (ამ წლიდან იღებას საჯარო

მოსახილველად მუზეუმში შემოსულა 18.000-მდე კაცი. მათ შორის დიდი მთავრები, ექსარხოსები, პრინცები ევროპიდან, მეცნიერები, სახელმწიფო სათათბიროს წევრები და სხ. მუზეუმში უმუშავნიათ პროფესორებს, სტუდენტებს, მხატვრებს და სხვა. მ.ჯანაშვილის სიტყვით, საეკლესიო მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერები ნათელს ჰფენენ არათუ მარტო საქართველოს კულტურულ წარსულს, არამედ, ხშირად, შუქი შეაქვთ მათ თვით მსოფლიო ისტორიის წვდიადშიაც. ამ მრივ შესანიშნავ ძეგლად ჩაითვლება ცნობები შესახებ აფხაზ-მეგრელთა მეფის ღუბაზიონისა, ცხოვრებანი წმ. ნისიმესი (გამოსცა კ.კეკელიძემ), სერაპიონ ზარზმელის (დაიბეჭდა ჩვენს ,,ჩვენს ,,ქართულ მწერლობაში), ათონის მამათა (დაიბეჭდა ცალკე კრებ.); მუზეუმისავე მასალები უმთავრესად საფუძვლად დაედო თ.ჟორდანიას «ქრონიკებს», კ.კეკელიძის ,,სალიტურგიო ნაშთებს», ე.თაყაიშვილის ბევრ არქეოლოგიურ გამოკვლევას, ა.ნატროშვილის ,,ათონის ივერთა ლავრას», ე.ნიკოლაძის საკანდიდატო თხზულებას ,,საეკლესიო კრებები საქართველოში მე-18 საუკუნემდე. აგრეთვე დასაბეჭდად დამზადებულს ახალს კრებულს ,,ქართული სასულიერო პოეზია». ტექსტები 8-13 საუკ. მუზეუმისავე მასალებმა მოგვცეს შეძლება შეგვედგინა ა) ისტორია ქართულ ბიბლიისა, ბ) ქართულ-რუსული ლექსიკონი, გ) პალეოგრაფიული ტაბულები ათას N-მდე. აქვე გადმოვიღეთ ურბნისის სახარების პირი სრულად ხუცური ასომთავრულითვე მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებისთვის. ამავე სახარებიდამ ტ.ამირეჯიბმა ფერადებით გადიღო ასომთავრული ასოები და შეადგინა შვენიერი ალბომი ძველ ქართულ ანბანისა. ამდენი საქმე გაკეთებულა რაღაც 22 წლის განმავლობაში და სულ მცირე საფასით:1899 წლიდან სამღვდელოება აძლევს მუზეუმს ყოველწლივ 1000 მანეთს, სამაგიერო მას დღეს აქვს მთელს განათლებულს მსოფლიოში ცნობილი დაწესებულება მის პირდაპირ ფასდაუდებელი საუნჯეები. სამღვდელოებამ თუ მეტის საფასის გამოღება შესძლო, საფიქრებელია, თვით მუზეუმის კომიტეტის მუშაობაც უფრო ნაყოფიერი შეიქმნება. აღნიშნულ წერილს ერთვის ეპისკოპოს ანტონის შემდეგი მინაწერი:"წავიკითხე ეს განხილვა. საეკლესიო მუზეუმში იმდენი საქმე გაკეთებულა, რომ ამ წერილში მისი ნახევარიც არ არის გამოთქმული. სხვაგან ამისთანა დაწესებულების წარმოებისათვის ათიათასობით დაიხარჯებოდა და ჩვენში კი ყველაფერი ჯერჯერობით თითქმის უფასოდ კეთდება. იმედია, ყველა ამას დიდ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი სამღვდელოება და საზოგადოება".).

ქართული სახელების ახალი დევნა

,,თემი" 1913, N 114, 11 მარტი, გვ. 3-4.

ქართველებს ეკლესიებს ართმევენ, ქართულ წირვა-ლოცვას ავიწროებენ ქალაქშიაც და სოფელშიაც. გადაგვარების მეცადინეობა (რაიცა ჩვენში დიდი ხანია გაჩნდა) სამოქალაქო მოხელეთაგან საკვირველი არ არის, რადგან ირწმუნებიან:პატარა ერის გადაგვარებას დიდი ერების პოლიტიკური მოსაზრებანი ითხოვენო. მაგრამ როდესაც გადაგვარების პოლიტიკას სასულიერო პოლიტიკა მისდევს, ის წოდება-პოლიტიკასთან რომ არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაშინ ეს მოვლენა უფრო აღმაშფოთებელი ხდება. ხომ ახალი ამბავი აღარ არის, რომ ქართველებს ეკლესიებს ართმევენ, ქართულ წირვა-ლოცვას ავიწროებენ. მრავალი საჩივრით ისიც ხომ ვიცით, რომ ზოგი ჩვენი სულიერი მამები, თავიანთ ჯიბისა და კუჭის გულისათვის ამ გადაგვარების საქმეს სოფელშიაც კი ბეჯითად

გულმოდგინეობენ და თავის მრევლს, რუსულად ენის სრულებით უცოდინარს, მღვდელმსახურებას დამტვრეული ,,მაიამ-ტვაიამის"" ენით წირვა-ლოცვას ასმენინებენ და ამით ქართველო მორწმუნე ხალხი ეკლესიიდან იდევნება, თავის მამა-პაპას სარწმუნოებაზე გულს იცრუებს. ცხადია, რომ ამ საქციელით ამისთანა მღვდლებს პირადი სარგებლობა ეჩხირებათ თვალებში, თავიანთ მოვალეობას ჰღალატობენ და სულაც არ ენაღვლებათ:ქართველი ხალხი მორწმუნე ქრისტიანედ დარჩება, თუ გადარჯულდება. ისიც ვიცით დიდი ხანია, რომ ამის მიზეზი სასულიერო პირთა შეუსაბამო აღზრდაა და ამ აღზრდამ ჰქმნა, თუ იმ მღვდლების პირადმა გონება-ზნეობის მიმართულებამ-სარწმუნოება უკვე შეირყა და ქართველი ხალხი ამჟამად მეტნაწილად ეკლესიას გაურბის.. ეს ყველამ ვიცით, ესეა, მაგრამ იმედი მაინც არ გვეკარგებოდა, რომ ქართველი ხალხის ესეთს თანდათანს ეკლესიიდან განშორებას, თავის მამა-პაპის სარწმუნოებისადმი გულის აყრევინებას ოდესმე მაინც ახალი რამ განკარგულებით ბოლო მოეღებოდა, მაგრამ სწორედ ამ ახალი განკარგულებით დაგვეკარგა რაიმე უკეთესობის იმედი. ეს სასულიერო მთავრობის ახალი განკარგულება ის არის, რომ ქართველ დედ-მამას თავის შვილებისათვის ქართული სახელის დარქმევა (ორიოდეს მეტად) აღარ შეუძლიან. ძველადაც იყო ერთი განკარგულება და იმაში შესდგებოდა, რომ ყველა მოსანათლავ ბავშვისათვის მღვდელს მხოლოდ იმ სახელის დარქმევა შეეძლო, რა სახელიც რუსეთის ეკლესიისგან შედგენილი წმინდანების სიაში იყო მოხსენებული. ამ ძველი განკარგულებითაც უძნელდებოდა ქართველებს თავის შვილისათვის ქართული სახელი დაერქმევინა, მაგრამ საქმე მაინც რიგდებოდა როგორმე. ნათლობის დროს მღვდელსა და მშობლებს შუა ბევრჯერ მომხდარა სახელის შესახებ კამათი:ამ ოცდაათიოდე წელს ბევრი შემთხვევა ვიცით, რომ თვითონ წმინდანების სახელების:ნინოსი, თამარისა, ქეთევანისა, არჩილისა, და ლუარსაბის დარქმევასაც უარჰყოფდნენ მღვდლები-რუსულ სიაში არ არიან მოხსენებულიო, და არა წმინდანების, მაგრამ ქართველების საყვარელ სახელებს:ვახტანგისას, მირიანისას და სხვა ისტორიულ პირთა-ხომ ახლოს არ იკარებდნენ. ერთი შემთხვევა ვიცით, რომ მშობლებისაგან რუსუდანის დარქმევაზედ შემოსილმა მღვდელმა შესამოსი გაიხადა, და მონათვლაზედ უარი სთქვა, მაგრამ მშობლის მუქარისა- სხვა სარმუნოებაზე მოვნათლავ და სახელს კი არ შევცვლიო, ნათლიის აღთქმის შემდეგ ჯარიმას მე გადავიხდიო-ძლივძლივობით დაათანხმეს. მაგრამ იმ დროს წესის გზით ახვევა შეიძლებოდა, რადგან ჯარიმის გადახდით რიგდებოდა საქმე და ამასთანაც მაშინ გაბედული, საკუთარი აზრის მედგრად მიმდევარი მღვდელი ერთი-ორი მაინც მოიპოვებოდა და მით სასურველი სახელის დარქმევა ადვილდებოდა. ამისთანა შემთხვევებისთვის რად ღირდა, მაგალითად, აწ განსვენებული მ. სოლომონ ელიოზიშვილი. ის არ იყო არქიელის შენიშვნაზედ:,,როგორ გაჰბედე და დარეჯანის სახელით მოჰნათლეო, ეს ხომ ურჯულოს სახელიაო?""უპასუხა""ყველა ქართული სახელი წმინდანის სახელად მიმაჩნია იმ საბუთით, რომ საქართველოში კაციც და ქა-ლიც მთელი თხუთმეტი საუკუნე მართლმადიდებელ სარწმუნოების დასაცველად იბრძოდა და მაჰმადიანთაგან იჟლიტებოდა. იმ მოსრულებში დარეჯანებიც ბევრი იქნებოდნენ. მაშ დარეჯანიც, ვითარცა სარწმუნოებისთვის მომკვდარი-წმინდანად მიმაჩნია. ჩვენში იმათი სიაში ჩაწერა წესად არ იყო მიღებული და იმოდენა სიის დაწერაც შეუძლებელი იყო. სიის უქონლობას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს; ჩემი აზრით ყველა ქართველი სახელი-წმინდანის სახელია და თუ ეს საბუთი თქვენთვის ცოტაა,-აი, ჯარიმა ინებეთო. მაგიდაზე ხუთ მანეთიანი დასდვა და მსწრაფლ განშორდა. ამ გაბედული პასუხით განცვიფრებულმა არქიელმა იმის თქმა-ღა

მოახერხა თურმე”ვოტ სუმასშედშიო”!” იგი პასუხი კი დიაღ საბუთიანი პასუხი იყო. ეს უწინ იყო და იოლად მივდიოდით. ეხლა კი ეს წესი მოხელეთაგან ახალი მოხერხებული ჩამატებით არის განმეორებული და ეს დამატება ავალებს მღვდლებს დარქმეულ სახელს მეტრიკის დავთარში ზედ დაურთოს იმ სახელის წმინდანის დღესასწაული რა თვეში და რა რიცხვში მოდის, ეს ხერხიანი დამატება მთლად ჰზღუდავს მღვდლებს და გარემოს შესაფერისად მოქმედებას ხელიდგან აცლის. ხოლო მათსა და მმშობლებს შორის განწყობილებას უფრო ამწვავებს. ამ ახლო ხანებში ამისთანა შემთხვევები უკვე მომხდარა:მშობლებს თავიანთი სურვილით არჩეული სახელი ვეღარ დაურქმევიათ:მღვდელს ვახტანგი უარყვია, თინათინისთვის გვერდით ტატიანა მიუწერია და სხვა კიდევ რამდენი იქნება, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცით. მშობლების ამისთანა შეზღუდვას რა ბოლო მოჰყვება- ადვილი გამოსაცნობია. მშვიდობიანად გათავებული მღვდლისა და მშობლების უთანხმოება ორმაგ სახელებს გაამრავლებს, ისე რომ ქართველს ოჯახში და საზოგადოებაში ერთი სახელი ერქმევა და საბუთებში მეორე,- ეს კი ცხოვრებაში გარემოებათა გართულებას და გაუგებრობას (ნედორაზუმენიეს) მოახდებს. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც მრავალი იქნება, რომ მშვიდობიანად ვერ გათავდეს საქმე. მაშინ ბავშვების მონათვლა დაბრკოლდება, ანუ დედ-მამა რაიმე არა სასურველს გზას დაადგება. ჩვენს სასულიერო პირთ ჰმართებთ ამ გარემოებას ეხლავე შესაფერი ყურადღება მიაპყრონ და ვისაც ჯერ არს შეატყობინონ, რომ ქართველებს თავის საყვარელი სახელები აქვთ, იმ მამა-პაპა, ბებიათა და ისტორიულ პირთა სახელები, რომელთაც, ზევით მოხსენებული მღვდელი ელიოზიშვილის არ იყოს, სარწმუნოებისათვის უბრძოლიათ და მისთვის მსხვერპლად მოუტანიათ თავის სიცოცხლე და ამ სახელებს იგინი ვერ დასთმობენ და მათ ნაცვლად უცხო სახელებს ვერ შეითვისებენ. ვახტანგს, ვახუშტს, შოთას, ომანს, თეიმურაზს, ქაიხოსროს, რამაზს, თამაზს, ზაალს, ოთარს, ამირანს, ავთანდილს, ამირინდოს... დიდი ხანია ქართული სახელების სია უკვე წარდგენილია სადაცა ჯერ არს , რუსუდანს, მანანას, თინათინს, ნესტანს, დარეჯანს და სხვადასხვა ვერ გაცვლიან პანკრატზედ, პროკოპზედ, პანფილზედ, საველიზედ, ავთოდიაზედ, დუნიაშაზედ, ლუბაზედ, ნადეჟდაზედ, ლიუდმილაზედ და სხვა და სხვაზედ. უნდა შეატყობინონ, რომ ყველა ერს თავისი საკუთარი სახელები აქვს და დიდად აფასებს იმ სახელებს. სამღვდელოება მოვალეა აღარ დააყოვნოს ეს საქმე და არც თუ ძნელია ეს იმისთვის, რადგან დიდი ხანია ქართული სახელების სია უკვე წარდგენილია სადაც ჯერ არს დასამტკიცებლად, მღვდელთა სახელმძღვანელოდ. მხოლოდ მოგონებაა საჭირო საქმის ამჟამად მდგომარეობის აღსნით და იმ სიის ხელახლად გადასინჯვით და თუ საჭიროა სახ ელების დამატებით, რაიცა უნდა მოხდეს არა სასულიერო მცოდნე პირთა დასწრებითაც. ეს თუ არ მოხდა, ქართველ ხალხში, სხვადასხვა შევიწროებით უკვე შერყეულ მართლმადიდებელ სარწმუნოებას უფრო მეტი შერყევა მოელის.

30 წლის წინად (იშვიათ იუბილეს გამო)

,,სახ. გაზ.” 1913, N 1006, 1 ოქტ. გვ. 2.

ეს იყო 30 წლის წინად. სკოლის გახსნაზე დასასწრებლად ტფილისიდან გაემგზავრა დიდძალი ხალხი. მათ შორის ერია ამ სტრიქონების დამწერიც.

რამდენი მოგონება გვიელვებს თავში, რამდენი ცოცხალ აღარ არიან იმათგან, რომელნიც მაშინ შესტრფიალებდნენ განათლების ახალს კერას, რომლისაგან სამართლიანად მოელოდნენ საქართველოს მეურნეობის აღორძინებას!

გიორგი ქართველიშვილი, მგოსანი იოსებ ბაქრაძე და მე ცალკე ეტლით მივეშურებოდით წინამძღვრიანთკარს და გზადაგზა სულ იმაზე ვბაასობდით, თუ რა შეუძლია კაცს, ოდეს ხალხის, ერის სიყვარულით გამსჭვალულია და მის საკეთილ-დღეოდ ჰფიქრობს და ზრუნავს მარადის.

წინამძღვიანთკარს რომ მივედით, იქ დაგვხვდა თვით ილია წინამძღვრიშვილი, დიდ ილია ჭავჭავაძესთან ერთად. ორივეს სიხარულის ნათელი ადგათ. მალე მოვიდა ღენერალი სტაროსელსკიც, დიდი ილიას ქვისლი და სიძე გურამიშვილებისა. ეს ღენერალი ქართველების წარმატების მოსურნე იყო და ამასვე დაემტკიცებინა წესდება სკოლისა, რომლის გახსნაზე აწ შეკრებილიყო ხალხი გარშემო სოფლებიდანაც.

მღვდელმა გიორგი ასათიანმა დაიწყო საეკლესიო წესის ასრულება და ბოლოს ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა.

ყველა მიესალმა ილია ივანეს ძეს და მიულოცეს ასეთი დიდ საქმის დაგვირგვინება, გლეხობა და ყველა თავს ევლებოდნენ ძვირფას მოჭირნახულე ილიას.

საკლასო ოთახების დათვალიერების შემდეგ ილიამ სტუმრები მიიწვია სუფრაზე, რომელიც გაშლილი იყო მუხათა ჯგუფის ქვეშ. თავში მოთავსდა სტაროსელსკი და ბოლოში ილია ჭავჭავაძე, გაიმართა სადღეგრძელოები. ყველანი აქებ-ადიდებდნენ ილია ივანეს ძეს და მის საქმეს. სადღეგრძელოები თუმცა მადლიერი გულის სიღრმიდან იყო აღმოხეთქილი, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ მათ რაღაც აკლდა. ის-ის იყო ასაშლელად ემზადებოდნენ, რომ დიდი ილია ჭიქით ხელში აიმართა ფეხზე, გადავიდა ბლომად მოგროვილ სოფლელების მხარეს და მიმართა მათ თავისი ცნობილი სიტყვით*.

სიტყვის დაწყებას ემზადებოდა, რომ მოვკარით ყური სტაროსელსკის წარმოთქმას:"მაგან კი ილაპარაკოს და გლეხები ყველაფერს ადვილად მიუხვდებიან:მაგას ისინი ადიდებენ და ეთაყვანებიან, უმაგისრჩეოდ და მაგის დაუკითხავად ეგენი ფეხს არ გადადგამენ ხოლმე, მაგის ძმური სიტყვა ჩვენი ხეობის ქართველებისათვის კანონი და წესია"-ო[78]**.

დაიწყო ილიამ დინჯად, წყნარად, მკაფიოდ. დიდებულს შთაბეჭდილებას ახდენდა ის ადგილები, სადაც იგი შეეხებოდა განათლების საჭიროებას, დედამიწის ავკარგის გაგებას, მიწის გულში უძრავად მდებარე სიმდიდრის შეძენის საქმეს და სხვ. ბოლოს და ბოლოს მისი მჭერმეტყველება უმაღლეს წერტილამდე აღიწია. დღეს რომ ვიგონებ, ვფიქრობ, რატომ მაშინ არ იყო ფონოგრამი, რომ ეს დიდებული წარმოთქმა საქართველოს უდიდესი სკოლისა გადეღო და მარად დაეტკბო ჩვენი ყურთა სმენა და გულისყური.

---

[7] * ეს სიტყვა იმავე წელიწადს დაბეჭდა ,,ბუნების კარში" იაკობ გოგებაშვილმა, როგორც მარგალიტი მჭერმეტყველობისა და ჩინებული გეგმა ქართველთა მიერ მეურნეობისა და სამთო საქმის შესწავლის საჭიროებისა.

[8] ** რაც მე აქაურობას შემოვესიძე (1883 წელს),- წერს იგი, მას აქეთ ვიცი, რომ აქაურობა ილიას აღმერთებდა, თავის კეთილ მამად და მთელის საქართველოს წარმატების მოტრფიალე მესვეურად მიითვლიდა, მასთან დაიარებოდა თავისუფლად, რჩევისა და დარიგების მისაღებად, ხოლო მის დღეობას მანანასებრ მოელოდა მთელი ხეობა და ილიაობის მოსალოცად ყველა, ვინც მოცლით იყო, სიხარულით მიეშურებოდა საგურამოს. არ დამავიწყდება:ხოლერა რომ დაერია საქართველოს 1892 წელს და აქა-იქ დაინიშნენ მასთან მებრძოლო წრეები, ილია, როგორც აქაური წრის გამგებელი, თავდადებით და უშიშრად დაიარებოდა სოფლით სოფლად, არიგებდა ხალხს და ჰპატრონობდა. მისი ანგარიში ხოლერასთან ბრძოლის შესახებ იმავე წელიწადს, სხვა ამგვარსავე ანგარიშებთან ერთად, მთავრობამ დაბეჭდა გაზეთში, მგონი, ,,პრავიტელსტვენიე ვესტნიკში". მ.ჯ.).

გათავდა მჭერმეტყველება და იგრიალა ტაშისკვრამ. გლეხებიცა და დანარჩენი სტუმრებიც ყველანი ფეხზე ადგნენ და შემოეხვივნენ დიდ ილიას. გლეხობამ ცალკე მადლობა გადაუხადა ორატორს და აღუთქვა:თქვენს დარიგებაზე ვივლითო და ჩვენს შვილებს ამიერიდან მეურნეობას შევასწავლით იმ სასწავლებელში, რომელიც გაგვიხსნაო ჩვენმა საყვარელმა ილია წინამძღვიშვილმაო. მაგათი გვარისელები სულ წინამძღვრელები ყოფილან და მაგანაც მამა-პაპათა ანდერძს არ უღალატა, კეთილად იწინამძღვრებსო.

საღამოვდებოდა. სტუმრები ეთხოვებოდნენ წინამძღვიანთკარს და სამაგალითო მასპინძელს, ილია ივანეს ძეს. დიდმა ილიამ მიგვახედა არაგვის მხრისკენ და გვითხრა:"რა დიდებული სურათია, რა მშვენიერად გამოიყურება ჩამავალი მზე მუხების ჯგუფიდანო!" არ დამავიწყდება სიკვდილამდე, ამ მზის სხივები რა მომხიბლავად ეთამაშებოდა მაშინ თვით მის მოტრფიალე ილიას ლამაზად გაბადრულს პირისახეს!

მადლით მოსილები დაგვხვდნენ და ნათლისმოსილებმავე ორივე ილიამ გამოგვისტუმრეს.

.....

ქართლი. (მემატიანეთა საყურადღებოდ)

,,საქართველო" 1915, N 57, 30 ივლ. გვ. 3.

როდესაც ადევნებ თვალყურს ამ უმაგალითო მსოფლიო ომს, გაზეთებიდან იგებ და თვით ხდები მოწამე საქართველოში მომხდარ უბედურებისა, ძალაუნებურად გებადება თავში აზრი, ვაითუ დაგვიდგა აღსასრულის დღე და სრულდება ქრისტეს მიერ ნათქვამი სიტყვები, რომ ,,აღსდგება ერი ერზედ და მეუფება მეუფების წინააღმდეგ, ამას დაემატვის კიდევ სხვა უბედურებაც,- სიყმილი, მიწის ძვრა და სვრა ადგილ-ადგილ".. (სახ. მათ. თავი 24-6-8). ჯერ აგერ ერთი კუთხე საქართველოსი აღიგავა პირისაგან ქვეყანისა, საქართველოს კუთხის საუკეთესო შვილნი გაიგმირნენ მტრისაგან მახვილითა, კახეთი ააოხრა სეტყვამ და დაამშია, დასავლეთი საქართველო წარღვნამ წალეკა და აგრეთვე დაამშია, ქართლსაც არანაკლები დღე დააყენა; აპრილის მოულოდნელმა ყინვებმა ხელი დააბანინა და მოუსპო აუარებელი შრომა, ქართლელთ და ესეც ხომ არ აკმარა! მოევლინა საშინელი ავადმყოფობა ხალხისა და მის მარჩენალ საქონლისა. გაზაფხულს აქეთ მუშა და მეწველი საქონელი ,,თურქულისგან" დაკუტებული ჰყრია და გულზე ხელდაკრეფილი შესცქერის ქართლელი მას და მომცდარ ჭირნახულს და ჰფიქრობს:რითი მოიტანოს და გალეწოს! ჭირმა ხომ სულ მუსრი გაავლო წვრილფეხა საქონელს და შინაურს ფრინველებს და მოუსპო სახსარი ცხოვრებისა. მას დაუმატეთ ბავშვების სენი, მყივანა ხველა, ყვავილი, წითელა და სხვა, რომელთაც, არ დაინდეს საქორწილო და გასათხოვარიც კი და მასთან ერთად ,,უცნაური" სატკივარი დიდისა და პატარისა, რომელმაც სა-ქონელთან ერთად ხალხიც დააკუტა! საქონლის ,,თურქულივით" ხალხს უჩნდება ფეხის თითებში იარა და მასთან მატლიც და საგრძნობლად აწუხებთ და არიან ერთ ვაება წვალებაში. მაგალითად ს.კარბში (გორის მაზრა) მოხუც ბესო რჩეულაშვილს ისე აწუხებს ეს ,,უცნაური"ავადმყოფობა, რომ დღეს იგი წამლის სახსარს მოკლებული მარილის კვნიტს უგზავნის ლოცვების მცოდნე დედაბერს, რომ მან საქონლის ,,თურქულისა" შეულოცოს და მის ფეხებს ეგებ მატლები გაუყრევინოს! ასე და ამრიგად ეჭიდებიან ხავსს ჩვენი უსწავლელი ქართველნი. საჭიროა ყურადღება მიაქ-

ციოს ვისიც ჯერ არს და ,,უცნაური” ავადმყოფობის გამოკვლევის შემდეგ შესაფერი წამალი დასდოს უნუგეშოდ დატოვილ მეომართა ხიზანს.

წელს იმედი გვქონდა, რომ ჭირნახული მაინც მოგვივიდოდა, მაგრამ თქვენი მტერი, უდროოს ამოვარდნილმა ცხელმა ქვენა ქარმა ისე აასწრაფა და ააბჩალა ქერი და ყანები, რომ სათესლეც კი გააწყო. ვენახები ხომ ისეა წამხდარი, რომ წელს ქართლში რთველი არავის ექნება.

,,ზედაშე გაგვიწყდაო” ამბობენ ყველგან. ასე და ამ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სამშობლო და ვინ იცის კიდევ რით გათავდება.

ქართველთა სიძველეების დაცვა

,,საქართველო" 1916, N 166, 27 მკათათვე, გვ. 4

ავტორი აღნიშნავს, რომ მას დაუთვალიერებია საქართველოს თითქმის ყველა სიძველენი და მუდამ მის სულს მძიმე ლოდად დასწოლია უნუგეშო მდგომარეობა. ვახუშტის დროს, ესა თუ ის ძეგლი მარტო ,,ხუცის ამარ” იყო მიტოვებული, დღეს ესეთებიც ღვთის ამარ მიგდებულია. ჰხედავ მამა-პაპათა დიდებულ ქმნილებას, რომლის ნაზი ჩუქურთმა, ხვეული ხელოვნება და მოხატულობა თვით პარიზის არქეოლოგთა ჟიურისაგან დაიმსახურებდა პირველხარისხოვან ჯილდოს, სავსეა საქონლისა და ღამურების განავალით, წაბილწულად შიგნიდან და გარედან, უსარკმლო-უკარებოდ, აქა-იქ დაბზარულს, გახეთქილს. ამასთანავე, ვინ გინდა ახმახი, რომელსაც ენახოს იგი და მის კედლებზე მჭრელი ქვით ან დანით არ გამოეჭრას თავისი სახელი და გვარი! ამისთანებს არ დაუნდვიათ არც სვეტიცხოველი, არც უფლისციხე, არც ატენის სიონი, არც ბაგრატის საყდარი და არც სხვა. ზოგიერთაგან სხვადასხვა ტვინთხელაძე-ფეთხუმებს ჩამოუგდიათ თვით ძველი წარწერიანი ქვაც ძეგლის მაშენებელთა და მის მაგიერ ახალი უცხო წარწერიანი ქვები მიუმაგრებიათ... სხვაგან ამგვარ ნაშთებს საერო სიამაყედ სთვლიან, მათ უდგენენ დარაჯებს, ბილეთებით უჩვენებენ მოსიყვარულეთ, არ იშურებენ მათ დასაცველად, მათში გადარჩენილ ნაშთების შესანახად ან ასაწერად მილიონებს. ჩვენ კი, რომელნიც უებროდ მდიდარნი ვართ სახუროთმოძღვრო, სამწერლო და სხ. ნაშთებით, ყველა ამას სათანადო ყურადღებით არ ვეპყრობით. დღითი დღე იმუსრება ეპიგრაფიკა, უჩინარი ხდება მრავალი ძვირფასი ნაშთი. სახელოვანი ფრანგი ლანგლუა და მისი ამხანაგი შენობსი აღნიშნავენ, თუ საფრანგეთის რევოლუციამ რა სამსახური გაუწია ისტორიულ კვლევა-ძიების საქმეს 1789 წელს, როდესაც გამოაცხადა, რომ ყოველი ძველი ნაშთი არის მთელი ეროვნების კუთვნილება, ყველა მოძრავი საუნჯე უნდა შეიკრიბოსო ,,პარიზის ნაციონალურ არქივში, ხოლო უძრავს უნდა ეპატრონოსო, როგორც ეროვნულ ძეგლს. ამავე წესით დაწესდა ინგლისის ეგრეთ წოდებული ,,ბრიტანიის მუზეუმი”. ამას გარდა, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობამ გადასდო დიდი თანხა არათუ მარტო საეროვნო ბიბ-ლიოთეკისათვის, სალაროებისა და სხვა ნაშთების ასაწერად და მოსაწყობად, არამედ შემოსაკრებადაც ყველა ცნობებისა თავიანთ სამშობლოს ყველა კუთხე-ყურეს ნაშთების შესახებ. ამისთანა მოღვაწეობის ნაყოფია მონუმენტალური ,,Corpus inseriptionum Latnorum, რომლის შესადგენად სამწიგნობროებსა და მუზეუმებში მრავალმა მეცნიერმა იმუშავა თითქმის 50 წელიწადი. საფრანგეთში დაარსეს თვით ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკის შესასწავლი უმაღლესი სასწავლებელი ,,Ecole

seschartes”. სხვაგან რომ ასე მუშაობენ თავიანთ წარსულ დრო-ჟამთა ნაშთების დასაცველად და უზრუნველსაყოფად დანგრევა-გაოხრებისაგან, ჩვენ ვდუმვართ, არც კი გვაგონდებიან ჩვენებურები. და მათ კი არათუ სტიქიონი ემტერება, არამედ უპატრონოებს ხშირად ,,ეშმაკებიც”” უპატრონდებიან. დროა გამოვფიზლდეთ. ჩვენს დიდებას აშკარად მოწმობს ჩვენი წარსულის უამრავი ნაშთები, ხშირად გაოცებული თვით ლაღ და ამაყ ევროპიელებისაც. მოძრავი ნაშთები-ხელნაწერები, მიმანქრიანი ხატები, ხვეული და ჩუქურთმიანი ნაშთების ნიმუშები და მრ. სხვა ბლომად შემოკრებილა სათავადაზნაურო გიმნაზიაში მოთავსებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო და წ.კ. საზოგადოების მუზეუმებში და აგრეთვე საეკლესიოში, რომელიც ამ დღეებში უკვე დაბინავდება მათსავე გვერდით იმავე შენობაში. მაგრამ ეს არ კმარა. რამდენია კიდევ შემოსაკრები, შესასწავლი, ასანუსხი, ასაწერი. ყველა ამას უნდება არაერთი მცოდნე მუშაკი და თანხაც, რომ მუზეუმებმაც ღირსეულად იარსებონ და მუშაკებმაც ნაყოფიერად იმუშაონ, ასწერონ საქართველო, დაგვისურათონ მისი ყოველი კუთხე, დაგვანახვონ მისი ყოველი არენი და სანახაობანი მთლიანად. ამ საშვილიშვილო საქმის გაძღოლა დღეს შეუძლიან მხოლოდ იმერ-ამერის თავად-აზნაურობას. მარტო ამ წოდებას დღეს აქვს საკმაოდ დამოუკიდებელი რიხი და ამასთანავე ქონებრივი შეძლება მოუარონ მშობლიურ ნაშთებს, მით უმეტეს, რომ უდიდესი ნაწილი ამ ძეგლ-სახსოვრებისა შექმნილია მათივე სახელოვან წინაპრების მიერ და ამათი შენახვა უნდა შეადგენდეს უწინარეს ყოვლისა მათ საგვარეულო სიამაყეს და მერე მთელი საქართველოისას. ჩვენის ფიქრით, აღნიშნავს დასასრულ მ.ჯანაშვილი, თავად-აზნაურობის, აქ თუ იქ, საკრებულოსთან უნდა დაწესდეს მცირე კომიტეტი ხუროთმოძღვრითურთ და მას დაევალოს მთელი ზემოხსენებული საქმე, ამასთანავე თვალყურის ჭერა, რომ ვერავინ გაავერანოს ჩვენი მამა-პაპების ძეგლები. ისიც დიდი სანუგეშო იქნება, თუ ძველ სახუროთმოძღვრო ნაშთების მოვლა-პატრონობას კომიტეტის დახმარებით იკისრებენ მათი ამშენებლების დღევანდელი შთამომავალნი. ნუ დავივიწყებთ ძველს თქმულობას:,,თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები”. შორს მცონარეობა! საქმეს ვუმუყაითოთ.

მამულიშვილობა

,,საქართველო” 1916, N 256, 17 გიორგობითვე, გვ. 4.

თუ არის მამული, მამულიშვილობაც მუდამ იქნება.

თუ არის მშობელი, სამშობლოც არ გამოიწირება.

ინტერნაციონალობა ამათ მაგიერობას ვერ იზამს.

ამიტომ რომ, რა გინდ კაცი ღატაკი იყოს, უქონელი, ბოგანო, მაინც შეუძლებელია ასეთის გულშიაც კი არ ღვიოდეს მცირედი ნაპერწკალი მამულიშვილობისა, მშობელ ქვეყნისადმი მისაყვარლებისა.

ამ გრძნობას კაცს უნერგავენ მრავალგვარნი პირობანი, რომელთაგან გარემოცულია იგი დაბადებითგანვე.

ნათესაობა, წრე, საზოგადოება, გარემო ბუნება, ღვიძლი ენის საიდუმლო ხმები,- ყველა ეს არის ის ხელოსანი, რომელიც ჰქმნის ამა თუ იმ პიროვნებას, რომელიც იპყრობს მთელს მისს არსებას, რომელიც ათესლებს მასში მამულიშვილურ გრძნობას.

ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო,- ამბობს ჩვენი ხალხი.

ეს მარტო ფრინველზე კი არ არის ნათქვამი, ყველა სულდგმულზეა.

ყოველი სულიერი თავის ბუნაგისაკენ მიეზიდება, მიიტრფის, უმეტესად კი ადამიანი.

,,სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
და მისროლია ისარი
სად მამა პაპა მეგულვის და მათი
კუბოს ფიცარი
ჩემი სამშობლო იქ არი!”
მართალი სიტყვებია.

საქართველოს კათალიკოზი

,,საქართველო” 1917, N 182, 19 (1) მარიამობისთვე, გვ. 3-4.

საცაა უნდა აღსრულდეს ქართველთა ოცნება.

საცაა საქართველოს დიდი იერარქების კირიონის, არსენი დიდის, ოქროპირის, ბულმაისიმისძის, ანტონის და სხ. უსამართლოდ გაუქმებული კათედრა უნდა აღდგეს მკვდრეთით.

საცაა ამ დიდი იერარქების საყდარი უნდა დაამშვენოს ახალმა კათალიკოზ-პატრიარქმა.

დაამშვენოს, მეთქი. და რომ დაამშვენოს, უნდა ამოვირჩიოთ კათალიკოზად კაცი მტკიცე ხასიათით, სპეტაკი ყოფაქცევით, თაოსანი, მოყვარე საქმისა და საქმიანობისა, დაუცხრომელად მზრუნველი, აღმაშენებელი ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. ისეთი, რომლისთვისაც ბედნიერება ქრისტიან ქართველებისა ისევე სანუკვარი საზრუნავი უნდა იყოს, ვით კეთილდღეობა არაქრისტიან ქართველებისა.

გასაკეთებელი და მოსაწყობი უამრავია.

ისიც ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა შეფარდებითა და შეწონით.

მარტო ლოცვა ხელების ცისადმი აღპყრობით არა კმარა, რომ კათალიკოზად იჯდე.

ეხლა სვინდისისა და რწმენის თავისუფლების დროა.

ერის უმრავლესობა რაოდენათმე გაუგრილდა სარწმუნოებას. ეს შეინიშნება არა მარტო ჩვენში, არამედ ქებულ ევროპაშიაც დიდი ფილოსოფოსები, ,,ვოსკრესენიეს””ავქსონისთანა ბუმბერაზები უფრო გაურბიან საყდარს. ეს იმას მოასწავებს, რომ ქრისტიანობა დიდ ევოლუციას განიცდის...

სასწაულების ხანა გავიდა, თუ ასეთებად არ ჩავთვალეთ ჰაერში ფრენა-ნავარდი, წყლის ქვეშ ცურვა-სრიალი, ათას ვერსზე, ვითა პირისპირ, დალაპარაკება, ორთქლის შებმა, ელექტრონით განათება, ამოძრავება მაშინებისა და მრავალი სხვა სასწაულებრივი საქმე.

ჩვენმა კათალიკოზმაც უნდა ჰმართოს თანახმად ამ ახალ დროის მოთხოვნილობათა, რომ არ დაემსგავსოს იმ მენავეებს, რომელთაც რახან ზღვაში აუტყდათ ქარიშხალი და ღელვა, სახოპეებს ხელი აართვეს, მოჰყვნენ პირჯვრის წერასა და ლოცვას და უსათუოდ დაიღუპებოდნენ, თუ ნაპირიდამ ბრძენს არ ერჩია მათთვის:,,თქვენ ოჯახაშენებულებო, ლოცვით ილოცეთ, მაგრამ ხოპებსაც მოუსვით, რომ გეშველოთო”.

კათალიკოზი ჩვენ გვინდა არა მარტო იმისთვის, რომ ილოცოს, მარცხნივ და მარჯვნივ ჯვარი გადმოგვსახოს; მან ხოპის კარგი მოსმაც უნდა იცოდეს, რომ ჩვენი ნავი კლდეებს და კონცხებს არ დაახეთქოს საკათალიკოზოდ დარჩენილი მძიმე

ტვირთი, მძიმე მით უმეტეს, რომ მან თავისი მოქმედება უნდა შეუწონოს ახალ მთავრობის მოთხოვნილებათაც.

მონასტრები და ეკლესიები არ დასტოვოს მრევლიდან შემოსავლის ანაბარას, არამედ, მათში მეურნობის აყვავებით მცოდნე ინსტრუქტორების ხელმძღვანელობის ქვეშე გაამლიეროს მათი შემოსავალი იმდენად, რომ ამ შემოსავლით მომავალში გამოიკვებოს არა თუ მარტო სამღვდელო დასი, არამედ გაკეთდეს მრავალი კეთილი საქმე:დაარსდეს სკოლები, გაიმართოს სარწყავი არხები, დაშენდეს ახალი სოფლები, შემოსავლის გასაძლიერებლად ჰაეროვნებით ქებული მონასტრების იალაღზე მოეწყოს აგარაკები.

საჭიროა სამღვდელოება აღიზარდოს ისე, რომ მას ჰქონდეს პირველდაწყებითი ცოდნა მკურნალობისა, მეურნეობისა საზოგადოდ. ამის უცოდინარი დღევანდელი მწყემსი მხოლოდ იმის მწყემსია, რომ ღატაკ გლეხებისაგან იღოს დრამა, ჰნათლოს, ჰმარხოს და კვირაში ერთხელ სწიროს, ისიც ხშირად, მთქნარებით, უგულოდ.

აბა ეს რა მყემსობაა!

ჭეშმარიტი მწყემსი თავის არაპირმეტყველ სამწყსოს იყვარებს სულით და გულით, უკეთეს საბალახოზე აძოებს, იცავს მტაცებელისაგან, ზამთრობით თბილ ბოსელში ინახავს, ზაფხულობით გრილ ბაკებში აბინავებს, უურვებს, უხვეტავს, უგვის.

მას უნდა ჰბაძავდეს პირმეტყველთა მწყემსიც.

იგი მოვალეა ხალხს ასწავლოს წიგნი, კეთილი ზნეობა, სუფთა ცხოვრების საჭიროება, უმკურნალოს ექიმის მოწვევამდე; უკითხოს წიგნები სამეურნეო დარგიდან, უკითხოს გაზეთები, ეცადოს რომ მის მრევლში ერთიც არ დარჩეს უანბანო, უწიგნო.

მრევლის სამსახური უნდა იყოს მღვდლობის უსაღვთოესი მოვალეობა, მთელი მისი არსება. ერის სამსახური მას არა თუ უნდა ღლიდეს, არამედ თვით დაღლილსაც სიმხნევეს უნერგავდეს და ამუშავებდეს.

შეყვარებული საქმე კი არ ღლის კაცს, ალომებს, შეყვარებული კი ხელის მოკიდებამდეც ჰქანცავს. საქმეს უნდა ეშინოდეს მშრომელისაგან და არა მშრომელს საქმისაგან!

კათალიკოზის უნარმა სხვა ენაზე სწავლამიღებული ჩვენი სასულიერო წოდება უნდა აღამაღლოს იმდენად, რომ შესძლოს პირნათლად გაუძღვეს სამწყსოს მრავალგვარ მოთხოვნილებას, დაემსგავსოს, თუნდაც მცირე ფარგალით, პასტორთ წოდებას გერმანიისა, საცა პასტორი მასწავლებელთანა და მკურნალთან ერთად შეადგენს ანსა და ჰოეს სოფლის მოღვაწეთა შორის.

მაშ ვიღას მწყემსია მღვდელი, თუ მის სამწყსოში უმეცრება, ცრუმორწმუნება, სიბრიყვე დანავარდობს უბნიდან უბანს, ორღობიდან ორღობეს და თვით საყდრის კარამდეც, ხანდახან, სამარცხვინოდ.

კათალიკოზი თავიდანვე უნდა შეეცადოს ამოაგდოს აწინდელი ტიპი მცონარე და უმაქნისი მღვდლისა. სჯობია 5-10 სამრევლო აწარმოოს ერთმა ჭეშმარიტ მოძღვარმა, ვიდრე ათივეს ჰყვანდეს თითო ლოთი, ფეთხუმი, მუცლოსანი, ისეთი, რომელსაც არა თუ თავი არა აქვს მოუაროს მთელს სოფელს, არამედ თავის საყდარსაც, რომელსაც, ხშირად, სტოვებს ობობისა, მტვერისა და ჭუჭყის ანაბარას.

შორს ამგვარები წმიდა საქმისაგან, ჩვენ მაცხოვნებელ სოფლისაგან.

საყდარი აღარ უნდა იყოს სამადლო სახლად, სადაც იკვებებიან უმაქნისნი, დრკუნი, სვინდისგარეცხილნი, საწმყსოს დამქცევნი უფრო, ვიდრე ამშენებელნი.

რაღა თქმა უნდა, კათალიკოზის მოვალეობა კია იზრუნოს ქართულ დიდებულ ტაძრების დაცვისათვისაც, რომ მთლიანათ შენახულნი არ დაინგრნენ, ხოლო დანგრეულებს და მიყრუებულ ადგილებში მივარდნილებს არ დაუპატრონდენ ,,ეშმაკები".

კათალიკოზმა უნდა აღადგინოს ძველანდელი ქართული წესი ცოლოსნობისა სასულიერო წოდებაში.

აი ეს ამდენი და ბევრიც სხვა საქმეა გასაკეთებელი. აი ესევითარი შრომა უნდა იტვირთოს ჩვენმა კათალიკოზმა, გულწრფელ ზრუნვით გლეხთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მშობელ ერის ჭირვარამის გაზიარებათ, მზადყოფნით მისთვის თავდადებად, უნდა მოიგოს მისი გული, მისთვის თავდაუზოგველ შრომითა და რუდუნებით უნდა ატაროს დრონი და ჟამნი, და ამასთანავე მარად სწავლობდეს განათლებულ ერთა გაუმჯობესებულ სასოფლო ცხოვრებას და შესწავლილს შეასწავლიდეს სამამადმთავრო მრევლს, საქართველოს.

რა ბედენაა ჩვენში კათალიკოზი, თუ თავზე დაირქვამს ბრჭყვიალა მიტრას, ტანზე ჩაიცომს ფარჩის კაბას, სამაჯურზე გაიკეთებს უსაქმობის ნიშანს-კრიალოსანს და დაბრუნდება თავისთვის განსვენებით, და ნება-ნება ამას აკურთხებს ღვდლად, იმას დიაკვნად, ისიც, ალვად, მდივნისა, თუ გარეშეთა კარნახით.

ერთი სიტყვით, კათალიკოზის სამკაული ფრიადია, და ვისაც თესვა და მკა არ ძალუძს, ნუ გამოვა ასპარეზზე.

საკათალიკოზო საყდარს სჭირია გამოცდილი მესვეური, ხელოვანი მესაჭე, დიდი თაოსანი, ორგანიზატორი, დამოუკიდებელი, რაოდენადაც შეიძლება, კაცი,

გვყვანან დღეს ჩვენ ასეთები? უნდა მოვნახოთ გულის სიწრფელით.

ღმერთმა ინებოს, არჩევანში არ შევცდეთ, არ მოვტყუვდეთ. გაუმარჯოს საერთო საფუძვლიან საქმიანობას, საყოველთაო სააღმშენებლო მუშაობას ქართველ ნიჭიერ ერის საკეთილდთეოდ.

კათალიკოზი წარმოსდგება ბერძნულ ,,კათალიკოს"-იდამ, რომელიც ნიშნავს საყოველთაოს, საზოგადოს. ასევე იწოდებოდა ეს სახელი საქართველოში ძველთაგანვე, ქარაგმა ,,კზა" ღუთის მოყვარეს, თეოფანე-ღვთის მოვლენას, ჩვენებას და სხ.

პური საქართველოში

,,საქართველო" 1917, N 230, 19 (1) ღვინობისთვე, გვ. 4.

,,ძველი პური,
ძველი ღვინო,
წლით- წლობამდინ გამყოლია"

ქართველი

ყოველ დღე გვესმის, თუ პური რუსეთიდამ არ მოვიდა, ჩვენ დავიმშევითო ეს სადღეისო მწარე სიმართლეა, მაგრამ ასრე არ იყო ძველად:მაშინ საქართველო ჰკვებავდა არა თუ მარტო თავის თავს, არამედ მეზობელ ხალხებსაც, ოსებს, მთიულებს, მთიელ დაღისტნელებს, თვით სპარსეთსაც ხანდისხან. ხვნა-თესვის მიმდევრობის გამო ბერძნები თვით ჩვენს ქვეყანასაც უწოდებენ ,,გეორგიას, რომელიც ნიშნავს მიწის მუშაკობას. ამ მხრივ ქიზიყი ითვლებოდა საქართველოს ბეღელად. დაშთენილა ასეთი მშვენიერი დახასიათება ჯავახეთისა:

,,მე ჯავახეთს რა მიშავდა:

მთვარე მედგა მზესავითა
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა”.

მოგზაურ დელაპორტს არ ენახა ქვეყანა, საცა ისე ტკბილად ისაზრდოებოდა ხალხი თავის სანოვაგით, როგორც საქართველოში.

ვახუშტის დროს პანკისის ხეობაში ისეთი გლეხი არ იყო, რომ არ ჰყოლოდა 500-1000-2000 ღორი.

ირაკლის დროსაც რაღაც 13-125 მანათად უხვად იკვებებოდა მთელი ხუთსულოვანი ოჯახი თვის განმავლობაში.

1741 წელს მარტო ქართლ-კახეთმა სპარსთა ლაშქარს მიაწოდა 300000 კოდი პური და ქერი, მერე კიდევ 3000 ურემი პური (ურემზედ ედო თითოს 200 ლიტრა), კიდევ 200 ურემი. ესეც არ ეყოთ და კვლავ მოითხოვეს 2.000.000 ლიტრა.

ეს ასეც იყო. ქართველი მაშინ ეგრედ-წოდებულ წმინდა პურს სჭამდა, შერეულსა და მჭადს არ ეწყობოდა, ახლა კი მჭადიც გვენატრება და მუდამაც ასე იქნება:სხვის იმედზე დამყარებული მუდამ მშიერი, გაჭირებულია, მუდამ სხვის მონაა, თითქმის ყმა.

მერე რათ ვიჭირებთ თავს, რატომ არ ვიძენთ არსობის პურს? მართალია, წიგნი ამბობს ,,არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი”, მაგრამ უპურობა მაინც ჰბადებს ბოგანობას, ავკაცობას. საჭიროა მოვიგოთ პური, დავიპუროთ თავი სურნელოვან განმტკიცულით და არა ვიკვებოთ რაღაც დურდო ნარევით, რომელსაც პურად ასაღებენ ჩვენზე, მაგრამ რომელიც ჩვენ მიერ დაწუნებულ უწინდელ მჭადზედაც მდარეა და ალქატი.

მადლობა ღმერთს, მიწა-წყალი იგივე უწინდელი გვაქვს, უხვი, ნაყოფიერი. უკლოთ მწარე თამბაქოს თესვას და ვუმატოთ ოქროს ფოცხიან პურისა, სიმინდისა, შვრიასა, ღომის და ქერის თესვას. გავღონიერდეთ ,,არსობის პურით”, რომელიც ჯან-ღონესაც მოგვიმატებს და ჯანმრთელობას. ამასთანავე მოგვცემს შეძლებას უკეთესად აღვზარდოთ შვილებიც და სხვის ხელში შემაცქერლობასაც დავახწიოთ თავი. პატიოსანი შრომა წმინდაა, ვით წმინდა პური, და თან ამყვავებელი კაცისა, მთელის ერისა. ვთესოთ და ვიზახოთ ძველებური ტკბილი ოროველა, გმირული ჰოოპუნა.

წესი

,,საქართველო" 1918, N 2, 3(15) იანვ. გვ. 4.

ერთადერთი ძალა, მსოფლიოს დამჭერი და მატრიალებელი, არის წესი. იგია მხოლოობითი მყარი ძლიერება. უწესოდ არ არსებობს არც ერთი მნათობი, არც ერთი სხეული, არც ერთი მცირე ღიღილო, არც ერთი ცხოვრება და, ვიტყვი, არც ერთი მოძრაობა.

მსოფლიოს ცხოვრება, მისი არსი მხოლოდ წესიერებაა. წესი ისეთი უშველებელი, ისეთი განუზომელი და შემოუხაზავი-ჩვენი გონებით-ძალაა, რომელსაც შეუბორკია მთელი სიმძიმე და თან მოძრაობა ხმელეთისა, მზის და სხ. სხეულებისა, უჩინარ მსოფლიოებისა. მათ შორის ურთიერთობის დამცველი, უძლეველი ბუმბერაზი დარაჯი, მათი მიმზიდველ-მამოძრავებელი მხოლოდ და მხოლოდ წესია. იყო ერთგვარი უწესოება, ქაოსი და მის მოსაწესრიგებლად მსოფლიო გონიერებამ კაცობრიობას მოუვლინა ყველა ეს მოციქულები. უწესოდ შეუძლებელია ცხოვრება, ცხოვრება ზნეობრივ სინათლით გაშუქებული და ტკბილის სიყვარულით მორთული.

არის სხვაგვარი უწესო ცხოვრებაც, უსიყვარულო, უსინათლო, უსვინიდისო, ბნელეთებრივი ქაოსი, საცა წესად გამხდარა ერთურთის ჭამა, ერთურთის გლეჯა, ერთურთის ყლაპა, საცა ცხოვრების წესი მუშტია, ტლანქი ძალმომრეობა, მუდმივი ბრძოლა კუჭის გასაძღებად, სუსტის ჩანთქმით თავის გაუმაძღრობის დასაკმაყოფილებლად. ესეთი ცხოვრება ადამიანური კი არა, ველურია, მხეცური (პირდაღებული ვეშაპი, ობობა, ლომი, ნიანგი, ისკარიოტელი.

სხვადასხვა ჯალალედინებმა მოიგონეს ინკვიზიცია, კოცონი, იეზუიტობა, და რომელთაც, ბოლოს, თავის ინდულგენციებით ფულზე დაახურდავეს ჭეშმარიტება, საბედნიერო, კაცურ კაცობის წესებს მუდამ ჰყვანდა მოსარჩლენი, სხიოსანი მოციქულები- მაჰმადი, მოსე, ნინო, გრიგოლი, ბუდდა, ლიუტერი, ნიუტონი. რაც უწესო იყო, მოისპო, რაც ცრუმორწმუნეობასა და მოგონილ სასწაულებზე ესვენა, შეირყა, გადავარდა, მოისპო.

გლეჯა-ფაორის წესი შესაზარია მხეცთა სამეფოშიაც და მით უმეტეს ადამიანთა საზოგადოების შორის. აწ ვეშაპის მხრებს კი არ უკავია მსოფლიო, არამედ განუდრეკელ წესს ბუნებრივ მიმზიდველობისას. აქ ვეღარ ღმერთობენ კაცის ხელით გაკეთებული უსულგულო, უსისხლო, ცივი კერპები;

აწ კერპად დადგინდა გონიერება, ერთადერთი, ვიმეორებ, ციური ნაპერწკალი, რომელიც დასაბამითგანვე თანჰყვა კაცობრიობის მოციქულთა საქმესა და სიტყვას. ნაპოლეონები არასოდეს საჭირონი არ ყოფილან ადამიანებისთვის, ბონაპარტე გამოჩნდა მეტეორივით უწესოებისა და ქაოსის ხანაში. ყველას სურდა დაეთრგუნა ცბიერება. ბრძოლა იყო სასტიკი. ბრძოლა გაჭიანურდა. ხალხი დაიმშა, ერი მოიქანცა. აურზაურს კი ბოლო არ უჩანდა.

დასავლეთი იბრძოდა წესიერად ცხოვრების მომართვისთვის, სურდა დაემხო მეფობა ტყუილისა, მზაკვრობისა, გარყვნილებისა, ნაძირალთა ყოყოჩობისა, ყელყელაობა-მედიდურებისა. აღარავის სწამდა სახელიანები, ავტორიტეტები, ,,გაშპით, თქვენ?! ჩვენ მოვდივართ მუშები, პროლეტარები, რევოლუციონერები, უნდა დავაწესოთ თანასწორობა, სიყვარული, თავისუფლება". ბრძოლა გაჭიანურდა. ხალხი დაიმშა. ერი მოიქანცა. აურზაურს კი ბოლო არ ეღებოდა. მრისხანებას მშვიდობის ნაზი ანგელოზი ვერ უდგებოდა. ადამიანი გონიერი არსებაა, ახში მან დაინახა. რომ ეგრე ცხოვრება არ ივარგებს, კაცობრიობისათვის ატეხილ რევოლუციას თავისი ლოგიკური დასკვნა უნდა მიეცეს, კაცობრიობის ცხოვრების გარდასაქმნელად ანთებული ღველფის ბობოქრობა უნდა დაფენდეს, დამყარდეს რაიმე წესი, მოისპოს სისხლი, ცხოვრება კალაპოტში ჩავარდეს.

რევოლუცია თავის გზით მიდიოდა. კორსიკანელ მეომარს ჩააბარეს რევოლუციის საბლები, დაავალეს წესიერება. იმედიანად დაემორჩილა ნაპოლეონს ყველა, ნიჭიერი და უნიჭო, ტალანტოსანი და უტალანტო, მუშა, მექარხნე, მწერალი, დიდი და პატარა-დაწესდა დირექტორია, მერე იმპერია და ჩვენი კორსიკანელი ლეიტენანტი იქცა იმპერატორად. ყველამ თავი მოუდრიკა. ... მან კი რევოლუციას დალეწილი ტახტი აღუდგინა. სიკვდილის ცელი კვლავ ამუშავდა. მრავალ საუკუნეთა მიერ შემენილი წესები და კულტურა განიავდა. დასრულდა ეს ჯოჯოხეთური ყოფა რუსის სალდათის მოვლენით პარიჟს და ბონაპარტეს დამწყვდევით წმ. ელენეს კუნძულზე. ნაპოლეონს შეეყარა სენი თავმოყვარეობისა და ,,მურვან ყრუობისა". გადავარდა ნაპოლეონი, მაგრამ წესიერება მაინც არ დამყარდა და არც დამყარდება, ვიდრე სიმართლის გადამჭრელ შუამავლად იქნებიან არა ბონაპარტები, არა მახვილი, ტყვია და გილიოტინა, არამედ მთელი ერის გონიერება. შიში ხომ უწესოებაა. ნაპოლეონები ბადებენ შიშს, კანკალს, ცახცახს, და შიშზედ აგებული ხომ იგივ შიშით

საცხოვრებელი ბინა იქნება. შიშიანი ცხოვრება კი ხომ ემსგავსება მტრის მიერ გარშემორტყმულ მოქალაქეთა აუტანელ ყოფას. ეს წესი კი არა, ნამდვილი უწესოებაა, ხოლო უწესოებაში ვერ ნედლობს ვერც ერთი სათნოება, და სადაც სათნოება არ არის, იქ არც ადამიანური ცხოვრებაა, არამედ უყვარულობა, უთანხმობა, ანარქია.

აქ ვათავებ ჩემს სათქმელს, მაგრამ დასკვნად კიდევ ორიოდ ქართულს დავუმატებ ჩვენის შესანიშნავ სიტყვების-**აშორას, გამარჯვებას** და იმავ **წესის** შესახებ. რაც ეწინააღმდეგებოდა წესს და სინათლეს, იმას უარყოფდნენ აშორათი. ვინც იტყოდა აშოროს, ის გამარჯვებული იყო (,,ქართ. ცხ". გვ. 535. 557). მართალი წესის წინაშე, ე.ი. კანონისა, მართლიერებისა. წესი წარმოებაა ზმნისა **წოლა** ისე, ვით დებულება (,,ულოჟენიე) თანასწორია დებისა (,,ძეგლის დება). განა მართლაც წოლა, დება, ერთნაირი წესიერება, ურყეველობა არ არის? იმაზე უძრავი წესი სად არის, როგორც კუბოში, არტახებით გაკრულ აკვანში, ინკვიზიციონერების მიერ გასართხმელ მანქანაში! ისე შებორკილია კაცი, რომ განძრევის საგანი აღარ აქვს. აშორაც არი ასეთი წესი, ასეთი დებულება! ჩვენ გვინდა წესი არა უძრაობისა, არამედ მოძრაობისა, თანასწორობის სიყვარულით გასხიოსნებული, გონიერების ძალით კარნახებული. წესი წესიერს საუკუნოობას უქადის, ხოლო უწესურს-საწყალ სიკვდილს. მაგრამ ამისთანაებს შევეწივნეთ ჩვენი აშორათი.

ქართული უნივერსიტეტი

,,საქართველო" 1918, N 10, 13 იანვ. გვ. 3-4.

ამ ოციოდე, გინდ ათიოდე წლის წინად ვინ გაიგონებდა ისეთს საშიშროებას, ვით თბილისში უნივერსიტეტის დაარსება, ისიც ქართული ეროვნულის! მანდატურთუხუცესი მაშინათვე გაჰკივლებდა:არიქათ, რუსეთი იღუპება, ქართველები უნივერსიტეტს იფუძნებენ, ეს მუხთლობაა, სეპარატიზმი, ამბოხიო! მაგრამ დრონი იცვალნენ, ზნენი დაყუჩდნენ, მანდატურთუხუცესები და მხმილავები გაუქმდნენ. მონა ხალხები შეიშმუშნენ, სისხლი გაიხურეს და შეუდგნენ თვითგამორკვევის საქმის მოწყობას, ეროვნული არსის შემოფარგვლას, თავისუფლების ალამის აფრიალებას. ამას მიაყოლეს ერობა, ეროვნული სკოლა, ეროვნული მსოფლიო უნივერსიტეტი.

აწ მთიები აღმოგვიბრწყინდა. ნათელში ვიყავით და სინათლეს კი ვერ ვხედავდით. არა, არ გვახილვებდნენ! ენა გვქონდა და მას სხვა ენით სხვა ჰანგზე გვასწავლიდნენ; ვიცინოდით-გვატირებდნენ, ვტიროდით-გვაცინებდნენ, ვფიქრობდით და სხვაფერ გვაფიქრებდნენ.

ახდა გულის წადილი, ამწვანდება ეროვნული შემეცნების ნიადაგი, რომლის გაფხვიერება იწყეს ბროსემ, ბაქრაძემ, ცაგარელმა და მათ მომდევნოებმა. ივ.ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი-გუთნის დედობა, თვით ქართლურ მძიმე ღრმად მხვნელ გუთნისა! ,,გადი, გამოდი, გუთანო.... სახნის, საკვეთო, გაუსვი, რომ კაჭაჭს ძირი უთხარო! ,,სწორედ ასეთ, კაჭაჭების ამომგდებ გუთნის მსგავსია მისი უკანასკნელი დიდი შრომა ,,ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინად და ახლა".

ამ მძლავრმა ,,გუთანმა" ბევრი ,,კაწაჭი" ამოაგდო ძირიან-ფესვიანად და საისტორიო ყანობირი საკმაოდ გასწმინდა ღვარძლისაგან. შეუდგები ამ საკვირველ წიგნს და გინდა მწვერვალამდის მიაღწიო შეუსვენებლივ, დაეწაფო, ვით მოწყურებული ირემი წყაროს და ამოსწურო იგი ბოლომდის. ნამდვილ წმინდა შლის,

არღვევს, აბრუნებს, გადადის ,,ბელტი ბელტზე", ცოცხლდებიან და მზის შუქზე ამოდიან უმეცრების გზით დამარხული მოღვაწეები და ისტორიკოსები. ეცნობებიან გამომზევებულ გმირებს და ჰკვირობ, ვერ გადაგიწყვეტია, ესენი უფრო გმირები არიან თუ მათ შესახებ მართლისმეტყველი ჩვენი ავქსონი. რამდენი დაკვირვებაა, რამდენი დიდ-წვრილი შემოწმება, დაპირისპირება, დაკითხვა წყაროებისა, დალაპარაკება ძველ ავტორებისა, გადასხმა, გადმოსხმა, შესწორება, აღნუსხვა, თარგმნა, თარგმანება! ჩვეულებრივ კაცისთვის ყოველივე ეს დიდი და გულგასაწყალებელი საქმეა, მაგრამ ჭეშმარიტ მკვლევარ_ისტორიკოსს წარბსაც ვერ შეახრევინებს. შემოსილა იგი მოთმინების კვართით, დამჯდარა მეცნიერების კალოზე, არკვევს ზღაპრულს სინამდვილისაგან, სარწმუნოთ ურწმუნოსაგან, სასწაულებრივს შესაძლებელისაგან, ღირსსა და უღირსს შორის სდებს მტკიცე საზღვარს და თან ყოველთა და ყოველს ისეთს ცხოველ სულს ჩაუდგამს, რომ თითქოს მას მკვდარ ამბებთანა და უწინარეს ჟამებში ამოწყვეტილ კაცებთან კი არა აქვს საქმე, არამედ ცოცხლებთან საუბრობსო პირისპირ. ხელმძღვანებული მარტო მართლმოყვარეობით, გულდასმით და ფილოსოფიურის სიდინჯით სჩხრეკავს საისტორიო და სამრეწველო ძეგლებს, ეძებს საჭირო მასალას მატიანეებსა და არქივებში, ზეპირ-სიტყვაობასა და ენაში, სიგელ-გუჯრებსა და მიწერ-მოწერაში, ხელოვანთა და მგალობელთა ჰანგებსა და კილოებში, უცხოელთა ნაწერებსა და გადმოცემებში. მერე ყველა ამ ვეება შეძენილობას დაალაგებს თავის სამეცნიერო თვალთახედვის მყუდროზე, განმარტავს თითეულს ცალკე, შეაფასებს ყველას ერთად, გაჰკრავს თავის გონების დაუცდენელ ისარს, ჩასწვდება საძიელ საგნის სიღრმეს, გააშუქებს ჭეშმარიტ მკვლევარის მეთოდის წესით და ამის შემდეგ დასდებს თავის მსჯავრს. აქა თუ იქ შეიძლება არ ეთანხმებოდე ავტორს, მაგრამ ამისთანა ადგილებშიაც სჩანს მისი ძლიერი ლოღიკა, მისი გულწრფელი მუშაობა, გამომწვევი მკითხველის მხრივ სიყვარულისა მისდამი, დიდის პატივისცემისა. სულ 19 წელიწადია, რაც დაუღალავად შრომობს ჯავახიშვილი, წმიდა ოფლს ღვრის საყვარელ სამშობლოს დიდების საკურთხეველზე, ყოვლად უანგაროდ იღწვის, რათა მტკიცე საფუძველზე დაამყაროს ქართული დარგი მეცნიერებისა, მოუპოვოს მას, როგორც სჩანს, თუ არ ვცდები, მის გამოკვლევებიდამ და თხზულებებიდამ (,,ისტორიის მიზანი.., ,,ქართველი ერის ისტორია. ,,საქართველოს ეკონომიური ისტორია", ,,საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია"და მრ. სხ.) მაცხოველებელი და ჯანმრთელი საწოვები თვით მის არსებაშივე და მხოლოდ მერე ამ ეროვნულს საწოვებს შემოუნაკადულოს გარეობიდამ მოფენილი წვეთები, ბერძნული, სპარსული და სხვა. ჯავახიშვილისთანა ჭეშმარიტი მეცნიერი ვერ გაჰყვებოდა იმათ, რომელნიც გაჰკიოდნენ-ქართველებს ვახუშტიმდე ისტორიკოსები არა ჰყვანდათო, ქართლის ცხოვრებაც ვახტანგ-ვახუშტიმ შესთუხზესო, სხვა მასალებიც ცოტაოო, ქართული კულტურა სუსტიაო. და ამისთანა სიღარიბის გამო განა ღირსო პეტრეს ქალაქში ცალკე კათედრა არსებობდესო ქართული ენისათვის (იხ. ა.ცაგარლის ,,ცნობები შესახებ ქართული სიტყვიერების სახსოვრებისა", წ. I, გვ. XXXIV და 52).

ცაგარელის, ჯავახიშვილის და სხვ. თხზულებებმა დაარღვიეს დრკუ აზრები. საკმაოა კაცმა წაიკითხოს გინდ მარტო ჯავახიშვილის ზემოხსენებული ,,ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა", რომ დარწმუნდეს, რა მდიდარია ქართული მწერლობა, საზოგადოდ, რა პირველხარისხოვანი ისტორიკოსები გვყოლია, რა დიდბუნებოვან კაცებს შეუქმნიათ ქართული უმდიდრესი სიტყვიერება, მისი გმირული ისტორია, მისი სუსტი"კი არა, ცხოველი და მდიდარი კულტურა. ესეთი დიადობა ქართული კულტურისა წინადაც სჩანდა, მაგრამ ჯავახიშვილის

კვლევა-ძიებამ უფრო სიცხადე მისცა მას. მის და მის მეყვისების შრომამ ცხადჰყო, რომ ქართული დარგი მეცნიერებისა ღირსია არა თუ ერთის კათედრისა, არამედ მრავალ კათედრებისა მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრების უნივერსიტეტებში და ამასთან მთელის უნივერსიტეტისაც საქართველოს დედაქალაქში. ამ ნატვრასაც მოვესწარით. ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნულ დიდების ტაძრად, მის პირველ უნივერსიტეტის სავანედ. ყრმა და ბერი მივეშუროთ განათლების კერისაკენ და მის ნათლით მოვინათლნეთ. საიდუმლო, რომელსაც ჰქვიან ,,ჩაყურჭუმალავება""ან ,,ჯვრისტვირთვა", ჩვენში იწოდება ნათლისღებად, მონათვლად. რას გვეუბნება ეს თუ არა იმას, რომ საქართველო უწინარეს ჟამებითგანვე ისახელებოდა მზიან ქვეყანად. აქ მეფობდაო ,,მზის შვილი" აიეტი, აქ ღმერთობდა მზე, აქ ახალ დაბადებულს რომ ნათლავდნენ უგალობდნენ მზის ჰიმნს ,,მზე შინაოს". აქ ხომ დღესაც უდიდესი ფიცილია ,,შენმა მზემ", ,,ზისმა" (ინგილოური), სწორი ღმერთიმა (ინგილ.)- ღმერთმანის. ქართველი კაცი მზეს ეკუთვნოდა და მარად სინათლეში იყო, ნათელი ემოსა, ნათელი სწამდა. ჩვენში დღესაც არიან მზისაგან განუყოფელი ნაშთები:ენამზეობა ანუ რიტორობა მჭევრ აზროვნობისა, მზეჭაბუკობა ანუ გმირობა მეომრობაში, მზექალაობა ანუ შვენიერება, მზიანობა მშვიდობასა და მყუდრო საქმიანობაში. ასეთია ჩვენში პატივი სინათლის წყარო მზისა.

მივიდეთ ვაკეზე. იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხიოსან-მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდგან შუქურ ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სვლად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანურ მარადისობისკენ. ამასთანავე მოვიგონოთ იქ ძველნი მეცნიერები საუკუნო ხსენებით, ხოლო კანდელის ამნთებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური:ვაშა! გამარჯვება მარად და მარად.

ქართულ რეგალიებისათვის

,,საქართველო" 1918, N 36, 14 თებ. გვ. 4.

უკრაინას რომ დაუბრუნეს მათი ეროვნული ნიშნები (რეგალიები), საკათალიკოზო საბჭოდამ შემომეკითხნენ, მეცნობებინა, თუ რა და რა ქართული ნიშნები და სიწმინდენი წაუღიათ საქართველოდამ შავბნელ დროს. მე არა მქონდა მოცილება ამ კითხვას გავცნობოდი ყოველმხრივ, და არც ვჩქარობდი, რადგან ახლა დრო ისეთია, რომ თუნდაც დაგვითმონ წაღებული ნივთები, ჩვენ მაინც ვერ მოვახერხებთ მათ წამოღებას არეულობებისა და მტაცებლობისა გამო გზებზე. ეჭვი არ არის, საბჭო სხვებსაც მიჰმართავდა მიეწოდინებინათ მისთვის ხსენებულ ნივთების სია. მათ ნამუშევარს ჩვენიც დაემატებოდა, შესდგებოდა ერთი საზოგადო ნუსხა და მერმე წარიგზავნებოდა სათანადო შუამავლობა შესახებ ქართულ ნიშნებისა და სიწმიდეთა დაბრუნებისა საქართველოსთვის. ერთხელ უკვე იყო მაგალითი, რომ საქართველოდგან გატაცებული წმ. ნინოს ვაზის ჯვარი იმპერ. ალექსანდრე I-მა უკანვე დააბრუნა. ჩვენ არ ვეჭობთ, რომ ასრევე დაგვიბრუნებენ სხვა ნივთებსაც და მათ შორის თვით სამეფო ტახტსაც გიორგი XII-ისა.

ეს ტახტი, როგორც სჩანს წიგნიდამ ,,მოსკვ. პუტევოდიტელ" (1915, გვ. 139) ინახება ,,ორუჟეინაია პალატაში", ქვემო სართულს, მარცხნივ შესავალს, მის ადვილ მისაგნებად ვურთავ თვით რუსულ აღნიშნულებას:

,,Нижный этаж по левому проходу:т. 12 Трон последняго царя Грузии Георгия XII”.

ეს ტახტი გვინდა ჩვენ არა იმიტომ, რომ მასზე დავსდოთ კიდევ ერთი ,,ზაქიჭამია, არამედ როგორც სიმბოლო საქართველოს მრავალსაუკუნოვან თვითარსებობისა და თავისუფლად ცხოვრებისა. როგორც ასეთი, იგი დაამშვენებს ქართულ ეროვნულ მუზეუმს.

დასასრულ მოსკოველ ქართველებს ვთხოვ შეიძინონ კატალოგები მანდაურ ,,გრანოვიტის პალატისა, ,,ორუჟეინი პალატისა, ,,პატრიარში რიზნიცისა””და სხ. დაწესებულებათა მოსკოვისა და პეტერბურღის და წარმოგვიგზავნონ თითო ცალი. არა კმარა ვიცოდეთ, რაც აქედგან წაღებულია, საჭიროა კიდევ ვიცოდეთ, სად და რომელი N-ით უნდა მოიძებნოს სამშობლო სიამაყის ძეგლები და ნაშთები.

ქართული ფული

გაზ. ,,სახალხო საქმე" 1918, 5 ივნისი
გაზ. ,,ბანკი" 1993, N 30, 21 აგვ. გვ. 10.

ამ უფულობისას უსარგებლო არ იქნება თვალი გადავავლოთ საქართველოს სამეფო ფულის საქმეს.

უწინარეს დრო-ჟამს ფული არ არსებობდა რეწვა, აღებ-მიცემა წარმოებდა ფარდვით ანუ გაცვლა-გამოცვლით. თვით ვაჭრობასაც ჩვენში ფარდვა ერქვა, ხოლო ვაჭარს მოფარდული (მათე. იოანე. ეზეკ.). თვით ფარდი ნიშნავს ტოლს, ფარდვა ტოლობას, იგივეობას ღირსებით. ფარდვით ხელის მონაცვლა შეიძლებოდა მაშინ, როდესაც ცხოვრება იყო სადა, მარტივი... შემდეგ ცხოვრება გართულდა. მოთხოვნილებამ იმატა და საჭირო შეიქმნა სააღებმიცემო ნიშნები ფული.

ყველაზე ძვირფასი საფასე იყო ოქრო, შემდეგ ვერცხლი, სპილენძი, ბრინჯაო და სხვ. ფულად გამოჭრილი ყველგან ერთნაირად ფასობდა, ოღონდ უყურებდნენ რა ხარისხისა იყო და ისე ითვლიდნენ.

საყურადღებოა, რომ ამ ლითონების შემუშავება თავდაპირველად მოეწყო ჩვენს სამშობლოში კოლხიდაში. კოლხიდაში მოიჭრა პირველი ქართული ფული არისტარქესაგან 65 წლის ახლო ხანს ქრისტეს წინად.

ამავე დროს საქართველოში ტრიალებდა ალექსანდრე მაკედონელის ფული, ეგრედ წოდებული ,,თეთრი დრახმა”. ეს იგივ დრახმაა და მას ,,ქართლის ცხოვრებაში” ვხვდებით 103 წელს ქრისტეს შემდეგ. ამ ფულის ერთ პირზე იჭედებოდა თვით მეფის ხატიც ანუ გამოსახულება. ,,ქალაქსა ჩვენსა დრახმა არტაშას მეფისა ხატითა დავსცეთო, ეუბნება ქართველი მეფე სომეხთა მეფეს. იგივე გვხვდება შემდეგაც. მაგ. ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში:”ფერხთა ქვეშ მისთა დაჰყრიდეს დრახმასა და დრაჰკანსა” (ქ.ცხ.).

არსებობს ვერცხლის ფული, ჭედილი 386 წელს, ზედ წარწერით გნ ვგს, რომელსაც კითხულობენ ვახტანგად, გორგასლანად.

მისი მსგავსია ფულები სტეფანოზისა და და ჯუანშერისა.

ცნობილია კიდევ ფულები:დავით კურაპალატისა, ბაგრატ III-ის გამოსახულებით, ფული გიორგი I-ისა, გიორგი II-ისა, დავით აღმაშენებელისა, დიმიტრი I-სა, გიორგი III-ისა, თამარ მეფისა, გიორგი ლაშასი, რუსუდანისა, დავით V-ისა, თეიმურაზისა, ერეკლესი, გიორგი XII-ისა.

არაბი მწერალი ყაზვინი (მე-13 ს.), აღწერა რა თავის გეოგრაფიაში ტფილისი, ამბობს, რომ ამ ქალაქში მოიპოვებაო ოქროს ფული პერპერა; ეს კარგი ფულიაო,

წონით მისხალი, ოქრო უმაღლესი ხარისხისა, იჭედებაო აფხაზთა (ქართველთა) მეფეების მიერო.

ამ პერპერას იხსენიებს შოთაც:"პერპერასა დაფანტულსა ზედან სცვევთდნენ ვითა ხიდსა".

ათონის ლავრის აღაპებში იგი ჩნდება თითქმის მე-11 საუკუნითგანვე და ეწოდება პერპერა, პერპეტა, პერპერატი, პერპერი, პელპელი.

თამარ მეფემ ათონის მონასტერს გაუგზავნა რვა პერპერა.

რა ღირდა პერპერა, ძნელია გადაჭრით თქმა, მაგრამ ვიცით, რომ მეცამეტე საუკუნეში, ყაზვინის ცნობით პერპერა იწონიდა მისხალს, უნდა დავასკვნათ, რომ პერპერა ღირებულებით ყოფილა დინარის სწორი, ვინაიდან ამავე საუკუნეში დინარიც წონით მისხალი იყო. ივ.ჯავახიშვილის ცნობით, 1457 წელს კონსტანტინე-პოლში პერპერა ღირდა 6 სუ და 4 დრამა. ჩუბინაშვილით პერპერა სპარსულია, სხვების მტკიცებით ბერძნული ვიპერპვარიონ. მგონია, რომ იგი უნდა იყოს წმინდა ქართული პოპენი, ეინად მისგანაც სჭრიდნენ ფულს.

ლანგლუას შერიფ-ედ-დინის ისტორიიდან ამოუღია შემდეგი ფრიად საყურადღებო ცნობა:საქართველოს მეფე გიორგის, გული რომ მოეგო ტამერლანისთვის (ლანგთემურისთვის) და მონღოლები გაესხა ტფილისიდან, ათასი ოქროს ფული გაუგზავნაო ამ მპყრობელს მისი სახელის ზედაღნიშვნით. ამ ძღვენმა მოამშვიდაო ლანგთემური ისე, რომ დასტოვა ტფილისი, მტკვარზე გადავიდა და წავიდაო ბელაქნისკენ.

დანამდვილებით არ ჩანს, ამ ფულს თვით გიორგი მეფე სჭრიდა, თუ ის 10000 ოქროს ფული ლანგთემურის მიერ იყო ჭედილი და მისთვის მიძღვნილი გიორგი მეფის საუნჯიდან.

სჭრიდნენ ფულს ქართულ-არაბული წარწერით საქართველოს მტარვლები:მანგუ-ყაენი (1243 წ.), აბაგა-ყაენი (1280), არგუნი (1291), ასან-მაჰმადი (1295, 1303), ოლთან სულთანი (1314), აბუსეიდი (1317, 1335), სადი-ბეგი (1338), აგრეთვე სპარსეთის ზოგი ყაენი, რომელთაგან ჩვენში გავრცელდა შაური, უზალთუნი, აბაზი და კვლავ ხონთქრები:აჰმადი (1703), მაჰმუდი (1735).

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი წერს:"გამოუგზავნა შაჰ-სულთანმა იბრეჰიმს ზარაფხანა (ზარაფი) ქალაქში (ტფილისს ერეკლე II-სათვის). და დაჰკრეს სიქა (შტემპელი, ბეჭედი). ბრძანებისამებრ მისისა მოსჭრეს სამ-აბაზიანი (ე.ი. მარჩილი) და შაური, ფლელი 30 საურისა" (ქ.ცხ.). მისივე ცნობით 1751 წელს ცხვარს ჰყიდდნენ ორ შაურად, ძროხას 5 აბაზად, ტყვეს ორ მილანთულად (2 მან.).

1801 წლიდან ქართულ ფულს ტფილისში სჭრიდნენ რუსები. იპოვება ამ დროს ვერცხლის აბაზიანი, ორაბაზიანი და სხ. ჭედი მოსპეს 1832 წელს.

ვახტანგი თავის სამართლის წიგნის მე-15 და მე-16 მუხლებში იხსენიებს ფულებს:შაური, უზალთუნი, აბაზი, ასლანი, ფლური, გიორგაული, კირმანეული, დანგი, ყირათი...

ოქროს ფულს საზოგადოდ ერქვა ფლერი, ვერცხლისას თეთრი, ფერის გამო. 1498 წელს ათონის ლავრას ყვარყვარე ათაბაგის სულის მოსახსენებლად მისმა ჭირისუფლებმა გაუგზავნეს 25000, ზოგი ფლურად, ზოგი თეთრად (ათონის კრებული, 267).

ამავე მეფის ,,დასტურლამაში" მოხსენებულია ბისტი ფული, სიკილა, მარჩილი, თუმანი, ასლანუ (ასლანი), აბასი (აბაზი), მილანთუნი და სხვ. სიკილა არისო 14 შაური.

საფიქრებელია, რომ თვით ჩვენი ფული, ფოლი, იყოს მცირე ცვლილება ბიზანტიური ფოლლისა, ხოლო ჩვენებური ბერძნულის იმ ფოლერალესი, რომელსაც რომში ერქვა ,,ტერენციანი".

აიეტის დროიდანვე ჩვენი ქვეყანა განთქმული იყო ყოველგვარ საფასით. ეგრედ წოდებულ ,,ოქროვან-საწმისის" ლეგენდა მარტო ოცნება არ ყოფილა. ლითონიანი ადგილები აღუნიშნავს ვახუშტის. წაღვერი, რკონი, ანდარაზენი, ახტალა, სვანეთი, საინგილო, კლარჯეთი და სხვა მდიდარია ამ მხრივ. საჭიროა მხოლოდ მცოდნე კაცებმა იმოქმედონ. მიწის გული ამოთხარონ. დამალული სიმდიდრე გამოამზეონ, თავისუფალ სამშობლოს დროებით მოაშველონ ძვირფასი ლითონი. მაგრამ მარტო მადნების ძებნა არ კმარა, საჭიროა ახლავე ყველა მეკომურმა გამოვიღოთ თითო-ო-როლა გირვანქა საფასე და გადავცეთ საფინანსო სამინისტროს, რომ დაუყოვნებლით შეუდგეს ფულის ჭრას, ჭედას. თუ მოვინდომებთ, სულ ცოტა 100000-იოდე გირვანქის რაოდენობა შესდგება და ამით დიდძალი ფული მოიჭრება. როგორც ულაშქროდ ვერ მომაგრდება სახელმწიფოს თავისუფლება, ისე და უფრო მეტად უფულოდა. მაშ ნუ დავიშურებთ ჩვენს წვლილს საკუთარ თავისუფალ საკურთხევლისთვის. ფულის ჭედის დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ აბაზი მოასწავებს მტარვალის შაჰ-აბაზის სახელს. შაური აგრეთვე შაჰაურს ყაენურს. უნდა ვიზრუნოთ, ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ უწინდელ მონობის მომაგონებელი საზიზღარი სახელები აბაზი, შაური, და ჩვენს საფასეს დავარქვათ ეროვნული სახელი.

ქართლის დედას

,,სახალხო საქმე" 1918, N 262, 21 ივნ. გვ. 3-4.

ქართლის დედაო, ძუძუ ქართლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა! ამას ყველა ვგრძნობდით, ყველა ვხედავდით, რომ ოჯახი იყო ბურჯი ჩვენის სამშობლოს და ერის მზეგრძელობისა. და იცი რა ოჯახი? ოჯახი-დედაკაცისა მიერ აშენებული! ,,მამაკაციისაგან აშენებული ოჯახიო დედაკაცმა დააქციაო და დედაკაცისა მიერ აშენებულიო ღმერთმაც ვერ დაანგრიაო!" ქართელი ერი დიდად აფასებდა დედის ღვაწლსა ამ შემთხვევაში და აღმერთებდა იმას. არა მგონია მთელ დუნიაზე მოიპოებოდეს რომელიმე ერი, რომელსაც დედაკაცი ისე პატივდებული ჰყავდეს, როგორადაც ქართველ ერსა! აი სწორედ ამ ღირსეულს დედაზედ გამოუთქვამს ღირსეულს შვილს ანდაზად:"დედის ამაგს რით გადაიხდის შვილი? ერბო-კვერცხიც კი რომ მოიწოს ხელის გულზედაო, მაშინაც ვერ გადაიხდისო!"

აზნაურობა შრომაა

,,საქართველო" 1918, N 172, 29 მარიამობისთვე, გვ. 3.

შრომით გაილივნეს
შრომა ვერ მონლივეს. (ხალხ.).

ჩვენს სახარების ,,აზნაურობას" უდრის რუსული ,,სვობოდ". ხოლო თავისუფლებას, აზნაურებას კაცს ანიჭებდა არა გვარიშვილობა, არამედ კეთილი შრომა, ლეწა. ფასდებოდა მარტო საქმიანი საკეთილო შრომა, ვინაითგან არის სხვაგვარი შრომაც, არაკეთილი, არა სასარგებლო.

იყო ორი მცხრილავი:ერთი კალოზე პურს ცხრილავდა, მეორე ხევის პირს წყალს ცხრილავდა. ორივე შრომობდნენ, მაგრამ ბოლოს პირველის ახვავდა შვენიერი ნამტკივარი, ხოლო მეორე კი ამაოდ მოილუმპა და მშიერი დარჩა.

იყვნენ ასეთი მშრომელნიც:ერთი ქარის წისქვილებს ებრძოდა, წყალს ნაყავდა, ნაცარს ქექავდა და მთელი დღეები ასეთ ამაო შრომაში გაჰყავდა, მეორე კი წისქვილს აბრუნებდა, ფქვავდა, ნიგოზს ნაყავდა, ზეთს ხდიდა, ნაცარს ქექავდა, ცეცხლს ანთებდა, ჰკვერავდა, შჭედავდა.

დიახ, შრომაც არის, შრომაც; ნამდვილი შრომა ნიშნავს შურვებას, სწრაფვას, განრომას, ჰომობას, ცხოვრებაში უკან არ ჩამორჩენას. აი ამიტომ თვით შურიც, როგორც შრომა (შურობა), ორგვარია:საღმთო და საეშმაკო. საღმთო შური სათნოებაა, ვინაითგან ასეთ მოშურნეს აბედნიერებს, ანიჭებს თვით აზნაურობასაც კი, ხოლო საეშმაკო შური ბოროტებაა, ვინაითგან ყოველნაირად ამცირებს ასეთ მოშურნეს, წვრიმალ შურიანს.

საშური საშურს, თუ არადა მარჯვე დრო დაგევარდება და მერე ბევრიც რომ იშურო, ვეღარას გახდები.

საჭიროა ოდენ არა მარტო შრომა, არამედ გესმოდეს, რომელია საშურო, დასაშურებელი.

დღეს ჩვენს ლამაზ ქვეყანაში საშურო შეიქმნა თავისუფალ, გააზნაურებულ ცხოვრების ძირიან-ფესვიანის გარდაქმნა და ყოველმა ვისაც კი ადამიანობისა სცხია რამე, უნდა თავი მისცეს საღვთო შურს და დანაშთენ მოძმე ქართველებთან ერთად დაუზარელად იღვაწოს სამშობლოს ასაყვავებლად. ქართველი ერი საზეპურო ერია და, გვწამს, მალე შეიშმუშნება ბუმბერაზულად, მიხვდება ბრძნულად, რომ გარეშე მის პირად შრომა-სწრაფვისა მისი მხსნელი და მაცხოვრებელი არავინაა, არარამ

შრომა დღეს, შრომა ხვალ, შრომა ზეგ.

შრომით გაილივნეს

შრომა ვერ მონლივეს.

შრომა, ღვწა სამარადისოა, ბუნებრივი კანონი. შრომობს ყველა:ქარი, ხევი, პირუტყვი, მზე და ერი. გინდ ერთი წუთით მზემ რომ არ იმუშაოს, მსოფლიო გაიყინება, დაიშლება. იბრძვის ყველა, მოძრაობს. რაც უძრავად გდია, გინდ იყოს ქვა, იმას ხავსი ეჭიდება, ვინც ოცნებას ატანს ფიქრს, ხოლო მკლავს არ აყოლებს ჭკუას, იგი იღუპება საქმიანებთან ბრძოლაში.

გმირულ ქართველს აქამდეც გმირულად მოუვლია თავისი ასპარეზი, შეუქმნია თავისი წმინდა ქართული სული, კულტურა და ამიერიდგან მისი მეგობარი-მოყვარე მთავრობის წინამძღოლობითა და ჩვენებით უფრო მოუმატებს შრომას, შეიჭურვება მტკიცე წადილით,- აარღვიოს მთა და ბარი, გასჭრას საჩრდილობელ ხეებ მორგული გზები, გამოიღოს მადანი, ნავთი, მოამრავლოს პირუტყვი, მოაშენოს ბაღ-ვენახი, უმატოს თესვას, წარუმართოს შვილთა აღზრდის საქმეს, და ამნაირ პატიოსან შრომით მოუპოვოს სრული აზნაურობა ქართულს აზრს, ქართულს მოციმციმე რესპუბლიკას. ხალხურს ხალხისთვისვე კვლავ გავიმეორებთ:შრომით გაილივნეს, შრომით ვერ მოლივნეს. არ მუშაობენ მხოლოდ მკვდარნი.

სიმდიდრის წყარო

,,საქართველო" 1918, N 193, 13 ღვინობისთვე, გვ. 3.

ნავთი დედოფლის წყაროზე.

საპნის მიწა. საპნის ბალახი კალია.

ვარდის წყალი. უხვობის კალთა..

მე მაინცადამაინც გადაჭარბებული კომფორტის თაყვანისმცემელი არა ვარ, რადგან გარდარეულობა ქონებისა მოასწავებს საფეხურს სიღარიბისკენ დაქანებისას.

სიმდიდრე და სიღარიბე ურთიერთის მოპირდაპირე მწვერვალებია და ყოველ აღმართს კი მოსდევს იმ სიმაღლევე დაღმართი.

მე ვარჩევდი მათ შუა წერტილს, და ამ საშუალო წერტილზე მყარობს ჩვენი ლამაზი სამშობლო. აქვს მას აუარებელი ქონება, მაგრამ არც მდიდარია და არც ღარიბი.

განცხრომაში კი არ უტარებია დრო და საგანცხრომოდ კი არ მოუხმარია თვისი კუთვნილი სიმდიდრე, არამედ მით შეუქმნია უმდიდრესი დედამიწაზე მწერლობა, უმშვენიერი ხუროთმოძღვრება, უაღმატებულესი ხელოვნება მხატვრული, მტკიცე კანონი ლმობიერი მოპყრობისა ყველა ეროვნებისადმი:იცხოვრე:მაცხოვრე:

დიახ, ასეთი იყო და არის საქართველო.

მდიდარია და იმავ დროს ღარიბი, რადგან აპურებს თავისიანებსაც და გარეშიანებსაც.

გუშინ მხოლოდ ერთი რუსი ნიშნის მოგებით მეუბნებოდა:რა დაგემართებათ, ჩრდილოეთ კავკასიამ და უკრაინამ რომ პური არ მოგაწოდონო! სრულიად არაფერი-მეთქი, მივუგე. გაიკვირვა. მაგრამ მალე თვალები აუხილა ჩემმა მცირე განმარტებამ. 3000 წელი დამოუკიდებლად უუკრაინოდ ცხოვრობდა საქართველო და უპუროდ არ დაღუპულა, პირიქით, თვითონ აპურებდა მეზობლებსაც და ხან სპარსეთსაც. მერე ჩამოაგდო ლაპარაკი შესახებ საპნისა, ნავთისა, ვარდის წყლისა, და დაასკვნა საქართველო უღარიბესი ქვეყანაო და ვერ გაუძლებსო დღევანდელ ეკონომიურ შეჯიბრებას. გაოცდა, როდესაც ვუთხარი, საქართველოზე მდიდარი ბევრი ქვეყანა არ არისო.

საქართველოს გააჩნია საპონიც, სანათიც. ქართველმა თუ მოინდომა და თავის უმანდელ სტუმარმოყვარეობის ადათს უღალატა, შიმშილით ამოხოცავს-თქო თქვენს მილიონერებს. ჩაუმატა სიტყვა:რითი მოგაქვთ თავი, განა ქართველებს კახურის მეტი სხვაც გაბადიათო. არა გცოდნიათ-მეთქი საქართველო. ეს არის სამშობლო ქვაგუნდისა, ნავთისა, ქვანახშირისა, ლითონთ-მადნეულობისა, სამკურნალო აბანოებისა, საპნის გორებისა და ბალახისა, ლალისფერ ღვინისა, უგემრიელეს ცხვრისა, ყველისა, პურისა და, რაიც უმთავრესია, უგულკეთილეს და უნიჭიერეს ქართველ ხალხისა.

მითხრა:საპნის ბუშტები კი გამიგონია და საპნის გორები- კი არაო.

მივუგე, საპნის ბუშტებით თამაში თქვენკენ მოიკითხე, საპნის მთა შარშან მე თვითონ დავათვალიერე კახეთში სოფელ ჭერემს, გლეხები სჭრიან ბელტებს, ზელენ, აგუნდავებენ, აშრობენ და ხმარობენ თავის საბანად და სხვაფრივ. ქაფდება როგორც ჩვეულებრივი საპონი, აფაქიზებს ტანს საპონზე არანაკლებ. გუნდას ადგილობრივ ყიდიან ოროლ შაურად. სანიმუშოდ ერთი გუნდა საეკლესიო მუზეუმშიაც მოვიტანე. საპნის ბალახს კი ჰქვიან კალია. ეს ბალახი იზრდება თბილისის ახლოს, საბარათიანოში, კოჟრის არემარეს.

ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 62):აქა არს ბალახი კალია, რომლის ძირს დასწვნ და ნაცრითა მისითა ადუღებენ საპონს უმჯობესსა, კვალად ხმარობენ სხვაფერცა.

რაიცა შეეხება ნავთს, საქართველოში მისი დამუშავება იცოდნენ უხსოვარ დროითგან. სად იყო ჯერ ბაქოს სანავთო ციებ-ცხელება, რომ მთელი კავკასია და, მგონი, რუსეთიც ნათდებოდა ჩვენის დედოფლისწყაროს ნავთით.

მე ეს წყაროები და მისი დიდრონი აუზები ვნახე ჯერ ისევ 1878 წელს და გავცვიფრდი, რომ საქართველოს გულში (ქიზიყს) იყო ასეთი სიმდიდრის წყარო. შემდეგ თბილის-ბაქოს რკინიგზამ დასცა აქაური წარმოება და, იმედია, დღეს ისევ აღორძინდება და ბაქოს გაუწევს შესაფერ მეტოქეობას.

ავიღოთ ახლა ასეთი უმაღლესი და უკეთილშობილესი წარმოება, ვითარიც არის ხდა ვარდის წყლისა, რომლის პატარა მინა რუმელიასა და გერმანიაში ოციოდე წლის წინათ იყიდებოდა 300-400 მანათად და ახლა ათასად ვერ შეიძენ. მის შესახებ ვახტანგის ,,დასტურლამალში"" ვკითხულობთ:

,,ვარდის წყალი, ბედ-მუშაკი, ლილიფარი, იის შარბათი, სხუა არაყები სოფლიდამ გაარიგონ და გამოხდიდნენ".

პირველი მემატიანეები დედამიწაზე რომ, კლასიკური მწერლობის გადმოცემით, ყოფილან სწორედ ჩვენი წინაპრები.

მიეცით თავისუფლება ქართველ საზეპურო ერს და იგი ახლაც ხალხოსნობის პირველ რიგში ივლის და ,,არსობის პურს"" სხვასაც მოუტეხავს.

მოსაკარგავე

,,საქართველო" 1918, N 199, 22 ღვინობისთვე, გვ. 4

ჩვენს მწერლობაში ბევრი ტერმინია შენახული და ერთ ამგვარს ეკუთვნის ზემოთაღნიშნული მოსაკარგავეც. მის გამოცნობას შეელია მრავალ სპეციალისტთა ძალა, მაგრამ ამის შემდეგაც იგი დაშთა გამოცანადვე. ეს მუდამ ასრე იქნება, ვიდრე სრული სალექსიკონო მასალა არა გვაქვს შემოკრებული. ჩვენს ,,ქართულ-რუსულ ლექსიკონში" ამ სიტყვის შესახებ მოგროვდა ისეთი ცნობები, რომელიც გვაძლევს შეძლებას კვლავ შევუდგეთ ,,მოსაკარგავეს" მნიშვნელობის გამორკვევას.

1072 წლის სიგელში ჩამოთვლილია საქართველოს ყველა მოხელე და ხელისუფალი ამ რიგად:მეფე. ერისთავთ ერისთავი, აზნაური მემამულე და მოსაკარგავე. ციხის თავი. მანდატური. შურტა. ჩინებული და, საქმის მოქმედი (თ.ჟორდ. ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრია, 12.).

მოსაკარგავე ანუ მოსაკარგავი წარმომდგარია საკარგავიდან, ხოლო საბას განმარტებით ,,საკარგავი" არის ,,გასარიგებელი". საკარგი-საკარგავი-მოსაკარგავი არის იგივე სარიგი-სარიგო-სარიგებელი-მოსარიგებელი ან მოსაწესრიგებელი, გასარიგებელი. მოსაკარგავე ნიშნავდა საზოგადოდ თანამდებობასა და საურავს და საკარგავის მქონებელი რომ აღესრულებოდა, მისეული ,,სრული საკარგავი" მის შვილს ეძლეოდა. ,,ქართლის ცხოვრების" დამოწმებით.

ჩვენის ფიქრით, მოსაკარგავე (=საკარგავი) უნდა უდრიდეს საეროს მომრიგებელ-შუამავალს და სასულიეროს კეთილმოწესეს..

ერი საზეპურო

,,საქართველო" 1918, N 231, 30 გიორგობისთვე, გვ. 3.

> გამოგირჩია ოფალმან ღმერთმან შენმან, რათა იყო შენ
> მისი ერად საზეპუროდ ყოველთა უფროს ნათესავისა,
> ნათესავთა, რომელნი არიან პირსა ზედა ქვეყნისასა.
> 2 შქ 7, 6 (N 51)

მე მამულიშვილობა არ მალაპარაკებს, არამედ ადამიანურობა.

განა რითი არ არის ქართველი საზეპურო?

სიმშვენიერე აკლია თუ ნიჭი? კეთილშობილება ეზრახვის თუ რაინდული სული?

წალკოტისებური თვალ-გულ წარმტაცი საცხოვრებელი ბინა ვერ ამოურჩევია თუ?

თავისებური ლამაზი კულტურა ვერ შეუქმნია თუ?

კეთილშობილურ ბრძოლით თავისი ეროვნული იერი ვერ გამოუმუშავებია, ვერ გამოუბრძმედებია თუ?

ყოველივე ეს შეუქმნია, ყოველივე ეს ჭარბად შეუსრულებია.

მშვენიერებაც შეუძენია, რაინდობაც მოუპოვებია, ლამაზი მამულიც, დიდებული კულტურაც დაუმკვიდრებია.

განა მარტიო ეს? არა, თავის სისხლით გაუმშვენიერებია ბევრი სხვა!

მე არ ვაზვიადებ.

ცნობილი მეცნიერი ჩარლზ დარვინი ნაშრომში ,,სქესობრივი გამორჩევა»”(ადამიანის წარმოშობა, ტ. II, ნაწ. 2. გვ. 397), ამბობს:სპარსთა აღწერაში ძველი დროის მოგზაური ჩარდინი იუწყება:სისხლი სპარსთა ეხლა მეტად გაკეთილშობილებულია ხშირ ქორწინების გამო ქართველებთან და ჩერქეზებთან, ამ ორ ეროვნებასთან, რომელიც ყველა სხვებს სჭარბობს სილამაზით. სპარსეთში არც კი იქნება გინდ ერთი კეთილშობილი კაცი, რომლის დედა არ იყოს ან ქართველი ან ჩერქეზი. მათ ეთვისებათ სილამაზე არა მემკვიდრეობით თავიანთ წინაპრებისაგან. თუ არა ხსენებული სისხლის შერევა, კეთილშობილი სპარსელები, ეს თათართა შთამომავალნი, იქნებოდნენ ფრიად გონჯნი”.

ეს ცნობა ამოვიღეო, შენიშნავს დარვინი, ლაურენსის წიგნიდამ ,,Lectues on physiology 1822 წ.

თავის მხრივ პროფ. პატკანოვი აღნიშნავს ,,დნევნიკ ოსადი ისპაგანა ავღანისტანა, გვ. VIII):,,ყაენის აბაზ პირველის შემდეგ წესად შემოიღეს შაჰებმა თავიანთ ამალად ჰყოლოდათ ქართველთა რაზმი, ხოლო ქართველ თავადებისთვის მიენდოთ უმაღლესი თანამდებობანი სპასალარისა, დივანბეგობისა, ისპაანის ტარუღობისა და ხანებისა ცალკე თემებში. სეფიების ყაენობისას ქართველთა უმაღლეს წოდების წარმომადგენლები მიდიოდნენ სპარსეთს, ყანდაარს, ხორასანს, და აქ რჩებოდნენ ან დროებით ან სამუდამოდ. ამ დროს მათი რიცხვი სპარსეთში დიდი იყო. (ჰარამხანებში მყოფ ქართველ ქალების (მითვლით), და დიდი გავლენაც ჰქონდა სპარსთა უმაღლეს წოდებათა რასიულ გარდაქმნაში”.

მწერლები აღნიშნავენ იმასაც, თუ რა სურვილით ყიდულობდნენ ქართველ ქალებს ოსმალები სტამბოლში, თუ რომელი ხონთქარი იყო შვილი ქართველ ქალისა, ან რომელი იმპერატორი ბიზანტიისა, რომელი შაი. ტრაპიზუნტის იმპერიის დამაარსებლის ტანადობისა და ლამაზ სახეს ისტორიკოსები მზათ არიანო ახსნან მის ჩამომავლობით ქართველი წინაპრებისაგან.

მე აქ აღარ აღვნიშნავ შვეიგერ ლენხერფელდის შეხედულობას ქართველი ქალის სილამაზის შესახებ, არც აზრს დელაპორტისა, რომელიც დააფეთიანა ჩვენებური ასულების შვენიერებამ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენში ქალთა სილამაზეს თითქმის არ ჩამოუვარდება ვაჟთა სილამაზეც.

ესეთი სილამაზე, უეჭველია, უნდა იყოს ნაყოფი მრავალ საუკუნოვან სქესობრივ შერჩევისა. ამას თუ გინდ გვიმტკიცებს საქართველოს უწარჩინებულეს გვარების უაღმატებულესი შნო და სილამაზე და იგინი-კი ხომ მუდამ თავიანთ წევრებს რთავდნენ უუმშვენიერეს ქალებს.

შვენიერებისაკენ მიისწრაფოდა ქართველი და ამასობაში ყოველი უმსგავსოება მცირდებოდა და ან ისპობოდა.

ამ სახით გამომუშავდა ის სიმშვენიერე, რომელიც შეადგენს ზემო აღნიშნული მწერლების ჩვენებით, ქართველ ერის თვისებას.

მაგრამ ქართველ ქალს ისე, ვით ქართველ ვაჟს, ამშვენებდა ოჯახური საქმეც, აგრეთვე სიყვარული მწიგნობრობისა, რაინდობისა და მრ. სხვა სათნოების.

მრავალთაგან მხოლოდ ნაწყვეტი სეიდ მულკარის ნაამბობიდან.

1722 წ. ოსმალთა სულთანი მაჰმუდი შეება ავღანებს გილნაბართან. ავღანებს შველოდა ერთი ვაჟკაცი ქართველი, რომელიც ბრძოლის დროს იქვე დაიღუპა გმირულად. მისი სიკვდილი აცნობეს მის ცოლს. საქართველოდან ცოლი წამოვიდა მხედრად გადაცმული და შეიარაღებული და ავღანთა ჯარში ჩაეწერა. რამდენიმე ბრძოლაში ოსმალებთან მოჰკლა მან 50 კაცი და ამით სისხლი აიღო თავის გმირ ქმრისა. ბოლოს იგი, შვენიერი მარგალიტი, თვითონაც დაჭრილი ტყვედ ჩაუვარდათ ოსმალებს. რომ წარუდგინეს სულთან მაჰმუდს, წარბშეჭმუხნვით აუხსნა მიზეზი ომში გამოსვლისა, დიდად გაიკვირვა ხელმწიფემ ესეთი გმირული გამოსვლა ქართველი ქალისა, გაანთავისუფლა და მრავალ წყალობით სამშობლოსკენ გამოისტუმრა.

მერე რამდენი ამისთანა სამაგალითო გამოსვლები ყოფილა საქართველოს ასულების მხრივ! გარეშემო ქვეყნებში რომ ქალწულები ჰარამხანებიდამ პირაფარებულებიც კი სინათლეზე ვერ გამოდიოდნენ. ჩვენში ღადამები, ნინოები, შუშანები, გურანდუხტები, თამარები, ნათელები კიდევ სახელოვნად მეფობდნენ, კიდეც ემსახურებოდნენ შვენიერებას, შჯულიერებას, ერთა შორის სათნოების დამყარებას, სამშობლო ქვეყნის აღორძინებას...

ესეც ხომ ერთგვარი შვენიერებაა, რომ აზიის კუნჭულში შედარებით მცირე ერმა წარმოშობა იგეთი პირველხარისხოვანი მოაზროვნეები, ვით პეტრიწი, შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, გაბრიელი, აკაკი, და ამას გარდა თითქმის გველის ყბაში მყოფმა შესძლო მოეფინა განათლება თავის სამშობლოში და მოემზადებინა მრავალი სახელმწიფო კაცები, მოღვაწეები და მეცნიერები. გარნა ის კი მშვენიერება და საზეპურობა არაა, რომ ამ ნგრევას თავი დავაღწიეთ.

არევა

,,საქართველო" 1918, N 235, 8 ქრისტეშობისთვე, გვ2 .

ილია ჭავჭავაძემ თავის გაზეთის ,,ივერიის" პირველსავე N-ში აღნიშნა:

-ჩვენი გაზეთის სახელი უკუღმა რომ წაიკითხოთ, აირევი გამოვაო. იგი გულისხმობდა მაშინ მხოლოდ გაზეთის არევას, და ისეთი არევა-კი ყოველთვის მოსალოდნელი იყო, რადგან მაშინდელი ცენზურის სისასტიკემ იცოდა არათუ გაცხრილვა დანაწერისა, არამედ სუფთად გაცრაცა.

იმ შავბნელ დრომ თავის სამარცხვინო ხანა განვლო. აწ დაგვიდგა ჟამი თავისუფლებისა და აზრთა გამხილველების შიში აღარა გვაქვს. არათუ მცირე გაზეთს, თვით მთელს იბერიასაც ბნელი ძალები ვეღარა დააკლებენ, ვეღარ არევენ, მაგრამ მე იმისთანა არევაზე არა ვლაპარაკობ, რანაირიც ემეტებოდათ ჩვენთვის ჩვენს მტრებს, არამედ თემების შერევით საქართველოს სრულ გაერთიანებაზე.

ფეოდალურ წესწყობილებამ ჩვენში წარმოშობა თემობანი და თემობათა ერთეულობანი. მოიზღუდა თავისთვის კახეთი, მერე ქართლი, იმერეთი, მესხეთი.

შემდეგ ესენიც დაიყოფნენ და წარმოსდგნენ პატარ-პატარა კუნჭულები:თუშეთი, ქიზიყი, საინგილო, ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი, რაჭა, სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი, გურია, აჭარა, კლარჯეთი, სომხითი, ჯავახეთი და სხ. მიუხედავად ერთ ენისა, ერთ სარწმუნოებისა, ერთნაირ ჩამომავლობისა და სისხლისა, ყველა კუნჭული ჩაიკეტა თავისთვის, გაიჩინა საკუთარი კილო ენაში, ცხოვრებაში, ქცევაში, ბევრნი კიდეც დაშორდნენ მწერლობის საერთო განვითარებას, და ყველა ამის გამო ჩამორჩნენ ეროვნულ საერთო მოძრაობას, წინსვლას. ასეთმა არასასურველ მოვლენამ არია, მოშალა საქართველო, ნაწილებად დაყო, დაქსაქსა. და ამან-კი გამოიწვია ზოგი კუთხის ჩამორჩენა და ზოგის ამაღლება, წინწასწრება. განა ვინ ჩვენთაგანმა არ იცის, რომ ერთნი და იგივენი არ არიან გონებრივ-ეკონომიურ დარგში იმერეთ-ამერეთი, გურია-რაჭა, სვანეთ-ეგრისი, ჯავახეთ-სომხითი, კახეთ-მესხეთი. ეს უკანასკნელი ჭანეთითურთ ხომ ოსმალთა ორიენტაციამ უმეცრების მორევში ჩააყურჭუმელავა და არაქათი აღარ მისცა შეეგნო რამე საფარსაგო, სირცხვილის ალმურის სუსხი მაინც ეგრძნო მოგონებით უმანდელ თავის დიდებისა ახლანდელ თვის არარაობასთან შედარებით.

დიაღ, ვიმეორებ, ფეოდალურ სამაგელ წესწყობილებამ შეჰქმნა რაღაც ცალკე ქართველი, ზედწოდებით ,,მეგრელი, ,,სვანი, ,,გურული, ,,იმერელი, ,,ქართლელი" და სხ., ყოველი მათგანი ერთურთის საკიჟინებელი შეიქმნენ:ზოგს უზრახვენ სიზანტეს, ზოგს თავქარიანობას, ზოგს რასა და რას..

აი ამიტომ დროა ჩვენვე შეუდგეთ ქვეყნის გაერთიანების საქმეს:დროა მისადევართა და ხეობათა თემები ავრიოთ ისე, რომ დროს განმავლობაში ყველასგან დადუღდეს ერთობა მთლიან ერისა, აღარ დარჩეს მეგრელი თავის დადიანურ ტრადიციით, სვანი თავის დადეშქელიანთ უფლობით, გურული გურიელობით, აღარც იმერელი, ფშავი, თუში, ინგილო, არამედ მხოლოდ ქარ-თველი ერთად ერთ ქართულ იერით, სწრაფვით, ენით, წიგნით, საზომით, მამა-პაპურ ვაჟკაცურ სულით.

რომაელების დევიზი იყო ,,Divide et impera". ეს ცბიერი პოლიტიკა ადრევე შეიმეცნეს ჩვენმა ფეოდალებმა და საქართველო გაინაწილეს.

მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს, როგორც იუწყება ლამბერტი, ათაბეგმა, დადიანმა და გურიელმა პირობა დასდეს ერთად იბრძოლონ მეფის წინააღმდეგ, რომ მან თითო-თითოდ არ დაამარცხოს იგინი. ეგრეც ჰქმნეს.

ჯერ ამაზე წინად 1469 წელს ეროვნულ მეფეს განუდგნენ კახელნი, იმერნი, მესხნი და სხვა სამთავრონი.

ესეთი პოლიტიკა დამღუპველი იყო საქართველოს თავისუფლებისათვის უფრო, ვიდრე მოსევა ლეკებისა ან სხვა რომელიმე მპყრობელისა:ვინაიდგან დანაწილებულმა ქვეყანამ ჯეროვანი პასუხი ვერ გასცა საერთო მტერს.

ცხადია, თუ გვინდა რომ მოვსპოთ ნიშანწყალი უწინდელ მუხანათობისა, ეხლავე უნდა ივერია ავრიოთ მის დაყოფილ ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად სწორედ ისე, როგორც ნაპოლეონმა საფრანგეთი დაყო დეპარტამენტებად წინანდელის ბატონყმურ დროის დაყოფვის კვალის გასაქრობად.

ქართული სული

,,სახალხო საქმე" 1918, N 330, 13 სექტ, გვ. 3.

ისევ ამოძრავდა ქართული სული.

სწორედ 26 ვარდობისთვიდან იწყო ვარდივით ფშვა. არემარეს მოჰფინა სურნელება, დამატკბობელი გამხარებელი გულისა.

ჩაედგა სული კლდეს, მთას, ბარს, უტყვს, მეტყვს.

ქართული სული უკვე დაქროლავს მატარებლით, მოსცურავს ნავით, მოზუზუნებს მავთულით, მოსჩქეფს მდინარის მჭევლზე, მოფრინავს ზენაქარზე, წკრიალებს ურმულში, გუგუნებს ჰოპუნასა და მრავალჟამიერში.

აღვიძებს ყრუ არსებათაც კი:კონცხებს, ფრიალოებს.

ახუვლებს სპეკალ ჩანჩქერებს, აზვირთებს მოდუდუნე ხევებს, არაკრაკებს წანწკარა წყაროებს.

და ყველას აგალობებს ერთს კილოზე:საქართველოს სული, გარინდული უხეშობის ძალმომრეობით ასი წლის სავალზე ამოძრავდა, გაშალა მკლავნი ძლიერნი თავისუფალ ქართულ ცხოვრების მოსაწყობად, საკუთარის ტვინითა და საკუთარის გულით საკუთარ წესწყობილების შესაქმნელად, გიხაროდენ, ქალაქო, მხიარულ იქმენ, დაბა სოფელო! საქართველოს მოლოდინი აღსრულდა:

ბაზალეთის ძირს აკვანში მწოლარემ იკმარა ძილი, ამოვიდა, და შვილებს მოუტანა ლოცვა-კურთხევა მამებისა. იქიდგან შემოეთვალათ:

შოთას:მზე უკვე მზეობს თქვენთვისა დარიცა დარობს დარულად, რადგან სამშობლო ტკბილი ცა წყალობისა, მთოველი გაგიხდათ. სიკვდილი სახელოვანი სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა.

ნინოს:ნათლით გაგანათლეთ და ეგ ნათელი დაგიშრიტეს არათუ მანდ თქვენ, არამედ მეც აქ:ჩემსავე სავანეში მესმოდა რაღაც გაუგებარი ჟღურტული ტკბილ ქართულ ლოცვის მაგიერ. გმადლობთ, რომ მომაშორეთ არამკითხე სულის მცხონებლები.

თამარ მეფეს:ზღვაში ჩაუშვი ხომალდი, ხმელეთი ჩემკენ მოვიგდე, არზრუმსა დავსდე ბეგარა, ისპაანს ხარჯი ავიღე.

ილიას:თქვენ საკუთარი მიწა-წყლის მიჯნები მაინც დაიცავით, სულ ამას ვიმღერი:მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა! სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვად მონობისა, თანაც ვუმატებ"კვლავ ჩემ წინ მტკვარი მორბის ქუხილით, ამ ქუხილში ვგრძნობ მშობლიურს გრგვინვას. ვაშა, თქვენ.

რაფიელს:სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა:ორივ ტკბილია, მირჩევნის ორსავ თვალზედა. არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

აკაკის:ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი, ოდელა, დელა, დელაო!" ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ სინათლე დაგვიბნელაო... შორიდგან შემოგვეპარა მტერი ვით ტურა მელაო და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს, არ მოსწონს ,,დელა, დელაო!" ერთობა ჩვენთვის ტახტია მტრებისთვის სახრჩობელო"... შინაურ მტერს უფრო სასტიკად მოეპყარით, ვიდრე გარეშეს. გამარჯვებულებს გაგიმარჯოთ!

ნიკოს (ბარათ.):მე სულ ამას ვლოცულობ:გულთა მხილავო, შენ უწყი რაც დღეს საქართველოსა ჭირნი მოადგეს! მრავალ არიან, უფალო, მტერნი, და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი! გვესწრაფე, ჩვენო ხელთ აღმპყრობელო, და აღადგინე დღეს საქართველო".

ვიმეორებ ქართული სული კვლავ ამუშავდა, იგი ცხოველობს ამერეთს და იმერეთს, იგი ფშვის სატახტო ქალაქებში-თფილისსა და ქუთაისს, იგი მშვენიერობს სოფლად და დაბად, იგი ბზინავს პალატებსა და ქოხებში, იგი დიადობს, იგი ძლიერობს, იგი ზარს სცემს. და, ქართველო, მომავალი შენია...

მსოფლიო კონფერენციისთვის

,,საქართველო” 1919, N 1, 1 იანვარი, გვ. 2.

მე რომ ვამხილებდი გრენს, აბაზას და სხვადასხვა მოსყიდულ და არამოსყიდულ სწავლულებს, რომ ვამტკიცებდი, ესა და ეს კაცები არასათანადოდ აშუქებენ-თქო საქართველო-სომხეთის წარსულს, შეცდომაში შეჰყავთ ორივე ერის საზოგადოება მათ მიწა-წყლის და მთელი კულტურის შესახებ, აზვიადებენ, როდესაც ამბობენ, მტკვარი, ჭოროხი და ალაზანი ვითომ ყოფილიყვნენ სომხეთის მდინარეები, ხოლო დარიალი სომხეთში შესასვლელი კარები, ვიმეორებ, ამას რომ ვააშკარავებდი და მიდგომილებით მწერლებს ვამხილებდი, ხოლო თვით საზოგადოებასაც ვაფრთხილებდი, რა ვნება შეეძლო მიეყენებინა ერთისა და მეორე ერისთვის ამისთანა ცალმხრივ მწერლობას, მაშინ ყველანი სდუმდნენ, ანდა ჩემს წინააღმდეგვე ილაშქრებდნენ, ზოგი კიდეც მლანძღავდა, როგორ გაბედეო, რომ ჩვენს საჩინო მეცნიერებს ეკამათებიო, ამხილებო, ზოგნი კი ჩემს შეკითხვაზე:”რატომ ხმას არ იღებთ?”მეუბნებოდნენ:”ჩვენ სპეციალისტები არა ვართო. სწორედ ამისთანაების საგულისხმოდ ჩემს ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში ჩავურთე ფრაზა:ქართლის კამეჩებმაც-კი იციან, რომ მტკვარი საქართველოს მდინარეა და არა სომხეთისა, როგორც სწერენ აბაზა და მისნი მიმყოლნი მეთქი. მე დარწმუნებული ვარ, თუ ფხიზლად ყოფილიყო ქართველი საზოგადოება, თუ დროით ქართველ სახელოვან მეცნიერებს საჯაროდ დაემტკიცებინათ უმართლობა ზემორე ხსენებულ მწერლების ნაშრომისა, ძალიან შესაძლებელია, რომ დღეს უფრო მომზადებული შევხვედროდით სომხეთ-საქართველოს ომს და თვით ომსაც სხვა ხასიათი მიეღო.

ხსენებულ დარგის ,,მეცნიერებმა”” სომხებს გაუთქვიფეს თავში ცრუ აზრები მათ ცხრაასი წლის წინ მოსპობილ სამეფოს სიფართოვისა, ვითომ მათ უაღმატებულეს კულტურის გავლენისა ქართულ კულტურაზე, ჩვენებურ მწერლების სიჩუმემ, მეორეს მხრივ, უფრორე დაარწმუნა მეზობელი ხალხი მათ შესახებ ნაამბობის ვითომ სიმართლეში. და აგერ ახლა გამოდიან და მოითხოვენ თავისას, ქართლის გარეშე მდებარე მიწებს. ჯერ ისევ ჩემი კარგი მეგობარი ა.ა.ქალანტარი, აწ უკვე განსვენებული, დარწმუნებული მეუბნებოდა, თუ ოდესმე თავისუფლება გვეღირსა სომხებსა და ქართველებს, მტკვარი იქნებაო სომხეთ-საქართველოს განუყოფელ მიჯნად. ორიოდე დღის წინად ერთი სომეხი მიმტკიცებდა, რომ ლორე, ალავერდი და მიდამო უნდა დაეთმოსო სომხეთს. ჩემს შეკითხვაზე ,,კაცო, ეგ ალავერდის მადანი ხომ ერეკლემ აღმოაჩინა და გამართა, მანდ რაღა ხელი აქვს-თქო სომხეთს, მან ხმა აღარ ამოიღო. მქონდა საუბარი სომხის სხვა მეცნიერთანაც, რომელიც, იმოწმებდა რა ცნობილ პროფესორს, ამტკიცებდა, კლარჯეთში ქართველები რომ მივიდნენ მერვე საუკუნეში, იქ დახვდათ სომხური მოსახლეობა და იმათივე აყვავებული მონასტრული ცხოვრება. ჩემი განმარტება, რომ მეექვსე საუკუნეში საქართველოში დაწესდა ცამეტი მონასტერი ასურეთით მოსულ მამებისაგან და შიო მღვიმელის მოწაფე მიქელი რომ წავიდა კლარჯეთში, იქ ოპიზის მონასტერი უკვე არსებობდა-თქო, ჭკუაში არ დაუჯდა და ისევ იმეორებდა ხსენებულ პროფესორის ნაწერებიდამ გაზეპირებულ სიტყვებს.

ყველა ამას მე ვიგონებ და ვწერ არა ვისიმე საკამათოდ, არამედ იმისთვის, რომ ახლა მაინც, როდესაც ჩვენისავე დაუდევრობით მიწებს გვედავებიან, ვიცოდეთ, რა საბუთები იქნებიან წამოყენებულნი მომავალ მსოფლიო კონფერენციაზე და ჩვენც დავემზადოთ ჩვენის საბუთებით.

ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება, ეს საბუთები მთავრობამ ეხლავე შეიმუშაოს პროფეს. ჯავახიშვილის მოთავეობით, და არათუ მარტო ეს ისტორიული საბუთები, არამედ ყოველი დანაშთენებიც და აქვე, საქართველოშივე, გამორკვეულ დირეკ-ტივებით გავისტუმროთ ევროპას ჩვენი დელეგატები. თუ მართალი ყოფილა თქმულობა:შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერ, ესეთი გაზომა საჭიროა სწორეთ დღეს.

სიკეთე

,,საქართველო" 1919, N 11, 16 იანვ. გვ. 2-3.

ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან
სიკეთე მიუწვდომელი

შოთა

სიკეთე უმთავრესი სათნოებაა.

შეიძლება იყო ბევრის პატრონი, მაგრამ სიკეთეს კი მოკლებული იყო.

სიკეთე არ გაიზომება დიდის ქონებით, სახელმწიფოს ფართო საზღვრებით, დიდი სიმდიდრით, წყალზე მცურავ უთვალავ ნავებით, ჰაერში მოსრიალე მანქანებით, დამონებულ ერების სიმრავლით.

შეიძლება დიაღაც მორჭმული იყო, მაგრამ სიკეთე კი არ გქონდეს.

ქართველ ერს კარგად გამოუთქვამს:ყველი და პური, კეთილი გული.

საქმე სიკეთეა, და საცა ეს არის, შენი მიწვდილი ლუკმით ყოველი გამოძღება, რა გინდ მშიერი იყოს.

პატარა იყო საბერძნეთი. მაგრამ იმ ძველ დროს ბრწყინავდა მსოფლიოში თავის სიკეთით, და ეს სიკეთე ისე დიდი იყო, რომ მის მზიანობამ გამოვლო საუკუნოები. დღევანდელ კაცობრიობამ ხელის გულზე ერბო-კვერცხი რომ მოიწვას, იმ ძველ ბერძნების ამაგს ვერ გადაიხდის.

მართლაც რომ ,,ცოტა" ჰქონდა საბერძნეთს, მაგრამ მაგიერ ეს ცოტაც ყოველგან სიკეთე მიუწვდომელი იყო.

დედამიწის პირზე არც კი იქნება ადამიანი, რომ საბერძნეთის სიკეთიდან რამე არ მოიხსენოს ყოველდღე.

გეოგრაფია, ფიზიკა, ფილოსოფია და მრავალი ამისთანა ლექსები სულ ბერძნის მეცნიერებიდამ გამოდის.

აი ამ დიდებულ ერს მეზობლობდა საქართველო უხსოვარ დროიდანვე.

ჯერ ისევ მის გაცნობამდე კოლხელებს ჰქონდათ აწყობილი თვისი თავისუფალი სახელმწიფო, თავისი ეროვნული სარწმუნოება, და ამ ქართული წესწყობილებიდან ზოგი რამ სიკეთე კოლხეთიდან გადაჰყვათ საბერძნეთს, მაგ. ლითონების შემუშავების ცოდნა, უშვენიერეს ღმერთის ათინას ანდალმა, ალბად მევენახეობის წესიც და მრ. სხ. გადმოცემა.

შემდეგ საუკუნოებში-კი, რაც რამ გონებრივი სიკეთე ებადათ ბერძნებს, ქართველებმა ყველა გადმოიღეს და შეისისხლხორცეს, და ასრე შესდგა უმდიდრესი კრებული აუარებელი და უძვირფასეს ხელნაწერებისა. და დღეს თუმცა ავთა დროთ წყალობით ამ ხელნაწერების დიდი ნაწილი გაბნეულია რუსეთის, ინგლისის, ბერლინის, პარიზის, ავსტრიის, საბერძნეთის და პალესტინის ბიბლიოთეკებში, მაგრამ ამ გაბნეულ ნაწილის მიუხედავად რაც დღეს ჩვენი რესპუბლიკის ეროვნულ

მუზეუმშია, იმის სიკეთეც საკმაოა, რომ სახელი გაუკეთოს თვით დიდ სახელმწიფოსაც.

მარგალიტი ნაგავში არ დაიმალება და ადრე თუ გვიან ბრწყინვას იწყებს, რადგან ბრწყინვალება მისი ბუნებრივი სტიქიონია.

მტრებმა საქართველოს ბევრი მტვერი აყარეს, მაგრამ ეს მტვერი არ მიიკარა მან.

ვინც მზეს ტალახს ესვრის, წამოვა, მასვე ეცემა და გაზანგლავს.

აგრე დაემართათ საქართველოს სიკეთის მტრებსაც, საქართველო კი თავის ლმობიერ წესწყობილებით, თავის უნივერსიტეტით, მუზეუმებითა და კასკას შვილების ლხინში ლხინობით და ომში გმირულ ომობით თითით საჩვენებელი შეიქმნა კაცობრიობაში, და დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ თუ ამ მაღალნიჭიერ ერს რაიმე მოულოდნელი შემაფერხებელი ძალა არ გამოუჩნდა, რაოდენიმე ათეულ წლებში მისი ეროვნული კულტურის შარავანდედი უფრო აღმატებულად გაბრწყინდება და კაცობრიობის სიკეთის საკურთხეველზე ქართველი უფრო თვალსაჩინო წვლილს მოიტანს. ამის თავმდებია ის, რომ თუმც ცოტა გვაქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწვდომელია ეს ცოტაც.

ქართული აკადემია

,,საქართველო" 1919, N 17, 23 იანვ. გვ. 3.

,,ამიერ დასცხრა აკადემიაი,
ამიერ დადუმნა ესე სტოაი;
ამის მიერ უქმ არს პერიპატოი”.
ეფრემ მცირეს ,,უწყება”

ქართული აზრი იმთავითვე მოჰქონდა ქართულ აკადემიას, როგორც ძველები ამბობდნენ, აკადიმიას.

პარხალი, ოპიზა, ხახული, გელათი, იყალთო, გრემი,-აი წმინდა სავანეები ქართულ აკადემიებისა.

ტბეთი, იშხანი, ხანძთა, ტაძრისი, ქუთაისი, ბიჭვინთა, მცხეთა, მანგლისი, წყაროსთავი, შემოქმედი, კუმურდო, გარეჯა, თბილისი,-აი ადგილები, სადაც სააკადემიო მეცნიერების გასავლელად იზრდებოდა ქართველი ახალგაზრდობა.

ათონი, პალესტინა, სინა, კალიპოსი, პეტრიჩი, კონსტანტინეპოლი,-აი შუაგულები, საცა ქართველები თავიანთ სკოლა-სემინარია-აკადემიებში სწავლობდნენ ენებს ბერძნულს, ასურულს, არაბულს. აგრეთვე მათს ფილოსოფიას, მათს მეცნიერებას საზოგადოდ.

შინაურ აკადემიებში სწავლის დასრულება და სამზღვარ გარეთებში ამ სწავლის შემოფარგვლა და უმაღლესი განვითარება გონებრივი, სულიერი აღორძინება, უზენაესი აშენება, აი პროგრამა უწინდელ ქართველობისა, აი სწრაფვა საგან-მანათლებლო ჩვენთა მამა-პაპათა.

ეს პროგრამა ეკავა ქართველობას მრავალ ასწლოვან ისტორიის სარბიელზე ვიდრე დრკუ მმართველების შუღლი და ერთურთი მტრობა არ მილევდა დიდებულ საქართველოს ხმოვან თავისუფლებას 1801 წელს.

მანამდე-კი სწორეთ ეს აკადემიები ზრდიდენ ისეთ პირველხარისხოვან მწერლებსა, მგალობლებსა თუ მქადაგებლებს, ვით სიდონია, იაკობი, გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონი, სტეფანე და ივანე მტბევრები, მინჩხი, კურდანაი, გიორგი მერჩული, გიორგი მცირე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელები, პეტრიწონელი

მამები, არსენი დიდი, არსენი ბულმაისიმიძე, ანტონი დიდი, იოანე ბოლნელი, ზაქარია ვალაშკერტელი და მრ. სხ., აგრეთვე მგოსნები ფილიპე, არსენი იყალთოელი, იოანე შავთელი, მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, შოთა, თეიმურაზი, დავით გურამიშვილი, ბესიკი, პირველხარისხოვანი მხატვრები სვიმონ დვალი, ბექაი, ასათი, დიდი მეფეები, ვით აშოტი, ბაგრატი, აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ სჯულმდებელი, ისტორიკოსები, დიდი სარდლები, ვით თორნიკე ერისთავი, ცოტნე დადიანი, შალვა ახალციხელი, ერეკლე II, ლევან ბატონიშვილი.

რამდენი კიდევ ღირსსახსოვარი სახელებია, რომელთა ჩამოთვლა ჩვენ მოგვღლიდა და გაზეთს აავსებდა!

და ამათ ხომ ემატებიან ნიკო ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ბევრი სხვა ისეთი საჩინო მწერლები და მოღვაწეები, რომელთაც სწავლა მიიღეს უწინდელ აკადემიების ნამუსრევებში, რუსების მიერ მოწყობილ სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში.

რახან ეს ასრე იყო, ჩვენ მოველოდით, რომ საქართველოს განთავისუფლების ხანაში არ ,,დასცხრებოდა აკადემია. არ ,,დადუმდებოდა სტოაი. არ ,,გაუქმდებოდა პერიპატოი, არამედ როგორც ყოველს დაწინაურებულს სახელმწიფოშია, უნივერსიტეტი გიმნაზიებთან ერთად განათლების საქმეს პირიანა გაუძღვებოდა ჩვენი ეროვნული აკადემიაც თავის შესაფერ სემინარიითა თუ სემინარიებით; ამას მოველოდით უფრო იმიტომ, რომ ძველ აკადემიებს ჩვენთვის დაუტოვებიათ იმსიდო და ისეთი ღირსების გონებრივი მემკვიდრეობა-აუარებელი, პირდაპირ თითით საჩვენებელი პირველხარისხოვანი სამწერლო საუნჯეები, რომელთა შესწავლა, ხარისხებად დალაგება, გამოკვლევა, გამომზევება შეადგენს სწორედ სააკადემიო საგანს, აკადემიკოსთა საღმრთო მოვალეობას.

აი ამიტომ საჭირო იყო არა ერთადერთ სემინარიის მოსპობა, გიმნაზიად გადახალისება, არამედ მისი გააკადემიება, ხოლო სასულიერო სასწავლებლების სემინარიებად გადაკეთება. და ამათთვის ისეთ პროგრამის შემუშავება, რომ მოსწავლეებს მათში შეეთვისათ მხოლოდ ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა.

აკადემიის მძღოლებად შეგვეძლო მოგვეწვია ალ.ცაგარელი (რეკტორად), კორ. კეკელიძე (დეკანად), ხოლო პროფესორებად თუ გინდ გრ.რობაქიძე, ი.სანებლიძე, მ.კელენჯერიძე, ევს. ნიკოლაძე, ვ.ბარნოვი, ი.ვართაგავა, ან.ნატროშვილი, დ.პატარაშვილი და სხ.

და ამის მაგიერ, რაღაც გაუგებრობით, არათუ დავაარსეთ აკადემია, თვით ერთადერთი სემინარიაც, ეს ,,ალმა მატერი"" გაბრიელის, ნ.ჟორდანიასი, გ.გიორგაძისა, ი.გოგებაშვილისა, ნ.ცხვეთაძისა, თ.ჟორდანიასი, ლეონიდისა, კირიონისა და მრ. ჩინებულ მოღვაწეთა, ჩვენ მოვსპეთ, დავადუმეთ ის კერა, რომლის მოწაფეები საუკუნის შავბნელ მონობის დროს, თითქმის მარტოკა ატარებდნენ ეროვნულ აზრსა და სწრაფვას და არათუ მარტო ამას, არამედ თავმოყრილნი სხვადასხვა კუთხიდგან, ეცნობოდნენ ერთურთს და უნერგავდნენ ერთმანეთს სამშობლო ქვეყნის მსახურების უსაღვთოებას.

მე მგონია, კიდევ დრო არ არის დაკარგული და ჩვენმა მთავრობამ თუ კეთილ ინება, ძვირფას ეროვნულ უნივერსიტეტთან ერთად ააღორძინებს ძვირფასსავე ეროვნულ აკადემიასაც.

მმეფობი ერი

,,ივერია" 1919, N 36, 25 ქრისტეშობისთვე, გვ. 3.

მუდამ ასრე ყოფილა.

მმეფობი ერი წელში გაშლილია, ცხოვრებას შეჰხარის, ღირსებით მაღლა აღმართული მიდის წინ და თან ვარსკვლავებსა და მნათობებს შეეთამაშება, მიიმართება ისეთის მტკიცე ნაბიჯით, თითქოს გზაა ყოველს შეხვედრით გარეშეს მიაძახოს: ,,გზა დამიცალე, მე ვარ, რომ მოვდივარო!"

სულ სხვაგვარია მონა ერის ყოფა, საქციელი.

წელში წახრილი, თავდაღუნული, მუდამ მოქუხურებული მოგაგონებთ რაღაც საწყალ არსებას, რომელსაც თავის ჩრდილოსაც კი ეშინიან, არათუ შეხვედრილ ბატონისა, რომელსაც მზაა ფეხქვეშ დაეგოს, რომ ასიამოვნოს.

ქართველი ერი 1801 წლამდე განუწყვეტლად მეფობდა და მეფობის-თავისუფლების კვართხი ეჭირა როგორც ჭეშმარიტ გმირსა და რაინდს. მხიარულობის დროს იცოდა მხიარულობა, მოწევნულ უბედურებათ ხვდებოდა გულდაგულ და ამისთანა ბედშავ დროსთვის დაზოგვილი ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება:,,ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა".

მერე 1801 წლიდამ მზაკვრულად მოუსპეს მას მეფობა, ამ წლიდამ ქართველ ერს თავის ჭერქვეშ აღარ დარჩა თავისუფლება, დამოუკიდებლობას, მეფობას ჩვეული უხსოვარ დროიდგან მონად გახდა უხეშის მკსინვარე ძალადობისა, მაგრამ ამ უგვან დროის სუსხმაც ვერ გატეხა მისი თავისუფალი ნება. მისი ამაყი სული ვერ თავსდებოდა მონობის უღელში, მძლავრად იწეოდა 1812 წელს, რომ გამოშვებულიყო, მერე 1832 წელსაც, და მის შემდეგაც იმედს არ ჰკარგავდა, სათავისუფლო სასოებას თავის მწერლობაში, თავის ქადაგებაში დასტრფოდა თავისუფლებას ბაზალეთის ტბის ძირას მწოლარე ყრმის სახით, ერთურთზე დაყუდნების იგავით, საქართველო ჩონგურია და ჩვენ ყველა კუთხის ქართველები სიმები ვართოს შემოძახილით.

აღსრულდა.

გავარდა ვილჰელმის ყუმბარა, დაიშალნენ იმპერიები. ასრულდა ქართველთა საუკუნოებრივი ნატვრა.

აწ თავისუფალია საქართველო.

აწ ქართველს ვეღარ იხილავთ თავჩაქინდრულს, დაღვრემილს.

იგი ისევ წელში გაიმართა, მან ისევ მოიპოვა ის სიამაყე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შეეძინა თავის რაინდულ ოფლითა და პატიოსან შრომით.

საჭიროა ვიცოდეთ ფასი იმისა, რაც დაგლეჯილი გვქონდა და რაც უკანვე დავიბრუნეთ. საჭიროა მოპოებულს გავუფრთხილდეთ, როგორც თვალისჩინს, და მუდამ გვახსოვდეს, რომ თუ უმანდელ გმირულ სულით არ გავუძღოლეთ თავისუფალ საქართველოს, ჩვენ მასთან ერთად საუკუნოდ დავიღუპებით ბნელ ძალებისაგან. ყველა ერთისთვის და თითოეული ყველასათვის!

ქართველობა

,,საქართველო" 1919, N 149, 17 ივლ. გვ.3.

ყოველდღე მომდის ,,ერთობა", ,,საქართველო", ,,სახალხო გაზეთი", ,,სალი კლდე"" და სხ. ვკითხულობ და ვამაყობ, რომ ვარ ქართველი.

ყოველდღე ჩუღურეთიდამ ვაკემდე დავიარები, გარშემო მესმის წელში გამართული ქართველების ტკბილი ქართული, თავი მომწონს ჩემის ქართველობით.

ხშირად ვხვდები წინანდელ ჩვენ ბატონებს, რომელნიც თავმოკატუნებით და პირფერობით აქებენ ჩვენს მთავრობას, წესწყობილებას, ქართველთ სიგმირეს, ხოლო

გულში კი სურთ თქვან, რა ბეჩავები არიანო რუსეთისაგან გამოყოფილი ქართველები, ესეც ყოველი უმეტეს მამხნევებს, ვთქვა:მეც ამ ,,ბეჩავ" ქართველობას ვეკუთვნიო".

გაიძვერების პირით მესმის რაღაც უკუღმართი ცნობები შესახებ ,,მეგრელთ" ,,მაფალუასი, აჭარლების ,,განდეგილობისა, მესხთ ,,ორგულობისა, ლეჩხუმელთ ,,განცალკევებისა" და ვკვირობ, ნუთუ სადმე ჩვენში კიდევ მოიპოვება ისეთი ბეხრეკი, რომ ახალ გაერთებულ საქართველოს დროშას თავი არ მოუხაროს რა წრფელის წმინდა გულით და არ ღაღადყოს:მე ჭეშმარიტი ქართველი ვარ და არა ინგილო, ქიზიყელი, თუში, ხევსური, კახელი, ქართლელი, იმერი, რაჭველი, სვანი, მეგრელი, აჭარელი, მესხი ან გურული, ყველანი ღვიძლი ძმები ვართ სისხლით, ჩამომავლობით, ისტორიით, გადმოცემით.

გადავხედავ ჩვენს რუკას, მაჩვენებს კლარჯეთს, ლაზისტანს, მესხეთს, ქართლ-კახეთს, იმერეთს, სამეგრელოს, აფხაზეთს, გურიას და მთელს კი საქართველოს, ბაგრატ III-ის გაერთიანებულ იმპერიას, საც არ იყო კერძო მისადევრის კაცი, არამედ ყველგან მხოლოდ ქართველი, და ისევ მეღვიძება ჩემი ეროვნული სიამაყე, რომ ვარ მარტო ქართველი.

ვკითხულობ ძველ მატიანეებს, დიდ მგოსნებს და მწერლებს, ყველგან ვხედავ, რომ განცალკევების დროსაც კი ყველა მისადევრის კაცი გრძნობდა თავს ქართველად, ყველას ანბანი ერთი იყო, ყველას საერთო მეტყველება განუყოფელი იყო, ყველა ერთნაირ ქართლურ სწორმეტყველებით სწერდა და მსჯელობდა, თვით სალაშქროდაც კი იკრიფებოდნენ ერთად დიდუბეს ,,კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავი, ხევსური აბჯარით, მკლავით ძლიერით ქართველი ვით ციხე-ბურჯი მაგარი, ოსი ფეხმარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი, მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით და მშვილდოსნობით აფხაზი, გურულისგან-მეგრი მკვირცხლობით". ყველა ამასაც გონების თვალს გადავავლებ, ისევე ვამაყობ, რომ ვარ მხოლოდ ქართველი.

ვსწავლობ ჩვენ უმდიდრეს მუზეუმების უძვირფასეს ტყავზე ნაწერ წიგნებს, ამ ნამუშევრებს მეგრელ-იმერ-აჭარ-მესხ-ქართლ-კახელისას და ვერსად კი ვერ ვამჩნევ დამწერის, მთარგმნელის თუ გადამწერის მისადევრობას, მეგრელობას, სვანობას, მეს-ხობას, იმერ-ამერობას; ოღონდ აღნიშნავენ, გადავწერეო ცაგერს, ქუთაისს, გელათს, ცაიშს, შემოქმედს, წყაროსთავს, მცხეთას, ალავერდს და სხ. არვინ ამბობს, ვარო კახელი, ქართლელი, იმერი, მეგრელი და სხ., არამედ ყველა პატარაიები, ხორგაიები თავის თავს არ განასხვავებენ დანაშთენ ქართველიბისაგან. ვხედავ ამას შორეული საინგილოს შვილი და მენუკება, რომ მეც დავბადებულვარ ქართველად.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წმინდა დროშამ გაგვაერთიანა ისე, როგორც ერთ დროს ბაგრატ მესამემ, აღმაშენებელმა, თამარმა, გიორგი ბრწყინვალემ. ამის მხილველს წინ როგორ არ უნდა დაილიოს ყოველი კერძოობა, ყოველი ,,აშორდიობა, ყოველი ,,მაფალუობა" ყოველი ,,აჭარლობა, ,,მესხობა, ,,ინგილობა" და სხ. ისტორიის მსვლელობაში არ ყოფილა ესეთები და არც უნდა იყოს, არც უნდა შევქმნათ. არსებობდა ერთადერთი მაფალუობა-ქართული, არსებობდა ერთადერთი იერი, ისევ ქართველი, არსებობდა ერთადერთი ღვიძლი ენა, კვლავ ქართული, არსებობდა ერთადერთი გასაგები და უაღრესი კულტურა, ისევ ქართული. არსად სჩანს დანაწილებული კულტურა მეგრელთა, კახთა, სვანთა, კლარჯთა, მესხთა, იმერ-ამერთა, არამედ მხოლოდ ქართული. ყოველი ნაშთი დაწერილია ქართულის ენით, ყოველი ძეგლი დადგმულია ქართველის ხელით, ყოველ ძეგლზე მხოლოდ ქართული წარწერებია და ქართული ფრესკები. სად არის აქ საზდო კერძო მაფალუებისა, კერძო აშორდიობისა, კერძო მისადევრობისა! არსად, სრულიად არსად.

თვით უენო ქვანიც კი ღაღადებენ ჩვენ ყველას საერთო განუყოფელ და განუყოფელ ქართველობას.

უკუღმართობის დევიზმა ,,divide et impera”-მ თუ დაბადა აშორდიობა, სახარების გაწყობა მისადევრის ენაზე, ეს იმიტომ, რომ დაყოფით თვითონ ამ დევიზის პატრონს ებატონა და განცალკევებულები გზიანად ეხრაკა მხურვალე ტაფაზე. და ჩვენ დღეს, როდესაც ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის და ჩვენვე გვეყუდნის, რადღა უნდა ვებღაუჭოთ იმ ჩვენ მტრების დევიზს, რატომ ზიზღით არ უნდა შევუქციოთ პირი ჩვენ გამთიშველთა მზაკვრულ ოინებს.

არ უნდა ვაზვიადებდეთ თავს, თუ ჩვენის მისადევრების კილოკავებში, გინდ ,,ივერიულ მეგრულ ენაში” შენახულა რამ თვალსაჩინო, ვინაითგან თვით ეს თვალსაჩინოც კუთვნილებაა ყველა ქართველობისა, ქართულ კულტურისა.

მე ერთხელ კიდეც გამოვთქვი და ეხლაც ვიმეორებ, რომ ყოველი კერძო, სამისადევრო გამოსვლები დღეიდგან უნდა მოისპოს სამუდამოდ, აღარ უნდა დაშთეს საბოგინოდ თვით ისეთი სახელებიც კი, ვით ინგილო, თუში, სვანი, მეგრელი და სხვ., არამედ ჩვენი შინა-წყლის მთელი ზედაპირი დაიყოს ისე, რომ ყველგან სჩანდეს მხოლოდ და მარტოკა ქართველი და მისი საკულტო ,,მაფალუები”. განცალკავება მშლელია, მძაბუნებელი, ერთობა კი სასწაულების მომხდენი, თქმულა. ერთობამან განხეთქა მთა და გორია. კერძოობა სულ მიივიწყეთ, თუ გულით გსურთ დასტკბეთ რიჟრაჟი თავისუფლებით...

დღეობები ჩვენში

,,საქართველო" 1919, N 221, 14 ღვინობისთვე, გვ. 3.

დღეობებს ისეთივე გრძელი ისტორია აქვთ, ვით კაცობრიობას. დღეობები საბერძნეთში იდღესასწაულებოდნენ დიდის გამოფენებით და ჰქონდათ ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა

ესევე იყო ჩვენშიაც უხსოვარ დროიდგან. დღეობები საქართველოში იყო არათუ მარტო სალოცავი ადგილი, არამედ პატარა გეგმით თვით პარლამენტიც. აქ ირჩეოდა და სწყდებოდა ხშირად დიდ-დიდი საპოლიტიკო საქმეები, აქ მთელი თემი ეცნობოდა ერთურთს, სწავლობდა საზოგადო ადათებს, წესწყობილებას, გა-იცნობდა თავის მოღვაწეებს, თავის მოამაგე გმირებს. აქვე იმართებოდა ჯირითობა, დოღი, ათასგვარი სავარჯიშოები, ვით ბურთაობა, სროლა, სირბილში გაჯიბრება, გადახტომა მანძილზე, შუშპარი და მრავალი სხვა ტანისა და სულის მარგებელი სავარჯიშო. რაღა თქმა უნდა, აქვე ხშირად სასულიერო მოძღვრება გაისმოდა, აქვე ხელდახელ მოწყობილ ტრიბუნიდამ ხალხს თავს უყრიდა რომელიმე სახორციელო ორატორის მჭერმეტყველება, მოწოდება ბრძოლად მტერთან თუ შრომად მინდორ-ველსა თუ ბაღ-ვენახში.

სახელმწიფო, რომელიც გრძნობს თავის ღირსებას.

მოხალისეებმა და დენიკინმა გაიგო ეს-და ამიტომ ბათომი გაიხადა ინტრიგების, მოყიდვის, ჯაშუშობის ბუდედ და აქედან დღე არ გასულა, რომ მოშხამული ისარი არ გვესროლოს.

და საქართველოც იძულებულია გადაიტანოს ეს დამცირება მხოლოდ იმიტომ, რადგან ეს უსინდისო და გამყიდველი ხალხი ბრიტანეთის პრესტიჟს და ავტორიტეტს ემყარება, რომ უვნებელი დარჩეს.

დღეობა იყო ერთგვარი გამაღვიძებელი ღონე ერისა. ბევრს უხურებდა სისხლს, ახალგაზრდას ჰმატებდა სიგმირეს, ყველას უნერგავდა იმედს, ასწავლიდა ერთობას, ძლიერებას.

იშლებოდა დღეობები სიხარულით, სროლა ჭეხით. ყველა ბრუნდებოდა შინ განახლებული ხორცით, სულით, მოღიმარი და მოიმედე, რომ გამძვინვარებულ დევებსაც დასძლევენ, თუ გაბედეს და მოესივნენ მათ თავისუფლებას.

აი ამიტომაც მე ვერ წარმომიდგენია საქართველო უსვეტიცხოვლოდ, უალავერდოდ, უგელათოდ, უილოროდ, ვერ წარმომიდგენია საინგილო უქურმუხისაყდროდ, ფშავ-ხევსურეთი. თუშეთი უთამარმეფლაშქაროს ჯვროდ, შიგნითი კახეთი უთეთრგიორგოდ, თბილისი უდიდუბეოდ, უმთაწმინდოდ, სვანეთი უკვირიკე ივლიტოდ, გურია უშემოქმედოთ, სამეგრელ უმარტვილოდ, რაჭა უნიკორწმინდოდ და სხვა ყოველი მისადევარი უთავისდღეობოდ.

მე ვფიქრობ, დღეობების გონიერად მოწყობის საქმე და გამოჩვენებით ზეიმობის გამოთხოვის კითხვა პირდაპირ შეეხება ქართულ ხელოვანთა საზოგადოებასა თუ წრეს და მან უნდა იზრუნოს ამის შესახებ, რათა პარლამენტმა დააკანონოს, გარდა პირველ და 26 მაისობისა, კიდევ ნინოობა (14 იანვ.), თამარობა (1 მაისს), სვეტიცხოვლობა (1 ოქტ.), გიორგობა (10 გიორგ.) - ეს საყოველთაოდ მთელის საქართველოსთვის, აგრეთვე ადგილობრივ მისადევრების საზეიმოდ ალავერდობა, ლაშარის ჯვრობა, ოქონობა, გელათობა, ილორობა და სხვა.

ნინოობა, სვეტიცხოვლობა, თამარობა საყოველთაოდ იმიტომ, რომ თუ არა ესენი, საეჭვოა, ჩვენ გვქონოდა ის აუარებელი პირველხარისხოვანი ეტრატოვანი საუნჯეები, რომელთა მხილველი ევროპიელები განცვიფრებით და აღტაცებით აღიარებენ ქართველი ერის დიდ კულტუროსნობას, და თუ დამოუკიდებლობას გვპირდებიან, უფრო იმიტომ, რომ გვაბადიან არათუ მარტო ეს ფასდაუდებელი საუნჯეები, არამედ ისეთი ბუმბერაზი ძეგლებიც, ვით ალავერდი, სვეტისცხოველი, სიონი, გელათი, ბაგრატის ტაძარი და სხ. და იგეთი მნათობები ქართველ ერისა, ვით ნინო, ბაგრატი, აღმაშენებელი, თამარი, შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ნინოშვილი, მოჩხუბარიძე, ვაჟა-ფშაველა და მრ. სხვა წარჩინებული მძღოლი ერისა.

წინაპართა დაფასება, პატივისცემა ისეთივე საღვთო მოვალეობაა შთამომავლობისათვის, ვით ღვიძლი შვილი შვილიშვილისათვის მის დედ-მამისა. ვინც შეგვქმნა, გვასაზრდოვა, გმირული სული ჩაგვბერა და აუარებელი კულტურული მემკვიდრეობა გვიანდერძა, იმას პატივიც უნდა ვსცეთ, თუ გვსურს ვიწოდოთ ღირსეულ შვილად ღირსეულ გმირულ მამებისა.

სასახლეები საქართველოში

,,საქართველოს რესპუბლიკა" 1920, N 289, 19 დეკ. გვ. 3; N 291, 22 დეკ. გვ. 3.

ძველი სასახლეები ისე, ვით საყდრები და სხვა შენობები, მთელი ერის შემოქმედობის ნაყოფია, მის ხუროთმოძღვრულ ხელოვნების მომასწავებელი ნაშთია, და, როგორც ასეთს, დიდის კრძალვით ეპყრობიან ამისთანა ძეგლებს ყველა კულტუროსან სახელმწიფოებში. მათ დასაცველად, მოსავლელად და შესანახად ყველგან არსებობს ცალკე სახელმწიფო კომიტეტები, რომელთა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება ყველა ძველი მამა-პაპეული შენობა, დიდია იგი თუ პატარა, სასახლეა თუ ტაძარი, ციხეა თუ ნაქალაქევი, ნასახლარია თუ სასახლე.

რახან უსამართლოდ მოპყრობილი თავისუფლება დღეს ჭერქვეშა გვაქვს, რახან საქართველო დღეს ისევ დამოუკიდებელი თვითარსი სამყოფოა, და მისი აშენება, მოვლა და პატრონობა ისევ ჩვენ დაგვეკისრა, სათანადოა ყოველი ჩვენთაგანი დავით აღმაშენებლად" იქცეს, ყოველმა თავისი აღმშენებლობითი ნიჭი გამოიჩინოს ამ დარგში, საცა ნაყოფიერად მუშაობა, გულწრფელი რუდუნი შეუძლია. უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა გულმოდგინე შრომა დასაცველად ნგრევა-ოხრებისაგან ხუროთმოძღვრულ ნაშთებისა. მრავალი მათგანი დაინგრა წარსულ საუკუნის მონობის დროს ანუ, უკეთ ვთქვათ, დაანგრიეს უვიცებმა, ვით კაბენი, ეს ხვეული ხელოვნების აღმატებულობის თითქმის ერთადერთი წარმომადგენელი მთელს დედამიწაზე.

ვურთავთ ყოფილ სასახლეების სიას მათ მოკლე აღწერით. კარგი იქნება ამ ძეგლების აწინდელ ყოფა-ვითარების შესასწავლადა, ასაწერად და ნაშთთა სახის გადასაღებლად ახლავე გაიგზავნოს ყველგან მცოდნე კაცები და მათი ნასაქმარი დაიბეჭდოს ცალკე წიგნად.

აზეულა (კოჟორი), თხემსა ზედა კლდისასა. მის სამხრად არს სასახლე კოჟორი, ააშენა მეფემან როსტომ (+1658 წ.) უმეტეს მეფემან გიორგიმ და ვახტანგმა (+1737 წ.). აქ დგებოდნენ ზაფხულს მეფენი. ვახუშტი, 62.

ალამბარი, გურიაში, ხინოს მდინარის შესართავთან, ზღვაზე; სასახლე გურიელთა ფრიად შვენიერს ადგილს. ვახუშტი, 322.

ამბროლაური კრიხულაზე, რაჭაში, სასახლე მეფეთა, ადგილის შემკობილებისათვის. ვახუშტი, 282.

არტანუჯი, სადგური აშოტ დიდისა და სხ.

აჩაბეთი, თირის მონასტრის წყალზე, სასახლე და ციხე მეფეთა. ვახუშტი, 112.

აჯამეთი, სასახლე და სანადირო მეფეთა.

გეგუთი, სასახლე და სადგური ზამთარს მეფეთა. ვახუშტი, 279.

გრემი, კახეთში, შვენიერი სასახლე ლევან მეფისა (1520-1574 წ. ვახუშტი, 161.

დამპალა, იორზედ, კეთილ ადგილს, შვენიერ წყაროიანს. ვახუშტი, 133.

დარიალისა, ნასახლევი მეფეთა. ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან. ვახუშტი, 98.

დედოფლის წყარო, ქიზიყში, თამარ მეფის ქმნილი, შვენიერი ზაფხულობით, წყაროიანი, ნავთის მადანიანი.

ვარძია, სამცხეში, სენაკი პალატებიანი, ქმნილი თამარისა და მის მამის გიორგისაგან, რომელიც აქვე დაიმარხა. ვახუშტი, 214.

ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი. უმთავრესი სადგომი დადიანებისა. ვახუშტი, 302.

თელავი, სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი, ააგო კვირიკე დიდმა (+1039 წ.) ,,ქართლის ცხოვრება, გვ. 99. მუნ გარდაიცვალა მეფე ერეკლე II. ვახუშტი, 163.

თვალივი, გუდარეხის ხევზედ, სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი. ვახ. 78.

თიანეთი, დიდი სასახლე კვირიკე დიდისა (+1039 წ.), ბაგრატ IV ,,გარდაუდგა თიანეთს და დაწვა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი დიდის კვირიკე მეფისა აგებული". ქ. ცხ. 223.

თმოგვი, სასახლე თამარ მეფისა, სარგის თმოგველისა. ვახ., 212. შენ. 377.

თოღა, კახეთში, სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენვარე ზაფხულს. ამას ეწოდა მაჭი. ვახუშტი, 156.

ისანი (კალისი), ტფილისში, შავთელის სიტყვით, შესანიშნავი შენობა იყო, შემკული წალკოტ ბარებით, ტახტ საჯდომლებით, ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავდა

ცეცხლებრივ მისნი კედელ-ყურენი, ვიჯდით ძერწილნი, ბივრილიონით, ლიგვირიონით ურთიერთობით შორის შთათხილნი.

მაკაბელი, საინგილოში, სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატო. ვახ. 150.

მანავი, იორზედ ააგო იმანყულიმ 1716 წ. ვახუშტი 133.

მაღარო, ქიზიყში, სასახლე მეფეთა საზაფხულოდ. ვახ. 154.

მთიულკარი, გუდამაყარში, ნასახლევი მეფეთა. ვახუშტი, 94.

მოსაბრუნი, საინგილოს მჭვრეტი, გორაზე, იქ, საცა კახეთის ველიდან ალაზანი დაექანება შირაქისკენ. სასახლენი დიდშენნი. ვახუშტი, 149.

ნადარბაზევი, ქციაზე, თამარ მეფის ნასახლევი. ვახ. 57.

ნოხარი, სამცხეში, ბოცოს წყალზე, სასახლე თამარ მეფისა, დიდშენი, შვენიერს ადგილს. ვახუშტი, 210.

ნაქალაქევი, სამეგრელოში, სასახლე დადიანისა. ვახუშტი 2

ნაღვარევი, მთიულეთში, მეფეთა ნასახლევი, შენებულობა დიდი. ვახ. 94.

ნაჭარმაგევი, საზაფხულო სასახლე მეფეთა. დავით აღმაშენებელი:"როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე მამესხნეს, თევზნი ამერთა წყალტაგან იმერთა წყალთა შტამესხნეს, აწი ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს". თამარის მამა გიორგი იდგა ნაჭარმაგევს, სახლსა სალხინოსა. ქართ. ცხ. 266.

ოზურგეთი, სასახლე დიდშენი, კეთილპალატოვანი, გურიელისა. ვახ., 321.

ჟინვანი, არაგვზე. შენებულობა დიდი. ,,ჟინოვნისა საყდარო, თამარ მეფის სახლ-კარო, ველირსები განა მე თქვენსა არეს ვიხარო"!

რუსთავი, სასახლე ერეკლე I-ისა,. ვახუშტი 66.

სახარია, აბაშაზე, ციხე და სასახლე დადიანისა. ვახუშტი, 296.

სიბარისი, სასახლე ალეტისა, საზაფხულოდ.

სკანდა, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდ შენი. ვახუშტი 274.

ტაბახმელა, ტფილისის ახლოს, საზაფხულო სადგური მეფეთა. თამარს აქ დაებადა პირმშო შვილი.

ტფილისი, სასახლე ააშენა ვახტანგ მეექვსემ, შვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, ლაჟვარდითა მარმარილოს კედლითა. ვახუშტი, 70.

ქუთაისი, სასახლე მეფეთაგან, დიდშენი, შვენიერად რიონსა ზედა წაკიდებული, ასპარეზ-მოზღუდვილი ვარჯად ჭანდრით. ვახუშტი, 280.

ყარაღაჯი, ქიზიყში, ადგილი წყაროიანი, სასახლე, რომელი ჰყვეს ვითარცა მცირე ქალაქი. ვახუშტი, 151.

შაორი, რაჭაში, საზაფხულო სასახლე მეფეთა, ადგილის შვენიერებისათვის კეთილ აგარაკოვანი. ვახუშტი, 284.

შხეფი (შხეთი), ახალსენაკის ახლოს, გორაზე, სასახლე დადიანისა. ვახუშტი, 296.

ცაკარა, მთიულეთში, ნასახლევი მეფეთა, საშენი დიდი. ვახუშტი, 95.

ჭალა, ქართლში, შენობა დიდი სასახლეთი. ვახუშტი, 105.

ხეთა, სამეგრელოში, ციხე და სასახლე დადიანისა. ვახუშტი, 300.

ხორგი, სასახლე აფხაზეთის კათალიკოზისა. ვახუშტი, 299.

ხორნაბუჯი,(ჭოეთი), სასასხლე და სიმაგრე ქიზიყის ერისთავებისა. ვახ. 153.

ყოველი ასეთი ნაშთი ქართული ეროვნული ძეგლია და ისე უნდა კრძალვა, ვითარც ჩვენ ყოველთაგანის ორთავ თვალისა და თუ რომელიმე ცოცხლად არ გადარჩენილა დროთა ვითარების გამო, მათ ნანგრევ ნატეხების აღწერილობით მაინც აღვადგინოთ მათი თავდაპირველი სახე, რომ ისე კვალწმინდად არ დაიკარგნენ, ვით მოისპენ სასახლეები სატახტო ქალაქების მცხეთისა და უჯარმისა.

ფრთოვანი ლომები*

,,საქართველო" 1921, N 44, 25 თებ. პარ. გვ. 1.

,,ფრთოვანნო ლომნო,
აღვიხვნეთ ლახვარნი და
ოროლნი და უგმირნეთ
მტერთა ჩვენთა”.

,,ჭაბუკი გმირი გიორგი მესამე სუფევდა ნაჭარმაგევს, სახლსა სალხინოსა. საქართველოს შემოესია აუარებელი მტერი, მოიცვა ის არემარე, საცა დღეს ბრძოლაა- გიორგიმ იხმო დასნი:ზემონი, ქვემონი.

თითონ სწრაფლ შეირტყა და წარემართა.

გარდამვლელი მთათა, ჩავიდა შირაკად.

ჯარი მცირე ჰყვანდა, უშლიდნენ შებმას ლაშქრის მოგროვებამდე, არ დაიშალა.

თავის რაზმს გასცა ღაღადი:ფრთოვანნო ლომნო, აღვიხვნეთ ლახვარნი და ოროლნი და უგმირნეთ მტერთა ჩვენთა.

იწვია ლიპარიტ ამილახორი, ქირქიშ სურამელი და 3000 მეომარი. ღიმილით და სიცილით უთხრა:

,,მოყმენო (გმირებო), იგიცა ვსჯობთ, რომელმანცა უმოსწრაფეს უხეთქნეთ მტრის დროშის მქონესა, და დაცემითა მისითა დავსცეთ

ბანაკი უცხო თესლთა ამათ.

მყის მიესივნენ,

ვითა ფრთოვანნი ლომები.

მტრის დროშა მედროშითურთ დასცეს,

დაანარცხეს,

მკლავითა აქილიანითა დაუტიეს,

ადინეს ღვარი სისხლისა.

მცირეოდენი გაიქცა.

ბუმბერაზნი დაედევნენ, კაფეს, ყარეს, შემობრუნდნენ. ერმა დაახვედრა შილინგი, ის იგი დიდი სასიხარულო ზეიმი, სროლითა, ნესტვითა და გალობით. იშვებდეს და იხარებდეს, იღიმოდეს და ამბორს უყოფდეს ურთიერთს.

მაგრამ გმირი გიორგი ამით არ დაკმაყოფილდა.

ტაო-კლარჯ-შავშნი მიუსია ოლთისს ბანას იქით მისადევარს. მესხნი და თორელნი კარისს (ყარსს) და აშორნიას, ამირსპასალარი და სომხითარნი მტკვრის პირს განძამდის.

თვითონ ლიხთ იმერებით და ქართლელებით გაეშურა განძის გამართებით, მტკვრის პირპირ ხოლთამდის.

ჰერნი და კახნი შეაყოლია ალაზნის შესართავით შირვანამდის. ეს მანამდის გაუგონარი ლაშქრობა დაიწყო ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ჟამს.

ამოძრავდა მთელი საქართველო

მგოსნის თქმისა არ იყოს,

შეკრბა ,,კახი ფარ-შუბით, თუში
ხმლით..
გურულ-სვან-მეგრი მკვირცხლობით”.
ყველგან გაიმარჯვეს.
ყველგან მტერი შემუსრეს.
ყოველნი იბრძოდნენ ქართველურ სიკისკასით, მამა-პაპურ სიმხნითა, სიჩაუქით.
მტერი ილეწებოდა და ასე ღრიალებდა
,,არა არს დღეს კაცი ქვეყანასა ზედა პირსაპირ შემბმელი გიორგისი და ლაშქართა მისთა; მივრიდოთ და დავეფარნეთ პირისა მათისაგან.
გაქცეულს მიაყრიდნენ, ზოგი ისარს, ზოგი ქოქოლას.
უკეთურთაგან გაიწმინდა საქართველო.

* გამოქვეყნდა თბილისში ბოლშევიკური რუსეთის ჯარის შემოსვლის დღეს.

ქართველ საზოგადოებას

,,კომუნისტი" 1921, N 47, 28 აპრ. გვ. 3.

ავტორი ქართველ საზოგადოებას აუწყებს, რომ ამ აპრილის ბოლო რიცხვებში დასრულდა ქართულ-რუსული ვრცელი ლექსიკონის თეთრად გადაწერა. აღნიშნავს, რომ მის შედგენას იგი მოუნდა 46 წელიწადი, ხოლო მარტო თეთრად გადაწერას-ექვსი; ლექსიკონში შევიდა სიტყვიერი მასალა მრავლათ უმრავლეს ხელნაწერებიდან. დაბადებიდან მოკიდებული, აგრეთვე სიგელ-გუჯრებიდან, ქართველ მეცნიერების გამოკვლევებიდან და გამოცემებიდან. რაღა თქმა უნდა, მას უსარგებლია ისეთი თვალსაჩინო მწერლებიდააც, როგორც იოანე პეტრიწი, მოსე ხონელი, შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე, არჩილ მეფე, დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, შიო არაგვის-პირელი და მრ. სხვ. ამას გარდა ლექსიკონში შევიდა ადგილობრივი სიტყვიერი მასალა საინგილოდან, ფშავ-ხევსურეთიდან, სვანეთიდან, რაჭიდან, აფხაზეთიდან, გურია-კლარჯეთიდან, ჭანეთიდან. ნაშრომში მთლიანად შევიდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი შესაფერ შესწორებებით ახალი დროის სიტყვიერ შემენილობის თუ ძველი ტექსტების მიხედვით; ქართულ-რუსული ვრცელი ლექსიკონი შედგენილია სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოცემულ სლავურ რუსულ ლექსიკონის მეთოდის მიხედვით:პირადად ავტორის განმარტებას მისდევს ტექსტი, რომელშიაც გვხვდება ესა თუ ის სიტყვა, ხშირად განსხვავებათა ჩვენებითაც, თუ ესეთი განსხვავება შეინიშნება სადმე. ავტორი მიუთითებს, რომ დასახელებულ ლექსიკონში სულ 104.442 სიტყვა შევიდა მაშინ, როდესაც ს-.ს.ორბელიანის ლექსიკონში მხოლოდ 18.651 სიტყვაა, ხოლო დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში-40.597. მოკლედ დახასიათებულია ლექსიკონის შედგენილობა. დასასრულ ავტორი აღნიშნავს, რომ მისი შრომის ნაწილი მცირედ გადაათვალიერა პროფესორმა ივ.ჯავახიშვილმა და ურჩია მას ნაშრომი წარედგინა წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. ამ საზოგადოებასთან პირობა უკვე დადებულია და ლექსიკონი დაიბეჭდება, თუ ქაღალდის მხრივ დაბრკოლება არ აღმოჩნდებაო.

ქართველ ერს

,,კომუნისტი" 1924, N 4 (857), 5 იანვ. გვ. 3.

ამავე სათაურით მე დავბეჭდე წერილი ,,კომუნისტში” 1921 წელს, აპრილში და ვაუწყე საზოგადოებას, რომ დავამთავრე-თქო შედგენა და გადაწერა ქართულ რუსულ ლექსიკონისა, რომელშიაც შევიდა 104.000 სიტყვა.

დღეს პატივი მაქვს საზოგადოებას გავაცნო ჩემივე შრომა, რომელიც მიძღვნილია ქალლდეურ ტექსტებისთვის.

ქალდეური ტექსტები ქვა კლდეზე გამოჭრილი წარწერებია. ამისთანა ძეგლწერა დღეს 180-მდე ითვლება. პირველი მათგან იპოვნა შულცმა 1827 წელს ვანის ტბის პირას, მერე რავდენიმე სხვაც იმავე ტბის არე-მარეზე.

წარწერების ფოტოგრაფიები უკვე დაბეჭდილია მრავალ სამეცნიერო გამოცემებში.

ტექსტები წაიკითხეს, მაგრამ ვერ ამოიცნეს რა ენაზე იყო დაწერილი. საისი, ლენორმანი მას უნათესავებდნენ ქართულ ენას. ბოლოს გამოითქვა აზრი,, ,,თუ ამ ძეგლწერათა დამტოვ მოდგმის წარმომადგენელნი არ არიან დღევანდელი ქართველები, მაშინ იგი უნდა ჩაითვალოს სრულიად გადაშენებულ-ამოწყვეტილ ხალხად” (ნიკოლსკი).

ჩვენ გავეცანით ამ ტექსტებს რუსულ გამოცემებით ,,Древности Восточныя” (ტ. 1, გამოც. მე-3), ,,Материалы по археологии Кавказа” (გამოც. მე-5, 1896 წ.). ამათში დაბეჭდილია ქალდეური ანუ აგრედწოდებული ვანის ლურსმური წარწერები” (მ.ნიკოლსკის რედაქციით) იქაურ მეფეებისა, რომელნიც ასურულ წყაროების მიხედვით თანამედროვეები იყვნენ ასურ ნასირ აბალისა (885-860ცწ. ქრ. წ.), სალმანასარისა (860-825) და სხ.

ჩვენ შევუდექით ძვირფას ტესტების შესწავლას და მათ შესახებ მოხსენება წავიკითხეთ 1900 წელს არქეოლოგიურ კრებაზე პრ. უვაროვას თავმჯდომარეობით; 1906 წელს კრებულში ,,Батум и его окрестности” გამოვაცხადეთ (გვ. 33):ენა ვანის ლურსმურ ძეგლწერათა არის ენა ქართული”.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, თქმა ერთია, დასაბუთება სხვა. საჭირო იყო ჩვენი სიტყვის დასაბუთება, და 1906 წლის აქეთ ამ საბუთების ჩხრეკა ძიებას მოვანდომეთ დრო-ჟამი.

ანალიზი გავუკეთეთ ქართველ მოდგმის კილოების ფორმებს, სათემო და საგვარტომო სახელებს, გეოგრაფიულ სახელების შედგენილობას, აღვადგინეთ, შეძლებისამებრ, ძველი საერთო ენის სახე, და იგი დაუპირისპირეთ ლურსმურ ტექსტების ენა, და ამ ტექსტებიდან 17 უკვე წავიკითხეთ (სქოლიოში მითითებულია:ესენი დაბეჭდილნია ზემოხსენებულ რუსულ გამოცემებში ნიკოლსკის რედაქციით-კ.კ.).

წაკითხული ტექსტების ენა საგვარტომო ქართული ენაა, მხოლოდ შიგა და შიგ გვხვდება თითო ოროლა ფორმა, რომელიც ამ საგვარტომო ქართულს დაუკარგავს და დაშთენილა-კი განაპირა კილოებში (ინგ., ხევს., სვან., მეგრ., ჭან.).

რახან წაკითხვამ ცხადჰყო, რომ ძეგლების დამწერნი ყოფილან ქართველები, ამიტომ საჭირო შეიქმნა განმეხილა სამეცნიერო ლიტერატურა შესახებ ამ ძეგლების დამტოვებელ დიდ და სიბრძნით განთქმულ ხალდეველებისა და მათ ერთ-სისხლ და ერთ ხორც ხეთელებ-კოლხებისა. აღმოჩნდა შემდეგი.

უწინარეს ჟამებშივე ხალდეველთა მოდგმას სჭერია მთელი შუამდინარე და მცირე აზია ეგვიპტის საზღვრებამდე, კუნძულები კვიპროსი (ამას მათებურად ერქვა აგრეთვე იავნანა) და კრეტა. შარდან კოლხელი თავის რაზმით ჰშველოდა რამზეს II-ს

1270 წ. ქრ. წ. კოლხელებივე ენადებოდნენ ლიბიელებს (აფრიკაში), საცა ცხოვროდა თეთრკანიანი ხალხი თხუხი, კახაკინილოსის დელტის სამხრით ქალაქი ტანისი (ავარისი) იყო უმთავრესი სამყოო კოლხელებისა. ჰიქსოსების ხანაში მთელი ეგვიპტე, სირია ღასისამდე და შუამდინარე წარმოადგენდა ერთ სახელმწიფოს ჰეგემონიის ქვეშე ხეთა-ქა;დის მოდგმისა. შემდეგში 1270 წელს ხეთას მეფე ხიტისარმა (სქოლიოში აღნიშნულია:ხიტი იგივე ქიტი, ხატი, ხეტაა ხიტიის ანუ ხიტის მეფე (სარ-ცარ, მცარი, ცავი), რომ სამეგობრო ხელშეკრულება დასდო რამზეს II-სთან. ამ ხელშეკრულობის სიმტკიცეს თავდებად დაუდგა ათასი ღმერთი ხეთას ქვეყნისა და ათასი ღმერთი ეგვიპტისა, და იგივე ხელშეკრულობა თავის ბეჭდით და ხელმოწერით დაამტკიცა ხეთას დედოფალმა გილუხიპამ (სქოლიოში ნათქვამია:ასეთივე სახელიანი სეფე ქალები ქალდისა ცოლად ჰყვანდათ ფარაონებს), ასულმა კიჯადადანის ქვეყნისა.

საგულისხმოა, რომ ჰეროდოტე, რომელმაც მოიარა ეგვიპტე და კოლხეთი, ეგვიპტელებსა და კოლხებ შორის ერთის მხრივ და მათ ჩვეულებასა და ენას შორის მეორეს მხრივ დიდ ერთობას აღნიშნავს.

ბერძენთ მწერლებივე აცხადებენ კოლხების ერთგვარ დენას დასავლეთის-კენ. სტრაბონი იუწყება, კოლხების კვალი შეინიშნებაო კუნძულ კრეტაზე, იტალიას, ადრიატიკის ზღვამდე. აქ პლინიუსი უჩვენებს ქალაქს კოლხინიუმ კოლხთა აგებულს. ამათ წინანდელი მწერლები, კალლიმახი (260-230 წ. ქრ. წ.) და სხვა, კოლხთა ქალაქებს უჩვენებენ ეპირში, ისტრიას (სქოლიოში აღნიშნულია:კოლხებმა დააარსესო ქალაქი, რომელსაც დაარქვესო თავიანთებურად პოლა. გვგონია ნაკვეთად სიტყვისა სოფელი ზმნიდან ფუუა, ფლვა, ფლობა).

თვით იუპოტერის აღმზრდელებადაც იგივე ბერძნის მწერლები აცხადებენ კოლხებს, ათინის კულტიც კოლხეთიდან გადაინერგესო.

შემოვკრიბეთ ჩვენ გეოგრაფიული სახელებიც ხეთა-ქალდიისა, და მათ შორის არა ერთი აღმოჩნდა სეხნია აწინდელ საქართველოს გეოგრაფიულ სახელისა, იგეთიც-კი, ვით არმაზი, ოპიზი, ძამა, გურია, ეფრატი. მაგრამ ამ სახელებში უმთავრესი ჩვენი ყურადღება მიიპყრო შუამდინარის წოდებამ შუმერე, ე. შუამერე ტიგროსსა და ევფრატს შუა მდებარე მერე=სარწყავი მიწა. ამ შუმერის ენა აქაურობისთვის ისეთივე საღმრთო ენა იყო, როგორიც ევროპისთვის ლათინური, მაგრამ ამ ლათინურზე ორჯერ მეტ ხანს (ისტორია კაცობრიობისა, ჰელმჰოლცის რედაქცია 1904 წ. ტ. 3, გვ. 6.)

ასე შემოიკრიბა დიდძალი მასალა და ისეთის ხასიათისა, რომ აშუქებს ქართველი ერის წარსულს. და ამიტომ ამ მასალის სემცველს ჩვენს ახალ შრომას სახელად დავანათლეთ ,,ქართველები და ქართული ენა”.

ეს წიგნი (ასამდე ხელნაწერი თაბახი) დაყოფილია ოთხ თავად.

თავი 1. გამოკვლევა: ენა საზოგადოდ და ქართული განმსაკუთრებით პალემფსესტების ენა და ინგილოურ-სვანური კილოები. არსებითი ზმნა. ნაცვალსახელები. რიცხვი. თანდებული (წინ და უკან სართავები)-ნათესაობითი ბრუნვა და ი. ზმნათა შორის. ღმერთი. მზე. მთვარე. ცა.

თავი 2. სათემო და საგვარტომო სახელების დაბოლოებანი.

თავი 3. ქალდეური ტექსტები; წაკითხვა განმარტებანი.

თავი 4. ქალდიიდან ქართლამდე:

1. ქალდიის მოკლე ისტორია. 2. ცნობები ხეთის შესახებ:ხეთას ადგილები. ღმერთები.მეფეები. ანბანი. ხეთა-აკადური სიტყვები. 3. ეგვიპტელები და კოლხები. სახელები დაბოლოებით კ-კი-კა-გი. შარდან კოლხელი 1270 წ. კოლხები ტანისში და

ლიბიაში. 4. ქალდიის გეოგრაფიული სახელები. ქალდეველტა ენა. კულტურა. მხედრობა. დაშლა დიდებულ იმპერიისა. მცხეთა.

დასკვნა:ქალდეურ ტექსტების მნიშვნელობა.

დამატება:1. სამეგობრო ხელშეკრულება ხეთა-ეგვიპტისა (თარგმანი). 2. ქართული გეოგრაფიული სახელები და მათი დაბოლებანი. 3. ბგერათ შესატყვისობა.

ქალდთა ძეგლ-წერანი ისეთი ხასიათისანი არიან, რომ იგინი დიდი მეცნიერების სიტყვით არ ჩამოუვარდებიან ეგვიპტის ცნობილ ძეგლებს. ოღონს უნდათ მათ გულდასმით და ბეჯითად შესწავლა, ტექსტების მოგროვება, გადმოთარგმნა, გამოქვეყნება და გავრცელება. ყველა ეს უნდა ითავოს ჩვენმა ნორჩმა უნივერსიტეტმა, საცა მოღვაწეობენ ისეთი ძალები, ვით ივ.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე, ა.შანიძე, გ.ახვლედიანი, გ.წერეთელი და სხ.

ჩვენი ძეგლწერები არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობისაა, არამედ საზოგადოც, საკაცობრიო. ჯერ ისევ ამ ძეგლწერათა წაკითხვამდე ინგლისის მეცნიერი კლარკი წერდა:

,,ქართველი მოდგმა უწინ ფართედ იყო განთესილი. არსებობდა ძველი ქართული ენა, რომელიც შემდეგში გაშტოვდა ენებად არიისა, სემისა, ტიბეტისა და სხ. მოდგმათა. ერი, რომელიც ამ ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, ბატონობდა მთელს მაშინდელ ცნობილ მსოფლიოში, უმთავრესი სამყოფო კი ამ ერისა იყო იბერია-მოსეს ედემი. ბაბილონს და ასურეთს აღმოცენდა მისი სკოლები სამეცნიერო, სამწერლო და სახელოვნო შესაგნებად უძველეს ძეგლ-წერატა ფორმებისა და აკადის ძეგლწერების წასაკითხავად უნდა მივმართოთ ძველ ქართულ წყაროებს. სომხები და სპარსელები არიან ნაშთნი ძველ ქართველებისა, ასურთა მიერ დამარცხებულებისა და დევნილებისა მათ სამხრეთ სამფლობელოდან”.

H. Clark. On the prehistorie and protohistorie relationr, of Asia (Journal of the of the Antropokog. ligt; tute, 1871 წ. გვ. 52-59. კ.პატკანოვი. ,,ვანის ძეგლწერანი და მნიშვნელობა წინა-აზიის ისტორიისათვი”, 1881, გვ. 15).

როგორც ჰხედავთ, ყოველ მხრივ საყურადღებოა კლარკის აზრი და შეხედულობა. ძეგლწერათა ენა უკვე ამოცნობილად უნდა ჩაითვალოს. ქართველი ერი მოვალეა დიდის გულისხმიერობით მოეჭიდოს იმ საუნჯეს, რომელიც ბიაბან ადგილებში დაუტოვებიათ წინაპრებს.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ერთი ძეგლწერა თავდება ლექსად, რომლის დაბოლოება ასეთია:

... ნუ ლალიე
ნუ ლაალი
ნულულიე
სელუინიე

ასეთები იყვნენ ,,გულმყარნი და კისბასნი, ვეფხვზე მალი ცხენებით” (ამბაკომე) ,,ქალდინინი ბუშინი””.

29 დეკ. 1923..

თანამედროვენი მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობაზე

,,ჩვენ მივიღეთ მშვენივრად გამოცემული ,,,საქართველოს ისტორია", შედგენილი მოსე ჯანაშვილისაგან. წიგნი შედგება ორას ორმოცი გვერდისაგან. ფასი წიგნისა არის დანიშნული სამი აბაზი და ვინც ოც წიგნზე მეტს წაიღებს ერთად, მას წიგნი ეთმობა

ათ შაურად. ვისაც ახსოვს სემინარიაში მასწავლებლის ნაგლეჯ ქაღალდზე საქართველოს ისტორიის სწავლება და ვინც კარგად დააკვირდება ქართველთა ხალხის სიღარიბეს ამისთანა წიგნების უმექონებლობით ის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამისთანა წიგნის გამოცემას დიდის სიხარულით მიეგებება. ბ. მოსე ჯანაშვილი ამისთანა შრომისათვის სწორედ ყველა ქართველთაგან დიდი ქების და პატივისცემის ღირსია. ყოველი ქართველი:მღვდელი და ერი, ვისაც ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გაგება ესიამოვნება, დიდის სიხარულით მოიპოებს ამ წიგნს..," (სხვადასხვა ამბები და შენიშვნები. იხ.. ,,მწყემსი" 1884, N 12, 15 ივნ. გვ. 9).

.....

,,ჩვენ მივიღეთ ჩინებული გამოცემა ახლად შემუშავებული და შევსებული საქართველოს ისტორიისა მოსე ჯანაშვილისა. ეს პირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა საჭიროებდეს ყოველი ქართველი და მუდამ ხელში ეჭიროს ლოცვანივით, იგი იწყება ისტორიული დასაბამიდან ქართველი ერისა და მოყვანილია დღევანდელ დღემდე. რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს ასეთს სახელმძღვანელოს, მაინც იგი დარჩება ერთ საუკეთესო და სასიამოვნო მოვლენათ ამ დროის ქართულ ლიტერატურაში და მწიგნობრობაში. წიგნი შედარებით ძალიან იაფია. სწორედ მადლობის ღირსია ბ-ნი ზ.ჭიჭინაძე ასეთი წიგნის გამოცემისათვის".

(/გ.წერეთელი/. სხვა-და-სხვა ამბები. საქართველოს ისტორია მ.ჯანაშვილისა, მეორე გამოცემა. იხ. ,,კვალი" 1895, N 12, 12 მარტი, გვ. 4).

.....

.. ღირსეული გამგე მუზეუმისა, დასავლეთის მეცნიერების დიდად საბედნიეროდ იკვლევდა თავისი ქვეყნის ისტორიასა, ეტნოლოგიასა და ლიტერატურას. იგი გვესაუბრებოდა ჩვენ საქართველოს ეკლესიისა და თვისთა გვარტომთ ჩვეულებაზე. მის უკანასკნელ შრომათა შორის არის მოკლე მოთხრობა საქართველოს ლიტერატურის შესახებ, რომლის ერთი ნაწილი უკვე გამოიცა. ვუსურვებ ბ-ნს ჯანაშვილს ყოველს წარმატებას მის სასარგებლო და სამეცნიერო შრომაში.

შეიძლება დადგეს დრო, როდესაც ინგლისში უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობენ ამ შესანიშნავს ერს, ბედნიერს, თავისუფლების მოყვარეს, ერს, რომელმაც მრავალ საუკუნეს იბრძოლა თვისთა მთაგორათა შორის, და ამაყობს თავისის ნაადრევ ქრისტიანობით, რომელიც მიიღო მე-IV საუკუნეში ქრ. შემდეგ.(გვ. 34-35)

(საქართველოს მწერლობისა და ი.ჭავჭავაძის მოღვაწეობის მოკლე განხილვა (წერილი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ვ.მორფილისა (გამოც. 1906 წ.)

იხ. კრებული ,,ნაშრომი" 1907, 2, გვ. 31-36.

.....

,,ამ ნახევარი საუკუნის წინ, როდესაც შენ გამოხვედი სამუშაოდ, ქართულმეტყველების ასპარეზი ჯაგით იყო ავსილი, ვერანათ ქმნილი. მით უფრო საქები და სადიდებელია შენი მტკიცე და ურყევი საქმიანობა ამ ხაზით. ეს ხაზი

იმდროინდელ პირობათა მიხედვით ენციკლოპედიური უნდა ყოფილიყო. სხვაფრივ მაშინ არ ხერხდებოდა:გინდა არ გინდა, ყველაფერს უნდა გამოხმაურებოდი, ყველაფერზე ყური უნდა გაგემახვილებინა... შენი ნაღვაწი და ნაამაგარი იმისთანა და იმოდენია, რომ ერთი მოდგმისთვის კმა არს, რომ იტვირთოს.. და ამ მოდგმისა-ქართველმეტყველი თავის მომავალ მუშაობაში, თუ იგი პირუთვნელი და ობიექტური იქნება, ვერც ერთ შენს ნამუშაკებს ვერასგზით გვერდს ვერ აუვლის. ბევრსაც რასმე ისწავლის სასარგებლოსა და გამოსადეგს",

ვუკოლ ბერიძე, 1930 წ..

.....

,,...თუ საქართველოში ვისმე შეუძლია სთქვას ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს, კაცობრიობას ვემსახურე, ამაგი დავსდეო, ეს, ჩვენო მოსე, სავსებით შეგიძლია შენა სთქვა. თუ ვისმე შეუძლია სთქვა:ჩემი მოვალეობა მოქალაქისა და საზოგადოების წევრისა პირნათლად ავასრულეო, ამის თქმის უფლება უეჭველად შენა გაქვს, ძვირფასო მოსე. თუ ქართველს ვისმე შეუძლია სთქვას:ღვაწლი კეთილი მოვიღვაწე, ნაყოფიერად განვლე დღენი ჩემნიო, ჩემის სიცოცხლის კალო ხვავიანად გავლეწეო, ამის თქმა ჭეშმარიტად შენა გშვენის, დაუვიწყარო მოსე.

...ბევრი დაბეჭდე შენს სიცოცხლეში შენი ნაშრომი, მაგრამ უფრო ბევრი დაუბეჭდავად დაგვიტოვე და ანდერძად დაგვიდე, გამოვაქვეყნოთ, ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მადლიერი შვილები შენნი შენი უკანასკნელის და კანონიერის სურვილის ასრულებას მოახერხებენ და შენს წმინდა სამარესთან უნდა შემოგფიცოთ, რომ თავს არ შევირცხვენთ და უმადურის შვილების საქმეს არ ჩავიდენთ".

თედო სახოკია, 1934, 22 აპრ. მთაწმინდის პანთეონი

სიტყვიდან მოსე ჯანაშვილის დაკრძალვისას:
მთაწმინდის პანთეონი 1934 წ. 22 აპრილი,
იხ. ვახტანგ გურგენიძე. სამსახურებრივი სარგებლობისათვის
შედგენილი, მოსე ჯანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ამსახველი დოკუმენტების ცნობარი.
თბილისი 1987, გვ. 34.

.....

თითქმის სამოცი წლის განმავლობაში (1876-1974) მოსე ჯანაშვილი სანთელივით იწვოდა მეცნიერების შანდალზე.

მოსე არამცთუ მეცნიერებას ემსახურებოდა გატაცებით, ასეთივე გატაცებით ევლებოდა თავს იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მეცნიერული მუშაობის ინტერესს იჩენდნენ, ყოველნაირად ეხმარებოდა მათ თავისი ცოდნით და გამოცდილებით, ტკბილი სიტყვით ამხნევებდა მათ და შრომას უადვილებდა.

თავის უამრავ ნარკვევებში განსვენებულს დაუგროვებია მეტად მნიშვნელოვანი მასალა ძველი ლიტერატურის ისტორიისათვის. ეს ნარკვევები გაფანტულია სხვადასხვა დროის ქართულსა და რუსულს პერიოდულ გამოცემებში, დაწყებული ოთხმოციანი წლებიდან, ამიტომ ადვილი არაა დღეს გათვალისწინება და კლასი-ფიკაცია მისი მეცნიერული მემკვიდრეობისა, მაგრამ რამდენადაც ძნელია ეს საქმე,

იმდენად აუცილებელი და საჭიროა არა მარტო განსვენებულის სახელისათვის, არამედ ქართული ფილოლოგიის ინტერესებისათვის.

კ.კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია და მოსე ჯანაშვილი. (ნაწყვეტი)

(იხ.კრებ. მოსე ჯანაშვილი, თბ., 1956, გვ. 41-42)

.....

1927 წლის სექტემბერში დამნიშნეს ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის მცველი-ასისტენტის თანამდებობაზე. ამ დროიდან გავხდი ბატონ მოსე ჯანაშვილის უმცროსი კოლეგა. ჩვენი თანამშრომლობა ფაქტობრივ გაგრძელდა სამი წელიწადი. 1930 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. მაშინ ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილება, სადაც თავი მოუყარეს ქართული ხელნაწერების ყველა ძირითად ფონდს. მოსე ჯანაშვილი დაინიშნა საქართველოს მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

..25 წლის ვიყავი, ბატონი მოსე კი 70 წელს იყო გადაცილებული. ჩვენ მაინც კარგად შევეგუეთ ერთმანეთს და ჩვენ შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. მე (და განა მარტო მე?) მხიბლავდა ბატონ მოსეს განმაცვიფრებელი უბრალოება, თავმდაბლობა, გულითადობა, სათნო ადამიანური ხასიათი. მიკვირდა კიდევაც, როგორ ახერხებდა ეს წყნარი და მშვიდი. კაცი თავის დროზე მრისხანე პოლემიკური წერილების გამოქვეყნებას (მაგალითად, ნ.მარის წინააღმდეგ). ბატონი მოსე საკუთარ შვილსავით მეპყრობოდა და მამობრივ მზრუნველობას მიწევდა, მარიგებდა, მფარველობდა, მასწავლისა სამუზეუმო საქმიანობის ხელოვნებას. მეც შეძლებისდაგვარად სამაგიერო პატივისცემით ვუხდიდი ჩემს კეთილისმყოფელ ტკბილ მოხუც კოლეგას, ხანდაზმულობის მიუხედავად, ბატონი მოსე იშვიათად პუნქტუალური იყო, თვითკონტროლისა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული. მოსე ჯანაშვილი შინიდან (კუკიიდან) აწინდელ რუსთაველის მოედნამდე (,,ზემელამდე") ტრამვაით მგზავრობდა. მოედნიდან კი ჩვეულებრივ ფეხით მოდიო-და. მოდიოდა დინჯად, აუჩქარებლად, ჩვეულებრივ რომელიმე ნაცნობი თანამგზავრის მკლავს დაყრდნობილი. ,,ა, მაინც მომასწარიო", მეტყოდა ხოლმე, ადრე მოსულს რომ დამინახავდა. რაიმე განსაკუთრებული მიზეზის უქონლად სამსახურს არ გააცდენდა.

...ღრმად მოხუცმა და ჯანმრთელობაშერყეულმა მოსე ჯანაშვილმა მაინც განაგრძო მაშინ უკვე საქართველოს მუზეუმში გადატანილი ხელნაწერების, კერძოდ, წ.-კ. კოლექციის ხელნაწერების აღწერა. გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე (1934 წლის 19 იანვარს) ბატონმა მოსემ მომწერა.

რასაკვირველია, ბარათის მიღებისთანავე ვეახელი. ბატონი მოსე სავარძელში იჯდა, ჩვეულებრივზე უფრო გამხდარი იყო, გაფითრებული. რომ დამინახა, აღელდა, წამოდგომა მოინდომა, დავსვი, ვეამბორე, შევეცადე დამემშვიდობებინა. ცოტათი რომ დაწყნარდა, მუზეუმის ამბები გამომკითხა და თავის ხელნაწერი კატალოგის თაობაზე ჩამომიგდო სიტყვა. დავაიმედე, რომ ჩემგან შესაძლებელ ყველა ღონეს ვიხმარდი მისი აღწერილობის (,,კატალოგის") გამოსაცემად. საუბარმა დიდხანს გასტანა დრომ დავეთხოვე, ცრემლები მოადგა. ბატონ მოსეს საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა.

სამწუხაროდ, მოსე ჯანაშვილის ,,აღწერილობის" გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. საქართველოს მუზეუმს განზრახული ჰქონდა მის განკარგულებაში მყოფი ყველა ხელნაწერი ფონდის ერთიანი პრინციპის კვალობაზე აღეწერა. შესაფერისი ინსტრუქციის შედგენა იკისრა საქართველოს მუზეუმის კონსულტანტად დანიშნულმა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. ამ მოგონებას რომ ვწერ, ხელნაწერთა აღწერილობის ეს დიდი წამოწყება ხორცშესმულია. ბატონ მოსეს ,,აღწერილობის" ბოლო წიგნი კი ძვირფას ხელნაწერ რელიკვიად დარჩა.

ბატონმა მოსემ პირობა ჩამომართვა, რომ ჩვენი მეგობრობის აღსანიშნავად ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სახელით სიტყვას ვეტყოდი დასაფლავების დღეს. პირობა და სამწუხარო მოვალეობა შევასრულე, მაგრამ, ვაგლახ, მე როგორ შევძლებდი მისი უზარმაზარი ღვაწლის ღირსებისამებრ შეფასებას!

ალექსანდრე ბარამიძის მოგონებიდან.

იხ. თბილისის უნივერსიტეტის შრომები 241, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1983, გვ. 151-154. აგრ. ალექსანდრე ბარამიძე. ახლო წარსულიდან მოგონებანი). ,,მეცნიერება", თბ., 1983, გვ. 225-229).

მოსე ჯანაშვილის შედგენილი და გამოცემული ნაშრომების სია

ცალკეული წიგნის გამოცემა-გავრცელება-შემოსავლის თაობაზე ფრიად საინტერესო მოკლე ცნობები თავად მ.ჯანაშვილს ეკუთვნის (,,საანგარიშო წიგნი. ჩემი შედგენილი და გამოცემული წიგნები", ავტოგრაფი, უბის წიგნაკი, უთარიღო, 20 ფურც. იხ. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ.ჯანაშვილის ფონდი N 262).

მერცხალი. ო.ი.შმიდტის მოთხრობიდამ, გადმოკეთებული მ. ჯან-საგან, თბილისი 1881 (მოსეს ჩანაწერიდან -,,პირველი ჩემ-მიერ გამოცემული წიგნი ყრმათა საკითხავად"). (იხ. ლიტ.მუზ. 21.649-ხ ,,მერცხალი დაისტამბა ჩემის ხარჯით 1.200 ცალად და მის დაბეჭდვაზე დაიხარჯა სულ 42 მანეთი. აქედან გაისყიდა 1. ოზურგეთში-100 ცალი, 2. ქუთაისში- 400 ცალი, 3. ტფილისში 500 ცალი; დანარჩენი უფასოდ გაურიგდა შაგირდებს".

მ.გ.ჯანაშვილი. საქართველოს მოკლე ისტორია შედგენილი მოსე ჯანაშვილისაგან. გამოცემული თამარ ქართველიშვილისა. არ.კალანდაძისა და ამხ. სტამბა. (მოწონებული სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტის განსაკუთრებული განყოფილების განსაზღვრით, რომელიც დაამტკიცა მინისტრის ამხანაგმა, აღნიშნული გამოცემა მოწონებული იქნა იმ სასწავლო დაწესებულებებისათვის, სადაც შეისწავლებოდა ქართული ენა. თბ. 1884. 240+ III გვ. ფ. 70 კ. («დაიბეჭდა 1884 წელს თამარ ქართველიშვილის საფასით და დაიხარჯა სულ 297 მანეთი. ამ გამოცემიდამ მე მივიღე მხოლოდ 160 წიგნი, რომელთაგან უმეტესი ნაწილი დაურიგე შაგირდებსა. შენიშვნა. ამ გამოცემიდან ბევრი-ბევრი შემოსავალი მქონებოდეს 50 მანეთი»).

მ. ჯანაშვილი. საქართველოს საეკკლესიო ისტორია, შედგენილი მოსე ჯანაშვილის-მიერ. გამოცემა ,,მწყემსი"-ს რედაქციისა. ექვთიმე ხელაძის სტამბა, ტფილისი 1886, 152+VI გვ. ფ. 45 კ. (,,დაიბეჭდა ღამბაშიძის საფასით 1500 ცალად 1886 წ. ამ გამოცემიდამ წიგნებად მერგო 400 ცალი, რომელთაგან შემომივიდა ფულად 70 მანეთი და დანაშთენი უფასოდ დაურიგდა ღვდლებსა და შაგირდებს".

М.Джанашвили. Краткий очерк Кахского участка в географическом, этнографи-ческом и сельско-хозяйственном отношениях.I.1886 г. Напечатано по распоряжению совета кавказ. общ. сел. хоз. Оттиск из N 3 ,,Трудов" кавк. общ. сел. хоз. за 1887 г. Типография А.А.Михельсона.

მ.ჯ-ლი. ბამბა და მისი შემუშავება, გაზ. "მეურნეს" გამოცემა, ე.ი.ხელაძის სტამბა, თბ., 1889 წ. 19 გვ. (,,დაისტამბა ,,მეურნის" რედაქტორის სულხანიშვილისაგან, რომლისაგან მივიღე 100 წიგნი და ეს წიგნებიც გასაყიდად წაიღო იმერეთში თავართქილაძემ. ჯერ არა მიმიღია-რა").

М.Джанашвили. ისტორია მართლმადიდებელი ეკლესიისა. История православной церкви. составленная М.Джанашвили. Издатели- священники Н.Мачарашвили и Г.Асатиани, ,(Груз. Епарх. Учит. Советом одобр. Для употр. В церк.-приход. Школах, в качестве книги для чтения).Тиф. 1889, 104 (5) стр. ц.40 к. (,,ეს წიგნი დაისტამბა 1890 წ. მის დაბეჭდვაზე შემოიტანეს ფული მღვდ. ნ.მაჭარაშვილმა 57 მანეთი, მღვდ. გიორგი ასათიანმა 25 მანეთი, მღვდ. ალ. მოლოდინაშვილმა 10 მანეთი. აქედგან მიეცა მღვ. მაჭარაშვილს 150 წიგნი, მღვ. ასათიანს 60 წიგნი, მოლოდინაშვილს 40 წიგნი. ჯერხნობით შემომსვლია 15 მანეთი. იმედაშვილ-მა წაიღო 5 ცალი".

,,მოქცევაი ქართლისაი", გადმოწერილი შატბერდის კრებულიდან 1890 წელს მ.გ.ჯანაშვილის მიერ, 208 ფურც. (გადიწერა წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის დედნიდან N 184). ახლავს მ.ჯანაშვილის წერილი საგნობრივი კომისიის თავმჯდომარის ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილისადმი: «რადგან ,,მოქცევაი ქართლისა"-ს თხზულებაზე დიდი მოთხოვნილებაა სტუდენტების მხრივ, ამიტომ წარმოგიდგენთ ჩემ-მიერ გადაწერილს მის პირს და გთხოვთ, დაადგინოთ დაიბეჭდოს იგი, რომ ყველას შეეძლოს მით სარგებლობა. თან პატივი მაქვს განვაცხადო, რომ წინანდელი მისი გამოცემა სავსეა აუარებელ შეცდომებით, რაიც შეუძლებელს ჰყოფს მით სარგებლობას სამეცნიერო მიზნით. 9 მარტს 1928 წ. მ.ჯანაშვილი". ხელნ. ინსტ. მ.ჯანაშვილის ფონდი, # 269. (არ გამოცემულა).

მ.ჯანაშვილი. საუნჯე მეათე საუკუნისა, წერილი მოსე ჯანაშვილისა. იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით, ტფილისი 1891, 503 გვ. ფ. 70 კ (,,დაიბეჭდა ჩემ მიერ 1200 ცალად და დაბეჭდვა დაჯდა 60 მანეთი. ტბეთის ეპისკოპოზის იოანეს კლიშეს ამოჭრაში დ.ტატიშვილმა გამომართო 8 მანეთი. გაისყიდა სულ და დანაშთენი ვუძღვენი წერა-კითხვის საზოგადოებას. შემომივიდა 30 მანეთი.; აქვს 1 ქართ. ამხანაგობას. 60 მივიღე ამხანა-გობისაგან 2 მან და 80 კაპ. იმედაშვილმა წაიღო 5 ცალი").

მ.ჯანაშვილი. აღვადგინე ანუ ,,სამი ისტორიული ხრონიკისა" და ,,წმ. ნინოს ცხოვრების" გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ, დამატებით IX-X საუკუნის ,,სამეცნიერო ქრესტომატიიდამ" ამოღებულ ,,სამკურნალო ტრაქტატისა" და ,,სასწავლო წიგნისა", ტფ., სტამბა მ.შარაძისა, ტფ. 1891, 136 გვ. ფ. 30 კ. (,,დაისტამბა ჩემ მიერ და დაჯდა ,,მწერლობიანად" 130 მანეთი. გაისყიდა ცოტა და დანარჩენი წერა-კითხვას ვუძღვენი,

ზოგიც გასასყიდათ აქვთ მაღაზიებს. 1. ქართ. ამხანაგობას აქვს 20 ცალი, მივიღე ქართ. ამხანაგობისაგან 2 მანეთი და 88 კაპიკი”).

მ.ჯანაშვილი. მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი. თბ., 1896. ფ. 10 კ. (,,დაისტამბა 1200 ცალად. გადაეცა წ.კ.- 60, ამხანაგ. 20, თავართქილაძეს 50, ნესტორ წერეთელს ქუთაისში 30, ხეთერელს ქუთაისში 20, ალექსანდრე არაბიძეს ყვირილა 20, გერონტი კალანდაძეს ბათუმში 20, იმედაშვილს 10, არსენ კალანდაძეს გორში 20 ც. პარკაძემ (წაიღო) 10 ც. მივიღე: ამხანაგობისაგან 9 წიგნისა-70 კაპ. იმედაშვილისაგან-20 კაპ. წ.-კ.-3 მან. და 73 კაპ.”)

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა საქართველოისა. I წიგნი. სამცხე. ვახუშტის საზოგადო ,,შესავალი”-თურთ. გამოცემა მოსე ჯანაშვილისა. (საქართველოს საეპარქიო სასწავლო საბჭოს მიერ რეკომენდებულია საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის), მ.შარაძის სტამბა. ტფილისი 1892. 118 **გვ. ფ. 25 კ.** (,,დაისტამბა 600 ცალად. გადაეცა გასასყიდად:წერა-კითხვის საზოგადოებას-70 ცალი, ამხანაგობას ტფილისში-199 ცალი, თავართქილაძეს-10 ცალი, იმედაშვილს-5 ცალი, არსენ კა-ლანდაძეს-10 ცალი. მივიღე:ქართული ამხანაგობისაგან 31 მან. და 15 კაპ., იმედაშვილისაგან-20 კაპ. წერა-კითხვის საზოგად. 7 მან. და 72 კაპ.”). (ხელმეორედ გამოიცა 1991 წელს, რედაქტორ-შემდგენელი კობა ხარაძე, რომელსაც ეკუთვნის შესავალი წერილი ,,ერის საგანძური”, გვ. 07-014. იგი დაწერილია 1990 წლის ივნისში).

М.Д-швили. Грузинския обители в святой земле. 16 стр. Тфл.: Тип. М.Шарадзе и К-о; 1894..16 страниц; Библиография в подстроч. примеч. (დაისტამბა 1500 ცალად და დაურიგდა ,,ივერიის” ხელისმომწერლებს უფასოდ. დასაბეჭდად ფული გამოიღეს მღვდ. მაჭარაშვილმა 20 მან. მღვდ. ალ.მოლოდინოვმა 5 მანეთი. მე დამეხარჯა 30 მანეთი და 2 მანათიც ,,ივერიის” რედაქციამ გამომართო მისს დასაგზავნად”).

М.Джанашвили. Абхазия и абхазцы (Этнографический очерк). Отд. оттиск из журн. ,,Записки Кавказского отдела имп. русского географического общества", 1894, кн. XVI. (,,დაიბეჭდა გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში და იქიდგან 60 ცალი. ფულად მივიღე 100 მანეთი”).

М.Джанашвили. Картвельския поверия. ,,Сборник материалов для описания местн. и племен кавказа", т. XVII. (,,დაიბეჭდა მზრუნველის ჟურნალში და იქიდგან ცალკე 40 ცალი. მივიღე ფულად 30 მან.”).

მ.გ.ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, შემუშავებული და შევსებული ავტორისაგან. მეორე გამოცემა ზ.ჭიჭინაძისა. სტამბა მ.შარაძისა და ამხ., თბ., 1895, 504 გვ. (,,დაისტამბა ზაქარია ჭიჭინაძისაგან 1500 ცალად, აქედგამ მე გადმომეცა სულ 50 ცალი. ამავე ვაჟბატონმა ფულად დამტყუა 30 მანეთი და აგრეთვე კიდევ 14 მანეთი და 50 კაპ. ამ ფულის ანგარიშში მასვე გამოვართვი 7 მანეთი და 70 კაპ. ჩემ-მიერ შედგენილი ისტორია, ნაცნობთა და ამხანაგთა დასარიგებლად. სვინდისი?!”)

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა საქართველოისა. II წიგნი. ქართლი. გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, (საქართველოს ეპარქ. სასწავლ. საბჭოს მიერ რეკომენდებულია საეკ.-სამრევლო სკოლებისათვის), მ.შარაძის სტამბა, ტფილისი 1895, (61-148), 114 გვ. . 25 კ.

,,მ.ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები", გვ. 39. (,,დაისტამბა 1200 ცალი. გადაეცა:წერა-კითხვის საზოგადოებას-100 ცალი, ამხანაგობას ტფილისში 50 ცალი, თავართქილაძეს ოზურგეთში 50 ცალი, ნესტორ წერეთელს ქუთაისში 30 ცალი, ილ.ხეთერელს ქუთაისში 20 ცალი, გერონტი კალანდაძეს ბათუმში 20 ცალი, იმედაშვილს 5 ცალი, არსენ კალანდაძეს გორში 40 ცალი. მივიღე ქართ. ამხანაგობისა-გან 2 მან. და 40 კაპ., იმედაშვილისაგან 20 კაპ., წერა-კითხვის საზოგადოებისაგან 7 მანეთი და 4 კაპ.”). (ხელმეორედ გამოიცა 1991 წელს, რედაქტორ-შემდგენელი კობა ხარაძე).

ათას ერთი ღამე. ყრმათა საკითხავი არაბული ზღაპარი 5 სურათით. თარგმანი მოსე ჯანაშვილისა. ტფილისი 1895. გამოცემა ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიისა. სტამბა მ.შარაძისა და ამხანაგობისა, 72 (VI) გვ. ფ. 40 კ. (,,დაისტამბა 3700 ცალად ზაქ. გრიქუროვისაგან. გადაეცა გიორგი თარხნიშვილს 140 ცალი, შოთას 40 ცალი, მოსეს 40 ცალი, წერა-კითხვის საზოგადოებას-100 ცალი. მე წინათვე მივიღე მისგან (ზ.გრიქუროვისგან) 70 მან. მასზე დაშთენილია კიდევ 5 მან. ათას ერთი ღამის ანგარიშში, 10 ცალი საქართველოს ისტორიის ანგარიშში და აგრეთვე, ჩემი გაყიდული წიგნებისა 15 მანეთი და 80 კაპ. და სულ 25 მანეთი და 80 კაპ. მივიღე 10 მანეთი, დარჩა 15 მანეთი და 80 კაპ.”).

История походов и воин цар. Давида (сочинения Теймураза), мои перевод с предисловием. За перевод от г. Бегичева получил 25 руб. сер. 25 р. (ეს წიგნი გადაცემული აქვს კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს ბეგიჩევს (ბერენშტამის ბიბლიოთეკა) დასაბეჭდად.

მერცხლის ბუდე, ყრმათა საკითხავი მოთხრობა ო.ი.შმიდტისა, თარგმანი მ.ჯანაშვილისა. გამოცემა მეორე, იბეჭდება გ.ტატიშვილის მიერ. ტფ., 1895, 24 გვ.

კოტე ბაღაშვილი. რუსულ-ქართული ლექსიკონი, მოსე ჯანაშვილის რედაქციით. თბილისი 1895 წ.

М.Джанашвили Известия грузинских летописей и историков о Херсонесе, Готфей, Осетии, Хазаретии, Дидоэтии и России, (Текст на русском и грузинском языках, стр.104.отд. отт. из СМОМПК, вып. 22.

М.Г.Джанашвили. Известия грузинских летописей и историков о северном Кавказе и России. Поэма ,,Алгузиани". Отд. оттиск из Сборника для описания местностей и племен Кавказа в. XXII. Напечатано по распорияжению г. Попечителя Кавказского Учебного Округа. Тифлис 1896.206 стр.Типография К.П.Козловского. (Сведения груз. историков и писателей о северном Кавказе и России. მე-XXIII Сборник-ში მზრუნველისა. მივიღე- 200 მანეთი").

М.Г.Джанашвили. Драгоценные камни, их названия и своиства (Из груз. сборника X века, 74 стр. История о драгоценных камнях. Отд. оттиск из Сборника для описания местностей и племен Кавказа в. XXIV. მე-XXIV Сборник-ში მზრუნველისა. მივიღე 75 მანეთი.

მ.ჯანაშვილი. ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი. გამოცემა გ.ჯანაშვილისა. ტფილისი 1896, 125 გვ. ფ. 40 კ. /შინაარსი:ფარსადან გორგიჯანიძე და მისი დრო, მოკლე მიმოხილვა; ქართულ- არაბულ- სპარსული ლექსიკონი.- ანჯანის ანბანი.- ამბავი ოსმალეთის ხელმწიფეთა. - მაჰმადიანთა სასჯულო წიგნი (ბიბლიოგრაფია). - ასოთსამღერელი (თავი და ბოლო).- დამატება:კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები/(ფარსადან გორგიჯანიძე (გამოვიდა 23 აგვ. 1896 წ. დაიბეჭდა 420 ცალად, გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოებას- 60 ცალი. თებერვლის ბოლოს წერა-კითხვისაგან მივიღე 9 მანეთი, საჩუქრად 5+5 მივიღე 1 წიგნისა 40 კაპ.").

მ.გ.ჯანაშვილი. შოთა რუსთაველი. (მე-XII საუკუნე). წიგნში სამი სახეა:შოთასი, თამარ დედოფლისა და ტბეთის ეპისკოპოზის წმ. იოანესი და ორი ნახატი:,,რუსთაველის სურათზე" და ,,თამარ დედოფალი ციხის ძირს", გამოცემა გაბ. ჯ-შვილისა, ტფ., სტამბა მ.შარაშიძისა და ამხ., 1896, 184 გვ. ფ. 40 კ. (დაისტამბა 1200 ცალად. მასზე დაიხარჯა სულ 182 მანეთი. გადაეცა:წერა-კითხვის საზოგადოებას- 50+98 ცალი, ამხანაგობას-13 ცალი, იმედაშვილს 10 ცალი, პარკაძემ გაყიდა 20 ცალი, კიდევ გაიყიდა 7+1=20 ც., პარკაძემ წაიღო 20 ც., არაბიძეს ყვირილაში ზ.ჭიჭინაძის ხელი|თ- 40 ცალი, 1896 წლის 19 აპრილს თავართქილაძეს (წერა-კითხვისაგან გაეგზავნა) 50 ცალი, მღვდ. უსტიაშვილს ახალციხეში 20 ცალი, შაქრო კანდელაკს 20 ცალი, არსენ კალანდაძეს (გადაშლილია) მივიღე 20 ც, დ.გარსიევს მივიღე 20 ც., დიმიტრი მაჩხანელს 20 ც., მათიკაშვილს პატარძეულში 10 ც., ნესტორ მაჭარაშვილს (მთაწმინდა) 40 ცალი. მივიღე:1896 წლის 6 აპრილს პარკაძისაგან 5 მანეთი; 7 აპრილს კიდევ მივიღე სახელდახელოდ გ.ყურულაშვილისაგან 6 მანეთი და 30 კაპ., აპრ.- 2 მან. და 40 კაპ. ქართველთა ამხანაგობისაგან 13 მანეთი და 84 კაპ., პარკა-ძისაგან 8 მანეთი და 50 კაპ., ამხანაგობისაგან 8 მანეთი და 14 კაპ., არსენ კალანდაძისაგან 8 მანეთი, იმედაშვილისაგან 2 მან. და 80 კაპ., დ.გარსიევისაგან 4 მანეთი, წერა-კითხვის საზოგადოებისაგან 105 მანეთი და 70 კაპ., 52 მან. და 72 კაპ., არაბი-ძისაგან 13 მან. და 80 კაპ., თებერვლის ბოლოდ წერა-კითხვის საზოგადოებისაგან 34 მანეთი").

მ.ჯანაშვილი, მეფე ერეკლე მეორეს სახსოვარი (11 იანვ. 1798 წ.-11 იანვ. 1898 წ.).
იხ. კრ.:,,მეფე ერეკლეს სახსოვარი (1798 წ.-11 იანვ. 1898 წ."), ,,ცნობის ფურცლის" გამოცემა. ზ.ჭიჭინაძის სტამბა. თბ. 1898, 47 გვ.

მოსე ჯანაშვილი. მეფე ერეკლე, გამოცემა ზ.ჭიჭინაძისა, სტამბა მ.შარაძისა და ამხანაგობისა, ტფ., 1898, 44 გვ. (სარჩევი:ერეკლე მეფის ოჯახის ამბავი; ერეკლეს ხასიათი; ერეკლეს ზრუნვა ერის გასანათლებლად; ერეკლეს სახელი და ზავთი; ერეკლეს ომები; ბრძოლა არაგვზედ; ბრძოლა აზატ ხანთან; ერეკლეს ბრძოლა კრწანისში; განჯის აღება; მეფე ერეკლეს სიკვდილი).

М.Джанашвили ,,Картлис-цховреба"-жизнь Грузии, стр. 123. Библиогр. В подстроч. примеч. Отд. отт. из XXXV вып. ,,Сб. мат. для опис. местн. и плем. Кавказа".

М.Г.Джанашвили.История грузинской церкви. Текст на русском и грузинском языках. Кн. I. Обращение картвельцев. Тифлис 1898 г. XIV+95 стр.Тип. М.Шарадзе. Библиография в подстроч. примеч. Ц. 3 р.

М.Тифлисское церковное древнехранилище, Тифлисс 1898 г.

М.Г.Джанашвили. Грузинские обители вне Грузии,Тфл.: Тип.М.Шарадзе и К, 1899, стр.46. Библиогр. В подроч. Примеч. Ц.25 к.

მ.ჯანაშვილი. საქართველოს დედაქალაქი ტფილისი. ღამბაშიძის სტამბა, ქუთაისი 1899, 191 გვ.

М. Джанашвили. Каталог церковного музея грузинского Экзархата Тифлис, 18992г.

მ.გ.ჯანაშვილი. ქართული მწერლობა. წიგნი I. მწერლობა მე-X საუკუნემდე. ტფილისი. სტამბა მ.შარაძისა და ამხ., 1900. 294 გვ. ფასი 40 კაპ.(,, დაიბეჭდა 100 ცალად. 1. ქართველთა ამხანაგობას 10 ცალი, მივიღე ქართვ. ამხანაგობისაგან 2 მან. და 80 კაპ., წერა-კითხვის საზოგადოებისაგან-1 მან. და 28 კაპ.”). მეორე წიგნში განვიხილავთ ქართველთა მწერლობას მე-XI-XII საუკ., და ვეცდებით პირველი წიგნიც, უკვე დაბეჭდილი, უკეთ შევიმუშავოთ და აგრეთვე შევავსოთ სხვა წყაროების (მაგ. სახარებათა, სვინაქსრებისა და სხ.) განჩხრეკით. ,,წიგნი ჭკუის სალესავიაო”, ვთქვით ერთხელ. ჩვენს მამაპაპას, ღვთით, მრავლად დაუტოვები გონებრივნი საუნჯენი. მათი გამოქვეყნება ჩვენს საღვთო მოვალეობას უნდა შეადგენდეს. იგინი საქართველოს ცივილიზაციის ანკარა ნაკადულნია...წერს დამატებაში ავტორი, გვ. 294+III-IV).

მ.გ.ჯანაშვილი. უკვდავთა ღაღადებანი. გამოცემა მ.გ.ჯანაშვილისა. ტფილისი, სტამბა მ.შარაძისა და ამხ. 1900. 280 გვ. ფ. 15 კ.

М.Джанашвили. Царица Тамара. Текст на русском и грузинском языках. 9 порт. 1 рис. Библиография в подстроч. примеч.Тифл. тип. М.Шарадзе и К-о. 1900, 128 стр.

იოანე ბოლნელ ეპისკოპოზის ქადაგებანი, მ.ჯანაშვილის რედაქტორობით. თბილისი, 1901.

მ.გ. ჯანაშვილი. რუსუდან. ისტ. დრამა 5 მოქმედებად (221617-ხ)..

მოგზაური” 1901, NN 6-7, 8-9, 10, 11, 12. (იხ. 21.617-ხ) (ხელნაწერ, საერთო რვეულში 21.616-ხ), სადაც ხელს აწერს მ.გ.ლასურიძე- რუსუდან ოთხ მოქმედებიანი ისტორიული დრამა. ვუძღვნი ეფ. ჩხეიძისა და ვლადიმერ მესხიშვილს), ტფილისი, 1900 წ. 20 ენკ. 96 გვ. აგრ. ,,რუსუდან” მ.გ.ჯანაშვილისა, 1901 წ. ავტორის წარწერით:”ამ კონსპექტურ ნაწარმოებს მოწიწებით მივართმევ გულითადს, პატივცემულს და დამსახურებულს ჩვენს თანამემამულეს და სიამაყეს- იუჟინ-სუმბათაშვილს კეთილსახსოვრად მ.გ.ჯანაშვილი. 1901 წ. 1 გიორგობისთვე”. (იხ. სირა ჭიჭინაძე. საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ექსპოზიციის მეგზური, მუზეუმის ისტორია, ფონდები და ექსპოზიცია, თბილისი 1959, გვ. 191).

ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. ქ.თბილისის, სტამბა გრ.ჩარკვიანისა, 1901 წ. (იხ. მასში:მ.გ.ჯანაშვილი. ივერიის მონასტრის ხელნაწერი კრებული. გვ. IX-XVIII (რუს. ენ.) და სხვ.).

М.Г.Джанашвили. Вахушти и его труд. Тифлис 1902 г. с. 71-84. (Оттиск).

М.Дж. Краткий отчет по церковному музею за 1902-1903 год, Тифлис 1903 . 16 стр.

მ.გ.ჯანაშვილი. ქართველთა მატიანე. თბ., 1903, 165 გვ.

М.Джанашвили. Изречение грузинского поэта Шота Руставели (XII), Тифлис, Типография Бр. Таварткиладзе, 1903, 16 стр. Ц. 5 коп. дозволено цензурою. Тифлис, 25 июля 1903 г. (აქ სულ 6 გვერდია, მათ შორის 3-4, 13, 14, 15 და 16). В изречениях великих учителей и писателей часть выражается целое мировозрение народа, которому они принадлежать. Шота Руставели был славный наставник картвельцев; его изречения служили кратким кодексом жизни народа доблестнаго, христолюбиваго, создавшаго громадное храмы, гигантския сооружения и оставившого громадное число книжных сокровищ и др. памятников.Изречения Руставели до сих пор живут в народе. Привожу некоторыя из них (всего 30 изречения)

М.Джанашвили. Гори и его окрестности (Город Гори, Уплисцихе, Атени, Гориджвари).
Отд. отт. из XXXIV вып. ,,Сборник материалов для описания местно стей и племен Кавказа". Напечатано по распоряжению Попечителя Кавказского Учебного Округа. 1904. Типография К.П.Козловского. 38 стр.

ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნით. რედაქცია მ.გ.ჯანაშვილისა. თფილისი, გამოცემა ჟურნალ «მოგზაურისა», ა.ქუთათელაძის სტამბა 1904, VIII (60) რკ. 345 გვ. პორტრეტი, ჩართ. ფურც. რუკა.- წინასიტყვაობა მ.ჯანაშვილი, გვ. 1-60. ა-რკ.- ბიბლიოგრაფია წინასიტყვაობის შენიშვნები. 58)

География Грузии, Вахуштия.Тифл. 1905 г.

მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა. 1744-1840 წწ. წინასიტყვაობა მ.ჯანაშვილისა. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა, ტფ. 1905, 187 გვ. ფ. 1 მან.(წილად ხვდა ჟურნალ ,,მოამბის" პრემია 1905 წლისა).

М.Г.Джанашвили. ,,Картлис-Цховреба"- Жизнь Грузии. Отдельный отт. из XXXV вып. ,,Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа". Напечатано по распоряжению Попечителя Кавказского Учебного Округа. Тифлис. Типография К.П.Козловского.1905 г.

მ.ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია. ტომი I. უუძველეს დროითგან 985 წლ. ქრ. შ. ტომს ერთვის 4 რუქა და ქრონოლოგიური ცხრილები (მეფენი ქართველთა, აფხაზთა, სომეხთა, სპარსთა, ხალიფები არაბთა). ელექტრონით მბეჭდავი ამხ. ,,შრომა", ტფ. 1906, გვ. 392. ფ. 70 კ.

მ.გ.ჯანაშვილი. ქართული გრამატიკა. (მეთაური სიტყვა.-ეტიმოლოგია (მეგრულ-სვანურ ნიმუშებით).-სინტაქსი.-პერიოდი. -ლექსთაწყობა. ტფ., 1906, 174 გვ.

ნაშრომი I. ტფილისის 1907. ფასი 20 კაპ. მ.ჯანაშვილის რედაქტორობით. 1) საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი

ახალი „ქართლის ცხოვრება”, 2 ახალი ქართლის ცხოვრება (გიორგი ბრწყინვალიდამ გიორგი XI-მდე, 3. თვითონვე გვიწვევენ (შენიშვნები წერილის გამო „ქართული გრამატიკა მ.ჯანაშვილისა”).

ნაშრომი II. ტფილისი 1907. 86 გვ. ფასი 20 კაპ. (მ.ჯანაშვილის რედაქტორობით).

М.Г.Джанашвили. Описание рукописей церковного музея Духовенства грузинской епархии. Текст на русском и грузинском языках. Кн. III. Изд. церковного музея N 13. Тфл.: Тип. „Шрома", 1908. с. 333. Ц. 45 к.

მ.ჯანაშვილი. ქართული მწერლობა, წიგნი მეორე, მსწრაფლ-მბეჭდავი ამხ. „შრომა", ტფილისი 1909, 180 გვ.

ნაშრომი III. ტფილისი 1910. ფასი 20 კაპ. (მ.ჯანაშვილის რედაქტორობით).

К материадам по истории и древностям Грузии и России, заметки, переводы и комментарии М.Г.Джанашвили, заведывающаго церк. муз. грузинского Духовенства. Тифлис, Типография Канцелярии Наместника Е.И.В. на Кавказе. 1912, стр. 148, цена 1 р. 25 коп. Его Сиятельству, Предводителю Дворянства, Павлу Иосифовичу Князю Туманову С глубоким почтением посвящает Автор).

მ.გ.ჯანაშვილი. საინგილო. თბილისი, ელექტრომბეჭდავი ს.ლოსაბერიძისა, საკ. სახლი მოსკოვის ქ. N 5, 1913, 232 გვ. (ამოღებულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულის „ძველი საქართველოს” მე-II ტომიდან).

ჯანაშვილი. ივან-ბაბა ბულუღაშვილისთვის ძეგლის აღმართვის გამო. ტფილისი 1914, 16 გვერდი, დაიბეჭდა კახის საქალებო სკოლის სასარგებლოდ. ფასი 10 კაპ.. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა არ კერესელიძისა, გაბაშვილის შუკა N1. (შინაარსი:ივან ბაბა ბულუღაშვილი, მისი სურათიო. სარუბაშს გალაშქრება თეიმურაზ მეფისა, ლექსად თქმული არჩილ მეფის მიერ, ინგილოთა სიმღერა).

მ.გ.ჯანაშვილი. გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფილისი, 1914, 52 გვ. ფასი 25 კაპ. ელექტრომბეჭდავი სტამბა არ კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი N1. (ავტორი ურთავს შენიშვნას:იბეჭდება უცვლელად, როგორც დაწერილი გვქონდა 1912 წ. 7 მაისს”)..იხ. აგრ. გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1924, 57 გვ. (ლიტ. მუზ. 21.557-ხ)

ქართული მწერლობა მე-IV-XI საუკ. შედგენილი მ.გ.ჯანაშვილის მიერ, ტფილისი 1914 (შინ და სკოლაში საკითხავი წიგნი). გამოუცემელია, იხ. ლიტ. მუზ. 21.553-ხ).

Каталог предметам церковного музея грузинского духовенства, сост. М.Г.Джанашвили, Тифлис, 1914, 106 стр. Электро-печатня Тип. А.Кереселидзе. (Издание Комитета Церковного Музе Грузинского Духовенства N 18)

მესხეთი, წერილი მ.ჯანაშვილისა, დაიბეჭდა ათას ცალად დაზარალებულ მესხთა სასარგებლოდ, გამომცემლობა ალექსანდრე გრიგოლის ზე უგუზოვისა N 2,

თბილისი, სტამბა „შორაპანი”, მადათოვის კუნძული N 1, 1915, 24 გვ. მესხეთის რუკით.
მზე და აკაკი, წერილები მ.გ.ჯანაშვილისა, თბილისი, 1915, 36 გვ. გამომცემლობა ალექსანდრე გრიგოლის ძე უგუზოვისა N 1 სტამბა „სორაპანი” მადათოვის კუნძულზე. 1915, 36 გვ.

აბდულმესიანი, თხზულება იოვანე შავთელისა. რედ. მ.გ.ჯანაშვილი, გამომც. ალ.გრ. უგუზოვისა, სტამბა „სორაპანი”. თბილისი 1915, გვ. 78+2, ფასი 25 კაპ. კანზე სათაური:აბდულმესიანი, მ.ჯანაშვილის წინასიტყვაობითა და განმარტებებით.

მ.გ.ჯანაშვილი. მისი უწმინდესობა კირიონი, უნეტარესი და უკეთილმსახურესი კათალიკოზ-პატრიარქი ყოვლისა საქართველოისა, თბილისი 1917.

იოვანე შავთელი. აბდულმესიანი, მ.ჯანაშვილის წინასიტყვაობით და განმარტებით. ტფილისი, სახელმწიფო სტამბა, 1920 წ. 61 გვ.. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, N 188, ფასი 20 მან,-„პატარა ლექსიკონი” გვ. 59-61.

მ.გ.ჯანაშვილი. თამარ მეფე. გამოცემა ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა. ტფილისი, მსწრაფლმბეჭდავი სტამბა ვ.ა.რუხაძისა, 1917.

Грузия и Адирбежан (исторические материалы), 1918, стр. 220

О родстве грузинского языка с индо-европейскими, 1919, стр. 370.

მ.ჯანაშვილი. პოეტთა აკადემია საქართველოში. შოთა რუსთაველი და ნიზამი განჯელი (დაწერილია ადირბეჟანის მწერალთა ჩამოსვლის დღისთვის (29 სექტ. 1929 წ.), ტფილისი, საქ. სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ლითოგრაფია, 1932, 29 გვ. ტირაჟი 200.
leqsikoni

ა

ადლი-საზომი ხუთის ან ოთხის მტკავლის ოდენი (ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი თბ., 1961,გვ. 132).
ალაბი= ერთი ადლის ზომა (დ,ჩუბინაშვილი, გვ. 18. ალ.ღლონტი, გვ. 28)
ალაბასტრი= ჭიქის ჭურჭელი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებელისაო (ი.აბულაძე, გვ. 4)ცოცხალი ალაბასტრი ყვავილების ღვთიური სურნელება.
ალხან-ჩალხანა= ალხან-ჩალხანად უქცევიათ, ტარი შეუმტვრევიათ.
ალურსული= გადატ. სამტროდ განწყობილი, გადამტერებლი (ქეგლ, I, 1950, გვ. 244). მძვინვარედ მოიწკვლა
ამოჩუჩვა= ამოვჩუჩეთ ჯოხებით და ჭიანჭველები ვნახეთ. მ.ჯან.
ამორუხრუხებს= ამორუხრუხებს წყარო ვეძა. მ.ჯან.
ანდალმა (სტატუა)
ანდამატი= ძვ. ალმასი, ბრილიანტი, მაგნიტი. გადატ. მიმზიდველი რამ.
არგანი = ძვ. გრძელი ჯოხი, საბრჯენად, დასაყრდენად სახმარი (სამა) ქართ. ენ. განმ. ლექს.I გვ. 554

არვეზი= არვეზად-სამწუხაროდ. დაგვშთა, აუწერელი, უყურადღებოდ მიგვრჩა. მ.ჯან.
არყნალი= არყნალი მცენარე
არშინი= ზომის ერთეული, უდრის 16 ვერშოკს, დაახლოებით 71 სმ. (ქეგლ, I, 1950, გვ. 581).
ასრბოლილი= ცამდე მწვერვალები მოკვერცხილნი. მ.ჯან.
აღბარგებული= აღბარგებულ ზღვის დიდ-დიდი ტალღები და ზვირთნი გამოექანებიან ხოლმე მცირე ხომალდის ჩასაყლაპავად. სწორედ ისრე მოდიოდნენ ბაყბაყდევნი საქართველოს გასაქრობად. მ.ჯან.
აღზიდულნი= ძეგლები საქართველოს ყოველ კუთხესა და ღელე-ყურეში. მ.ჯან.
აღმახვა= საისრედ აღმახვა
აღსბოლილი= აღსბოლილი გორაკი, კვერცხივით მრგვალი
აშორა= გამარჯვება
აჩეჩა= აჩაჩა. აჩაჩა (აჩაჩასი), აჩაჩ-ი (აჩაჩისა) სახვნელი იარაღი,-კავი (ქართული განმარტ. ლექსიკ. თ. I, თბ., 1950, გვ. 821.. აჩეჩა ოქოქა (ნახე ერქუანთან). ერქუანი სახვნელი გუთანი, რომელსა შინა შეიბმის რვა და უმეტესი უღელი ხართა (შავთ. 55), рало, плуг, ხოლო ჯილღასა შინა ოთხი ან ხუთი უღელი, არონასა შინაყევარი და აჩაჩასა ანუ ოქოქასა შინა ცალუღელი ხარი. ჩუბ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. ალ.ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 145, 211. ერქუანი ორის ხარისასა ეწოდების ოქოქა და აჩაჩა. (ს.ს.ორბ. სიტყვის კონა, ს.იორდანიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბ., 1949, გვ. 111. ,,ავსტრალიის ბარბაროსი ვერც სახლს იშენებს, ვერც **აჩეჩას** იკეთებს მიწის შესამუშავებლად და ლუკმის მოსაგებლად და ვერც წიგნს სწავლობს". მ.ჯან.
ახში= მან დაინახა, რომ ეგრე ცხოვრება არ ივარგებს.

ბ

ბაირაღი= დროშა, ალამი (დ.ჩუბ. თბ. 1984, გვ 92). ერეკლე მეორის ბაირაღი.
ბარბითი= ქნარი, მუღნი (დ.ჩუბ. თბ. 1984, გვ 96).
ბარძიმი= ფეხმაღალი სასმისი (დაბად.44,2 და შემდგომი), საკუთრად იწოდების საეკლესიოსა სიწმიდის ჭურჭელსა (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 149).
ბასალაღი=,,საით მივიხედოთ, ჩრდილოეთისკენ თუ სამხრეთისკენ. ბუნებრივი ბასალაღი საქართველოსკენაა". მ.ჯან.
ბივრილიონი= ბივრიტი, ბერილოსი, ბერილიონი, ბერილვონი და ბიროლი ცისფერი თვალი ზღვათა შინა პოვებული (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 152).
ბლარდნვა= შებლარდნა, გახვევა, შეხვევა (ნიკ.ჩუბ. ქართული ლექსიკონი თბ., 1961, გვ. 152). ,,იბლარდვნიდა საცმელს".
ბოღაზი= იმ ვიწრო ორღობეში ანუ ბოღაზში უწინ დანთხეულა მრავალის ქართველის სისხლი.
ბუერა= ფერდობი ბუერებით იყო დაფარული. უერა=ს.ბურახი, მცენ (დ.ჩუბ. თბ. 1984, გვ 122.
ბუნი= (ტარი) მაღალი. მ.ჯან. ბუნი, ტარი, წვერი (ი.აბულაძე გვ. 37.
ბჭე= შესავალი სასახლეთა, ტაძართა, გალავანთა, ციხეთა, ქალაქთა და მისთანათა (ნიკ.ჩუბ. ქართული ლექსიკონი თბ., 1961, გვ. 158) ცხოვრების ბჭე. მ.ჯან.

გ

გაკოკრინებული= გაკოკრინებული კოკრიდან **გამოლალილი=** ბალღობა სკოლებიდან გამოლალილი საქმოდ დახეტიალებს
გარდაქართველებული= ქართველობამივიწყებულები.
,,გარდაქართველებულნი არიან ილისოები". მ.ჯან.
გაუკმარა= კმარება, კმარვება აღასრულა, შეასრულა (დ.ჩუბ. 1984, გვ.620). ,,გაუკმარა სიტყვა ქართველების მოძალე
მტერს".მ.ჯან.
გვერდა= პატარა გორის გვერდობი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 319). მივადექით ერთ გვერდას. მ.ჯან.
გირვანქა= წონის ერთეული, უდრის 96 მისხალს (დ.ჩუბ. 1984, გვ. 322).
გრივი =,,,სათუელი" (საწყაოთაგანი). (ი.აბულ. დას. ლექს. გვ. 96)
გრძნეული= მოგვი, მოქმედი ეშმაკურთა საქმეთა (გამოს. 7,11; ვეფხისტ. 1288) (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 182).
გძღარბთა= გძღარბი, ძრარბი, ზღარბი (ოთხფ.) ესე არს უდიდესი, რომლისა სიდიდე არს ვიდრე მტკაველამდე, ხოლო პატარას ჰქვიან გძუძი, ბუძგი და ზღვისას- ექინი (ისაია. 13,22 და34,11) (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 185).

დ

დაგუფანჩენ= ,,აწ სად დაგვიტევენ და დაგუფანჩენ". მ.ჯან
დასტუნებია= დასტუნებია, (დასუსტებია, დაუძლურებია...) ხელნი. მ.ჯან.
დრომონი= (ბერძ.) ხუთასისს კაცის შტამტევი ტვირთითა (დ.ჩუბ. 1984, გვ. 482.
დუდუნი= ჯუჯღუნი, უკაფიო ლაპარაკი, ან წიგნის კითხვა, რომ ხმის მეტი არა ისმოდეს რა (ნიკ. ჩუბ. 1961, გვ. 206).
დუნია= ძვ. ქვეყანა, ქვეყნიერება, მსოფლიო. გადატ. ძალიან ბევრი, უამრავი, ქვეყნის (ხალხი) (ქეგლ III, 1953, გვ. 1236).

ე

ეგზეგეტიკური= გამარტივებული. ქრისტიანული მწერლობის დარგი, რომლის საგანია ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტება; სამი გზით სრულდება:ტექსტის გამარტივებული გადმოცემა, კომენტარების შედგენა ტექსტის გაგების გაადვილების მიზნით, ერთი ენიდან მეორეზე თარგმანი (ანდრო ჭილაია, რამაზ ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები თ., 1984, გვ.76-77).
ევლოგია=-კურთხევა, მოსაკითხი. (ი.აბულაძე, გვ. 146)
ესრე= ესრე, ესრეთ=ამნაირად, ასე, ამგვარად (ი.აბულაძე, გვ. 151

ვ

ვერშოკი= ძვ. სიგრძის ერთეული, რომლიც იხმარებოდა რუსეთში ზომათა მეტრული სისტემის შემორებამდე,- არშინის ერთი მეთექვსმეტედი ნაწილი (უდრის 4,450 სანტიმეტრს) (ქეგლ, IV, 1955, გვ. 54).

ზ

ზავთი= 1. ძლიერი ხმა, დიდი, გამაყრუებელი ხმაური,
2. ,,ბაქი", ,,სიტყვით შეაშინოს" (საბა)// წყრომა, რისხვა, აღშფოთება // მრისხანე, შემზარავი შესახედაობა (ქეგლ, IV, 1955, გვ. 90).
ზაკვა= ძვ. ფლიდობა, ცბიერება, მზაკვრობა (ქეგლ, IV, 1955, გვ. 91). მთავართა ზაკვის გამოცნობა. მ.ჯან.
ზაქე= ვით ზაქე ავიდოდნენ ხეზე. მ.ჯან.
ზორტი= ქსოვილის ვიწრო ზოლი, ზონარი, რომლითაც იკრავენ ტანისამოსის ამა თუ იმ ნაწილს. (ქართული ენის განმარტ. ლექსიკ., IV, თბ., 1955, გვ. 176).
ზროღერძი= ისრის წვერი. ,,ისრის ტანი" (საბა) (ქეგლ, IV, 1955, გვ. 179). ზროღერძი მცხეთით. მ.ჯან.

თ

თაღარი= 1. დიდი ზომის პირფართო თიხის ჭურჭელი, საქნახლიდან ტკბილის ჩასასხმელად. ზოგან ქვევრის სახელადაც იხმარება. 2. სამკოდიანი საწყაო (დ. ჩუბ.) (ქეგლ, IV, 1955, გვ. 350).

ი

იოტა= ძვ. წვრილი მინის მძივი (საბა) (ქეგლ, IV, 1955, გვ. 772).

კ

კაბარჭი = საისრე კაპარჭოსანი, კაპარჭის მტვირთველი. (ი.აბულაძე, ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 192.
კაპარჭი= ფუტკრის საშოვარი, ფეხებით რომ მოაქვს; ისართა ქარქაში (ალ.ღლონტი, თბ., 1984, გვ. 271)
კაწები= კაწ (ინგილ.) ღობეზე სავლელი კარი, ბილიკი (მ.ჯან.) (ალ. ღლონტი, ქარულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 276) შეჰკრეს ყველა გზები და კაწები, მ.ჯან.
კეჭენი = კახის მიწა კეჭენში იმყოფება. მ.ჯან.
კილანი= თიხის პატარა ჯამი (ქეგლ, IV, 1955, გვ. 1206).
კოლტები= კოლტი, ჯოგი, გროვა:იყო მუნ კოლტი ღორთან მრავალი, მძოვარი მთასა გარე (ი.აბულაძე, გვ. 201).
კრიკინა= 111 გარეული ვაზი, ველური (ნიკო ჩუბინაშვილი, გვ. 254) დამწიფებული შავი ყურძენი უწყლობისა გამოკრიკინას ჰგვანდა, მ.ჯან.
კრტიმვლა= უგვანად ვეშუღლები (დ.ჩუბ. 1984, გვ. 630-631).
კტიტორონი="შთამომავლობა ბაგრატიონთა და მათ მიერ წარმოშობილნი მეფენი (ეს სიტყვა ხმარებულია თვით ტექსტში), ე.ი. უკეთილმსახურესნი მეფენი ივერთანი, ადრიდგანვე შეიქმნენ მფარვენი და **კტიტორონი** წმიდისა და ცხოველთმყოფელისა საფლავისა უფლისა და სხვათა წმიდათა სათაყვანებელთაო... მ.ჯან.

ლ

ლალა= მზარდული, მამამძუძე (ხოლო ბერძნულად ბიძა) (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 257). ლალასავით გამგლობა არ გაუწიეს ტყვეებს. მ.ჯან.
ლეგეონი= ლეგიონი გუნდი მხედრობისა ძველთა რომაელთა (3000, 6000, 10000 კაცისგან შემდგარი. მეოთხედი ნაწილი იყო ცხენოსნები, დანარჩენები- ქვეითნი (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 259).
ლიგვირიონი= პატიოსანი თვალი, იაგუნდის მსგავსი თვალი ლურჯი (დ.ჩუბ. 1984, გვ.649).
ლიტრა= ოცი სტილის წონა (9 ფუნტი) //ხოლო ძველებური ლიტრა იყო უმცირესი საწონი, ერთი მნა, ანუ აწინდელი გირვანქის ოდენი (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 260). 2. ძველი ქართული წონის ერთეული (სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული:უდრიდა 1-4 კგ-ს (ქეგლ, IV, 1955, გვ. 1557).
ლიქნა= მიფერება, მიალერსება მოსაცთუნემლად (შავთ. 46) (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 260),
ლორფინი= ლომფინი ფიქალტაგან სექმნილი კრამიტი (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 261) ლორფინით გადახურული. მ.ჯან.
ლუმბრა=(მორევი წყალში, მდინარის ადგილი მდოვრე და ღრმა, (დ.ჩუბ. 1984, გვ.654) ღრმა ლუმბრით ჩარბის მდ, ქურმუხი, მ.ჯან.

მ

მატურა= მატური სასაფლაოზედ მცირე გალავანი, მოვლებული ერთის ნათესავის მიცვალებულტათვის (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 270).
მატფურებელი= მატფობარი მათბობელი. "ვითარცა ქათამი მატფობარი ისწრაფინ ბუდესა თვისსა (ი.აბულაძე, გვ. 220.
მაღრიბიდან მაშრიყამდე (26) დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე (დ.ჩუბ. 1984, გვ. 681-682).
მაყაში (ბრინჯაოსი)= ჟღუნი, მოსაწმენდელი სანთელთა ცხვირისა (დ.ჩუბ. 1984, გვ. 681, 1030).
მიზდი= სასყიდელი, ქირა (ი.აბულაძე, გვ. 243). უმიზდოდ ე.ი. უსასყიდლოდ უწამლებს.
მიირულა= მიიძინა..
მირიხინებს= ხმაურით მიექანება. ,,მირიხინებს ჩვენი ეტლი მშვენიერს ლოჭინის გზატკეცილზე". მ.ჯან.
მისხი= შორეული ნათესავი მეყვისი, მისხის მისხი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 750).
მიშრუის= მიიჩქარის, ეშურება (დ.ჩუბ. 1984, გვ. 759). მიშრუის იორი. მ.ჯან.
მოგალავნებული= გალავნად ქცეული ,,ფართოდ მოგალავნებული ეზო ჭერმის საეპისკოპოსო საყდარში". მ.ჯან.
მოდღეინდელად= (28) მოდღედმდე, მოდღეინდელად დღედმდე=დღევანდლამდის (დ.ჩუბ. 1984, გვ. 791). მოდღეინდელად დრომდე. მ.ჯან.
მოწლე= მოწყალე, გულჩვილი, საყვარლად, მეგობრულად (დ.ჩუბ. 1984, გვ. 880). მოწლედ მიგვიღო და მიგვიპატიჟა.
მწყაზარი= ფრიად მშვენიერი, მოხდენილი, ან თეთრი სპეტაკი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 932).

ნ

ნაბუარი= ნაბუარი, ნაბუარა ნაწეწი, ნაგლეჯი, ნაფლეთი (მატყლისა, ბამბისა, ქსოვილისა და მისთ. (ქეგლ,V, 1958, გვ. 1268). ნაბუარი აადნა თურქებს ერეკლემ. მ.ჯან.
ნუზალი=ნუზლი, ძვ. საგზალი; სურსათი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 1518).
ნურხაგი (სარდინიისა)= - საიდუმლო თავშესაფარი შიშიანობის დროს. მ.ჯან.

ო

ოდოშია= (მწიფობაში შესული ყანა, მ.ჯ.) სანახევროდ შემოსული ყანა ალღლონტი, გვ. 425)
ოჩხარი= (დაზარალებულისათვის დახმარება ცხვრის მოგროვების გზით. ალ.ღლონტი, გვ.433),
ოხჭანი= ხელმოჭერილი, პურძვირა ადამიანი (ალ.ღლონტი, 1984,გვ. 434). კაცის სიცოცხლის დასაწყისი და ოხჭანი ღმერთშია. მ.ჯან.

პ

პალავრა = "მიიყვანა იგი პალავრად და მისცა მას სენაკი" (ი.აბულ. დასახ. ლექსიკ. გვ. 336
პანაგია= ყოვლად წინდა. ძვირფასი ქვებით მოოჭვილი პატარა ხატი, რომელ-საც მართლმადიდებელი ეპისკოპოსები იკიდებენ გულზე (ქეგლ,VI, 1960, გვ. 112).
პანეგირისტი= გადაჭაბებით მაქებარი, მეხოტბე (ქეგლ,VI, 1960, გვ.114).
პერპერა= სპარსულია, ოქროს ფული (დ.ჩუბ. 1984, გვ. 1010). "პერპერა (ვეფხისტ. 1427), ვახტანგ მეფე განმარტებს:მოსაკმაზავს გარდა, რაც რამ სხვა კიდევ კარგი მოუმატოს". (ნიკ. .ჩუბ. 1961, გვ. 328).

ჟ

ჟამი= საათი.
ჟინა ჟინა (ინგილ.) ზემო სართულის უმოაჯირო აივანი (მ.ჯან.) ალ.ღლონტი, 1984, გვ. 447).
ჟრავილ-ჟრუვილი= ყმაწვილები ჟრავილ-ჟრუვილით სტვენენ
ჟრე= ქართული ჟრე (მასსა) და კლასიკური განათლება. მ.ჯან.
ჟღარუნები= ჟღარუნი, ჟღერა, ჟღერა ეჟვანთა, ე.ი. ეჟვანთ წკარუნი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 1030); ჟღარუნა იგივეა, რაც ეჟვანი (ქეგლ VI, 1960, გვ. 339); ჟრარუნა (კახ) ნალების სეკვრა, ჩამოკიდებულია წისქვილის ხვიმირაზე, რომ მარცვლეულის გათავებისას აჟღარუნდეს (ალ.ღლონტი, თბ., 1984, გვ. 449).

რ

რაბამ= რაბამ, რაბამად ვითარ, ანუ რაოდენ, რაზომ (ფსალ. 65,2 და 118,103). (ნიკ.ჩუბ. 1961, გვ. 333). თუ რაბამ დიდი იყო პროფესორებისადმი პატივისცემა (საბერძნ. ასმოღებ.
რეცა= რეცა ვითამც, მითამ (ნიკ.ჩუბ. 1961, გვ. 335). მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ (ქ. ცხ.).
რიდე= შალი თავზედ მოსახვევი, ფოში, ჩალმა (დ,ჩუბ. 1984, გვ. 1038). თავსაბურავი,

პირსაბურავი ქალისა,-პირბადე (ქეგლ VI, 1960, გვ. 433).
რიდო= კოჟორში ყანა ჯერ ისევ **მწვანე რიდოში** იყო, მარცვალ დაუსრულებელ-გაუმაგრებელი, მ.ჯან.
როქაქი= დაბლობ-როქაქისკენ
როქი= ძვ. დაქირავებული ჯარი (ქეგლ VI, 1960, გვ. 458).
რუდუნება= შრომა, გარჯა, ზრუნვა, ღვაწლი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 462).
რღვნა= ძვ. იგივეა, რაც წარღვნა (დ.ჩუბ. 1984, გვ.471). ნილოსის რღვნა, წყალღრვნა. მ.ჯან.

ს

საბარკულე = საბარკლე,საბარკულე, საწვივე აბჯარი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 1054).
საზეპურო= ,,უაღრესი ან ზესთა პურის მტე, ე.ი. ამორჩეული ერი ვითარცა ქრისტიანენი" (იხ. დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ. თბ., 1984, გვ. 1069.
სამსჭვალი= ლურსმანი (ი.აბულაძე, გვ. 365); "რკინა, რითაც წისქვილის ქვაა დამაგრებული". (ქეგლ,VI, 1960, გვ. 724)
საპალნე= 2. ღვინის საწყაო; უდრის 30 ჩაფს; 3. ძვ. წონის ერთეული, უდრიდა 30 ფუთს. (ქეგლ,VI, 1960, გვ. 765). სახედართ ტვირთი, პალანზედ ასაკიდები (დ.ჩუბ. 1984. გვ. 1105).
საოხი= სახვაიშნო, სავედრებელი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 1104).
საპონჩი= 69
საფანელი= 1. ჩომის გუნდის ამოღების დროს ვარცლზე მოსაყრელი ფქვილი, რომ ვარცლს ცომი არ მიეკრას. 2.გადატ. საშუალება, სახსარი, ღონე, უნარი (ქეგლ,VI, თბ., 1960, გვ. 839).
სერტები= 208
სერტყი== 1. ნერგნი კერპთანი, საზორავნი (საბა),- კერპთა შესაწირავად განკუთვნილი ნერგები. 2. Iგივეა, რაც ნერგი დ.ჩუბ. 1984, გვ. 997)
სესტერცი= სესტერციუსი ძველი რომის ვერცხლის (შემდეგ- ბრინჯაოს) მონეტა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგ. მიხ. ჭაბაშვილმა, 1989, გვ. 457).
სვე= ბედი, ბედისწერა; მიწის ნაკვეთი ყანის, ვენახის , რომელსაც მიწის მუშაერთ ჯერზე ამუსავებს (ხვნის, თოხნის, ბარვის, მკის, თიბვის.. დროს (დ.ჩუბინ 1984, გვ. 1003).
სვეუბედური= სვეუბედური დრო. მ.ჯან.
სინდეთი= რომელი სინდეთს შესვლიდგან მოსპეტაკობდა **რეცა** სიბერისა სახედ
სირი= ჩიტი. იგივეა, რაც სირაქლემა. (დ.ჩუბინ. 1984, გვ. 1060). სამკვიდრებელი სირთა. მ.ჯან.
სიქა= ფულისა ან ოქრო ვერცხლის ბეჭედი (დ.ჩუბ. 1984, გვ. 1184). შტემპელი. მ.ჯან.
საჟენი=
სპეკალი= ყოველი თვალი პატიოსანი (საბა, 108); ზოგადი სახელი პატიოსანთა თვალთა (დ.ჩუბ. 1984, გვ. 1194). გადატ. გადმომქუხარე ჩანჩქერები. მ.ჯან.
სტავრა= ფარჩა ოქრო ნაქსოვი (დ.ჩუბინ. 1984, გვ. 1194).
სტოა= სტოვა, მიშენებული კამარაკარის შესავალი (დ.ჩუბინ. 1984, გვ. 1195)..
სრე= სრე-სრე, ზოლებასდ, ზოლ-ზოლად (ქეგლ,VI, თბ., 1960, გვ. 1145).გრძელი

ზოლი, რომელსაც თიხის ჭურჭელს გარს ავლებენ. (ალ.ღლონტი. 1984, გვ.499)
სხვერტა= სხვლერტი, წვიმა, წვრილი წვიმა, თქორი ალ.ღლონტი, 1984, გვ. 503).

ტ

ტალანტი= ძვ. ოქროსა და ვერცხლის ზოდი(საბა). წონის და ფულის ყველაზე დიდი ერთეული ბაბილონურ ფინიკიური წარმოშობისა; (ქეგლ,VI, თბ., 1960, გვ. 1237).
ტერუვერები= ტერუვერები იტალიაში. მ.ჯან.
ტროგლოდიტური= ტროგლოდიტური შენობები (უფლისციხე, გარეჯა და ივრისქვაბნი, მ.ჯან. (გამოქვაბული, მღვიმე (ქეგლ,VI, გვ. 1348)

უ

უბირი= 1. უვიცი, უმეცარი. 2. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი (სიტყვა, ლაპარაკი). 3.უშნო, ულამაზო, შეუხედავი (ქეგლ,VI, თბ., 196ო, გვ. 1397).
უკუმათი= ,,უკუმართთამი (7,24 იერემ.) უკუღმართისაკენ" (ს.ს.ორბ. ლექსიკ. ქართული II, 1993, გვ.159). წარსული, რომელიც მის დრომდის ჯერ **უკუმათის** ბინდით იყო მოცული. მ.ჯან.
უღალი= უღალ კლდებით გარემოზღუდული. მ.ჯან.
უღაღი= (124) უღაღი, ძნელ სავალი (ს.ს.ორბ. ლექსიკ. ქართ. II. 1993, გვ.174). იდიდებოდნენ ყოველთა უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა
უყევროდ= ყევარი ორუღლეულნი ხარნი. Орі уґелі ѣарі, оруґелі.(ს.ს.ორბ. ლექსიკ. ქარტთ II, 1993, გვ.264)
უჯათი= უჯათი წყალია=ჟინიანი, ახირებული. მ.ჯან. უჯაათი (ქიზიყ.) გაუგომარი, შეუსმენარი, კერპი ადამიანი (ს.მენთეშ.) (ალ.ღლონტი 1984, გვ. 531).

ფ

ფარსაგი= 1. რიგიანი, ხეირიანი, გამოსადეგი; კარგი, კეთილი. 2. ძვ. ,,საშუალ კეთილისა და ავისა" (საბა). (ქეგლ,VII, თბ., 1962, გვ. 31).
ფერძოვანი= ერთი გაშლილი მინდორი ფერძოვნისა. მ.ჯან.
ფეშხუმი= ფეშხუმი, ძირიანი თეფში (ნაზე ლანკანი)//ეკლესიათა შინა წმინდათა ნაწილთა დასასვენებელი ჭურჭელი (ნიკ. ჩუბ. თბ. 1961, გვ. 394).
ფილაკავანი= ფილაკავანი. ძვ. ქვის სატყორცნი ციხის სანგრევი სამხედრო მანქანა (საბა) (ქეგლ,VII, თბ., 1962, გვ. 106). ფილაკავანი დაუდგა, მ.ჯან.
ფიორი= მცირე რამ, ერთი ბეწვა, ნამცეცი (ქეგლ,VII, თბ., 1962, გვ. 115). სიმართლე არ არის იმ თქმაში, კიჟინში. მ.ჯან.
ფოს-ფილავკანერი= ფილაკვანი=ვარხვი. (ქეგლ,VII, თბ., 1962, გვ. 106).
ფსა= ფსას ვარსკვლავედი, მ.ჯან.
ფუტი= სიგრძის ინგლისური ერთეული, უდრის 30,5 სმ-ს (ქეგ;.VII. 1962, გვ.207).ს
ფუთი= წონის საზომი ერთეული, უდრის 16,38 კგ (ორმოც გირვანქას). (ქეგლ, VII, 1962, გვ. 193).

ქ

ქლამინდი= ძვ. სამეფო წამოსასხმელი (საბა),- მანტია. შესამოსელი გახადეს ქლამინდი მოახვიესო (დ.გურამ.) (ქეგლ,VII, თბ., 1962, გვ. 333).
ქორიბანტები= (ქორრი- მცველთა ჯგუფი, ამალა (ი.აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თ., 1956, გვ. 455)ს .კოლხელი ქორიბანტები იყვნენ რეას ტანისმცველები,

მ.ჯან.
ქოწიათ= ქოწიათ გალესილი სტოლი, ძველი და მტვერიანი. მ.ჯან.
ქულბაქი= ძვ. ,,ბაზარი” (საბა), ქულა, ხულა და ქულბაქი დუქანი ბაზრისა, ბაზარი (ნიკ. ჩუბინ. გვ. 406), ,,ბაზრის დუქნები” (დ.ჩუბინ.). (ქეგლ,VII, თბ., 1962, გვ. 372). შემოსავალი ქულბაქთა. მ.ჯან.

ღ

ღადა-ღუდა= ,,კაპანი ავი სავალი” (საბა); ოღრო-ჩოღრო; ღორღიანი, ძნელად სავალი ადგფილი (ქეგლ, VII, თბ., 1962, გვ. 388-389)
ღვწა= ,,ღუწა (13, 19 ეზეკი) ძნელი მოჭირვება” (ს.-ს.ორბელიანი, ლექსიკონი ქართული II, თბ., 1993, გვ. 260); ,,მოღვაწეობა, მომჭირნეობა, ზრუნვა, ღვაწლი”. დ.ჩუბინ. 1984, გვ. 1370)შრომა

ყ

ყარყუმი= ”თეთრი ქრცვინა”(დ.ჩუბინ. 1984, გვ.1373);1.ბეწვიანი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა; აქვს თეთრი ბეწვი, კუდის წვერზე კი-შავი. 2.გადატ. ვისაც სულ თავ-პირი ჩამოსტირის,-უცხვირპირო, ბაიყუში. (ქეგლ,VII, თბ., 1962, გვ. 511).
ყონაღობა= ყონაღად ყოფნა,-მეგობრობა (ქეგლ,VII, თბ., 1962, გვ. 567); ყონაღობა-სტუმრობა (ი.გრიშ. ქალაქური ლექსიკონი, თბ., 1977, გვ. 243); ჩვენთან აღარ გსურთ ადგომ-დაჯდომა, ძველებრ ძმურად პურის გატეხა, ძმური ყონადობა? მ.ჯან.
ყორუღები= (ორმო, შიშიანობისას თავშესაფარი, აკლდამური ტიპისა
ყოში= ყოშიანი კაბა- რომელსაც მაჯის პირი გადაკეცილი აქვს(1ეგლ. VII. 1962, გვ. 574).ს
ყუჯახი= საყდრის კედლებზე იყო მარიამ დედა და მის ყუჯახში მჯდომარე ქრისტე. მ.ჯან.

შ

შეითხვივნენ= შეითხვივნენ ეშმაკნი და ვირდევნი
შემოღორულება= უძველეს დროიდან ქართველთ სცოდნიათ ფასი უფლებისა, მოწმეებისა და წერილების ჩვენებით წესიერებისა და სიმართლის აღდგენა და დაცვა. მამულების დასაკუთრება და შემოღორუღება არა მტაციობითა და ძლიერებით ჰხდებოდა, არამედ სამეფო ოქმით, მეფის ხელწერილით. მ.ჯან.)
შეტირვა= ფეიქრის შეტირვა თავის გაუბედურებელ მასრამაქოსადმი

ჩ

ჩონ=ჩონ, ჩონი (ინგილ.) ფერეიდნ., ჯავახ., მთიულ.,) ჩვენ, ჩვენი (ალ.ღლონტი 1984, გვ. 662).

ც

ციაგი= მცირე სხივი ან კაშკაში ცის მნათობთა. (დ. ჩუბ. 1984, გვ. 1593). ,,სამწუხაროდ ჩვენდა, სახელი ქართველებისა ციაგშია, დაჩრდილულია დაჩრდილულია. მ.ჯან.”

ცმაცუნი= ცმაცური, ,,ოდენ რყევა”(საბა). ოდნავ მოძრაობა ტუჩებისა (ქეგლ,, 1964, გვ.639). “ცმაცუნ-ცმაცუნიტ გასწიეს ქვეითკენ”. მ.ჯან.

ძ

ძუძუმაყვალა= ძუძმაყვალა, ძაღლმაყვალა, მცენარეა (ალ. ღლონტი, 1984, გვ. 691)

წ

წალაკი= ,,წალა, ზალა, თხელი შალალი” (ნიკ.ჩუბინ. 1961, გვ. 444).
წკატუნი= წკაპა-წკუპი, რიტმული წკაპანი (ქეგლ,VIII, თბ., 1964, გვ. 1147). წვეთების წკატუნი. მ.ჯან.
წარაფი= წაგრძელებული დაბალი კლდე (ქეგლ,VIII, თბ., 1964, გვ. 953). წაგრძელებული კლდე (ალ.ღლონტი, 695); გაივლის მის წარაფს (შენობისას). მ.ჯან.
წარტყვევნა= ძვ. დატყვევება, დატუსაღება (ქეგლ,VIII, თბ., 1964, გვ. 980).
წინაუკმო= წინაუკმო და უკანაწარ წინა-უკუღმა და უკუღმა-წინა (ს.-ს.ორბ.ლექსიკ. ქართ. II, 1993, გვ. 379); 1. ერთიმეორის საპირისპირო, ურთიერთსაწინააღმდეგო. 2. ჭინა ნათქვამის ან მოსალოდნელის საპირისპიროდ-პირიქით (ქეგლ,VIII, თბ., 1964, გვ. 1124).
წინდობისა- წინდობა ნიშნობა, მადლის გარდახდა, ან ლოცვა წინდობისა (ნიკ. ჩუბინ. 1961, გვ.452); საქმე წინდობისაი

ჭ

ჭდე= ცხოვრების ჭდე 1.ჯოხზე გაკეთებული ნიშანი ჩაჭრით. 2. რქის ნაზარდი, საფეხური. (ალ.ღლონტი. გვ. 718).

ხ

ხამუშ-ხამუშ= 1.ხანდასმით, ნელ-ნელა, დროგამოშვებით (ხამუშ-შესვენება). 2. ანტრაქტი. 3. ხამუში- სიჩუმე (იოსებ გრიშაშვილი. ქალაქური ლექსიკონი. ლექსიკონი გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა,თბ., 1977,გვ. 285.
ხატ-სამსჭვალე= ხატ-სამჭვალისთვის ააგეს ეკლესია ქართლს.
ხნაცვი= (გურ.) ღრმა თხრილი, ნაპრალი (ალ.ღლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალექსანდრე ღლონტი, თბ., 1984, გვ. 757.

ჯ

ჯუბანი= განიერი წამოსასხამი ხალათი 2. დაბამბული კურტაკი. 3. ,,შინაური სალის კაბა” (ვაჟა). (ქეგლ,VIII, თბ., 1964, გვ. 1609).
ჯერჩინები= ”ნება”, მიჩნევა საჭიროდ, ”გულვება”. “ჯერ-ჩინებითა ღმრთისაითა, რომელმან ინება ცხორებაი ჩემი, გამოვედ”.(ი.აბულაძე, გვ. 574).
ჯუმლი= ჯამი, შენაჯამები (ქეგლ,VII, თბ., 1964, გვ. 1610). ჯუმლად, მოკლედ აღნუსხული. მ.ჯან.

ჯურა= ჯურა ბრინჯი, ჯურა-ჯურა (ფშ.) ნაირნაირი (ვაჟა-ფშაველა, მც. ლექსიკ.). (ალ.ღლონტი, გვ. 757).

ჰ

ჰაკაკ= (ინგილ.) აკაკი, მცენარეა (ალ.ღლონტი, 1984, გვ. 788).
ჰაჩიჩა= ჰაჩიჩა-I (ინგილ.) აჩეჩი (მ.ჯან.). (ალ.ღლონტი, 1984, გვ. 788).

წყაროები, შენიშვნები, განმარტებები

1. გ.ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, (ლიტ. მუზ.), მოსე ჯანაშვილის ხელნაწერთა ფონდი, 21. 563-ხ.
2. ივერია" 1888, N 81. 15 აპრ. გვ. 2.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (საქ. ცსსა), ფონდი 422, აღწ. 1, საქმე 372, ფურც. 551.
4. ივერია" 1896, N 28, 7 თებ. ოთხშ. გვ. 3.
5, საქ. ცსსა, ფონდი 422, აღწ. 1, საქმე 372, ფ. 268.
6. ლიტ. მუზ. 21655-ხ
7. საქ. ცსსა, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 686, ფ. 212.
8. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 686, ფ. 215, 216.
9. ლიტ. მუზ. 21667-ხ, ფ. 4. საქ. ცსსა, ფონდი 440, აღწ, საქმე 686, დ.219
10. საქ. ცსსა, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 686, ფ. 219.
11. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 685, ფ. 87.
12. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 685, ფ. 219.
13. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 685, ფ. 220.
14 იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 685, ფ. 125-126.
15. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 687, ფ. 466-467.
16. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 685, ფ. 118.
17. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 685, ფ. 120.
18. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 686, ფ. 753.
19. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 685, ფ. 177.
20. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 694, ფ. 13
21. ლიტ. მუზ., 21654-ხ, ფ. 2-3.
22. იქვე, 21649-ხ,
23. საქ. ცსსა 440, აღწ. 1, 723, ფ. 275-276.
24. იქვე, 21649-ხ
25. პოლიცია ისე როგორც ეგნ. იოსელიანს, აგრეთვე მ.ჯანაშვილს უნდობლად ეპყრობოდა და მასზე გარკვეული მეთვალყურეობაც ჰქონდა დაწესებული. სემინარიის წლების გახსენებისას მოსე აღნიშნავდა:,,ამით ვერ გადვურჩი დევნას, უკვე დამსახურებული მასწავლებელი ვიყავ, რომ 1907 წელს დამესხა პოლიცია და 3 საათიდან 7 საათამდე ჩხრიკა ჩემი ბინა, პოლიცმეისტერ მარტინოვსკის ხელმძღვანელობით. ვერა აღმოაჩინეს საეჭვო რამ. მარტინოვსკიმ ბოლოს მკითხა, ამდენ ჯამაგირს ვიღებდი თვეში და მეჩვენებინა მთელი ჯამი შინ მყოფ დარჩენილი ფულისა. აღმოჩნდა თუმანი. მაშინ მჩხრეკელებს უბრძანა:,,შეადგინეთ ოქმიო" და თვითონ წავიდა. მჩხრეკელებმა ოქმში ჩამიწერეს, რომ ჩხრეკა მოხდაო ,,за переписку с остранными государствами". ნამდვილად-კი ეს თავდაბნეულები, როგორც გავიგე,

მერე, თურმე ეძებდნენ იმ წელს გაძარცულ დუშეთის ხაზინის ნაშთებს! მომაგონდა უწინდელი ,,მაჩაბელმა ავი ქმნა და ურიას გადაახდევინესო". ავაზაკები ძარცვავენ ხაზინას და მე მიფურტკნიან ბინას და მიწიოკებენ წვრილშვილს!!". იხ. ლიტ. მუზ. 21.607-ხ ფურც. 9. აგრ. იქვე, 21651-ხ ფ. 22.

26 საქ. ცსსა, ფონდი 422, აღწ. 1, საქმე 834, ფ. 482.

27. იქვე, ფონდი 440, აღწ. 1, საქმე 1050, ფ. 16. თავის აგანმანათლებლო მოღვაწეობაში მ.ჯანაშვილმა ერთგულად, მრავალი დაბრკოლების გადალახვით შესძლო განეგრძო თავისი მასწავლებლის მიხეილ ყულოშვილის წამოწყებული საქმე-აღეძრა და განევითარებინა ყმაწვილებში სწავლის სურვილი..

28. ლიტ. მუზ., 21682-ხ

29. იქვე, 21649-ხ,

30. «სახალხო გაზეთი» 1877, N 2, 31 იანვ. გვ. 1-3.

31. ა. შანიძე, კ. კეკელიძე. მოსე ჯანაშვილილი (მოხსენება პედაგოგიურ ფაკულტეტს). იხ. საქ. ცსსა, ფონდი 284, აღწ. 1. საქმე 643, დ. 19, აგრ. ტ. მუზ., 21651-ხ ფ. 1-4.

32. ლიტ. მუზ. 21651-ხ ფ. 8.

33. «მწყემსი» 1884, N 12, 15 ივნ. გვ. 9.

34. «ივერია» 1897, N 271, 31 დეკ. გვ. 4.

35. ლიტ. მუზ, 21688-ხ

36. იხ. კრებ. მოსე ჯანაშვილი, თბ., 1956, გვ. 13).

37. მ.ჯანაშვილის ხელნაწერიდან-ჩემი ამბვედი და ჩემი ნაწერები"ამოღებული ნაწყვეტი გამოქვეყნდა საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის ორკვირეულ ჟურნალში, სათაურით "გავიცნოთ ჩვენი მეცნიერები-მ.გ.ჯანაშვილი (ფოტოსურათით)-იხ. განათლების მუშაკი"1927, N 4, 15 ნოემბ. გვ. 26-29.

38. იხ. კრებ. მოსე ჯანაშვილი, თბ., 1956, გვ. 23.

39. საქ. ცსსა ფონდი 300, ანაწ. 3, საქმე 140, ფურც. 73. აღნიშნული ცნობის მოწოდებისათვის მადლობას ვუძღვნი მკვლევარ გურამ ჩხაიძეს.

40. ლიტ. მუზ. 21650-ხ

41. ,,ვესტნიკ გრუზინსკოგო ეგზარხატა" 1914, N 20, გვ. 605.

42. გაზ. ,,კავკაზი" 1914, N 257, გვ. 3.

43. პროფ. ვ.რ.მორფილი 1909 წლის 9 ნოემბერს (ახალი სტილით) გარდაიცვალა 75 წლის ასაკში. მორფილმა სამეცნიერო განათლება ოქსფორდში მიიღო, სადაც იგი თავდაპირველად გატაცებული იყო კლასიკური ფილოლოგიით, ხოლო შემდეგ მთელი თავისი უნარი მიმართა სლავური სიტყვიერებისაკენ, ეს მუშაობა განაგრძო პარიზში, სადაც დაუახლოვდა პოლონელ ემიგრანტებს. 1875-1876 წლებში ლონდონის ფილოლოგიურმა საზოგადოებამ გამოსცა მისი ნაშრომი ,,რუსული ენა და მისი ,,დიალექტები", 1884-1906 წლებში მორფილმა გამოსცა პოლონური გრამატიკა, სერბული ენა, რუსული ენა, ბულგარული ენა და ბოლოს ჩეხური ენა, რუ-სეთის ისტორია პეტრე პირველიდან ალექსანდრე II-მდე. თავისი ბიბლიოთეკა მან დაუტოვა სამეფო კოლეჯს, რომლის წევრიც თავად იყო. 1905 წლის ზაფხულში ალ.ხახანაშვილს შემთხვევა ჰქონდა მორფილს შეხვედროდა ოქსფორდში და მის ბიბლიოთეკაში ენახა საკმაოდ რაოდენობით წიგნები საქართველოს შესახებ. ერთი წლის მანძილზე ჩვენ დავკარგეთ ქართველოლოგიის ორი წარმომადგენელი-მარჯორი უორდროპი და ვ.მორფილი, რომლებიც ხელს უწყობდნენ დასავლეთ

ევროპასთან საქართველოს დაახლოებას, წერდა ქართველი მეცნიერი. (იხ. ალ. ხახანა-შვილის პუბლიკაცია გაზეთ ,,ნოვაია რეჩი” 1910, 30 აპრილის ნომერში.)

44. საქ. ცსსა ფონდი 471, აღწ. 1, საქმე 2, ტფილისის სახელმწიფო უნივერსი- ტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, ფურც. 27.

45. ლიტ. მუზ. 21692-ხ მ.ჯანაშვილის უბის წიგნაკიდან.

46. იქვე, 21692-ხ

47) 1919 წლის 4 ნოემბერს გაზ. “საქართველო” (N 239, გვ. 3.) წერილში-,,ძვირფას ისტორიულ საბუთების აღმოჩენა” იუწყებოდა, რომ ,,..საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილმა აუწყა თბილისის სამაზრო ერობის სამმართველოს, რომ უკანასკნელთა თხოვნით საზოგადოების მიერ გაგზავნილთ ბ. მოსე ჯანაშვილმა და ავქსენტი აბესაძემ არქივის საჩქაროდ გადასინჯვის დროს აღმოაჩინეს 30 ფუთამდე ძველი ქართული, ქართული ისტორიული საბუთები, რომელთა შორის არის მე-16 და მე-17 საუკუნის მთელ გუჯრები ქართველ მეფეებისა მათთვე ბეჭდებით შემოწმებულნი. ბ. ექვთიმე თაყაიშვილი სთხოვს ერობის სამმართველოს, რათა სათანადო ყურადღება მიაქციოს არქივს და გადასცენ განკარგულებაში საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას”.

48. კრებ. მოსე ჯანაშვილი, თბ., 1956, გვ. 42.

49. სიტყვა წარმოთქმული ივ. ჯავახიშვილის მიერ მ. ჯანაშვილის 53 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის წლისთავისთვის მიძღვნილი საქართველოს საისტორიო - საეთნოგრაფიო და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებების 1930 წლის 2 მაისს გამართულ შეერთებულ სხდომაზე. (იხ. ლიტ. მუზ. მ. ჯანაშვილის ფონდი 21651-ხ გვ. 15-16). აღნიშნული სიტყვა მოგვიანებით დაიბეჭდა კრებულში «მრავალთავი».

50. ლიტ. მუზ. 21667-ხ

51. გაზეთ “ცნობის ფურცლის” 1903 წლის 12 ოქტომბერს (N 2290) გამოქვეყნებულ ფელეტონში. “სიტყვა (სამსონ ფირცხალავა) აღნიშნავს, ჩვენი მწერლისგან მივიღე ბარათი, სადაც იგი ეხება საზოგადო საგანს და არა ჩემს პირადობას, ამიტომ სრული უფლება მაქვს მოვიყვანო მისი წერილიო და მას თითქმის მთლიანად აქვეყნებს, ხოლო თავის ფელეტონს კი ასე ამთავრებს პატივცემულ ავტორის სიტყვებში აქ ყველაზე უფრო საყურადღებოა ჩემთვის ერთი გარემოება, თუ როგორ მეტად ცუდს პირობებში უხდებათ შრომა ჩვენებურ ისტორიკოსებს:არამც თუ ლუკმა პურს ვერ შოულობენ თავისის შრომით-პატივისცემა და მადლობაც არა აქვთ მოპოვებული საზოგადოებაში. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი ისაა, რის გამოც დღეს ჩვენში საზოგადო მოღვაწეობას მხოლოდ შიმშილი, მწუხარება და უდროოდ სიკვდილი მოაქვს მოღვაწისათვის. ჩვენი თეატრები უმეტეს შემთხვევაში ცალიერია. ჩვენებურ გაზეთს ათასი ხელისმომწერი ძლივს ჰყავს, ჩვენი საუკეთესო ავტორების ნაწერები ძლივს იყიდება ას-ასი ეგზემპლიარი წელიწადში». კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მ.ჯანაშვილის ფონდში (N294) ინახება გაზეთის 12 ოქტომბრის ნომერი, რომელზეც ცალკეულ ჩასწორებებთან ერთად ასეთი მინაწერია:»ფირცხალავას ფელეტონში დაიბეჭდა ეს ჩემი შენიშვნა. მ.ჯანაშვილი». წინამდებარე კრებულში სტატიის დასათაურება პირობითია.

52. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მ.ჯანაშვილის საარქივო ფონდში (N 194) ზემოთ მოცემული ისტორიული წერილები ასეა დასათაურებული:,,მ.ჯანაშვილი. საქართველო. ავტოგრაფი, შავი. 1889, 56 ფურც.” პირველ ფურცელზე მ.ჯანაშვილს მიუწერია:,,დაბეჭდილია მოკლედ.

«ივერია»”1889, 24, 30, 35, 38, 39, 45, 51”. «საქართველო» 1889. შესწორებული და შევსებულია” 1907 წლის იანვარში, სადაც ადრინდელ პუბლიკაციაში ზოგი რამ გადაუხაზავს, ადგილ-ადგილ ჩაუმატებია, შეუსწორებია და მოპოვებული მასალების საფუძველზე გაუძლიერებ-გაუმდიდრებია. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს შესწორებული რამდენიმე ქვეთავი-შესავალი; პოლიტიკური წესწყობილება; სამართალი და ქართული ხლართული ხელოვნება, სადაც კარგად სჩანს თუ როგორ თანამიმდევრულად ზრუნავდა ავტორი თავისი ნაწარმოებების სრულყოფისათვის.

53. ვანდერლენდე ემილ (1866-1938), ბელგიის პოლიტიკური მოღვაწე, მემარჯვენე სოციალისტი, II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი, 1900 წლიდან II ინტერნაციონალის საერთ. სოციალ. ბიუროს თავ-რე, იურისტი, პოლიტ. ეკონ. პროფესორი (1924) ბრიუსელის უნ-ტში. 1914-37 წლ. ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის, იუსტიციის მინისტრისა და სხვა პოსტები. (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 290).

54. 1912 წლის ზაფხულში ქართულ პრესას შეემატა გორში მწერალ ი,ცინცაძის რედაქტორობით გამომავალი ახალი გაზეთი. პირველ ნომერში გაზეთის რედაქცია წერდა:გაზეთი “«ქართლი»” თიბათვიდან ქ.გორში გამოდის ჯერჯერობით კვირაში სამჯერ, ოთხშაბათობით, პარასკევობით და კვირას. გაზეთში თანამშრომლობა აღგვითქვეს:შ.არაგვისპირელმა, მ.ჯანაშვილმა, ნ.ლომაურმა, სოფრონ მგალობლიშვილმა, თ.რაზიკაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ, დუტუ მეგრელმა, ი.ნატროშვილმა, ვ.ღამბაშიძემ, კ.კანდელაკმა, ირეთელმა, გ.ახალციხელმა და მრავალმა სხვა ცნობილმა მწერალ-მოღვაწეებმაო. მ.ჯანაშვილი თავიდანვე აქტიურად ჩაერთო გაზეთის საქმიანობაში და პირველივე ნომერში გამოქვეყნა წერილი “«ქ.გორის აწმყო და წარსული». რასაც მოჰყვა მისი სხვა საინტერესო პუბლიკაციები. 8 ივლისის ნომერში დაიბეჭდა შეცდომის გასწორება, სადაც მოსე ჯანაშვილი აღნიშ-ნავს:«ქართლის»” პირველ ფურცელში მოგვრჩა შენიშვნა ოქონის ხატის შესახებ, რომ იგი დღეს გორის ოქონის საყდარში აღარ არის.

55. სახელოვან ქართველ სწავლულსა და თავის დიდ დამრიგებელს მ.ჯანაშვილმა მოგვიანებით სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა და იგი ჟურნალ «განათლებას»” 1916 წლის რამდენიმე ნომერში დაბეჭდა. მან საინტერესო მოხსენება წაიკითხა აგრეთვე დიმიტრი ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე. დასანანია, რომ ვერ მოხერხდა კრებულში აღნიშნული მასალების შეტანა.

56. თბილისელთა საყოველთაო განწყობილებას მშვენივრად გამოხატავს ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის, 9 წლის რუსუდანის 1893 წლის 25 აპრილს ლამაზი ქართული ასოებით შედგენილი ჩანაწერი:,,დღეს მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. განჯიდან გადმოასვენეს დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი”. (ღირსშესანიშნავი ამბებისათვის განკუთვნილი თორმეტ ფურცლიანი რვეული ორმოც წელზე მეტი ხნის უკან, რუსუდან ნიკოლაძის ოჯახში სტუმრობისას თავად მასპინძელმა გამაცნო, ბევრ სხვა საინტერესო მოგონებებთან ერთად).

57. ქართული კულტურის მკვლევართათვის იმთავითვე სამაგიდო წიგნებად ქცეულ თედო ჟორდანიას ,,ქრონიკების” ორ ტომის შემდეგ, 1967 წელს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ გამოსცეს «ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე)», რომელსაც ერთვის მაღალნიჭიერად შედგენილი გამოკვლევა და სათანადო მეცნიერული აპარატურა.

58. გაზეთ ,,ივერიის” 1904 წლის 1 დეკემბრის (N 275) ნომერში რუბრიკით ,,ახალი ამბავი” ნათქვამია, რომ რედაქციამ მიიღო რუსულ ენაზე გამოცემული ბატონიშვილის ვახუშტის ,,საქართველოს გეოგრაფია”, თარგმნილი ქართულიდან ბ-ნ მოსე ჯანაშვილის მიერ. წიგნი გამოცემულია რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიერ, დართული აქვს წიგნს მთარგმნელის მიერ ,,შესავალი”, რომელშიაც აღწერილია ,,ვახუშტი და მისი შრომა”, საქართველოს მეფეთა სია ვახუშტის ქრონოლოგიით და ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიის ეთნოგრაფიული ნაწილის დამატება; მთელი შესავალი შეიცავს 49 გვერდს. წიგნს ალაგ-ალაგ დართული აქვს აგრეთვე მთარგმნელის შენიშვნები, დაბეჭდილია ფაქიზად, კარგა მოზრდილია და ღირს ერთ მანეთად.



ფოტოსურათი გადაღებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავზე.
სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: დოც: გიორგი საღარაძე, პროფ. გრიგოლ ნათაძე, პროფ. მიხეილ პოლიექტოვი, პროფ. აკაკი შანიძე, მოსე ჯანაშვილი, პროფ. ივანე ჯავახიშვილი, პროფ. იოველ ქუთათელაძე, პროფ. ალექსანდრე ჯავახიშვილი, პროფ. დიმიტრი უზნაძე, პროფ. ალესანდრე წერეთელი, პროფ. მიხეილ შალამბერიძე, პროფ. მექი ბექაია;
დგანან: პროფ.მ. კუკავაძე, ა. ზაიცევი, ალ. თვალჭრელიძე, ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, გ. თოფურია, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი, ს. ხუნდაძე, გ. ხაჭაპურიძე, ი. აბულაძე, კ. ბაქრაძე, ალ. ბარამიძე, ელ. ქიქოძე, ნ. ციციშვილი, დოც. მიხ. კონიაშვილი, ყიფშიძე და სხვა.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ერთად; (მეორე რიგში მარცხნიდან პირველი ზის მოსე ჯანაშვილი; მეოთხე – თედო ჟორდანია;)



მოსე ჯანაშვილი საზოგადო მოღვაწეებთან

საძიებლები: საკუთარი სახელები-

ა

აბაზა 514,515,
აბაშიძე ვასო 306,
აბაშიძე კიტა 385,
აბაშიძე ტასო 306,
აბაშიძე ჰაიდარ-ბეი 105,228,
აბაშიძენი 155,
აბო ტფილელი 17,
აბულ კასიმი მურვანი 174,
აბუსერიძე ტბელი 106,
აბუსეიდი 266,
ადარნასე (634-663) 54,
ადარნასე (881-923) 124,177,
ადრიანე 53,
ავალიშვილი 220,
ავალიშვილი გიორგი 141,
აზო (მეფე) 95,
ათაბაგი ბექა 196, 197, 198,
ათაბაგი მანუჩარ 208,
ათაბაგი საბა 196,197,200,
ათაბაგი ყვარყვარე 208,500,
ათაბეგოვი ფიზულა ბეგი 197,
აიეტი (კოლხ. მეფე) 52,58,59,495,
ალადაშვილი დავით 372,
ალ-აინი 87,88,
ალექსანდრე ეპისკოპოსი 306,357,358,391,
ალექსანდრე მაკედონელი 61,124,320,498,
ალექსანდრე მეფე (1442 წ.) 179,
ალექსანდრე I (რუს. იმპ.) 92,497,
ალექსი-მესხიშვილი 306,
ალექსიძე დავით 427,
ალხაზიშვილი ი. 99,
ამატაკიანნი 220,
ამილახვარი (ზევდგინიძე) 101,
ამილახვარი ლიპარიტ 532,
ამილახვარი სალომე 103,
ამილახვრები 197,
ამირანაშვილი შალვა 13,16,401,

ამირეჯიბი ტ. 250,
ამირიძე დავით 350,
ანდრია მოციქული 208,
ანდრონიკაშვილები 179,
ანდრონიკი (ბიზ. იმპ.) 179,
ანელი 347,
ანტიოქიის პატრიარქი ესტატე 181,
ანტონი (ეპისკ.) 472,519,
ანტონ მარტყოფელი 121,,
ანტონ I 67,180,349,391,
ანტონ II 262-270,
ანტონ ტბელი 106,
ანჩელი 347,
ანძაველნი 220,
არაბიძე ალექსანდრე 549,552,553,
არაგვისპირელები 396,
არაგვისპირელი შიო 397,533,
არარატიანი 115,
არაქელა 467
არაყიშვილი დიმიტრი 306,
არდაზიანი ლავრენტი 396,
არისტარქე 263,
არისტოტელე 116,125,372,
არსენ დიდი კათალიკოსი 519,
არსენ იყალთოელი 166,519,
არსენ ნინოწმინდელი 181,
არტაქსერქსე 159,
არქიეპისკოპოსი იონა 268,
არქიმანდრიტი გაბრიელი 270,
არქიმანდრიტი ნაზარიოსი (ლეჟავა) 357,
არქიმანდრიტი პიროსი 357,
არქიმანდრიტი ტრიფილე 141,
არჩილ მეფე (+718) 74,142,219,259,332,
არჩილ II 82,97,142,167,183,467,533,558,
ასათიანი გიორგი 476,547,
ასათიანი მიხეილ 373,
ასან მაჰმადი 263,
ასლამაზოვი მ. 240,
ასოლიკი (მწერალი) 54,
ასპანისძენი 429,
ასურ ნასირ აბალი (885-860 ქრ. წ.) 283,
აღამაჰმად-ხანი 103, 148,
აღნიაშვილი ლადო 303,306,
აღსართანი 167,173,176,
აშოტ ერისთავთ ერისთავი 124, 228,423,
აშოტ კუხი 105,227,

აშოტ მეფე 218,
ახალციხელი შალვა 519,
ახვლედიანი გიორგი 29,538,

ბ

ბაგრატიდები 178,
ბაგრატიონ-დავითიშვილები 298, 299,
ბაგრატიონ-დავითიშვილი დ.ა. 298,
ბაგრატიონ-დავითიშვილი ელიზბარ 298,
ბაგრატიონ-დავითიშვილი ხოხონა 298,
ბაგრატიონები 68,101,102,178,204,300,468,
ბაგრატ არტანუჯელი 181,
ბაგრატ III (980-1008) 75,106,114,309,310,330-344,348,423,498,519,523,524,527,
ბაგრატ IV 217,300,310,449,
ბაგრატ V 441,
ბაევი გ. 14,
ბათმანიშვილი შიო 464,
ბაირონი 102,
ბაკუნინი ნიკოლოზ 11,272,
ბაკურიუსი (IV ს.) 125,
ბაკურიძე 79,
ბალმფორთი კ.ე. 448,
ბალღადარისშვილნი 121,
ბანძაძე 14,
ბარათაშვილები 102,347,
ბარათაშვილი (დეკანოზი) 164,
ბარათაშვილი ზაალ 141,
ბარათაშვილი მელიტონ 155,
ბარათაშვილი (ბარათაევი) მიხეილ 54,84,448,
ბარათაშვილი ნიკოლოზ 11,108,223,274,290-
296,305,307,308,371,384,396,510,511,519,527,533,
ბარათაშვილი სულხან 156,408,
ბარამიძე ალექსანდრე 13,15,16,545,
ბარნოვი ვასილ (ბარნიაშვილი,ბარნაველი) (1856-1934) 7,373,395-398,520,
ბარტოლომეი 71,
ბასილი იმპ. 178, 180,206,
ბატონიშვილი დავით გიორგის ძე და მისი ძმები 556,
ბატონიშვილი თეიმურაზ 292,
ბატონიშვილი ლევან 519,
ბაქარ მეფე 82,
ბაქრაძე დიმიტრი 10,42,43,69,70,71,81,88,141,159,160,270-
274,302,303,358,396,419,423,448,
469,493,
ბაქრაძე იოსებ 7, 417,476,

ბაღაშვილი კოტე 551,
ბაჩალიაშვილი 256,
ბახმეტევი 144,
ბებუთოვი 214,
ბეგიაშვილი ელენე 360,
ბეგიჩევი კონსტანტინე 551,
ბელინსკი ბესარიონ 11,
ბენაშვილი ან. 18,
ბენედიქტე ვიტინელი 106,
ბენედიქტ IX 43,
ბერაი 123, 181,224,
ბერენშტამი 551,
ბერეჟიანი 124,
ბერიკაშვილი ივანე 13,
ბერიძე ასან 209,
ბერიძე გიორგი 13,
ბერიძე ვუკოლ 286,
ბერჟე ა. 69,
ბერტბახერი გოტფრიდ 16,
ბერძენიშვილი ნიკო 13,
ბესოშვილი ა. 247,
ბექა-აღბუღა 41, 122
ბეხტერი ა. (ასტრ.) 82,
ბლეიკი რობერტ 16,
ბლიუდოვი ნ. 5,
ბოდბელი იოანე 141,
ბოკლი 372,
ბოლნელი იოანე 17,519,
ბოტკე ოტო 17,
ბოგუსლავსკი 247,
ბოცვაძე ლუარსაბ 13,
ბოცოსძენი 220,347,
ბრივნი ნიკიფორე 173,387,
ბროსე მარი 84,199,200,202,203,303,396,448,467,493,
ბუდა 260,
ბულასვარ 170,
ბულმაისიბისძე არსენი 519,
ბულუღაშვილი ივან ბაბა 398,558,
ბულღადარისშვილნი 220,
ბუტკოვი 278,280,347,

გ

გაბაშვილი 295,
გაბაშვილი ბესიკ 519,
გაბიჩვაძე 6,

გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) 12,108,302,358,372,392,520,
გაბუნია ნატო 306,
გაკსგაუზენი 179,
გალაჯევი მართუზალი (გიორგი ვაჩნაძე) 70, 247,
გალაჯევი ა. 131,
გამხარაშვილის ბედირ 3
გამხარაშვილი მარიამ 3
განი კ. 51,53,
განჯელი ნიზამი 559,
გარსევანიშვილები 217,
გარსიევი დ. 552,553,
გეგეჭორი ევგენი 385,
გედევანიშვილები 96,
გელოვანი 300,
გეფესტი 58,
გვარამაძე ივანე 213,
გველესიანი ალ. 254,
გიორგაძე გ 465,520,
გიორგი ბრწყინვალე 76,259,519,524,528,
გიორგი კახთა მმართველი 85,
გიორგი ლაშა 263,
გიორგი მეფე 75,144,179,
გიორგი მთაწმინდელი 27,41,67,123,125,224,309,344,397,400,519,
გიორგი I 32,166, 310,498,
გიორგი X 159,
გიორგი II 32,41,166, 311,498,
გიორგი III 498,531,
გიორგი XI 295,
გიორგი XII 180,468,498,
გიორგი მერჩულე 397,519,
გიორგი რუსი 172,
გიულდენშტედტი 209,
გლოლისძე არჯევან 107,
გლუბოკოვსკი (პროფ. 380,
გოგებაშვილი იაკობ 6,302,345,358,373,384,477,520,
გოგიბაშვილნი 220,
გოგიჩაიშვილი ფილიპე 18,
გოდუნოვი ბორის 146,
გოეთე 197,
გომართელი ივანე 393,394,395
გონსეტი (გონცეტ) 102,
გორგაძე სერგო 13,
გორგიჯანიძე ფარსადან 552,
გორტინსკი 9, 10, 11,
გოტიე 30,
გოშაძე ხვარამზე 186,

გრაფი პასკევიჩი 104,
გრენი ა. 11, 514,
გრიგოლ ნოსელი 17,
გრიგოლ ხანძთელი 309,350,390,459,519,
გრიგოლია კონსტანტინე 15,
გრიგოლიევი სოლომონ 5,361,
გრიგოლისძენი ასამ და შოთა 167,
გრიქუროვი ზაქარია 551,
გროპიუსი 8, 9,
გრუზინსკი გიორგი 268,270,
გრუზინსკი ივანე 434,
გუგუნავანი 155,
გუდოვიჩი (გენერ.) 279,
გულიაევი 141,
გუნია ვალერიან 306,
გურამ ბაგრატიონი (მამფალი) 75,
გურამ კურაპალატი 182,
გურამიშვილი დავით 11,91,93,108,109,177,223,307,371,510,519,527,533,
გურგენ კურატპალატი 75,227,310,333.334,
გურგენ მამფალი 105,218,
გურგენიძე ვახტანგ 542,
გურიელი 300,
გურიელი მამია 358,
გურიელი ქაიხოსრო 348,

დ

დადიანები 160,
დადიანი 160,530,531,
დადიანი ნიკოლოზ 268,
დადიანი ნიკო 358,422,
დადიანი ცოტნე 519,,
დადილი (კოლხ. მეფე) 51,
დავით აღმაშენებელი (1089-1125) 54,74,75,76,110,112,118,217,259,308-
330,348,441,468,498,519,
524,527,530,
დავით ეპისკოპოსი 124, 180,
დავით კურატპალატი (980-1008) 54,75,308,309,310,333,334,335,336,337,341,422,470,498,
დავით ლაშას ძე 180,
დავით V 498,
დავით სოსლანი 110,
დავით ტბელისძე 106,
დავითაშვილები 197,
დავითაშვილი იოსებ 370,396,

დავითიშვილი (დავიდოვი) 159,
დანიელ წინასწარმეტყველი 215,
დანტე 390,
დარეჯან დედოფალი 140, 149,
დარვინი ჩარლზ 372,508,
დარიოსი (514-510) 52,60,
დაულინგი 468,
დაჩი 186,
დედაბრიშვილი (არაგვისპირელი) შიო 13,
დედოფალი კატრონიკ 170,
დეკანოზი ლებედევი 144,
დელავალე 467,
დელაპორტი 488,,
დემეტრე ერისთავი (კახეთ-კუხეთში) 61,
დემოსთენე (450-413) 59,
დვალი სვიმონ 519,
დიასამიძე 220,346,347,
დიასამიძე გრიგოლ 346,
დიასამიძე დავით 185,
დიასამიძე ევდემონ კათალიკოსი 118,185,
დიდებულიძე ალექსანდრე 13,
დიდი ბასილი 121, დიდი ათანასე 121
დიდი ხორეშანა 20,
დიმიტრი თავდადებული 180,
დინარ დედოფალი 139,180,259,
დიოკლეტიანე 236,
დიონ კასსი 53,
დიუბუა დე მონპერე 341,
დობროლიუბოვი ნიკოლოზ 11,372,
დომენტი კათალიკოსი 434,
დონდუკოვ-კორსაკოვი ი. 132,
დოროთეოსი (ანტიოქ. პატრ.) 122,222,
დოსითეოსი (ფიცხელაური) 47, 142
დრეპერი 63,78,
დუკისძენი 220,
დუმბაძე (შემოქმედელი) იაკობ 348,349,350,351,352

ე

ეგეოსი (ათინის მეფე) 124,
ეგზაეხოსი ევსევი 209,
ეგზარხოსი ვლადიმირი 391,
ეგზარხოსი იონა 268,
ეგზარხოსი ნიკონი 375,
ეგზარხოსი პავლე 361,
ევდემონ კათალიკოზი (ევდემონ დიასამიძე) 217,

ევმელ ერასტოსთენი 60,
ეზრა ანჩელი 107,309,
ეკატერინე II 140, 148, 239,
ელენე დედოფალი 217,
ელი სპარტიანი 53,
ელიაშვილი ივანე 13, 123,231,
ელიოზ ებრაელი 249,
ელიოზიშვილი სოლომონ 474,475,
ეპიფანე კვიპრელი 17,
ერასტოსტენი ევმელ 33,
ერეკლე II 3,80,110,114,115,126,167,168,180,190,192,209,260,274-282,305,356,359,468,488,498,519,553,
ერეკლე I 103, 159,185,530,
ერისთავები 160,347,370,396,
ზვიადი,ერისთავთ ერისთავი 183,
ერისთავი გიორგი 302,
ერისთავი დავით 303,
ერისთავი თორნიკე 125,333,
ერისთავი კახაბერ 193,
ერისთავი ნუგზარ 248,
ერისთავი რაფიელ 303,358,384,397,427,
ერისთავი როსტომ 362-365,
ერკერტი ფონ გოტფრიდ 14,
ერმაკოვი 81,
ერქომაიშვილი გერასიმე 13,
ესაძე სპირიდონ 18, 19,
ეფრემ მცირე 224,400,
ექვთიმე მთაწმინდელი 40,69,74,125,224,309,397,400,519,
ეღიშე 118,

ვალაშკერტელი ზაქარია 519,
ვალენტინი (არქიმანდრიტი) 6,
ვანდერლენდე 66,
ვარაზ ბაკური (3721-393) 111,192,
ვართაგავა იპოლიტე 520,
ვარლაამ მიტროპოლიტი, I ეგზარხოსი 140, 250,
ვასილი (ბერძ. იმპ.) 57,
ვასსამ ტიბარენელი 51,
ვაჩნაძე გ. 131,
ვაჟა-ფშაველა (რაზიკაშვილი ლუკა) 93,303,365-372,396,397,527,533,
ვაჩნაძეები 70,
ვახახიშვილი 141,145,260,

ვახტანგ გორგასალი
54,110,111,112,113,152,153,179,180,186,187,188,191,297,308,331,441,498,
ვახტანგ V 190,442,
ვახტანგ VI 76,82,115,253,468,495,519,528,530,
ვახუშტი ბატონიშვილი
16,81,82,88,97,103,150,156,182,186,187,198,199,215,217,219,441,467,488,495,
505,506,528,529,530,549,555,556,
ვებერი 39,
ვეისი (გერმ.) 32,57,
ვეფხვაძე მიხეილ 13,
ვოლტერი 102,
ვრადიი ვ.პ. 17,
ვჟიშევსკი 6

ზ

ზეიდლიცი ნ. 14,
“ზილოტი სვიმონ 249,
ზურაბიშვილი ავლიპი 13, 288

თ

თავართქილაძე 547,549,550,552,555,
თავართქილაძეები ძმები 294,
თათქარიძეები 193,
თათქარიძე ლუარსაბ 304,
თათქირიძე 220,247,
თაიროვები 124,
თამარაშვილი მიხეილ 124,
თამარ მეფე
66,110,125,132,146,150,151,172,196,217,259,330,331,348,439,440,441,455,468,498,511,
519,524,527,529,530,552,554,559,
თარგამოსიანთ ქართლოსი 32,
თარხნიშვილები 147,
თარხნიშვილი გიორგი 551,
თარხნიშვილი ივანე 94,
თაყაიშვილი ექვთიმე 303,374,471,
თეგლატფალასარი (თიგლათფილესერი) 19,
თევდორე ბრმა, აფხაზ. მეფე 178,
თევდორე მღვდელი 247,
თეიმურაზ I 118,259,
თეიმურაზ II 64,160,498,519,558,
თეიმურაზ მეფე 85, 119,
თემურ ლენგი 179, 499,
თეოფილაქტე 266,267,

თესლისმეტყველაშვილი 459,
თვალდამწვრიშვილიები 19,
თვალჭრელიძე პარმენ 13,
თიგლათფალასარი 51,
თინათინ დედოფალი 162,163,
თორნიკე ერისთავი 67,178,181,184,519,
თოფურია ვარლამ 13, 401,
თულაშვილები 300,
თულაშვილი ვახტანგ 300,
თუმანიშვილი 101,103,
თუმანიშვილი კოწია 247,
თუმანიშვილი პავლე 557,
თუხარელნი 220,

ი

იაკობ ხუცესი 519,
იაშვილები 142,
იეზეკიელი 24
იერუსალიმსკი 9,
ივანიცკი მარიამ 193,
ილარიონ თუალელი 183,
ილარიონ კახელი 250,
ილურიძე მიხეილ 372,373,
იმედაშვილი 549,550,552,553,
ინასარიძე ტრიფონ 465,
ინგილოები (დიმ.ჯანაშვილი, მ.ჯანაშვილი) 396,
იოანე ბოლნელი 554,
იოანე ზედაზნელი 182,
იოანე თუალელი 344,
იოანე მარუშიძე 308,331,334,335,348,
იოანე მიტროპოლიტი (მაყაშვილი) 250,
იოანე მთაწმინდელი 74,309,
იოანე მტბევარი 106,342,427,519,548,552,
იოანე ნათლისმცემელი 199,
იოანე პეტრიწი 224,351,510,533,
იოანე ტატანელი 449,
იოანე ქონქოლისძე 224,
იოანე შავთელი 44,350,519,559,
იოსებ ტფილელი 351,
იოსებაძე 7,
იოსები (გერმ. იმპ.) 148,
იოსელიანი გიორგი 5, 6, 373,
იოსელიანი ეგნატე 11,
იოსელიანი ეგნატე ო-ძე 434,

იოსელიანი პლატონ 143,174,194,,272,303,396,418,448,467,
ირაკლი III (კახეთის მეფე) 144,
ისკანდერ მუნში 159,
იულიუს ტარენტელი 158,
იუჟინ-სუმბათაშვილი 555,
იუსტინიანე (529 წ.) 207,
იშხნელი 121,347,

კ

კავკასიძეები 220,347,
კაკაბაძე სარგის 19,
კალანდარაშვილი 12,361,
კალანდაძე არსენ 546,550,552,553,
კალანდაძე გერონტი 549,549,550,
კალატოზოვი 353,354,
კალლიმახი (260-230 წ. ქრ. წ.) 537,
კალისტრატე, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი (ცინცაძე) 209,
კამაზოღლი 192,
კანდელაკი შაქრო 552,
კანტი იმანუელ 372
კარაბაშევი ა. 8,8,,
კარბელაშვილები 306,
კარბელაშვილი ვასილ (მღვდ.) 434,435,
კარბელაშვილი პოლიევქტორ 346,347,
კარგარეთელი ია 306,
კარელი 347,
კარიაგინი 141,
კარიჭაშვილი 7,
კარლოს დიდი 78,
კატრონიკი (სომხ.დედოფ.) 318,
კაღანთკატვაწი 118,
კაწახიძე-კაჭახიძე 459,
კეზელი დავით 7,
კეკელიძე კორნელი 10,15,18,19,391,468,471,538,543,546,
კელენჯერიძე ელენე 289,
კელენჯერიძე მელიტონ 520,
კერესელიძე 247,
კერესელიძე არ. 558,
კერსკი 9,391,405,
კესარიის სევასტოსი 174,
კვანჭახიძე 372,
კვირიკე 88, 167,180,311,
კვიცარიძე პოლიევქტ 7,
კიპერტი 118,

კირილე და მეთოდე 202,
კირიონ II (საძაგლიშვილი გიორგი) 7,255,307,373,374-383,392,463,520,559,
კირიონ (სიმონ) კათალიკოსი 191,
კიროსი 52,
კლარკი 285,
კლდიაშვილები 396,
კლდიაშვილი დავით 211,
კლიმენტოს, პაპი 249,
კნორინგი (გენერ.) 141,
კობერიძე მიხეილ 13,
კოვალენკო 141,
კოზლოვსკი კ.პ. 551,556,
კოლბი 79,
კოლცოვი ალექსეი (1809-1842, რუსი პოეტი) 11,
კომნენი 66,
კომონიანოსი ანა 173
კონდაკოვი ნ. 72,448,
კონიბიერი 246,
კონსტანტინე იმპ. 83, 181,352,
კონსტანტინე მუხრანბატონი 141,
კონსტანტინე ძოწითმოსილი 388,
კონტი 219,
კონჭოშვილი (კონჩუევი) პეტრე 4, 6,
კონჭოშვილი მართა 4,283,284,
კოპაძე 112,
კოპასძენი 220,
კორინთელი 179,
კოროლევსკი 8,
კრილოვი ივანე 11,
კტიტორონი 37,
კუვშინსკი 9, 11,402,403,
კუმურდოელი 347,,
კურატპალატი (დიდი) 28,
კურდანაი 519,

ლ

ლაზარევი (გენ.-მაიორი) 355,356,
ლაზისტანის მეფეები(457-555 წ.წ.):გუბაძე ღობაზიონი,
ზამნაქსი, ჭათიას, ოფსიტის, გუბაძე, ჭათიას 121,
ლამბერტი არქანჯელო 272,
ლანგლუა 499,
ლასურისძე სუმბატ 196,
ლასურისძე 220,347,
ლასურიძე მ.გ. 294

ლასურიძე მსახურთუხუცესი 107,
ლაურენსი 508,
ლევანიძე 249,
ლემანი კარლ 14,
ლეისტი კარლ 17,
ლენორმანი 51,52,57,65,535,
ლეონ კახთა მეფე 162,163,167,
ლეონიძე გიორგი 13,
ლერმონტოვი იური 8,11,158,
ლეონ, აფხაზ. ერისთავი 178,
ლეონ იმპ. 111,218,
ლეონიდე (ოქროპირიძე) კათალიკოსი 199,209,277,209,307,391-393,520,
ლვოვი 277,279,
ლიაძე იოსებ 7,
ლინიძი ლეონიძეები 179,
ლიონიძე 101,
ლიონიძე სოლომონ 305,
ლიტრე 422,
ლომოური თამარ 401,
ლომოური ნიკო 7,303,372,373,
ლონგისძენი 220,
ლორთქიფანიძე ანტონ 12,
ლორთქიფანიძე იასონ 13,
ლორთქიფანიძე კირილე 301,345,
ლოსაბერიძე ს. 558,
ლუარსაბ მეფე 180,442,443,
ლუდოვიკო XIV 68,126,
ლუთერი 260,

მ

მათე (სომს. მწერ.) 170,175,
მათიკაშვილი 552,
მამა კანდელაკი 81,
მანგლელი 43,
მანსვეტაშვილი იაკობ 7,
მანგუ ყაენი 263,
მარი ნიკო 23,25,43,303,401,448,450,
მარიამ დედოფალი (ციციშვილი) 352,353,,354,355,356,
მარკოვი 37,
მარსიასი (კოლხი ფილოსოფოსი), 25,
მარუშიძეები 348,
მარღანიები 179,
მაქსიმე აღმსარებელი 250,

მაყაშვილი იოანე 470,
მაჩაბელი ივანე 10,248,302,378,
მაჩაბლები 147, 160, 347,
მაჩხანელი (ნადირაძე) დიმიტრი) 552,
მაწყვერელი 220, 347,
მახარა (მითრიდატ დიდის შვილი) 65,
მაჭარაშვილი ნესტორ (მღვდ.) 547,549,552,
მაჭუტაძე მაქსიმე 348,
მაჰმადი 260,მაჰმუდი 266,
მგალობლიშვილი სოფრომ 7,303,
მგელაძე ანა 13
მელლერი პ. 6,
მელიქ-ჯანაშვილი 192,
მელიქიშვილები 358,
მელიქიშვილი დ.ზ. 100,
მელიქიშვილი ეკატერინე 6,
მელიქიშვილი ლევან 293,
მელიქიშვილი მელიქ 38.
მელიქიშვილი პეტრე 18, 94,400,
მენთეშაშვილი ეგნატე 240,
მერკულოვი 361,362,
მერცბახერი გოტფრიდ 245,
მეუნარგია იონა 7,373,
მესხი სერგეი 6,10,303,396,
მესხიშვილი ვლადიმერ 555,
მეფე თეოდორე 146,
მეფე მირი 332,
მეფე რუსუდანი 498,
მთავარეპისკოპოსი იუსტე 141,
მთვარელიშვილი ნიკოლოზ 169,
მითრიდატ დიდი 59,121,124,224,
მითრიდატი (ივერთ მეფე) 52,174,
მიმნერმი (630-600) 52,
მინჩხი იოანე 519,
მირდატ მეხუთე 101,179,
მირზოევი ვ. 173,
მირიან მეფე 178,179,181,185,
მირიანაშვილი მიხეილ 13,
მირიანაშვილი პეტრე 13,
მიქელ მოდრეკილი 224,227,
მიქელაძეები 160
მიხელსონი ა.ა. 547,,
მოლოდინაშვილი ალ. (მღვდ.) 547,549,
მონასტრიშვილი 220,
მორი თომას 11,
მორიერი 102,

მორფილი ვ. 17, 541,
მოსე 260,
მოსე მწერალი 224,
მოსეშვილი იასონ 400,
მოშჩანსკი ა. 375,
მრევლიშვილი (დეკანოზი) 182,
მროვლელი 222,
მტბევარი 347,
მუხაძე გრიგოლ 13,
მუხრან-ბატონი ივანე 303,
მცხეთოსი 93,
მხატვრები ბექაი, ასატი, აშოტი 277,
მჭედლიძე ესტატე 7,

ნ

ნაბუქოდონოსორი 328,
ნადარეიშვილი გერასიმე 121,
ნადირ შახი 167,216,
ნანეიშვილი ალექსანდრე 464,
ნაპოლეონ ბონაპარტე 115,490,491,
ნარეკლიშვილი 7,
ნატროშვილი ანტონ 7,373,471,520,
ნეკრესელი აბიბოს 201,
ნერსესიანი ნერსე 177,
ნესტორის მატიანე 202,
ნიბური 39,
ნიკიფორე ბრიენისა და ანა კომონიასოსის შვილი ალექსი 326
ნიკოლაიშვილი იასონ 13,
ნიკოლაძე ევსევი 471,520,
ნიკოლაძე ნიკო 9,19,303,345,346,373,384,396,
ნიკოლოზ მღვდელი 12,
ნიკოლოზ I (რუს. იმპ.) 177,
ნიკოლსკი მ. 535,
ნინოშვილი (ინგოროყვა) ეგნატე 303,396,527,533,
ნიუტონი 260,
ნოდარისშვილები 357,

ო

ოთარაშვილი ა. 360,
ოლთან სულთანი 266,
ოლიდასშვილი 220,
ომანიშვილი ქაიხოსრო 19,

ორბელიანები 147, 155, 160,
ორბელიანი გრიგოლ 290,292,293,303,447,519,533,
ორბელიანი დიმიტრი 102,
ორბელიანი ეფემია 155,
ორბელიანი ვახტანგ 303,,533,
ორბელიანი ზაქარია 155,
ორბელიანი იოანე 318,
ორბელიანი ლიპარიტ 125,311,
ორბელიანი მაიკო 155,
ორბელიანი პაპუნა 500,
ორბელიანი რატი 336,
ორბელიანი სულხან-საბა. 83,85,126,400,434,534,
ორბელიანი ჯამბაკურ 110,
ორეზი 156,
ოქროპირიძეები 391,
ოქროპირიძე ირودიონ 392,,393,
ოძელაშვილი არსენა 396,

პ

პავლინოვი 105,
პაისი 47,
პალმიერი ავრელიო 17,პაპი ინოკენტი 207,
პარკაძე 549,552,553,
პაპიაშვილი 256,
პასპელოვი 7,
პატარაიები 279,
პატარაშვილი დ. 520,
პატკანოვი ქეროპე 508,539,
პასკევიჩი (გრაფი) 192,
პაშკევიჩი 9,
პაჭიკაშვილი მ. 398,
პეეტერსი 14,
პეტრიაშვილი ვასილ 94,
პეტრიაშვილი მინა 12,
პეტრიწონელი მამები 519
პინდარი 52,
პიროსი (ოქროპირიძე) 392,
პისარევი დიმიტრი 11,372,
პლატონი 63, 116,351,
პლატონი, პლატონისებური სიყვარული (წაწლობა) 50,125,
პლინი (პლინიუსი) 58,60,175,
პლუტარქე 60,
პობედონოსცევი 391,
პოკროვსკი ნ. 73,
პომპეი (პომპეუსი) 59,60,177,

პოსპელოვი 9,
პოტიომკინი 148,
პროკლეს დიადოხოსი 351,
პტოლემე (პტოლემეოსი) კ. 17,33,61,175,324,
პუშკინი ალექსანდრე 11,

ჟ

ჟორდანია თევდორე 7,12,106,303,372-374,380,506,520,
ჟორდანია ნოე 114,520,
ჟორდანიები 396,
ჟურული დურმიშხან 358,
ჟღენტი სერგი 21,

რ

რაზმაძე ანდრია 94,
რამზეს II-ს 1270 წ. 536,
რები იოსებ 17,
რევი (მეფე) 64,
რიტერი (გეოგრ.) 59,70,
რობაქიძე გრიგოლ
როდოსელი აპოლ. 58,59,64,65,70,
როზენი ვიქტორ 424,
როინაშვილი ალექსანდრე 197,214,287,288,
რომანოვი მიხეილ 250,
რომანოზ ლაკაპერი იმპ. (920-944) 63,120,
როსტომ მეფე (1634-1658) 189,216,528,
როსტომაშვილი ივანე 7,11,169,
როტიერი 353,355,
რუდოლფი 211,
რტიშჩევი (გენერ.) 142,
რუსთაველი შოთა 90,93,106,110,116,126,166,224,307,330,331,349,366,371,372,386-390,400,
406,408,510,511, 516,519,527,552,555,556,559,
რუსთველი სტეფანე 141,
რუსო 102,
რუსუდან დედოფალი (1711 წ.) 215,216,
რუსუდან მეფე
რუფინი 36,
რუხაძე ვარლამ 385,
რჩეულიანი 220,
რჩეულაშვილი ბესო 479,

ს

სააკაძე გიორგი 465,466,467,558,
საბა მტბევარი (ეპისკოპოსი) 106,107,309,
საბინინი მიხეილ 17, 450,
სადი ბეგი 266,
სავთაკი (კოლხ. მეფე) 32,58,
საისი 535,
საკნელაშვილი 137,
სალიკაშვილი 220,
სალმანასარი (860-825) 283
სალომე უჯარმელი 152,
სამადალაშვილი 7,
სამებელი იოსებ 199,
სამძივარი 185,22ო,
სანებლიძე ი. 277,
სარგის სამცხის სპასალარი 197,,198,529,
საურმაგი 152,
საფონოვი 192,
სახოკია თედო 542,
სევგელმენი 169,
სევეროვი პ. 8,
სეიდ მულკარი 271,
სემიდალაშვილი-სამადალაშვილი 459,
სენატორი საფონოვი 104,
სენკოვსკი ოსიპ 11,
სერაპიონ ზარზმელი 224,351,471,519,
სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) ილია 301,
სვიმონ მესვეტე 121,
სვიმონ მეფე (1558-1601) 180,216,217,
სიდამონი 179,
სიდონია 519,
სინაისკი 9,
სისმონდი 102,
სკლიაროსი ბარდოს 55,69,125,333,
სკორობიაშჩენსკი 144,
სლესარი 220,
სოზიგენი (ასტრ.) 82,
სოკოლოვი 7,
სოკოლოვი ივანე 16,17,202,379,
სოკრატე 372,
სოლომონ ბრძენი 173, 240,
სოლომონ მეორე 147, 150,193,
სოროკინი 355,356,
სპასალარნი 220,
სპენსერი 371,372,

სტალი 102,
სტაროსელსკი (გენერ., გურამიშვილების სიძე) 476,477,
სტეფანე ეპისკოპოსი 106,227,424,519,
სტრაბონი 58,64,70,121,124,175,224,
სტრელკოვი ს. 8,
სულხანიშვილი 6,
სულხანიშვილი ვასილ 12,547,
სუმბათაშვილი-იუჟინი ალ. 94,
სუმბატ (მეფე, 923-958) 81,

ტ

ტარისჭისძე ივანე 173,
ტარტარაშვილები 247,
ტატანელი (ურბნისის სახარების გადამწერი) 459,
ტატიშვილი 244,
ტატიშვილი გ. 551,
ტატიშვილი დ. 548,
ტეილორი 48,
ტიბარენელი ვასსამ 36,
ტოლსტოი ალექსეი 275,
ტოლსტოი, გრაფი 404,
ტოროშელიძე მალაქია 13,
ტოტლებენი 277,
ტურიაშვილი თომა 6,7,373,
ტურნედორფი 441,
ტურჩანიკოვი ოლგა 143,

უ

უგრელიძე ქრისტეფორე 12,373,
უგუზოვი (უგუზაშვილი) ალექსანდრე 298,398,399,558,559,
უვაროვა პრასკოვია 16, 535,
უვაროვი გრიგოლ 70,
უზბასევი 131,
უზნაძე 220,
უზნაძე დიმიტრი 18,
უთურგაული 372,
უმიკაშვილი პეტრე 13,
უორდროპი მარჯორი 17,
უორდროპი ოლივერ 17, 463,468,
ურბნელი 43,
ურბნელი (ხიზანაშვილი) ნ. 76,
უსლარი კ. 87,88,
უსტიაშვილი (მღვდ.) 552,

ფ

ფადლონი, ემირი 180,
ფავორსკი თ. 6,9,373,
ფალავანდი 179,
ფალავანდიშვილები 197,
ფალავანდიშვილი ელიაზარ 141,
ფანასკერტა 220,
ფარნაოზ მეფე 32, 108,208,
ფარნაჯომი 97,
ფარსმანი (ივერთა მეფე) 53,174,
ფერგისონი 39,
ფერის ჯოჯიკი 183,
ფირდოუსი 240,
ფირცხალავა სამსონ (სიტყვა)
ფიხტე ფრიდრიხ 372,
ფრიდრიხ დიდი 180,
ფრიმანი 79,
ფროდიანი 220,
ფურცელაძე ანტონ 303,
ფურცელაძე დიმიტრი 4, 283,
ფურცელაძე ისაია 229,

ქ

ქავთარ ტბელი 106,
ქალამტარი ალექსანდრე 274
ქამქამიძე 220,
ქართველიშვილი გიორგი 248,476,
ქართველიშვილი თამარ 288, 289,546,
ქართლოსი 174,175,
ქერიმხანი 147,
ქეშხუთანი გიორგი მურთუზას ძე 137,
ქვარიანი სიმონ 247,
ქირქიშ სურამელი 532, .
ქლამინდი 37,
ქორიძე ფილიმონ 306,
ქოჩაკიძე (ჭალადიდელი) გიორგი 284-287
ქრისტეფორე კასტანელი (კასტელი) 216,
ქსენოფონტე 32,35,58,59,64,
ქუთათელაძე ა. 556,
ქუთათელი 43,
ქურდიანი გრიგოლ 13,
ქურდიანი სოლომონ 13,

ღ

ღამბაშიძე 7,
ღამბაშიძე დავით 11,307,358,378,547,
ღობერნი 220,
თოთობერიძეები 345,
ღოღობერიძე ბესარიონ 302,
ღოღობერიძე ნიკო 301, 467,
ღოღობერიძე სიმონ 467,
ღუბაზიონი (მეფე) 112,219,

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე (მოჩხუბარიძე) 93,282,303,390.527,533,
ყაზბეგი გიორგი 105,423,
ყარაბაშევი ა. 7,
ყარალაშვილები 86,
ყაუხჩიშვილი სიმონ 16,
ყაფლანიშვილი ქეთევან 140,
ყვარყვარე ათაბაგი 266,
ყიფიანები 142,
ყიფიანი დიმიტრი 302,345,357,377,
ყიფშიძე გრიგოლ 380,
ყიფშიძე იოსებ 18,
ყობადი (სპარს. მეფე) 152,153,
ყუბანეიშვილი ნესტორ 7,
ყულოშვილი მიხეილ 4, 242,
ყურულაშვილი გ. 553,

შ

შავთელი იოანე 82,85,110,224,
შალვა ახალციხელი 198,
შალიკაშვილი სიმონ 5, 143,
შამილი 76,143,
შანზი 156,
შანიძე აკაკი 10, 16, 18, 538,
შანშიაშვილი სანდრო 13, 464,
შარაგანიძე ათრაქა 320,330,
შარაგანიძე გურანდუხტ 178,183,320,333,334,336,343,
შარაშიძე ქრისტინე 13,
შარაძე მაქსიმე 548,549,550,551552,553,554,
შარდან კოლხელი 284, 285,
შარდენი 192,441,

შარვაშიძე 101,
შარვაშიძე დოთაღო 170, 171,
შახ-აბაზი I 141,145,159,181,259,359,442,443,
შაჰ-თამაზი 160,
შახ ნაოზი (ვახტანგ V) 190,
შაჰ უსუნ-ასანი 160,
შეიხ-ულ-ისლამ ფიშნამაზ-ზადე 255,256,
შელკოვნიკოვი 7,239,
შერიფ ედ-დინი 499,
შექსპირი უილიამ 390,
შვეიგერ ლენხერფელდი 508,
შილლერი 197,
შიო მღვიმელი 121,214,
შიშნიაშვილი 7,
შიუკაშვილი შიო 7,372,
შლოსერი 39,
შმიდტი ო.ი. 546,551,
შულცი 283,
შუხართი ჰუგო 14,

ჩ

ჩარდინი (მოგზ.) 508,
ჩარკვიანი გრიგოლ 555,
ჩახრუხაძე 519,533,
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ 10,372,
ჩილაევი 142,ჩინგისხანები 248,
ჩიქობავა არნოლდ (ბენედიქტე) 13, 401,
ჩიხატოვი 124,
ჩ-შვილი (ჩოლოყაშვილი) გიორგი 89, 100, 160,
ჩოლოყაშვილი აბელ 141,
ჩუბინაშვილი გიორგი 16,
ჩუბინაშვილი დავით 84,171,263,303,448,499,534,
ჩხეიძე ეფემია 555,
ჩხეიძე კარლო, 124,385,
ჩხეიძე სეხნია 400,
ჩხენკელი აკაკი 385,

ც

ცაგარელი ალექსანდრე 11, 17, 21, 23, 37, 40, 67,71,94,303,419,448,493,495,520,
ცაგარელი აქვსენტი 303,
ცამციშვილი (ცამციევი) რომან 7,
ცახელი პ. 93,
ცეზარი იულიუს 59,83,

ცვეტკოვები 199,
ცინცაძე იასე 13,
ცინცაძე კალისტრატე (შემდგომ საქართველოს პატრიარქი) 391,
ციციანოვი პავლე 353,354,
ციციშვილები 339,347,
ციციშცილი დავით 160,
ციციშცილი რამაზ 160.
ციციშვილი ესტატე 268,
ციცქიშვილი ქრისტეფორე 124,
ცხვედაძე (=მცხეთაძე) ნიკო 5,6, 303,373,457,520,
ცვეტკოვი 8,373,

ძ

ძაგანი და მისი ძე მოდისტოსი 321,322,

წ

წერეთელი 101,
წერეთელი აკაკი 6,10,108,223,301,345,346,361,372,378,396,397,510,511,527,533,
წერეთელი გიორგი 303,384,397,549,
წერეთელი გრიგოლ 16, 400,538,
წერეთელი ირაკლი 384,385,
წერეთელი ნესტორ 549,550,
წერეთლები 160,300,
წილკნელი გერვასი 141,
წინამძღვრიშვილი ილია 304,453,476,478,
წინამძღვრიშვილი მიხეილ 13,
წმ. აბო 191,
წმ. ანტონი 152,
წმ. გიორგი 59,211,215,
წმ. ეკატერინე 326,
წმ. ზენონი 166,
წმ. მთავარანგელოზი მიქელი 102,
წმ. გიორგი 110,137,199,216,
წმ. მარინე 199,
წმ. მოწამე გიორგი 114,115,315,
წმ. მირიანი 236,
წმ. მოწამე რაჟდენი 27
წმ. ნინო 121,152,175,178,182,183,216,224,259,386-390,408,497,511,
წმ. ნისიმე 250,
წმ. პეტრე 207,
წმ. საბა 197,
წმ, ქეთევანი 149,468,

წმ. შიო 164,165,322,
წმ. შუშანიკი 20,85,191,419,
წულუკიძეები 142,193,

ჭ

ჭავჭავაძე 101,412,
ჭავჭავაძე ალექსანდრე 290,391,
ჭავჭავაძე გარსევან 262,263,
ჭავჭავაძე ილია 10,15,108,223,300-308,345, 357,372,377,378,396,397,453,464,468,476
477,478,510,511,527,533,541,
ჭავჭავაძე (გურამიშვილისა) ოლღა 13,
ჭარაია პეტრე 14,
ჭიჭინაძე ალექსი 380,
ჭიჭინაძე ზაქარია 86,550,552,553,
ჭიჭინაძე სირა 555,
ჭონქაძე დანიელ 161,396,
ჭყონდიდელი გიორგი 167,
ჭყონდიდელი გიორგი 311,320,
ჭყონდიდელი სვიმონ 318,320,
ჭყონდიდელი სტეფანე 224,

ხ

ხარაძე კობა 549,550,
ხატისოვი ა. 214,
ხაჩატუროვი 380,
ხახანაშვილი ალექსანდრე 17,23,25,43,303,448,
ხახულარნი 220,
ხახუტაშვილი დიმიტრი (კეთილმოწესე) 194,197,202,209,
ხეთერელი ილია 549,550,
ხელაია ამბროსი (კათალიკოსი ამბროსი) 7,
ხელაშვილი იოანე 161,
ხელაძე ექვთიმე 547,
ხელიძე გ. 8,380,
ხერხეულიძე ომან 277,
ხლამოვი 8,
ხონელი მოსე 93,100,390,400,519,533,
ხორგაიები 279,
ხორენელი მოსე 53,
ხოსროანთა მეფობა 32
ხორენელი მოსე 30, 36
ხრამელაშვილი ეგნატე 13,
ხრაპოვიცკი 144,

ხურსიძე 220,
ხუციშვილები 253,
ხუციშვილი ივანე 252,

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 16, 17, 18, 19, 161,212,247,260,263,274,283,285,288,290,303400,493, 494,495,496,499,516,534,538,544,548,
ჯაკობია გ. 401,
ჯალალედინი 260,
ჯანაშვილები 358,359,
ჯანაშვილი გაბრიელ 552,
ჯანაშვილი გიორგი (მოსეს მამა) 3.
ჯანაშვილი გიორგი (მოსეს ვაჟი) 10,
ჯანაშვილი დავით 10,
ჯანაშვილი დიმიტრი 5,6,7,10,15,40,358-362,373,417,
ჯანაშვილი ზილფი 359,
ჯანაშვილი იოსებ 360,
ჯანაშვილი მათე 359,
ჯანაშვილი ((ივანიცკისა) მარიამ 360,
ჯანაშვილი (ინაშვილისა) ნანა 10,
ჯანაშვილი სოლომონ 3,
ჯანაშვილი შარმაზან 359,
ჯანაშია სიმონ 13, 401,
ჯანდიერი (თავ.) 118,
ჯანდიერი ილია 13,
ჯარაევი 7,
ჯაფარიძე ჯაფარ 193,
ჯაფარიძეები 142,
ჯაყელები 160,
ჯაყელი იოსებ 199,
ჯიქია ს. 401,
ჯორჯაძეები 357,
ჯორჯაძე არჩილ 357,
ჯორჯაძე ბარბარე 370,
ჯორჯაძე ნიკოლოზ 356,357,
ჯორჯიკ ვაშათიელი 357,
ჯუანშერი (718-786) 29,

ჰ

ჰანიბალი 348,349, 467,
ჰაჯი მურთუზა 4.
ჰეინე 371,
ჰელმოლცი 537,

ჰეროდოტე (480-428) 52,58,60,123,536,
ჰერკულესი 59,
ჰიბბონი 47,102,
ჰიუგო ვიქტორ 372,
ჰომეროსი 52,

გეოგრაფიული სახელები-

ა

აბაზინები 19,
აბანოს ღელე 78,
აბასთუმანი 133,
აბოცის მთები 109,117,120.332,
აბულეთი 170,
ადიენუს 120,
ადრიატიკის ზღვა 284,
ავლაბარი 81, 102, 222,
ავსტრია 68, 274, 126,
ავღანეთი 271,
ავჭალა 111,173,
აზერბაიჯანი (ადირბეჟანი) 119,260,279,
აზია 31,97,280,
ათაღარის ტყე
ათინა 121,281,305,
ათინა-ათენა 120,122,
ათონი 88,125,309,325,341,344,449,451,452,
ათონის მთა 36, 47, 71,
ქ. აია 61
აისორი 139,
აკადი 284, 285,
ალავერდი 66,165,166,
ალაზანი 60,111,117,137,148,156,157,158,159,165,258,
ალაზნის ველი 165,167,
ალამი 315,
ალბანია (ალვანია) 50,52,57,58,60,61,64,156,
ალგეთის ხეობა 80, 173,
ალევი 66,
ალექსანდერდორფი (გერმ. სოფ.) 172,
ალექსანდრია 61,82,
ალთურქანი 146,147,

ალიაბათი 246,
ალიბეგლო 149,240,244,251,358,362,
ალონი (ალაზნის შესართ.) 315,
მდ. ამამ-ჩაი 148,
ამერეთი 111,302,310,345,
ამერიკა 224,
ანაგა 99,
ანაკერტი 220,
ანაკლია 222,
ანანური 66,
ანატოლია 160,
ანდარაზენი 266,
ქ. ანისი 54,317,318,319,
ანტიოქია 67,95,222,
ანჩა 165,222,225,309,
ანჩისხატის უბანი 155,
ანძიაძორი 111,
არაბეთი 17,45,70,83,95,309,332,333,341,
არაგვისპირი 296,307,348,
არაგვის ხეობა 20,60,156,157,182,184,218,275,280,
არალისი 198,
არარატი 432,
არაქსი (რახსი) 120,169,218,313,
არგვეთა 166,176,179,332,336,
არდამის კედელი 23,
არეზის მდინარე 51,52,117,119,
არზრუმი (თეოდოსიოპოლისი) 218,278,
არკაზანი 66,
არმაზი 18,153,175,176,177,
არმაზის გორა (ქართლოსის გორა) 174,
არმაზიკა 61,
არსიანის მთსა 111,219,
არტაანი (არდაგანი) 218,
არტანუჯი 66,105,113,218,220,309,333,
არქაბის 120,122,
ასპარუს 120,
ასპინძა 19, 276,
ასურეთი 45,51,325,
ატენი 336,
აფიშხო 122,
აფხაზეთი
15,64,109,111,112,113,119,275,308,310,314,318,332,333,334,335,336,338,340,341,342,344,
348,
აღბულაღჩაი 148,
აღდაში 134,
აღმოსავლეთი საქართველო 58,

აწყური 66,106,220,222,
აწყურის წყალი 65
აჭარა 254,297,309,344,349,435,
ახალდაბა 232,
ახალსოფელი (კლდის წყარო) 152,
ახალუბანი 222,
ახალქალაქი 120,
ახალციხე 197,198,220,277,278,357,
ახტალა (სოფ.) 312,
ახტი 136,

ბ

ბაბილონი 186,
ბაზალეთი 272,
ბაზარი 136,
ბათა ანუ ბათო 61,
ბათუმი 66, 247, 283, 291, 292,
ბაიაზეთი 276,
ბაიბურთის მთა 118,
ბაკურიანი 123,
ბაკურციხე 99, 100,
ბანა 165,226,309,
ბარავენი (სოფ.) 41,
ბარდავი (გონჯი) 312,313,315,
ბასიანი 112,218,317,333,
ბაქო 16,287,313,
სოფ. ბაქტრიანი 158,
ბაღდადი 116,
ბედია 66,318,321,333,340,344,408,
ბეთანია 80,
ბეთლემი 102,
ბელაქანი 131,132,141,142,143,260,
ბელგია 14, 224,
ბელგოროდი 356,
ბელმონტი 246,
ბერდუჯი (დებედა) 109,119,
ბერთი 105,
ბერლინი 14,15,276,
ბერნი 247,
ბიეთი 200,
ბივსიტის ციხე 170,
ბიზანტია 56,70,72,73,74,77,78,79,95,125,
ბინა (კახიდან 7 ვერსზე) 3.118,
ბიწმენდი 192,

ბიჭკონტია 314,
ბიჭვინთა 275,
ბობნევი 198,
ბოდბე 66,362,
ბოლნისი 66,
ბორბალო 157,158,
ბორჩალო 15,119,120.280,358,
ბორჯომი 123, 133,198,231,232,
ბოსფორი (ყირიმი) 121,
ბოტორას ციხე 314,
ბოცოთხევი 221,
ბოჭორმა 338,
ბრესტ-ლიტოვი 126,
ბუიათყური 317,
ბულეფი (ბულები-ბალები) 122,
ბულონის ტაძარი 37,
ბურეთის მთა 215,

გ

გაგჩევანი 221,
განუხი (საინგილო) 118,313,
განჯა (განძა) 276,277,292,294,338,
გარდაბანი 333,
გარე კახეთი 129,130,156,157,
გარეჯი 69,356,
გარყრილობის ციხე 107,
გარშაურა 121,
გაღმა მხარი 111,
გაჩიანი 312,
გეგუთი 112,317,
გელათი (გაენათი) 64,66,73,267,318,323,449,
გენუა 179,
გეორგიევსკი 347,
გერმანია 16,67,68,79,126,278,
გიში 150,313,
გლდანი 120,
გომბორი 154,155,156,165,166,
გონიო 51,220,
გორი (ტონთიო=ოქროს გორა) 16,17,18,64,84,120,169,173,177, 214,
215,216,231,280,312,358,
გორისჯვარი (ახალი ჯვრის) 173,215,216,
გრემი 323,356,357,
გუდარეხი 66,
გუდაყვა 340,

გულუკი (ვარდოვანი) 99,
გულაბყალა 235,
გულისტანი 317,
გურია 14,61,109,111,160,218,220,275,332,348,
გურჯ-ბოღაზი (ქართველთა ყელი) 219,220,

დ

დავით-გარეჯი 66, დაკედემონია 122,
დამასკო 315,
დანდალო 221,
დარიალის ხეობა 60.277,320,356,
დარუბანდი 119,314,318,319,
დასავლეთ საქართველო 13,
დაღესტანი (დიდოეთი, ლეკეთი)
5,111,126,137,144,150,159,177,277,278,287,300,307,332,356,359,
დახატულა 220,
დბანა 222,
დებედა (მდ.) 117,119,314,
დედოფლისწყარო 360,
დელი 276,
დიასამიძის სახლი 121,
დიდგორი 315,
დიდგუბის მთა 4
დიდი ლილო 151,152,
დიდი ლიახვი 229,
დიდუბე 171,172,
დიოსკურია 24, 34, 35,61,
დიღომი 171,172,362,
დიხაზურგა 16,
დმანისი 317,
დოლისყანა 81,105,226,
დრილები 65,
დუდრევანი 122,
დუშეთი 120,

ე

ეგვიპტე 45,57,82,352,
ეგრისი 61,177, 272,332,
ეგრის-ხევი 138,
ეგრისის წყალი 108,111,112,
მდ. ეგრიჩაი 148,158,
ევლახი 134,
ევროპა 8,45,57,75,79,84,119,123,125,278,319,320,341,

ევფრატი 117,
ეზლი 146,
ეკატერინოდარი 136,
ეკლესია-ტაძრები 36, 38, 41, 44,
ეკლეცი 111,
ელისენი 145,159,251,260,
ენისელი 356,357,
ეპირი 284,
ერევანი 16, 275,276,
ერუშეთი 218,
ერწო-თიანეთი 156,312,
ესპანეთი 207, 224,
ეჩმიაძინი 449,

ვ

ვალაშკერტი 221,
ვალე 116,198,
ვაკე 263, 278,
ვანი 278,
ვანის ტბა 24,
ვანდერლენდე ემილ 123,
ვარდოვანი 101, 251,
ვარდციხე 193,
ვართაშენი 201,314,362,
ვარძია 59, 164,
ვაქირი 99,
ვენა 14, 276, 449,
ვენეცია 72,
ვერა 283,
ვერის წყალი 109,
ვერისა (გორის მაზრა) 45,
ვეჯინი 201,
ვიტებსკი 199,
ვრანის ციხე 83,

ზ

ზამა 121, ზანავი 116,
ზანავი 214,
ზარზმა 66,197,198,199,
ზარიშტიანი 221,
ზარნა 136,
ზაქათალა 4,5,6,7,12,13,14,118,143,144,145,156,239,243,250,252,254,361,
ზედაზენი 66, 182,

“ზემელი” 288,
ზემო ქართლი 187,211,218,
ზემო ხოდაშენი 166,168,
სოფ. ზერნა 101,
ზიგანა 121,
ზიგზიდი 109, 134,
ზუგდიდი 16,169,,

თ

თაბორი 102, 222,
თავია 121,
თავისუფლების სვეტი 58,
თავკვერი 332,
თავრიზი 276,
თალა 127,
თასმალო 137,
თბილისი
3,63,72,88,103,109,114,120,151,152,153,161,167,171,172,173,174,179,182,187,216,234,240,
252,253,254,264,265,266,268,275,277,278,279,280,281,283,287,290,292,294,301,305,308,312,
315,316,324,328,332,354,359,360,361,362,413,443,449,
თეირანი 276,
თელავი (თელაიბა? ვარდისუბანი) 61,144,151,154,156,159,166,167,168,169,266,438,
თემისკარა-თემისცირა 121,
თეღვა 326,327,
თემმის ხეობა 443,
თიანეთი (თიანა) 61,338,356,
თმოგვი 339,
თორთმანი 333,
თორთომი 218,
თრიალეთი 61,172,173,174,214,215,290,311,312,315,317,332,336,
თსოთის ტყე 95,
თუბალი 51,
მდ. თურდო 156,162,164,
თურქეთი 70, 138, 146, 165, 166,175,176,273,
თუშეთი 111,120,156,,332,
თუხარისის ციხე 111,
თხუხი ,

ი

იალბუზი 345

იალონის მთები (უჯარმის მთები) 182,
იერუსალიმი 66,68,81,88,167,188,201,319,341,351,
ივერია 52,57,61,64,70,109,117,118,121,124,174,275,280,281,344,
ივრის ხეობა (ივრის ქვაბები) 69,312,
იკორთა 66,
ილიოპოლი (ქალ.) 44,
ილისო 137,141,144,146,147,148,149,150,
ილორი 236,
ილტო (უთო) 165,
იმერეთი
61,111,113,116,120,121,160,161,217,266,267,275,280,287,302,310,314,317,318,333,336,340,3
45,
348,361,433
ინგლისი 14, 68, 224, 229, 449,
ინგუშეთი 143,
ინგური 117,
ინდოეთი 45,60,61,84,276,341,
იორი 120,148,154,157,158,159,
იპპურია 222,
ირლანდია 72,
ირტოზის გორა 177,
ისანი 316,
ისპაჰანი 233,272,
ისპირი 218,220,
ისტრია 284,
იტალია 72,123,179,
იშხანი 226,
იყალთო 66,165,166,323,

კ

კაბენი 66,
კავკავი 287,
კავკასია 51,54,57,58,95,157,187,266,276,340,
კავკასიონი 4,11,52,111,117,119,142,143,147,157,158,165,176,214,260,301,319,340,
კალა 102,
კალიპოსი 275,
კალოუბანი 291,
კამბიზენი (ქიზიყი) 32,
კანარი 222,
კაპადოკია 298,
კარალეთი (ნაჭარმაგევი) 119, 167,168,176,217,312,329,
კარახ-პოლი (=კარნი-ქალაქი,ერზერუმი) 111,
კარბი 479,
კარდანახი 201,
კარი 278,

კარსანი 176,
კარუშეთი 179,
კარწახის ტბა 113,
კასპიის ზღვა 51,60,85,156,319,449,
კასრის საყდარი 73,
კატეხი 136,
კატუბი 127,
კაუა 246
კაღზევანი 221,
კაცხი 51,
კახახი 284,
კახეთი
51,108,109,111,113,116,120,129,130,141,144,145,151,156,159,160,166,167,169,170,192,201,2
57,258,265,266,
275,278,280,287,308,311,312,313,318,323,330,332,333,334,337,338,344,348,349,
კახეთის ზღვა 20,
კახ-ყარაღაღი 101,
კახი (კაკი) 3, 5,6,11,13,118,120,137,141,144,145,159,248,253,260,268,283,358,361,362,
კაჭრეთი 99
კახისთავი (სოფ.) 137,
კვერნაქი 214,215,
კვიპროსი 173, 249, 284,325,
კვირიკეს ციხე 88,
კიევი 246, 249,
კირენე 246,
კლარჯეთი 109,111,119,120,126,217,218,223,225,309,332,339,349,
კლდეკარი 166,168,179,311,336,
კლისურა 111,112,
მდ.კობალა 359.
კოდა 316,
კოდმანი 177,178,
კოშკა-ჩაის (ყანუ-ყობი) 139,
კოლა 218, 219,221,317,
კოლხიდა (კოლხეთი) 50,51,57,58,65,70,121,122,124,285,341,348,
კოლხინიუმი, ქალ. 284,
კონსტანტინეპოლი 55,69,78,80,111,112,225,335,337,344,
კორიდეთი 16,
კორტანეთი 232,
კოტიორა 121,
კოტმანი 332,
კოჯორი (აზეულა) 233,
კრეტა-მიკენი 19, 284,
კრწანისი 274,296,
კუკია 353,
კუმისი 124,
კუმურდო 121, 275,

კუხეთი 156,312,332,333,
კუხი 66,

ლ

ლაგოდეხი (ლაგოედი) 142,
ლაზისტანი (ლაზიკა) 50,53,122,218,
ლათინები 284,
ლამისყანა 177,307,
ლეგმაშეთი 109,
ლეკეთი 68, 69, 73, 129, 134, 13, 160, 164,
ლექეთი 133,135,136,
ლეღვისხევი 102, 222,
ლეჩხუმი 13,
ლეხურის ხეობა 201,
ლიახვი 214,
ლიბია(აფრიკაში) 284, 285,
ლიგანი 218,
ლიკოვო 143,
ლილო 111,
ლიხაური 66,
ლიხის მთა 108,120, 214,310,
ლიხ-ლადოს მთები 123,
ლომბარდია 179,
ლომისი 66,
ლონდონი 14, 449,
ლოპოტას ხევი 165,
ლორე 175,191,192, 235,274,314,328,358,
ლორეს ციხე 169,
ლორწომის მთები 176,
ლოსიანთ ხევი 267,
ლოჭინი 111,

მ

მაგარი 192,
მათეი-ყალა (მათეს ციხე) 359,
მაზაკა 121,
მაკაბელის ციხე (ბელაქანი) 76,
მაკედონია 95,121,
მაკრონები 37, 65,
სოფ. მალაღი 137,
მანგლისის ხევი 177,179, 275,315,332,336,
მარაღი 276,
მარტვილი 66,
მარტყოფი 111,120,152,356,

მაღალასსა 121,
მაღრისი 179,
მაყაყი 276,
მაშავერა 312,
მაშნაარი 100, 136,
მაციუმი 61,
მაწეხი 127, 136,
მაჭის წყალი 134,
მერეთი 229,
მესხეთი 18, 59, 60, 111,120,122,125,160,217,219,220,223,224,275,347,348,349,
მესხეთის მთები 52,219,
მეტეხი 187, 189,
მეჯვრისხევი 14,
მეჯუდა (მდ.) 214,
მთაწმინდა 292,296,
მთიულეთი 15,116,287,332,
მიდია 29, 67,
მისირელები 97, 98,
მიჯნაძორი 75,76,
მოზინეკნი (მოსინიკები) 29, 65,
მონბლანი 415,
მონღოლეთი 31, 95,126,131,
მოჟანის წყარო 317,
მორთული 120,
მოსკოვი 12,95,105,264,275,449,
მოსხი 36, 37,
მოქვი 66,
მოღრისი 106,
მოწამეთა 66,
მოხურბულაღი 148,
მცირე აზია 284,
მცხეთა 17,
18,61,66,69,95,118,153,171,173,174,176,177,178,179,180,181,183,184,185,186,214,217,218,220,
222,229,231,263,318,333,338,340,356,408,413,414,
მტკვარი
52,59,60,61,109,117,118,119,153,156,157,172,173,177,182,183,184,186,192,214,215,218,275,296,
314,
მუხახ-ჩაი (ღელე) 144,
მუხახი 141,144,
მუხრანი 328,
მუხროვანი 154,155,
მუხური 193, 226,
მყინვარწვერი 415,432,
მცირე აზიის მთები 173,

მშვიდაურის მთა 310,
მჭადისჯვარი 66,

ნ

ნაგალის ხევი 121,
ნადიკვარი 168,
ნაოხარი 198,
ნარიყალა 192,
ნარუმაკანი 221,
ნაქერალა 193,
ნაქურდალა 198,
ნაქულბაქევი 174,175,176,
ნახიჩევანი 293,
ნახური 192,
ნეკრესი 66,
ნიგალისხევი 220,
ნიკეა 246,
ნიკორწმინდის ტაძარი 51,
ნილოსი 45, 284,
ნინევია 186,
ნინოწმინდა 222,
ნიჟგოროდი 268,270,
ნიქოზი 66,
ნორვეგია 229,
ნოქალაქევი 66,
ნუხი (გიშელი) 118,119,120,150,156,201,250,251,287,313,314,362,

ო

ოდიში 109,
ოზურგეთი 292,
ოლთისი 218,221,317,
ოპიზა 75,76,105,220,309,408,
ოპიზი 225,
ორდუ 121,
ორთაჭალა 156,
ორხევი 120,,
ორჯოხის მთა 220,,
ოსეთი 15,266,288,319,320,
ოსმალეთი 95,122,126,277,278,
ოქონა (სოფ.) 217,
ოძრხე 109,

პ

პალესტინა 47,66,67,69,88,188,307,325,341,
პანკისის ღელე 165,356,
პართია 95,
პარიზი 68,147,341,449,,
პარხალი 105,117,219,226, 309,
პატარა ლიახვი 228,229,
პატარა ლილო 152,
პატარძეული 292,
პენზა 270,
პეტერბურგი (პეტროგრადი) 264,265,266,276,300,301,415,449,
პეტრიჩი 275,
პოლოცკი 199,
პომპეუსის ხიდი მცხეთაში 177,185,
პონტო 84,111,122,124,
პონტოს მთები 117,219,

ჟ

ჟალეთი 66,
ჟიათი 314,
ჟინვანი 156,

რ

რანი (სამეფო) 1191,308,313,338,357,
რაჭა 13,63,109,111,275,348,362,363,364,365,
რიზე 65, 66, 120,122,219,
რიზე აწყურის წყალზე 120
რიონი 52,59,61,108,117,
რკონი 263,
რომი 52,59,60,77,78,79,121,123,124,125,177,346,
რუისი 66,321,
რუისპირი 166,,
რუმინეთი 246,269,
რუსეთი
8,11,72,73,96,98,104,114,115,126,167,263,264,265,268,275,276,277,278,279,288,307,349,353,
356,
რუსთავი (ყარაია) 313,,
რუშნი 222,

ს

საათაბაგო 85, 139, 187,223,260,
საბარათიანო 174,
საბარათიანო 290,
საბერძნეთი
16,45,52,57,74,83,112,117,118,121,219,224,300,309,310,323,325,330,333,338,341,
საბუე 191,
საგარეჯო 14,111,156,333,
საგუდის მთა 183,
საგურამო 63,120,156,
საფარა 109,
საინგილო
3,4,6,12,13,14,15,111,118,119,120,122,136,141,142,158,159,236,238,239,241,245,246,252,254,
257,258,259,260,275,283,348,358,361,
საკვირეთი 336,
სამეგრელო 16,60, 111,112,275,348,
სამთავისი 208,
სამთავრო 66,
სამთვარიოს (სამთერიოს) მთა 155, 156,161,
სამურზაყანო 61,111,
სამშვილდე 66,109,312,
სამცხე 109,111,198,208,218.223,260,288,349,
სამწყალი 121,
სარდინია 38,
სართიჭალა 99,
სარკინეთის მთა (ახლა სხალტბის ქედი) 176,177, 183,
სარუბაში 150,
საუდო 10, 14,64, 118,
საფარა 66,197,199,200,
საფრანგეთი 156,328,
საციციანო 174,
საყუნეთი 200,201,208,210,
საწკეპელო (სათოვლო მთა) 174,
სახალინი 219,
სებასტოპოლისი 222,
სევასტოპოლი 246,
სევსამორა (წიწამური) 61,
სელჩუკები 125,
სემი 185,
სენაკი 16,
სერბია 72,
სვანეთი 50,63,109,111,160,254,275,348,
სვეტი 105,108,220,
სვეტიცხოვლის ეკლესია 74,
სიგნი 61,
სინას მთა 67,71,325,326,
სიონი 122,341,

სირია 39, 284,
სიღნაღი 185,250,252,258,266,
სიცილია 207,
სკვითები 17, 66,
სკვირეთი 166,168,311,
სმადა 199,200,201,208,214,
სოლოლაკის გორა 97, 124,
სომხეთი 56,67,69,72,95,119,309,318,327,328,333,341,
სომხითი 173,250,317,
სოსკანი 358,359,
სოფა 122,
სოფია 95,187
სოღანლუღი 279,
სოშხი 226,
სპარსეთი 17,45,58,71,90,95,126,130,152,160,279,303,309,312,315,316,319,328,342,442,
სპერმანდოს (ჭოროხ-შავზღვამდის) 317,
სტამბოლი 276,
სტეფანწმინდა 24, 183,
სტორის ხევი 156,165,166,
სტრასბურგი 233,
სულეთი 122,
სურამი 60,61,109,214,231,275,280,
სხალთა 215,
სხალთის ქედი 93,

ტ

ტაბახმელა 124,
ტალაშო 221,
ქ. ტანისი (ავარისი) 284, 285,
ტაოსკარი 113,218,220,221,308,312,313,333,344,
ტაშისკარი 109,
ტაძრისი 227,351,
ტბეთი 105,106,107,226,309,408,
ტვარწატაფა 183,
ტიბეტი 285
ქ.ტირი 24,
ტიბაანი 100,
ტიბარენნი 37, 65,
ტიგროსი 117,
ტრაპიზონის მთა 121,
ტრაპიზუნტი (ტრაპიზონი) 51,111,117,118,119,120,125,218,220,319,
ტრიპოლის 121,
ტულა 222,
ტყვაჩი 222,

უ

უბისა 233,
უდე 198,
უკრაინა 263,269,
ულუმბო 66,
ურბნისი 16,17,222,244,250,251,321,
ურიასტანი 160,
ურუმი 276,
უფლისციხე 69,164,214,334,336,
უქემერიონის ანუ ოხამერიონის მთები 226,
უჯარმა (უჯარიმო) 19, 152,153,154,182,
უძირო ტბა 89,

ფ

ფაზი (მდ.) 61,64,
ფანასკერტი 218,221,339,344,
ფანცაური 359,
ფარავანი (ფანავარი,ტობორავანი) 109.217,312,
ფარნაკია 121,
ფარსისტანი 246,
ფერსათის მთები 219,
ფინეთი 228,
ფინიკია 51,57,
ფიფინეთი (თალა) 141,144,145,
ფლორენცია 249,
ფოთი 13,161,
ფორჩხა 218,
ფოცხოვის ხეობა 108,198,199,211,
ფსიტის ციხე 162,
ფშავ-ხევსურეთი 120,156,158,254,353,
ფშავ-ხევსურეთ-თუშეთი 15,63,161,
ფშავ-ხევსურეთ-კარეკი (=ხერკი) 111,
ფცის ხეობა 166,

ქ

ქალდია 283, 284, 285,
ქართლი
24,32,60,113,116,120,129,130,160,161,170,174,175,189,192,215,216,221,231,265,266,272,278,
280,288,

309,310,312,313,317,318,332,333,334,335,336,337,341,348,349,359,
ქართლოსის გორა 92,
ქვაბლიანის ხეობა 198,211,
ქვემო ქართლი 92,111,173,
ქვათახევი 219,
ქვიშხეთი 210,231,232,
ქიზიყი (კამბიზენი) 57,111,120,153,280,333,356,359,
ქისტაური 427,
ქისტეთი 143,
ქიში 109,
ქოთუქლო 358,
ქომადერი 79,
ქუმურდო 66,
მდ. ქსანი 176,275,333,348,
ქუთაისი
12,13,14,61,64,70,72,84,103,134,167,169,229,238,267,286,306,333,335,340,341,361,412,438,
ქურდევანი 314,
ქურდისხევი 332,
ქურიდალი 148,
მდ. ქურმუხი 137,146,147,148,254,
ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია 132. 135,

ღ

ღადოს მთა 108,
ღალისი (ღელისი) 218,219,
ღანუხი 314,
ღლივი 179,

ყ

ყაზბეგი (სტეფანწმინდა) 415,
ყაბალი 314,
ყაბარდო 263,
ყალამორი 167,313,
ყანდაარი 269,
ყანყობი 120,
ყარაის მინდორი 81, 167,
ყარასავი 245,
ყარაგაჯის ციხე 185,
ყარსი 117,119,
ყარსის მთები 64,173,
ყვარელი 356,

ყვიბისი 220,232,
ყვირილა 291,292,
ყივჩაღეთი ,319,320,328,330,
ყიზილბაშები 98,
ყორაღანი 127, 137, 151,193,360,
ყრელი 222,
ყრუს ხევი 168,
ყუმი 128,129,131,141,359,

შ

შავი ზღვა 51,60,85,108,111,117,120,217,218,319,
შავი კლდე 79,
შავშეთი 105,107,220,333,435,
შაკიხი 134,
შამახია 316,
ქ.შანქარი 338,
შარვანი 169, 170,173,176,313,314,316,317,318,328,330,
შატბერდი 17,57,105,342,435,
შაქი 192,
შემოქმედი 66,
შექი (ნუხა) 109,
შელონის ტაძარი (რომი) 67,
შვეიცარია 224, 229,247,
შვეცია 229,
შიდა კახეთი 83, 84, 86,111,157,162,
შიდა ქართლი 109,208,217,
შილდა 356,
შიომღვიმე 176,321,322,
შიპკა 221,
შირავოინი 221,
შირაზი 442,443,
შირაქის ველი 137,
შირვანი 192,
შიშტალა 314,
შორაპანი 58,59,108,143,
შორობა 121,
შუამდინარე 284,
შუამთა 162,
შუმერე, შუა+მერე, მერე= სარწყავი მიწა 284,
შურის ციხე 185,192,
შუშა 148

ჩ

ჩალაუბანი 99, 100,

ჩერქეზეთი 19, 101,
ჩეჩნეთი 19,
ჩინეთი
ჩინური კედელი 40,42,161,
ჩრდილოეთი აფრიკა 246,
ჩრდლოეთ კავკასია 269,292,
ჩუღურეთი 278,
ჩხერიმელა (მდ.) 143,

ც

ცაგერი 222, 279,
ცაიში 222,
ცერაზუს 121,
ციმბირი 199
ცივ-გომბორი 37 111,156,157,
ცივ წყარო 74,
ციხისჯვარი 59,198,
ცხინვალ-დვალეთი 235,
ცხომი 109,

ძ

ძამა 284,
ძერნა 312,

წ

წალენჯიხა (ჭელენჯიხა) 66,
წალკა 222,წაღვერი 266,
წაღვლისთავი ანუ წაღვლი 166,170 173,310,319,
წახური 136,
წერეთლის ტახტი 76,
წეფთის ციხე 107,
წვიმოეთი (საციციანო) 84,
წინარეხი 13,
წინამძღვრიანთკარი 229,304,
წინწყარო 222,
წირი 109,
წირქვალის ციხე 334,
წლევის კვერნაქის მთები 176,
წორგათი 103,
წუნდა 109,
წურწყმი 222,
წუქეთი 133,134,177,191,332,356,

წყაროსთავი 113,

ჭ

ჭანდარა საყდარი 74
ჭანეთი (ლაზისტანი) 14,58,111,119,120,218,219,223,348,349,
ჭარ-ბელაქანი 135, 136, 138, 139,147,260,
ჭარი (წილუბანი თათრ.) 141,143,145,359,
ჭელეში 222,
ჭერემი 153,154,
ჭიათურა 306,
ჭიაური 1356,
ჭოპორტი 63,
ჭოროხი 14,109,117,118,120,218,219,319
ჭოროხის ხეობა 120,215,
ჭოროხის ხეობა 65,
ჭულევის ხეობა 199,
ჭყონდიდი 222,

ხ

ხაბალა 61,
ხაზარეთი 112,
ხალდები 65,
ხალხალი ანუ ყაბალი (ნუხის მაზრა) 118,
ხანძთა 220,225,309,
ხარგვირაბი 276,
ხარჭაშნი 222,
ხაშური 231,
ხახული 66,218,344,
ხეთა 19, 175,
ხეთა-ეგვიპტე 285,
ხეთები 284, 285,
ხელთუბანი 13,
ხერთვისი 220,277
ხერკი 156,332,
ხერსონესი 292,
ხვედურეთი 210,
ხიდისთავი 215,
ხირსა 66,
ხიტი, იგივე ქიტი 284,
ხიტისარი 284,
ხმელთაშუა ზღვა 57,
ქალიბნი (ხალიბები) 29, 65,
ხობი 222,

ხონი 222,
ხოპი 276,
ხორასანი
ხორზმა 226,
ხორტევანი 221,
ხრამ-დებედას ხეობა 80,
ხუნანი 109,
ხუნძახი 134,177,332,
ხუფათი (ხოფა) 112,218,219,

ჯ

ჯავახეთი 111,113,218,220,317,332,349,
ჯავახეთის მთა 173,
ჯაყვა 222,
ჯაყისმანის ციხე 199,200,
ჯვარის მონასტერი 96, 123,177, 208,
ჯიქეთი 59, 340,
ჯუმათი 222,

ჰ

ჰარიზის ხეობა 221,
ჰერეთი 108,109,156,159,160,308,312,332,333,338,344,
ჰერმონასა 120,
ჰირკანია (კასპია) 341,
ჰიქსოსები 284,